ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები

V

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings

V

გამომცემლობა „მერიდიანი“
Meridian Publishers
თბილისი
Tbilisi
2012

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა
მარიამ ჩხარტიშვილი
ალექსანდრე ბოშიშვილი

Editors:
Tedo Dundua
Mariam Chkhartishvili
Alexander Boshishvili

სარედაქციო კოლეგია:
მარიამ ლორთქიფანიძე
გიული ალასანია
თეიმურაზ პაპასქირი
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
ანდრო გოგოლაძე
გიორგი ჟუჟუნაშვილი
შალვა გლოველი
ქეთევან მირზიკაშვილი

Editorial Board:
Mariam Lordkipanidze
Giuli Alasania
Teimuraz Papaskiri
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Andro Gogoladze
Giorgi Zhuzhunashvili
Shalva Gloveli
Ketevan Mirzikashvili

http://geohistory.humanities.tsu.ge
E-mail: geohistory@tsu.ge
geohistory@live.com

© ტექსტი – ავტორები, 2012
© შედგენა – თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი, 2012

ISSN 1987–9970

შინაარსი
CONTENTS

თედო დუნდუა
საქართველო და გარე სამყარო – კომპარატივისტული შტუდიები (ანტიკური ხანის გლობალური პარალელები) 9

Tedo Dundua
Georgia and the Rest of the World – Comparative Studies (Global Parallels of Antiquity) (Summary)..... 16

აკაკი ჩიქობავა
კოლხეთი პონტოურ სისტემაში 18

Akaki Chikobava
Colchis in Pontic System (Summary) 24

მარიკა მშვილდაძე
საკურთხევლის გამოსახულებათა შესწავლის საკითხისათვის გვიანანტიკურ ხანაში (გლიპტიკური მასალის მიხედვით) 25

Marika Mshvildadze
To the Question of Research of the Representations of Altar in the Late Antiquity (According to the Glyptic Material) (Summary) 33

ნინო სილაგაძე
ამაღლების კომპოზიცია ადრექრისტიანული ქართული ეკლესიების პორტალების დეკორში 34

Nino Silagadze
Composition of Ascension on the Decorated Portals of Early Medieval Georgian Churches (Summary) 54

ჯაბა სამუშია
ტბელების წინააღმდეგ ბაგრატ III-ის ბრძოლის ისტორიიდან 55

Jaba Samushia
About Confrontation of Bagrat III with the Tbeli Feudal Family (Summary) 66

მიხეილ ბახტაძე
XI-XIV საუკუნეებში ქართველ მეფეთა ზეობის წლების ათვლის შესახებ 67

Mikhail Bakhtadze
Reckoning of Regnal Years for the Georgian Kings in the 11th - 14th Centuries (Summary) 81

მამუკა წურწუმია
ცხენის აბჯარი შუა საუკუნეების საქართველოში 82

Mamuka Tsurtsumia
Horse Armour in Medieval Georgia (Summary) 100

ვლადიმერ კეკელია
ანისის ტიგრან ჰონენცის ეკლესიის კონფესიონალური კუთვნილების საკითხისათვის 101

Vladimer Kekelia
About Confessional Belonging of the Church of Tigran Honentsi in Ani (Summary) 107

ლერი თავაძე
კეისრის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში 108

Leri Tavadze
Title of Caesar in Medieval Georgian Political Reality (Summary) 137

ირმა ტალახაძე
ვანის ქვაბთა მონასტრის „მწიგნობარ“ ქალთა სოციალური სტატუსის შესახებ 138

Irma Talakhadze
About the Social Status of "Literary" Women of Vanisquabta Monastery (Summary) 145

როლანდ თოფჩიშვილი
ქართულ-ოსური ურთიერთობების ნეგატიური ასპექტი: ოსთა თარეშები შიდა ქართლში 146

Roland Topchishvili
Negative Aspect of Georgian-Ossetian Relations: Raids of Ossetians in Shida Kartli (Summary) 171

აპოლონ თაბუაშვილი
„მეფის სადროშოს" აღწერის დავთარი (XVIII საუკუნის II ნახევარი) 173

Apolon Tabuashvili
Census of "Mephis Sadrosho" (Royal Military Region) in the 2nd half of the 18th Century (Summary) 192

როზეტა გუჯეჯიანი
ეთნოკულტურული პროცესები ზემო აფხაზეთში (დალი, კოდორის ხეობა) 193

Rozeta Gujejiani
Ethnocultural Processes in Zemo (Upper) Abkhazia (Dali, Kodori Gorge) (Summary) 206

მაია შაორშაძე
XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი სასულიერო მოღვაწეები მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად 208

Maia Shaorshadze
Georgian Ecclesiastic Figures Defending the Orthodox Church in the Beginning of the 19th Century (Summary) 220

ხათუნა ბაინდურაშვილი
ახალი მასალა ჩრდილოეთ კავკასიაში ცარიზმის რელიგიური
პოლიტიკის შესახებ 221

Khatuna Baindurashvili
New Material About Tsarist Religion Policy in the North Caucasus
(Summary) 227

თენგიზ სიმაშვილი
თბილისის „ოხრანკის" განყოფილების აგენტი დიმიტრი ჯაში და
სოციალისტ-ფედერალისტები 228

Tengiz Simashvili
"Okhranka" Tbilisi Department's Agent Dimitri Jashi and the
Socialist-Federalists (Summary) 242

ნატო სონღულაშვილი
თავადაზნაურობა 1900-1917 წლების საქართველოში 243

Nato Songulashvili
Nobility in 1900-1917 in Georgia (Summary) 254

დიმიტრი შველიძე
გადმოძახილი წარსულიდან 255

ბექა კობახიძე
საქართველოს პირველი ამერიკელი მეგობარი – კონგრესმენი
უოლტერ მარიონ ჩენდლერი 280

Beka Kobakhidze
The First American Friend of Georgia – Congressman
Walter Marion Chandler (Summary) 292

დიმიტრი სილაქაძე
უცნობი ფურცელი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სამხედრო
მოღვაწეობიდან 293

Dimitri Silakadze
Unknown Paper from the Military Activity of Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili (Summary) 306

მერაბ კალანდაძე
გადაურჩა ივანე ჯავახიშვილი სტალინურ ტერორს? 307

Merab Kalandadze
Did Ivane Javakhishvili Survive Stalin's Purges? (Summary) 316

ცირა ბარამიძე
ივანე ჯავახიშვილი ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ და ლინგვისტური კავკასიოლოგია 317

Tsira Baramidze
Ivane Javakhishvili on the Ethnogenesis of Georgians and Linguistic Caucasiology (Summary) 327

ნიკო ჯავახიშვილი
ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფო მოღვაწეებთან ქართველთა ურთიერთობის ისტორიიდან (XX საუკუნის 50-70-იანი წლები) 329

Niko Javakhishvili
On the History of Georgians' Relationship With Statesmen of India and Pakistan (In the 1950s-1970s) (Summary) 347

ჯონი კვიციანი
გზა სამოქალაქო საზოგადოებისაკენ საქართველოში 348

Joni Kvitsiani
The Way to A Civil Society in Georgia (Summary) 352

კონსტანტინე ჭიჭინაძე
საკმაოდ ძველი ისტორიის არცთუ ისე ძველი გაგრძელება თუ უბრალო დამთხვევა? (ჰიპოთეტური მოსაზრება ჩეჩნეთ-რუსეთის ურთიერთობების ერთ დეტალზე) 353

Konstantin Chichinadze
Not so Old Continuation of an Old History or Just a Coincidence?
(Hypothetical opinion about a detail in Chechen-Russian correlation)
(Summary) 382

საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences

Ketevan Gochitashvili
Multi-Ethnical Georgia and Multilingual Education 383

რეცენზია

თედო დუნდუა
Catalogue de l'exposition. Armenia Sacra. Mémoire Chrétienne
des Arméniens (IVe-XVIIIe siècle). Paris, musée du Louvre, 2007.
რეცენზია აქ წარმოდგენილ რუკებზე 391

ალექსანდრე ბოშიშვილი
ცოტა რამ სამველ კარაპეტიანის ნაშრომზე – Мэры Тифлиса 394

პოლემიკა

როლანდ თოფჩიშვილი
„საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების" რედაქტორებს –
თედო დუნდუას, მარიამ ჩხარტიშვილსა და ალექსანდრე ბოშიშვილს ... 403

იუბილე

გიორგი ნადირაძე – 80 447

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

თედო დუნდუა

საქართველო და გარე სამყარო – კომპარატივისტული შტუდიები (ანტიკური ხანის გლობალური პარალელები)

მსოფლიო მასშტაბით ქვეყანათა, ანუ ეკონომიკური სისტემების, აბსოლუტურ უმრავლესობაში ცნობიერების ევოლუციის ერთი მოდელი ფიქსირდება: პრიმიტიული კომუნიზმიდან პროტოფეოდალიზმისა და ფეოდალიზმისკენ, შემდგომ კი კაპიტალიზმია. მერე რა, რომ ამ საფეხურებს ეკონომიკური სისტემები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სისწრაფით გაივლის. მაგ., ძვ. წ. I ათასწლეულში აზიის ქვეყნებმა სამათასწლოვანი უპირატესობა ევროპას დაუთმეს. ნებისმიერი სემანტიკის და მასთან დაკავშირებული ევოლუციური საფეხურების იდენტურობა განსხვავებულ ეთნოკულტურებში ობიექტური რეალობაა. კიდევ ერთხელ დავწმუნდეთ ამაში. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, დაკვირვების ობიექტი კონკრეტული სემანტიკა, სახელმწიფოა.

სულ ორი ქვეყანაა განსხვავებული დიალექტიკით – საბერძნეთი და იტალია. ეს დიალექტიკა ციკლურია: პრიმიტიული კომუნიზმი – პროტოფეოდალიზმი/„ფეოდალიზმი“ (სწრაფი მიმდინარეობა) – I ციკლის კაპიტალიზმი (ანტიკური სამყარო და ბიზანტია) – პროტოკაპიტალიზმი (რეგრესი) – II ციკლის კაპიტალიზმი (იტალისთვის ის XIV ს. დაიწყო). თუ ელინურ-რომაული და ბიზანტიური საზოგადოებები კაპიტალისტური „კუნძული“ იყო პროტოფეოდალურ და ფეოდალურ გარემოცვაში, „რენესანსულ“ იტალიას მალე ბევრი ევროპული ქვეყანა შეუერთდა II ციკლის კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური ატრიბუტიკით. ჩვენი კომპარატივიზმი ამ ორ ციკლსაც შეეხო.

სახელმწიფო, სემანტიკური პერცეფციით, სოციალური კონტრაქტია.[1]

---

[1] სოციალურ კონტრაქტთან დაკავშირებით ქართული საისტორიო სიერცეში იხ. გ. მამელია. კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს წამოყალიბება ძველ ქართლში. თბ. 1979; თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურა და დასავლეთი. პოლიტიკური მიმართებანი. თბ. 1993, გვ. 8-17; თ. დუნდუა. საქართველო და დასავლეთი

ტერმინი „სოციალური კონტრაქტი“ ყველაზე უკეთ წარმოაჩენს სახელმწიფოს არსს. თუმცა τό συνάλλαγμα (Arist. Politics. VI. I. 8)[2] ის ტერმინია, რომელსაც შეუძლია ჩაანაცვლოს რუსოსეული „სოციალური კონტრაქტი“; ნიშნავს შეთანხმებას, ხელშეკრულებას. ὁ Νομοθέτης (Arist. Politics. VI. III. 1)[3] საკანონმდებლო ინიციატივის მატარებელია. ამ ტერმინს შეუძლია ჩაანაცვლოს „საკანონმდებლო ინიციატივის მატარებელი“. ἡ Κοινωνία (Arist. Politics. I. I. 1)[4] – ესეც სოციალური კონტრაქტია. სოციალური კონტრაქტის ჩანასახი ორი ადამიანის სპეციფიური შეთანხმებაა – συνδυάζω (Arist. Politics. I. I. 4).[5] არისტოტელე ჟან ჟაკ რუსოს[6] წინამორბედია. სწორედ მან შექმნა კონკრეტული თეორიის საფუძვლები იმ შეთანხმების შესახებ, რასაც შედეგად სახელმწიფოს გენეზისი მოჰყვა. რუსომდე კი ლეველერმა ჯონ ლილბურნმა 1647 წ. დაწერა ნაშრომი – „საერთო შეთანხმება“ (Common agreement).[7] კიდევ უფრო ადრე ამ თემაზე მარსელ პადუელი მსჯელობდა.[8]

სოციალური კონტრაქტის ბირთვია სამი სახლის (კლანის) გაერთიანება.[9] ტრიპოლი ფინიკიაში სამი ფინიკიური ქალაქის გაერთიანებაა – ტიროსი, სიდონი და არადი; ის კედლებით სამ ნაწილად იყო გაყოფილი. ანტიკურ ხანაში სხვა ბევრი ტრიპოლია.[10] ე.ი. აშკარაა სამი სახლის სინოიკიზმი. შეად.

ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. წ. I. თბ. 1995, გვ. 8-19; თ. დუნდუა. ლეკიათანი ანუ კაპიტალიზმის პერსპექტივები საქართველოში. თბ. 1996; თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასაელეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI - 1453 წ.). თბ. 1997, გვ. 10-20; თ. დუნდუა. საქართველო და გარე სამყარო (უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე). ინტერკულტურული შტუდიები. I. თბ. 1999, გვ. 25-44; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. საქართველოს ისტორია: თემატური თუ ქრონოლოგიური პრინციპი? თბ. 2000, გვ. 3-15; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. საქართველო და გარე სამყარო. XI კლასის დამხმარე ინტერკულტურული სახელმძღვანელო. თბ. 2001, გვ. 3-15; თ. დუნდუა. ქართლი, ეგრისი და საქართველო. ქართული სახელმწიფო 3000 წლისაა. თბ. 2001.

[2] Aristotle. Politics. With an English Translation by H. Rackham. Cambridge, Massachusetts. Harvard University Press. MCMLIX, გვ. 490-491.

[3] Aristotle. Politics. With an English Translation by H. Rackham, გვ. 506-507.

[4] Aristotle. Politics. With an English Translation by H. Rackham, გვ. 3.

[5] Aristotle. Politics. With an English Translation by H. Rackham, გვ. 4-5.

[6] J. J. Rousseau. The Social Contract (Du Contract Social). 1762. Internet Encyclopedia of Philosophy.

[7] J. Lilburne. Regall Tyrannie Discovered. London. 1647. http://files.libertyfund.org/files/23-59/Hobbes_Lilburne.pdf.

[8] Marsilius of Padua. Catholic Encyclopedia. 1913.

[9] თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასაელეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 10-18.

[10] Paulys Real-Encyclopädie der classischen Altertumswissenschaft. Neue Bearbeitung. Dreizehnter halbband. Tributum bis M. Tullius Cicero. Stuttgart. 1939, გვ. 202-210; სტატია

„დიდ მცხეთას“[11], რაც ასევე სინოკიზმის შედეგია. სხვა გეოგრაფიული კონიუნქტურის, ანუ სინოიკიზმისთვის მონიშნული საუფლო სახლების თავდაპირველი სამოსახლოების ერთმანეთისგან მეტ-ნაკლები დაშორების, პირობებში შესაძლებელია ასეთი ვარიანტიც: სიმპტომატურია, რომ დეიოკესი მიდიელებს ერთი ქალაქის ფარგლებში კრებს, ხალხს უბრძანეს სასახლის გარშემო დასახლება (Herod. I. 98 - 99). ძველ ქართლში კი სულ 25 საუფლო სახლი უნდა ჩამოყალიბებულიყო. ეს უდრის 25 პოტენციურ ქალაქს.[12] წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, ასეთი სურათი ფიქსირდება: **ქართლი** – მცხეთა, სამადლო-ნასტაკისი, ციხიაგორა, უფლისციხე, ურბნისი, კასპი, გორი, ხოვლეგორა, ცხინვალის ნაცარგორა; **ხუნანი** – მტუერის ციხე = ხუნანი; **სამშვილდე** – ციხე ორბისი = სამშვილდე, ქვემო ბოლნისი, გაჩიანი = სანადირო ქალაქი; **კახეთი** – ბერ = ჩელეთი, კახეთის ქალაქნი (ქართლის ცხოვრება. I. 1955, გვ. 18); **ოძრხე** – ოძრხე; **ჯავახეთი** – წუნდა, ქაჯთა ქალაქი = ჭური, ხერთვისი მტკურისა; **კლარჯეთი** – თუხარისი.

სოციალური კონტრაქტის ან კონტრაქტების დაფუძნება ეკონომიკური სისტემის ფარგლებში სხვას იარაღის ტარებას უკრძალავს. მაინცდამაინც ზუსტი შედარება არ არის, მაგრამ მაინც – ანტისპარსული აჯანყება (ძვ. წ. 546 წ.), რომელიც ხაზინის გამგის, პაქტიესის, მეთაურობით დაიწყო, სწრაფად იქნა დათრგუნული, რის შემდეგ ლიდიელებს იარაღის ტარება აეკრძალათ (Herod. I. 154 - 157). შეად. აზოს მიერ შევიწროვებულ მცხეთელ სეფეწულებს (ქართლის ცხოვრება. I. 1955, გვ. 20).

დასავლეთ საქართველოში ქუჯი. „ქუჯი“ საკუთარი სახელი არ არის. ის მმართველის/მთავრის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია (შეად. ქვიჯი/ქვინჯი).[13] ყოველივე ამის ანალოგია ლიდიის მეფე კანდავლია. „კანდავლი“ საკუთარი სახელი არ არის, ის არის მმართველის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი.[14]

ხეთურ საბეჭდავებზე ხარზე მჯდომი შიშველი ქალღმერთია გამოსახული; მსგავსად გამოსახავდნენ ევროპას ბერძნები.[15] შეად. ფაზისური სტატე-

---

«Триполи». Словарь Античности. Сост. И. Ирмшер и Р. Йонс. Перевод с немецкого. Отв. ред. В. И. Кузищин. М. 1989.

[11] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბ. 1970, გვ. 447.

[12] თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 17-18.

[13] მ. ინაძე. ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის („ფარნაჯაოს ცხოვრების“ მიხედვით). მნათობი. თბ. 1989, №8, გვ. 156.

[14] Геродот. История в девяти книгах. Перевод и примечания Г. А. Стратановского. Л. 1972, გვ. 501, შენ. 14.

[15] Геродот. Перевод и примечания Г. А. Стратановского, გვ. 501, შენ. 7.

რის/დიდრაქმის I ტიპს (მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება/Rv. დაჩოქილი ხარისთავიანი ქალღმერთის გამოსახულება).[16] ამ უკანასკნელის სემანტიკა შესაძლოა კიდევ უფრო ფართოა და ის ევროპასაც განასახიერებს(?). სხვათა შორის, ჰეროდოტესთან ეგვიპტის აღწერაში საუბარია, რომ მილეტელებს იქ სავაჭრო ფაქტორიის დაარსების უფლება მიუღიათ და აპოლონის ტაძარი აუგიათ (Herod. II. 178). შეად. ფაზისთან არსებულ აპოლონის ტაძარს.[17] იმავე ჰეროდოტესთან მდინარე ფაზისი ევროპისა და აზიის საზღვარია (Herod. IV. 45). იოანე ლიდე კოლხეთს („კოლხიკეს, რომელსაც ახლა ლაზიკეს ეძახიან“) ევროპად მიიჩნევს (Lydus. De Ostentis. 56)[18], პროკოპისთანაც ფაზისის მარჯვენა სანაპირო ევროპაა (Procop. De Bello Gothico. VIII. II. „ზოგიერთები ამბობენ, რომ აქ ფაზისი ორად ჰყოფს ხმელეთს. ჩამომდინარე წყლის მარცხნივ არის აზია, ხოლო მარჯვნივ ევროპად იწოდება. ევროპის ნაწილშია ლაზთა ყველა საბინადრო ადგილი, ხოლო მეორე ნაწილში არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა, მოხსენიების ღირსი, გარდა იმისა, რომ რომაელებმა იქ პეტრა ააშენეს წინათ“).[19] კოლხეთი ევროპის აზიასთან დამაკავშირებელ ხიდად აღიქმებოდა.[20] დარიოს I სკვითების ქვეყნიდან სპარსეთში დაბრუნებას, ალბათ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გავლით აპირებდა.[21] სკვითები სპარტის მეფეს ჰპირდებიან, რომ ფაზისის ხეობით შეიჭრებიან მიდიაში (Herod. VI. 84). სკვითურ-სარმატულ მხარეებთან კოლხეთის კონტაქტების მაჩვენებელია კოლხი მეფეების

[16] გ. დუნდუა. თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწილი I. თბ. 2006, გვ. 32.
[17] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, გვ. 404.
[18] იოანე ლიდე. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. II. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1965, გვ. 242.
[19] პროკოპი კესარიელი. გეორგიკა. II, გვ. 127.
[20] ევროპის „შექმნასე“ და საქართველოზე, როგორც ევროპის საინტეგრაციო ზონის პერმანენტულ სუბიექტზე, იხ. მაგ. T. Dundua, N. Silagadze. The Making of Europe (Towards History of Globalization). The Caucasus and Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. volume 2. Issue 2. Sweden. 2008, გვ. 38-45; Т. Г. Дундуа, Н. А. Силагадзе. Как создается Европа (к истории глобализации). Кавказ и глобализация. Журнал социально-политических и экономических исследований. т. 2. вып. 2. Швеция. 2008, გვ. 44-52; T. Dundua, N. Silagadze. European Integration and Architectural Styles (How Globalization Started). The Caucasus and Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 3. Issue 1. 2009. Sweden, გვ. 98-103; Т. Г. Дундуа, Н. А. Силагадзе. Формы европейской интеграции и архитектурные стили (к истории глобализации). Кавказ и глобализация. Журнал социально-политических и экономических исследований. т. 3. вып. 1. 2009. Швеция, გვ. 107-113.
[21] Геродот. Перевод и примечания Г. А. Стратановского, გვ. 522 შენ. 81.

თუ სკეპტუხების სახელები – სავლაკეს, აკეს, ოლთაკეს; ეს, აშკარად, ჩრდილოირანული ონომასტიკონია aḳa საერთო ძირით. პირველ სახელთან დაკავშირებით, საინტერესოა სკვითთა მეფე სავლიოსი (Herod. IV. 76). ბოლო სახელთან მიმართებით კი გასათვალისწინებელია ასეთი ონომასტიკური მონაცემი – ოლთაკე როგორც კოლხი სკეპტუხის სახელია (App. Mithr. 117), ასევე მეოტისის მიდამოებში მცხოვრები დანდარიების მთავრისა (Plut. Lucull. 16). მელაბესი[22] სხვა კატეგორიის სახელია. ის ჰგავს მალასას (Flav. Arr. Peripl. 11). ძვ. წ. I ს. 70-იან წწ-ში ბოსფორი და კოლხეთი ერთი ადმინისტრაციული ერთეულია.[23] სახმელეთო კომუნიკაციის მოწესრიგების მიზნით, მითრიდატე VI ევპატორმა პიტიუნტის ზემოთ სანაპიროზე მცხოვრები აქეელები დალაშქრა, მაგრამ დამარცხდა (App. Mithr. 67).

ახლა ისევ აღმოსავლეთ საქართველოს დავუბრუნდეთ.

ქსერქსეს ლაშქრის ერთ-ერთი რაზმის (სოგდიელების) სარდალს აზანი ერქვა (Herod. VII. 66), შეად. აზონს. თუკიდიდესთან ქაონების ორ წინამძღოლზეა საუბარი. ისინი თურმე მმართველი საგვარეულოდან 1 წლით ირჩეოდნენ (Thucid. Hist. II. 88). შეად. ორმეფობას ქართლში ძვ. წ. II - I სს.[24] ამის შესახებ აღრეული ინფორმაცია „ქართლის ცხოვრებაშია“ დაცული. მაკონტროლებელი მასალა თანადროული ანტიკური მწერლობაა, სადაც, სხვათა შორის, იხსენიება ელინური მითების ქვეყანა – ჰესპერიტისი (იბერია (?!)) და მითოლოგიური პერსონაჟი – ჰესპეროსი (იბერი (?!)) (Diod. IV. 27).[25] საკუთრივ, პირველი ქართული საისტორიო თხზულებები, ანუ „ქართლის ცხოვრების“ ადრეული ნაწილები და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ საისტორიო ქრონიკა, VIII ს. II ნახ. უნდა დათარიღდეს.[26] კონკრეტულ მოსაზრებას

---

[22] MHΛΑBHC, სავარაუდოდ, კოლხთა მეფის მოხელე ელინისტურ ხანაში. ეს სახელი ერამიტის დამღაზეა მოთავსებული. ამასთან დაკავშირებით იხ. დ. ახვლედიანი. კოლხეთის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები ძვ. წ. V - II სს-ში. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. 07. 00. 06. არქეოლოგია. თბ. 2004, გვ. 65.

[23] თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1993, გვ. 66.

[24] თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ეკოლოგია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 174-178.

[25] Diodorus of Sicily. In Twelve Volumes. II. Books II (continued). 35 - IV. 58. With an English Translation by C. H. Oldfather. London. Cambridge, Massachusetts. First printed 1935. Reprinted 1953, 1961, 1967.

[26] თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ეკოლოგია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 186.

ესეც უნდა უწყობდეს ხელს – ნინო სიკვდილის სარეცელზეა და მის სანახავად შეიკრიბნენ „მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი . . .“[27] ეს აშკარად VIII ს. II ნახ. კონიუნქტურაა. ნინო IV ს. ქადაგებდა. I ს. ბოლოსთვის კი, თითქოს, კოლხეთში რომის ეპისკოპოსი კლემენტი აქტიურობდა.[28] და, საერთოდ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კარაკალას ედიქტით (212 წ.), ყველა თავისუფალი რომის მოქალაქე ხდება. ამის მერე რომაული nomen *Aurelius* ყველაზე გავრცელებული რომაული სახელია.[29] შედ. იბერიაში ავრელიუს აქოლისის შემთხვევა.[30]

ანტიკური სამყარო (ბერძნულ/რომაული საზოგადოებები) სხვადასხვა ნომინალს ატარებდა. კამილუსის ბიოგრაფიაში წერია, რომ ჰიპერბორეებმა ელინური ქალაქი რომი აიღეს (Plut., Camil. 22). ე.ი. „ელინური“ არა ეთნოკულტურის, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ჰაბიტუსის აღმნიშვნელი ტერმინია.

ბერძნულ/რომაული სამყარო კაპიტალიზმის I ციკლის საზოგადოებებია. II ციკლთან, ანუ, ძირითადად, ენერგეტიკულ კაპიტალიზმთან, მას ტიპოლოგიური სიახლოვე ახასიათებს, ისეთ სფეროშიც კი, როგორიც არის, საკუთრივ, ენერგეტიკა[31] და გენდერი. ანტიკურ სამყაროში, მართალია, მცირე

---

[27] მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბ. 1979, გვ. 327-328.

[28] Martyrium S. Clementis. XXII. Patrologiae Graecae Tomus II. Paris. 1886, გვ. 630.

[29] სტატია «Аврелий». Словарь Античности. Сост. И. Ирмшер и Р. Йоне.

[30] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I, გვ. 769; რომაულ *nomen*-თან დაკავშირებით ქართული ეთნოკულტურის ფარგლებში იხ. თ. დუნდუა. პუბლიკიუს აგრიპა, ფლავიუს დადე და ორმაგი მოქალაქეობა – არის თუ არა ეს მომავალი ევროპის მოდელი? თბ. 2002; T. Dundua. Publicius Agrippa, Flavius Dades and Dual Citizenship – a Pattern for Europe in Future? Caucasica. v. 5. Tb. 2002, გვ. 57-63.

[31] კაპიტალისტური ციკლების და, საერთოდ, ციკლური დიალექტიკის შესახებ იხ. თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურა და დასავლეთი. პოლიტიკური მიმართებანი. თბ. 1993; T. Dundua. The Cyclic Dialectics. Tb. 1996; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. ციკლური დიალექტიკა და პორტრეტული ექსპრესიონიზმი (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. ციკლური დიალექტიკა, სახეითი ხელოვნება და თემის კატეგორია (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. ციკლური დიალექტიკა და არქიტექტურის განვითარების ძირითადი ეტაპები (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. ციკლური დიალექტიკა და ქალაქის დაგეგმარების ძირითადი პრინციპები (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1996; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. ციკლური დიალექტიკა, სახეითი ხელოვნება და ტიპის კატეგორია (ინგლ., გერმ., რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1997; თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე. ციკლური დიალექტიკა, არქიტექტურა და სტილის კატეგორია (ინგლ. და რუს. პარალელური ტექსტებით). თბ. 1998; თ. დუნდუა. ნ. სილაგაძე. ციკლური დიალექტიკა და ხელოვნების ფილოსოფიის საკითხები.

მასშტაბით, მაგრამ მაინც ხდებოდა ქვანახშირის და ნავთობის მოპოვება; ე.ი. აქ II ციკლის კაპიტალიზმის თბური ენერგიის მომტან მასალას მოიხმარებდნენ. მაღაროებშიც, მონური შრომის გვერდით, როგორც ელინურ, ასევე რომაულ საზოგადოებებში, თავისუფალი შრომა გამოიყენებოდა.[32] კლასიკურ საბერძნეთში ქალები სახლებში ისხდნენ, ჰეტერების გარდა. რომში ქალები არიან მსახიობნი, მოცეკვავენი, ექიმები და სპორტსმენები. ე.ი. ემანსიპაცია კაპიტალიზმის ორივე ციკლს ახასიათებს. რომის იმპერიაში ქალების მეტნაკლები სოციალური თავისუფლება (განათლების უფლება, საკუთრების განგების უფლება, ხშირად ისინი ქრისტიანი მქადაგებლებიც არიან)[33] ბიზანტიური მასკულინური დესპოტიზმით იცვლება. განა ეს არ არის ნიშანი I ციკლის ეტაპობრივი დეგრადაციისა?!

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა, ანუ ცნობიერი კომპლექსი, ევოლუციურად იდენტურ სხვა სისტემაში არსებულ სინქრონულ პარალელებს იოლად აფიქსირებდა და, ეს, ნაწილობრივ, მის ისტორიულ მეხსიერებაში რჩებოდა. შეფარდებითად ჩამორჩენილი ეკონომიკური სისტემა ცუდად აღიქვამდა ავანგარდული ეკონომიკური სისტემის სემანტიკური კატეგორიების განვითარების თანადროულ საფეხურს. კონკრეტულ შემთხვევაში მოწინავე სისტემა კი „ბარბაროსული სამყაროს“ ევოლუციის კონკრეტულ დონეს აღიქვამდა ისე, როგორც ამას თუკიდიდე აკეთებდა – ოდესღაც ეს ჩვენთანაც ყოფილაო (Thucid. Hist. I. 6).

პროგრამა სპეცკურსში. თბ. 1998; T. Dundua, N. Silagadze. The Cyclic Dialectics and Philosophy of Art. Syllabus of Special Course. Tb. 1998; თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს. - 1453 წ.). თბ. 1997, გვ. 6-34; თ. დუნდუა. საქართველო და გარე სამყარო. თბ. 1999, გვ. 25-44; T. Dundua. North and South. თბ. 2001, გვ. 8-15. ელექტრონული ევრსია დევს ნატოს ვებ-გვერდზე http://www.nato.int/acad/fellow/99-01/dundua.pdf; T. Dundua, N. Silagadze. European Industrial Complexes of I Cycle of Capitalism and the Georgian Western Affiliations. Historical and Numismatic Tale. Tb. 2005; თ. დუნდუა, ნ. ფიფია. საქართველო და გარე სამყარო – ევროპის „შექმნა“ და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. საერთაშორისო სახელმძღვანელო. I. თბ. 2009; თ. დუნდუა. პელიოცენტრიზმი და I ციკლის კაპიტალიზმი. თბ. 2010.

[32] სტატია «горное дело». Словарь Античности. Сост. И. Ирмшер и Р. Йоне.

[33] სტატია «женщины». Словарь Античности. Сост. И. Ирмшер и Р. Йоне.

Tedo Dundua

GEORGIA AND THE REST OF THE WORLD – COMPARATIVE STUDIES (GLOBAL PARALLELS OF ANTIQUITY)

Summary

Multitude of the countries around the world mostly have the similar evolutions, some of them being vanguard for a while, then changing their status completely (i.e. first, Asian economic systems formed the vanguard, then Europe has become superior). They follow the same stages of cognitive development but pass them in different times. Some of those similarities (especially, the ones tied up thoroughly with a phenomenon of state) are checked here again within the different ethnocultures to prove reality of mostly common directions in cognitive development. And the way is as follows – from Primitive Communism to Protofeudalism, from Protofeudalism to Feudalism, and then – towards Capitalism.

Only two countries have different way – Greece and Italy. It looks like this – Primitive Communism – Protofeudalism/Feudalism (quick shift) – I cycle of Capitalism (Antiquity, Byzantium) – Protocapitalism (decline) – II cycle of Capitalism (for Italy from the 14th c.). Graeco-Roman societies were alone possessing capitalistic visages, while Italy of the 14th -15th cc. has been soon joined by other European countries, having essence that of II cycle Capitalism. These two cycles are also object of observation now.

Somebody thought of a state as dominated by a person or some persons. But most brilliant minds considered a state as a certain common agreement in order to keep lives, properties and economics tidy. To denote a state, they chose similat verbal constructions, either in Greece (country of I cycle of Capitalism), or in Modern Europe (countries of II cycle of Capitalism). Those verbal constructions are as follows – τό συνάλλαγμα/agreement, treaty for Aristotle, common agreement for J. Lilburne and contract social for J. J. Rousseau.

Genesis of a social contract came through unification of the clans, having the strongest clan as a ruling one. And strongest clan was nothing else but three

possessions put together thus forming super-clan. Many cities all over the world called Tripolis are the reflections of this mechanism. Eastern Georgians (Iberians for the Greeks) had their capital Mtskheta comprising several isolated districts.

Once in power, victorious clans refused the others to have arms. Lydian and Georgian cases are discussed.

Sometimes, general term for a ruler is transformed into proper name. Again, Lydian and Georgian cases are discussed.

Hittite seals have naked goddess sitted on a bull depicted on them.This is also the way how the Greeks presented *Europa*. And on the silver coins of Phasis in Colchis (Western Georgia) we have kneeling female figure, naked, with a bull's head. Local amalgamation for *Europa*?!

As for the Georgian proper names, both, Scytho-Sarmatian and Iranian worlds contributed much. Roman *nomen* was also present there.

Many more parallels can be observed there. ex. Some of the European barbarians had two hegemons elected for a year from ruling clan, and Iberians for a certain period had two kings from the ruling clan with their power limited in time, passing it to the next pair from the same clan, etc.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

აკაკი ჩიქობავა

კოლხეთი პონტოურ სისტემაში

ძვ.წ. VI-III საუკუნეების დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაცია იწყება. პირველ ეტაპზე ამ კუთხით აქტიურ როლს მილეტი, შემდეგ კი ათენი ასრულებდა. ამ რეგიონში ანტიკური, ბერძნული ეკონომიკის სიმძლავრემ ძვ.წ. VI-I საუკუნეებში ზღვისპირა ზოლში ძლიერი კაპიტალის არსებობა გამოიწვია, რაც წინარეფეოდალური ტიპის საზოგადოებისთვის არ არის დამახასიათებელი.

ათენელთა ერთ-ერთი დეკრეტის მიხედვით, მეტროპოლია მოკავშირეებს აიძულებდა მიმოქცევაში ჰქონოდათ ათენური ფული, საწონები და საზომი. კოლხეთში ატიკური ფულის სტანდარტი უნდა ყოფილიყო გაბატონებული. 1993 წელს სოხუმის მიდამოებში აღმოჩენილი მონეტის მსგავსი თეთრი მეტალის მიხედვით (წონა 300,37 გრ. d=70 მმ.), დიოსკურია, სავარაუდოდ, იმ კავშირის წევრი გამხდარა, რომელშიც ათენი პირველობდა. იგივე შეიძლება ითქვას ფაზისზეც.[1]

ძვ.წ. IV საუკუნეში მთელი დასავლეთ საქართველო კოლხების ეგიდის ქვეშ ერთიანდება, თუმცა მალევე ცალკეულ სკეპტუხიებად იშლება. ძვ.წ. III-II საუკუნეებში ბერძნული ახალშენები ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიქვემდებარა. ფაზისი წყვეტს კოლხური თეთრის ემისიას,[2] მართლაც, რომ სტრაბონის მიხედვით, ის კოლხთა სავაჭრო ქალაქია: „ფაზისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი“ (Strabo.XI.II.17).[3] ამ პერიოდისთვის დიოსკურიაც ამ კუთხით უნდა განვიხილოთ.[4] სტრაბონისვე

[1] თ. დუნდუა. ატიკური ნახევარ მინა დიოსკურიიდან – ათენის პონტოური თალასოკრატია. თბ. 2000, გვ. 3-10.

[2] თ. დუნდუა. საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1995, გვ. 83.

[3] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ). თბ. 1957, გვ. 123.

[4] თ. დუნდუა. ნ. სილაგაძე. საქართველო და გარე სამყარო (XI კლასი). თბ. 2001, გვ. 46.

ცნობით, „დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის“ (Strabo. XI. II. 14.).[5]

მითრიდატე VI ევპატორის (ძვ.წ. 111-63 წწ.) მიერ კოლხეთის დაპყრობა ძვ.წ. 105-90 წლებში უნდა ვივარაუდოთ. აქედან მოყოლებული, კოლხეთში პოლიტიკური სურათი ასეთი თანმიმდევრობით იცვლება:

1. კოლხეთი – პონტოს სატრაპია – გამგებელი/მმართველი (სატრაპი) > კოლხეთის ჰიპოთეტური სამეფო – მეფე მითრიდატე ფილადელფოს ფილოპატორი (?).

2. ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულები – სკეპტუხების „გამთავრება“ (ოლთაკე?).

ამ პერიოდში (დაახლოებით ძვ.წ. 105-90 წლები) კოლხეთის ტერიტორიაზე მიმოიქცევა სპილენძის მონეტები, რაც მითრიდატე VI ევპატორის პოლიტიკური გაერთიანებისთვის არის დამახასიათებელი, კერძოდ კი, სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებისთვის.[6] ასევე ადგილზე იჭრებოდა (დიოსკურია, ვანი) სპილენძის მონეტები, რაც კოლხეთისთვის და ზოგადად პროტოფეოდალური სამონეტო ბაზრისთვის არ არის დამახასიათებელი.[7]

რისთვის იჭრება სპილენძის მონეტა კოლხეთში?

დიოსკურიის საქალაქო მონეტები: **(ძვ.წ. 105-90 წწ.) ხალკი (?) (რედიუმი – 1,3 - 3,1 გრამი), დიხალკი (?) (რედიუმი – 3,7 - 5 გრამი), ტეტრახალკი (?) (წონა – 6,1 გრამი).**

შუბლი: *ტყუპი ძმების დიოსკურების ქუდები ვარსკვლავებით, თითოეულ ზემოთ, ძირითადად ექვსი, იშვიათად რვაქიმიანი.*

ზურგი: *კვერთხი. მის ორივე მხარეს სამ სტრიქონად მოთავსებულია ბერძნული ლეგენდა* ***ΔΙΟ/ΣΚΥΡΙΑ/ΔΟΣ*** *ე.ი. დიოსკურიის.*[8]

---

[5] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), გვ. 121.

[6] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწ. I. თბ. 2006, გვ. 76-79.

[7] თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1993, გვ. 46.

[8] თ. დუნდუა. საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 44.

დიოსკურიადები საქართველოს ტერიტორიაზე არ არის აღმოჩენილი. მის ცალებს მხოლოდ ძველი ბოსფორის სამეფოს (ყირიმი) ტერიტორიაზე ვხვდებით. რითი უნდა იყოს ეს განპირობებული?

ამ მონეტების შემსყიდველობითი უნარი ძალზე დაბალია და მისი ემისია პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. ის ძირითადად ბოსფორის სამეფოში მყოფი მითრიდატე VI ევპატორის გარნიზონებისთვის სახელფასო დანამატისთვის უნდა გამოიყენებოდეს.[9]

ავტონომიადაკარგულმა პოლისმა დიოსკურიამ მითრიდატე VI ევპატორის პერიოდში სტატუსი აღიდგინა ნომინალური ავტონომიურობით, რადგან საქალაქო მონეტების მოჭრა ქალაქის დასახელების ზედწერილით, სწორედ რომ პოლისის აღდგენაზე მიუთითებს.[10] სავარაუდოდ, მითრიდატეს დიოსკურია ბოლომდე დაუპყრობელი კოლხეთის შიდა ტერიტორიების (სკეპტუხები) მეტოქედ გამოადგებოდა. ძვ.წ. 84 წელს კოლხეთი აუჯანყდა მითრიდატეს და მეფედ მისი ძე, მითრიდატე ფილადელფოს ფილოპატორი, მოითხოვეს (App. Mithr. 64). ამის ფონზე კი დიოსკურია ბოლომდე ინარჩუნებს ერთგულებას. პომპეუსისგან დევნილი მითრიდატე სწორედ რომ დიოსკურიაში იზამთრებს (App. Mithr. 101).[11] რაც შეეხება კოლხთა სკეპტუხ ოლთაკეს, ის, სავარაუდოდ, უფრო საკუთარ დამოუკიდებლობას იცავდა, ვიდრე პონტოურ „სატრაპიას".[12]

გაზიარებულია მოსაზრება, რომ ვანშიც იჭრებოდა სპილენძის მონეტები, ე.წ. ანონიმური ემისია (მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფოსი (?) ძვ.წ. 84/83 წწ. (?) **Ae. ხალკი – რედიუმი 1,2 - 2,1 გრამი. ჰემიხალკი – რედიუმი 0,8 – 1,1 გრამი (?).**

---

[9] О. Д. Дашевская, Г. А. Лорткипанидзе. Монеты Диоскурады на городище Беляус (Крым). კაკასიურ-აღმოსავლური კრებული. XI. თბ. 2004, გვ. 173-179; თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ. 50.

[10] თ. დუნდუა. ქრთული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 44.

[11] აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და სამეცნიერო დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა). თბ. 1959, გვ. 135, 195.

[12] თ. დუნდუა. კოლხების აჯანყება და მითრიდატე უმცროსი. თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. ტ. 321. თბ. 1996, გვ. 26.

შუბლი: *სტილიზებული ლოტოსის გამოსახულება*

ზურგი: *რვაქიმიანი ვარსკვლავი.*[13]

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვანში ნაპოვნი ლოტოსის გამოსახულებიანი სპილენძის ანონიმური მონეტები მითრიდატე უმცროსის საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს. სავარაუდოდ, ვანში მისი გარნიზონები იდგა.[14]

სპეციალისტების დაკვირვებით, კოლხეთის სამონეტო ბაზრისთვის არ არის დამახასიათებელი სპილენძის მონეტების ცირკულაცია.[15] ჩვენ შემთხვევაში კი დიოსკურიასა და ვანში მოჭრილი მონეტები არა საბაზრო ურთიერთობებისთვის, არამედ გარნიზონების სახელფასო დანამატისთვის უნდა გამოიყენებოდეს.

ადრეულ პერიოდში ფაზისელთა კომერციის წინსვლაში დიდ როლს ვერცხლის საბადო ასრულებდა, რომელსაც ქალაქი ფლობდა.[16] რადგან ამგვარი საბადო არ გააჩნდა დიოსკურიას, ჩვენი აზრით, აქ საქმე უნდა გვქონდეს სახელმწიფო დოტაციასთან, რომელიც პონტოს სამეფოს მხრიდან ხორციელდებოდა.

ეს ურთიერთობები ასე წარმოგვიდგენია: პონტოს სამეფო ვერცხლს უგზავნის დიოსკურიას დოტაციის ან კრედიტის სახით, დიოსკურია ჭრის სპილენძის საქალაქო მონეტას, რომელიც მითრიდატე VI ევპატორის გარნიზონებს ეგზავნება სახელფასო დანამატის სახით. ამ კონკრეტული სამონეტო ემისიით, ჩვენი აზრით, მითრიდატე ცდილობს საერთო საინტეგრაციო ზონის შექმნას, რაც მითრიდატე უმცროსის დასჯის შემდეგ მეტნაკლებად შესაძლებელი გახდა.[17]

---

[13] თ. დუნდუა. საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 44.

[14] გ. დუნდუა. იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში? მაცნე (ისტორიის... სერია). თბ. 1974. N-2, გვ. 110-122; Г. Ф. Дундуа. Монетное дело и монетное обращение в Грузии в античную эпоху (VI в. до н.э. – IV в. н.э.). Автореферат диссертации на соискание ученой степена доктора исторических наук. Тб. 1982, გვ. 28.

[15] თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 45.

[16] თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ეკოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 43.

[17] თ. დუნდუა. მითრიდატე უმცროსი – იყო თუ არა ის რომის მოკავშირე? თბ. 2008, გვ. 7.



დიოსკურიადების მიმართ გამოყენებული სქემა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია მივუსადაგოთ ვანის ანონიმური ლოტოსის გამოსახულებიანი სპილენძის მონეტების მოჭრის ფაქტსაც.



ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლხეთში ძვ.წ. II-I საუკუნეებში არეულია I ციკლის კაპიტალიზმისთვის და პროტოფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. კოლხეთში საბანკო სისტემა არ

იყო განვითარებული, თუმცა დიოსკურიისა და ვანის სპილენძის მონეტების ცირკულაციის არეალის მოხაზვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული მონეტები სახელმწიფო დოტაციის შედეგად მოიჭრა და სახელფასო დანამატს წარმოადგენდა. ხელფასის ძირითადი ნაწილი კი პონტოს სამეფოს სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების ტრაპეზებში ინახებოდა. ამ სისტემაში იყო გაერთიანებული კოლხეთის სატრაპია/სამეფოც? ამიტომ მითრიდატე VI ევპატორის პერიოდის კოლხეთი მოვნიშნეთ, როგორც ანომალიური ხასიათის პროტოფეოდალური ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი.

Akaki Chikobava

COLCHIS IN PONTIC SYSTEM

Summary

The Greek colonization at the Western Georgian Black Sea littoral began in the 6th c. B.C. At first, it were the Milesian colonists, then the Athenians became more active. In the 4th c. B.C. Colchs united the Western Georgia, but soon it was broke-up into several sceptuchias. In the 3rd -2nd cc. B.C. the local government subdued the Greek poleis.

The annexation of Colchis by Mithridates VI Eupator (111-63 B.C.) is supposable in 105-90 B.C. During this period the copper coins common to the political union of Mithridates VI Eupator are in circulation in Colchis. The copper coins unusual for the Colchis, and for the proto-feudal societies, are minted in Dioscurias and Vani. We think that the regulation of copper money circulation was following: the Kingdom of Pontus was sending silver to Dioscurias, either as credit or dotation, and Dioscurias was minting the copper polis coins, which were sent as pay rise to the garrisons of Mithridates VI Eupator. This specific monetary emission was one of the arrangements in Mithritades' measures to create the common integration zone.

The attributes of the I cycle capitalism and protofeudal society are mixed in the 2-1st cc. B.C. in Colchis. The banking system was not developed in Colchis. Nevertheless, the delineation of the circulation area of the copper coins gives us an opportunity to state that they were minted thanks to the state donation and they represented the daily allowance additional to the salary. The salary itself was not given to the soldiers and it was kept in the banks of Southern Black Sea littoral cities. The Colchis was incorporated into this system. That is why the Colchis of Mithridates VI Eupator can be called as the protofeudal economic and geographical region with anomalities.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

მარიკა მშვილდაძე

საკურთხევლის გამოსახულებათა შესწავლის საკითხისათვის გვიანანტიკურ ხანაში (გლიპტიკური მასალის მიხედვით)

საკურთხეველი (ლათ. Altare), როგორც ცნობილია, წარმართულ სამყაროში ღმერთებისათვის შესაწირავ ადგილს ეწოდებოდა, რომელსაც ძირითადად ღია ცის ქვეშ, ამაღლებულ ადგილებში აგებდნენ. საკურთხეველი სხვადასხვა რელიგიებში სხვადასხვა სახით გვხვდება. ძველი ცივილიზაციებიდან ჩვენ საკურთხევლების საკმაოდ კარგი მასალა შემოგვრჩა. გამონაკლისს არც საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული არქეოლოგიური მონაპოვარი წარმოადგენს. სამსხვერპლოები პირველი მონოთეისტური რელიგიისთვის – იუდაიზმისათვისაც არ იყო უცხო. მის შესახებ არაერთხელ მოგვითხრობს წიგნთაწიგნი. ქრიტიანულ სინამდვილეში საკურთხეველი ქრისტიანული ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში აფსიდასთან ახლოს ეწყობა (ძირითადად სივრცისაგან გამოყოფილია) და წარმოადგენს ადამიანის ღმერთთან შეხვედრის, მასთან დაახლოების, ლოცვა-კურთხევის, საიდუმლო სერობის ადგილს. საკურთხეველში დგას მაგიდა – ტრაპეზი, რომელზედაც სრულდება ღვინისა და პურის სისხლად და ხორცად გადაქცევის საიდუმლო.

ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ საკურთხევლის (სამსხვერპლოს) თაობაზე, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ მისი გამოსახვა ხელოვნების ნიმუშებზე, მათ შორის, გლიპტიკურ ძეგლებზე, რელიგიური დატვირთვიდან გამომდინარე, უძველესი დროიდან ერთ-ერთ საყვარელ თემას წარმოადგენს მსოფლიოს ხალხებისათვის.

საქართველოს ტერიტორიაზე გვიანანტიკური ხანით დათარიღებული და ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებული საკურთხევლის გამოსახულების მქონე რამდენიმე გემაა დაფიქსირებული. მათ შორის ჩვენი შესწავლის ობექტს წარმოადგენს: ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ორი გემა,

ბიჭვინთის სამაროვანზე, გონიო-აფსაროსის, კლდეეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ჭრილაქვები. ნიშანდობლივია, რომ ცალკე საკურთხეველის გამოსახვა საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულ გვიანანტიკური ხანით დათარიღებულ ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებულ გემებზე იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. საკურთხეველთან ერთად უმეტესად რომელიმე ღვთაება, ან სიმბოლოა გამოსახული.

მ. ლორთქიფანიძეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემების III ტომში მოცემული აქვს კლდეეთის ტერიტორიაზე 1941 წელს აღმოჩენილი მოწითალო ფერის სარდიონის ინტალიო ფრაგმენტირებულ რკინის ბეჭედში (აქტი №16 გ.). ოვალური მოყვანილობის ინტალიოზე, რომელსაც ოდნავ ამობურცული პირი აქვს, გამოსახულია ათენა-პალადა. ღვთაება პირდაპირ არის წარმოდგენილი, რომელსაც თავი მარჯვნივ აქვს მიტრიალებული (პროფილში). თავზე მას კორინთული მუზარადი ახურავს... ათენას გრძელი უსახელო და წელს ზემოთ გადაჭიმული სამოსი აცვია, რომელიც თეძოებთან გადმოფენილია. ღვთაება სამსხვერპლოს წინ დგას, რომელზეც ცეცხლი ანთია. ათენას სამსხვერპლოსკენ გაწვდილ მარჯვენა ხელში პატარა ფიალა (patera), ხოლო ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში – შუბი და ფარი უჭირავს.

სტილისტური თავისებურებისა და რკინის ბეჭდის ფორმის მიხედვით, ინტალიო ახ.წ. II საუკუნით თარიღდება.[1]

ათენაა გამოსახული აგრეთვე ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე 1958 წელს აღმოჩენილ ოვალური ფორმის სარდიონის ნარინჯისფერ ინტალიოზე (ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს) ბრინჯაოს ბეჭედში (სამარხი №51 (ინვ. 972). ღვთაება გრძელი ქიტონით არის შემოსილი, თავზე მუზარადი ახურავს. მარცხენა ხელით შუბს ეყრდნობა. მარჯვანა, წინ გაწვდილ ხელზე გამარჯვების ღვთაება – ნიკა უდგას. ფერხთით მარცხნივ ფარია, მარჯვნივ – საკურთხეველი. უხეში კოპიო ფიდიასის ათენა პართენონისა.

ბრინჯაოს ბეჭედის ფორმის მიხედვით, ინტალიო ახ.წ. I ს. და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება.[2]

ათენა (ბერძნ. Ἀθηνᾶ), ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ომის (მხოლოდ სამართლიანი), საბრძოლო სტრატეგიისა და სიბრძნის ღვთაება იყო.

---

[1] მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. III. თბ. 1961, გვ. 16.

[2] ქ. ჯაფარიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ. 1972. №40, გვ. 39-40.

იგი ერთ-ერთი ყველაზე თაყვანსაცემი ქალღმერთი გახლდათ ძველი ბერძნებისათვის. ათენა გვევლინება ცოდნის, ხელოვნებისა და ხელოსნობის გამომგონებლად. ქალაქებისა და სახელმწიფოების მფარველად... იგი ხელოვნების ნიმუშებზე გამოისახებოდა კორინთული მუზარადით, შუბითა და ფარით, ზეთისხილის ხესთან ერთად. ღვთაების წმინდა ცხოველებად ბუ და გველი (სიბრძნის სიმბოლოები) გვევლინება.

რომაულ მითოლოგიაში არსებობს ათენას ანალოგი მინერვას სახით, რომელიც ასევე სიბრძნის, ხელოვნების, ომისა და ქალაქების მფარველი ღვთაება იყო. ძველი რომაელები მას ექიმების, მასწავლებლების, მოქანდაკეების, მუსიკოსებისა და პოეტების მფარველადაც თვლიდნენ. რომაელები მინერვას იუნონასა და იუპიტერის თანასწორად მიიჩნევდნენ. იგი შედიოდა რომის მთავარ ღვთაებათა პანთეონში, ე. წ. კაპიტოლიუმის ტრიადაში. უდიდესი რომაელი მხედართმთავრები ბრძოლის შემდეგ მინერვას მიართმევდნენ ხოლმე თავისი საუკეთესო ნადავლის ნაწილს. მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე ათენა რჩებოდა ყოვლისმომცველი მსოფლიოს სიბრძნის სიმბოლოდ.

მინევრას, ისევე როგორც ათენას, გამოსახავდნენ შეიარაღებულს, თავზე მუზარადით, რომელსაც ხელში შუბი და ბუ ან გველი ეჭირა (ძველ რომაელებთანაც ასევე სიბრძნის სიმბოლო). ღვთაების კულტი მთელ აპენინის ნახევარკუნძულზე იყო გავრცელებული, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ როგორც მებრძოლ ღვთაებას, მხოლოდ რომში სცემდნენ თაყვანს.

ჩვენ მიერ განხილული ორივე გემაზე გამოსახული სიუჟეტი ანტიკურ სამყაროს უკავშირდება. ორივე ინტალიო გვიანანტიკური პერიოდით თარიღდება (ახ.წ. I ს-ის ბოლო – I ს. და ახ.წ. II ს.), როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობს ღვთაებების ერთმანეთთან შერწყმა, კულტების მიერ ერთმანეთის ატრიბუტების აღება. აღნიშნულ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ხდება ათენასა და მინერვას გაიგივება. ორივე სიუჟეტი ძალიან იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში და, შესაბამისად, გვხვდება კიდეც ჭრილაქვებზე. როგორც ცნობილია, იბერია (ქართლი) ახ.წ. პირველ საუკუნეებში მტკიცედ ადგება რომის იმპერიის საქალაქო ცენტრებთან ურთიერთობის გზას. ზემოთ განხილული ორივე გემა, ჩვენი აზრით, სწორედ ამ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შედეგია და დასავლეთის კულტურული გავლენის დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს.

დაბალი, მრგვალი საკურთხეველია გამოსახული 1956 წელს ურბნისში №4 სამარხში, XVI უბანზე აღმოჩენილ მოწითალო-ყავისფერ ოვალური

ფორმის სარდიონის ინტალიოზე, რკინის ბეჭდის ფრაგმენტში (ინტალიოს ზურგი და პირი ამობურცული აქვს) (ინვ. №940), რომელზედაც ოდნავ ფრთაგაშლილი არწივი დგას. ფრინველს ნისკარტით გვირგვინი უჭირავს. არწივის ორივე მხარეს ლეგიონის ნიშნებია გამოხატული. გამოსახულების სტილისა და ბეჭდის შემორჩენილი ფორმის მიხედვით, ინტალიო ახ.წ. II ს-ით თარიღდება.

არწივის გამოსახულება რომაული იარაღის ძლიერებას აღნიშნავდა. რომაული მითოლოგიის მიხედვით, არწივმა უწინასწარმეტყველა ტარკვინიუსს მეფის ტახტი. არწივი გახდა რესპუბლიკის სიმბოლო. ძვ. წ. 104 წელს გაიუს მარიუსმა (Gaius Marius ძვ. წ. 157-86 წწ.) ფრთაგაშლილი ოქროს ან ვერცხლის არწივი საომარ ნიშნად გახადა, რომლის სატარებლადაც თითოეულ რომაულ ლეგიონში გამოყო სპეციალური მებრძოლი – აქვიფერი (ლათ. aquila – არწივი და fero – მიმაქვს). ავგუსტუსებთან არწივი სახელმწიფოს სიმბოლოა. ქრისტიანულ სიმბოლიკაში ფრინველი განასახიერებდა ზებუნებრივ შთაგონებას. გემებზე ხშირად გვხვდება ზევსთან ერთად. გვიანანტიკურ გემებზე არწივი რომის ლეგიონების სიმბოლოდ ითვლება. მათი მფლობელები ასე თუ ისე დაკავშირებული იყვნენ რომაულ ლაშქართან და მათ შემადგენლობაშიც კი შედიოდნენ.[3] არწივისგამოსახულებიან ჭრილაქვებს მკვლევართა ნაწილი „ჯარისკაცის გამებსაც“ კი უწოდებს.[4]

ურბნისის გემაზე გამოსახული არწივის უახლოეს ანალოგიად საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემებს შორის სამთავროს სამაროვანზე დაფიქსირებული ორი გემა ითვლება (საკურთხევლის გარეშე), რომლებსაც მ. მაქსიმოვა რომის ლეგიონებს უკავშირებს და გვიანანტიკური ხანით, კერძოდ ახ.წ. II-III საუკუნეებით აღარიღებს.[5]

არწივია გამოსახული კლდეეთში გამოსახულ ვერცხლის ბალთაზე. არწივის ერთ მხარეს რომაული ლეგიონის ნიშანია გამოსახული, მეორე მხარეს კი გრძელსამოსიანი ფრთებშეკეცილი ქალღმერთი ნიკა. მ. ლორთქიფანიძემ გემა ახ.წ. I ს-ის დასაწყისითა და II საუკუნეებით დაათარიღა, რაც გაიზიარეს სხვა მკვლევრებმაც.[6] არწივის გამოსახულებებს ვხვდებით ს. ბარნავე-

[3] М. И. Максимова. Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро. ჟურნ.: „სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“. XVI-B. 1950, გვ. 230.
[4] A. Krug. Römische Fundgemmen. 3. Speyer. Worms. Bad Kreuznach. Mainz und Saalburg. Germania 56. 1978, გვ. 476-503.
[5] М. И. Максимова. Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро, გვ. 230.
[6] გ. ლომთათიძე. კლდეეთის სამაროვანი. თბ. 1957, გვ. 133.

ლის მიერ გამოქვეყნებულ ორ გემაზე (ასევე საკურთხევლის გარეშე). გემები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ერთ გამოსახულებაზე არწივს პირში გვირგვინი უჭირავს, მეორეზე კი არწივის მარჯვნივ და მარცხნივ, ურბნისში აღმოჩენილი გემის გამოსახულების მსგავსად, რომაული ლეგიონის ნიშნებია გამოსახული.[7]

კლდეეთის გემას მასზე გამოსახული სიუჟეტიდან გამომდინარე, ჩვენ რომის ძლევამოსილ ლეგიონებს ვუკავშირებთ – ლეგიონერის გემად მივიჩნევთ.

როგორც ცნობილია, გვიანანტიკურ ხანაში, განსაკუთრებით კი ახ.წ. I-II საუკუნეებში, ქართლის სამეფოსა და რომის იმპერიას შორის მჭიდრო პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები არსებობდა, რასაც, გარდა არქეოლოგიური მასალისა, წერილობითი წყაროებიც მოწმობს. არქეოლოგიურად რომაელი ლეგიონერების ყოფნა მცხეთაში ჯერჯერობით არ დასტურდება. სამაგიეროდ გვაქვს ვესპასიანეს (Caesar Vespasianus Augustus 69-79 წწ.) ცნობილი წარწერა, რომელიც ახ.წ. 75 წ. არის დათარიღებული,[8] რაც რომაელთა საფორტიფიკაციო სამუშაოებში მონაწილეობას მოწმობს.

იმავდროულად, მკვლევართა ნაწილი არ გამორიცხავს რომაელთა სამხედრო შენაერთების დარიალის ხეობაში არსებობის ფაქტს, აიგივებენ რა მას პლინიუსის "Castellum Cumanias"-სთან, რომელიც აგებული ყოფილა აგრესიული მომთაბარეების შესაკავებლად (Plin., NH, VI,30).[9] იოანე ლიდეს ცნობაზე დაყრდნობით (De Magistr., III,53), ჰარიანეს მიერ დარიალის მონახულებაზეა საუბარი (არიანე, როგორც ცნობილია, ჩადიოდა მხოლოდ იმ პუნქტებში, სადაც რომაული გარნიზონები იდგნენ), ასევე არ გამორიცხავენ დარიალის ხეობაში რომაელთა ცალკეული შენაერთების ყოფნას იმპერატორ ადრიანეს (Caesar Traianus Hadrianus Augustus 117-138 წწ.) დროსაც.[10]

---

[7] ს. ბარნაველს ასევე მოცემული აქვს მე-17 საუკუნის საბუთი, რომელსაც მოცემულია სულხან ორბელიანის ბეჭდის ანაბეჭდი. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, გემი ანტიკურია. იგი ახ.წ. II საუკუნით თარიღდება და საქმე გვაქვს ანტიკური გემის მეორედ გამოყენების შემთხვევასთან ქრისტიანულ სამყაროში. ბეჭდის პატრონს იგი გამოუყენებია საბეჭდავზე გამოსახული ორბის გამო (იხ. ს. ბარნაველი. საქართველოს ანტიკური საბეჭდაეის ისტორიიდან. სმამ. ტ. XVIII. 2. 1957, გვ. 248-254, სურ. 2-4).

[8] გ. წერეთელი. მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა. თბ. 1958, გვ. 5-20.

[9] დ. მინდორაშვილი. არქეოლოგიური გათხრები ხეში. თბ. 2005, გვ. 123-125.

[10] გ. გამყრელიძე, თ. თოდუა. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველ-

ახ.წ. II ს. დასაწყისში აღმოსავლეთში გავლენისათვის მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს რომის იმპერია, რომლის ლეგიონებმა იმპერატორ ტრაიანეს (Caesar Nerva Traianus Augustus 98-117 წწ.) დროს სპარსეთის ყურემდეც კი მიაღწიეს, რის შედეგად რომმა სომხეთში აღადგინა მანამდე დაკარგული გავლენა. ამ დროს წყაროების მიხედვით, ქართლის მეფე მითრიდატე რომის მოკავშირედ გვევლინება (Eutropius, VIII, 3; Festus, XX). ახ.წ. II ს. იბერიის მეფე ფარსმან II ქველია. მიუხედავად იმისა, რომ იბერია ამ პერიოდისათვის საკმაოდ ძლიერი ქვეყანა იყო, რომელსაც რომის იმპერატორებიც კი უწევდნენ ანგარიშს, რისი მტკიცების საფუძველსაც გვაძლევს ფლავიუს არიანესა და დიონ კასიუსის ცნობები – ფარსმან II შეიჭრა რომის სამფლობელოდ აღიარებულ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, დაიქვემდებარა ძიდრიტთა ტომი და რომის ინტერესთა საწინააღმდეგოდ მოიპოვა გასასვლელი შავი ზღვის სანაპიროზე (Flavius Arrianus, Periplus Ponti Euxini, 11) (ამავე პერიოდში ქართლს ეკუთვნოდა ცენტრალური კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქი – არგვეთი) და, რომ დაახლოებით 134 წ. ფარსმანმა გადმოიყვანა ჩრდილო კავკასიიდან ალანთა რაზმები და შეუსია ისინი ალბანეთს, მიდიას, არმენიასა და კაპადოკიას (Dion Cassius, Historia Romana, LXIX,15, 1-2), ფარსმან II-ს დასავლეთისკენ აქვს ორიენტაცია და რომის მოკავშირედ გვევლინება. ასევე რომის მოკავშირეა იბერია II ს-ის შუა ხანებში. რომს ქართლი საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის კავკასიის გადმოსასვლელების დასაცავად და გასამაგრებლად სჭირდება. იბერიის მეფემ, მოქნილი პოლიტიკისა და წარმატებული ომების შედეგად, საზღვრები გაიფართოვა. იბერიასაც აქვს რომის მოკავშირეობისათვის საკუთარი მიზეზი – მას თავისი უშუალო მეზობლები პართია და არმენია უფრო საშიშ მოწინააღმდეგეებად მიაჩნია, ვიდრე რომი, რის გამოც მასთან დაახლოება უფრო ხელსაყრელად ჩათვალა, რამაც ქართლის გაძლიერებას შეუწყო ხელი.[11] როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ განხილულ გლიპტიკურ მასალაზე ნათლად აისახა გვიანანტიკური ხანის იბერიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

საინტერესო ნიმუშია საკურთხევლისგამოსახულებიანი გემა გონიო-აფსაროსის ტერიტორიიდან (ინვ. №880). ინტალიო ღია ფერის მოყავისფრო სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედში. ბრტყელი, ოვალური ფორმის, კარგად გაპ-

ლოში. თბ. 2006, გვ. 63-64.

[11] გ. მელიქიშვილი. საქართველო ახ.წ. I-III სს. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. თბ. 1970, გვ. 500-564.

რიალებული. პირზე გამოსახულია საკურთხეველი. საკურთხევლის ზემოთ გამოსახულია რვაქიმიანი ვარსკვლავი, ქვემოთ მოჩანს ნიადაგის ზოლი. გამოსახულება სქემატური ნამუშევარია... გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით, ინტალიო ახ.წ. III საუკუნით თარიღდება.

საკურთხევლის გამოსახვა რვაქიმიან ვარსკვლავთან ერთად ძირითადად აღმოსავლური გლიპტიკისათვის არის დამახასიათებელი და სოლარულ ღვთაებებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, აჰურამაზდას მფარველობის ქვეშ ყოფნას გამოხატავდნენ ცეცხლის საკურთხევლის სახით.[12] ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმ ფაქტს, რომ ეს გემა მენის, საბაძიოსის... მფარველობის ქვეშ მყოფი ადამიანის კერძო ხასიათის გლიპტიკის ნიმუშს წარმოადგენდეს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლურ ღვთაებებს, ვიდრე რომში მოხვდებოდნენ, უკვე გამოვლილი ჰქონდათ ბერძნული სამყარო, რომელმაც მათ მნიშვნელოვანი კვალი დაასვა. რომი არ იცნობდა ეგვიპტურ, მცირეაზიულ თუ სპარსულ კულტებს თავიანთი პირვანდელი სახით, მან ეს ღვთაებები ისეთებად გაიცნო, როგორებიც ისინი ბერძნულმა სამყარომ გახადა. შესაბამისად, რომაული წარმართობის ორიენტალიზაცია არ წარმოადგენდა რაღაც ახალ მოვლენას. და კიდევ ერთი, პოლითეიზმისათვის დამახასიათებელია რელიგიური სინკრეტიზმი და მონოთეიზმისაკენ სწრაფვა, რაც განსაკუთრებით მძაფრ ხასიათს იღებს გვიანანტიკურ ხანაში, როდესაც, როგორც აღვნიშნეთ, ინტენსიურად მიმდინარეობს ღვთაებების ერთმანეთთან შერწყმა, კულტების მიერ ერთმანეთის ატრიბუტების აღება. მკვლევართა აზრით, გვიანანტიკურ ხანაში გემებზე თუ გამოხატულია ელვა, პალმის რტო, გვირგვინი, საკურთხეველი, გლობუსი, თავთავი და სხვ. წარმოადგენს რომაული ლეგიონის კერძო ხასიათის გემას.[13] არ არის გამორიცხული, გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გემა მართლაც ლეგიონერის კუთვნილება ყოფილიყო, რომელიც იმავდროულად სოლარული ღვთაების იკონოგრაფიულ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს, რაც მისი მფლობელის რელიგიური ორიენტაციის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.

რომის ლეგიონერის გემად ასევე შეიძლება ჩაითვალოს საკურთხევლის. (ბომონი) გამოსახულებიანი გამჭვირვალე მინის ინტალიო რკინის ბეჭედში ბიჭვინთის სამაროვნის ტერიტორიიდან (1988 წ. 1. X. 04 თხრილი, კვ. C3-C4, სამარხი №425), რომელიც ახ.წ. III ს. თარიღდება (ინტალიო საკმაოდ

[12] А. Я. Борисов. В. Г. Луконин, Сасанидские Геммы. Л. 1963, გვ. 34.
[13] A. Krug. Römische Fundgemmen, გვ. 124.

არის დაზიანებული, გადატეხილია, მცირე ნაწილი აკლია, აქედან გამომდინარე, სრული სურათის შექმნა რთულდება).

საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქები, აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი (ახ.წ. II საუკუნიდან) ხომ ახ.წ. I-IV სს-ში რომისათვის სტრატეგიული დანიშნულების მნიშვნელოვან თავდაცვით სისტემაში შედიოდნენ, როგორც პროვინცია კაპადოკიის გარკვეული ნაწილი, რომელიც რომაელთა ბატონობის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფორპოსტი იყო კავკასიაში. კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში რომაელთა გარნიზონები იდგნენ. აღნიშნული ე. წ. ციხე-ქალაქების პორტებში განლაგებული იყო რომაელთა სამხედრო ხომალდები, რომლებიც აკონტროლებდნენ ტრაპეზუნტის ჩრდილო შავიზღვისპირეთთან დამაკავშირებელ სამხედრო კომუნიკაციებს.

სწორედ რომის ძლევამოსილ ლეგიონებს ვუკავშირებთ ჩვენ გონიო-აფსაროსისა და პიტიუნტის ტერიტორიაზე დაფიქსირებულ საკურთხევლისგამოსახულებიან გემებს.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული გლიპტიკური მასალა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს – იბერიის (ქართლი), ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული საკურთხევლისგამოსახულებიან გლიპტიკურ მასალაზე ნათლად აისახა თანადროული პოლიტიკური და კულტურული პროცესები.

Marika Mshvildadze

TO THE QUESTION OF RESEARCH OF THE REPRESENTATIONS OF ALTAR IN THE LATE ANTIQUITY (ACCORDING TO THE GLYPTIC MATERIAL)

Summary

There are a few gemmas found on the territory of Georgia representing the image of altar, dated after the late antique era and connected with the antique world as well. The research objects for us represent the following of them: two gemmas found on the territory of the traces of settlements in Urbnisi (On one gemma armed Athena is embodied and at the right side of the rim the altar is depicted. This gemma is dated after the end of I century A.D. and the beginning of II century A.D. On the second gemma a low and round altar is depicted with the wings-open eagle on it. This gemma is dated after II century A.D.) and gemmas found on the territory of burial grounds in Bichvinta (an altar is depicted on the gemma. This intaglio is dated after III century A.D.), on the territory of Gonio-Apsaros (an altar is depicted on the gemma. And the eight-pointed star is presented above it. This gemma is dated after III century A.D.) and Kldeeti (Athena- Pallas is depicted on this gemma, she is standing in front of the altar. This gemma is dated after II century A.D.).

Contemporary political and cultural processes are clearly reflected on the glyptic material. By our opinion, the gemmas with the image of Athena on them were the result of trading-economic relations between Rome and Iberia and could be counted as a confirmation of the cultural influence of the West. The rest of three gemmas we connect with the victorious legions of Rome, stationed at the sea-side in Western Georgia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

ნინო სილაგაძე

ამაღლების კომპოზიცია ადრექრისტიანული ქართული ეკლესიების პორტალების დეკორში

წარმოდგენილ სტატიაში გვინდა შევეხოთ შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში გავრცელებულ პორტალის მორთულობის სქემას და მისი განვითარების ზოგიერთ საკითხს.

პარადული პორტალის და შესასვლელის დამაგვირგვინებელი ტიმპანის დეკორის კომპოზიცია მონუმენტურ არქიტექტურაში ყოველთვის შეიცავდა გარკვეულ, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სიუჟეტურ და მხატვრულ-სტილისტურ პროგრამას: ტაძრის შესასავლელის თავზე მნიშვნელოვანი, იდეურად და სიმბოლურად დატვირთული გამოსახულება ან საგულისხმო ინფორმაცია (მაგ., სააღმშენებლო წარწერა) და უნდა იყოს მოთავსებული. შესასვლელის პორტალი ერთ-ერთი პირველია, რასაც მნახველი აღიქვამს. ამრიგად, პორტალი და განსაკუთრებით მისი ტიმპანის დეკორის რელიეფური კომპოზიცია მთელი ნაგებობის „სავიზიტო ბარათი" უნდა იყოს.

როგორც ირკვევა, პორტალის დამაგვირგვინებელი დეკორის სიუჟეტური და კომპოზიციური მრავალფეროვნება შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში რამდენიმე ძირითად პროგრამამდე შეგვიძლია დავიყვანოთ. ამჯერად შევეხებით მხოლოდ ზოგიერთს, კერძოდ, ტიმპანების რელიეფის იმ იკონოგრაფიულ ვარიანტებს, რომლებშიც მოცემულია ჰერალდიკური კომპოზიცია ცენტრში მაცხოვრის ან ჯვრის გამოსახულებებით, ხოლო აქეთ-იქით — ანგელოზების ფიგურები. ესაა მაცხოვრის ამაღლება და ჯვართამღლება. ხსენებულ კომპოზიციებთან ერთად შეიძლება აგრეთვე განვიხილოთ ადრექრისტიანულ ქართულ ხუროთმოძვრებაში ასევე გავრცელებული ღვთისმშობლის დიდების სცენა. მართალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეცვლილია მთავარი პერსონაჟი, მაგრამ იკონოგრაფიული სიუჟეტი მსგავს შინაარსს შეიცავს, ხოლო კომპოზიციის ფორმალური სტრუქტურა და მხატვრული თავი-

სებურებები პრაქტიკულად იგივეა.

როგორც არაერთხელ ყოფილა აღნიშნული მრავალი ქართველი მკვლევრის მიერ, პორტალის გაფორმების ყველაზე პოპულარულ ვარიანტს უძველეს ქართულ ეკლესიებზე სწორედ ხსენებული კომპოზიციები წარმოადგენს.[1] შეიძლება ითქვას, რომ ჯვართამაღლება და მაცხოვრის ამაღლება ერთი და იმავე იკონოგრაფიული სიუჟეტის სახეობებია – ჯვართამაღლება მაცხოვრის ამაღლების ვარიანტს წარმოდგენს, სადაც ქრისტეს ფიგურა შეცვლილია სიმბოლური გამოსახულებით.

მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ამაღლების სცენები, სადაც ცენტრალური ტახტზე მჯდომი ფიგურები წარმოდგენილია მთლიან შარავანდედში, რომელსაც ორი მფრინავი ანგელოზი აამაღლებს, მოცემულია ქვემო ბოლნისისა და ეძანის ეკლესიების შესასვლელების თავზე (VI ს.).[2] ქართულ სინამდვილეში ეს ტიმპანის რელიეფის ერთ-ერთი უძველესი მაგალითებია. ეს პროგრამა არც მოგვიანებით კარგავს პოპულარობას, მაგ., ღვთისმშობლის დიდების სცენა მარიამით, ემანუილით და მფრინავი ანგელოზებით მოცემულია ნადარბაზევის ეკლესიის ტიმპანზე (X ს.).

რაც შეეხება ქართული ადრექრისტიანული სახვითი ხელოვნების კიდევ ერთ გავრცელებული მცირე არქიტექტურული ფორმის, სტელების მორთულობას, აქ მაცხოვრის ამაღლებისა და ღვთისმშობლის დიდების სცენები ასევე ერთ-ერთი გავრცელებული სიუჟეტია. მაცხოვრის ამაღლებას ვხედავთ ხანდისის, ბრდაძორის სტელებზე (VI ს-ის II ნახ.), ასევე დიდი გომარეთისა და დავათის სტელის ფრაგმენტებზე (VI-VII სს.),[3] სადაც მფრინავი ანგელოზების შემორჩენილი ფიგურები საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ ხსენებული იკონოგრაფიული პროგრამის არსებობა. ღვთისმშობლის დიდების კომპოზიციები მოცემულია ხანდისის, ბოლნისის, ბრდაძორის, განთიადის, მამულას სტელებზე. ამ კომპოზიციებიდან თავისი ორიგინალობით განსაკუთრებით გამოირჩევა ბრდაძორის სტელის კაპიტელის რელიეფი, სადაც მოცემულია ღვთისმშობლის სულის ამაღლება ფეხზე მდგომი ორი ანგელოზის მიერ.[4]

---

[1] Н. Чубинашвили. Хандиси. Тб. 1972, გვ. 6-26; Н. Аладашвили. Монументальная скульптура Грузии. Тб. 1977, გვ. 56.

[2] ნ. ალადაშვილი. ეძანის ეკლესიის რელიეფი. „ძეგლის მეგობარი“. №29. თბ. 1972, გვ. 17-24.

[3] ქ. მაჩაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები. თბ. 2008, გვ. 11, 117, 118, 129.

[4] ქ. მაჩაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, გვ. 12-14, 118.

საყოველთაოდაა ცნობილი მაცხოვრის ამაღლების იკონოგრაფიული სიუჟეტის მნიშვნელობა როგორც ადრექრისტიანული დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ხელოვნების სხვადასხვა დარგში. უძველესი ასეთი მაგალითების რიცხვიდან, როდესაც ხსენებული სცენები ფასადის დეკორშია გამოყენებული, შეიძლება მოვიყვანოთ კაიროს ელ-მოალაკისა (IV-V სს.) და ბაუიტის სან აპოლოს ეკლესიების შესავლელების პორტალების რელიეფები (VI ს.)[5] და ასევე ბაუიტის სამონასტრო კომპლექსში აღმოჩენილი VI-VII სს. ფრესკა, სადაც მაცხოვრის ამაღლების კომპოზიცია ისევ ტიმპანს ამკობს (იხ. სურ. 1). ამავე პერიოდის სახვითი და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მონცის ამპულის გამოსახულება, რაბულას სახარების მინიატურა და სხვ. საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება რომის სანტა საბინას ეკლესიის კარის დეკორზე (430 წ.), სადაც მაცხოვრის ამაღლების ორი უნიკალური ვარიანტია მოცემული – ერთზე ქრისტეს ფიგურა ჩასმულია მედალიონში, რომლის გარშემოც განლაგებულია ბერძნული ალფა და ომეგა და მახარებელთა სიმბოლოები, ხოლო მეორეში ქრისტე პირდაპირი მნიშვნელობით ცაში ჰყავს ორ ანგელოზს (იხ. სურ. 2).

როგორც მრავალი ავტორიტეტული მკვლევარი აღნიშნავს, მაცხოვრის ამაღლების თემატიკაზე შექმნილი კომპოზიციებიდან ერთ-ერთი უადრესია ე.წ. ბამბრეგის ავორიუმის (დაახლ. 400 წ.) გამოსახულება, სადაც ეს სიუჟეტი ასევე პირადაპირი ინტერპრეტაციითაა გადმოცემული: ქრისტე მთის ფერდობზე ადის ცისკენ[6] (იხ. სურ. 3). ეს საკმაოდ იშვიათი ვერსიაა, რომელიც ძალზე ახლოა სანტა საბინას კარის რელიეფთან, თითქმის პირაპირი სახითაა გამეორებული კაროლინგური ეპოქის ე. წ. დროგონის საკრამენტარიუმის მინიატურაზე (854-855 წწ.) (იხ. სურ. 4). მსგავსი იკონოგრაფიული პროგრამა არ გვხვდება ქართულ ეკლესიების თუ სტელების რელიეფის ნიმუშებში.

როგორც ცნობილია, მაცხოვრის ამაღლების სცენას ქრისტიანულ ხელოვნებაში ადრეული პროტოტიპი აქვს: გვიანანტიკურ ხანაში გავრცელებული კომპოზიცია – მედალიონში მოთავსებული იმპერატორის თუ კონსულის ბიუსტი (imagio clipeata), რომელსაც ფრთოსანი ვიქტორიები აამაღლებენ (იხ. სურ. 5, 6). მსგავს ვიქტორიებს ვხედავთ ჩვენ აგრეთვე თაღ-ე-ბოსტანის ერთ-ერთ რელიეფზე (VI-VII სს.) (იხ. სურ. 7).

[5] J. Beckwith. The Coptic Sculpture. L. 1963, გვ. 13-14, 23-25, ილუსტრ. 41-43.
[6] Н. Покровский. Евангелье в памятниках иконографии. М. 2001, გვ. 485.

მაცხოვრის ამაღლება აგვირგვინებს აგრეთვე იმპერატორების ტრიუმ-ფის ამსახველ დიპტიხებს ადრებიზანტიურ ხანაში (იხ. სურ. 8). imagio clipeata-ს მსგავსი ტიპის მაცხოვრის ამაღლება გვხვდება მცხეთის ჯვრის მცირე შესასვლელის ბალავრის რელიეფში, სადაც, დიპტიხების მსგავსად, მოცემულია ვიწრო, ჰორიზონტალურად გაშლილი კომპოზიცია (იხ. სურ. 9).

აღსანიშნავია, რომ მაცხოვრის ამაღლება ერთ-ერთი პოპულარული თე-მაა აგრეთვე რომანული ხანის ეკლესიების პორტალებზეც. საინტერესოა, რომ ამ სცენის ვარიანტი, როდესაც ამაღლება გამოცხადების, თეოფანიის იდეას უკავშირდება, ფართო გავრცელებას პოვებს ქრისტიანულ დასავლეთში. აქ იგი მჭირდოდ უკავშირდება ამ სამყაროში ასე პოპულარულ აპოკალიფსის თემას და მასში ხშირად ფიგურირებს მახარებელთა სიმბოლური გამოსახუ-ლებები. ეს თემა მყარად იმკვიდრებს ადგილს ეკლესიათა მთავარი (დასავლე-თის) შესასვლელის ტიმპანში (იხ. სურ. 10, 11, 12, 13).

საინტერესოა, რომ მაცხოვრის გამოცხადების, მეორედ მოსვლის თემა მეორდება ნიკორწმინდისა (იხ. სურ. 14) და სვეტიცხოვლის რელიეფებზეც, მაგრამ არა ტიმპანის, არამედ ფასადის ზედა ნაწილში, ფრონტონის ქვეშ, რომელიც, ტიმპანის მსგავსად, არქიტექტურული ფორმის დამაგვირგინებელი ელემენტია.

ნიკორწმინდას რელიეფი, ისევე როგორც უფრო ადრეული ნიმუშები – ბრდაძორის სტელის კაპიტელისა და მარტვილის ტაძრის ფრიზის გამოსახუ-ლებები – წარმოგვიდგენს მაცხოვრის ამაღლების ვარიანტს, რომელშიც ორის ნაცვლად ოთხი ანგელოზია მოცემული. ასეთივე გადაწყვეტას ჩვენ ვხედავთ ჰერცოგ რატჰისის მარმარილოს საკურთხეველზე ლომბარდიიდან (744-749 წწ.) და სპილოს ძვლის ხატზე მაცხოვრისა და ოთხი ანგელოზის ფიგურით რომიდან (VIII ს.) (იხ. სურ. 15, 16).

ისევე როგორც მაცხოვრის ამაღლება, ამ იკონოგრაფიული პროგრამის ვარიანტი – ჯვართამაღლება – თეოფანიის და ამასთან ერთად სარწმუნოების ტრიუმფის იდეებს გამოხატავს. ორივე ეს კომპოზიცია პოპულარობას არ კარგავს ქართულ ხელოვნებაში თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე.

ჯვართამაღლება ასევე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიუჟეტია ადრექრისტიანული ქართული ტიმპანების რელიეფებში და, როგორც შემდგო-მი განვითარება გვიჩვენებს, სწორედ ის აღმოჩნდა განსაკუთრებით პერსპექ-ტიული პორტალის კოპოზიციაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მაცხოვრის ამაღლების თუ ჯვართამაღლების სცენა ცენტრში მოთავსებულ წრიულ ან

მასთან მიახლოებულ ფორმაში ჩაწერილ ფიგურას და ორ სიმეტრული ფორმას – ანგელოზს, ანუ ტიმპანისათვის საუკეთესოდ მორგებულ ჰერალდიკურ კომპოზიციას, წარმოგვიდგენს. მაგრამ მაცხოვრის ამაღლებისგან განსხვავებით, ჯვართამაღლება თავის თავში სიმბოლურ, სტილიზებულ, გეომეტრიზებულ მოტივს შეიცავს (მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი), რაც განსაკუთრებით კარგად ჯდება საფასადო დეკორის სისტემაში. ეს ის „ენაა", რომელიც საუკეთესოდ შეეფერება არქიტექტურას. სწორედ ასეთი ფორმა მოიაზრება არქიტექტურული კომპოზიციის (პორტალის) დამაგვირგვინებელ ელემენტად და, საინტერესოა, რომ მარტო არქიტექტურაში არა. ამ შემთხვევაში ძალიან კარგი ილუსტრაციაა ისევ სპილოს ძვლის მრავალნაწილიანი ხატები (იხ. სურ. 17, 18, 19).

ჯვართამაღლების ერთ-ერთი უძველესი მაგალითი ქართული ძეგლების არქიტექტურულ დეკორში თეთრიწყაროს ეკლესიაა (VI ს.)[7] (იხ. სურ. 20). აქ კარის არქიტრავზე მოცემულია ბოლნური ტიპის ჯვარი მედალიონში, რომელიც ძალიან დიდია ანგელოზების ფიგურებთან შედარებით. შესასვლელს არა აქვს ტიმპანი, რელიეფი ბალავარზეა შესრულებული, კომპოზიციას არ გააჩნია ერთიანი მასშტაბი და არ ქმნის ორგანულ მთლიანობას არქიტექტურულ ფორმასთან.

თეთრიწყაროს ეკლესიის გარდა, ადრექრისტიანული ხანაში ჯვართამაღლების კომპოზიცია გვხვდება ანჩისხატის (სავარაუდოდ, აქ რელიეფის ადგილმდებარეობა მოგვიანებითაა შეცვლილი), მცხეთის ჯვრის, საფარას ტაძრებზე (იხ. სურ. 21, 22) – ეს კომპოზიცია თავისი სიმბოლური, ლაკონიური, მონუმენტური ხასიათიადან გამომდინარე ასე უხდება არქიტექტურულ დეკორს და ქართული ეკლესიების თავშეკავებულ, ზომიერად მორთულ ფასადებს და ამასთან ყველაზე მეტად შეესაბამება ტრიუმფალური შესასვლელის, პარადული პორტალის იდეას. თუმცა ამ ეპოქაში ჩვენ ვხედავთ სხვა მოტივებსაც (მაგ., ატენის სიონის ტიმპანი ირმებით (VII ს.)), ჯვართამაღლება მაინც გაბატონებული სიუჟეტია პორტალების მორთულობაში.

ისევე როგორც მაცხოვრის ამაღლების კომპოზიციის შემთხვევაში, საქართველოში გვხვდება ვარიანტი, როდესაც მედალიონში ჩასმული ჯვარი ოთხ ანგელოზს უჭირავს (ხახულის (იხ. სურ. 23), ნიკორწმინდის ტაძრების ტიმპანები, კაცხის ტაძრის რელიეფი). აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამ

[7] Н. Чубинашвили, Р. Шмерлинг. Храмы в древних селениях Триалети-Олтиси и Тетри-Цкаро. "Ars Georgica". 2. Тб. 1948, გვ. 61-64.

კომპოზიციის ადრეული უნიკალური ორიგინალური ვერსია – ყაჩაღანის ჯვარი (VII ს-ის II ნახ.).[8] ცხადია, რომ საფასადო რელიეფის ასეთი სქემის პროტოტიპს სწორედ ყაჩაღანის ჯვარი და X-XI სს-ის ქართული ძეგლების გუმბათების მოხატულობა წარმოადგენს. არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი ოთხანგელოზიანი კომპოზიცია რელიეფის ნიმუშებში მხოლოდ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი, თუმცა განხილული მაგალითების საფუძველზე (ჰერცოგ რატჰისის საკურთხეველი, სპილოს ძვლის ხატი მაცხოვრითა და ოთხი ანგელოზით და სხვ.) შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ასეთი ვარიანტი რელიეფებზე მხოლოდ საქართველოში გვხვდება. თუმცა ეს უდავოდ იშვიათი კომპოზიციაა და უფრო დამახასიათებელია გუმბათების მოხატულობის წრიული კომპოზიციისათვის, ვიდრე ტიმპანის დეკორისათვის.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ტიმპანები, სადაც არაა მოცემული ჯვართამღლება, მაცხოვრის ამაღლება, ღვთისმშობლის განდიდება, რაიმე ჰერალდიკური ორ ან სამფიგურიანი კომპოზიცია ან დეკორატიული, არაფიგურული გამოსახულება, საერთოდ იშვიათია ქართულ სინამდვილეში: ამ მხრივ საინტერესო, იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს ვალეს ეკლესიის პორტალი, სადაც მრავალფიგურიანი, თხრობითი კომპოზიციაა მოცემული. თუმცა რელიეფი ძალზე დაზიანებულია, აქ სავარაუდოა ქრისტეს, წმ. პეტრეს, მათ წინაშე მუხლმოდრეკილი ფიგურის და კიდევ ერთი საერო პირის გამოსახულება – ანუ აქ საქტიტორო კომპოზიციასთან გვაქვს საქმე (იხ. სურ. 24).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ვალეს ეკლესიის მეორე პორტალი მორთულია წმინდა მხედრების გამოსახულებით (იხ. სურ. 25). ტიმპანის ასეთი ჰერალდიკური, არქიტექტურულ ფორმაში მოხერხებულად ჩაწერილი კომპოზიცია შედარებით უფრო გავრცელებულია საქართველოში (მაგ., ნიკორწმინდას დასავლეთის პორტალის რელიეფი).

ასევე არატიპობრივი სიტუაციაა, მაგალითად, გარდამავალი ხანის ძეგლის – თელოვანი ჯვარპატიოსანის – შესასვლელის ბალავარის რელიეფზე, სადაც სხვადასხვა მასშტაბის მრავალი ფიგურა კომბინირებულია ფოთლოვანი ორნამენტის მოტივებთან. ეს არამონუმენტური, გაბნეული, მოუწესრიგებელი კომპოზიციაა, სადაც არ იკვეთება მთავარი მოტივი, წამყვანი იდეა და რელიეფი არაა სინთეზში არქიტექტურულ ფორმასთან. ფოთლოვანი ორნამენტული მოტივი თრგუნავს ფიგურებს, სიუჟეტიც გარკვეულწილად გაუგებარი

[8] Н. Чубинашвили. Рельеф «Вознесение креста» на каменном кресте из селения Качагани. “Ars Georgica”. 6-A. Тб. 1963, გვ. 9-28.

რჩება: სავარაუდოდ, აქ მოცემული ჯვარცმის სცენა, რომელიც ლომების ფიგურებითაა ფლანკირებული (კომპოზიცია ანალოგიას პოულობს სიუჟეტთან „დანიელი ლომთა ხაროში"), სიცოცხლის ხე და სხვ.

ჯვართამაღლების კომპოზიცია, რომელიც ასე პოპულარული იყო ადრექრისტიანული ხანის ძეგლების პორტალებზე, X-XI საუკუნეებში წამყვან ადგილს უთმობს ამ კომპოზიციის დეკრატიულად გადამუშავებულ ვარიანტს. კერძოდ, ამ პერიოდის ძეგლების ტიმპანებში ხშირად შენარჩუნებულია მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის მოტივი. მაგრამ ზოგადად ხუროთმოძღვრებაში მიმდინარე ცხოველხატული სტილის ფორმირების პროცესის თანახმად, რომელიც გულისხმობს ორნამენტის მეტ წილს ფასადების დეკორში და ფიგურული რეილეფების, სიუჟეტური კომპოზიციების სიმცირეს, ან საერთოდ გაქრობას, ქრება მფრინავი ანგელოზების ფიგურები, რომელთა ადგილს ორნამენტი, ძირითადად, მცენარეული მოტივები იკავებს (ჯაყისმანის, იკვის, ხახულის მცირე შესასვლელის პორტალები) (იხ. სურ. 26, 27). დაბოლოს, აღსანიშნავია მართლაც ძალიან ორიგინალური ქართული ვარინატი – ტიმპანში მოცემული მტევნებიანი ჯვარი (საღამოს, განძანის, წუნდას ეკლესიები) (იხ. სურ. 28, 29).

საინტერესოა, რომ მსგავს დეკორატიულ-სიმბოლურ კომპოზიციებს ჩვენ უადრეს ქრისტიანულ ძეგლებზეც ვხვდებით: მაგ., ბოლნისის სიონის რელიეფი ჯვრითა და ფარშევანგებით (V ს.), ან ანალოგიური კომპოზიცია კიზილ-ქილისეს ეკლესიიდან (V-VI სს. მიჯნა). მსგავსი გადაწყვეტის უფრო გვიანდელი გამოძახილია პატარა ონის (XI ს.) ტიმპანის მორთულობაც (იხ. სურ. 30). ასეთი გამოსახულებები ტიპიურია ადრექრისტიანული ხელოვნებისათვის: მაგალითად, ანალოგიურ კომპოზიციებს ხშირად ვხვდებით რომის, რავენის V-VI სს. სარკოფაგებზე, ხსენებული ეპოქის კონსტანტინოპოლის ძეგლებზე და სხვ[9]. აღსანიშნავია, რომ ბოლნისის სიონის რელიეფი მოცემულია სვეტისთავზე, თუმცა დაგვირგვინებულია ფრონტონით, ე.ი. არქიტექტურული ფორმის დეკორატიულ იმიტაციაშია მოქცეული. სამწუხაროდ, უცნობია, კონკრეტულად რას ამკობდა კიზილ-ქილისეს რელიეფი, რადგან ფილა ჩაშენებულია ეკლესიის კედელში (სავარაუდოდ, ეს ქვაჯვარის ფრაგმენტია).

მრავალი მეცნიერის მიერ ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულ არქიტექტურაში არსებული ტიმპანის კომპოზიციები გარკეულ ანალო-

[9] M. Lawrence. The Sarcophagi of Ravenna. L. 1945, ილუსტრ. 13, 24, 42; O. Dalton. Byzantine Art and Archaeology. New-York. 1961, ილუსტრ. 201.

გიებს პოულობს რომანული ხანის დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში, თუმცა შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ქართულმა თუ სხვა აღმოსავლურქრისტიანულმა ძეგლებმა რაიმე გავლენა მოახდინა რომანული ტაძრების ტიმპანების კომპოზიციის ჩამოყალიბებაზე. რა თქმა უნდა, სავსებით გამართლებულია მოსაზრება, რომ მდიდრულად მორთული პარადული სამნაწილიანი შესავლელის კომპოზიციის იდეა, სივრცული პორტალები, რომლებიც ორ კოშკს შორისაა მოქცული (ვესტვერკი), რაც ასე დამახასიათებელია როგორც კაროლონგური, ასევე რომანული და გუთური არქიტექტურისთვის, დასავლეთ ევროპამ სწორედ ბიზანტიური სამყაროდან გადაიღო. მსგავს გადაწყვეტას ჩვენ ვხედავთ დედაქალაქის არქიტექტურული სკოლის მრავალ ნიმუშზე X-XII სს-ში, თუმცა ევროპას უფრო ადრეული და გეოგრაფიულად ახლო მაგალითიც ჰქონდა. ეს არის რავენის ეგზარქატის პერიოდის არქიტექტურა, კერძოდ კი სან ვიტალეს ტაძარი და ეგზარქოსების სასახლე. თუმცა საფასადო რელიეფების პროტოტიპებად ბიზანტიური ძეგლები ვერ გამოდგებოდა, რადგან არც რავენის და არც კონსტანტინოპოლის სკოლების ძეგლებს ასეთი დეკორი არ ახასიათებს. შეუძლებელია აგრეთვე იმის მტკიცება, რომ რომანული პორტალები სხვა აღმოსავლურქრისტიანული ძეგლების გავლენით ჩამოყალიბდა. მსგავსი მონაცემები არ არსებობს (არ ვლინდება არანაირი შუალედური რგოლი არც ქრონოლოგიური, არც გეოგრაფიული თავლსაზრისით), თუმცა ქართული და რომანული ეკლესიების ტიმპანების შედარება მაინც საინტერესო უნდა იყოს. პირველ რიგში, რაც თვალში გვხდება, ისაა, რომ რომანულ ტიმპანებში ბევრად მრავალფეროვანი სიუჟეტები, მრავალფიგურიანი თხრობითი კომპოზიციებია მოცემული. ტიმპანის თემა შეიძლება იყოს ნებისმიერი იკონოგრაფიული სიუჟეტი – მოგვთა თაყვანისცემა, საიდუმლო სერობა, ჯვარცმა, გარდამოხსნა, ვედრება, მიქაელ მთავარანგელოზის მიერ გველეშაპის განგმირვა და სხვ. მაგრამ, რა თქმა უნდა, კლასიკურ რომანულ ძეგლებზე (უმეტესად საფრანგეთში) სჭარბობს ისევ თეოფანიის, უფლის გამოცხადების, მეორედ მოსვლის იდეა, ოღონდ, ქართული ტაძრებისგან განსხვავებით, აპოკალიფსის ვრცელ კონტექსტში. ასეთ ტიმპანებში ქართული ორ, სამფიგურიანი კომპოზიციების მაგიერ ვხედავთ მრავალფიგურიან, რთულ „დღე განკითხვისას". მაცხოვრის გარშემო მოცემულია მახარებელთა სიმბოლოები, ანგელოზები, ტეტრამორფები და ქერუბიმები, თავად ტიმპანის არე რეგისტრებადაა დაყოფილი და მრავალფიგურიანი კომპოზიციებით იმკობა (იხ. სურ. 31).

რაც შეეხება ტიმპანის უფრო დეკორატიულად გადაწყვეტილ კომპოზიციას, სადაც წამყვანია ჯვრის ან სხვა სიმბოლური გამოსახულება, ასეთი ტიპის რელიეფები ძალზე იშვიათია რომანულ ხელოვნებაში და მხოლოდ პერიფერიულ სკოლებში გვხვდება. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ კილპეკის ეკლესიის (ინგლისი) ტიმპანი (იხ. სურ. 32), რომელზეც მოცემულია სიცოცხლის ხის დეკორატიული გამოსახულება. ეს ნიმუში კომპოზიციურად და იდეურადაც ეხმიანება ქართულმტევნებიანი ჯვრებს, რომელთა გამოსახულებაც სიცოცხლის ხის გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკლესიათა ტიმპანების დეკორის თემატური რეპერტუარი ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთ ევროპაში ბევრ საერთოს პოვებს ერთმანეთთან, იმ მრავალფეროვნების მიუხედავად, რომელსაც ვხედავთ ქრისტიანული დასავლეთის ხელოვნებაში. ქართული და რომანული არქიტექტურული დეკორის მსგავსებაზე ხშირად გაუმახვილებიათ ყურადღება ისეთ ცნობილ მეცნიერებს, როგორებიც არიან რ. შმერლინგი, ნ. ჩუბინაშვილი, ნ. ალადაშვილი და სხვ. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა მცირე შტრიხების დამატება საერთო სურათისათვის.

ილუსტრაციები



სურ. 1. *ბაკოტის მონასტრის ფრესკა. VI–VII სს. კაირო, კოპტური მუზეუმი*

სურ. 2. *სანტა საბინას ეკლესიის კარის რელიეფები. V ს. რომი*



სურ. 3. *ე. წ. ბამბერგის ავეირიუმი. სპილოს ძვალი. სავარაუდოდ, რომიდან ან მილანიდან. V ს. მიუნხენი, ბავარიის ეროვნული მუზეუმი*

სურ. 4. *მაცხოვრის ამაღლება. მინიატურა. MS lat. 9428. 854-855 წწ. პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა*

სურ. 5. *სპილოს ძვლის დიპტიხის ზედა ფირფიტა. V ს. – VI ს-ის დასაწყისი. სავარაუდოდ, ალექსანდრიიდან. მილანი, სფორცას სასახლის კოლექცია*

სურ. 6. *სპილოს ძვლის ფირფიტა. სავარაუდოდ, საკონსულო დიპტიხის ნაწილი. დაახლ. 400 წ. მილანი, სფორცას სასახლის კოლექცია*

სურ. 7. *თაღ-ე-ბოსტანის რელიეფი. VI-VII სს.*

სურ. 8. *ე.წ. ბარბერინის დიპტიხი. V-VI სს. პარიზი, ლუვრი*

სურ. 9. *მცხეთის ჯვრის მცირე შესასვლელის რელიეფი. VI-VII სს-ის მიჯნა*

სურ. 10. *არლის ტაძარი. 1040*

სურ. 11. *სენ ფორტუნატის ეკლესია. შარლიო. 1090*



სურ. 12. *ანგულემის ტაძარი. 1136*

სურ. 13. *სენ ჟულიენ დე ჟონხის ეკლესია. 1150*

სურ. 14. *ნიკორწმინდის რელიეფი. XI ს.*

სურ. 15. *ქრისტეს ამაღლება. ხილოს ძვალი. VIII ს. მიუნხენი, ბავარიის ეროვნული მუზეუმი*

სურ. 16. *ჰერცოგ რატბოსის საკურთხეველი. 744-749 წწ. ჩიეიდალეს მუზეუმი*

სურ. 17. *მუურანოს დიპტიხი. V ს.*

სურ. 18. *ეჩმიაძინის სახარების ყდა. VI ს. ერევანი, მატენადარანი*



სურ. 19. *ლორშის სახარების ყდა. IX ს. ვატიკანის ბიბლიოთეკა*



სურ. 20. *თეთრიწყაროს ეკლესიის რელიეფი. VI ს. სქემა*

სურ. 21. *მცხეთის ჯვრის სამხრეთის ტიმპანი. VI-VII სს-ის მიჯნა.*

სურ. 22. *საფარას ეკლესიის ტიმპანი. VII ს.*



სურ. 23. *ხახულის ეკლესიის ტიმპანი. X ს. სქემა*

სურ. 24, 25. ვალეს ეკლესიის რელიეფები. X ს.

სურ. 26. *ჯაყისმანის ეკლესიის ტიმპანი. X ს.*

სურ. 27. *იკვის ტაძრის ტიმპანი. XI ს.*

სურ. 28. *სალამოს ეკლესიის ტიმპანი. X ს.*

სურ. 29. *ბანძანის ეკლესიის ტიმპანი. X ს.*

სურ. 30. *პატარა ონის ეკლესიის ტიმპანი. XI ს.*



სურ. 31. მუხრანის ტაძრის ტიმპანი. 1020-35



სურ. 32. კილიკიის ტაძრის ტიმპანი. 1140

Nino Silagadze

COMPOSITION OF ASCENSION ON THE DECORATED PORTALS OF EARLY MEDIEVAL GEORGIAN CHURCHES

Summary

The paper is connected with the problem of decoration of the portals in Early Medieval Georgian Churches. It deals also with varieties of this composition.

Portal and tympanum decoration always had its special pattern either for content, or for composition. One is supposed to see prominent effigy or read significant information while entering a church (ex. inscription of a ktetor). That is why those compositions are of a great importance.

Classification of the Georgian data comes to several principle types of composition. The most popular of tympanum relieves is heraldic composition like as follows: with Christ or cross in the center, and two flying angels on the sides (Ascension of Christ and Ascension of Cross, the latter is the same but Christ is substituted by a symbol). Assumption of Virgin is the next beloved scene, where the main figure of Christ is substituted by the Virgin, but the scheme is the same again.

The whole evolution of the composition is researched here, making also some valuable comparisons with the tympanum decoration in the Western Europe (Romanesque churches). Compositon of Ascension on other artefacts (ex. ivory diptychs) is also under strict interest, as well as iconographical prototypes of Late Antiquity (ex. consular diptychs).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

ჯაბა სამუშია

ტბელების წინააღმდეგ ბაგრატ III-ის ბრძოლის ისტორიიდან

აფხაზთა სამეფოში X საუკუნის შუა ხანებში შექმნილი პოლიტიკური ვითარებით კარგად ისარგებლა ფეოდალურმა არისტოკრატიამ და მეტი დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის დაიწყო ბრძოლა. ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება ავტომატურად იწვევდა ადგილობრივ დიდებულთა უფლებების ზრდას. ეს ერთგვარი კანონზომიერება დამახასიათებელია ფეოდალური საზოგადოებისთვის (და არა მხოლოდ მისთვის). „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორიც აღიარებს ამ რეალობას, როდესაც აღნიშნავს: „განირყუნა ქვეუანა იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგება“.[1] როგორც ვხედავთ, მემატიანეს ზუსტად აქვს გაგებული მთელი ამ პროცესის პოლიტიკური არსი. მაშინ როცა ქვეყანა მოკლებულია სტაბილურ სახელისუფლებო აპარატს, სიმძიმის ცენტრი ინაცვლებს პროვინციებში და მიმდინარეობს დეზინტეგრაციის პროცესი. სოციოლოგიის ერთ-ერთი კლასიკოსი ნორბერტ ელიასი აღნიშნავდა, რომ „საზოგადოების დაძაბულობის სისტემა, რომელიც ამ ძლიერი დეზინტეგრაციით წარმოიქმნება, ამავე დროს შეიცავს იმპულსებს საწინააღმდეგო ბიძგის, ახალი ცენტრალიზებისკენ“.[2] თუმცა ეს უკანასკნელი პროცესი წარიმართება მაშინ, თუ „სოციალურ ძალებს“ შორის ბალანსი ირღვევა. ნ. ელიასის აზრით, „ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის „სოციალური ძალა“ კომპლექსური ფენომენია“.[3] იმ შემთხვევაში, თუ შუა საუკუნეებში ცენტრალური ხელისუფლება ახერხებდა სამეფო კარის ირგვლივ მძლავრი „სოციალური ძალის“ ფორმირებას, მაშინ ეს ადეკვატურად აისახებოდა მეფის ხელისუფლების პოლიტიკური ძალაუფლების ზრდაზე, რაც თავისთავად ცენტრალიზაციის საფუძველია. ამდენად, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ

[1] მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 2008, გვ. 268.
[2] ნ. ელიასი. ცივილიზაციის პროცესის შესახებ. ტ. II. თბ. 2008, გვ. 71.
[3] ნ. ელიასი. ცივილიზაციის პროცესის შესახებ. ტ. II, გვ. 67.

როგორია ძალაუფლების „სიმძიმის ცენტრი“, გადანაწილებული სამეფო კარსა და პროვინციებს შორის.

აფხაზთა მეფის – თეოდოს მწუხარეს დროს სამეფო კარზე არსებულმა ვითარებამ განაპირობა სახელმწიფო აპარატის მოშლა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ღრმა კრიზისამდე არ მისულა. ამისათვის საჭირო იყო დრო, მაგრამ სამეფო კართან დაახლოებულმა ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა, იოანე მარუშისძის თაოსნობით, ეს კრიზისი დროზე შეაჩერა. ახალმა ხელისუფლებამ ახალი პოლიტიკური კურსი წარმოშვა, რომელიც საფუძველში ეწინააღმდეგებოდა წლების განმავლობაში აფხაზთა სამეფოში დამკვიდრებულ პოლიტიკურ რეალობას. სამეფო კარი თანდათან იკრეფდა ძალებს. მემატიანე ერთგან დასძენს, რომ ბაგრატ III-ისადმი „ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილისა, გინა შიში უწესებისათჳს... აქუნდეს“.[4] როგორც ჩანს, ბაგრატ III-მ თავიდანვე გადაწყვიტა თავის წინამორბედ მეფეთაგან აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკის განხორციელება. განსხვავება კი მდგომარეობდა იმაში, რომ ბაგრატი უკვე აღარ ერიდებოდა ხელისუფლების მხრიდან რადიკალური, ზოგიერთ შემთხვევაში მკაცრი და ხისტი ზომების გატარებას.

დასავლეთ საქართველოში ვითარების დარეგულირების შემდეგ ბაგრატ III-მ, დაახლოებით 980-981 წლებში, შიდა ქართლის საქმეების მოგვარება გადაწყვიტა.[5] „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი აღნიშნავს: „შემდგომად ამისსა, გარდამოვიდა ქართლს, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. მოვიდა და დადგა თიღვას. ხოლო მას ჟამსა, აზნაურთა ქართლისათა, რომელთამე არა ენება გარდამოსვლა მისი, რამეთუ თვითეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დაღაცათუ იყვნეს მორჩილებასა შინა გურანდუხტისასა“.[6] მთელ ამ კონტექსტში კარგად ჩანს ის პოლიტიკური კონიუნქტურა, რომე-

[4] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 269.

[5] იოანე ჯაფარიძეული მოღრეისთან ბრძოლას 980 წლით ათარიღებს. იხ. იე. ჯაფარიძეული. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბ. 1983, გვ. 126: ნ. შოშიაშვილისა და ვ. ცისკარისფილის ა'ზრით, ბაგრატ III-ის შიდა ქართლში გადმოსვლა და ქავთარ ტბელთან შეტაკება 982-986 წლებში უნდა მომხდარიყო. იხ. ნ. შოშიაშვილი, ე. ცისკარიშვილი. სოფელ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“. ტ. XIX-XX. თბ. 1957, გვ. 94: ს. ალექსიძე ამ მოვლენას 982 წლით ათარიღებს. იხ. ს. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ. 1978, გვ. 56.

[6] ნ. შოშიაშვილი, ე. ცისკარიშვილი. სოფელ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა, გვ. 94: ს. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები, გვ. 56.

ლიც ბაგრატ III-ის ქართლში გადმოსვლის წინა პერიოდში სუფევდა. შიდა ქართლი ამ დროს „დაშლილია“. ეს ნიშნავს, რომ ქართლის საერისთავოს უფლება-მოვალეობები მინიმუმამდე იყო დაკნინებული. მართალია, ქართლის აზნაურები „იყვნეს მორჩილებასა“ გურანდუხტისა, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო აბსოლუტურად ნომინალური. აშკარაა, რომ რეალურ ძალაუფლებას ადგილობრივი აზნაურები ფლობდნენ და ეს მემატიანესაც არ დარჩენია აღუნიშნავი: „თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“.[7] შესაბამისად, წლების განმავლობაში ცენტრალური ხელისუფლებისგან მოპოვებულმა დამოუკიდებლობამ ქართლის აზნაურებში პოლიტიკური ამბიციებიც გააჩინა. მათი საქციელი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ სურდათ საფუძველი ჩაეყარათ ახალი პოლიტიკური ერთეულისთვის, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა ქუთაისის ტახტისგან. ამ მოძრაობის ლიდერი აშკარად ქავთარ ტბელია, რომელიც ამ ეტაპზე იძულებულია აღიაროს უფლისციხეში მჯდომი გურანდუხტის ძალაუფლება, მაგრამ ქართლისთვის, თანამედროვე პოლიტიკური ტერმინით რომ ვთქვათ, ფართო ავტონომიის მოპოვების მომხრეა. ეს უნდა ყოფილიყო პირველი ეტაპი ქართლის სრული დამოუკიდებლობის გზაზე. და რომ ეს ყოველივე ასეა, კარგად ჩანს მემატიანის ცნობების ანალიზით.[8] ის სამკუთხედი, რომელიც იკვეთება: ბაგრატ III – გურანდუხტი – ქართლის აზნაურები, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ქართლელ დიდებულებში ჯერ კიდევ სრულად არ იყო მომწიფებული დამოუკიდებლობის იდეა,

---

[7] ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი. სოფელ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა, გვ. 94: ს. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები, გვ. 56.

[8] ს. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990. ქართველ აზნაურთა მისწრაფებებზე ს. პაპასქირს საკმაოდ საინტერესო განმარტება აქვს: „ამ ბრძოლის მიზანი კი უნდა ყოფილიყო აფხაზეთისგან შიდა ქართლის ნამოცილება და აქ თავიანთი მარეონეტული სამეფო ხელისუფლების შექმნა (იხ. ს. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა, გვ. 70). ქართლის აზნაურთა ამ მისწრაფებებზე არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს, თუმცა ამ საქმეში ქავთარ ტბელისა და მისი დასის მოკავშირედ გურანდუხტ დედოფლის მიჩნევა, ჩვენი აზრით, უმართებულოა. აღნიშნულ საკითხზე იხ. ს. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები, გვ. 56-57: ს. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა, გვ. 68-71. ეს საკითხი ვრცლადაა მიმოხილული ჩვენს წიგნში – ბაგრატ III, საქართველოს გაერთიანებელი, რომელიც ახლო მომავალში იხილავს მზის სინათლეს. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ გურანდუხტ დედოფალი მართლაც შვილის წინააღმდეგი რომ ყოფილიყო, ბაგრატ III უფლისციხეს ასე ადვილად ვერ დაეუფლებოდა.

თუმცაღა მათში ფართო ავტონომიისთვის საბრძოლველად გაერთიანების ტენდენციები ღრმადაა გამჯდარი. მათი განზრახვა აბსოლუტურად გასაგებია. ისინი მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ აფხაზთა მეფის ქართლში მოსვლით და აქაურ საქმეთა „განგებით“ უპირველესად მათი უფლებები იზღუდება. სწორედ ამიტომაცაა, რომ, ერთი მხრივ, ქართლის აზნაურები „იყვნეს მორჩილებასა შინა გურანდუხტისასა“ და, მეორე მხრივ, მათ „არა ენება გარდამოსვლა“ ბაგრატ III-ისა.[9]

ბაგრატ III-ს შიდა ქართლში მოწინააღმდეგეთა დიდი დასი ჰყავდა ტბელების მოთავეობით. ეს საგვარეულო შიდა ქართლში მნიშვნელოვან პუნქტებს ფლობდა. ამ საფეოდალოს ზუსტი საზღვრის დადგენა ჭირს, მაგრამ ძირითადად იგი მოიცავდა მდინარეების – პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობის შუა წელს. ცენტრი შესაძლებელია ტბეთი ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, გვარის ზედწოდება ამ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას იძლევა. ამჟამად სოფლის ჩრდილოეთით ორ კილომეტრზე შემონახულია დარბაზული ეკლესია, რომლის სამხრეთ შესასვლის ბალავრის ქვაზე ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: „ქ. სახელითა-ღმრთისაითა ესე ბალაჰვარი მე, ტბელმან პატრიკმან ძემან ქავთარისამან დავდევ, სალოცველად სულისა ჩემისა და შვილთა ჩემთათვნ. ჟუარო ბორცოისაო, მეოხ მექმენ“.[10] საერთოდ,

[9] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 269.

[10] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. ტ. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980, გვ. 180. სოფელ ტბეთში დღეისათვის შემონახულია შუა საუკუნეების კოშკი და რამდენიმე ეკლესიის ნანგრევები, მათ შორის ბორცვისჯვრის დანგრეული ტაძარი. იხ. ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობიდან. ტ. II. თბ. 1997, გვ. 72-76. შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ცხინვალის რაიონი, 1981-1983 წლების ექსპედიციის მასალები. თბ. 2002, გვ. 172-176. რაც შეეხება ბორცვისჯვრის ეკლესიის წარწერებს, სულ ცნობილი იყო 10 წარწერა, რომლიდანაც შემორჩენილია მხოლოდ ერთი – ტბელ პატრიკ ქავთარის ძის. ეს წარწერა XX საუკუნის 20-ანი წლების დასაწყისში ნახა ვ. თოფურიამ, მოგვიანებით კი ი. მეგრელიძემ და რ. მეფისაშვილმა. იხ. ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ხოგიერთ სიძველეთა წარწერები. „საისტორიო მოამბე“. წ. II. თბ. 1924, გვ. 134. ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობიდან, გვ. 72-76. რ. მეფისაშვილი. ერედვის 906 წლის ხეროთმოძღვრული ძეგლი. „ქართული ხელოვნება“. ტ. IV. თბ. 1955, გვ. 144. დარჩენილი ერთადერთი წარწერიანი ქვის სახელმწიფო მუზეუმში ჩამოტანის მცდელობა ჰქონდათ ი. მეგრელიძეს, ვ. თოფურიას და ირ. სონღულაშვილს, მაგრამ ეს მხოლოდ 1954 წელს მოხერხდა. დანარჩენი ცხრა წარწერა დაიკარგა. ვ. თოფურიას ცნობით, 1923 წელს ტაძრისთვის პერანგი შემოუცლიათ და ამ ქვებით აბანო აუშენებიათ. 1929 წლის ერთი საბუთით წარ-

სხვადასხვა თაობის ტბელების წარწერები შემონახულია ერედვის, ტბეთის, დოდოთის ეკლესიებში. გეოგრაფიულად ეს პუნქტები საკმაოდ ახლოს მდებარეობენ და არ არის გამორიცხული, ერთიან საფეოდალოს წარმოადგენდნენ. დღევანდელი გეოგრაფიული ნომენკლატურით, ეს არის ტერიტორია, რომელიც ქალაქ ცხინვალის გარშემო მდებარეობდა. ერედვი ცხინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 კილომეტრზეა, ხოლო ტბეთი, დასავლეთით 4 კილომეტრში. სოფელი დოდოთი ცხინვალიდან ჩრდილო-დასავლეთით 9 კილომეტრში მდებარეობს. როგორც ჩანს, ტბელების მამული ამ ზონაში უნდა ვივარაუდოთ.

ტბელებს თავისი პოლიტიკური ამბიციები ამოძრავებდათ. ჯერ ერთი, ისინი იბრძოდნენ შიდა ქართლის განსაკუთრებული სტატუსისთვის, რომელიც შესაძლებელია მოგვიანებით დამოუკიდებელი ერთეულის ფორმირებით დაგვირგვინებულიყო და, მეორე, მათ საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ – ტბელები დაკარგული უფლებების აღდგენას ცდილობდნენ. წარწერაში ერედვის ეკლესიის მშენებლობის შესახებ აღნიშნულია, რომ ტაძარი შენდებოდა „ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა“.[11] იგივე პიროვნება დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერაში იხსენიება ერისთავად. „სახელითა ღმრთისაჲთა ივანე ერისთავმან ტბელმან, აღაშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ სალოცველად მისთჳის და ხუთთა ძეთა მისთათუის“.[12] ამრიგად, ივანე ტბელი ყოფილა არა მარტო უფალი (სენიორი), არამედ – ერისთავიც. სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ნ. შოშიაშვილი, რომ X საუკუნის დასაწყისში ტბელები აფხაზ მეფეთა ერისთავები იყვნენ ქართლში.[13] ეს საკმაოდ საინტერესო დეტალია და ბაგრატ III-ისა და ტბელების დაპირისპირების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. IX საუკუნის მეორე ნახევარში, აფხაზთა სამეფოს მიერ შიდა ქართლის დაკავების შემდეგ, ამ რეგიონის მართვა ხორციელდებოდა ჩიხიდან (თანამედროვე ჭიათურის რაიონი, სოფელი ჩიხა), მაგრამ მოგვიანებით, კონსტანტინე (893-922) აფხაზთა მეფის დროს, ეს რეა-

---

წერიანი ქვები ცხინვალში ჩამოუტანიათ, მაგრამ მათი კვალი დაიკარგა. ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობიდან, გვ. 73. ე. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, გვ. 134. ასევე იხ. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. ტ. I, გვ. 178.

[11] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. ტ. I, გვ. 172.

[12] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. ტ. I, გვ. 176

[13] იხ. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. ტ. I. ნ. შოშიაშვილის შესავალი წერილი, გვ. 59.

ლობა იცვლება. X საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლისთვის ბრძოლა ახალი სიმწვავით გაჩაღდა. ამ რეგიონზე გავლენის გავრცელებას ცდილობდა მზარდი სომხეთის სამეფო, რომლის მეფე სუმბატმა უფლისციხეც კი აიღო.[14] უნდა ვიფიქროთ, რომ „ქართლს ზედა" ბრძოლისას ტბელებს აფხაზი მეფის მხარე ეჭირათ და შესაბამისად დასაჩუქრდნენ კიდეც. ისინი ქართლის ერისთავები გახდნენ. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ერედვისა და დოდოთის ეკლესიების წარწერები. ერედვი შენდებოდა 906 წლიდან, დაახლოებით, 914 წლამდე. ეს ემთხვევა კონსტანტინე III-ის მმართველობას. მან შიდა ქართლის ერისთავად განაწესა ივანე ტბელი. ეს უკანასკნელი ამ სტატუსით იხსენიება დოდოთის წარწერაში. X საუკუნის 20-30 წლებში ვითარება კიდევ ერთხელ შეიცვალა. აფხაზთ მეფე გიორგი II-მ (922-957) „მისცა ქართლი ძესა თჳსსა უხუცესს. კონსტანტის".[15] ამიერიდან ქართლის მმართველებად მხოლოდ უფლისწულები ინიშნებოდნენ. რეალურად ამ რეფორმის შემდეგ ტბელებმა თავისი გავლენა და პატივი შიდა ქართლში დაკარგეს, თუმცა ამით ეს საგვარეულო არსებობას კვლავ განაგრძობდა და საკმაოდ გავლენიანი პოზიცია ეკავა კიდეც ქართლის დიდებულთა შორის. როგორც ჩანს, ქართლის ერისთავობის დაბრუნების იმედი ტბელებს მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც აფხაზთა მეფე თეოდოსი უმემკვიდროდ დარჩა. იოანე მარუშიძის დანიშვნით მათი ბოლო იმედიც დაინგრა, ამას მოჰყვა ბაგრატ უფლისწულის ქართლის ერისთავად და ტახტის მემკვიდრედ გამოცხადება. ქუთაისში ბაგრატის გამეფების შემდეგ შიდა ქართლს დედოფალი გურანდუხტი განაგებდა. ტბელებმა ვერც ახალ რეალობაში მოახდინეს თავიანთი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, მათ ერთადერთ გზად დაკარგული პატივისა და გავლენის იარაღით დაბრუნება გადაწყვიტეს. ამ რადიკალური ნაბიჯით ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი პრივილეგია მიეღოთ ჯერ კიდევ გაძლიერებისა და ფორმირების პროცესში მყოფი ახალი ხელისუფლებისგან.

---

[14] ამ პერიოდის აფხაზთა სამეფოსა და სომხეთს შორის ურთიერთობა საგანგებოდაა შესწავლილი რ. ხოფელიას ნაშრომში. იხ. Р. Хопелия. Из истории политических взаимоотношений Абхазского и Армянского царств в начале X в. Լրաբեր Հասարակական Գիտությունների. 1966, № 2, გვ. 92-104. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში დაშვებულია ეამრავი ეზესტობა, რაზეც ყურადღება გაამახვილა ა. აბდალაძემ. იხ. ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ. 1988, გვ. 179-184. ამ საკითხზე იხ. ასევე, З. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми 1959, გვ. 126-127.

[15] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 259.

„მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ბაგრატ III-ისა და ტბელების დაპირისპირების გადამწყვეტ ეტაპს ასე აღწერს: „იწინამძღურეს ქავთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა. იხილა რაჲ ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღუზახნა სპათა თჳსთა, მივიდეს და შეებნეს“.[16] როგორც ვხედავთ, საქმე სამხედრო დაპირისპირებამდე მისულა. ერთი რამ თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ტბელები თავიანთ გათვლებში შეცდნენ. მოღრისთან მათ წინაშე იდგა არა სუსტი აფხაზთა მეფის ლაშქარი, არამედ ძლიერი ნებისყოფისა და შეუპოვარი ბაგრატ III-ის მეომრები. ეს უკანასკნელი მიზნის მისაღწევად უკან არ დაიხევდა. მეფის ეს ხასიათი ამ დროს ყველასთვის ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო, მაგრამ, ფაქტია, ბაგრატის ტიპაჟი ახალგაზრდობიდანვე ყალიბდებოდა და ტბელების მიმართ მეფის ასეთი რადიკალური ღონისძიების გატარება აქედან უნდა მომდინარეობდეს.

შიდა ქართლში ბაგრატ III-ის გადმოსვლა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იყო მასშტაბური სამხედრო კამპანია, მაგრამ რაოდენ სამწუხაროა, როდესაც ამ მოვლენას მემატიანე რამდენიმე წინადადებას უთმობს. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა ზემოთ უკვე დავიმოწმეთ, რეტროსპექტულად თვალი რომ გავადევნოთ ამ მოვლენებს, ასეთი სურათი იკვეთება: ბაგრატ III დასავლეთ საქართველოდან გადადის შიდა ქართლში, სადაც მას მოუწია მოღრისთან შეტაკება ქართლის აზნაურებთან, რომელთა დამარცხების შემდეგ უფლისციხეში ჩადის და დედისგან გადმოიბარებს ქალაქს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბაგრატ III-ის ქართლში გადმოსვლა შეფასებულია იმგვარად, თითქოს აფხაზთა მეფე უფლისციხეში მიდიოდა და მას ქავთარ ტბელის თაოსნობით ქართლის ერისთავებმა საშუალება არ მისცეს აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლისა და რომ მოღრისთან დახვდნენ და შეებნენ. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის წინამძღვრობით მეფეს მოღრისის თავს დაუხვდნენ და მისი ქართლში გადმოშვება არ სურდათ“.[17] მსგავსი აზრი აქვს გამოთქმული ნიკო ბერძენიშვილსაც: „ბაგრატ მეფემ საქმეების მოსაწესრიგებლად აფხაზეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლა მოინდომა, მას ქართლის საზღვარზე დაუხვდნენ დიდგვარიანი აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით და ომი აუტეხესო“.[18] მარიამ ლორთქიფანიძე წერს: „ქართლში გადმოსული ბაგრატი

[16] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 269.
[17] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია, გვ. 126.
[18] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VI. თბ. 1973, გვ. 19.

თიღვას დადგა, იქვე ლიხის ქედის გადმოსასვლელთან, უფრო ღრმად შესვლა შეუძლებელი იყო, რადგან აქ მას დახვდნენ ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით. ბრძოლა იქვე ახლოს, მოღრისთან მოხდა".[19] ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ეს მოსაზრება თითქმის უცვლელადაა გამეორებული სხვა მკვლევართა ნაშრომებში.[20] ამოსავალი ამგვარი ვარაუდის გამოთქმისა „მატიანე ქართლისაᲡ" ტექსტია. სწორედ მასშია აღნუსხული ბაგრატ III-ის თიღვას მისვლის ფაქტი, მოღრისთან ქავთარ ტბელისა და ქართლის აზნაურების სამხედრო რაზმების დგომა და ბოლოს ბრძოლის პერიპეტიები. მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ მემატიანის მონათხრობს რეალურ გარემოში წარმოვიდგენთ, ანუ ვგულისხმობთ იმ გეოგრაფიულ გარემოს, სადაც განვითარდა მოვლენები, აბსოლუტურად სხვა სურათს მივიღებთ და, შესაბამისად, მოვლენათა შეფასებაც სხვაგვარი იქნება. დავიწყოთ ერთი დეტალის გარკვევით: რა მარშრუტით მოემართებოდა გზები დასავლეთ საქართველოდან შიდა ქართლში. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ თიღვა და მოღრისი ლიხის გადმოსასვლელებთან არ მდებარეობს. ეს პუნქტები შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილშია, თუმცა ლიხის ქედიდან მოშორებით. ამდენად, ბაგრატ III თიღვასთან მოსვლამდე კარგა ხნის გადმოსული იყო შიდა ქართლში, ეს კი ნიშნავს იმას, რომ მატიანისეული განცხადება, ბაგრატს ქართლის აზნაურები „მოეგებნესო", არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ისინი მაინცდამაინც საზღვართან შეეგებნენ აფხაზთა მეფეს.

საერთოდ, დასავლეთ საქართველოდან შიდა ქართლში რამდენიმე გზა გადმოდიოდა. ყველა მათგანზე ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ მნიშვნელოვანი მაგისტრალების მიმართულების აღდგენა შესაძლებელია. ამ გადასასვლელთაგან შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი გზა. ერთი განშტოება იწყებოდა შორაპნიდან და ხარაგაული-წიფა-ფონას გავლით სურამთან ჩამოდიოდა, საიდანაც უფლისციხეში მოხვედრა შესაძლებელი იყო მდინარე მტკვრის პირას მიმავალი მაგისტრალით. ამ შემთხვევაში თიღვა-მოღრისი ხელმარჯვნივ რჩე-

---

[19] მ. ლორთქიფანიძე. მეფე ბაგრატ მესამე. ქუთ. 2002, გვ. 32. იხ. ასევე: მ. ლორთქიფანიძე. ერთიანი ქართული სახელმწიფოს – საქართველოს წარმოქმნა, წგნ.: საქართველოს ისტორია. ტ. I. თბ. 2008, გვ. 258. მ. ლორთქიფანიძე. ქართული მონარქიის შექმნა შუა საუკუნეებში. წგნ. საქართველოს ისტორია. ტ. II. თბ. 2012, გვ. 246.

[20] З. Анчабадзе. Из истории средневсковой Абхазии (VI-XVII вв.), გვ. 166-167. გ. გაბუნია. ასე იწყებოდა დიდი საქართველო (ბაგრატიდან დავითამდე და . . .). საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედში და XI საუკუნის დასაწყისში. ქუთ. 1996, გვ. 83-84. გ. მჭედლიძე. ბაგრატ III-ის საქართველო. ქუთ. 1996, გვ. 460-462.

ბოდა რამდენიმე ათეულ კილომეტრში.[21] მეორე ძირითადი გზა იწყებოდა საჩხერე-ჩიხასთან (ეს უკანასკნელი პუნქტი ჩიხის ერისთავის რეზიდენციას წარმოადგენდა, საიდანაც მართავდნენ შიდა ქართლს აფხაზთა სამეფოს მეფეები), შემდეგ ეს გზა კორბოულის გავლით სოფელ ალზე გამოიევლიდა[22] და მდინარე მტკვრის გაყოლებაზე არსებულ მაგისტრალს უერთდებოდა. ამ შემთხვევაშიც თიღვა-მოღრისი ხელმარჯვნივ რჩებოდა. მესამე მიმართულება იწყებოდა ასევე საჩხერე-ჩიხასთან და მდინარე ყვირილის ხეობის სათავისკენ მიემართებოდა, საიდანაც პერანგას მთის გადასასვლელით შიდა ქართლში შემოდიოდა, აქედან ოჟორა-თიღვა-ატოცი-ბრეძა-აბის გავლით მდინარე მტკვრის ხეობაში ჩადიოდა.[23] ჩვენი აზრით, ბაგარტ III-ს სწორედ ამ გზით უნდა ესარგებლა, როდესაც თიღვას მოვიდა. მაგრამ საკითხის შესწავლისას მთავარი ეს არ არის. შეუძლებელია აფხაზთა მეფეს არ სცოდნოდა ქართლის დიდებულთა განწყობა და მათ შორის ტბელებისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინცდამაინც იმ გზით სარგებლობს, რომელიც ტბელების მამულზე თუ არა, მის სიახლოვეს უცილობლად გადიოდა. თიღვა-მუღრისიდან ტბეთი, დაახლოებით, 15 კილომეტრში მდებარეობს. სწორედ ამიტომაც არ გამოვრიცხავთ, რომ ამ ტერიტორიაზე ტბელების საგვარეულო მამულები ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, მოღრისის აღმოსავლეთ სექტორში დანამდვილებით სავარაუდოა ტბელების საუფლოს არსებობა. რა გამოდის? ტბელები სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე, ანუ მოღრისთან მისვლამდე საკუთარი სამფლობელოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. არსად ისინი მეფეს არ დახვედრიან. ბაგრატ III თავად მივიდა საკუთარი ჯარით ქავთარ ტბელის საუფლოს საზღვრებთან. ამ შემთხვევაში მეფეს წინასწარი განზრახვა რომ არ ჰქონოდა, შეეძლო სხვა გზით ესარგებლა და უფლისციხეში მშვიდობიანად ჩასულიყო. ფრონეს ხეობა სამ მდინარეს მოიცავს: დვინისწყალს, ალისწყალს და ფცისწყალს. ხალხი მათ მოიხსენიებს, როგორც ფრონეს. ჩვენთვის საინტერესო მოვლენები განვითარდა ფცისწყლის ხეობაში. თიღვა და მოღრისი სწორედ ფცის ფრონეს შუა წელზე მდებარეობენ, თანამედროვე დარაიონებით ის შედის ზნაურის რაიონში (ამჟამად „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტული ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშაა). თიღვა ზნაურიდან 1,5-2 კილომეტრში მდებარებს დასავლეთით. სოფელი მაღლობზეა გაშენებული, მისი სავარგუ-

[21] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ. 1966, გვ. 36.
[22] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 34-35.
[23] ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 31.

ლები ფცის ფრონეს მარჯვენა ნაპირებამდე ვრცელდება. მოღრისი ანუ მუღრისი მდინარის მოპირდაპირე მარცხენა მხარეზეა გაშენებული. ზნაურიდან იგი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ერთ კილომეტრში. საბჭოთა პერიოდში მას სახელი შეუცვალეს და ახალსოფელი დაარქვეს.[24]

ახლა კი მემატიანის მონათხრობს მივყვეთ. თიღვასთან დაბანაკებულ მეფეს აშკარად უფრო მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი, ვიდრე მხოლოდ უფლისციხეში ჩასვლა იყო. როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, იგი თიღვაში შემთხვევით არ შეჩერებულა. სხვათა შორის, ბაგრატ III-ს გზის გაგრძელება რომ სურვებოდა, მას ამის საშუალება ჰქონდა. თიღვადან მაგისტრალი მტკვრის ხეობისკენ სამხრეთით ეშვებოდა ატოცი-ბრეძას გავლით, მაგრამ მეფე საგანგებოდ შეყოვნდა თიღვაში თავის ლაშქართან ერთად. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ბაგრატის ასეთ საქციელში აშკარად სამხედრო მოქმედებათა დაწყება გამოსჭვივებს, სხვაგვარად გაუგებარია, რატომაა იგი თავისი ლაშქრით გაჩერებული იმ ზონასთან, საიდანაც რამდენიმე კილომეტრში ტბელების მამულები იწყებოდა. არ გამოვრიცხავთ, რომ მემატიანე ყველაფერს არ ამბობს. თიღვას მდგომი ბაგრატი ალბათ მოლაპარაკებასაც აწარმოებდა ტბელებთან, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. ქავთარ ტბელმა დრო მოიგო და თავის მომხრეთა მობილიზაციაც შეძლო. იგი ქართლის აზნაურთა თანხლებით „თავსა ზედა მოღრისასა“ დაბანაკდა. მოწინააღმდეგეებს რამდენიმე კილომეტრი აშორებდათ ერთმანეთისგან. სხვათა შორის, გადამწყვეტი ბრძოლის ინიციატორიც ბაგრატ III გამოვიდა და იგი თავად გადავიდა შეტევაზე. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი მოგვითხრობს: „იწინამძღურეს ქავთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა. იხილა რაჲ ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღუზახნა სპათა თჳსთა, მივიდეს და შეებნეს. იოტნეს ქართველნი“.[25] მეფემ მიზანს მიაღწია. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მთელი ეს სამხედრო მოქმედება წინასწარ დაგეგმილი კამპანია იყო ტბელთა წინააღმდეგ და წარმოადგენდა მიზანმიმართულ აგრესიას შიდა ქართლის ურჩი აზნაურების მიმართ. ბაგრატ III-მ ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე ქავთარ ტბელი დაამარცხა და მასთან ერთად მთელი მისი მომხრეთა დასიც, რასაც მოჰყვა ამ რეგიონზე აფხაზ მეფეთა გავლენის აღდგენა.

---

[24] ალ. ღლონტი. ფრონეების ხეობის ტოპონიმია. ტოპონიმიური ძიებანი. ტ. VII, თბ. 1988, გვ. 36.
[25] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 269.

როგორც ზემოთ ითქვა, ბაგრატ III-ს შეეძლო ისე გადმოსულიყო შიდა ქართლში, ტბელების საგვარეულო მიწებზე არც კი გამოევლო. ქართლის დიდებულები რომ დახვედროდნენ აფხაზთა მეფეს საომრად, მაშინ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე მიღებულ მოსაზრებას არსებობის უფლება ექნებოდა, მაგრამ მეფის სამხედრო კამპანიის მიმართულება, როგორც ითქვა, ერთგვარ ეჭვს ბადებს. ჩვენი აზრით, ტბელები კი არ დახვდნენ ბაგრატს და მის ქართლში გადმოსვლას კი არ შეუშალეს ხელი, არამედ, პირიქით, ბაგრატ III-მ თავად განახორციელა სამხედრო აგრესია ურჩ დიდებულთა წინააღმდეგ. აფხაზთა მეფის მიზანი არ იყო მხოლოდ უფლისციხეში მისვლა და ქართლის საქმეების მოწესრიგება. მისი უპირველესი საზრუნავი ურჩ წარჩინებულთა დამორჩილება გახლდათ, რადგანაც ამაზე იყო დამოკიდებული ქართლის საკითხის საბოლოოდ მოგვარება. ამდენად, თავად ამ დაპირისპირების ბუნება იცვლება. თუ აქამდე მიიჩნევდნენ, რომ უფლისციხეში მიმავალ მეფეს ქართლის დიდებულები წინ შემოეგებნენ და ბრძოლა გაუმართეს, ამჯერად ამ მიდგომის ერთგვარი გადაფასება უნდა მოვახდინოთ. ამ დაპირისპირების ინიციატორად ჩვენ ბაგრატ III გვესახება, რომელიც თავად გადავიდა შეტევაზე და შეეცადა ურჩ დიდებულთა დამორჩილებას, რომელთაც ქავთარ ტბელი თაოსნობდა.

Jaba Samushia

ABOUT CONFRONTATION OF BAGRAT III WITH THE TBELI FEUDAL FAMILY

Summary

In about 980-981, after solutions in the Western Georgia, king Bagrat III decided to solve the problems in Shida Kartli (Eastern Georgia). The Tbeli family opposed him strongly having on mind establishment of their special status in Shida Kartli. They were thought to have tried not to let the king into the Eastern Georgia, but were defeated. The article supports the idea that king himself attacked the Tbeli family in their domains.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

მიხეილ ბახტაძე

XI-XIV საუკუნეებში ქართველ მეფეთა ზეობის წლების ათვლის შესახებ

XI-XIV საუკუნეებში საქართველოში ხშირი იყო თანამოსაყდრეობის ფაქტები. ანუ შემთხვევები, როდესაც მეფეს საკუთარი მემკვიდრე თავის სიცოცხლეშივე აჰყავდა ტახტზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ „ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს თანამოსაყდრე და თანამეფე".[1] ძალიან საინტერესო მოსაზრებაა თანამოსაყდრისა და თანამეფის შესახებ. სამწუხაროდ, ქართული წყაროები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დაწვრილებით ვისაუბროთ თანამოსაყდრისა და თანამეფის უფლებრივ განსხვავებაზე. სავარაუდოა, რომ თანამოსაყდრეს უფრო ნაკლები უფლებები და შედარებით დაბალი სტატუსი უნდა ჰქონდა, ვიდრე „მეფე მამას", ხოლო თანამეფობის შემთხვევაში ორივე მეფეს ერთნაირი უფლებები და სტატუსი ჰქონდა. საინტერესოა იმის გარკვევაც, თუ როდის გვაქვს საქმე თანამოსაყდრეობასთან და როდის – თანამეფობასთან. მაგალითად, როდესაც დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ გიორგი IV ტახტზე აიყვანეს, ის თანამოსაყდრე იყო, თუ თანამეფე? მსგავსი ვითარებაა დავით VI-სა და ვახტანგ II-სთან დაკავშირებითაც. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ თანამოსაყდრისა და თანამეფის საკითხი მეტად საინტერესოა, მაგრამ მისი განხილვა ჩვენი ამჟამინდელი კონკრეტული კვლევის სფეროს სცილდება. ამჯერად ჩვენ ერთი კონკრეტული საკითხი გვაინტერესებს, საიდან აითვლიდნენ თანამედროვენი მეფის ზეობის წლებს. ტახტზე პირველად ასვლიდან, თუ ერთპიროვნული მეფობის დაწყებიდან. ამიტომ ამ საკითხის კვლევისას იმ მოვლენის აღსანიშნავად, როდესაც ქვეყანაში ორი მეფეა ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინს, თანამოსაყდრე.

ბაგრატ IV-მ თანამოსაყდრედ აიყვანა თავისი ძე გიორგი II. გიორგი

[1] რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II. თბ. 2003, გვ. 61.

II-ის თანამოსაყდრე იყო დავით IV. დავით IV აღმაშენებელმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თანამოსაყდრედ დაისვა უფროსი ძე დემეტრე I. გიორგი III-მ თანამოსაყდრედ აკურთხა ქალიშვილი თამარი, რომელმაც თავის მხრივ საკუთარი ძე გიორგი აიყვანა თანამოსაყდრედ. თამარის ასულმა რუსუდანმა თანამოსაყდრედ თავისი ვაჟი დავითი გაიხადა. ფაქტობრივად, დავით VIII-ის თანამოსაყდრე იყო გიორგი V-ც 1299 წლიდან. როგორც ვხედავთ, თანამოსაყდრეობა ძალიან გავრცელებული ამბავი იყო.

თანამოსაყდრეობასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო კითხვა ჩნდება, როდიდან აითვლიდნენ თანამოსაყდრის ზეობის წლებს? თანამოსაყდრედ გახდომიდან თუ ერთპიროვნული მეფობის დაწყებიდან? დღეს ძირითადად თანამოსაყდრეთა ზეობის განსაზღვრა მათი ერთპიროვნული მეფობის პერიოდით ხდება: დემეტრე I – 1125-1156; თამარი – 1184-1210; გიორგი IV – 1210-1223; დავით VI – 1246/7-1293; ვახტანგ II – 1289-1292; გიორგი V – 1318-1346.[2] ერთადერთ გამონაკლისს დავით IV წარმოადგენს, რომლის მეფობაც 1089-1125 წლებით თარიღდება. თუმცა, საინტერესოა, რომ დავით IV, ფორმალურად, 1089 წლიდან ვიდრე გიორგი II-ის გარდაცვალებამდე თანამოსაყდრე ან თანამეფეა. რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებლის შემთხვევა სრულიად განსხვავებული და უნიკალურია. 1089 წლიდან გიორგი II ქვეყნის მართვაში აღარ მონაწილეობდა (ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ცნობილი წყაროები ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა). გამონაკლისი რუისურბნისის კრება იყო. ამიტომ 1089 წლიდან დავითი, ფაქტობრივად, ერთპიროვნული მბრძანებელია. თუმცა ისევ გავიმეორებთ, რომ ფორმალურად ტახტზე ორი მეფე ზის.

ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერ-მკვლევართა მიერ თანამოსაყდრეთა ზეობის წლების განსაზღვრა, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ თავად თანამოსაყდრენი საიდან აითვლიდნენ საკუთარი მეფობის დაწყებას. ცხადია, რომ ასევე აითვლიდა მათი მეფობის დაწყებას იმდროინდელი საზოგადოება და, მათ შორის, მემატიანეებიც. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. მაგალითად, როდესაც ქალაქ კარის აღებასთან დაკავშირებით მემატიანე წერს, რომ თამარ მეფემ „**ოცდამესამედ, გინათუ მეოთხედ აღმავლობასა მეფობისა მისისა წელიწადსა იკითხა საქმე კარისა**“,[3] რომელი წელი უნდა

[2] საქართველოს მეფეები. რედაქტორები რ. მეტრეველი, მ. ლორთქიფანიძე. თბ. 2007, გვ. 120, 122, 131, 138, 145, 152, 156, 161.

[3] ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 2008, გვ. 508.

ვიგულისხმოთ აქ? 1202/3 (1179+23/4=1202) თუ 1207/8 (1184+23/4). მსგავსი საკითხები საკმაოდ ბევრია.

სანამ მთავარი საკითხის კვლევაზე გადავალთ, მოკლედ გვინდა თანამოსაყდრეობის ის ფაქტები გავიხსენოთ, რომლებსაც ამჯერად განვიხილავთ.

ბაგრატ IV-მ „ძე მისი გიორგი ... დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს ...ვიდრეღა იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი მეფედ, რაჲთა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატისი, გურანდუხტ დედოფალი“.[4] აღნიშნულ ცნობასთან დაკავშირებით რ. მეტრეველი და ჯ. სამუშია აღნიშნავენ, გიორგი ბაგრატის ძე ლიპარიტ ბაღვაშმა „საქართველოს მეფედ აკურთხა. ამ აქტით ქართულ სინამდვილეში თანამეფობის ინსტიტუტი შემოდის. ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს თანამოსაყდრე და თანამეფე. ჩვენი აზრით, საქართველოში თანამეფობის ბიზანტიური მოდელი დამკვიდრდა. მაგ. ბასილი II და კონსტანტინე VIII თანამეფეები იყვნენ წლების მანძილზე. ეს განსხვავდებოდა ჩვენში არსებული თანამოსაყდრეობისაგან. როგორც ცნობილია ბიზანტიაში მიღებული იყო თანამოსაყდრის კურთხევა. საფიქრებელია, რომ მსგავსი პრაქტიკა საქართველოშიც იქნებოდა. ამიტომაც ლოგიკური იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ქუთაისში გიორგი უფლისწული პირველად თანამოსაყდრედ აკურთხეს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი გიორგის, რატომღაც, ხელახლა აკურთხებენ რუისის ტაძარში. რაღაში დასჭირდათ ერთხელ უკვე მეფედ კურთხეული მონარქის ხელახლა დალოცვა? ერთადერთი სწორი ვარაუდი ის იქნება თუ დავუშვებთ, რომ პირველად თანამოსაყდრედ კურთხეული გიორგი, მეორედ რუისის ტაძარში უკვე მეფედ აკურთხეს. ამდენად, 1054 წლის ახლო ხანებიდან გიორგი უფლისწული საქართველოს მეფე ხდება. ქვეყანაში იურიდიულად თანამეფობის ინსტიტუტი მკვიდრდება“.[5]

რ. მეტრეველისა და ჯ. სამუშიას მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, 1052 წელს გიორგი II თანამოსაყდრე გახდა, 1054 წელს – თანამეფე, ხოლო 1072 წლიდან ერთპიროვნული მეფობა დაიწყო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრებაა, რომ 1089 წელს გიორგი II-ის თანამოსაყდრე მისი მხოლოდშობილი ძე დავით IV გახ-

[4] ქართლის ცხოვრება, გვ. 287.
[5] რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II, გვ. 61.

და. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, „მას ჟამსა იყო ჰასაკითა თექუსმეტისა წლისა, ხოლო ქრონიკონი სამას და ცხრა. ამას მარტოდ შობილსა გიორგისგან თჳთ მამამან დაადგა გჳრგჳნი მეფობისა და, უჭეშმარიტესი ვთქუათა, „თჳთ მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თჳსი, და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას რამეთუ ჴელი მისი შეეწეოდა მას, და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი“; „წყალობა და ჭეშმარიტება შეემოსებოდა მას“; და „უზეშთაეს ყო იგი უფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა“ ვიდრემდის „დავსდვა ზღუასა ზედა ჴელი მისი და მდინარეთა ზედა მარჯუენე მისი“. გარნა შრომითა ფრიადითა და ღუაწლითა ძლიერითა მრავალთა დღეთა შემდგომად იქმნა ესე, ვითარცა წინამდებარემან სიტყუამან ცხად ყოს“.[6] რ. მეტრეველი და ჯ. სამუშია სრულიად მართებულად აღნიშნავენ, რომ დავითი 1089 წლამდეც იწოდება მეფედ და შესაბამის დასკვნასაც აკეთებენ. „1089 წლამდე დავით IV აღმაშენებელი გიორგი II-ს უკვე უნდა ეკურთხებინა თანამოსაყდრედ“. მკვლევართა აზრით, „გიორგი II-მ მალიქ-შაჰთან მოსალაპარაკებლად წასვლის წინა პერიოდში თავისი მხოლოდშობილი ვაჟი აკურთხა მეფის პატივში. საქართველოს სამეფო კარისთვის ეს ახალი არ იყო, რამეთუ იგივე ნაბიჯი რამდენიმე ათეული წლის წინათ გადადგა ბაგრატ IV-მ, როდესაც იგი ბიზანტიაში წავიდა და თანამოსაყდრედ გიორგი II დატოვა“.[7] მაშინ რა მოხდა 1089 წელს? „1089 წელს გიორგი II-მ თანამოსაყდრედ კი არ აიყვანა დავითი, არამედ სრულიად გადაულოცა მეფობა ... გიორგი II 1089 წელს ხავერდოვნად ჩამოაშორეს ხელისუფლებას და მისი ფუნქცია მხოლოდ ნომინალური და სიმბოლური იყო ... გიორგი II ყველა შემთხვევაში დავით IV-ის გადაწყვეტილებების აღმსრულებელი იქნებოდა და მისი ფუნქცია ამ გადაწყვეტილებათა იურიდიულად გაფორმებით ამოიწურებოდა“.[8] ზემოთ გამოთქმული მოსაზრება სავსებით მისაღებია. ალბათ პასუხი უნდა გაეცეს მხოლოდ ერთ კითხვას, რა სტატუსი ჰქონდა გიორგი II-ს 1089 წლიდან გარდაცვალებამდე, 1112 წლამდე? ჩვენი აზრით, პასუხი აშკარაა. 1089-1112 წლებში გიორგი II იყო მეფე. ამიტომ ამავე პერიოდში დავით IV თანამოსაყდრედ თუ არა, თანამეფედ მაინც უნდა ჩავთვალოთ. თუ თანამოსაყდრისა და თანამეფის შესახებ რ. მეტრეველისა და ჯ. სამუშიას მოსაზრებას გავიზიარებთ, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი – 1083 წლიდან დავით IV

[6] ქართლის ცხოვრება, გვ. 307.
[7] რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II, გვ. 135-136.
[8] რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II, გვ. 138-139.

თანამოსაყდრეა, 1089 წლიდან თანამეფე, ხოლო 1112 წლიდან, ერთპიროვნული მეფე.

დავით აღმაშენებელმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1124 წლის ბოლოს ან 1125 წლის იანვარ-თებერვალში თანამოსაყდრედ თავისი უფროსი ძე დემეტრე II დასვა. დავითი აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს – „ვითარცა პირველმან დავით სოლომონი, ამანცა თჳსითა ჴელითა დასუა საყდართა თჳსთა ძე თჳსი დიმიტრი, სახელით ოდენ ცვალებული, მარადღე გარდამონასახი, ყოვლითურთ მსგავსი მამულთა ძირთა, და დაადგა თავსა შუენიერსა გჳრგჳნი ქვათაგან პატიოსანთა, ვიტყჳ უკუე სათნოებათა მამულთა და შეარტყა ჴელთა ძლიერთა მახჳლი ეჰა, რაბამ სჳნად ჴმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა. და დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერობით“.[9] დემეტრე I-ის თანამოსაყდრედ დასმას ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც ადასტურებს – „სრულყო რა დავით სრბა მეფობრივი ქრონიკონსა სამას ორმოცდახუთსა, და მივიდა დაუსრულებელსა სუფევასა საუკუნოდ, სიცოცხლესავე შინა მისსა დასუა მეფედ ძე მისი დემეტრე, და დაადგა გჳრგჳნი თჳთ მისითა ჴელითა“.[10]

1179 წელს გიორგი III-მ თანამოსაყდრედ აკურთხა თავისი ქალიშვილი თამარი. „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით, დემნა უფლისწულისა და ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ „მეორესა წელიწადსა შეიყარა ყოვლით სამეფოთ მისით შემოქცეული ღანუყით ნაჭარმაგევსა. შემყრელმან შვიდთავე სამეფოთა მისთამან აწჳა დედოფალთა დედოფალი, ბედნიერი და სჳანი ცოლი მისი ბურდუხან და შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალება თუალთა მათთა, და მანიაკი ყოველთა მეფეთა, და გჳრგჳნი ყოველთა ჴელმწიფეთა. განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებებელისათა მეფე ყო თამარ, თანადგომითა ყოველთა პატრიაქთა და ებისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“.[11]

თამარ მეფემ დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ თანამოსაყდრედ დასვა ლაშა-გიორგი. ჟამთააღმწერელი წერს, „ამას სანატრელსა სიცოცხლესა შინა თჳსსა დაედგა გჳრგჳნი ძისა მისისა გიორგისდა რომელსა ლაშობი-

[9] ქართლის ცხოვრება, გვ. 347.
[10] ქართლის ცხოვრება, გვ. 351.
[11] ქართლის ცხოვრება, გვ. 396.

თცა უწოდა. იყო წლისა ათცამეტისა რაჟამს დაიდგა გჳრგჳნი მეფობისა და მეფემან თამარ მიულოცა მეფობა. ხოლო რაჟამს მიიცვალა თამარ, იყო ლაშა ათრვამეტისა წლისა".[12]

რუსუდან დედოფალმა დაახლოებით 1230 წელს თავისი ძე დავითი თანამოსაყდრედ აიყვანა. ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, „ამათ ჭირთაგან შეიწრებული მეფე რუსუდან იყო რა ქუთათისს და ყოველსა აფხაზეთსა, და იქმნა ძე მისი დავით ვითარცა წლისა ხუთისა, ინება მეფედ ყოფად ძისა მისისა ... და დასუეს მეფედ დავით, ძე რუსუდანისა, აკურთხეს ქუთათისს და დაადგეს თავსა მისსა გჳრგჳნი. დასუეს ტახტსა ზედა სამეფოსა და მიულოცეს მეფობა წესისაებრ სრულყო კათალიკოზმან წესი კურთხევისა".[13]

დავით VI-მ თანამოსაყდრედ თავისი უფროსი ძე ვახტანგი აიყვანა. ეს ნათლად ჩანს დავით და ვახტანგ მეფეების სიგელიდან ვახტანგ თულაისძისადმი.[14]

1299 წელს მონღოლებმა მესხეთის მფლობელს, მანდატურთუხუცეს ბექა ჯაყელს „სთხოვეს ყრმა გიორგი, რათა მოსცეს და მეფე ყონ ქართლსა დავითის წილ ძმისა მისისა, რომელი აღასრულა და მისცა, და თანა წარატანა ლაშქარი დიდი. ხოლო წარიყვანეს ესე გიორგი, და დასუეს მეფედ, და დაღათუ მცირე იყო, არამედ წინა-დაუსახვიდეს უძლეველობასა მეფობისასა და წინა-მოასწავებდეს".[15] ამრიგად, მცირეწლოვანი გიორგი V დავით VIII-ის თანამოსაყდრე (თუ თანამეფე) გახდა (როგორც ცნობილია, 1302 წელს მონღოლებმა ტახტზე კიდევ ერთი მეფე – ვახტანგ III –აიყვანეს. ეს უკანასკნელიც თანამოსაყდრე ან თანამეფე გამოდის).

მემკვიდრის თანამოსაყდრედ აყვანას ალბათ სხვადასხვა მიზეზები განაპირობებდა. გიორგი II-ისა და დავით IV-ის შემთხვევაში ეს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებისა და საგარეო ფაქტორის გავლენის შედეგად მოხდა. დემეტრე I-ის შემთხვევაში ეს ალბათ მხოლოდ დავით აღმაშენებლის სურვილი და, შესაძლოა, გარკვეულწილად ტრადიციაც იყო. თამარის შემთხვევაში მთავარ მიზეზს, რა თქმა უნდა ქვეყანაში არსებული ვითარება წარმოადგენდა. სავარაუდოდ, რუსუდანმაც შემდგომში მოსალოდნელი გართულებების (ლაშას ძის ან ამ უკანასკნელის მომხრეების მხრიდან) თავიდან ასაცილებლად გაამეფა თავისივე სიცოცხლეში დავით VI. 1299 წელს კი მონღოლთა ნება იყო

[12] ქართლის ცხოვრება, გვ. 523.
[13] ქართლის ცხოვრება, გვ. 542.
[14] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. თბ. 1982, გვ. 182.
[15] ქართლის ცხოვრება.

მთავარი და გადამწყვეტი.

ამრიგად, XI-XIV საუკუნეებში თანამოსაყდრეობის რვა შემთხვევა გვაქვს განსახილველი (გიორგი II, დავით IV, დემეტრე I, თამარი, გიორგი IV, დავით VI, ვახტანგ II, გიორგი V).

ჩვენ გვაქვს ქართველ მეფეთა მიერ გაცემული რამდენიმე სიგელი, რომლებიც ძალიან ნათლად გვიჩვენებს, თუ რომელი მეფე როდიდან აითვლიდა თავის ზეობას. სწორედ ამ სიგელებზე დაყრდნობით ნ. შოშიაშვილი თვლიდა, რომ მეფობის ათვლა თანამოსაყდრედ დასმის წლიდან ხდებოდა.[16]

ძალიან საინტერესოა გიორგი II-ის სიგელი მღვიმისადმი. ეს სიგელი დაიწერა მაშინ, როდესაც ბაგრატ IV უკვე გარდაცვლილი იყო. ეს ნათლად ჩანს სიგელის დასაწყისშივე – „ქ. მე გიორგი ბაგრატუნიანმან, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა მეფემან, ძემან **სულკურთხეულისა** მეფისა ბაგრატისამან დავწერე და მოვაკსენე სიგელი ესე უდაბნოსა მღუიმისასა“.[17] სიგელის ბოლოში წერია – „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა ა, ჭელითა იოვანე მონაზონისაითა“.[18] ცხადია, რომ სიგელი გიორგი II-ის მეფობის პირველ წელს დაიწერა. ზეობის დაწყების ასათვლელად არც თანამოსაყდრედ დაჯდომისა (1052) და არც თანამეფედ კურთხევის (1054) წელი არ გამოგვადგება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, სიგელის დაწერის მომენტში ბაგრატ IV გარდაცვლილია. გიორგი II-ის მეფობის ასათვლელად გვრჩება ერთადერთი თარიღი – 1072 წელი. სიგელი დაიწერა გიორგი II-ის მეფობის პირველ წელს, 1072 ან 1073 წელს[19] (თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაგრატ IV 24 ნოემბერს გარდაიცვალა, სიგელი ალბათ უფრო 1073 წლისაა). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიორგი II თავის მეფობას 1072 წლიდან, ერთპიროვნული მეფობის დაწყებიდან აითვლიდა.

ჩვენამდე მოაღწია დავით აღმაშენებლის ერთმა სიგელმა ნიანია ნიანიასძისადმი,[20] მაგრამ ის ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას არ შეიცავს. სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია დემეტრე I-ის მიერ გაცემული სიგელები. ამიტომ ვერ ვიტყვით, თუ როდიდან აითვლიდნენ თავიანთ მეფობას დავით IV და

---

[16] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 77; 100; 105; 109; 180.
[17] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 46.
[18] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 48.
[19] აღნიშნულ სიგელს ნ. შოშიაშვილი 1073 წლით ათარიღებდა (იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 46), ი. დოლიძე კი, 1072 წლით (იხ. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. თბ. 1965, გვ. 10).
[20] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 50.

დემეტრე I.

გვაქვს თამარ მეფის მიერ გაცემული ორი სიგელი, რომელიც მეფის ინდიქტიონით თარიღდება. ერთი – გელათისადმი,[21] დაწერილია მეათე ინდიქტიონს, მეორე – მღვიმისადმი,[22] დაწერილია მეთვრამეტე ინდიქტიონით. ვერც ერთი მათგანი ამჯერად ჩვენ ვერ დაგვეხმარება.

ლაშა-გიორგის მიერ ქვათახევის მონასტრისადმი ბოძებული სიგელი მე-6 ინდიქტიონით თარიღდება,[23] მღვიმისადმი მიცემული კი – მე-10 ინდიქტიონით.[24] არც ეს სიგელები გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ, თუ როდიდან ხდებოდა გიორგი IV-ის მეფობის ათვლა.

ჩვენი საკითხის კვლევისას ძალიან მნიშვნელოვანია დავით და ვახტანგ მეფეების სიგელი ვახტანგ თულაისძისადმი. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ დავით VI ნარინი რეალურად მეფობას 1247 წელს იწყებს, თავის ბიძაშვილ დავით VII ულუსთან ერთად. დავით VI 1293 წელს გარდაიცვალა. თუ მის მეფობას 1247 წლიდან ავითვლით, მაშინ დავასკვნით რომ დავით რუსუდანის ძემ 46 წელი იმეფა. ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო ინფორმაციაა დაცული დავით ნარინისა და მისი ძის – ვახტანგ II-ის სიგელში ვახტანგ თულაისძისადმი. სიგელის ბოლოს აღნიშნულია, რომ „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა **ორმოცდამეათექვსმეტესა** და ძისა ჩუენისა ვახტანგ მეფისა **მეათესა**, ჭელითა ზარდახანისა მწიგნობრისა ჩუენისა გიორგი სოფრომისძისაითა“.[25]

როგორც ვხედავთ, სიგელი დავით VI-ის მეფობის 56-ე წელს დაიწერა. ე.ი. მისი ზეობის ათვლა არა 1247 წლიდან, არამედ რომელიღაც სხვა თარიღიდან ხდებოდა. რომც დავუშვათ, რომ სიგელი 1292 წელს არის დაწერილი (ვახტანგ II 1292 წელს გარდაიცვალა, სიგელში კი ისიც მოიხსენიება), დავით ნარინის მეფობის ათვლის თარიღი 1236 წელზე ადრეა საძებნელი (1292-56=1236). რა შეიძლება ყოფილიყო თანამედროვეთათვის დავით VI-ის ზეობის ათვლის თარიღი? ცხადია, რომ ასეთ თარიღად მისი თანამოსაყდრედ დასმის წელი უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, დავით VI ნარინი საკუთარ მეფობას 1230 წლიდან აითვლიდა (დავით ნარინის დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. როგორც ჩანს, ის ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის აღე-

[21] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 77.
[22] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 100.
[23] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 106.
[24] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 110.
[25] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 182.

ბამდე დაიბადა). სხვაგვარად გაუგებარია, 1247 წელს ტახტზე ასულ და 1293 წელს გარდაცვლილ მეფეს როგორ უნდა დაეწერა სიგელი თავისი მეფობის 56-ე წელს.

ამავე სიგელიდან ირკვევა, რომ დავით ნარინმა თავის სიცოცხლეშივე გაამეფა უფროსი ძე ვახტანგ II. ვახტანგ II აღმოსავლეთ საქართველოში დამოუკიდებელად 1289-1292 წლებში მეფობდა, ანუ სამი წლის მანძილზე. ჩვენ მიერ განხილულ საბუთში კი აღნიშნულია, რომ სიგელი დაიწერა ვახტანგის მეფობის მე-10 წელს. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ვახტანგ II-ის მეფობაც აითვლებოდა არა 1289 წლიდან, არამედ რომელიღაცა სხვა, უფრო ადრეული თარიღიდან. სავარაუდოდ ვახტანგ II-ის თანამოსაყდრედ დასმის წლიდან. რადგან დავით VI-ის მეფობა 1230 წლიდან აითვლება, 56-ე ინდიქტიონი 1286 წელი (1230+56=1286) გამოდის. აქედან გამომდინარე, ვახტანგ II 1276 წელს (1286-10=1276) გამხდარა თანამოსაყდრე.

ჩვენ მიერ განხილულ სიგელთან დაკავშირებით ნ. შოშიაშვილი წერდა, რომ დავით ნარინისა და ვახტანგ II-ის სიგელი ვახტანგ თულაისძისადმი, „კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ მეფობის ინდიკტიონი აღირიცხებოდა თანამოსაყდრეობიდან“.[26]

მართალია, დავით VIII-ს საკუთარი სურვილით არ აუყვანია ტახტზე 1299 წელს გიორგი V, მაგრამ რეალურად ისინი თანამოსაყდრეები იყვნენ. გიორგი V ერთპიროვნულ მეფობას 1318 წლიდან იწყებს. მკვლევართა ნაწილი 1314 წელს უჭერს მხარს. ამიტომ გასაგებია, რომ თითქმის ყველგან გიორგი V-ის ზეობის ხანად 1318-1346 ან 1314-1346 წლებია დასახელებული. თავად გიორგი ბრწყინვალე საკუთარ მეფობას 1299 წლიდან აითვლიდა. ამის ნათელი დადასტურებაა მეფის სიგელი ივანე თორელისადმი. „მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი დიდად ერთგული ივანე და გუეაჯა და მოგუახსენა, რათამცა კოჟრისა ძირსა მონასტერი ათენაგუენი მიგუებოძა ... გქონდეს შენ თორელ ივანესა კოჟრისა ძირსა მონასტერი ათენაგუენი ... დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა **ლთ** ჭელითა კარისა მწიგნობრისა აბრაჰამ ავგაროზის ძისათა. ვამტკიცებ გიორგი“.[27] ინდიქტიონი „ლთ“ ნიშნავს გამეფებიდან 39-ე წელს. მეფის აღსაყდრების წლად თუ 1318 წელს ავიღებთ, საბუთი 1357 (1318+39=1357) წელს დაწერილი გამოდის, ხოლო თუ მეფობას 1314 წლიდან ავითვლი – 1353

[26] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 180.
[27] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 97.

(1314+39=1353) წელს მივიღებთ. ორივე აბსურდული თარიღია, რადგან გიორგი V 1346 წელს გარდაიცვალა. ცხადია, რომ სიგელის შემდგენელი გიორგი V-ის გამეფების თარიღად არც 1318 და არც 1314 წელს არ გულისხმობს. აქაც გვრჩება ერთადერთი ვარიანტი, გიორგი V-ის ზეობის ათვლა 1299 წლიდან არის დაწყებული. ამიტომ სიგელი 1338 წელს არის დაწერილი (1299+39=1338). რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ სამეფო კარის მწიგნობარს მეფის აღსაყდრების თარიღი არ სცოდნოდა ან თუნდაც შეშლოდა.

ჩვენს მიერ განხილული თანამოსაყდრეობის რვა ფაქტიდან ოთხ შემთხვევაში (გიორგი II, დავით VI, ვახტანგ II, გიორგი V) ზუსტად ვიცით, თუ საიდან ხდებოდა მეფობის ათვლა. გიორგი II-ის ზეობა აითვლებოდა მისი ერთპიროვნული მეფობის დაწყებიდან, ხოლო დავით VI-ის, ვახტანგ II-ისა და გიორგი V-ის – თანამოსაყდრედ დასმიდან.

სამი შემთხვევა ერთის წინააღმდეგ და ეს ერთი კანონზომიერებიდან გადახვევად ჩანს. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, რატომ ხდება მეფობის ათვლის დაწყება სხვადასხვა პრინციპით? დაბეჯითებით რამის მტკიცება ძნელია. ვარაუდით კი ნებისმიერი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება. მაგალითად, XI საუკუნეში ზეობის ათვლა ერთი პრინციპით ხდებოდა – ერთპიროვნული მეფობის დაწყებიდან. XIII საუკუნეში კი ვითარება შეცვლილია და სხვა პრინციპი მოქმედებს – თანამოსაყდრედ გახდომიდან.

ჩვენ შევეცდებით საკუთარი მოსაზრება გამოვთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. არა გვგონია, რომ მეფობის ათვლის პრინციპი XI საუკუნეში ყოფილიყო სხვა და XIII საუკუნეში – სხვა. ჩვენი აზრით, პრინციპი იყო ერთი – მეფობის ათვლა ხდებოდა თანამოსაყდრედ დასმიდან, როგორც ეს დავით VI-ის, ვახტანგ II-ისა და გიორგი V-ის შემთხვევაში იყო. უბრალოდ, გიორგი II-სთან დაკავშირებით საქმე გამონაკლისთან გვაქვს, მაგრამ ეს გამონაკლისი ახსნას საჭიროებს.

კიდევ ერთხელ ვნახოთ, თუ რას წერს „მატიანე ქართლისაჲ“ XI საუკუნის 50-იან წლებში გიორგი II-ის გამეფებასთან დაკავშირებით, „ამისსა პირველ სუმოდა ძე მისი გიორგი ბაგრატს, დაუტევა **ქუთათისს** მეფედ სამეფოსა ზედა **აფხაზეთისასა** და წარვიდა საბერძნეთს ... ვიდრეღა იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი მეფედ, რაჲთა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა

რუისისასა და **აკურთხეს მეფედ**. და მოიყვანს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატისი, გურანდუხტ დედოფალი".[28]

რას ნიშნავს ამ შემთხვევაში „სამეფო აფხაზეთისასა"? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გასარკვევია, თავად „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორს როგორ ესმის ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელწოდება აფხაზეთი. როდესაც მემატიანე XI საუკუნის ამბების თხრობისას ახსენებს – „მეფე აფხაზთა", აქ ყოველთვის საქართველოს მეფეს გულისხმობს, მაგრამ იმავე პერიოდის აღწერისას აფხაზეთი აღნიშნავს მთელ საქართველოს, თუ მხოლოდ დასავლეთ საქართველოს? საინტერესოა რ. მეტრეველისა და ჯ. სამუშიას მოსაზრება, რომ 1050 წლის ახლო ხანებში, ლიპარიტ IV-ის სელჩუკთა ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, „ბაგრატ IV კვლავ იქცა დასავლეთ საქართველოს მეფედ".[29]

ვნახოთ მატიანეში დაცული რამდენიმე ცნობა, რომლებიც წარმოდგენას შეგვიქმნის ჩვენთვის საჭირო საკითხზე:

„ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა; აწჯა, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი: ანუ დაიმჭიროს თჯთ, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის-წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად **აფხაზეთი** და ქართლი;

შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: "ესე არს მკჯდრი ტაოსი, ქართლისა და **აფხაზეთისა**, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანა-შემწე";[30]

„ივანე მარუშის-ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა **აფხაზეთისა** და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისგან ... გარნა რაჟამს უმკჯდრო ქმნილ იყო ქუეყანა ქართლისა და **აფხაზეთისა**, მოსცა მათ სიმტკიცითა და მძევლითა; შთაიყვანეს იგი **აფხაზეთს**, დალოცეს მეფედ და დაემორჩილნეს ყოველნი ბრძანებასა მისსა";[31]

„მოვიდა უფლისციხეს, აღიღო ციხე დედისაგან თჯსისა, დაყვნა დღენი და განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი; წარიყვანა დედა თჯსი და წარვიდა ქუეყანად **აფხაზეთისა**";[32]

---

[28] ქართლის ცხოვრება, გვ. 287.
[29] რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II, გვ. 58.
[30] ქართლის ცხოვრება, გვ. 267.
[31] ქართლის ცხოვრება, გვ. 267-268.
[32] ქართლის ცხოვრება, გვ. 268.

„მაშინ წარმოვიდა სიხარულითა სავსე, და წარვიდა მას ჟამსა **აფხაზეთადვე**, რათა ვერ უგრძნას რატი და უგრძნეულად მივიდეს ოდეს არა გონებდეს“;[33]

„იყო ჟამი გაზაფხულისა და ბაგრატ **აფხაზეთს** იყო. მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებად“.[34]

„და მიგზავნა მოციქულად ივანე, ძე ლიპარიტისი, მეფემან ბაგრატ ძიებად მშვიდობისა. ხოლო სულტანმან შეაქცია იგი **აფხაზეთად** ბაგრატისა, სთხოვა ხარაჯაჲ და უქადა მშვიდობაჲ. ხოლო სიფიცხლისაგან ზამთრისა ვერღარა მოილოდინა და წარვიდა ქართლით“.[35]

„და შემდგომად ამისსა მეფე **აფხაზეთს** იყო“.[36]

როგორც ვხედავთ, მემატიანესთვის აფხაზეთი ნიშნავს დასავლეთ საქართველოს (ამის საპირისპიროდ შეგვიძლია დავუკვირდეთ ისტორიკოსის მიერ ხშირად გამეორებულ ტერმინს – აფხაზეთი და ქართლი).

ჩვენი აზრით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბიზანტიაში წასვლის წინ ბაგრატ IV-მ გიორგი II მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეფედ დატოვა (საკითხავია ისიც, მოხდა თუ არა ამ დროს მისი კურთხევა. შესაძლოა გამონათქვამი – „დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა“ ნიშნავდეს, რომ მმართველად დატოვა და არა მაინცდამაინც მეფედ). ალბათ ამიტომ იყო, რომ „ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა“ მეფე გიორგი II თავის ზეობას ამ მოვლენიდან არ აითვლიდა.

რა ხდება 1054 წელს რუისში? კვლავ რ. მეტრეველისა და ჯ. სამუშიას მოსაზრებას დავეყრდნობით, რომ აქ ლიპარიტ ბაღვაშმა გიორგი უფლისწული საქართველოს მეფედ აკურთხა[37] (თავისთავად საინტერესოა, რომ მემატიანე პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით წერს – „დაუტევა მეფედ“, ხოლო მეორედ აღნიშნავს – „აკურთხეს მეფედ“).

„ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა“ მეფე გიორგი II-ისთვის ალბათ უსიამოვნო და სადღაც დამამცირებელიც კი იყო, რომ ის მეფედ ფეოდალის, მართალია ძალიან ძლიერისა და გავლენიანის, მაგრამ მაინც ფეოდალის ნებითა და ინიციატივით აკურთხეს. თანაც მაშინ, როდესაც აფხაზთა და ქართველთა მეფე ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში საპატიო

[33] ქართლის ცხოვრება, გვ. 270.
[34] ქართლის ცხოვრება, გვ. 283.
[35] ქართლის ცხოვრება, გვ. 293.
[36] ქართლის ცხოვრება, გვ. 295.
[37] რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II, გვ. 61.

ტყვეობაში იმყოფებოდა. შესაძლოა ამიტომაც არც 1054 წლიდან აითვლიდა თავის მეფობას გიორგი II.

ყოველივე ზემოთ თქმულს თუ გავითვალისწინებთ, სრულიად გასაგებია, თუ რატომ უნდა აეთვალა „ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა“ მეფე გიორგი II-ს თავისი მეფობის დაწყება სწორედ 1072 წლიდან. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ერთი მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც „მატიანე ქართლისაჲშია“ დაცული. 1072 წლის შემოდგომაზე ბაგრატ IV-ს „დაეცა სალმობაჲ მუცლისაჲ“. ამ დროს მას „თანა ჰყვა გიორგი კურაპალატი და ყოველნი დიდებულნი მისნი. ხოლო გიორგი კურაპალატი გაგებებულ იყო წინა და მოიყვანეს ქართლს მეფე“. აქ „შემდგომად მცირედთა დღეთა **მიათუალა ძე მისი გიორგი კურაპალატი მეფედ დიდებულთა ამის სამეფოისათა**, და ყოველნი შეჰვედრნა მას“.[38] მაშასადამე, გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე ბაგრატ IV-მ „მიათუალა“ (ანუ წარუდგინა) თავისი ძე, გიორგი კურაპალატი დიდებულებს მეფედ (უკვე მესამედ მოხდა გიორგი II-ის მეფედ წარდგენა?!). შესაძლოა, თავად ბაგრატ IV-ც თვლიდა, რომ თავის დროზე გიორგი II-ის ჯერ ქუთაისში დატევება „მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა“, ხოლო შემდეგ 1054 წელს რუისში მეფედ კურთხევა არ იყო ლეგიტიმურობის თვალსაზრისით მაინცდამაინც მისაღები და მოსაწონი.

საინტერესოა ისიც, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი 1054-1072 წლების ამბების თხრობისას არასდროს გიორგი II-ს მეფედ არ მოიხსენიებს.

როდესაც 1058 წელს სულა კალმახის ერისთავმა ლიპარიტ IV ბაღვაში შეიპყრო, მემატიანე წერს, „ხოლო გურანდუხტი და **გიორგი ძე ბაგრატისი**, დგეს ღტილას და რაჲ ცნეს შეპყრობაჲ ლიპარიტისი, შეიყვანეს ახალქალაქს“.[39]

სელჩუკთა პირველი შემოსევის აღწერისას მატიანეში აღნიშნულია, რომ „მას ჟამსა მომავალ იყო მეფე ტაოთი და თანა ჰყვანდეს დედაჲ და დაჲ და **ძე მისი გიორგი**“.[40]

როდესაც „მატიანე ქართლისაჲში“ განძაზე ლაშქრობის ამბავია მოთხრობილი, ეკითხულობთ, „წარუძღუანა წინა **ძე მისი გიორგი კურაპალატი**“.[41]

ქუთაისში სტუმრობის დროს ოსთა მეფემ „ნახა დაჲ მათი დედოფალი, დედაჲ **გიორგი კურაპალატისაჲ**. რამეთუ **გიორგი კურაპალატი** გებულ იყო

[38] ქართლის ცხოვრება, გვ. 296.
[39] ქართლის ცხოვრება, გვ. 288.
[40] ქართლის ცხოვრება, გვ. 289.
[41] ქართლის ცხოვრება, გვ. 295.

უწინა და მოიყვანეს ქართლს“.[42]

ცხადია, ჩვენ მიერ გიორგი II-სთან დაკავშირებით ზემოთ გამოთქმული მოსაზრება მხოლოდ ვარაუდია.

ჩვენს მიერ განხილული თანამოსაყდრეობის ფაქტებიდან უმეტესობა ცხადად მიუთითებს – მეფობის ათვლა ტახტზე თანამოსაყდრედ დასმის წლიდან ხდებოდა.

ჩვენი აზრით, XI-XIV საუკუნეებში საქართველოში მეფის ზეობის წლების ათვლა მისი ტახტზე თანამოსაყდრედ დასმის დროიდან (ანუ პირველად აყვანის დროიდანვე) ხდებოდა. ეს, სავარაუდოდ, ზოგადად არსებული ტრადიცია იყო. თუმცა, როგორც ჩანს, გამონაკლისებიც არსებობდა. ამიტომ ჩვენ მიერ დასაწყისში მოტანილ ციტატასთან დაკავშირებით, როდესაც ბასილი ეზოსმოძღვარი წერს, თამარ მეფემ „ოცდამესამედ, გინათუ მეოთხედ აღმავლობასა მეფობისა მისისა წელიწადსა იკითხა საქმე კარისა“, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ხდება 1202/3 (1179+23/4=1202) და არა 1207/8 (1184+23/4) წელს. მსგავსი ვითარება უნდა იყოს სხვა ანალოგიურ შემთხვევებთან დაკავშირებითაც (სხვა საკითხია, რომ თავად მემატიანე შეიძლება შეცდეს, როდესაც ასეთი ხერხით ათარიღებს რაიმე ამბავს).

[42] ქართლის ცხოვრება, გვ. 295.

Mikhail Bakhtadze

RECKONING OF REGNAL YEARS FOR THE GEORGIAN KINGS IN THE 11TH - 14TH CENTURIES

Summary

We have several cases of co-regnancy in Georgia of the 11th -14th cc. King used to enthrone his heir in his life. After father's death, son ruled alone.

Which was starting point for his regnal years, the one when he joined father on the throne, or the one when he was left alone on the throne.

It is well recorded that David VI, Vakhtang II and Giorgi V (the kings of Georgia in the 13th -14th cc.) thought about their first year of co-regnancy as of first year of their general rule. That was a tradition in the 11th -14th cc. to count the regnal years from co-regnancy. Only few exceptions took place.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

მამუკა წურწუმია

ცხენის აბჯარი შუა საუკუნეების საქართველოში

ბრძოლის ველზე ცხენს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მხედრის სიცოცხლე ცხენზე იყო დამოკიდებული, ამიტომაც მის დაცვას ადრიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ.[1]

ადამიანის მიერ ცხოველისათვის შექმნილი პირველი აბჯარი გვხვდება ძვ.წ. 2600-2500 წლების შუამდინარეთში, ქალაქ ურში, სადაც საბრძოლო ოთხთვალას გამწევ კანჯრებზე სამკერდე აბჯარი შეინიშნება.[2] საკუთრივ ცხენის აბჯარს სამი ათას წელზე მეტი ისტორია აქვს.[3] იგი შუამდინარეთში იშვა, სადაც ძვ.წ. II ათასწლეულიდან ცხენს ქსოვილით ან ტყავით ფარავდნენ.[4] საბრძოლო ცხენის აბჯარი წარმოიშვა საბრძოლო ეტლების გამწევი ცხენების დაცვითი საფარველისაგან.[5] თითქმის ყველა ნაწილი, რომლისგანაც მოგვიანებით შედგებოდა ცხენის აბჯარი, უკვე ჰქონდათ საბრძოლო ეტლების ცხენებს.

გამწევი ცხენის სამკერდე აბჯარი მოსართავისაგან განვითარდა და თავდაპირველად რბილი მასალის (ქსოვილის ან ტყავის) იყო, მაგრამ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში იგი უკვე ლითონის ფირფიტებით გააძლიერეს.

---

[1] მიუხედავად იმისა, რომ ცხენს შეეძლია მედგრად გადაიტანოს მძიმე ტვირთი, ბრძოლის შემდეგ ის მაინც ქმედუუნარო იქნება.

[2] Dirk H. Breiding. Horse Armor in Europe. in Heilbrunn Timeline of Art History. New York. The Metropolitan Museum of Art. 2000. http://www.metmuseum.org/toah/hd/hors/hd_hors.htm (March 2010).

[3] Dirk H. Breiding. Horse Armor in Medieval and Renaissance Europe. An Overview. in The Armored Horse in Europe, 1480-1620. New York. 2005, გვ. 8. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანისა და პირუტყვის აბჯარს შორის სხვაობა არ არის, რადგან თქმა უნდა, ფორმისა და დიზაინის გამოკლებით. G. N. Pant. Horse and Elephant Armour. Delhi. 1997. გვ. 13.

[4] В. П. Никоноров. Развитие конского защитного снаряжения античной эпохи. Краткие сообщения Института археологии. вып. 184. 1985, გვ. 34.

[5] Dirk H. Breiding. Horse Armor in Medieval and Renaissance Europe. გვ. 8.

ძვ.წ. IX საუკუნეში ასურეთსა და ურარტუში უკვე გვხვდება მთლიანი ბრინჯაოს სამკერდე. ძვ.წ. VI-V საუკუნეებში ცენტრალური აზიიდან გავრცელდა ქერცლოვანი და ლამელარული სამკერდეები.[6]

საბრძოლო ეტლის ცხენის გვერდის აბჯარიც წარმოდგება ქსოვილისგან, რომელსაც ძვ.წ. XV საუკუნიდან ლითონის ფირფიტებით აძლიერებენ. ელინისტურ პერიოდში ცხენის აბჯრის სამკერდე და გვერდის ნაწილები ერთიანდება ლითონის აბჯრის საფარველში, რომელიც ცხენის მკერდს და სხეულს იცავდა.[7]

ცხენის თავის დამცავი საშუალებები უფრო გვიან წარმოიშვა. *საშუბლე* არ გვხვდება ძვ.წ. II ათასწლეულში. ძვ.წ. IX საუკუნეში ასურეთში ვრცელდება ცხენის თავზე დამაგრებული ფირფიტები, რომელთაც, დეკორატიულის გარდა, დაცვითი ფუნქციებიც ჰქონდა. მათგან წარმოიშვა კლასიკური ექვსკუთხოვანი ვიწრო საშუბლე, როგორიცაა კვიპროსზე ნაპოვნი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული ბრინჯაოს ვიწრო საშუბლეები.[8]

მძიმე კავალერია შექმნეს ასურელებმა, რომლებმაც მძიმედ შეჭურვილი მებრძოლი ცხენზე აამხედრეს.[9] ამის მოწმობას ძვ.წ. XII-IX საუკუნეებში ასურნასირფალ II-ის (ძვ.წ. 883-859) და ტიგლათფილესერ III-ის (ძვ.წ. 745-727) დროინდელ გამოსახულებებზე ვპოულობთ. სინახერიბის (ძვ.წ. 705-681) დროს ცხენოსნის შეიარაღება უფრო მრავალფეროვანი ხდება. ამ პერიოდის ცხენები სამკერდულით და რბილი საფარველით არიან აღჭურვილნი.[10]

ძვ.წ. IX საუკუნიდან მოყოლებული, ცხენის აბჯარი, მათ შორის პირველი საშუბლეები, ვრცელდება დასავლეთ და ცენტრალურ აზიაში. ხვარაზმელები იყვნენ პირველნი, რომელთაც ძვ.წ. VI საუკუნეში ლითონის აბჯრით სრულად შეჭურვილი (მხედარიც და ცხენიც) კავალერია ჰყავდათ.[11]

შემდგომ საუკუნეებში ცხენის აბჯარი გვხვდება აღმოსავლეთის ყველა

---

[6] А. К. Нефёдкин. Защитное вооружение колесничных коней на Ближнем Востоке в ахеменидский и эллинистический периоды. Античный мир: проблемы истории и культуры. под ред. И. Я. Фроянова. СПб. 1998, გვ. 252-3.

[7] А. К. Нефёдкин. Защитное вооружение колесничных коней на Ближнем Востоке, გვ. 253-255.

[8] А. К. Нефёдкин. Защитное вооружение колесничных коней на Ближнем Востоке, გვ. 251-252.

[9] John W. Eadie. The Development of Roman Mailed Cavalry. The Journal of Roman Studies. 57 1967. გვ. 161.

[10] В. П. Никоноров. Развитие конского защитного снаряжения, გვ. 31.

[11] John W. Eadie. The Development of Roman Mailed Cavalry, გვ. 162; Dirk H. Breiding. Horse Armor in Medieval and Renaissance Europe, გვ. 8.

დიდი იმპერიის არმიებში. აბჯრით დაფარული მხედრობა ჰყავთ აქემენიდებსა და სელევკიდებს, განსაკუთრებით ინტენსიურად იყენებენ მათ პართიასა და სასანურ ირანში, რომელთა წაბაძვით შეჯავშნული კავალერია ვითარდება რომსა და ბიზანტიაში.

საქართველოში ცხენის აბჯრის კვლევა ბევრ სიძნელეს აწყდება. უპირველესად, უნდა აღინიშნოს არქეოლოგიური ნიმუშების და, საერთოდ, მატერიალური მხარის არარსებობა.[12] საქმეს ისიც ართულებს, რომ ცხენის აბჯრის არც ერთი სრულფასოვანი გამოსახულება არ მოგვეპოვება.[13]

საყურადღებოა, რომ პრაქტიკულად იგივე სიტუაციაა ბიზანტიაშიც:

---

[12] ერთადერთი გამონაკლისი ექვე დაკარგული ჯ.წ. ბერლინური ეგზემპლარი შეიძლება ეოფილიყო. ივ. ჯავახიშვილის მოწმობით, საქართველოდან გატანილი ცხენის აბჯარი მეორე მსოფლიო ომამდე ბერლინში ინახებოდა: „სამწუხაროდ, არც საქართველოს მუზეუმის კოლექციებში და არც სხვაგან სადმე საქართველოში ამჟამად რაინდისა და ცხენის მთლიანი იმდროინდელი ჯაჭვანი და თორი უკვე აღარ მოიპოვება. მხოლოდ ბერლინის ეთნოგრაფიულში (იარაღის მუზეუმში) ნახავს ადამიანი საქართველოდან (ხევსურეთიდან) XIX ს-ში გატანილს, მანიკენზე ჩამოცმულს XIII ს. რაინდისა და ცხენის ორს მთლიანს საუცხოო ანაერებს“. ივ. ჯავახიშვილი. შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა. გაზ.: „კომუნისტი“. 1937, №55; ციტირებულია კ. ნოლოეაშვილის მიხედვით: კოტე ნოლოეაშვილი. ქართული საჭურველი: ჯაჭვი. „სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“. ტ. XIX-B. 1956, გვ. 281.

[13] შესაძლოა, საქართველოში ნაპოვნი შეჯავშნული ცხენის პირველი გამოსახულება ძვ.წ. V-IV საუკუნეებს მიეკუთვნებოდეს. დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგორის განძის სამკაულზე, რომელიც ცხენის ფორმის სასაფეთქლე საკიდს წარმოადგენს, შეჯავშნული ცხენი უნდა იყოს გამოსახული (სურ. 1). ახალგორის განძში აღმოჩენილი ცხენის აღკაზმულობა, რახტის შესამკობი ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვანაირი ფირფიტები, ლაგმები, თავისთავად მეტყველებს დაწინაურებულ საცხენოსნო საქმეზე. ახალგორის ცხენი მთლიანადაა დაფარული ორნამენტით, რომელიც, ალბათ, აბჯარს გამოსახავს. ი. სმირნოვი, რომელსაც ექვთენის ერთადერთი გამოკვლევა ახალგორის განძის შესახებ, ფიქრობს, რომ ცხენის სხეულზე დატანილი ხოლები და სხვა მორთულობა ცხენის საფარს (попона) გადმოგვცემს. Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад. Тиф. 1934, გვ. 27. ეს საფარი კი რეალობაში ცხენის აბჯარს წარმოადგენს, რომელიც ქსოვილის (ტყავის) ან ლითონის იქნებოდა. გასათვალისწინებელია, რომ ახალგორის ცხენის ფიგურა რეალისტურადაა შესრულებული და შეძლებისდაგვარად ასახავს სინამდვილეს. მაგალითისათვის, ჯერ კიდევ ი. სმირნოვმა შეამჩნია, რომ სამკაულზე გამოსახული ლაგამი, ბოლოებგაფართოებული საბეკურებით და სამი პარა რგოლით, სუსტად იმეორებს ამავე განძში ნაპოვნ ბრინჯაოს ლაგამს. Я. И. Смирнов. Ахалгорийский клад, გვ. 27, 53-55. ასევე რეალისტურადაა შესრულებული ე. წ. საქოჩრე, რომელიც ცხენს თავზე ადგას და მილის ფორმა აქვს. ასეთი საქოჩრე, მილის, ადამიანის თუ სხვა ფორმის ფიგურით, მრავლადაა ნაპოვნი არქეოლოგთა მიერ. ოსტატურადაა გაკეთებული აბჯრის ქობაც, რომელიც არაბულებრივად ბრტყელია ცხენის მუცლისათვის და აბჯრის ქვედა კიდეს უნდა გადმოგვეცემდეს. ასე რომ, ჩემი აზრით, ახალგორის ცხენი შეგვიძლია თამამად განვიხილოთ, როგორც შეჯავშნული ცხენის მაგალითი.

ადრეულ ეპოქაში შეჯავშნული ცხენის არც ერთი ბიზანტიური გამოსახულება არ მოიძიება.[14] უფრო გვიან კი მხოლოდ ერთი (!) ასეთი მინიატურა მეგულება.[15] თუმცა, ამის გამო არავინ უარყოფს ბიზანტიაში ცხენის აბჯრის არსებობას, რადგანაც არსებობს უტყუარი წერილობითი ცნობები. ეს მოვლენა შესაძლოა აიხსნას მართლმადიდებლურ ხელოვნებაში დამკვიდრებული, ყველასათვის საერთო ხატწერის ტრადიციით, რომელსაც თავისი კანონიკა ჰქონდა და რომელშიც თავიდანვე არ ასახულა შეჯავშნული ცხენი.[16] პ. გროტოვსკი, რომელსაც ეკუთვნის უახლესი და ყველაზე საფუძვლიანი გამოკვლევა წმინდანთა შეიარაღების თაობაზე, იკვლევს ცხენის აბჯრის პრობლემას და ადგენს, თუ რატომ ვერ აისახა ის ბიზანტიურ იკონოგრაფიაში, რის მიზეზადაც ასახელებს იკონოგრაფიული ტრადიციის არქონას, კატაფრაქტართა მცირე რიცხვს და წმინდა მეომრებსა და კატაფრაქტართა ფორმაციებს შორის კავშირის არარსებობას. რაც მთავარია, ავტორი სრულიად მართებულად ასკვნის, რომ იკონოგრაფიული ტრადიციონალიზმი უშვებდა ახალი მოტივების დანერგვას, მხოლოდ კომპოზიციის ფარგლებში და არ ანგრევდა მთლიან სტრუქტურას ისეთი ელემენტის შემოტანით, როგორიც ცხენის აბჯარია.[17] ცხადია, რომ იგივე პრობლემები იდგებოდა ქართველი ხატმწერის წინაშეც.

ეჭვი შეიძლება იმანაც დაბადოს, რომ საქართველოში არ გამოუყვანიათ საგანგებოდ დიდი ზომის ცხენის ჯიშები, როგორც ეს გვიან შუა საუკუნეების ევროპაში მოხდა რაინდული კავალერიისათვის. თუმცა იმის წარმოდგე-

---

[14] David Nicolle. Romano-Byzantine Armies 4th-9th Centuries. Oxford. 1992, გვ. 40. ასეთივე ვითარებაა X-XII საუკუნეებშიც.

[15] Ian Heath. Byzantine Armies 1118-1461 AD. Oxford. 1995, გვ. 18. შეჯავშნული ცხენის ეს გამოსახულება ვენეციაში დაცულ XIV საუკუნის მეორე ნახევრის ბერძნულ „ალექსანდრიანში" მოიპოვება. საინტერესოა, რომ ამ ტრაპიზონელი მანუსკრიპტის მინიატურები შესრულებულია სამი მხატვრის მიერ, რომლებსაც ქართველებად მიიჩნევენ. Maria G. Parani. Reconstructing the Reality of Images: Byzantine Material Culture and Religious Iconography (11th - 15th Centuries). Brill. 2003, გვ. 22, 186; Yannis D. Nakas. 14th-Century Galleys in the Black Sea: Ships in the Romance of Alexander the Great. The International Journal of Nautical Archaeology. 37.1. 2008, გვ. 77-8.

[16] ცნობილია, რომ სამხედრო აღჭურვილობის გადმოცემისას ბიზანტიური ხელოვნება საკმაოდ კონსერვატიულია. A Companion to Medieval Arms and Armour. ed. by D. Nicolle. Woodbridge. 2002, გვ. 63; Maria G. Parani. Reconstructing the Reality of Images, გვ. 155. მართალია, იკონოგრაფიული ტრადიციონალიზმი უშვებდა შეცვლილი რეალობის კვალდაკვალ ახალი მოტივების დანერგვას, მაგრამ კომპოზიციის ფარგლებში. Piotr L. Grotowski. Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography (843-1261). Leiden. 2010, გვ. 395.

[17] Piotr L. Grotowski. Arms and Armour of the Warrior Saints, გვ. 395-397.

ნაც არასწორია, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ცხენი დიდი სიმაღლის (მინდაოში თვრამეტი ხელის დადება)[18] მონსტრი იყო, რომელსაც გზად ყველაფრის გადათელვა შეეძლო. იმდროინდელი საბრძოლო ცხენის სიმაღლე დაახლოებით თხუთმეტი ხელის დადება იყო.[19]

ისიც უნდა ითქვას, რომ შეჭურვილი მხედრისა და აბჯრის სატარებლად სულაც არ არის საჭირო განსაკუთრებით დიდი ზომის ცხენები.[20] სტეპების კავალერია საუკუნეების განმავლობაში პატარა ზომის ცხენს ან სულაც დიდ პონის იყენებდა. შეჯავშნული ცხენისათვის მთავარ პრობლემას არა აბჯრის წონა, არამედ გადახურების საშიშროება წარმოადგენდა.[21] ამასთან, ქართული ფეოდალური საზოგადოების ის ელიტა, რომელიც თავს ჯავშნიანი ცხენის ყოლის უფლებას აძლევდა, შედარებით დიდი ზომის ცხენებსაც იყოლიებდა, როგორც ეს დადასტურებულია წყაროებში.[22]

არ არის გამორიცხული, რომ ამ პრობლემების ერთიანობამ მკვლევარი შეცდომაში შეიყვანოს. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში ცხენის აბჯრის არსებობაში ეჭვი შეიტანა ქართული სამხედრო საქმის მკვლევარმა ს.

---

[18] ანუ 180 სმ სიმაღლის; ერთი „ხელი" დაახლოებით 10 სმ, უფრო ზუსტად კი 4 დუიმია.

[19] იხ. მ. ბენეტის და მ. ლიტაუერის შრომები: Matthew Bennett. The Medieval Warhorse Reconsidered. in Medieval Knighthood V: Papers from the Sixth Strawberry Hill Conference. 1994. ed. by S. Church and R. Harvey. Woodbridge, 1995, გვ. 19-40; Mary Aiken Littauer. How Great was the "Great Horse"? A Reassessment of the Evidence. in Selected Writings on Chariots and Other Early Vehicles, Riding and Harness. Brill, 2002, გვ. 452-459. ინგლისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებიც მოწმობს, რომ შუა საუკუნეების ცხენი იშვიათად თუ აღწევდა 16 ხელის სიმაღლეს, ძირითადად კი ის 12.5-15 ხელის დადება იყო. ზომები მიღებულია ცხენის ჩონჩხის, ლაგამისა და ნალების გაზომვის შედეგად. John Clark. The Medieval Horse and its Equipment. c.1150-c.1450. Woodbridge. 2004, გვ. 22-32.

[20] თანამედროვე ჰიპოლოგების მონაცემებით, ცხენისათვის ნორმალური დატვირთვა მისი წონის 1/3-ს შეადგენს. А. К. Нефёдкин. Под Знаменем Дракона: Военное Дело Сарматов во II в. до н. э. - V в. н. э. СПб. 2004, გვ. 147.

[21] David Nicolle. Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom. London. 1999, გვ. 41. გადახურება სწრაფად ღლის ცხენს და უკიდურეს შემთხვევაში, კუნთების სრულ დამბლასაც იწვევს. Philip Sidnell. Warhorse: Cavalry in Ancient Warfare. London, 2006, გვ. 147.

[22] მაგალითისათვის, იმერეთის მეფის ძმას, მამუკას, ჰყავდა „ცხენი ზერდაგი დიდი, ძლიერი და ფიცხელი, რომელსა ვერ უდგმიდა კუეთებასა მისსა მეგრელთა ლაფშა". ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 830. შოთა რუსთაველიც აგვიწერს დიდი სიმის ცხენებს: „ათასი ცხენი ტაიჭი, სიდიდით მსგავსი ქედისა". შოთა რუსთაველი. ეეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა „ეეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ. თბ. 2009, სტრ. 1560.

მარგიშვილმა. თავდაპირველად ის წერდა: „რაც შეეხება ცხენებს, როგორც ჩანს, მათ დასაცავად ლითონის ჯავშანი არ გამოიყენებოდა, ხოლო ხელმწიფის კარის გარიგებაში დასახელებული „საცხენე ჯავშანი" (მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი) უფრო აკაზმულობის გასალამაზებელი დეტალები იყო, ვიდრე დამცავი ელემენტები".[23] იქვე ის კიდევ ერთხელ იმეორებს: „რაც შეეხება ცხენის დამცავ საჭურველს, ის, როგორც ჩანს, არ გამოიყენებოდა და ამიტომ არც გამოსახულებებში ხვდებოდა".[24] მიუხედავად ამისა, შემდგომ, წყაროების ანალიზის საფუძველზე, იგი მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ცხენის აბჯარი საქართველოშიც არსებობდა: „ცხენის შეჯავშნის ტრადიცია გაჩნდა აღმოსავლურ არმიებში და აქედან გავრცელდა დანარჩენ სამყაროში, იგი ცნობილი იყო საქართველოშიც, მაგალითად, მიხეილ ატალიატეს მიხედვით აბაზგები ცხენებს ჯავშნით ფარავდნენ, რაც ამ დროისათვის საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში მძიმე ცხენოსნების არსებობას მიუთითებს, შეჯავშნული (თოროსანი) ცხენი საკმაოდ ხშირად იხსენიება ქართულ წერილობით წყაროებშიც".[25]

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ცხენის აბჯარი ნამდვილად იყო გავრცელებული საქართველოში და მას დიდი ხნის ისტორია აქვს. შეჯავშნულ ცხენზე ბრძოლის ტრადიცია ქართველებს, სულ ცოტა, ვახტანგ გორგასლის ხანიდან აქვთ დადასტურებული. ჯუანშერი ასე აღწერს ვახტანგ გორგასლის მხედრობას: „ხოლო სპანი იგი წარემართნეს განმზადებულნი, **ცხენ-თორნოსანნი** და ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი".[26] ჯუანშერის მიხედვით, მხედარი ჯაჭვით და ჩაბალახით არის აღჭურვილი, ცხენი კი – თორნით.

ტერმინ *თორნს* ხანგრძლივი ისტორია აქვს და იგი ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნების პირველ ქართულ თარგმანებშია დადასტურებული.[27] მას აქვს ორნაირი მნიშვნელობა: *თორნ*-ი აბჯარია და ამავე დროს, *თორნ*-ე პუ-

---

[23] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბ. 2006, გვ. 187.

[24] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, გვ. 188.

[25] ს. მარგიშვილი. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში. ნაწ. I. თბ. 2008, გვ. 97. ავტორი შეცდომას უშვებს ცხენის აბჯრის წარმოშობა-გავრცელების ლოკალიზაციაში.

[26] ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 155.

[27] მ. წურწუმია. ფირფიტოვანი აბჯრის ევოლუცია საქართველოსა და ბიზანტიაში: ლამელარული და ქერცლოვანი აბჯარი X-XII საუკუნეებში. ქართველოლოგია. I. 2010, გვ. 6-7. შენ. 26.

რის საცხობია.[28] საინტერესოა, რომ ასეთივე ორმაგი – აბჯრის და ღუმელის – მნიშვნელობით გვხვდება შეჯავშნულ ცხენზე ამხედრებული მებრძოლის აღმნიშვნელი სიტყვა რომისა და სპარსეთის არმიებში. მძიმედ შეჭურვილ ცხენოსანს, რომელიც შეჯავშნულ ცხენზე იჯდა, რომაელები *კლიბანარიებს* უწოდებდნენ. სიტყვა *ცლიბანარი* წარმოდგება საველე ღუმელიდან,[29] რომელსაც რომაულ არმიაში იყენებდნენ და მიანიშნებს იმ მდგომარეობაზე, რასაც მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი სიცხეში განიცდიდა.[30] რკინაში ჩამჯდარი მხედარიც და ცხენიც თაკარა მზის ქვეშ თითქოსდა „ცოცხლად იხარშებოდა". ზუსტად იმავე შინაარსის ტერმინს იყენებდნენ სპარსეთში ცხენოსნის მძიმე შეჭურვილობის აღსანიშნავად. ლათინური *კლიბანარიის* სინონიმი იყო სპარსული სიტყვა *ტანურიგ,* რაც „ღუმელს" ნიშნავდა და აქაც, გადმოგვცემდა მძიმედ შეჭურვილი მებრძოლის მდგომარეობას სიცხეში.[31] *ტანურიგ,* ისევე როგორც კლიბანარი, სიტყვასიტყვით „ღუმელის კაცს" ნიშნავდა.[32] ცხადია, რომ *თორნი* შინაარსობრივად იგივე კონსტრუქციაა, რაც კლიბანარი და ტანურიგი. რომაელთა და სპარსელთა წაბაძვით, იგი მხედრის მძიმე აღჭურვილობის აღსანიშნავად მკვიდრდება ქართულ ენაში. ამავე დროს ტერმინის სიძველე მიუთითებს საქართველოში ცხენის შეჯავშნის ხანგრძლივ ტრადიციაზე, რომელიც სათავეს იბერიის სამეფოში იღებს.

კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ცნობები გვაქვს ცხენის აბჯრის შესახებ შუა საუკუნეებში. XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ყალიბდება ერთიანი ქართული მონარქია და ქართული ფეოდალური კლასი აღმავლობას განიცდის, აშკარად ჩანს ქართველთა მძიმე შეიარაღება და შეჯავშნული ცხენები.

XI საუკუნის ბიზანტიელი ავტორი მიხეილ ატალიატე მოგვითხრობს,

---

[28] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოაქვეყნა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. I. თბ. 1991, გვ. 310.

[29] ბერძნული სიტყვა κλίβανος ნიშნავს ღუმელის მსგავს დახურულ ქოთანს, რომელშიც პური ცხვებოდა. John W. Eadie. The Development of Roman Mailed Cavalry. გვ. 169.

[30] Peter Connolly. Greece and Rome at War. London. 1981, გვ. 257.

[31] Manouchehr Moshtagh Khorasani. Arms and Armor from Iran: The Bronze Age to the End of the Qajar Period. Tubingen. 2006, გვ. 277.

[32] David Nicolle. Jawshan. Cuirie and Coats-of-Plates: An Alternative Line of Development for Hardened Leather Armour. in A Companion to Medieval Arms and Armour. ed. by D. Nicolle. Woodbridge. 2002, გვ. 182-183. საინტერესოა, რომ სპარსული ტერმინის ჯაჟშის ფუძე, მკერდის გარდა, სიცხესაც ნიშნავდა. David Nicolle. Jawshan. Cuirie and Coats-of-Plates. გვ. 183, შენ. 24.

რომ ბიზანტიელებთან 1021-1122 წლების ომში ქართველთა „სიმამაცეს არა მხოლოდ სიმრავლე განაპირობებდა, არამედ ისიც რომ უმძლავრესი აბჯრით იყვნენ დაცული და არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ შეჯავშნულ და მოუწყვლად ცხენებსაც ყოველი მხრიდან [აბჯრით] ფარავდნენ".[33]

ბიზანტიელებთან იმავე ომის აღწერისას სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი ქართველთა მძიმე შეიარაღებას მათი მარცხის მიზეზადაც კი ასახელებს: „[ქართველები] გაბედულად მიეწივნენ [მოწინააღმდეგეს] ცხენებით, რომლებიც ძალაგამოცლილნი იყვნენ ტვირთის, რკინის იარაღის [ტარებისა] და სწრაფი და ხანგრძლივი სვლის გამო".[34] უნდა ვიფიქროთ, რომ რკინის იარაღში, რომელმაც დაღალა ცხენები, სომეხი ავტორი სწორედ ცხენის აბჯარს გულისხმობს,[35] მითუმეტეს, რომ იმავე მხედრობას აღწერს, რომელსაც ბიზანტიელი ატალიატე.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში", რომელიც XIV საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლია და დეტალური ცნობების იშვიათი სიუხვით გამოირჩევა, ჩამოთვლილია სახელმწიფო არსენალში (ზარადხანაში) დაცული საჭურველი, საიდანაც ნათელია, რომ ცხენის აბჯარი ქართველი რაინდის აღჭურვილობის შემადგენელი ნაწილია: „სრულიად ყოველივე უნაგირი მოჭედილი და ხამი, აკაზმულობა, რაც ზედ აბია, და რაც საცხენე ჯავშანი, მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელს-საბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი და ამისთანა ყველა".[36]

ცხენის აბჯარი დადასტურებულია XV საუკუნის დასაწყისის კიდევ ერთ ნარატიულ წყაროში. „ძეგლი ერისთავთას" მიხედვით, ცხრაზმისხევის ერისთავს უბოძეს „საჭურველი და ცხენი თორნოსანი, დროშაი და შუბი".[37]

მონაცემებით მდიდარია ქართული ლიტერატურული წყაროებიც, რომლებიც გვაწვდიან მრავალფეროვან მასალას ცხენის აბჯრის შესახებ.

---

[33] მიხეილ ატალიატე. ისტორია. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. VI. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1966, გვ. 27. მადლობას მოვახსენებ ქ. ნიჟარაძეს ამ მონაკვეთის ხელახალი, ზუსტი თარგმანისათვის.

[34] არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებით და სახიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1974, გვ. 51.

[35] ეს დაკვირვება პაულე თოფურიას ეკუთვნის (იხ.: პ. თოფურია. ამიერკავკასიის ქალაქები: X-XIII ს. პირველი მეოთხედი (გარეგანი სახე, ხელოსნური წარმოება). თბ. 1985, გვ. 114).

[36] „გარიგება ხელმწიფის კარისა". ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და სახიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 87.

[37] „ძეგლი ერისთავთა". ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და სახიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 104.

„ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით ცნობას ცხენის ხვარაზმული აბჯრის შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ ფასობდა XII საუკუნის საქართველოში: „კაცსა და **ცხენსა ემოსა აბჯარი** ხვარაზმულია“.[38]

XII საუკუნის სარაინდო რომანში, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“, შეჯავშნული ცხენი გმირთა ჩვეული თანამგზავრია: „შეჭურვილი იყო ყოვლისა საჭურველითა და **შეჭურვილსა ცხენსა** ზედან იჯდა“;[39] „იგი ბუმბერაზი ერთსახე შემოსილიყო – **ცხენი და კაცი რკინითა**“.[40]

ეს ტრადიცია XVII საუკუნეშიც კი გრძელდება, რაც შეიძლება იმის მანიშნებელი იყოს, რომ საქართველოში ცხენის აბჯარი ხანგრძლივად, ალბათ, ცეცხლსასროლი იარაღის მასობრივ გავრცელებამდე გამოიყენებოდა.

XVII საუკუნის დასაწყისში კახეთის მოურავის, სარდალ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მიერ დაწერილი „ომაინიანში“ ვკითხულობთ: „კაცი და **ცხენი შავი რკინითა** ესე **შეჭედილი იყვნეს**, რომ ბეწვი კაცს არ უჩნდა“.[41]

„რუსუდანიანში“, XVI-XVII საუკუნეების ანონიმურ თხზულებაშიც, ხშირად გვხვდება შეჯავშნული ცხენის აღწერა: „**ცხენ**-კაციანად **რკინით შეჭურვილი იყო**“.[42] ქართულ წერილობით წყაროებში დაცული მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ცხენის აბჯრის ტიპებზე და მის შემადგენელ ნაწილებზე, როგორიცაა საშუბლე, კისრისა და ტანის აბჯარი.

ცხენის სხეულის აბჯარი. ქართული წყაროები არ გამოყოფენ ცხენის სხეულის აბჯრის ცალკეულ დეტალებს. საქართველოში არ შეინიშნება ცალკე სამკერდე აბჯარიც, სხვა (გვერდების და გავის) ნაწილებთან ერთად ის ინტეგრირებული იყო ცხენის ერთიან აბჯარში.

ქართულ ენაში ცხენის აბჯრის სახელწოდება *ბარგისტანი* სპარსულიდანაა შემოსული. საბას განმარტებით, *ბარგისტანი* ცხენის ჯავშანია.[43] იგი

---

[38] შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. სტრ. 1569. ხვარაზმული იარაღის მაღალ ხარისხსა და მის ფართოდ გაერცელებას მოწმობს X-XIII საუკუნეების არაბული და სპარსული წყაროები, რომელთა მიხედვით ხვარაზმიდან მრავლად გაჰქონდათ ხმალი, მშვილდ-ისარი, ფარი, მუზარადი, ჯავშანი და სხვ. ვ. ბერაძე. მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფანდიარის თხზულებაში. საქართველოს ისტორიის აღმოსაელური მასალები. წ. I. თბ. 1976, გვ. 88.

[39] მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა. თბ. 1967, გვ. 702.

[40] მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი, გვ. 233.

[41] ქ. ჩოლოყაშვილი. ომაინიანი. გამოსაცემად მოამზადა ლიანა კეკელიძემ. თბ. 1979, გვ. 166-7.

[42] რუსუდანიანი. ილია აბულაძისა და იოანე გიგინეიშვილის. თბ. 1957, გვ. 284.

[43] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I, გვ. 95.

წარმოდგება სპარსული სიტყვიდან *ბარგუსტუწან*.[44]

მონღოლთა ირანში გაბატონების შემდეგ ცხენის აბჯრის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიაც იცვლება: ძველი ბარგისტანი (*ბარგუსტუწან*) ადგილს უთმობს *ქეჯიმს* (*კაჯიმ*).[45] ეს ტერმინი საქართველოშიც შემოვიდა, თუმცა ბარგისტანი XVII საუკუნეშიც შენარჩუნებულია.[46]

ქართულ წყაროებში მოიხსენიება ლამელარული, ჯაჭვის, ჯაჭვ-ფირფიტოვანი და რბილი ორგანული მასალის (ტყავი, ქსოვილი) ცხენის აბჯრები.

ლამელარული ტიპის ცხენის აბჯარი გვხვდება ჯუანშერთან, „ძეგლი ერისთავთა“ და „ხელმწიფის კარის გარიგებაში“.

ტერმინოლოგიურად, საქართველოში ლამელარს *ჯავშანი* შეესატყვისებოდა. ტერმინი *ჯავშანი* სპარსული წარმოშობისაა და სხეულის, მკერდის აბჯარს ნიშნავს. *ჯავშანი,* ჩვეულებრივ, ლამელარული კონსტრუქციის კირასას აღნიშნავდა. მისი ერთ-ერთი უადრესი ხსენება გვხვდება მეცხრე საუკუნის არაბი ისტორიკოსის ალ-ბალაზურის ნაშრომში, რომელიც არაბ-სასანელთა ბრძოლებს აღწერს.[47] უდავოა, რომ ქართული „ჯავშანიც“ სწორედ სპარსულიდან მომდინარეობს.[48] ქართულ წყაროებში ჯავშანი პირველად ჯუანშერის მერვე საუკუნის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ გვხვდება: „[ვახტანგი] აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილსა ჯავშნითა“.[49] ქართულში, ლამელარს კიდევ ერთი სიტყვა აღნიშნავდა – *თორნი* (*თორნე*). ჯუანშერის თხზულებაში თორნიც დასტურდება. აქ ჯავშნით შეჭურვილი ცხენი მოიხსენიება, როგორც „ცხენ-თორნოსანი“,[50] რაც იმას ნიშნავს, რომ თორნოსანი ცხენი ლამელარული ტიპის ჯავშანს ატარებდა. „ცხენი თორნოსანი“ გვხვდება XV საუკუნის დასაწყისის წყაროშიც – „ძეგლი ერისთავთა“.

ასე რომ, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენიებული „საცხენე ჯავშანი“ მიანიშნებს მის ტიპზეც, – ლამელარულ ჯავშანზე. მოსაზრებას,

---

[44] David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era. 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia. London. 1999, გვ. 507.

[45] David Nicolle. Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades 1050-1300 AD, vol. 2. London. 2007, გვ. 287.

[46] იხ. ქ. ნიღოფაშვილი. ომაინიანი, გვ. 53, 105.

[47] David Nicolle. Jawshan. Cuirie and Coats-of-Plates: An Alternative Line of Development for Hardened Leather Armour," in A Companion to Medieval Arms and Armour, ed. by D. Nicolle. Woodbridge. 2002, გვ. 191.

[48] David Nicolle. Saladin and the Saracens. Oxford. 1986, გვ. 23; Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours. London. 1998, გვ. 166.

[49] ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 154.

[50] ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 155.

რომ აქ კონკრეტულ აბჯრის ტიპთან გვაქვს საქმე, ისიც განამტკიცებს, რომ ამავე დოკუმენტში დაცვითი აღჭურვილობის საერთო ჩამონათვალი „აბჯრითაა“ აღნიშნული.[51]

ლამელარულის გარდა, საქართველოში ჯაჭვისაგან მოქსოვილი ცხენის აბჯარიც გამოიყენებოდა. ამის მაგალითები გვხვდება „ამირანდარეჯანიანსა“ და „რუსუდანიანში“: „**ცხენსა** და კაცსა – ყველასა **ჯაჭვები ემოსათ**“;[52] „ისარი უკრა [**ცხენის**] **ფერდსა, ჯაჭვი** გაუტეხა და შიგან გაავლო“;[53] „მისსა **ცხენსა რვალის ჯაჭვი ეცვა,** რომ არა იარაღი არ მოეკიდებოდა“;[54] „გამოიტანეს ეგეთივე **ჯაჭვი ცხენისა** და ჩააცვეს“.[55]

ამას გარდა, „ამირანდარეჯანიანში“ ვხვდებით ცხენის ისეთ აბჯარს, როდესაც ჯაჭვი კომბინირებული იყო პოლოტიკებთან ანუ რკინის ფირფიტებთან, რომლებიც მას დამატებით სიმტკიცეს მატებდა: „**ეკიდნეს რკინანი** სატკივართა ადგილთა თავისასა და **ცხენისადაცა**“;[56] „გამოვიდა მესამეცა ბუმბერაზი, **დაეკიდნეს რკინანი ცხენისად** სატკივართა ადგილთა“;[57] „**პოლოტიკნი რკინანი დაეკიდნეს სატკივართა ადგილთა ცხენისადცა** და თუითცა; **ჩაბალახი გარდაეკიდნეს ეგრევე ცხენისა მკერდსა, თავსა და ფერდსა**“.[58] ბოლო მოწმობა განსაკუთრებით საინტერესოა. აქ აღწერილია აბჯრით მთლიანად შემოსილი ცხენი, რომლის თავიც, მკერდიც და ფერდებიც ჯაჭვითაა დაფარული; დამატებით ჯაჭვის აბჯარი (ჩაბალახი)[59] გაძლიერებულია რკინის ფირფიტებით (პოლოტიკი). ასეთი ტიპის აბჯარი ნამდვილი ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის წინამორბედია.[60]

---

[51] „ერთის ტანსაცმელის აბჯრის მეტი, სხვაი ყველა აბჯარი, რა'ხომიცა თანა აქეს“. „გარიგება ხელმწ'იფის ქარსა“, გვ. 87.
[52] მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი, გვ. 762.
[53] მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი, გვ. 788.
[54] რუსუდანიანი, გვ. 176.
[55] რუსუდანიანი, გვ. 427.
[56] მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი, გვ. 68-9.
[57] მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი, გვ. 149.
[58] მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი, გვ. 475.
[59] საბას მიხედვით, ჩაბალახი ჯაჭვის ქუდია (იხ.: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. აეტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის სამიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. II. თბ. 1993, გვ. 313). ნეენ შემოხვევაში მოსე ხონელს ჩაბალახი ჯაჭვის მნიშვნელობით აქვს გამოყენებული.
[60] ცხენის ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი გვიანდელია. იგი XV ს-ში ჩნდება წინა აზიაში, XVI ს-ში კი აბჯრის გაბატონებული ფორმად იქცევა. Л. А. Бобров, Ю. С. Худяков. Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья. Военное дело номадов Северной и Центральной Азии. Новосибирск. 2002, გვ. 136.

ლითონის ბარგისტანი ცხენის ძვირად ღირებული ჯავშანი იყო და ის მხოლოდ დიდებულებსა და წარჩინებულ მოლაშქრეებს ექნებოდათ, უფრო გავრცელებული იქნებოდა ტყავისგან ან თექისგან დამზადებული ცხენის აბჯარი.

ცხენის ასეთ აბჯარს ფართოდ იყენებდნენ აღმოსავლეთში.[61] თექის აბჯარი მსუბუქი, იაფი და ეფექტური იყო ისრის საწინააღმდეგოდ. მისი დასამზადებელი მასალაც ადვილად მოიპოვებოდა.[62] თითქოს ასეთ აბჯარზეა საუბარი „ომაინიანში", როდესაც ორჯერ აღნიშნავენ, რომ ისარმა ბარგისტანი გაკვეთა და არა გატეხა ან გაგლიჯა, როგორც ეს ფირფიტის ან ჯაჭვის შემთხვევაში შეიძლება ეთქვათ: „ცხენს... მკერდს ისარი უკრა, **ბარგისტანი გაუკვეთა** და ზედან დაასვა";[63] „ცხენსა მკერდსა ისარი ჰკრა, **ბარგისტანი** გაუკვეთა".[64]

თექისა და ტყავის გარდა, იყენებდნენ რბილი ქსოვილისაგან დამზადებულ საფარველსაც. სულხან-საბას მიხედვით, *ქეჯიმი* „სამკაულია, ცხენთა გვერდითა საფარი, შეჭედილი ანუ ოქრომკედოვანი, მოსახდომელადცა და ომში საფარად; ქეჯიმი ეწოდების მას სამკაულთა ცხენთასა, რომელ უნაგირთა დამოჰკიდებენ კეთილად შეჭედილთა ანუ სირმითა ნაკერთა, რათა გვერდნი დაუფარენს ცხენთა ომსა შინა. კვალად საშვენებელიც არს.[65] *ქეჯიმი* ქსოვილის საფარია, რომელიც მორთულ-მოხატული იყო და შესაძლოა, რიგ შემთხვევებში ჰერალდიკურ ფუნქციებსაც კი ასრულებდა. საქართველოში ცხენის საფარად მეტად ძვირადღირებულ ოქრომკედის ქსოვილსაც იყენებდნენ, რაც მფლობელის მაღალ სოციალურ მდგომარეობას ასახავდა. სულხან-საბას ამ ცნობას ადასტურებს „ამირანდარეჯანიანში" აღწერილი ცხენი, რომელიც მდიდრული, ოქრომკედის ქსოვილის ქეჯიმით იყო დაფარული: „ცხენი შემოიყუანეს, სკარამანგისა ფლასი ზედ ეხურა, თუალსა კაცისასა ეგეთი არა უნახავს!"[66]

საშუბლე (შამფრონი). ცხენის თავს იცავდა *საშუბლე* – ცხენის შუბლის ჯავშანი, რომელსაც ევროპაში *შამფრონი* ეწოდებოდა. იგი შეიძლება ყოფილიყო მთლიანი – რკინის ერთიანი ფირფიტისაგან ან შედგენილი, რამდენიმე სეგმენტისაგან დამზადებული. შედგენილს შეიძლება დამატებით ლო-

---

[61] რბილი ქსოვილის აბჯარი, რომელიც მთლიანად ფარავდა ცხენს, ჯერ კიდევ ასურეთში იყო გავრცელებული ძვ. VII საუკუნეში (იხ.: А. К. Нефёдкин. Защитное вооружение колесничных коней, გვ. 253-254).

[62] David Nicolle. The Armies of Islam 7th-11th Centuries.Oxford. 1982, გვ. 12.

[63] ქ. ხელოყაშვილი. ომაინიანი, გვ. 53.

[64] ქ. ხელოყაშვილი. ომაინიანი, გვ. 105.

[65] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II, გვ. 222.

[66] მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი, გვ. 66: სკარამანგი ძვირფასი და ოქროს ძაფებით მოხატული ქსოვილია. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II, გვ. 101.

ყების საფარიც ჰქონოდა.[67] საშუბლე გვხვდება „ამირანდარეჯანიანში“, „ომანიანში“, „რუსუდანიანში“: „გამოიღო ისარი, უკრა ცხენისა შუბლსა, **საშუბლე** გაუკვეთა და კუდში გაავლო“;[68] „მეფის შვილმან სპასალარის ცხენს შუბი შესცა, **საშუბლე** გაუხეთქა და ცხენის ტვინსა დაასვა“;[69] „მოუქნია... **ცხენსა, თავსა** ხმალი უცა, **პოლოტიკნი გაუკვეთა** და ცხენსა თავსა დიდი შჰეკვეთა“.[70] საინტერესოა, რომ „რუსუდანიანში“ ცხენს ფურცლოვანი რკინისაგან (პოლოტიკისაგან)[71] შეჭედილი საშუბლე უკეთია.

ცხენის კისრის აბჯარი (კრინეტი). ლითონისაგან გაკეთებული ცხენის კისრის აბჯარი ფეოდალური ხანის პროდუქტი უნდა იყოს.[72]

კრინეტი ერთადერთი დეტალია ცხენის აბჯრიდან, რომლის რამდენიმე გამოსახულებამაც დღემდე მოაღწია.[73] ცხენის კისრის აბჯარი (*კრინეტი*) გამოსახულია XI საუკუნის დასაწყისის ძეგლებზე: წმ. გიორგის და წმ. თევდორეს რელიეფებზე ნიკორწმინდის დასავლეთის კარის ტიმპანზე, ნიკორწმინდის აღმოსავლეთის ფასადზე გამოსახულ წმინდა მეომრების ცხენებზე, ადიშის წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთისა (წმ. გიორგი) და ჩრდილოეთის კედელზე (წმ. თევდორე).[74]

---

[67] Л. А. Бобров, Ю. С. Худяков. Защитное вооружение среднеазиатского воина, გვ. 138-139.

[68] მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი, გვ. 788.

[69] ქ. ხოლოყაშვილი. ომაინიანი, გვ. 52.

[70] რუსუდანიანი, გვ. 380.

[71] სულხან-საბას მიხედვით, პოლოტიკი არის სხეულის ქველაზე მოწყლადი ადგილების დასაფარი ლითონის ფირფიტა: „რკინის ფიცარი ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავი; პოლოტიკი ეწოდების ბრტყელთა რკინათა საომრად საფარად მკერდთა (და იღლიათა), გინა სხვათა სასიკვდინოთა და დიდად სტკივართა ადგილთა დასაკრავთა“. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I, გვ. 628.

[72] ანტიკურ აეტორებთან არ გეხვდება ცნობები ცხენის კისრის აბჯარზე და მასზე მხოლოდ ბიზანტიურ ხანაში მიუთითებენ. მართალია, ეგვიპტურ გამოსახულებებზე, ძვ.წ. VI საუკუნის კეპიროსულ ტერაკოტახა და ძვ.წ. VII საუკუნის ასურულ ტერებში ცხენის კისერი ქსოვილის ან ტყავის საფარით იყო დაცული, მაგრამ ლითონის აბჯარი არ ჩანს. А. К. Нефёдкин. Защитное вооружение колесничных коней, გვ. 255-256.

[73] ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მართლმადიდებლური იკონოგრაფია ასახავდა აღჭურვილობაში მომხდარ რეალურ ცვლილებას, თუკი ის დადგენილი კომპოზიციის და სქემის ფარგლებში თავსდებოდა. კრინეტის გამოსახვა შედარებით „შეუმჩნევლად“ შეიძლებოდა, არ არღვევდა დადგენილ ნორმებს და ამიტომაც აისახა კიდეც წმინდანთა შეიარღებაში.

[74] ტ. შეფიაკოვა. ხოფ. ადიშის (ხემო სვანეთი) გარეთ მდებარე ეკლესიის „ჯგრაგ“ მოხატულობის თარიღის საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 27, №3. 1961, გვ. 377-82; Т. С. Шевякова. Монументальная живопись раннего средневековья Грузии. Тб. 1983, გვ. 25, рис. 92, 94.

ნიკორწმინდის რელიეფებზე და ადიშის ფრესკებზე გამოსახულია კრინეტი (ფირფიტების რამდენიმე მწკრივით) და კისერზე 2-3-ჯერ შემოხვეული მოსართავი, რომელიც რკინის ფირფიტებითაა გაძლიერებული. (სურ. 2)

ამავე დროს ხშირად გვხვდება მხოლოდ ცხენის კისერზე რამდენჯერმე შემოხვეული, ლითონის ბალთებით დამშვენებული მოსართავი, რომელსაც დამცველობითი ფუნქციაც ჰქონდა და დეკორატიული მიზნითაც გამოიყენებოდა. ცხენის კისრის ირგვლივ ოთხჯერ და ხუთჯერ დახვეული რახტისსახოვანი თასმები X საუკუნეში ჩნდება საქართველოში.[75] ასე მორთული ცხენები გვხვდება X-XI საუკუნეების მრავალრიცხოვან ჭედურ ხატებზე, როგორიცაა მრავალძალის, სეტის, ჯახუნდერის, ლანჩვანის და სხვ.[76] მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია XI საუკუნის დასაწყისის სეტის წმ. გიორგის ხატი, რომელზედაც სამი ცხენოსანი წმინდანია გამოსახული და სამივეს (ცენტრში წმ. გიორგი, გვერდებზე – წმ. დემეტრე და წმ. თევდორე) ცხენებს კისერი საიმედოდ აქვთ დაცული. (სურ. 3)

ასეთმა შეჯავშნამ ცხენი შეიძლება დაიცვას მხოლოდ ზემოდან ქვემოთ მიმართული მჩეხავი დარტყმისაგან. იმ ეპოქაში ქართველთა შესაძლო მოწინააღმდეგეები ბიზანტია, სომხური სამეფოები და არაბული საემიროებია, რომელთა ცხენოსნებიც ძირითადად ხელჩართული ბრძოლის სტილით ხასიათდებოდნენ. მათ წინააღმდეგ ასეთ აბჯარს შეეძლო გარკვეული როლი ეთამაშა, თუმცა ცხენოსანი მოისრეებით დაკომპლექტებული არმიების წინააღმდეგ იგი პრაქტიკულად გამოუსადეგარია. სელჩუკების გამოჩენის შემდეგ ამ ტიპის აბჯარი თავის მნიშვნელობას დაკარგავდა და მხოლოდ მოსართავის სახით თუ დარჩებოდა, როგორც არის გამოსახული ნაკიფარის, იფრარისა და ლაგურკას ფრესკებზე.

აღსანიშნავია, რომ ცხენის აბჯარი ყოველთვის უფრო იშვიათი იყო, ვიდრე ადამიანის აბჯარი და სიძვირის გამო მხოლოდ დიდებულთა და მდიდარ რაინდთა კუთვნილება იყო.[77] მათი მფლობელები ელიტარულ, წინა ხაზის მძიმე კავალერიას ქმნიდნენ.

ცხენის სრული აბჯარის სიძვირისა და შედარებითი სიმძიმის გამო, იყო ცდები, რომ წონასთან ერთად მისი ფასიც შეემცირებინათ და ამავე დროს შეენარჩუნებინათ ძირითადი დაცვითი ფუნქციები. ამ დროს აბჯრის

---

[75] ნ. ნიფიკაშვილი. ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.). თბ. 1964, გვ. 63.

[76] Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Тб. 1959, таб. 43, გვ. 182, 188, 190.

[77] Stuart W. Pyhrr. Introduction. in The Armored Horse in Europe, 1480-1620. New York. 2005, გვ. 7.

შემსუბუქების მიზნით იცავდნენ მხოლოდ ცხენის წინა ნაწილს და მკერდს.[78] ასეთი ცხენის აბჯრით ხასიათდებოდა ბოლო პერიოდის სასანური ირანის მძიმე ცხენოსანი, რომლის ნიმუშსაც 620 წელს თაღ-ი ბოსტანის რელიეფზე გამოსახული ხოსრო II ფარვიზის შეჯავშნული ცხენი წარმოადგენს.

ეს ტენდენცია შენარჩუნებულია X საუკუნის დასაწყისისთვისაც. ბიზანტიის იმპერატორი ლეონ VI ბრძენი თავის *ტაქტიკაში* აღწერს პირველი ხაზის მებრძოლთა ცხენებისათვის აუცილებელ აღჭურვილობას. იგი შემოიფარგლება ცხენის საშუბლით და მკერდისა და კისრის დამფარავი რკინის ან ქსოვილის აბჯრით.[79]

X საუკუნის მეორე ნახევარში იმპერატორი ნიკიფორე II ფოკა (963-969) ტრაქტატში *"Praecepta militaria"* მძიმედ შეჭურვილი კატაფრაქტების ცხენებისათვის მთლიან აბჯარსაც აღგვიწერს, მაგრამ ქსოვილისას ან ტყავისას და არც ახსენებს რკინის აბჯარს.[80]

XI საუკუნის დასაწყისში იმავეს იმეორებს ნიკიფორე ურანოსი, ბასილი II-ის ყველაზე ნიჭიერი სარდალი: მის მიერ აღწერილი კატაფრაქტების ცხენის აბჯარიც მხოლოდ ქსოვილის ან ტყავისაა.[81]

საინტერესოა, რომ ამ დროს, X-XI საუკუნეებში ქართველები იყენებდნენ არა შემსუბუქებულ (მხოლოდ საშუბლე და სამკერდე), არამედ ცხენის სრულ აბჯარს. მიხეილ ატალიატე გარკვევით ამბობს, რომ ქართველები „შეჯავშნულ და მოუწყვლად ცხენებსაც **ყოველი მხრიდან [აბჯრით] ფარავდნენ**".[82] ისიც ვიცით, რომ ეს აბჯარი, ქსოვილის ნაცვლად, ლითონისაგან იყო დამზადებული. არისტაკეს ლასტივერტეცის მოწმობით, ის რკინის იყო.[83]

ზემოთ მოყვანილი ცნობები გვარწმუნებს, რომ იმდროინდელ ბიზანტიურ კავალერიასთან შედარებით, ქართველი ცხენოსნების აღჭურვილობა უფრო მძიმე იყო. თუმცა ამ შედარებამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იმდროინდელი ქართული სამეფოების ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი ბიზანტიის თანაფარდი იყო. მძიმე ცხენოს-

---

[78] В. П. Никоноров. Развитие конского защитного снаряжения, გვ. 34.

[79] The Taktika of Leo VI. text, translation, and commentary by George T. Dennis. Washington. 2010, გვ. 5.3, 6.8.

[80] Никифор II Фока. Стратегика. перевод со среднегреческого и комментарии А. К. Нефёдкина. СПб. 2005, გვ. 23.

[81] Eric McGeer. Sowing the Dragon's Teeth: Byzantine Warfare in the Tenth Century. Washington. 1995, გვ. 115.

[82] მიხეილ ატალიატე. ისტორია, გვ. 27.

[83] არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია, გვ. 51.

ნების შეიარაღებაში ეს განსხვავება ბიზანტიისა და საქართველოს განსხვავებული სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობით არის განპირობებული. ბიზანტიაში არმიის შეიარაღებაზე პასუხისმგებელი უპირველესად სახელმწიფო იყო, საქართველოში კი ფეოდალური კლასი არაფერს იშურებდა საკუთარი შეიარაღების გასაძლიერებლად.[84]

ამავე დროს ცხენის აბჯრის ეს მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეების საქართველოს მძიმედ აღჭურვილი ცხენოსნები, რაც სამხედრო საქმის განვითარების მაღალი დონისა და იმ დიდი რესურსების პირდაპირი მანიშნებელია, რასაც ქართული ფეოდალური საზოგადოება შეიარაღებას ახმარდა.[85]

[84] ბიზანტიურთან შედარებით ქართული აბჯრის მრავალფეროვნებაზე, იხ. მ. წურწუმია. ფირფიტოვანი აბჯრის ეფოლუცია საქართველოსა და ბიზანტიაში. გვ. 29-31.

[85] ამ მხრივ სიმპტომატურია ქაიხოსრო ნოლოყაშვილის მოწმობა, რომლის მიხედვითაც სათადარიგო (მარქაფა) ცხენიც კი შეიძლება შეჯაჟშნული ყოფილიყო: „თორმეტი ეაცი მემათრახედ მოჰყვა; ზოგსა მისი მარქაფა ბარგისტანით შემკული ეჭირა“. ქ. ნოლოყაშვილი. ომაინიანი, გვ. 51.

ილუსტრაციები:

სურ. 1. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ახალგორის სამკაული ცხენის გამოსახულებით, დეტალი.

სურ. 2. ადიში, წმ. გიორგის (ჯგრაგი) ეკლესია, წმ. თევდორე ჩრდილოეთის კედელზე, შევიაკოვას მიხედვით.

სურ. 3. სეტის წმ. გიორგის ხატი, ერმაკოვის ფოტო.

Mamuka Tsurtsumia

HORSE ARMOUR IN MEDIEVAL GEORGIA

Summary

A good horse had always a high value. The riders life depended on the horse, hence its protection was given considerable attention from early times.

Horse armour has a history of some three millennia, originating in Mesopotamia. Heavy cavalry was created by the Assyrians. They mounted a heavily armoured warrior on a horse, while the Khorezmians are known to have had a cavalry fully equipped (both the rider and the horse) with metal armour in the 6th century BC. In later centuries horse armour occurs in the armies of all great empires of the East. The Achaemenids and Seleucids employed an armoured cavalry. Especially intensive was its use in Parthia and Sasanid Iran, Rome and Byzantium imitating the latter.

Research into horse armour in Georgia comes across many obstacles. In the first place note should be taken of the non-existence of archaeological specimens, and generally of any material evidences. Matters are complicated further by the absence of a full-valued representations of horse armour; this may be accounted for by the tradition established in Orthodox iconography, which did not reflect an armoured horse from the beginning.

Nevertheless, horse armour has a long history in Georgia. The tradition of fighting on an armoured horse is attested to from the time of Vakhtang Gorgasali. Reports on Georgian horse armour become more numerous in the Middle Ages. Early in the 11th century, when the Georgian kingdom is formed and the Georgian feudal class is on the rise, the heavy armament and armoured horses were reflected in the writings of Byzantine and Armenian authors. Horse armour is attested to in Georgian documents and narrative sources as well. Belles-lettres also supplies diverse material on horse armour.

The evidence preserved in Georgian written sources enables one to discuss the types of horse armour and it's constituent parts, such as *chamfron*, *crinet* and *barding*.

A review of horse armour helps us to form an idea of medieval Georgian heavily armed cavalrymen, which points to the high level of warfare and the considerable resources spent by the Georgian feudal society on armament.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

ვლადიმერ კეკელია

ანისის ტიგრან ჰონენცის ეკლესიის კონფესიონალური კუთვნილების საკითხისათვის*

ქალაქ ანისის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ახურიანის (არფა-ჩაის) ხეობაში, წმ. გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ეკლესია დგას. ნაგებობა 1215 წელს მდიდარმა სომეხმა, ტიგრან ჰონენციმ, ააგო. ისტორიოგრაფიაში მიღებულია აზრი, რომ ტიგრან ჰონენცი სომეხი ქალკედონელი იყო და ეკლესიაც მართლმადიდებლებისათვის ააშენა. ნ. მარი ეკლესიის კონფესიონალური კუთვნილების განსაზღვრისას აღნიშნავდა, რომ ტაძარი „ნახევრადქართული, ნახევრადსომხური, საერთო ჯამში კი ქალკედონურ-მართლმადიდებლური“ იყო.[1] ეკლესიის სამხრეთ კედელზე მოთავსებული ვრცელი სომხური წარწერა ტაძრის აგების ისტორიას გადმოგვცემს. წარწერაში აგრეთვე ჩამოთვლილია ის დიდი შეწირულობა, უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც ქტიტორს ეკლესიისათვის გადაუცია. ეკლესიას ქართულ ენაზე შესრულებული ფრესკული წარწერები ახლავს. აქვეა ქართული ლაპიდარული წარწერები და ეპიტაფია.[2]

ტიგრან ჰონენცის მიერ აგებული ეკლესიის კონფესიონალურ კუთვნილებაში ეჭვი შეიტანა სომეხმა მკვლევარმა პ. მურადიანმა.[3] მან აღნიშნა, რომ საამშენებლო წარწერის ბოლოში მოთავსებული კრულვის ფორმულა მართლმადიდებლის მიერ შესრულებული არ შეიძლება იყოს. მისი მოსაზრე-

---

* პუბლიკაციას საყურადღებოდ უდევს მოხსენება, წარდგენილი 2010 წელს ტბელ აბულსერისძის სახელობის საერთაშორისო კონფერენციაზე – „ტბელობა“.

[1] Н. Я. Марр. Ани. Л-М. 1934, გვ. 85.

[2] ანისის ქართული წარწერების შესახებ იხ.: ე. სილოგავა. ანისის და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა. კრებ., ახალციხე-ყარსი. 2001; გ. კალანდია, ქ. ასათიანი. ანისის ნაქალაქარის ქართული წარწერები (ანისის I და II ექსპედიციის ანგარიშები). კრებ. „ეალური სილოგავა“. თბ. 2011.

[3] П. М. Мурадян. Проблема конфессиональной ориентации церкви Опенца. Кавказ и Византия. №5. Ер. 1987, გვ. 36-66.

ბით, ქტიტორი მონოფიზიტი იყო და ეკლესიაც თავდაპირველად მონოფიზიტებისათვის ააგო. აქვე მოვიტანთ წარწერის ბოლო ნაწილის სომხურ ტექსტს ქართული თარგმანით:

„ԱՐԴ ԹԷ ՈՔ Ի ՄԵԾԱՅ ԿԱՄԻ ՓՈՔՐՈՒՆՑ ՅԻՍՈՅ ԿԱՄ ԱՒՏԱՐԱՅ
ԶՈՐ ԻՆՉ ԱՐՁԱՆԱԳՐԻՍ Է ԽԱՔԱՆԵԼ. ՋԱՆԱ ԿԱՄ ԹԷ ԻՐՔ ՇՈՐԹԷ
ՅԱՐԴԵ(Ա)ՆՑՍ ՈՐ Ի ՍՍՍ ՀԱՍՏԱՏԵ(Ա)Լ Է, ԿԱՄ ԶՅԻՇԱՏԱԿ ԶՄԵՂՈ–
ՒՅԵ(Ա)Լ ԾԱՌԱՅ(Ի)Ս Ա՞Յ. ԽԱՔԱՆԷ ԶԻՆՉ ԵՒ ԻՅԷ ՊԱՏՇԱՌԱՒՔ,
ԱՅՆՊԻՍԻՆ ՈՐՈՇԵ(Ա)Լ ԼԻՆԻ (Ի) ՓԱՌԱՅՆ ՈՐԴՈՅՆ Ա՞Յ. ԵՒ ՊԱՏԻԺՍ ԶԿԱ–
ԵՆԻ ԵՒ ԶՅՈՒԴԱԻ ԺԱՌԱՆԳԵՍՅԷ Ի ԳԼՈՒԽ ԻՒՐ ԵՒ ԵՐԵՔ ՍՈՒՐԲ
ԺՈՂՈ(ՎՈ)ՅՆ ԵՒ :Թ: ԴԱՍՈՒՑ ՀՐԵՇՏԱ(ԿԱ)Յ ՆԶՈՎԵ(Ա)Լ ԵՂԻՅԻ ԵՒ ՄԵՐ ՄԵՂԱ–
ՅՍ ՀԱՄԱՐՍ ՏԱՅԵՆ ԱՌԱՋԻ Ա՞Յ. ԵՒ ԿԱՄԱՐԱՐՔՆ ԵՒ ՀԱՍՏԱՏՈՒՆ ՊԱՀՈՂՔՆ ԱՒՐՀՆԻՆ Յ՞Ա՞Յ“[4]

*„ամբարտ, թէ ոմանք դիրքերնդ ամ մեծայ կամի փոքրունց յիսոյ կամ աւտարայ զոր ինչ արձանագրիս է խաքանել. ջանա կամ թէ իրք շորթէ յարդե(ա)նցս որ ի սսս հաստատե(ա)լ է, կամ զյիշատակ զմեղո–ւյե(ա)լ ծառայ(ի)ս ա՞յ. խաքանէ զինչ եւ իցէ պատշառաւք, այնպիսին որոշե(ա)լ լինի (ի) փառայն որդոյն ա՞յ. եւ պատիժս զկա–ենի եւ զյուդաի ժառանգեսցէ ի գլուխ իւր եւ երեք սուրբ ժողո(վո)ցն եւ :Թ: դասուց հրեշտա(կա)յ նզովե(ա)լ եղիցի եւ մեր մեղա–ցս համարս տայեն առաջի ա՞յ. եւ կամարարքն եւ հաստատուն պահողքն ամրհնին յա՞

სია, პლინდზაჰანქისა (ახტალა) და ქობაირის მსგავსად, სომეხ მონოფიზიტებს ჩამოერთვათ და დიოფიზიტებს გადაეცათ. ეს ფაქტი XIII საუკუნის 50-იან წლებში, შანშე I მხარგრძელის დროს უნდა მომხდარიყო. რაც შეეხება ქართულ წარწერებს, მისი აზრით: „ქართულ კულტურულ სამყაროსთან ურთიერთობა, ფრესკების ნაწილზე ქართულენოვანი განმარტებითი წარწერებით, განსაკუთრებით ინტერიერის დასავლეთ ფრთაზე და სავანის კედლებზე ორი-სამი მოკლე ქართული წარწერის ამოკვეთით გამოიხატებოდა“.[5]

ავტორისეული მსჯელობა „სამი წმიდა კრების“ შესახებ ლოგიკას მოკლებული არ არის, მაგრამ ეკლესიის კონფესიონალური კუთვნილების განსაზღვრისათვის ამოსავლად მხოლოდ ამ ფრაზაზე დაყრდნობა მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. როგორც თავად მეცნიერი ნაშრომის ბოლოს, ეკლესიის მოხატულობასთან დაკავშირებით აცხადებს, მსგავსი საკითხები სწორად გაგებული იმ შემთხვევაში იქნება, თუ „მკვლევარი ამოდის ფაქტების ერთობლიობიდან, განიხილავს მათ სომხურ-ქართული ისტორიულ-კულტურული სიახლოვის კონტექსტში და თავის თავზე არ იღებს ვინმეს მიერ შემოთავაზებულ ვალდებულებას ცალმხრივად განსაზღვროს შუა საუკუნეების მონუმენტალური მხატვრობის ეთნო-კულტურული კუთვნილება,“ სომეხი ქალკედონელების ისტორიის ყველა ასპექტისათვის ზედგამოჭრილია. ჩვენი მხრივ დავუმატებთ, რომ მეცნიერება ცნებებით აზროვნებაა და არა მხოლოდ ფაქტებზე აპელირება.

საკითხის კვლევისას რამდენიმე პრობლემური კითხვა ჩნდება. თუ ეკლესია თავდაპირველად მონოფიზიტებისათვის აიგო და შანშე I-მა ტაძარი დიოფიზიტებს გადასცა, ლოგიკურად ქალკედონელებს ქტიტორის წარწერა, ყოველ შემთხვევაში, კრულვითი ნაწილი მაინც უნდა წარეხოცათ. გასათვალისწინებელია, რომ შუა საუკუნეებში საამშენებლო წარწერებისა და ანდერძების ბოლოში დართული კრულვები უბრალო ფორმალობას არ წარმოადგენდა. მას პრაქტიკულად იურიდიულ ძალას ანიჭებდნენ, იმდროინდელი ყოფის თანამდევი, განუყოფელი მოვლენა იყო და, რასაკვირველია, სათანადო ყურადღებაც ექცეოდა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ აღაპ-მოსახსენებლები. როდესაც ეკლესიაში აღაპი იდებოდა, ხშირად მას ბოლოში კრულვა ერთვოდა, რომელიც იყო ერთგვარი დაზღვევა იმისაგან, რომ სამომავლოდ აღაპს არავინ დაარღვევდა. მოგვიანებით, როდესაც აღაპებში ჩამოთვლილი

[5] П. М. Мурадян. Проблема конфессиональной ориентации церкви Оненца. Кавказ и Византия, გვ. 60.

მოვალეობა აღარ ან ვეღარ სრულდებოდა, ასეთ აღაპებს ხან მთლიანად, ხანაც მხოლოდ კრულვით ნაწილს შლიდნენ.[6] თუ ტიგრან ჰონენცის ეკლესია აგებიდან (1215 წ.) 35-40 წლის შემდეგ ქალკედონელებს გადასცეს, ძნელად წარმოსადგენია უკანასკნელთ ეს ფაქტი უყურადღებოდ დაეტოვებინათ, ან გამორჩენოდათ. ჩვენი აზრით, აქ საქმე სხვა პროცესთან უნდა გვქონდეს. ანისი საუკუნეების მანძილზე ბიზანტიელების, ქართველებისა და მუსლიმი მბრძანებლების საცილობელ ობიექტს წარმოადგენდა. ქალაქი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში დიდი ხნით 1199 წლიდან შემოვიდა. იმ დროიდან ქალაქში მცხოვრებ მართლმადიდებლებს მეტი თავისუფლება მიეცათ. XII-XIII საუკუნეებში საქართველოსა და ბიზანტიაში გატარდა ზომები სომხური მონოფიზიტური ეკლესიის დაქვემდებარებისათვის, რამაც კონფესიათაშორისი ურთიერთობები უფრო მეტად დაძაბა. მიუხედავად იმისა, რომ ანისი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოდიოდა, ის სომხური და რელიგიური თვალსაზრისით მონოფიზიტური ქალაქი იყო. ეკლესიათა უმრავლესობასაც სომხები ფლობდნენ. ჩვენი აზრით, ტიგრან ჰონენციმ თავის მიერ აგებული მართლმადიდებლური ტაძრის საამშენებლო წარწერაში „სამი წმიდა კრება“ იმიტომ ახსენა, რომ კრულვა ერთნაირად დამაჯერებელი ყოფილიყო როგორც ქალკედონის კრების მიმდევრების, ასევე ანტიქალკედონელებისათვის. კრულვითი ნაწილის არქიტექტონიკა დოგმას არ წარმოადგენდა, ამდენად, ტექსტის შედგენის თვალსაზრისით, ავტორი თავისუფალი იყო. თუ წყევლაში შვიდი საეკლესიო კრება იქნებოდა ნახსენები, მაშინ სომხური ეკლესიის წარმომადგენლებისგან, რომლებიც ქალაქში აშკარად სჭარბობდნენ, ტაძარი და მისი ქონება დაცული ვერ იქნებოდა. პირველ სამ კრებას კი ორივე კონფესიის მიმდევრები აღიარებდნენ. როგორც ჩანს, საამშენებლო წარწერაში აისახა ის დაძაბული კონფესიური ფონი, რომელიც ანისში ეკლესიის აშენების დროს იყო. ტიგრან ჰონენცის მართლმადიდებლობას, გარკვეულწილად, ადასტურებს ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის კუთხეში ამოკვეთილი მწიგნობართუხუცეს მათეს სომხურენოვანი წარწერაც:

ԹՎ(ԻՆ) ՉԵՆԹ:
ԱԹԱՊԱԳԻ ԱՄԻՐՍՊԱՄԱԼԱՐ
ԾԱՀԱՆԾԱՀԻ. ՄԵԻԿՆԱՒԲԱՐԹՈՒ–

[6] ელ. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ. 1962, გვ. 13-14.

ԽՈՒՅԷՍ ՄԱԹԷՍ ԵՒ ԻՄ ԿԷՆԱՅԿԻՑ ՍԹԷՆԻ
ԵՒ ԻՄ ԵՂԲԷՐ ՄԱՐԿՈՍ ՅԱՅՍ ԺԱՄՍ ՈՐ
ՊԱՐՈՆ ՈՂՈՐՄԵՑԱՒ ԶՎԱՆՔՍ ՄԵԶ ԷՐԵՏ,
ՎԱՂ ԲԱՐԷՊԱՀՏ ՏԻԳՐԱՆ ՋՈՒՐ ԷՐ ԲԷՐԵԼ
Ի ՎԱՆՔՍ ՈՒ Ի ՅԱՆՏԻՐՈՒԹԵ(Ն)Է ԽԱՂՏԵԼ ԷՐ
ՈՒ ԿՏՐԵԼ: ՄԵՔ ՎԱՄՆ ԱՐԵՒՇԱՏՈՒԹԵ(ԱՆ) ՊԱՐ–
ՈՆ ՇԱՀԱՆՇԻ ԵՒ ԽՈՒԱՆԴԶԻՆ ԵՒ ԻՐԵՆՑ
ՈՐԴՈՒՆ ԶԱՔԱՐԻ ԵՒ ՎԱՄՆ ՄԵՐ ՀՈԳՈՒՍ ՅԻՇ–
ԱՏԱԿ ԲԵՐԱՔ ՋՈՒՐՍ ԵՒ ՀԱՍՏԱՏԵՑԱՔ:
ՅԻՇԵՑԷՔ Ի ՔՐԻՍՏՈՍ[7]

„წელსა ჩწთ (=1310) მე, ათაბაგ-ამირსპასალარ შანშეს მწიგნობართუ-ხუცესი მათეს და ჩემი მეუღლე სთენი და ჩემი ძმა მარკოსი. ამ დროს, რო-ცა პარონი გულმოწყალე იქმნა, გადმოგვცა ჩვენ ხსენებული მონასტერი, რო-მელშიც ადრე ღვთისნიერმა ტიგრანმა წყალი გაიყვანა, მაგრამ უთაობისაგან [წყლით მომარაგება] დაირღვა და შეწყდა. პარონ შანშესა და [მისი მეუღ-ლის] ხუანდზის და მათი ძის ზაქარის მრავალჟამიერობისა და ჩვენი სულე-ბის ხსოვნისათვის, ჩვენ გავიყვანეთ ეს წყალი და გავამტკიცეთ. მოგვიხსე-ნიეთ ქრისტეში“.

წარწერაში მოხსენებული შანშე შანშე II მხარგრძელია. იგი მართლმა-დიდებელი იყო, შესაბამისად, მისი მწიგნობართუხუცესი მათეც მართლმადი-დებელი იქნებოდა. ამასვე გვაფიქრებინებს მისი სახელი „მათეს“ (დედანში ასეა) და არა „მათეოსი“.[8] ძნელად წარმოსადგენია, რომ საქართველოს სა-ხელმწიფო მოხელეს მართლმადიდებლური ეკლესია მონოფიზიტებისათვის გადაეცა. რაც შეეხება წარწერაში მოხსენიებულ ტიგრანს, ის უთუოდ ტიგ-რან ჰონენცი უნდა იყოს. მის საამშენებლო წარწერაში ეკლესიისათვის შეწი-რულ ქონებას შორის აბანო და წყალსადენი ნაგებობაც ფიგურირებს. წარწე-რაში ტიგრანი მოხსენებულია, როგორც „ღვთისნიერი“, რასაც აღნიშნულ

[7] Դիվան հայ վիմագրության. պրակ I. Անի քաղաք. կազմեց Հ. Ա. Օրբելի Դիվան հայ. գր 64.
[8] სახელ „მათეს“ სომხური სინამდვილე მხოლოდ ამ ლაპიდარული წარწერით იც-ნობს, იხ. Հ. Աճառյան. Հայոց անձնանունների բառարան. հ. Գ. եր. 1946. գր. 161.

ეპოქაში მონოფიზიტის მიმართ მართლმადიდებლები არ დაწერდნენ.

რაც შეეხება ეკლესიის ქართულ წარწერებს, მათი არსებობა ქართული ეკლესიის მხოლოდ კონფესიური მომძლავრებით არ უნდა აიხსნას. როგორც ჩანს, XII-XIII საუკუნეების ანისში ქართველები შედარებით მომრავლებულები იყვნენ. ამაზე მიუთითებს ანისის ქართული ეპიგრაფიკა, მათ შორის, ეტიფანე კათალიკოსისა (1218)[9] და სამადინის (1288) წარწერები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ანისში, მანუჩეს მეჩეთის ჩრდილოეთ კედელზე ამოკვეთილი მონღოლთა სახელმწიფოს დიდმოხელის, აბუ-საიდ ბაჰადურ-ხანის 1330 წლით დათარიღებული სპარსული იარლიყი.[10] ბრძანებას ბოლოში არაბულ, ქართულ და სომხურ ენებზე დამტკიცება ახლდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქალაქში XIV საუკუნეში მუსლიმები, ქართველები და სომხები ცხოვრობდნენ. ანისში ქართული მოსახლეობის არყოფნის შემთხვევაში მხოლოდ სომეხი მართლმადიდებლებისათვის ამ წარწერების ქართულ ენაზე შესრულება აზრს მოკლებული იქნებოდა, ვინაიდან სომეხი ქალკედონელებისათვის სამწიგნობრო და ძირითად საღვთისმსახურებო ენად კვლავაც სომხური რჩებოდა.[11] ისინი ქართულიდან სომხურად და, პირიქით, მრავალრიცხოვან თარგმანებს ასრულებდნენ.[12] თუ ქართული ეპიგრაფიკული და ფრესკული წარწერები იმ ქალკედონელი სომხებისათვის იყო, რომლებიც მთლიანად მოექცნენ ქართული ეკლესიის გავლენაში და თავანთი ენაც დაკარგეს, რამდენად მიზანშეწონილია მათი „სომხებად“ მოხსენიება. ენის, რელიგიური კუთვნილებისა და სახელმწიფოს ქვეშევრდომობის ფაქტორების გარდა, შუა საუკუნეებში ეთნიკურ კუთვნილებას კიდევ რა განსაზღვრავდა? თუმცა ეს ცალკე საკვლევი თემაა და ამჟამად ამ საკითხს ჩვენს ნაშრომში აღარ განვავრცობთ.

---

[9] ერთ ადგილას ეტიფანე კათოლიკოსი მრეველს ასე მიმართავს: „მკუიდრნო ამის ქალაქისანო ქართველნო..“, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ქალაქში ქართველები ცხოვრობდნენ.

[10] სპარსული წარწერა იხ. В. Бартольд. Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче (Анийская серия. №5). СПб. 1911.

[11] ამას შემონახული ხელნაწერები ადასტურებს, მაგალითად: 991 წელს, კონსტანტინოპოლში, იოსების მიერ თარგმნილი მცირე სვინაქსარი (Ակինյան Ն. Յովսեփ Կոնստանտինուպոլեցի. Հանդէս ամսօրեայ. №1-12. 1957), თორთუმის ხეობაში აღმოჩენილი 1313 წლის სომხური ოთხთავი (Н. Марр. Об армянской илюстрированной рукописи из халкедонской среды. Известия Императорской Академии Наук. СПб. 1911).

[12] თარგმანების შესახებ იხილეთ: ი. აბულაძე. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X საუკუნეებში. თბ. 1944.

Vladimer Kekelia

ABOUT CONFESSIONAL BELONGING OF THE CHURCH OF TIGRAN HONENTSI IN ANI

Summary

There is a discussion about the confessional belonging of the church of Gregory the Illuminator in Ani, built on donations of Tigran Honentsi in 1215. Niko Marr thought that the church was Orthodox, however, Armenian Prof. Paruir Muradian doubted this consideration. P. Muradian considered that Tigran Honentsi built the church for Monophysite Christians and then, the church was given to Chalcedonians in the middle of XIII century. We studied inscriptions on the church wall and according to them concluded that the church from the very first time was built for Chalcedonian Christians.

There is phrase ***[by resolution of the] three Holy Councils*** in the ktetorial inscription that is thought to reflect the primary Monophysite visage of the church. We think that this simply meant a peaceful solution of the problem between Orthodox Christians and the Monophysites.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

ლერი თავაძე

კეისრის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში

საქართველოში არსებულ ბიზანტიურ საიმპერიო ტიტულატურას ჩვენ უკვე მივუძღვენით ერთი სტატია.[1] ამჯერად შევეხებით მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, კეისრის ტიტულს (ქართული წყაროების მიხედვით „კესაროსი"). ბიზანტიური ტიტული „კესარი" (Καῖσαρ) ლათინური ტიტულის, „კეისრის" (Caesar), ბერძნული შესატყვისია. ვინაიდან თავდაპირველი ფორმა არის „კეისარი", ჩვენც ნაშრომში ამ უკანასკნელს გამოვიყენებთ.

თავიდანვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ „კეისარი" და „კესაროსი" ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში ორ დამოუკიდებელ ცნებად დამკვიდრდა. ეს მაშინ, როდესაც თავად რომის/ბიზანტიის იმპერიაში ეს ორი ფორმა ერთი მნიშვნელობის მქონე ტერმინი იყო, ორ სხვადასხვა ენაში (ლათინურში და ბერძნულში) დამკვიდრებული, ოდნავ განსხვავებული ფორმით. ამრიგად, კეისრის ტიტული რომაულ სამყაროში ჩნდება, ხოლო მისი საქართველოში დამკვიდრება გარკვეულ პოლიტიკურ ცვლილებებთან იყო დაკავშირებული, რაც, უდავოდ, მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და საქართველოში არსებული ინსტიტუციების შესასწავლად.

კეისარი რომის/ბიზანტიის იმპერიაში

ტიტული „კეისარი" დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც ცნობილმა რომაელმა სახელმწიფო მოღვაწემ, გაიუს იულიუს კეისარმა (ძვ.წ. 100-44 წწ.), ეს კოგნომენი საკუთარ საგვარეულო სახელად მყარად დაამკვიდრა. პლინიუს უფროსის ცნობით, კოგნომენი „კეისარი" წარმოდგება იულიუს კეისრის წინაპრისგან, რომელიც საკეისრო კვეთის შედეგად დაიბადა, რამაც

[1] ლ. თავაძე. სექესტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტომი II. თბ. 2011, გვ. 154-187.

საფუძველი დაუდო მის ზედწოდებასა და ზოგადად ტერმინ „კეისარს" (წარმოდგება ლათინური ზმნის caedere, caes-ისგან, რაც აღნიშნავს კვეთას).[2] არსებობს სხვა ვერსიებიც აღნიშნული ტერმინის წარმოშობის შესახებ, თუმცა ყველაზე რეალური სწორედ ეს უკანასკნელია.

კეისრებად თავიდან მხოლოდ იმპერატორები იწოდებოდნენ. კეისარი გაიუს იულიუს კეისრის კოგნომენი იყო, რომელიც მემკვიდრეობით მისმა შვილობილმა და მემკვიდრემ, გაიუს იულიუს კეისარ ავგუსტუსმა, იგივე ოქტავიანემ, მიიღო.[3]

ოქტავიანეს შემდეგ ორივე ტიტულს, ავგუსტუსსა და კეისარს, ატარებდა იულიუს-კლავდიუსების ოჯახის რომის ყველა იმპერატორი ნერონის (54-68 წწ.) ჩათვლით.[4] ნერონის შემდეგ კეისრის ტიტული იმპერატორის, ანუ ავგუსტუსის პარალელურად იმპერიის ტახტის მემკვიდრეებს ეძლეოდათ. მას შემდეგ კეისარი ოფიციალურ ტიტულად გადაიქცა, რომელიც, ტრადიციულად, ტახტის მემკვიდრეების პრივილეგია გახდა.[5]

იმპერატორები ხშირ შემთხვევაში ტახტზე ასვლისთანავე ანიჭებდნენ მათ მიერ არჩეულ მემკვიდრეებს აღნიშნულ ტიტულს, რითაც მემკვიდრეობის ლეგიტიმაციასთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდნენ.[6] საბოლოოდ, რომის იმპერიაში კეისრის ტიტულის მფლობელი ორი პიროვნება იყო: ავგუსტუსი, რომელიც იწოდებოდა იმპერატორ-კეისრად და მისი მემკვიდრე, რომელიც ატარებდა ნობელისიმუს-კეისრის ტიტულს.[7]

---

[2] Pliny the Elder. Natural History. Vol. II. Libri III-VII. Trans. by H. Rackham. Harvard University Press. 1942, VII. IX, გვ. 537.

[3] რომის ისტორიის აღნიშნული ეპოქის შესახებ იხილეთ: Cambridge Ancient History. Second Edition. Vol. IX – The Last Age of the Roman Republic, 146-43 B.C. Ed. by J.A.Crook, A. Lintott, E. Rowson. Cambridge University Press. 1992; Cambridge Ancient History. Second Edition. Vol. X. The Augustian Empire, 43 B.C. A.D. 69. A. K. Bowman, E. Champlin, A. Lintott. Cambridge University Press. 1996; Cambridge Ancient History. Second Edition. Vol. XII – The Crisis of Empire, A.D. 193-337. Ed. A. Bowman, P. Garnsey, A. Cameron. Cambridge University Press. 2005; A. Kemm. Julius Caesar: a Life. Routledge: London, New York. 2006; D. C. Braund. Augusrus to Nero: A Source Book on Roman History 31 B.C. - A.D. 68. Croom Hell: London, Sydney. 1985.

[4] D. C. Braund. Augusrus to Nero: A Sourcebook on Roman History 31 B.C. – A.D. 68, გვ. 24-31, 44-46, 78, 81, 171-173.

[5] ასე მაგალითად, პუბლიუს სეპტიმუს გეტა მხოლოდ კეისრად იწოდება, ხოლო მას მერე, რაც 209 წელს თანაიმპერატორად გამოაცხადეს, ის უკვე ავგუსტუსია, იხ.: The Roman Imperial Coinage. Vol. IV. Part I. Pertinax to Geta. H. Mattingly, E. A. Sydenham. London. 1936, გვ. 314-323.

[6] F. Mitthof. Vom ἱερώτατος Καῖσαρ zum ἐπιφανέστατος Καῖσαρ Die Ehrenprädikate in der Titulatur der Thronfolger des 3 Jh.n.Chr. nach den Papyri: ZPE, 99. 1993, გვ. 97.

[7] H. A. Seaby. Roman Silver Coins. Vol. IV. Gordian III to Postumus. Second revised edition by

სიტუაცია ოდნავ შეიცვალა იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) მმართველობის შემდეგ, როდესაც კეისრის საიმპერიო პატივი ავგუსტუსის უმცროსი თანამმართველის რანგში იქნა აყვანილი. ცოტა ხანში ორი ასეთი კეისარი ჩნდება ორი ავგუსტუსის, ანუ იმპერატორის პარალელურად.[8]

დიოკლეტიანე იმპერატორმა რომის იმპერია, ფაქტობრივად, ორად გაყო: დიდწილად ელინიზირებული აღმოსავლეთის მმართველობა თავად ჩაიბარა, ხოლო ლათინური დასავლეთი თავის შვილობილსა და მემკვიდრეს, მაქსიმიანეს, ჩააბარა.[9] სულ მალე მაქსიმიანეს სტატუსი კიდევ უფრო ამაღლდა და მას იმპერიის უმაღლესი პატივი, ავგუსტუსობა, გადაეცა. ამიერიდან იმპერიაში ორი თანასწორუფლებიანი ავგუსტუსი იყო. ფორმალურად დიოკლეტიანე ინარჩუნებდა იმპერიაში პირველობას, თუმცა რეალურად ერთიან იმპერიაში ორი ადმინისტრაციული სისტემა მოქმედებდა, რომელსაც ორი სხვადასხვა იმპერატორი ედგა სათავეში. ორივე ავგუსტუსმა თანამმართველად ორი კეისარი აიყვანა: დიოკლეტიანემ – გალერიუსი, ხოლო მაქსიმიანემ – კონსტანციუს ხლორუსი.[10]

ამგვარად, იმპერიაში ოთხთა მმართველობა, ანუ ტეტრარხია დამყარდა. ეს ყველაფერი 293 წელს მოხდა ორი იმპერატორის შეთანხებული გადაწყვეტილებით. 305 წელს იმპერატორები ასევე შეთანხმებულად გადადგნენ, რითიც მათი ადგილი კეისრებმა, გალერიუსმა და კონსტანციუს ხლორუსმა, დაიკავეს.[11] ახლა უკვე ამ უკანასკნელებმა აიყვანეს თანამმართველად თავ-თავიანთი კეისრები. ასე გაგრძელდა იქამდე, სანამ იმპერატორმა კონსტანტინე I დიდმა ბოლო არ მოუღო დიოკლეტიანეს პერიოდში დაწესებულ ტეტრარხიას.[12]

კოსტანტინე I დიდმა უარი თქვა სხვასთან გაეყო თავისი ძალაუფლება, ამდენად, კეისრებმა დაკარგეს იმპერატორობის პატივი. სამაგიეროდ, ისინი ბიზანტიის იმპერიაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან თანამდებობის პირებს წარმოადგენდნენ და მნიშვნელობით იმპერატორის შემდეგ ყველაზე დაწინაურებულ არისტოკრატებად ითვლებოდნენ ქვეყანაში. უფრო მეტიც, კეისრის

D. R. Sear. London. 1982. გვ. 1; F. Mitthof. Vom ἱερώτατος Καῖσαρ zum ἐπιφανέστατος Καῖσαρ..., გვ. 99.

[8] B. Leadbetter. Galerius and the Will of Diocletian. Routledge: London, New York. 2009, გვ. 48.

[9] W. Treadgold. A History of Byzantine State and Society. Stanford University Press. 1997, გვ. 14.

[10] B. Leadbetter. Galerius and the Will of Diocletian, გვ. 2.

[11] B. Leadbetter. Galerius and the Will of Diocletian, გვ. 134-146

[12] Cambridge Ancient History. Vol. XII, გვ. 90. დაწვრილებით ამ ეპოქაში მიმდინარე პოლიტიკური თუ სხვა სახის მოვლენების შესახებ, იხ.: A. H. M. Jones. The Later Roman Empire, 284-602, 1-2 vols. Oxford: Basil Blackwell. 1964.

ტიტულის მქონე მამაკაცი ითვლებოდა იმპერიის ტახტის მემკვიდრედ, ოღონდ იმპერატორობის პატივის გარეშე.

ბიზანტიის იმპერიაში კეისრის ტიტული ნაკლებად გაიცემოდა. თეოდოსი I დიდის (378-395 წწ.) მმართველობიდან მოყოლებული პრაქტიკაში იმპერატორის მიერ საკუთარი შვილების თანაიმპერატორად გამოცხადება დამკვიდრდა, ამდენად, კეისრის ტიტულის იშვიათი გაცემა არ უნდა გაგვიკვირდეს.[13]

იმპერატორმა ლეონ I-მა 473 წელს ეს ტიტული გადასცა თავის მემკვიდრესა და შვილიშვილს, ლეონ II-ს, რომელიც მოგვიანებით იმპერატორი გახდა, ოღონდ მცირე ხნით. იუსტინე II-მ (565-578 წწ.) კეისრის ტიტული თავის მომავალ მემკვიდრეს ტიბერიუსს, გადასცა, რომელმაც ეს ტიტული 574 წელს მიიღო. ოთხი წლის შემდეგ ტიბერიუს II (578-582 წწ.) ბიზანტიის იმპერატორი ხდება.[14] 582 წლისთვის მან კეისრის რანგში ორი ბიზანტიელი არისტოკრატი, მავრიკე და გერმანიუსი, აიყვანა, თითოეულ მათგანს ცოლად იმპერატორის ქალიშვილები შერთეს. ტიბერიუსს ჩაფიქრებული ჰქონდა იმპერიის ორად გაყოფა, როგორც ეს 395 წელს გააკეთა იმპერატორმა თეოდოსიმ, თუმცა ბოლო მომენტში გადაიფიქრა და მემკვიდრედ მხოლოდ მავრიკე გამოაცხადა. ამდენად, მომავალი იმპერატორი კეისრის ტიტულის მქონე მავრიკე გახდა.[15] კეისრის ტიტულს დაეუფლა მავრიკეს უფროსი ვაჟი და მემკვიდრე თეოდოსიც, მოგვიანებით ის მამის თანაიმპერატორიც გახდა,[16] თუმცა იმპერატორობა არ დასცალდა და მამასთან და ძმებთან ერთად 602 წელს მომავალი იმპერატორის, ფოკას, ბრძანებით სიცოცხლეს გამოასალმეს.[17]

მოგვიანებით კეისრის ტიტული გაიცემოდა იმპერატორის უმცროს ვაჟიშვილებზე, ასე მოხდა იმპერატორების, ჰერაკლესა (610-641 წწ.) და კონსტანტინე V კოპრონიმუსის (741-775 წწ.), შემთხვევაში.[18] იმპერატორმა თეოფილემ (829-842 წწ.) კეისრობა გადასცა თავის სიძეს, ალექსი მოსელს, თუმცა მალევე დააპატიმრა და პატივი აჰყარა შეთქმულების საბაბით.[19] იმპე-

[13] J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century: With a Revised Text of the Kletorologion of Philotheos. London. 1911, გვ. 36.
[14] W. Treadgold. A History of Byzantine State and Society, გვ. 223-225.
[15] W. Treadgold. A History of Byzantine State and Society, გვ. 226-227.
[16] J. Martindale. Prosopography of Later Roman Empire. Vol. III. A.D.527-641. Cambridge University Press. 1992, გვ. 1293.
[17] W. Treadgold. A History of Byzantine State and Society, გვ. 235; ODB. III. გვ. 2050; Ю. А. Кулаковский. История Византии. Т. II. СПб.:1996, გვ. 393-395.
[18] J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century, გვ. 36.
[19] W. Treadgold. A History of Byzantine State and Society, გვ. 440-442.

რატორმა მიხაელ III ლოთმა (842-867 წწ.) ეს ტიტული ბიძამისს, ბარდას, გადასცა, ხოლო ნიკიფორე II ფოკამ (963-969 წწ.) მამამისს, ბარდა ფოკას.[20] აქედან არცერთი გამხდარა ბიზანტიის იმპერატორი, თუმცა ყველანი ბიზანტიის იმპერატორის ოჯახის ახლო წევრები იყვნენ. ამის შემდეგ კეისრის ტიტული მიანიჭეს მიხეილ IV პაფლაგონიელის დისშვილს, მიხაელ კალაფატს, რომელიც იმავე 1041 წელს, ბიძის გადაცვალების შემდეგ, იმპერატორი გახდა.[21] 1057 წელს იგივე ტიტული შესთავაზეს ისააკ კომნენოსს, რომელიც იმპერატორ მიხაელ VI სტრატიოტიკოსის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა. ისააკმა ტიტულზე უარი თქვა და მალევე წარმატებით დაიკავა დედაქალაქი, ხოლო თავად იმპერატორად ეკურთხა.[22] ისააკის მემკვიდრემ, კონსტანტინე X დუკამ (1059-1067 წწ.), ტახტზე ასვლისთანავე კეისრად თავისი ძმა, იოანე დუკა, დანიშნა, რომელიც ამ ტიტულით ცხოვრების ბოლომდე იწოდებოდა.[23] თუმცა მას მერე, რაც იოანე დუკა 1074 წელს დამარცხდა რუსელ ბალიოლთან ბრძოლაში და ტყვედ ჩავარდა, იძულებული გახდა, დაჰყოლოდა როსელის ბრძანებას და თავი იმპერატორად გამოაცხადა. რეალურად, კეისარი იოანე დუკა ავანტიურისტი ნორმანი დიდებულის, როსელის, ხელში ბრმა იარაღად იქცა. როსელის დამარცხების შემდეგ იოანეს ძმიშვილმა, იმპერატორმა მიხაელ VII დუკამ (1071-1078 წწ.), ის თურქების ტყვეობიდან გამოისყიდა და პირობა დაადებინა, უარი ეთქვა იმპერატორობის პრეტენზიაზე. კეისარი იოანე დუკა ბერად აღიკვეცა.[24] მიუხედავად იმისა, რომ იოანე ბერად იყო შემდგარი, ისტორიკოსი ანა კომნენა მას ძველი პატივით მოიხსენიებს. 1074 წლიდან იოანე რეალურად იგი აღარ ასრულებდა კეისარი მოვალეობას. ამ უფლებაში, იოანე დუკა მხოლოდ 1081 წელს აღდგა, როდესაც თავის სიძეს, ალექსი I კომნენოსს, ტახტის დაუფლებაში დაეხმარა.[25] სწორედ 1074 წლის შემდეგ იღებს კეისრის ტიტულს საქართველოს მონარქი გიორგი II (1072-1089 წწ.), რომელიც ამ პატივში, სავარაუდოდ, იმპერატორმა მიხაელ VII დუკამ აიყვანა.

---

[20] ODB. I. გვ. 363; J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century, გვ. 36.

[21] Michael Psellus. Chronographia. Trans E.R.A Sewter. New Haven: Yale University Press. 1953, IV, 21-28; ODB. II. გვ. 1366.

[22] Michael Psellus. Chronographia, VII, 19, 40.

[23] Michael Psellus. Chronographia, VIII, 26; Anna Comnena. The Alexiad. Edited and translated by Elizabeth A. Dawes. London: Routledge. 1928, book II-III.

[24] M. Angold. The Byzantine Empire 1025-1204: a political history. First pub. 1987. London; New York: Longman. 1997, გვ. 116-117.

[25] M. Angold. The Byzantine Empire 1025-1204, გვ. 125-127.

გიორგი II ბაგრატიონი

ქართული წყაროები ტიტულ „კეისარს“ ორი მნიშვნელობით ხმარობდნენ. „კეისრად“, როგორც წესი, ბიზანტიის იმპერატორები იწოდებიან,[26] ხოლო მისი ბერძნული შესატყვისი, „კესარი“ (ქართული „კესაროსი“), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საიმპერიო საკარისკაცო ტიტულის მნიშვნელობით გამოიყენებოდა.[27]

საქართველოს ერთადერთი მონარქი, რომელმაც ეს ტიტული ბიზანტიის იმპერატორისგან მიიღო, იყო გიორგი II (1072-1089 წწ.). გიორგის კეისრის პატივი დაახლოებით 1074-1081 წლებში მიენიჭა და ამავე პერიოდშია მოჭრილი მისი კეისრის ტიტულიანი მონეტებიც, რომელიც სავარაუდოდ იჭედა ქვეყნის დედაქალაქ ქუთაისში. მონეტის აღწერილობა შემდეგია:

„შუბლი – წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზეითი გამოსახულება, თავზე შარავანდით. შარავანდის შიგნით ოთხი წერტილისგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: ἡ ἁγία θεοτόκος – წმინდა ღვთისმშობელი.

ზურგი – შერწყმული წერტილოვანი რკალის შიგნით ქართული ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე გიორგი, აფხაზთა და ქართველთა მეფე“. ცენტრში, სამსტრიქონად: „და კესაროსი“.[28]

გიორგის აღნიშნული ემისია განხორციელდა მას შემდეგ, რაც მან მეფობის დასაწყისში ნოველისიმოსისა და სევასტოსის წარწერიანი მონეტები მოჭრა. ამ გამოშვების ყველა მონეტის ატრიბუცია იდენტურია, განსხვავებულია მხოლოდ ბიზანტიური საიმპერიო ტიტული, რომელიც მასზე არის დატანილი. ყველაფერი ეს იმის მანიშნებელია, რომ გიორგი ერთმანეთის მიყოლებით ატარებდა აღნიშნულ ტიტულებს. ამათგან ბოლოს სწორედ კეისრობა მიიღო, როგორც ყველაზე მაღალი რანგის საიმპერიო პატივი.

კეისრის ტიტულით გიორგი ქართულ ანდერძ-მინაწერებშიც იწოდება. შემორჩენილია რამდენიმე კოლოფონი, მათ შორის ორი თარიღიანია, ხოლო

---

[26] რიგ შემთხვევებში ქართველი მეფეებიც, როგორც ამას ქვემოთ ვიხილავთ.

[27] აქვე განვმარტავთ, რომ ბერძნული „კესარის“ (Καῖσαρ) ქართულში დამკვიდრებულ ფორმა „კესაროსს“ ხედმეტი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ტექსტში თითქმის ყველგან მისი ორიგინალი ფორმით „კეისრით“ ვხმარობთ. გამონაკლისია მხოლოდ წყაროები, სადაც ძველ ფორმას არ ეცვლით.

[28] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006, გვ. 193, ტაბ. VIII, № 53.

დამარჩენები კი უთარიღო.[29]

თედო ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული ქრონიკების მიხედვით, გიორგი 1081 წელს უკვე კეისრად იწოდება.[30] ეს არის ყველაზე ადრეული თარიღიანი კოლოფონი, რომელითაც ირკვევა, რომ გიორგის კეისარი 1081 წლამდე გამხდარა. აღნიშნული ცნობა, თედო ჟორდანიას ალექსანდრე ცაგარელის მიერ მოპოვებული, ტყავის ყდაში მოქცეული მეტაფრასული კრებულის თარგმანიდან ამოუწერია. ანდერძ-მინაწერის შინაარსი საინტერესოდ გვეჩვენება:

„ითარგმნა უკუე ესე მეტაფრასტი ქალაქსა შინა სამეუფოსა კოსტანტინეპოლსა, მონასტერსა შ(ინ)ა ყ(ოვლა)დ შუენიერისა ტრიანფლიუს დედისა ღ(მრ)თისასა, უღირსისა მიერ თეოფილეესა ხუცეს მონაზონისა, მათვე ჰელითა მიერ გაინუსხა დასაბამითგან წელთა ექუსი ათას ხუთას ოთხმეოც-და-მეცხრესა, ინდიქტიონსა ოთხსა ბერძნულად; მეფობასა აღმოსავლეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისა, რომლისა ბრძანებით ვიწყე თარგმნად წიგნთა ელლინურისაგან ქართულად, ხოლო საბერძნეთს დედოფლობასა მართა, მისივე გიორგის დისასა და მეფობასა ნიკიფორე ბოტინატისა და ალექსი კომნინისა, მას ჟამსა ოდეს ბაგრატის ასული მარიამ დედოფალი აღმოსავლეთით კოსტანტინეპოლეს შემოვიდა“.[31]

როგორც ვხედავთ, თარგმანი გიორგი ხუცესმონაზონს შეუსრულებია საქართველოს მეფის, გიორგი მეორის ბრძანებით, რომელიც კეისრად იწოდებოდა. გიორგის ტიტულებს შორის მნიშვნელოვანია მისი აღმოსავლეთის მეფედ მოხსენიება, ამ შემთხვევაში იგი ბიზანტიის აღმოსავლეთით მდებარე ქრისტიანული სამყაროს მმართველად მოიაზრება. ხოლო კეისრის ტიტული ბუნებრივია, მისთვის იმპერატორის წყალობაა.

„ყოველი აღმოსავლეთის მეფის“ ტიტული, რომელიც ბიზანტიურ წოდებასთან ერთობლიობაში არის წარმოდგენილი, დავით III კურაპალატის დროიდან მკვიდრდება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.[32] ამდენად, გიორგი

[29] გიორგი II-ის ხანის ქართველ მეფეთა პოლიტიკური სტატუსის შესახებ იხ.: ი. ანთელავა. ქართული საისტორიო მასალა გიორგი II-ის სტატუსის შესახებ. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ. 1988, გვ. 97-116; ჯ. სამუშია. დავით აღმაშენებელი: სტატუსი 1083-1089 წლები. ეურნ. დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა – თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სპეციალური დამატება. თბ. 2012, გვ. 8-17.

[30] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წგნ.: I. პირველი გამოცემა ტფ. 1892. მეორე ფოტოფირული გამოცემა. თბ. 2004, გვ. 228-229.

[31] ქრონიკები I, გვ. 228-229.

[32] იხ.: შ. ბადრიძე. დავით დიდი ტაოელის პოლიტიკური სტატუსის საკითხისათ-

ხუცესმონაზონი ანდერძში სწორედ გიორგი მეორის აღმოსავლეთში მეფობასა და მის კეისრობას უსვამს ხაზს, რაც, ბუნებრივია, იმის მანიშნებელია, რომ 1081 წლისთვის გიორგი მეფე „ყოვლისა აღმოსავლეთის კესაროსის“ ტიტულს მფლობელია. მოგვიანებით, რუის-ურბნისის კრების ანდერძის მიხედვით, კი საპატიო წოდებას „ყოვლისა დასავალისა“ ანუ ყოველი დასავლეთის კეისრის წოდებასაც უმატებს. თუ როდის უჩნდება, ამაზე პრეტენზია გიორგის, ეს წყაროებიდან არ ჩანს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა“ კეისრობა აქ, შესაძლოა, სრულიად საქართველოსა ან სრულიად აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროს აღნიშნავდეს, რადგან, 1081 წლის ანდერძის მიხედვით, იგი მხოლოდ აღმოსავლეთის კეისარია,[33] ხოლო 1081 წლის შემდეგ, როდესაც ის პოლიტიკურ წარუმატებლობებს განიცდის, ძნელი წარმოსადგენია, რომ მას საკუთარი პრეტენზიები გაეზარდა.

აღნიშნული ანდერძ-მინაწერი ყველაზე ადრეული პერიოდით დათარიღებული ძეგლია, რომელშიც გიორგი კეისრად იწოდება. სხვა უფრო ადრეული ხანის მასალა ჩვენ ხელთ არ გვაქვს. სხვა ანდერძ-მინაწერების მიხედვით დასტურდება, რომ გიორგის კეისრის ტიტული 1085 წელს და 1089 წლის შემდეგ უტარებია.[34] როგორც ვარკვევთ, სევასტოსობა გიორგიმ 1073 წელს მიიღო,[35] რაც საშუალებას იძლევა ოდნავ შევამოკლოთ კეისრობის მიღების ქრონოლოგიური ჩარჩო და ის 1074-1081 წლებს შორის განვსაზღვროთ.

ის, თუ როდის მიიღო გიორგიმ კეისრის ტიტული, მეტ-ნაკლებად გარკვეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამისთვის ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევა მიხაელ VII-ის იმპერატორობის დროს შეიქმნა. ბანაში ზავი დაიდო, რომლის საფუძველზეც გრიგოლ ბაკურიანის ძემ იმპერატორის ბრძანებით გიორგი მეფეს იბერიის თემის დიდი ნაწილი და აღმოსავლეთის რიგი ტერიტორიები გადასცა კარის ქვეყნის ჩათვლით. დავით აღმაშენებლის მემატიანე წერს:

„წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თჳსსა ტაოს და მოვიდა ბანას; მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორავარი აღმოსავალისაჲ გრიგოლ ბაკურიანის ძე,

---

ვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. B 8-9 (155-156). თბ. 1974, გვ. 79-89; ე. კოპალიანი. „ყოველისა აღმოსავლეთისა“ კერაპალატის საკითხისათვის, „მაცნე“: ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის სერია. 1972, № 3.

[33] ქრონიკები I, გვ. 228-229.

[34] ქრონიკები I, გვ. 232-234.

[35] ლ. თავაძე. სევასტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, გვ. 174-175, სქ. 65.

რომელსა ჰქონდეს ოლთისნი და კარნუ-ქალაქი და კარი, და დიდად იამხანაგ[ებ] და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანაჲ; ხოლო მეფემან დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა".[36]

წყაროში არ დასტურდება, მიიღო თუ არა გიორგიმ რამე ბიზანტიური ტიტული იმპერატორისგან. უფრო მეტიც, ისე ჩანს, თითქოს ოლთისის, კარის და მიმდგომი ქვეყნების გადაცემა მხოლოდ გრიგოლ ბაკურიანის ძის ინიციატივა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. გრიგოლის ეს ნაბიჯი იმპერატორის მიერ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, ხოლო, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მიღებული, აღმოსავლეთში არსებული ბიზანტიური სამფლობელოების გარდა, იმპერატორს გიორგი მეორისთვის კეისრის ტიტულიც უნდა ებოძებინა.[37] ვინაიდან ბანაში დადებული ზავი, ბოლო გამოკვლევების მიხედვით, 1076 წელს გაფორმდა,[38] გიორგის მიერ კეისრობის მიღებაც ამავე წლით უნდა განვსაზღვროთ.

გიორგი II გახდა საქართველოში მოღვაწე პირველი და უკანასკნელი პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც კეისრის ოფიციალური ტიტული მიიღო ბიზანტიის იმპერატორისგან. უფრო მეტიც, მისი გარდაცვალების შემდეგ საერთოდ არ დასტურდება ბიზანტიის იმპერატორების მიერ საიმპერიო საკარისკაცო ტიტულების გაცემა საქართველოში მოღვაწე ფეოდალებზე. ეს უკანასკნელი იმის მანიშნებელია, რომ დავით IV აღმაშენებელმა, რომელიც 1104 წელს, უკვე თვითმყრობლად იხსენიებს თავს, ხელი შეუწყო მათი გაცემის შეწყვეტას საქართველოს სამეფოში. გიორგი, ალბათ, ერთ-ერთი უკანასკნელია, რომელიც ბიზანტიის იმპერიის სენატორულ პატივს ცხოვრების ბოლომდე ატარებდა. ის კეისრის საიმპერიო ტიტულით 1076-1112 წლებში იწოდებოდა.[39]

აღნიშნულს ადასტურებს 1104 წლის რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის" მოსახსენიებელი, სადაც ის სწორედ კეისრად არის წოდებული. მოსახსენიებლის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ასე იკითხება:

„კეთილად მსახურისა და ღმრთივ-დაცულისა მეფისა ჩუენისა გიორგი მეფეთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისა,

---

[36] ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 301.
[37] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 266.
[38] რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II. თბ. 2003, გვ. 87-93.
[39] რუის-ურბნისის „ძეგლისწერის" მოსახსენიებელში გიორგი „კესაროსად" მოიხსენიება, მაშინ როდესაც დავითი თვითმპყრობელია (იხ.: ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 125-126)

მრავალმცა არიან წელნი“.[40]

რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ მოსახსენიებლის მიხედვით, გიორგი „ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსია“. მსგავსი სახის ფორმულა პირველად გვხვდება ქართულ პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში, აქამდე ქართველი მეფეები „ყოვლისა აღმოსავლეთის“ მპყრობელის (იგულისხმება კურაპალატი, ნოველისიმოსი და ა.შ.) ეპითეტით მოიხსენიებდნენ თავს. ამ ფორმულას არ ვხვდებით არც გიორგის მიერ გაცემულ სიგელზე, რომელიც მეფობის დასაწყისშია შედგენილი.[41] როგორც აღვნიშნეთ, გიორგი კეისრად იხსენიება მის დროს მოჭრილ ვერცხლის საფასზეც. მონეტის ავერსზე ვლაქერნის ღვთისმშობელია გამოსახული. ეს არის ამ ტიპის მონეტების ერთ-ერთი ბოლო ემისია.

კეისრის ტიტული გიორგი II ბაგრატიონის დროის ბიზანტიაში

გიორგი II-ის გარდა, მისივე სიცოცხლეში კეისრის ტიტულს ატარებდნენ ბიზანტიის სხვა წარჩინებულებიც. მაგალითად, კეისარი იოანე დუკა, იმპერატორ მიხაელ VII დუკას ბიძა,[42] ასევე ნიკიფორე მელისენე, რომელმაც ეს ტიტული ალექსი I კომნენოსის ტახტზე ასვლის შემდეგ, 1081 წელს, მიიღო.[43] ალექსი I კომნენოსმა ნიკიფორე მელისენეს, რომელიც ნიკიფორე ბოტანიატეს წინააღმდეგ ავჯანყდა, მშვიდობის სანაცვლოდ კეისრის ტიტული და ტერიტორია შესთავაზა თესალიაში.[44] კეისრის ტიტულს ატარებდა, ასევე, ანა კომნენას ქმარი, ნიკიფორე ვრიენოსი.[45]

კეისრის ტიტული იოანე დუკას შემდეგ ნიკიფორე მელისენეს უნდა მიეღო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – ნიკიფორე ვრიენოსს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ტიტულით იოანე დუკა მისი ბერად აღკვეცის შემდეგაც იხსენიება. 1081 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც ალექსი კომნენოსი ღიად იწყებს მოქმედებას ხელისუფლების უზურპაციის მიზნით იოანე

---

[40] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 125.

[41] ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. ქისკ. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილი. თბ. 1984, გვ. 46-49.

[42] Anna Comnena. The Alexiad, book I, XII, გვ. 31.

[43] Anna Comnena. The Alexiad, book II, VIII, გვ. 62.

[44] Anna Comnena. The Alexiad, book II, VIII, გვ. 62. ალექსიმ, როდესაც ნიკიფორე მელისენეს შესთავაზა კეისრობა, იოანე დუკა, მისი სურვილისამებრ, ბერად იყო აღკვეცილი და სამონასტრო ცხოვრებას მისდევდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისტორიკოსი ანა კომნენა მას მაინც კეისრად მოიხსენიებს (იხ.: Anna Comnena. The Alexiad, book II, VIII, გვ. 63).

[45] Anna Comnena. The Alexiad, preface, გვ. 2-4.

კეისრად იხსენიება. ამ შემთხვევაში იოანე დუკა ალექსის ერთ-ერთი უმთავრესი მოკავშირე იყო, რომლსაც მაინცდამაინც დიდი კმაყოფილება არ გამოუხატავს სიძის ამ წამოწყების მიმართ, ანა კომნენა წერს:

„ის (ალექსი I კომნენოსი – ლ. თ.) გაემართა კეისარის (იოანე დუკა – ლ. თ.) კარავში გამთენიისას და უამბო მას თავისი განზრახვის შესახებ და სთხოვა გაჰყოლოდა მას დაცული კედლებისა და მათი მცველების (რომლებიც შერჩეულნი იყვნენ სხვადასხვა სამხედრო ნაწილებისგან) დასაზვერად, ასევე იმის განსასაზღვრად, თუ როგორ შეძლებდნენ ისინი ქალაქის დაუფლებას. კეისარი შეაშფოთა ამ შემოთავაზებამ, რადგან მას ის-ის იყო დაედო აღთქმა მონასტრული ცხოვრების წესის შესახებ და, ბუნებრივია, უარს ამბობდა მისულიყო კედლებთან ახლოს, რათა არ გამხდარიყო საგუშაგოებთან და კედლებთან მდგარი ხალხის დასაცინი“.[46]

მოგვიანებით ირკვევა, რომ ალექსი კომნენოსს იოანე მცველების მოსყიდვის მიზნით უნდოდა გამოეყენებინა, ხოლო იოანე დუკა მას შემდეგ ივიწყებს თავის სასულიერო ცხოვრებას, რაც საკუთარი ოჯახის ინტერესებს საფრთხე ემუქრება.[47]

საბოლოოდ, ალექსი კომნენოსი იკავებს კონსტანტინოპოლს და იმპერატორი ხდება, ხოლო ირინა დუკაინა, იოანე დუკას შვილიშვილი, ინარჩუნებს დედოფლობას და კანონიერი ქმრის გვერდით იკავებს ადგილს.[48] მიუხედავად იმისა, რომ იოანე დუკა ბერად არის შემდგარი 1081 წლის მარტისთვის, ანა კომნენას „ალექსიადაში“ მაინც კეისრის პატივით იხსენიება. უნდა ვიფიქროთ, რომ ფორმალურად იოანე ინარჩუნებს ამ ტიტულს, თუმცა ირინას გადედოფლების შემდეგ კვლავ ჩამოსცილდა პოლიტიკას და თავის სამფლობელოებს დაუბრუნდა თრაკიაში.[49]

ამდენად, მეფე გიორგი II ბაგრატიონის გარდა, კეისრის ტიტულს ბიზანტიაში ორი პიროვნება, იოანე დუკა, იმპერატორ კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) ძმა და ნიკიფორე მელისენოსი ფლობდნენ, ხოლო ამათ შემდეგ ამავე ტიტულს იღებს კეისარ ალექსი კომნენოსის სიძე – ნიკიფორე ვრიენოსი.

---

[46] Anna Comnena. The Alexiad, book II, VIII, გვ. 63.

[47] M. Angold. The Byzantine Empire 1025-1204, გვ. 127.

[48] M. Angold. The Byzantine Empire 1025-1204, გვ. 126-127.

[49] M. Angold. The Byzantine Empire 1025-1204, გვ. 127. ვრცლად დუკების დინასტიისა და იოანე დუკას მოღვაწეობის შესახებ იხილეთ: D. I. Polemis. Doukai. London. 1985.

ზაქარია და ივანე მხარგრძელები

კეისრის ტიტულით საქართველოში მხოლოდ მეფე გიორგი II არ იხსენიება, ამავე ტიტულს, სომხური წყაროების მიხედვით, ატარებდნენ ზაქარია და ივანე მხარგრძელები. ერთ-ერთი სომხური ანდერძ-მინაწერი (ჰიშატაკარანი) შემდეგ ცნობას გვაწვდის:

„სახელოვანი ერისთავთ-ერისთავი (იშხანთ-იშხანი – ლ. თ.) პატრონი ხავრასი, ძე ამირ სარგისისა... იყო დედის ძმა სომეხთა და ქართველთა და ყოველთა აფხაზთა კესაროსების, კეთილმსახურ, ღმრთივგანდიდებულ დიდი ზაქარიასი და ივანესი“.[50]

სომხურ ანდერძ-მინაწერში კეისრის ტიტული „კესაროსაცის“ ფორმით არის დაფიქსირებული.[51] ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სომხეთშიც მსგავსად ქართულისა გამოყოფდნენ ტერმინ „კესაროსს“ მისი პირველადი ფორმისგან – „კეისრისგან“.

ზაქარია და ივანე მხარგრძელები, როგორც ცნობილია, თამარ მეფის (1184-1210 წწ.) დროს დაწინაურდნენ, ისინი ფლობდნენ სომხურ მიწებს, ასევე, ტერიტორიებს ქვემო ქართლში. მხარგრძელების გაძლიერებას განსაკუთრებით ხელი მათმა სამხედრო აქტივობამ შეუწყო. ამის შედეგად, სხვადასხვა დროს ისინი ეუფლებიან ათაბაგის, ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის და მსახურთუხუცესის სახელოებს. ზაქარია თავის სამფლობელოებში შაჰანშაჰადაც იწოდება, რაც ხაზს უსვამს მის მიერ ქალაქ ანისისა და სომხეთის ცენტრალური პროვინციის მფლობელობას.[52] ეს სამფლობელოები ადრე სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო მოქცეული, მოგვიანებით, დიდი ბრძოლების შემდეგ, ისინი საქართველოს სამეფომ შეიერთა.[53]

ზაქარიას და ივანეს გავლენა საქართველოში მნიშვნელოვანი იყო, რის გამოც ისინი საქართველოს მეფის კარზე სხვა ფეოდალებზე მეტად დაწინა-

---

[50] ა. აბდალაძე. სომხური ანდერძ-მინაწერები საქართველოს შესახებ (X–XIII სს.). თბ. 2005, გვ. 56.

[51] სომხურ ტექსტთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციისათვის მადლობას ვუხდით ისტორიის დოქტორს ქეთევან ქუთათელაძეს.

[52] შანშე დარჩიაშვილის აზრით, აღნიშნული ტიტული ზაქარია მხარგძელს ფორმალურად ჰქონდა მიღებული და ის არ ატარებდა რაიმე პოლიტიკურ დატვირთვას. იხ.: შ. დარჩიაშვილი. ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიიდან: სომხური ლაპიდარული წარწერების ცნობები საქართველოს შესახებ XII-XIII საუკუნეების პირველ მესამედში. თბ. 2010, გვ. 145, 110-115.

[53] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III. თბ. 1979, გვ. 263-274; მ. ლორთქიფანიძე. ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან XII ს. საქართველოში. კრ. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. წგნ.: I. თბ. 1970, გვ. 105-115.

ურდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი რჩებოდა მეფის კარზე de jure პირველ მოხელედ, რეალურად მისი ადგილი თამარის მეფობის მიწურულს მხარგრძელებმა დაიკავეს.[54]

სხვა საქმეა, რამდენად რეალურია ზაქარია და ივანე მხარგრძელების მიერ კეისრის პატივის მიღება. ამ ტიტულს ბიზანტიის იმპერატორი უკვე აღარ გასცემდა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ფეოდალებზე. ერთადერთი, ვისაც შეეძლო ეს ტიტული გაეცა მხარგრძელებზე, იყო თავად საქართველოს თვითმპყრობელი.

საქართველოს მონარქი თვითმპყრობლად დავით IV აღმაშენებლის დროიდან იწოდება, ამდენად, ამ დროიდან მოყოლებული ბიზანტია წყვეტს საიმპერიო საკარისკაცო ტიტულების გაცემას აღმოსავლეთში. ამ შემთხვევაში მხარგრძელების სასარგებლოდ, საქართველოს მეფეს (თამარს ან გიორგი IV ლაშას) შეეძლო გაეცა „კესაროსის" ტიტული. თუმცა შემოიღო თუ არა საქართველოს მეფემ სამეფო კარზე ეს ტიტული, საისტორიო წყაროებში არ ჩანს. არ ჩანს არც ის, თუ რა ფუნქცია-მოვალეობები უნდა ჰქონოდა დაკისრებული ამ ტიტულის მფლობელს.

ჩვენი აზრით, სომხურ წყაროებში მოხსენიებული კეისრის ტიტული ზაქარიას და ივანეს საპატიო ტიტულის სახით უნდა ჰქონოდათ მიღებული, რაც არ გამოხატავდა მათ ოფიციალურ მდგომარეობას ქვეყანაში. მაგალითად, იმავე ხანაში ანგელოსების ბიზანტიაში ტიტული კეისარი კვლავ ერთ-ერთ უმაღლეს ტიტულად რჩება. ამ ტიტულს ჯერ ლათინი რანიერ-იოანე მონფერატი ფლობდა, ხოლო შემდეგ კი მისი ძმა კონრად მონფერატი. ეს უკანასკნელი იმპერატორ ისააკ II ანგელოსის (1185-1195 წწ.) სიძე და უახლოესი თანამებრძოლი იყო და თავი ალექსი ვრანას აჯანყების ჩახშობისას გამოიჩინა.[55]

ამდენად, ზაქარია და ივანე მხარგრძელების კუთვნილი ტიტული „კესაროსი" საპატიო ეპითეტი უნდა ყოფილიყო და არა ოფიციალური ტიტული. შესაძლოა, ეს პასაჟი სომეხი პანეგირიკის მიერ მხარგრძელების სოციალური მდგომარეობის ხაზგასმა უფრო იყო, ვიდრე რაიმე სახის ოფიციალური ტიტული. ყოველ შემთხვევისთვის, საქართველოში, ქართული წყაროების მიხედვით, ჯერჯერობით არ დასტურდება ბიზანტიური საკარისკაცო ტიტუ-

[54] ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. თბ. 1983, გვ. 136-138.
[55] ODB. I, გვ. 495.

ლების შემოღება ადგილობრივი მმართველების მიერ.

მნიშვნელოვანია აღმოსავლური წყაროების მონაცემები საქართველოს ამირსპასალარის ტიტულთან დაკავშირებით. მაგალი თოდუას მიერ თარგმნილ სპარსულ ენაზე შესრულებულ კრებულში, რომელიც 1219 წელს არის გადაწერილი, დაცულია ინფორმაცია აფზალ ალ-დინ ბადილ ხაყან შარვანის (1120/6-1199 წწ.)[56] წერილებიდან. მასში საქართველოს ამირსპასალარის მიმართვის ფორმა არის წარმოდგენილი, სადაც ეს უკანასკნელი კეისრად იწოდება:

„მაღალი საკრებულოს; დიდი ამირ-სპასალარის; უდიდესი მბრძანებლის... კეისართა მძლეველის... ქრისტიანთა ლაშქრის წინამძღოლის; [ქრისტეს] მოწაფეთა გვირგვინის; ამირათა თვითმპყრობელის; აბხაზისა და შაქის ფალავნის; არმანისა და რუმის მარზბანის; ალანისა და რუსის სარდლის, უდიდესი კეისაროსის სიცოცხლე სრულქმნილი იღბლით მარადი იყოს მისი მოციქულების კრებულის სახელით“.[57]

აღსანიშნავია, რომ ამირსპასალარის მიმართვის ტექსტში კეისრის ტიტული ორი განსხვავებული ფორმით არის წარმოდგენილი, დასაწყისში როგორც „ალ-კაესირა“ (მხოლ. „კაესარ“), ხოლო ბოლოში კი, როგორც „კისარუს“.[58] თუ პირველ შემთხვევაში კეისრის არაბულიდან სპარსულში შესული ფორმა გვაქვს დაფიქსირებული, მეორე შემთხვევაში კეისრის ტიტულის ბერძნული ფორმით არაბულსა და სპარსულში შესულ ტერმინს ვაფიქსირებთ, რომელიც პირველისგან განსხვავებული მნიშვნელობით არის წარმოდგენილი. საგულისხმოა ისიც, რომ ამირსპასალარი იწოდება, როგორც „კისარუს“ ანუ ქართულში დამკვიდრებული ფორმა „კესაროსის“ ანალოგიით და არა როგორც „კაესარ“ ანუ „კეისრად“. ამდენად, აღმოსავლურმა წყაროებმა ქართული წყაროების მსგავსად, ტერმინი „კეისარი“ ორ განსხვავებულ სიტყვად აქციეს. ამათგან, პირველი იხმარებოდა მეფეების საპატიო ეპითეტად, ხოლო მეორე ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის მნიშვნელობით.

ამრიგად, სპარსული ტექსტის მთარგმნელმა, მაგალი თოდუამ ეს ორი ტერმინი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში დამკვიდრებულ „კეისრისა“ და „კესაროსის“ ტიტულებს დაუკავშირა და შესაბამისად თარგმნა კიდეც.

---

[56] მოკლედ მის შესახებ იხ.: ა. გეახარია. ხაკანი შარვანი. ქსე. ტომი XI. მთ. რედ. ირ. აბაშიძე. თბ. 1987, გვ. 416.

[57] მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 27.

58 სპარსულ ტექსტთან დაკავშირებით კონსულტაციისთვის მადლობას ვუხდით პროფესორ დარეჯან გარდავაძეს.

მაგალი თოდუას აზრით, მის მიერ თარგმნილ ტექსტებში დაცული ეპითეტები ოფიციალური მიმართვის დროს სავალდებულო თუ არა, სასურველი მაინც იყო, რომ წარმოთქმულიყო. ამგვარად, წერილებში დაცულ ტიტულებსა თუ ეპითეტებს გარკვეული ცერემონიული დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ არა ყოველთვის ოფიციალური. მაგალი თოდუა წერს: *„ამ მასალის შესწავლისას მაინც სიფრთხილე გვმართებს, რადგან ნაწილი ამ ტიტულთაგან შეიძლება იყოს არა ოფიციალური ტიტული (ლაყაბ), არამედ უბრალო ეპითეტი (ვასფ)“*.[59]

ამგვარად, სომხური და სპარსული წყაროების შეჯერების საფუძველზე, უნდა დავასკვნათ, რომ კეისრის ტიტული („კესაროსის“ ფორმით) საქართველოში გამოიყენებოდა, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ის XII-XIII სს. მიჯნაზე რაიმე სახის ოფიციალური ტიტული ყოფილიყო. მხარგრძელების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ეს ტიტული მათ არაოფიციალურ ტიტულს წარმოადგენდა.[60] მიუხედავად აღნიშნული ტიტულის არაოფიციალური სახისა, ამავე წყაროების მიხედვით, მხარგრძელები საქართველოს მეფის კეისრებია („კესაროსის“ ფორმით): *„ქართველთა და ყოველთა აფხაზთა კესაროსების...“*, ხოლო საქართველოს მონარქი კი მათი უზენაესი იმპერატორი.

ამდენად, ბიზანტიის მიერ ბოძებულ კეისრის ტიტულს საქართველოში მხოლოდ გიორგი II ფლობდა ვიდრე გარდაცვალებამდე – 1076/8-1112 წლებში. კეისრის არაოფიციალური ტიტულით შემკობილი არიან, ასევე ძმები ზაქარია და ივანე მხარგრძელები. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ კეისრის ტიტული საქართველოში არ იხმარებოდა, როგორც საიმპერატორო ტიტული და, მსგავსად სევასტოსისა, წარმოადგენდა რიგით საიმპერატორო საკარისკაცო ტიტულს. ხოლო ქართულ ენაში კი დამკვიდრდა, როგორც „კესაროსი“.

კეისრის კურთხევის ცერემონიალი, რეგალიები და პრივილეგიები

კეისრის ტიტულის სრული სახით წარმოდგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მის ფუნქციაზე, კურთხევის ცერემონიალსა თუ რეგალიების საკითხებზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კეისრად კურთხევა იმპერატორის კურთხევის ანალოგიით ხდებოდა. მასვე გადაეცემოდა ინსიგნიები, რაც ძალაუფლების მინიჭებას გამოხატავდა. ინვესტიტურის გადაცემა და მასთან დაკავშირებული ცერემონიალი თით-

[59] მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 33-34.

[60] მ. თოდუა თვლის, რომ ხაჟანის ‘ხემოთმოყვანილი მიმართვის ტექსტი, შეიძლება რომელიმე მხარგრძელს ეკუთვნოდეს. იხ.: მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 82.

ქმის ყველა ბიზანტიური ტიტულის მინიჭების სარიტუალო ნაწილი იყო.

კეისრის პატივში აყვანილი იმპერატორის ოჯახის წევრის სარიტუალო ცერემონია დაწვრილებით აქვს აღწერილი იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტს ნაშრომში „ცერემონიების შესახებ" (De Cerimoniis Aulea Byzantinae), სადაც აღნიშნულ ცერემონიას და მასთან დაკავშირებულ წესებს ცალკე თავი აქვს მიძღვნილი.[61] იმავე კონსტანტინეს ტექსტში მოყვანილია ხოტბის-შესხმის მაგალითი, რომელიც კეისრად კურთხევის შემადგენელი ნაწილი იყო.[62] როგორც ალექსანდრე კაჟდანი აღნიშნავს, XI საუკუნემდე კეისრის ტიტული მხოლოდ იმპერატორის შვილებს ეძლეოდათ, გამონაკლის შემთხვევებად დასახელებული აქვს ბარდას არჩევა კეისრად მიხაელ III ლოთის დროს, ნიკიფორე II ფოკას მიერ მისი მამის, ბარდა ფოკას, კეისრად კურთხევა და ბულგარეთის ხანის, ტერველის, აყვანა ამავე პატივში, რაც სიგილოგრაფიული მასალებითაც დასტურდება.[63] სხვა შემთხვევაში, როგორც წესი, კეისრად ან შვილს აკურთხებდნენ, ანდა ჯერ პოტენციური კანდიდატის შვილად აყვანა ხდებოდა, ხოლო შემდეგ კი მისი კეისრად კურთხევა. მიხაელ ფსელოსი მიხეილ IV პაფლაგონიელის (1034-1041 წწ.) მემკვიდრის შერჩევასთან დაკავშირებით გადმოგვცემს იმპერატორისა და მისი ძმის, იოანე ორფანოტროპოსის (იგივე იოანე საჭურისის) საუბარს:

„[იოანე ორფანოტროპოსი მიმართავს იმპერატორს] ჩვენი ძმა (იმპერატორისა და იოანეს კიდევ ერთი ძმა, სახელად ნიკიტა, რომელიც ამ დროისთვის გარდაცვლილია – ლ. თ.) რომ ცოცხალი ყოფილიყო, თქვენ მას მიანიჭებდით მეორე უმაღლეს ტიტულს ქვეყანაში – კეისრის სახელოს. მას მერე, რაც სიკვდილმა ის წაიყვანა ჩვენგან, აქ არის ჩვენი დისშვილი, მიხაელი (იგივე მიხაელ V კალაფატი მომავალი იმპერატორი – ლ. თ.), რომელსაც მინდობილი აქვს შენი პირადი დაცვის ხელმძღვანელობა. რატომ არ გავხადოთ ის კეისარი? ის უფრო გულმოდგინედ ჩადგება შენს სამსახურში ვიდრე ადრე... შენ იცი ბატონო, რომ ზოიას (დედოფალი ზოია, იმპერატორ კონს-

[61] Constantini Porphyrogeniti Imperatoris De Cerimoniis Aulea Byzantinae. Libri Dou. Graece et Latine. Ed. by I. Reiske. CFHB. Bonnae. MDCCCXXIX (1929), I, 43, გვ. 217-222. აღნიშნული წყაროს ანალიზის შესახებ იხ.: J. B. Bury. The Ceremonial Book of Constantine Porphyrogennetos. The English Historical Review. LXXXVI – April. 1907, გვ. 209-227; J. B. Bury.. The Ceremonial Book of Constantine Porphyrogennetos II: Ecclesiastical Ceremonies of Book I. The English Historical Review. LXXXVII – July. 1907, გვ. 417-439.

[62] Constantini Porphyrogeniti Imperatoris De Cerimoniis. I, 43, გვ. 222-225.

[63] ODB. I. გვ. 363.

ტანტინე VIII მაკედონელის უფროსი ქალიშვილი – ლ. თ.), რომელიც იმპერიის მემკვიდრეობას ფლობს, მთელი ერი უდიდეს თაყვანს სცემს იმიტომ, რომ ის არის ქალი და ტახტის მემკვიდრე. უფრო მეტიც, იყო რა ძალიან გულუხვი ფულის გაცემაში, მან (ზოიამ – ლ. თ.) ბოლომდე მოიგო ხალხის გულები. შესაბამისად, მე გირჩევ, რომ ჩვენ სწორედ იგი უნდა გავხადოთ ჩვენი დისწულის დედად. თუ ის (ზოია – ლ. თ.) აიყვანს მას (მიხაელ კალაფატს – ლ. თ.) შვილად, ეს უფრო მომგებიანი იქნება და, ამასთან, უფრო დავიყოლეთ მას (ზოიას – ლ. თ.) მისი (მიხაელ კალაფატის) კეისრის ტიტულსა და პატივში აღზევებაზე".[64]

პასაჟი საინტერესოა, ვინაიდან უჩვენებს იმას, თუ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო დაბალი წარმოშობის მქონე მიხაელ კალაფატის[65] აღზევება კეისრის რანგში, რაც მას გზას უხსნიდა, გამხდარიყო ბიზანტიის იმპერატორი. საბოლოოდ, დედოფალმა ზოიამ შვილად აიყვანა მიხაელი კალაფატი, რომელსაც იმთავითვე კეისრის პატივი მიუბოძეს, ხოლო ბიძის გარდაცვალების შემდეგ კი იმპერატორად აკურთხეს.[66]

ამგვარად, საიმპერატორო ოჯახის მიერ კონკრეტული პირის შვილად აყვანა შესაძლოა კეისრად კურთხევის წინაპირობა გამხდარიყო. შვილად აყვანის გარეშე კეისრის პრეტენზიები საიმპერატორო ტახტზე მიზერული იყო.[67] იმ შემთხვევაში, თუ კეისარი ისედაც იმპერატორის შვილი იყო, ასეთი ცერემონია, ბუნებრივია, საჭირო აღარ იყო.

უშუალოდ კურთხევის ცერემონიალი კარგად აქვს შესწავლილი ნიკოლაი სკაბალანოვიჩს. მისი შენიშვნით, კეისარს თავზე ადგამდნენ გვირგვინს, რომელიც ავტორის აზრით, დიადემას წააგავდა.[68] რეალურად კი ეს იყო სტეფანოსი (στέφανος), ანუ გვირგვინი, რომელსაც რკალის ფორმა აქვს, ოღონდ შუაში მოთავსებული ჯვრის გარეშე.[69] გვირგვინით შემკობის გარდა,

---

[64] Michael Psellus. Chronographia, IV, 22.

[65] ალექსანდრე კაჟდანის მიერ მოყვანილი მასალების საფუძველზე პაფლაგონიელების დაბალი სოციალური წარმოშობა ეჭვს არ იწვევს, იხ.: А. П. Каждан. Социальный состав господствующего класса Византии XI-XII вв. М. 1974, გვ. 37, 61.

[66] M. Angold. The Byzantine Empire 1025-1204, გვ. 56.

[67] Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI веке. СПб. 1884, გვ. 150.

[68] Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI веке, გვ. 150.

[69] J. B. Bury. Imperial Administrative System of the Ninth Century, გვ. 22; N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. Paris. 1972, გვ. 98-99; ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 31.

კეისრის პატივსაცემად აწყობდნენ საიმპერატორო პალატას, სადაც განლაგებული იყო საპატიო ყარაული.[70] ამის შემდეგ ინიშნებოდა კურთხევის დღე, რომელიც სრულდებოდა ეკლესიაში. აქ იმპერატორის ოჯახის წევრებთან ერთად თავს იყრიდნენ სამღვდელოება და სენატის წარმომადგენლები.[71]

კეისრის ინსიგნიებს თავად იმპერატორი გადასცემდა, გვირგვინითაც სწორედ ის მოსავდა მომავალ კეისარს.[72] ამის შემდეგ ხდებოდა მისი კურთხევა და ბოლოს კითხულობდნენ ხოტბის ტექსტს, რომელიც სპეციალურად კეისარს კურთხევისათვის იყო განკუთვნილი.[73] კეისრის კურთხევა მნიშვნელოვან მსგავსებას ავლენს თავად იმპერატორის კურთხევის ცერემონიალთან, ფილოთეოსის ტრაქტატში პირდაპირ არის მითითებული, რომ კეისრის პატივი თავისი დიდებით იმპერატორის შესაბამისიაო.[74] ნიკოლას იკონომიდისის მიერ გამოქვეყნებული სხვა ბიზანტიური ტრაქტატების მიხედვით, კეისარი ყველგან იმპერატორის შემდეგ უმაღლეს ტიტულად არის მითითებული.[75]

კეისრის პატივი ბიზანტიაში თავისი ღირსებით მეორე იყო XI საუკუნის მიწურულამდე. ეს მდგომარეობა მხოლოდ ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) მმართველობის პირველივე წელს შეიცვალა, როდესაც ალექსიმ ახალი სევასტოკრატორის ტიტული შემოიღო და მის უფროს ძმას, ისაკ კომნენოსს უწყალობა.[76]

ნიკოლაი სკაბალანოვიჩის შენიშვნით, კეისრის ტიტულის მფლობელი ხშირად საიმპერიო ჯარების მეთაურის თანამდებობასაც ითავსებდა. ამ აზრის გასამყარებლად მკვლევარი რამდენიმე მაგალითს იშველიებს ბიზანტიის პოლიტიკური ცხოვრებიდან.[77] ჩვენი მხრივ უნდა შევნიშნოთ, რომ კეისრის ტიტული, როგორც იმპერატორის შემდეგ ყველაზე საპატიო ტიტული მთელი ბიზანტიის თანამეგობრობის მასშტაბით, იყო არა მხოლოდ ჯარის მეთაურობის მოპოვების წინაპირობა, არამედ თვით იმპერატორის უფლება-მოვალეობის შესრულების რეალურ შანსსაც იძლეოდა კეისრის ტიტულის ფლობის პერიოდშივე. კეისარი რომ იმპერატორის მოვალეობას ასრულებდა, თუნდაც ამ

[70] Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI веке, გვ. 150.
[71] Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI веке, გვ. 149.
[72] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 96-99.
[73] Constantini Porphyrogeniti Imperatoris De Cerimoniis. I, 43, გვ. 222-225.
[74] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 96-99.
[75] N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle, გვ. 46-47, 242-243, 262-263.
[76] Anna Comnena. The Alexiad, book III, IV, გვ. 78.
[77] Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI веке, გვ. 150-151.

უკანასკნელის უმწეო მდგომარეობის (ჯანმრთელობისა თუ სხვა მიზეზების გამო) გათვალისწინებით, მრავლისმეტყველია. ხშირ შემთხვევებში იმპერიის მართვა კეისრის ტიტულით საკმაოდ წარმატებითაც ხორციელდებოდა.[78]

ამგვარად, ბიზანტიის იმპერიაში კეისრის ტიტულის მფლობელს არა მხოლოდ ჯარის გაძღოლა ევალებოდა იმპერატორის ბრძანების შესაბამისად, არამედ შეეძლო აქტიური მონაწილეობა მიეღო იმპერიის მმართველობაში და საჭიროების შემთხვევაში, თავადაც ემართა აღმოსავლეთ რომის იმპერია. კეისარი თანამდებობის თვალსაზრისით მეორე პირი იყო ბიზანტიის იმპერიაში. ყველაფერი ამის მიუხედავად ეს ტიტული არ გულისხმობდა კონკრეტული, გაწერილი ფუნქციის შესრულებას, რის გამოც განეკუთვნებოდა ოფიციალური ტიტულების კატეგორიას და არა თანამდებობას. მიუხედავად ამისა, კეისრის მოვალეობა და იერარქიული მდგომარეობა იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ მის მფლობელს აქტიური მონაწილეობა მიეღო იმპერიის მმართველობაში, ხოლო იშვიათად იმპერატორის ფუნქციაც შეეთავსებინა.

ტერმინი „კეისარი“ ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით

მიუხედავად იმისა, რომ კეისარი დიდი ხანია, რაც არ ყოფილა იმპერატორების ოფიციალური ტიტული, ქართულ საისტორიო წყაროებში ამ ტერმინით მაინც ბიზანტიის იმპერატორები იხსენიებიან. როგორც სიმონ ჯანაშია შენიშნავს კეისრის პატივმა საქართველოში ბოლომდე შეინარჩუნა ძველი საიმპერატორო მნიშვნელობა.[79] ქართულ წყაროებში ყველაფერი ეს ნათლად იკვეთება. „ქართლის ცხოვრების“[80] ტექსტებში ვკითხულობთ:

„ხოლო ამათსა მეფობასა ვესპასიანოს, ჰრომთა კეისარმან, წარმოტყუენა იერუსალემი“.[81]

„ითხოვა სპარსთა მეფისაგან ასული ცოლად, რომელსა ერქუა ბალენდუხტ. და მოსცა სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად, და მის-

[78] W. Treadgold. A History of Byzantine State and Society, გვ. 223-227.

[79] საქართველოს ისტორია. ნაწილი I. თბ. 1946, გვ. 197; ი. ანთელავა. ქართული საისტორიო მასალა გიორგი II-ის სტატუსის შესახებ, გვ. 103.

[80] აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ „ქართლის ცხოვრების“ კონკრეტული ძველის განხილვისას და ციტირებისას, ვიმოწმებთ, მის უახლეს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების (მთავარი რედაქტორი – როინ მეტრეველი), ხოლო ზოგადი მსჯელობის დროს „ქართლის ცხოვრების“ სიმონ ყაუხჩიშვილისეულ გამოცემას, რომელიც ამავე საისტორიო კრებულის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და კლასიკური გამოცემაა.

[81] ლეონტი მროველი. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ. 2008, გვ. 57.

წერა მის თანა წიგნი, რომელსა წერილ იყო ესრეთ: „ორმისდისაგან, ყოველთა მეფეთა მეფისა, ვახტანგის მიმართ, ვარანწუასრო-თანგისა, ათთა მეფეთა მეფისა ახოვანისა,“ და მოუწერა მან ბრძოლაჲ კეისრისაჲ, რამეთუ კეისარი განსრულ იყო ბრძოლად სპარსთა“.[82]

„კეისარმან მავრიკ მოსცა ასული ცოლად ქასრეს, და მოსცა სპაჲ მისი და წარმოგზავნა ჩუბინს ზედა [და] იოტა ჩუბინი სპარსეთით“.[83]

„ხოლო შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა გამოჩნდა კაცი ერთი საბერძნეთს, თჳსი მავრიკ კეისრისაჲ, სახელით ჰერაკლე. ამან მოკლა ფოკას კეისარი და დაიპყრა საბერძნეთი“.[84]

ამგვარად, როგორც ვხედავთ ქართული საისტორიო ნარატივის მიხედვით, რომის იმპერატორები დიოკლეტიანემდე (284-305 წწ.) და რომის/ბიზანტიის მმართველები დიოკლეტიანეს შემდეგ კეისრებად იწოდებიან. ეს, უპირველეს ყოვლისა ეხება „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ პირველ ორ თხზულებას. ამ თხზულებების დათარიღება ბევრ კამათს იწვევს, თუმცა როგორც ფიქრობენ, ისინი ბაგრატიონთა მმართველობის პერიოდს არ უნდა განეკუთვნებოდეს.[85] სწორედ ამ ნაწარმოებების მიხედვით რომის/ბიზანტიის იმპერატორი „კეისარია“, ხოლო სპარსეთის მონარქი „ყოველთა მეფეთ მეფე“. ქართლის მონარქი „ათთა მეფეთ მეფედ“ ან უბრალოდ მეფედ არის წოდებული.[86] კეისრის ტიტულით ბიზანტიის მმართველების გამორჩევა ხდებოდა, შესაბამისად ისინი თავიანთი ძველი ოფიციალური ტიტულით იხსენიებიან.

---

[82] ჯუანშერი. ცხოვრებაჲ ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ. 2008, გვ. 171.

[83] ჯუანშერი. ცხოვრებაჲ ვახტანგ გორგასლისა, გვ. 227.

[84] ჯუანშერი. ცხოვრებაჲ ვახტანგ გორგასლისა, გვ. 229.

[85] უკანასკნელ ხანებში გამოსული წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომები „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობისა და დათარიღების შესახებ ეკუთვნის ამერიკელ მკვლევარს სტივენ რაპს. მის შრომებში ფართოდ არის გათვალისწინებული ქართული თუ უცხოური ისტორიოგრაფიის მიღწევები. ეინაიდან ჩვენი ნაშრომი წყაროების ანალიზს არ ითვალისწინებს თვალსაჩინოებისთვის დაეიმოწმებთ მხოლოდ ს. რაპის ნაშრომებს, იხ.: S. H. Rapp Jr. Studies in medieval Georgian historiography: early texts and Eurasian contexts. Lovanii. 2003; ასევე, მისი სადოქტორო დისერტაცია, იხ.: S. H. Rapp Jr. Imagining History at the Crossroads: Persia, Byzantium, and the Architects of Written Georgian Past. A Dissertation Submitted in Partial Fulfillment of PhD (History) in University of Michigan. 1997. შესაბამისი ბიბლიოგრაფია იხილეთ იქვე.

[86] ტიტულების: „მეფე“, „დიდი მეფე“, „მეფეთ მეფე“ შესახებ იხ.: ნ. მიწიშვილი. „მეფეთა მეფე“, „დიდი მეფე“ (სამეფო ტიტულების გენეზისის საკითხისათვის). ქართული დიპლომატია: წელიწდეული. ტომი 7. თბ. 2000, გვ. 546-554; *idem*. „დიდი მეფე“ ვახტანგ გორგასალი (ქართლი და ირანი V ს. მეორე ნახევარში). ქართული დიპლომატია: წელიწდეული. ტომი 10. თბ. 2003, გვ. 408-420.

ქართველი მონარქი არ ცდილობს მასთან თავს გატოლებას, ის თითქოს უფრო სპარსული სამყაროს ნაწილად აღიქვამს საკუთარ თავს. თუმცა ეს მხოლოდ ინსტიტუციური მხარეა. უკვე ერისმთავრობის პერიოდიდან მოყოლებული კი ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს იღებს და კიდევ უფრო მეტად ახდენს ინტეგრირებას ბიზანტიის თანამეგობრობაში.

მოგვიანებით სხვა ქართულ ტექსტებში ბიზანტიის იმპერატორების ტიტული „კეისარი" ქრება და ისინი ქართული წყაროების მიხედვით „ბერძენთა მეფეებად" მოიხსენიებიან.[87] „მეფის" ტიტულით იხსენიება ზოგადად ყველა სუვერენი, „მეფე" ამ შემთხვევაში ხელმწიფის ბადალი ხდება.[88]

ტიტული „კეისარი" საქართველოს მეფეზეც ფიქსირდება. ამგვარად იწოდებიან საქართველოს მონარქები იმ პანეგირიკულ ტექსტებში, რომელიც განკუთვნილია მათ განსადიდებლად. ერთ-ერთი პირველი, ვინც კეისრად არის დასახელებული, დავით IV აღმაშენებელია (1089-1125 წწ.). რუის-ურბნისის „ძეგლისწერის" (1104 წელი) ხოტბის შესხმაში დავითი შემდეგნაირად მოიხსენიება:

„შენ უფროსად ბრწყინვალეო თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამბისაო!

რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროს ხილულისა სოფლისა შორის...

განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის".[89]

აღსანიშნავია, რომ „ძეგლისწერის" ტექსტში წარმოდგენილია დავით აღმაშენებლის ოცდაცამეტ ტაეპად დაყოფილი საპატიო ტიტულებისა და ეპითეტების მთელი კასკადი.[90] ყველა ამ ეპითეტის წარმოთქმა სავალდებულო უნდა ყოფილიყო ოფიციალური ცერემონიების დროს და სპეციალურად იყო შედგენილი მეფის განდიდების მიზნით. ეპითეტებში მრავალი მნიშვნელოვანი

---

[87] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბ. სახელგამი. 1955, გვ. 273, 282, 284, 290, 303, 307, 335; ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II. თბ. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო. 1959, გვ. 17, 22, 42, 142. შდრ.: ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ. 2008.

[88] მაგალითისთვის საკმარისია.: „მეფე რუსთა", „დურძუკთა მეფენი", და ა.შ. იხ.: ქართლის ცხოვრება. II, გვ. 38, 183. იმას თუ რას წარმოადგენდა ტიტული „მეფე", შეა საუკუნეების ქართულ ცნობიერებაში, ხხეა დამოუკიდებელ ნაშრომში განეიხილავთ.

[89] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. თბ. 1970, გვ. 124-125.

[90] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. თბ. 1970, გვ. 124-125.

პასაჟის მოძიება შეიძლება. მათ შორის, დავითი რომის პირველი იმპერატორის, ავგუსტუსის მსგავსად, ხელისუფლების განმამტკიცებლად არის დასახელებული. ავგუსტუსმა ამ შემთხვევაში თავი რომის პირველ იმპერატორად გამოაცხადა, ხოლო დავით აღმაშენებელმა საქართველოს პირველ თვითმპყრობლად. აღნიშნული მოვლენა გახდა იმის წინაპირობა, რომ ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები საქართველოში აღარ გაიცემოდა. ამიერიდან ქართველი მეფეები უკვე საპატიო საიმპერატორო ტიტულებით იხსენიებიან. დავითის თვითმპყრობლობა ბიზანტიის იმპერატორის ოფიციალური ტიტულის ავტოკრატორის ბადალია, ხოლო კეისრის ტიტული – ერთ-ერთი საპატიო ეპითეტი. ბიზანტიური საიმპერატორი ტიტულებისა თუ ეპითეტების გამოყენებას საქართველოში სწორედ დავითის დროიდან მიეცა რეგულარული ხასიათი.[91]

დავით IV აღმაშენებელი თვითმპყრობლად რუის-ურბნისის კრების მოსახსენიებელში იწოდება, რომელიც „ძეგლისწერას“ ბოლოში აქვს დართული.[92] ხოტბის ავტორი დავითს, ავგუსტუსის მსგავსად, კეისრად ასახელებს *„შენ... ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის“*, რაც, ბუნებრივია, ქართველი მეფის რომის გამოჩენილი იმპერატორების თანასწორად წარმოჩენის შესანიშნავი მაგალითია.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში დამკვიდრებულ ახალ ტენდენციაზე, ბიზანტიური საიმპერატორო ტიტულების გაჩენაზე, რამაც XII საუკუნის დასაწყისამდე მოქმედი ბიზანტიური საიმპერიო საკარისკაცო ტიტულატურა ჩაანაცვლა. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ტიტული „კეისარი“.

დავით აღმაშენებლის გარდა, კეისრებად იხსენიებიან თამარი და დავით სოსლანი. ეს მიმართვა ეკუთვნის მათ მეხოტბეს – იოანე შავთელს, რომე-

---

[91] აღნიშნულ საკითხს დაწერილებით აქ აღარ შევეხებით, რადგან ეს სცილდება ნაშრომის სათაურში დასმულ პრობლემატიკას, შენიშვნის სახით აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ დავითის დროს ბიზანტიური საიმპერიო საკარისკაცო ტიტულების შეწყვეტის შემდეგ დავითის შემდეგ მოლვაწე ყველა ქართველი მონარქი XII-XV საუკუნეებში თვითმპყრობლად ან მისი შემცვლელი ტერმინით იწოდებოდა, იხ.: ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 30, 32-33, 37, 46 შდრ. 71, 77, 100, 110, 167, 181, 183. ეს, რაც შეეხება სამეფო სიგელებს, მათ გარდა, შეიძლება მოვიყვანოთ არაერთი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც იმავე მსჯელობას განამტკიცებს, თუმცა ეფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე ოფიციალური ისტორიული საბუთებიც სრულიად საკმარისია. საქართველოში ბიზანტიური საიმპერიო ტიტულების გავრცელების იხილეთ შემდეგი შრომები: თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ 1997, გვ. 141-157; თ. დუნდუა. Questions et Reponses. თბ. 2003.

[92] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. თბ. 1970, გვ. 126.

ლიც აღნიშნულ ტერმინს, საკუთარ პანეგირიკული შინაარსის მქონე პოემა „აბდულმესიანში“ იყენებს. იოანე შავთელი წერს:

„ხარკე ისარი! ხარ კეისარი,

სიმდიდრით ლაღი ჯიმშედ-მფლობელი“ (35, 1).[93]

აღნიშნული პასაჟი ძალიან საინტერესოა. აქ იოანე შავთელის ჩვენამდე მოღწეული ტექსტი მცირე კორექტირებას საჭიროებს. ტექსტში „ხარკე ისარი“, უნდა ჩასწორდეს, როგორც „ხარკე ისა[ვ]რი“. ივანე ლოლაშვილის ფიქრობს, რომ აქ ისრის ამოქმედებაზე არის საუბარი; თეიმურაზ ბაგრატიონის აზრით, სტროფში არე-მარის, ანუ რაღაც სივრცის დახარკვაზეა აქცენტი – „განხარკე ის არი ანუ არე“. „ისარის“ ორ დამოუკიდებელ სიტყვად დაყოფა არ გაიზიარა ივანე ლოლაშვილმა.[94] ჩვენ ვიზიარებთ ლოლაშვილის ამ უკანასკნელ მოსაზრებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ ტექსტში საუბარია არა ისრის მოზიდვაზე ან ამოქმედებაზე, რაც არ შეესაბამება 35-ე სტროფის პირველი სტრიქონის კონტექსტს ისევე, როგორც ამავე სტროფის მეორე სტრიქონისას, რომელიც პირველის ერთგვარი გაგრძელებაა, არამედ აქ საუბარია კონკრეტული ტერიტორიის დახარკვის მოწოდებაზე, კერძოდ, ისავრიის, რომელიც ტექსტის დაწერის ჟამს (1204-1205/7წწ.)[95] ქართველთაგან დამარცხებულ რუმის სასულთნოს ეკუთნოდა და ალეგორიულად რუმის სასულთნოს მნიშვნელობით არის ნახმარი.

„აბდულმესიანის“ დაწერის ჟამს რომ ისავრია რუმის სულთნის სამფლობელოა, ეს თამარის მემატიანემაც კარგად იცის. რუქნ ად-დინის სულეიმან შაჰი (1196-1204 წწ.) თავის სასულთნოში, საიდანაც იგი ჯარს აგროვებს, ისავრია ერთ-ერთი პირველია დასახელებული. თამარის ისტორიკოსი წერს:

„წარავლინნა (რუქნ ად-დინმა – ლ. თ.) ყოველთა საზღვართა თჳსთა, და იწყო მესოპოტამიას, კალონეროთ, გალატიას, ღანგრას, ანკჳრიას, ისავრიას, კაბადუკიას, დიდსა სომხითს, ბითჳნიას და საზღვართა ფებლაღონისა-

---

[93] იოანე შავთელი. აბდულმესიანი. ძველი ქართული მეხოტბენი. წგნ.: II. გამოსაცემად მოამზადა, გამოეცემა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა. თბ. 1984, გვ. 128.

[94] იოანე შავთელი. აბდულმესიანი, გვ. 196-197.

[95] იოანე შავთელი. აბდულმესიანი, გვ. 106-114. პოემის სქდა ქრონოლოგიური სლეარი ეფუძნება დაეით სოსლანის გარდაცვალების თარიღს, რომელიც 1205-1207 წწ. შორის გარდაიცვალა. იხ.: ქრონიკები, გვ. 294-296; თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. № 1-2. თბ. 1974, გვ. 150-152.

თა, და არა დაუტევა თჳნიერ დედაკაცისა სოფელთა შინა მათთა, არამედ ყოველნი აამჴედრნა“ .[96]

თამარის იმავე ისტორიკოსთან ისავრია სხვა ადგილზეც იხსენიება. ამჯერად ისავრია უკვე საქართველოს მეფის თვალსაწიერშია მოქცეული და ქველმოქმედების მიზნით თამარ მეფე შესაწირის სახით ადგილობრივ ეკლესია-მონასტრებს დიდძალ ქონებას უგზავნის. მემატიანე აღნიშნავს:

„კერძოთა თრაკისათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან, კუალად ისავრიას, კურუსეთს და ყოველთა მათ სანახებთა შავისა მთისათა და კჳპრისათა, – ესე ყოველნი აღავსნა ქველისსაქმითა“.[97]

ამრიგად, როგორც საისტორიო წყაროში ვკითხულობთ, ისავრია თამარ მეფის ხანაში საქართველოს მეფის თვალსაწიერში იყო მოქცეული. რაც შეეხება თავად ისავრიის მხარეს, იქ ძველი დროიდან მოყოლებული დაუმორჩილებელი მთიელები მოსახლეობდნენ, რომლებსაც ბიზანტიელები ბარბაროსებს უწოდებდნენ. ისავრიელები ხშირად მარადიორობდნენ და არბევდნენ მიმდებარე პროვინციებს, რის გამოც ეს მხარე იმპერატორების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო. აქედან იყო წარმოშობით იმპერატორი ზენონი (474-491 წწ.), ასევე გავრცელებული ლეგენდის მიხედვით ლეონ III ისავრიელი (717-741 წწ.).[98]

ამგვარად, ისავრია კეისრების – ბიზანტიის იმპერატორების – სამფლობელო იყო, შესაბამისად, „ხარკე ისა[ე]რი! ხარ კეისარი“ კეისრის, ანუ დავით სოსლანის იურიდიული უფლების აღნიშვნაა, ფლობდეს ისავრიის ტერიტორიას, როგორც კეისარი. ამის შემდეგ აქცენტი მის სიმდიდრეზეა გაკეთებული, რათა ხაზი გაესვას „კეისრის“ მატერიალურ შესაძლებლობებს.

ამ შემთხვევაში კეისრად დავით სოსლანი უნდა იყოს მოხსენიებული.[99] ავტორი მას მოუწოდებს ისავრიის დახარკვისკენ, რამეთუ ის კეისარია და სიმდიდრით მსგავსი ჯიმშედ სპარსეთის მეფისა. აქვე საგულისხმოა ისავრიის საკითხის შედარება ქალაქ ლიმნიას აღებასთან, რომელიც 1204 წელს დაი-

---

[96] ბასილ ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ. 2008, გვ. 498.
[97] ბასილ ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, გვ. 507.
[98] ODB. II, გვ. 1014.
[99] იოანე ლოლაშვილის აზრით, კეისრად თამარი იწოდება და მისი სიმდიდრე, სპარსთა ლეგენდარული მეფე ჯიმშედის მფლობელობას არის შედარებული (იოანე შაეთელი. აბდულმესიანი, გვ. 196), თუმცა 30-ე სტროფიდან მოყოლებული, თუ კონტექსტს გაეცვებით, კეისრად, დაეთ სოსლანი უნდა იყოს შექებული და არა თამარი (იხ.: იოანე შაეთელი. აბდულმესიანი, გვ. 127-128)

კავეს ქართველებმა.[100] ბერძნული „ლიმნია“,[101] რომელიც ქართულ წყაროებში გადმოცემულია როგორც „ლიმონი“,[102] შავთელთან იხსენიება „ლიმონად“ – *„თვით სულ იმონა კიდე ლიმონა“* (33, 1). ქალაქის სახელის ასეთი უმნიშვნელო ცვლილება მისი რითმაში ჩასმის მცდელობით უნდა აიხსნას. ანალოგიური შეიძლება ითქვას ისავრი/ისავრიაზე.

შავთელის ნაწარმოები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პანეგირიკული ხასიათისაა და მასში თამარი და დავითი მრავალი საიმპერატორო ღირსებით არიან შემკობილნი.

ტიტული „კეისარი“ ქართველ მეფეთა აღმოსავლურ ტიტულატურაში

საქართველოს მეფეების კეისრად მოხსენიებას აღმოსავლურ წყაროებშიც ვხვდებით. აღმოსავლური საისტორიო ნარატივი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქართული წყაროების მსგავსად „კეისარსა“ და „კესაროსს“ ორ დამოუკიდებელ ტერმინად წარმოგვიდგენს. ამ მასალებში ქართველი მეფეები მხოლოდ „კეისრებად“ იწოდებიან.

ქართველ მეფე კეისრად იხსენიება მაგალი თოდუა მიერ გამოქვეყნებულ სპარსული წყაროების თარგმანში, სადაც, მთარგმნელის განმარტებით, ტიტულები „კესაროსი“ და „სტეფანოსი“ ბიზანტიის იმპერატორის ბოძებულია,[103] თუმცა თავად თარგმანში „კესაროსის“ მაგიერ „კეისარია“ დასახელებული:

„უზენაესი ბრძანება უდიდესი მეფისა; აღზევებული ხელმწიფისა; უმოწყალესი კეისრისა... ქრისტეს მოწაფეთა გვირგვინისა; ტაჯტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელისა; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსისა; ქრისტეს სარწმუნოების მცველისა; აბხაზის, შაქის, ალანის და რუმის მეფეთა მეფისა; მესიის თანაშემწისა“.[104]

თარგმანიდან ჩანს, რომ წერილის უცნობი ავტორი ხმარობს არა „კესაროსის“, არამედ „კეისრის“ ტიტულს, რომელიც ამ შემთხვევაში იმპერა-

[100] ბასილ ეზოსმოძღვარი. ცხოერება მეფეთ მეფისა თამარისი, გვ. 507; იოანე შავთელი. აბდულმესიანი, გვ. 84-86, 128, 193-194; მ. სტეფნაძე. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზისათვის. ქართული დიპლომატია: წელიწდეული. ტომი 7. თბ. 2000, გვ. 155-172. ამ უკანასკნელში, იხილეთ სპეციალური ლიტერატურა აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

[101] ბიზანტიური ქალაქი ლიმნიას შესახებ იხილეთ: A. Breyr, D. Winfield. The Byzantine Monumnets and Topography of the Pontus. Vol. I. DORLC. Washington. 1996, გვ. 96-99.

[102] ბასილ ეზოსმოძღვარი. ცხოერება მეფეთ მეფისა თამარისი, გვ. 507.

[103] მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III. თბ. 1979, გვ. 35.

[104] მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 5.

ტორის ბადალია. რაც შეეხება „სტეφანოსს“, ის არა ტიტულის, არამედ გვირგვინის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი. სტეფანოსი (στέφανος), მოთვალულ-მომარგალიტებულ, ოქროს ბრტყელი რკალის ფორმის გვირგვინს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც რკალის შუა ნაწილში სტეფანოსს ჯვარი დაუმატეს, ასეთ გვირგვინს სტემა (στέμμα) ეწოდა.[105] ტექსტში დასახელებული *„აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეφანოზი“* სწორედ გვირგვინოსანი მეფის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი. ამაზე ისიც მიანიშნებს, რომ წინა, ორ ტაეპში მონარქის გვირგვინოსნობას ესმევა ხაზი.

აღსანიშნავია, გიორგი III-ის ერთ-ერთი მონეტა, რომელიც აღმოსავლური ატრიბუციით არის შემკობილი, თუმცა გვირგვინი, რომელიც მეფეს ადგას თავზე, ბიზანტიური საიმპერატორო სტემაა (στέμμα)[106] და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვირგვინის, სტეფანოსის (στέφανος), განვითარების შემდგომი საფეხურია.

ქართველ მეფეთა აღმოსავლური ტიტულატურის შესწავლის კუთხით, მნიშვნელოვანია ხაყან შარვანის მიერ მეფეთ მეფე გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) პანეგირიკული შესხმა. ხაყანი თავის წერილში აღსართან I შარვან-შაჰისადმი აღნიშნავს, რომ ამ წელს (კონკრეტული თარიღი მითითებული არ არის) შარვანშაჰს ღმერთმა ორი, უდიდესი ბედნიერება არგუნა: ერთი, მისი ძის დაბადება,[107] ხოლო მეორე, კი, გიორგი მეფის ვიზიტი შარვანში.[108] ხაყანი გიორგი მეფეს შემდეგნაირად იხსენებს:

„ქრისტიანთა სულთნის; სულთანთა შემწის; კეისართა წინამდგომის; ძლევამოსილი პტოლემეოსის; ირანის მეფეთა ნათესავის; ეპისკოპოსთა დამრიგებლის; აბსოლუტური კეისრის... (ალაჰმც გაახანგრძლივებს მის მეფობასა და დიდებას!)“.[109]

გიორგი აბსოლუტურ კეისრად და კეისართა წინამდგომად არის დასახელებული. ამ შემთხვევაში ქართველი მონარქი სხვა კეისრებზე უპირატესად არის მიჩნეული. მართალია, ეს მხოლოდ პანეგირიკის პოზიციაა, რაც არ შე-

---

105 იე. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV. თბ. 1962, გვ. 31.

106 გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა. I, გვ. 204, ტაბ. X, №№ 68, 69.

107 მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 25, 56, 74, შენ. 64, 132.

108 შარვანში გიორგის ნახვლა 1173 წელს დასტურდება, შარვანშაჰ აღსართანის დასახმარებლად დარუბანდის ამირას წინააღმდეგ. წერილში შესაძლოა ამ ვიზიტსვე საუბარი. მაგალი თოდუასთან ვხვდებით მეორე თარიღსაც – 1158 წელს, იხ.: მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 25, 56, 74, შენ. 64, 132; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 277.

109 მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 25.

იძლება ასახავდეს რეალობას, თუმცა, კავკასიის პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მსგავსი მიდგომა, ქართველ მეფეთა უპირატესობის შესახებ სხვა ქრისტიან მონარქთა შორის, ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული კავკასიასა და ირანში,[110] მათ შორის, შარვანშიც. გიორგი მესამე ხაყან შარვანის სხვა წერილებშიც კეისრად არის მოხსენიებული და შექებული. ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ასე იკითხება:

„საწუთროს მეფეთა მეფის და აღზევებული კეისრის, საწუთროს ალექსანდრეს (ხანგძლივს ჰყოფს ალლაჰი სიდიდეს მისი საქმისას!) ... მარად იყოს დაფრქვეული ქვეყნის მპყრობელის; საწუთროს მეფეთა მეფის; ეპოქის ავგუსტოსის; უდიდესი კეისრისა და უგანათლებულესი ჰერაკლეს; უსრულყოფილესი პტოლემეოსის; უმართლმსაჯულესი ფილიპეს; სახელმწიფოს სიდიადის; მესიის მახვილის აღზევებულ სასახლესა და ღირსეულ სამეფო კარზე და ავი თვალი [მისი] ბედნიერების სრულქმნილებას ღმერთმა აცილოს!“.[111]

ამდენად, ხაყან შარვანის სახით საქართველოს მეფე გიორგი მესამეს მართლაც შესანიშნავი მეხოტბე ჰყავდა. მან ქართველ მეფეთა ტრადიციული ეპითეტების გათვალისწინებით მეფე უამრავი ძვირფასი ეპითეტით შეამკო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ეპითეტების ერთი ნაწილი დავით აღმაშენებლის ხოტბაშიც არის მოხსენიებული,[112] რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, რომ მისი ავტორი ხაყან შარვანი კი არ არის, არამედ ის მხოლოდ ინტერპრეტატორია. ამ საპატიო ტიტულების მინიჭება ქართველი მონაქებისთვის გარკვეული ტრადიციის შედეგად იყო დადგენილი, რაც, ბუნებრივია დროთა განმავლობაში ივსებოდა და იხვეწებოდა.

კეისრის ტიტულით კიდევ ერთ სპარსულ წყაროში თამარისა (1184-1210 წწ.) და დავით სოსლანის ძე, გიორგი IV ლაშა (1210-1222/3 წწ.) არის შემკობილი. მაგალი თოდუას თარგმანში ვკითხულობთ:[113]

---

[110] ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ირანელი ისტორიკოსისა და სწავლულის – სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის პოზიცია, რომ ერწმუნოთა შორის ქართველები აგროვებდნენ ყველაზე დიდ არმიასო. იხ. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Ахбар ад-даулат ас-сельджукийа. З. М. Буниятов. 1980, გვ. 139.

[111] მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 16.

[112] ასე მაგალითად, შედარება საქართველოს მეფისა ალექსანდრესთან და აუგუსტუს კეისართან რუის-ერბნისის ძეგლისწერაშიც გვაქვს დაფიქსირებული (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. თბ. 1970, გვ. გვ. 125), ხოლო „მესიის მახვილად“ მონეტებზე დიმიტრი I იწოდება (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 71). ყველაფერი ეს იმას მიუთითებს, რომ ყველა ეს ეპითეტი გიორგი მესამემდეც აქტუალური იყო.

[113] როგორც მაგალი თოდუა წერს, მიუხედავად აღნიშნული წერილის სათაურისა,

„უზენაესი ბრძანება უდიდესი მეფისა; აღზევებული ხელმწიფისა; უმოწყალესი კეისრისა; სახელგანთქმული დიდგვაროვნისა; ძლევამოსილი მართლმსაჯულისა; ქვეყნიერებისა და სახელმწიფოს სიდიადისა...“[114]

აღნიშნული წერილი, მ. თოდუას აზრით, რუმის სულთან ეზზ ელ-დინ ქაი ქავუსს (1210-1219 წწ.) უნდა ეკუთნოდეს.[115] ტექსტში გიორგი IV ლაშა თითქმის ყველა იმ ტიტულით არის წოდებული, რომლებსაც იგი ატარებდა ცხოვრებაში. ეს ტიტულები არ იყო უშუალოდ ერთი მონარქის პრეროგატივა და ისინი დროთა განმავლობაში ემატებოდა ხოლმე ქართველ მეფეთა საპატიო ტიტულატურას. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია „ქრისტეს სარწმუნოების მცველის“, „მესიის თანაშემწის“, „აბხაზის, შაქის, ალანისა და რუსის მეფეთა მეფის“ და სხვა ტიტულებს. გიორგის კეისრად მოხსენიება ასევე ერთ-ერთი საპატიო ეპითეტი უნდა ყოფილიყო, რომელიც მსგავსად სხვა ტიტულებისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, მემკვიდრეობით არის მიღებული და, გარკვეულწილად, რეალური შინაარსის მატარებელია.

ყველაფერი ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რომაული ტიტული კეისარი (Caesar) საქართველოში ორი ფორმით დამკვიდრდა: ერთი როგორც „კესაროსი“, რომელიც აღნიშნავდა ბიზანტიურ საიმპერიო საკარისკაცო ტიტულს. ამ ტიტულით იწოდებიან მეფე გიორგი II და მხარგრძელები. იგივე ფორმა გამოიყენება საქართველოს ამირსპასალარის საპატიო ეპითეტად, როგორც ქართულ ასევე სომხურ და სპარსულ წყაროებში; მეორე ფორმა იყო ლათინური ორიგინალის მიხედვით მიღებული „კეისარი“, რომელიც ქართულ და აღმოსავლურ წყაროებში ბიზანტიის იმპერატორების ოფიციალური ტიტულის მნიშვნელობით იხმარებოდა. მართალია ბიზანტიაში ამ ტიტულს, უკვე დაკარგული ჰქონდა საიმპერატორო ღირსება, მაგრამ საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ის კვლავ ინარჩუნებს საიმპერატორო მნიშვნელობას. დავით IV აღმაშენებლიდან მოყოლებული ქართველი მეფეები სწორედ ამ ტიტულით იწოდებიან, როგორც ქართულ, ასევე აღმოსავლურ წყაროებში, რაც მათ მიერ არა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის, არამედ საიმპერატორო ეპითეტის ფლობის მანიშნებელია.

სადაც ადრესატად მეფე დავითია დასახელებული ‘წერილი დავით სოსლანის ძეს – გიორგი IV ლაშას უნდა ეკუთნოდესო. აღნიშნულ დასკვნამდე მეცნიერი ტექსტის ანალიზის შედეგად მივიდა. იხ.: მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 31-33.

[114] მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 5.

[115] მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 32-33.

შემოკლებათა განმარტება:

ქისკ – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

DORLC – Dumbarton Oaks Research Library and Collection

ODB – The Oxford Dictionary of Byzantium. 3 volumes. Ed. by A. P. Kazhdan. Oxford University Press. 1991

ZPE – Zeitschrift für Papyrologie und Epigraphik

Leri Tavadze

TITLE OF CAESAR IN MEDIEVAL GEORGIAN POLITICAL REALITY

Summary

Caesar in the early Roman Empire simply means Emperor. A bit later seignior-Emperor was called *Augustus*, and junior-Emperor – *Caesar*.

In the Byzantine Empire *Caesar* (Καῖσαρ) is the Byzantine court title. The Georgians in the Medieval ages maintained *Ḳeisari* for the Emperor, and created *Ḳesarosi* as a the court title.

The only Georgian sovereign who received that dignity from Byzantine Emperor was Giorgi II (1072-1089). He acquired this dignity approximately in 1076. Giorgi also appears with that title (i.e. *Ḳesarosi*) in the inscriptions on his silver coins minted in Kutaisi. Apart from Giorgi II of Georgia, the title of Caesar was conferred to John Doukas, who was the uncle of Emperor Michael VII Doukas (1071-1078), and Nikephoros Melissenos. During the rule of Emperor Alexios Komnenos title of Caesar was further debased.

The title of Caesar was not reserved only for Giorgi II. Two brothers, famous Georgian generals, Zacharia and Ivane Mkhargrdzeli also had this title.

Concerning to our observation, the title of Caesar appears in the Armenian and Persian sources in a form similar to Georgian *Ḳesarosi*. Zacharia and Ivane Mkhargrdzeli were honored with it. All probably, the person who donated the title to members of Mkhargrdzeli family was Georgian monarch rather than Byzantine Emperor.

Ḳeisari is Georgian form to designate Roman and Byzantine Emperors in the Georgian sources. An early Roman context is preserved in this case. Even the Persian historical records supplement the Georgian sources. They used the similar form to *Ḳeisari* to describe the royal status of the Georgian monarchs

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

ირმა ტალახაძე

ვანის ქვაბთა მონასტრის „მწიგნობარ“ ქალთა სოციალური სტატუსის შესახებ

ვანის ქვაბთა მონასტრის მცირე ეკლესია, კომპლექსის ბოლო იარუსზე გამართული, ერთგვარ „ლიტერატურულ სალონად“ წარმოგვიდგება, სადაც დაცულია არაერთი მაღალნიჭიერად შესრულებული პოეტური სტრიქონებიცა და ყოფითი თუ საეკლესიო შინაარსის წარწერებიც.

სხვათა შორის, ამ სალონს ვუმადლით რუსთაველის პოემის უადრეს ხელნაწერ ნიმუშს, ეკლესიის კედელზე ორიოდ სტროფად მინაწერს, მეცნიერთა მიერ XV საუკუნით დათარიღებულს.

სპეციალისტთაგან ეს წარწერები პირველად ისტორიკოსმა გ. ბოჭორიძემ მოიხილა სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობისას და მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული სიზუსტით გადმოიღო კიდეც. სამწუხაროდ, მეცნიერს მისი დამუშავება და გამოქვეყნება არ დასცალდა. ბოჭორიძის ხელნაწერმა დღიურმა მზის შუქი მხოლოდ 1992 წელს იხილა,[1] ამის შემდეგ ვანის ქვაბთა წარწერებს სხვადასხვა მიზნით შეეხნენ: ნ. ბერძენიშვილი[2] და კ. კეკელიძე,[3] ლ. მუსხელიშვილი,[4] ვ. ცისკარიშვილი,[5] შ. ონიანი,[6] კ. ესმაშვილი[7] და სხვ.

---

[1] გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, სამიებლები და შესავალი დაურთეს: დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა. თბ. 1992.

[2] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I. თბ. 1964.

[3] კ. კეკელიძე. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. გაზ. „კომუნისტი“. 1959. 24 თებერვალი. № 45.

[4] ლ. მუსხელიშვილი. „ეპანის ქვაბთა განგება“. ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. თფ. 1939.

[5] ვ. ცისკარიშვილი. წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ. 1954. ნაკვ. 30.

[6] შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. თბ. 1959. № 7; შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. თბ. 1960. № 8.

[7] კ. ესმაშვილი. რუსთველის სადაურობისათვის. გაზ. „კომუნისტი“. 1936. 4 აგვისტო. №179.

ჩვენს მეცნიერებაში სადღეისოდ გაბატონებული თვალსაზრისით, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები მონაზონ ქალთა მიერაა შესრულებული. XV–XVI სს. ვანის ქვაბებში დედათა მონასტრის არსებობის შესახებ პირველად აზრი თ. ჟორდანიამ გამოთქვა.[8] მკვლევარი ეყრდნობოდა ვანის ქვაბთა მონასტრის „ვანგების“ 1393 წლით დათარიღებულ მურვან ღარიბას ძის მინაწერის იმ ადგილს, სადაც აღნიშნულია: „...და თუ ჩემისა სახლისა ქალმან ანუ სძალმან ჩოჯათა ჩაცუმაᲲ მოინდომოს, ამა მესამედსა მიუძღვანებდით“ (საუბარია მონასტრისადმი მურვან ღარიბასძის შეწირული მიწების მესამედზე).

მოგვიანებით ეს აზრი კ. კეკელიძემ გაიზიარა: „ამ წარწერებში შემონახულმა ლექსებმა ჩვენ ნათლივ დაგვანახეს, როგორ აფართოებს თავის გავლენის სფეროს საერო მხატვრული პოეზია და როგორ ასუსტებს ის საეკლესიო მწერლობის ნიმუშებს. თუ მონაზონი ქალებიც სატრფიალო-სამიჯნურო პოეზიას ეტანებიან და თავისი ნაწარმოებებით ამდიდრებენ, რაღა უნდა ვთქვათ საერო პირების შესახებ. აქ პოულობს გამართლებას არჩილ მეფის ცნობილი საყვედური“.[9]

გაცილებით შორს მიმავალი დასკვნები ამ მხრივ ეკუთვნის შ. ონიანს, რომელიც ჩვენი წარწერების შემსრულებლებს ბოკაჩოს გმირებს ადარებს: „...მონაზონ ქალებს ვანის ქვაბთა მონასტერში ერთმანეთის მიმართ მეტად ინტიმურად განწყობილი ქალთა საზოგადოება შეუქმნიათ იმ განსხვავებით, რომ ამ საზოგადოებაში არც ერთი მამაკაცი არ ერია. წარწერების მიხედვით, მათი აზროვნებაც ისევე თავისუფალია ქრისტიანული სარწმუნოების დოგმებისაგან, როგორც ჯ. ბოკაჩოს პერსონაჟი ქალებისა. ამ წარწერებით მათ ნამდვილი რევოლუცია მოუხდენიათ ვანის ქვაბთა მონასტერში“.[10] თავის მსჯელობას მკვლევარი ასე ასრულებს: „ჰუმანიზმის განვითარება ევროპის სინამდვილეში ასე შორს არ წასულა“.[11]

ერთგვარი ეჭვი ვანის ქვაბებში დედათა მონასტრის არსებობაში ვ. ცისკარიშვილმა შეიტანა „დედათა და მამათა მონასტრის თანაარსებობის საკითხის შეუსწავლელობის გამო“, მაგრამ კვლევის გაღრმავება არ უცდია.

---

[8] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიომღვიმისა და „ძველი“ ვაჩხანის ქვაბთა. ტფ. 1986, გვ. 46.

[9] კ. კეკელიძე. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. გაზ. „კომუნისტი“. 1959. 24 თებერვალი. № 45.

[10] შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. № 7, გვ. 35.

[11] შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. № 7, გვ. 39.

„ჩოხის ჩაცმა“, შემონაზვნება, მოგეხსენებათ, სულიერი აქტია, რწმენაში ადამიანის გამტკიცებისა და სისრულის მომასწავებელი. ისტორიამ იცის ძალად შემონაზვნების მაგალითებიც, მაგრამ ასე მასობრივად და თანაც მიჯნურობისათვის? ვნახოთ, რას მიგვანიშნებენ თვით ეს წარწერები – ეკლესიის სამხრეთის კედელზე, გარეთა პირზე მიწერილი ერთადერთი, მაგრამ „ყველაზე სრული, შინაარსისა და შესრულების მხრივ ყველაზე უფრო გარკვეული და უხვად შემკული წარწერა“[12] მიეკუთვნება გულქანს, როგორცა ჩანს, შალიკაშვილთა სახლის ასულს.[13] წარწერა, ნ. ბერძენიშვილის პუბლიკაციის მიხედვით, ასე იკითხება: **„ღმერთო და ყოვლად წმიდაო დედოფალო ღმრთის მშობელო და რანიც წმიდანი და მთავარანგელოზნი სუუენებისართ, თქვენსა ძალასა და მოწყალებასა, უშველეთ და ულხინეთ მოსამსახურესა მიწასა თქუენსა თუალპატიოსანსა უბროს გულქანს. ვიყავ ცოდვილი რომ მო(მ)იყვანა? მანუჩარ ქალად და გასათხოვარად. ქმარი მე ჯერ არ მედგა, ღმრთის მადლმა და წმიდათა მადლმა, ჩემსა ულამაზესი სულიერი არცა თუალად, არცა ტანად, არცა ზნითა, არცა გონებითა, თუ რამ ჩემნი მნახავნი არა გამომტყუვნებენა? ეს ხიზანნი არიან ამისნი მოწამენი და ეს ლომი“.**[14] წარწერა მთლიანად ნახატებითაა შემოვლებული, სადაც მთავარი ფიგურა ლომია, დანარჩენი, უმრავლესობა თითქოს გედებია თუ ხოხბები. იგი, როგორც ვხედავთ, საევდრებელი და საერო ხასიათისაა და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, მასში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ გულქანი ბიძას „გასათხოვარად“ მოუყვანია. აქ მინიშნებაც არაა შემონაზვნებაზე.

ვინმე თუმიანის წარწერაში, რომელსაც XVI ს-ის პირველ ნახევარს აკუთვნებენ, „მოყვანილია ერთსტრიქონიანი ლექსი დაწერილი რუსთაველური შაირით“: **„ქ. წვრილად ნახვეწო ისარო ქალაქს ნა[ღებო ინითა] // ყირმიზი რკალის პერანგი გაცვია ოქროს ღილითა; // ნეტავი [შენთან მამყოფა], შენთან გამაძღო ძილითა, //მაგ შევარდენსა თვალ-წარბსა მაკოცნა ბაგე-კბილითა“** (კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ადგილები აღდგენილია ლექსის ხალხური ვარიანტის მიხედვით შ. ონიანის მიერ.[15] ლექსი, როგორც ირკვევა, აღდგომა დღესაა კედელზე მიწერილი. ამის გამო მკვლევარი წერს: „საინტე-

[12] ვ. ცისკარიშვილი. წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკე. 30, გვ. 171.
[13] გულქან შალიკაშვილი მისნეულია ქართლის მეფე გიორგი VIII (1442-1476 წწ.) შვილიშვილად, რომელსაც ბიძად ერგებოდა მანუჩარ I ათაბაგი (1475-1487 წწ.).
[14] გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 121.
[15] შ. ონიანი. ეანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. № 7, გვ. 39.

რესო ფაქტია; აღდგომა დღეს მონაზონი ქალი ღვთისმსახურების ნაცვლად გართულია სატრფიალო ლექსების წერით. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...“.[16] თუმიანსვე აკუთვნებენ კიდევ რამდენიმე წარწერას: „ქ. შენი მიწა... ვიკადრებ თუ იკადრების. ბატონი, თუმია. მაცხოვრის ხატმა კაი ბედი მოგცეს, ნუ დამივიწყებ. აწ, მზეო შენსა გაყრილსა დამივიწყდა სოფლის ლხინი მე // ვით მმართებს, ეგრე გასრულვარ, სისხლის ცრემლითა ეტირი მე, // ნეტარ ღირმს ვარმცა, მენახოს შენი ლამაზი პირი მე, // ნუ დამიჯ-წყებ, ღონეო, შენის თვალისა ჭირიმე“;[17] სხვა წარწერაში თუმიანს ქანწილის ადგილას სტილიზებული ლომი გამოუსახავს, რომელიც „სიმბოლურად უნდა გამოხატავდეს თუმიანის მიჯნურს. წარწერა (ის ორნაწილედია – ი. ტ.) ამ ლომისადმია მიმართული“.[18] პირველ ნაწილში იკითხება – „ლომო განაღამც მიყვარხარ შენებრ ვერავის სადარად, // წყალად ევფრატად გიტყ-ვიან, გულად – როსტომის სადარად; // ტანი აზატსა საროსა ნარნარად აყ-ვავებულსა; // მე გული ხელთა არა მაქვს, თუ არ შენ გახლავს სადარად. ვაიმე იმედო ნახვამდის თუმიანს დამიწერია“; მეორე წარწერა ასეთია – „ქ. მზეო გიშ[ვ]ენის წალკოტი ხილითა და ხევნარითა, // უწყალოდ მოკლავ მიჯნურსა და გულსა დახევ ნარითა.“

მოვიტანთ ჩვენი მსჯელობისთვის ფასეულ კიდევ ერთ წარწერას: „და-მიწერია ივანობის თვესა მე შატელიშვილისა ბერიკელ ქალიშვილსა ხვარამ-ზეს ესე წიგნი. ვინც შემიბრალებთ მე და ბატონს გოზალაღას, ჩემსა და იმის გამყრელობას: ესეც უნდოდა., ვაიმე თუ ერთმანეთსა სიკვდილის და სულთ ამოსვლის დროს არა დავხუდეთ, შეგვიბრალეთ. ღმერთმა გამიგონოს, რომე, როდესაც მე და გოზალაღა აქა მოვედით, ცნობა დაგვეპანტა, ბევრი ვიტირეთ, ესრე ჩვენ. თქვენ ჩვენ შეგვიბრალეთ... ვაიმე გულთაგან დამდ-ნარსა“.[19]

როგორც ვხედავთ, მოლექსე ქალები პირდაპირ ჰგოდებენ თავიანთი მიჯნურების გამო – „მოვკვედ უშენოდ, აღარ ცოცხალ ვარ, ვაიმე უშენოდ რა მაძლებინებს...“, ან კიდევ „მე მოლოდინსა მოუკლავ, შენს ეგრე დაყოვ-ნებასა...“.[20]

კედელზე მიწერილ „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ორიოდ სტროფს

[16] შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. № 7, გვ. 39.
[17] შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. № 7, გვ. 39.
[18] შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. № 7, გვ. 39.
[19] შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. № 7, გვ. 35.
[20] შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. № 7, გვ. 35.

რჩეულაშვილ ანას მიაწერენ. ეს სტროფები ნ. ბერძენიშვილის პუბლიკაციაში ასე იკითხვის: **„ციხეს ვზი ეზომ მაღალსა თვალნი ძლივ შემომწვდებიან, // გზა გვირაბითა შემოვალნ მცველნი მაზედა დგებიან // მაშიგან ორნი გუშაგნი ნაბადსა არ დასცდებიან // მათსა შემბმელსა დახოცვენ ცეცხლურებ მოედებიან, // ჩემო ნუ მოხვალ ჩემზედა სახით მებრძოლთა წესითა, // ნურცა მე მომკლავ ჭირითა ამისგან უარესითა...“.**[21]

ამ წარწერების ავტორები ქართული მწერლობისა და ფოლკლორის მცოდნე, პოეტური ნიჭით ცხებულ პიროვნებებად წარმოგვიდგებიან, მაგრამ არასათანადო მორალურ-ზნეობრივი სახის მექონად იმ შემთხვევაში, თუ მართლაც მონაზონები არიან. სხვათა შორის, შ. ონიანსაც გასჩენია ამგვარი ეჭვი, მაგრამ იქვე იმ საბაბით უარუყვია, რომ „ამჯერად არა გვაქვს არავითარი მტკიცე საბუთი იმისათვის, რომ ეს ქალები მონაზვნებად არ მივიჩნიოთ“.[22]

ვფიქრობთ, წარწერის ავტორი ქალბატონების სოციალური სტატუსის გასარკვევად დამატებით კვლევა-ძიება და არგუმენტებია საჭირო.

მონოგრაფიაში, სადაც „ვაჰანის ქვაბთა განგება“ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით თვალსაზრისით შევისწავლეთ, ვწერთ: „დედათა და მამათა მონასტრების თანაარსებობა ვაჰანის ქვებში შეუძლებლად მიგვაჩნია იმდენად, რამდენადაც თვითონ ტიპიკონი სასტიკად კრძალავს მონასტერში ქალის შესვლას, თუნდაც საკუთარი დედა იყოს იგი“.[23] ჟორდანიასეულ არგუმენტთან დაკავშირებით კი აღვნიშნავთ, რომ მურვან ღარიბას ძის მინაწერით სულაც არ იგულისხმება ღარიბასძეთა ქალის მაინცადამაინც ვანის ქვაბებში შემონაზვნება, ის, შესაძლებელია, სადმე სხვაგან აღკვეცილიყო, მაგრამ შეწირულობის მესამედი აუცილებლად უნდა რგებოდა.

წარწერები, როგორც მკვლევრები ერთსულოვნად მიუთითებენ, შესრულებულია XV–XVI საუკუნეებში, შეიძლება ითქვას, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის უმძიმეს ხანაში, მეტად არეულსა და მშფოთვარე დროში. ჩვენი ვარაუდით, XV საუკუნისათვის ვანის ქვაბთა მონასტერი უკვე უქმია. დოკუმენტების მიხედვით, აქ მხოლოდ დაყუდებული ბერი ხიმშიაშვილი ჩანს, რომელსაც „ვანის ქვაბთა განგების“ ერთ-ერთი მინაწერი, ნასყიდობის სიგელი გაუფორმებია.[24] მართალია, ათაბაგები XVI ს-ში კვლავაც ცდილობენ ვანის

[21] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I, გვ. 122.
[22] შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. № 8, გვ. 35.
[23] ი. ტალახაძე. ვაჰანის ქვაბთა განგება. თბ. 2009, გვ. 104.
[24] ი. ტალახაძე. ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 102.

ქვაბთა განახლებას, მაგრამ ეს ცდანი უფრო ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და, პრაქტიკულად, უშედეგოა.[25] მატიანეთა ირიბ მონაცემებზე დაყრდნობით მივიჩნევთ, რომ ვანის ქვაბთა მონასტერი ამ დროისათვის უკვე ციხე-სახიზ-რად გამოიყენებოდა ისევე, როგორც მის მახლობლობაში მდებარე წუნდის ეკლესია, სადაც იხიზნებოდნენ შინა აშლილობისა თუ უცხოტომელ-თა თარეშის დროს.

მესხურ მატიანეში 1576 წლის სისხლიანი ამბების თხრობისას ნათქვა-მია: „...და თმოგჳს ქალაქი მოვარბიეთ და იქვე ზედა-თმოგჳს ამოვედით... და **ორშაბათს ვანის ქვაბს მივადეგით და ოთხშაბათს იერიშით ავიღეთ,** და პა-რასკევს დღეს ავიყარენით, ჩავუდეგით, რჩეულანი შემოვიწყცნით“.[26] ამ ქრო-ნიკის მიხედვით, შალიკაშვილთა ფლობაში მყოფი ვანის ქვაბი საკმაოდ მტკიცე სიმაგრეა, ათაბაგის ლაშქარს სამდღიანი ბრძოლა დასჭირდა მის ასა-ღებად და შემდეგ შალიკაშვილთა მომხრე რჩეულაანთ შემოსამტკიცებლად.

მოტანილი წარწერების გულდასმითი ანალიზი, ვფიქრობთ, ამ აზრს უფრო ამყარებს: მაგალითად, შატელიშვილის ასული ხვარამზე მისი და გო-ზალაღას აქ ერთად მოსვლასა და „გამყრელობაზე“ საუბრობს, წუხს, **„სულთ ამოსვლის დროს“** იქნებ ერთად არ ვიყვნეთო, კონტექსტით ეს შე-საძლებელია, მაგრამ სულაც არაპროვიდენციული – წარწერის „ვაიმე თუ“ ამას ადასტურებს; ამასვე მიანიშნებს: „შენს ეგრე დაყოვნებასაო“ – მიჯნუ-რადმი „საყვედური“. თუმიანიც სატრფოსთან შეყრის იმედს აუნთია, მაცხოვ-რის ხატს ავედრებს მიჯნურს და **„ნეტარ ღირმს ვარმცა, მენახოს შენი ლა-მაზი პირი მე-ო“** ამბობს.

„ვეფხისტყაოსნის“ სტროფების „ავტორ“ ანა რჩეულაშვილთან დაკავ-შირებით შ. ონიანი ფიქრობს, რომ „არ უნდა იყოს შემთხვევითი წარწერაში ამ სტროფების მოყვანა. ნესტანის მსგავსად, უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც ძა-ლით მოუშორებიათ მიჯნურისათვის და სამუდამოდ გამოუკეტიათ ვანის ქვაბ-თა მონასტერში, რომელიც მიუვალობითა და გვირაბებით ერთგვარად მოგვა-გონებს ქაჯეთის ციხეს. აქ სხვა გარემოებაცაა საინტერესო: ანა რჩეულაშ-ვილს ვანის ქვაბთა მონასტერი შეუდარებია ციხისათვის („ციხეს ვზი ეზომ მაღალსაო...“).[27]

ჩვენი აზრით კი, აქ საქმე რეალური ვითარებით გამოწვეულ რემინის-

[25] ი. ტალახაძე. ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 103.
[26] ქ. შარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVI სს. თბ. 1961, გვ. 44.
[27] შ. ონიანი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. № 8, გვ. 35.

ცენციასთან უნდა გვქონდეს; ანა რჩეულაშვილის მიერ ამ წარწერის შესრულების მომენტისათვის, ვფიქრობთ, ვანის ქვაბები უკვე ციხე-სიმაგრედ ქცეულა. ამ აზრს ეხმაურება თითქოს გულქანის წარწერა „ეს ხიზანნი არიან ამისნი მოწამენი.“ შესაძლებელია, აქ სწორედაც ხიზანნი, ციხეს შეხიზნულ-შეფარებულნი იგულისხმებიან და არა ხაზანნი ანუ ფაზანნი, როგორც ამას აკ. შანიძე ვარაუდობდა. გულქანი ხომ სულაც „**გასათხოვარად**“ წაუყვანია თავისთან ბიძა ათაბაგს, მაგრამ გარემოებათა გამო ისიც ვანის ქვაბებში გაუხიზნავთ.

ასეთ მშვენიერ და ტრფობით გულანთებულ ქალთა მიჯნურნი, ცხადია, „ჯაბანნი“ და „პირუმტკიცონი“ ვერ იქნებოდნენ. ყველაფრიდან ჩანს, საქმე რუსთაველურ, ამამაღლებელ მიჯნურობასთან გვაქვს და არა უგულო „მტლა-შა-მტლუშთან“ (უკვდავი პოემის ტაეპებიც ამას ამოწმებს). შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მოყმე-რაინდთა მიერ საყვარელ ქალთა ასე „უწყალოდ“ დატოვებას მაღალი და პატივსადები მიზეზი ჰქონდა. ასეთი კი იმ ძნელ დროში ომი და ბრძოლა უნდა ყოფილიყო.

ჩვენი აზრით, ვანის ქვაბთა მონასტრის „მწიგნობარი“ ქალები მესხეთის არისტოკრატიულ სახლთა შვილები არიან, „ზეპურნი დედანი“, სათანადო მორალური სახისა და აღზრდა-განსწავლის მქონენი, სიცოცხლისა და თავისუფლების დამფასებელნი, „საზეო“ საქმით გულ და გონება განათლებულნი. მათი მონაზვნად დასახვა ჩვენ არასწორად მიგვაჩნია. ბოლოს და ბოლოს მათი აქმყოფობის ჟამს ან შემდეგ მონასტერს რომ ეფუნქციონირა, ვეჭვობთ ამ, წარწერებს ჩვენამდე მოეღწია.

Irma Talakhadze

ABOUT THE SOCIAL STATUS OF "LITERARY" WOMEN OF VANISQUABTA MONASTERY

Summary

The small church of Vanisquabta monastery (nunnery) in Southern Georgia, situated at the upper level of the complex, has a sort of "literary salon", where numerous gallant poetic lines are written, together with casual inscriptions and prayers.

This "salon" contains the earliest written passages from Rustaveli's poem dated to the 15th century.

According to our opinion, "literary" women of the monastery were the representatives of aristocratic families of Meskheti region. They were women with distinguished morals and the special education honoring the life and freedom. We think that it is missleading to consider them as nuns. It is highly doubtful that inscriptions would have been preserved if monastery continued functioning.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

როლანდ თოფჩიშვილი

ქართულ-ოსური ურთიერთობების ნეგატიური ასპექტი: ოსთა თარეშები შიდა ქართლში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლამ, კავკასიონზე არსებული ზოგიერთი გადმოსასვლელის გაუკონტროლებამ, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და დემოგრაფიულმა ვითარებამ, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო მონღოლთა და შემდეგ ყაბარდოელთა ჩრდილო კავკასიის ველებში გაბატონებით, საქართველოს ჩრდილოეთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში არსებითი ეთნიკური და დემოგრაფიული ცვლილებები გამოიწვია: აღმოსავლეთ კახეთში ქართველებს, ფაქტობრივად, დაღესტნელი ლეკები (ხუნძები და წახურები) ჩაენაცვლნენ, ჩრდილო-დასავლეთში – ადიღეური მოდგმის ტომების მიგრაციამ ადგილობრივი აფხაზების კულტურული ტრანსფორმაცია გამოიწვია – *ძველი აფხაზები ახალი აფხაზებით* შეიცვალნენ, ხოლო ცენტრალურ ნაწილში – ჯერ *დვალეთში* და შემდეგ *შიდა ქართლის* მთიანეთში, *თრუსოსა* და *რაჭის* უკიდურეს აღმოსავლეთში (*კუდაროში*) – ოსური ეთნოსის წარმომადგენლები დასახლდნენ.

ჩრდილოეთიდან კავკასიელ მთიელთა მიგრაცია მთელმა რიგმა მიზეზებმა განაპირობა, რომელთაგან არსებითი ქართველთა მთიდან და მთისწინეთიდან ჯგუფურად აყრა იყო (აღმოსავლეთ კახეთიდან კი ისინი შაჰ-აბასმა ირანში გადაასახლა). მთიელთა მთისწინეთსა და ბარში ჯგუფური გადასახლება კი, თავის მხრივ, განაპირობა მტრის მიერ ბარში მოსახლეობის თითქმის პირწმინდად განადგურებამ. მთიელები ბარში არსებულ ნასოფლარებში მკვიდრდებოდნენ. მთის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე კი მთიელთა ჯგუფური გადმოსახლების მიზეზით იცლებოდა. ერთი სიტყვით, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში მწვავე დემოგრაფიული ვითარება არსებობდა. ქართველი მიწის მფლობელი/ფეოდალი კი მიწათმოქმედს ეძებდა

და მას ხშირად მთაში პოულობდა. ეს ვითარება კარგად აქვს შენიშნული *ვახუშტი ბაგრატიონს: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსახლებულან, ვინაითგან მტერთავან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“.*[1]

ვახუშტი ბაგრატიონი არაფერს ლაპარაკობს იმ თარეშებისა და მეკობრეობის შესახებ, საქართველოს ჩრდილოეთ პერიმეტრზე მოსახლეობის ეთნიკურ ცვლილებას რომ უძღოდა წინ. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში ჩაკეტილმა ეთნიკურმა ერთობებმა თავის რჩენის ერთ-ერთ საშუალებად თარეშები მიიჩნია – ისინი ძარცვავდნენ ერთმანეთსა და საქართველოს მთის მოსახლეობასაც. ამის დამადასტურებელი მონაცემები კი არა ერთი და ორი გაგვაჩნია. ისტორიული საქართველოს ტერიტორიებზე დასახლკარებული ჩრდილო კავკასიელები აქ დასახლების შემდეგაც არ წყვეტდნენ თარეშებს. ისტორიოგრაფიაში რატომღაც მხოლოდ ლეკების თარეშებზეა ყურადღება გამახვილებული. ამასაც თავისი მიზეზი აქვს – ლეკიანობის მასშტაბები განუზომლად დიდი იყო. ამჯერად მხოლოდ ოსთა თარეშებზე, მეკობრეობაზე გავამახვილებთ ყურადღებას[2].

მანამ სანამ დვალეთსა და შიდა ქართლის მთებში დასახლებული ოსების მთისწინეთსა და ბარში თარეშების ფაქტებს შევეხებით, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ დვალეთში ოსებმა ალაგირის ხეობიდან ბრძოლით გაიკაფეს გზა. ამას ოსური გადმოცემებიც ადასტურებს, რომელთა მიხედვითაც ოსური ეთნოსი დვალეთში ბრძოლით არის მოსული. ადგილობრივ დვალებს ისინი ამარცხებდნენ და ასე იკავებდნენ მათ საცხოვრებელ ადგილებს. ასეთი გადმოცემების საშუალებით, შეიძლება დავადგინოთ დვალეთის ადგილობრივი (ქართული)[3] და მოსული (ოსური) გვარები. ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე – დვალეთში ოსებმა ფეხი თავდასხმებით რომ მოიკიდეს, ამის დამადასტურებელი მონაცემები ქართულ ფოლკლორსაც შემოუნახავს. ასეთი სიმღერა-ლექსი დვალეთის მოსაზღვრე ზემო რაჭაშია შექმნილი: *„მაღლა მთას მოდვა/ უცხო ფრინველი/ თეთრი ფრინველი, თეთრი*

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 363-364.

[2] ოსთა მეკობრეობის შესახებ მხოლოდ ერთი ნაშრომია გამოქვეყნებული. იხ.: ვ. ითონიშვილი. ოსიანობა – ოსთა საკითხი. გორი-თბილისი. 1996, გვ. 228-257.

[3] რ. თოფჩიშვილი. ეთნოისტორიული ეტიუდები. წ. I. თბ. 2005, გვ. 175.

ფრთიანი (ვარიანტი: „ფრთოსანი“)./ ყოელეს ჩამოდვა./ დიდი ლაშქარი./ დიდი ლაშქარი – ოსი და დვალი./ ომი შეიქნა ციხკრისა ყამსა./ ციხკრისა ყამსა, გათენიასა:/ ქნევა ხმლისა, ძგერა შუბისა./ ხმალი ორპირი სისხლში სცურავდა./ შუბის ნალეწი ზეცას ცვიოდა./ მესამე დღესა ჩამოცვიოდა./ ვაჟკაცთ ყვირილით მიწა იძროდა./ სისხლსა და ღვარსა კაცნი მიჰქონდა./ ჯაფარ გაიქცა, ვით რომ კაკაბი./ ოსი მოსდევდა, ვით რომ არწივი./ ჯაფარ, ვერ წახვალ/ შინა მშვიდობით, ცოლს ვერ მიუტან/ ლაშქრულს ანბავსა./ ლაშქრულს ანბავსა./ წითელ კაბასა./ სიტყვა გათავდა, ჯაფარ წაიქცა./ ჯაფარ წაიქცა სვეტი ოქროსი./ ომი გათავდა, ომი გათავდა./ აგერ მოდიან მოწიფულები./ ჯაფარ მოაყვე:/ თავი გოდრითა./ ტანი ლასტითა./ წვრილი წელები –/ ხელკალათითა[4]*“.*

ამრიგად, ხალხურ ლექსში ასახულია დვალეთში შემოჭრილი ოსების ბრძოლა ადგილობრივ დვალებთან. ოსები სამოსახლო ტერიტორიების მოსაპოვებლად იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში იმარჯვებენ კიდევაც. მრავალი დვალი დაიღუპა. გადარჩენილები კი გაიქცნენ მამა-პაპათა საცხოვრისიდან. დვალთა ერთ-ერთი ლიდერი – *ჯაფარი* დამარცხდა რა უთანასწორო ბრძოლაში, „გაიქცა, ვით რომ კაკაბი“. გაქცეული ჯაფარი, რომელიც დვალებს ასახიერებს, ოსებმა აკუწეს. რაც შეეხება იმას, რომ ეს ბრძოლა ნამდვილად დვალეთში მოხდა, კარგად ჩანს ხალხური ლექსიდან. ლექსში ნახსენები ორივე ტოპონიმი (*მაღლა მთა* და *ყოელე*), სადაც ბრძოლა მოხდა, დვალეთშია. *მაღლა მთა* ეს იგივე მაღლა *დვალეთია*. ასეთი გეოგრაფიული ერთეული ნახსენები აქვს *იოანე ბაგრატიონს*[5], *ყოელე* კი დვალეთის ერთ-ერთი ხეობაა, რომელიც მთის რაჭას ესაზღვრება. ლექსის რამდენიმე ვარიანტში ნახსენებია სოფლის სახელი *ქალაქაც*. *ქალაქი* დვალეთის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი იყო. ლექსში ნახსენები *უცხო ფრინველი*, რა თქმა უნდა, საომრად მოსული ოსები იყვნენ, რომლებიც დიდი ლაშქრით დაუპირისპირდნენ ადგილობრივ ქართველ მთიელებს – დვალებს. ლექსში ასახული ბრძოლის შემდეგ მოხდა სწორედ მოსახლეობის ეთნიკური შეცვლა დვალეთში. კიდევ ერთი: ლექსი-სიმღერით ბრძოლა დვალებსა და ოსებს შორის მოხდა დვალეთის სამხრეთ-დასავლეთით, *ყოელეს* ხეობაში – მთის რაჭის მოსაზღვრე ტერი-

[4] რ. თოფჩიშვილი. ზეპირი საისტორიო წყაროები. ეთნოისტორიული ეტიუდები. წ. I, გვ. 264-265.

[5] იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაერთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბეჟდოშვილმა. თბ. 1986, გვ. 77.

ტორიაზე. აშკარაა, რომ დვალეთის დანარჩენი ხუთი თემი ამ ბრძოლის წინ ოსებს უკვე წართმეული ჰქონდათ. ლექსში ასახული ბრძოლა ქართველ მთიელთა – დვალთა უკანასკნელი შეჯახება იყო მოსულ ოსურ ერთობასთან ეთნიკური ნიშის შესანარჩუნებლად.

დვალეთში დასახლებული ოსები შემდეგ მთიულეთს უქმნიდნენ საშიშროებას. საამისო არაერთი გადმოცემა და ხალხური ლექსია მთიულეთში ჩაწერილი. ჯერ ლექსი მოვიყვანოთ და შემდეგ გადმოცემა: *„ოსეთს იყრება ლაშქარიო,/ სალბი მიუძღვის წინაო./ გადვიდეთ მთიულეთშია,/ ნაღორევს დავდგათ ბინაო,/ ვარჩიოთ ქალი და რძალი,/ სალბის მივართოთ წინაო/ ეგ ბურდულებმა (ვარიანტი: „მთიულებმა“) გაიგეს,/ წელზე შეიბეს რკინაო,/ შვიდი ათასი კაცისა, შვიდი გავზავნეს შინაო,/ სალბის ხელები დააჭრეს, თან გაატანეს შინაო“.* დვალეთელ ოსებთანაა დაკავშირებული შემდეგი გადმოცემა: მომძლავრებულ ოსებს და მათ ბელადს, სალბის, მთიულებისათვის რჩეული ცხრა ქალ-რძალის დაწვენა შეუწერიათ. ეს „პატივი“ ბურდულებს რგებიათ წილად. ბურდულებს კი ლასტები დაუწნავთ, ჭერში ჩამოუკიდიათ და ზედ ქვები დაუწყვიათ. ორი ბურდული მაღლა ჭერში შემჯდარა. მოსული ცხრა დვალეთელი ოსი ჩამოკიდებული ლასტების ქვეშ საწოლებზე დააწვინეს. სტუმარი ოსები ქალების მიგვრას ელოდებოდნენ, იმ დროს ორმა ბურდულმა ზემოდან წნელები ჩაჭრა და „დასცეს ქვით დატვირთული ლასტები“. ასე ჩახოცეს ცხრა ოსი. ცხრა ოსის მოკვლის შემდეგ 7000 დვალეთელი ოსი მთიულეთს დაესხა თავს. მთიულებმა წინასწარ დიდველში დიდი თხრილი გაავლეს და *„თხრილში მუხის მარგილები დაამწვიტეს“*. ღამით წამოსული დვალეთელი ოსები მუხის მარგილებზე წამოეგნენ. *„მარუშიანი ყოფილა ჩვენი უფროსი. ამ მოსულ მტერს რომ ველარ იმაგრებდა, მარუშიანმა დაიძახაო: ხმალსაც წაყავით ხელიო. იქ ყოფილა კიდევ მძლავრი კაცი გავაძე და მიდელაური. ესენი ბურდულებს დაეხმარნენ. მთიულებმა ეს ხალხი მოიშორეს, ამოხოცეს და მხოლოდ შვიდი კაცი გააგზავნეს სახლში ამბის მისატანად“.*[6]

ანალოგიური მასალა მთიულეთში სხვაც არაერთია ჩაწერილი: *„ძველ-ძველი ამბავია, თქვენი ჭირიმე. აგრე იქიდანა. აი, ეს სახლი რო არა დგა, მანდედანა არხია გათხრილი არაგვზე გადაყვანილი. არსად არა სწერია ამაზე. არაგვის თავი ვიცით ჩვენა. იქიდან* ***მაღლა-დოლეთიდანა*** *წამოვიდნენ და*

[6] გადმოცემა ჩაწერილია ჩვენ მიერ 1981 წლის 17 აგვისტოს 69 წლის მთხრობელის – ვასილ სოსიკას ძე ბურდულისაგან.

ლაშქრობდნენ ამ ხალხსა და ციხეებსა. ერთხელ თქვენ (კაიშაურების – რ. თ.) ციხეში შახიზნდნენ ისინი. მავიდნენ, შეშა წაუკიდეს. კალმახი ჰყოლიათ და ის გადმოუგდეს. გავანებოთ იმათ თავიო. იმათ წყალიც შინა ჰქონია და პურიცა, ვერაფერს უზამთო. შაწუხდა ერთი ოსი, სუ ვაწუხებთ იმ ხალხსაო. წამოვიდნენ, იმ ოსმა გააგებინა, ჩაყარეთ მუხით ძირსაო. ხო თქვეს: „ნაღვარევს დავდვათ ბინაო“, ნაღვარევს კი არა, აქვე დასწყდნენ. ის ოსი დასწყევლეს „შვიდ მამამდე ერთზე მოსდიოდეთო“. ოსი იყო, ძრიალი ყოფილა ძალიან ისა. შემდეგ იმ ოსებს აქ აღარ გამოუვლია, აქათა. იმას კი მამავლები არა რჩება, იტანჯება. ერთი ბერიკაციღაა იმათი. კარგით ვიგონებთ იმ ოსს ჩონ, თავის ოსები შურობენ. ჩვენ მივეცით მამული, სათიბი და სახნავი“[7].

ოსთა მეკობრეობის შესახებ გადმოცემები დადასტურებულია *მთის რაჭაშიც*. მთის რაჭაზე, ამ მხრივ, დიგორელი ოსები იყვნენ ორიენტირებულნი. მათი თავდასხმის შესახებ ხალხური ლექსიცაა: *„დიგორსა დასხდნენ დიდი ვეზირნი,/ რჩეული ბადელუანი,/ მათ გამორჩევა შეექმნათ:/ ღები გვყავს საქონლუანი./ გზანი და გზანი არჩიეს/ სავალად კირტიშუანი../ გაუბედურდნენ ოსები,/ ღორის ნათხარში ჰყრიანო./ გიჯობდა ჯანხოთლიშვილო, არ წასულიყავ ღებსაო./ გეჭამოს ქერის ქარჯინა,/ ქვე მოსდგომოდე ცხვრებსაო“.*[8]

შიდა ქართლის მთაში ოსთა მეკობრეობა მოსახლეობის ამოვარდნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი რომ იყო, კარგად ჩანს 1621-1650 წლებით დათარიღებული მამულის ნასყიდობის წიგნით, რომელიც უცნობ პიროვნებას *ქუაბულ* და *ზაალ მაჩაბლებისათვის* მიუცია: „გასათავებელი წიგნი და ნიშანი მოგახსენეთ ჩუენ ჭო.... თია (?) ივანემ და ზაქარიამ და ჩუენთა შვილთა შენმაზან, ინდომა, გარსევან და არჯაბან თქუენ, მაჩაბელსა პატრონსა ქუაბულს და ზაალს და მისთა ძმათა და მომავალსა სახლისა შენისათა. **ამოსწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან. ღმერთი იყოს მოწამე ასრე ამოწყდა, რომე კაცის ნაშენები აღარა იყო-რა**. მოგყიდე *ზემო ჯავას ძიგანაძის* მამული მისითა სასაფლაოთა, სახნავითა, სათიბითა, წყლითა, საწისქვილოთა, მთითა და ბარითა, მისისა ნასყიდის ვენახითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა. *ძიგანიძე*, მისი მემკვიდრე, დაკარგული იყო და ფასი იმისიც ავიღეთ. აწ მოგვიყიდია ჩუენი მკუიდრი მამული შემოუცილებელი

[7] ლ. კაიშაური. მთიულური ტექსტები. თბ. 1978, გვ. 112. ქართველების დამხმარე ოსში კაიშაურის ველ'ხე/დიდველ'ხე სოფელ ქემლისციხეში მოსახლე ოსების წინაპარი იგულისხმება.

[8] ქართული ხალხური პოეზია. ტ. II – საგმირო ლესები. ნაკეთი მეორე. თბ. 1975, გვ. 127-128.

ყოვლისა მებატონისაგან, ვერც ბატონი ჩუენი შემოგვეციოს და ვერც სხვა.... ასეთ დროს მოგყიდეთ, რომე ორგან სამგან დედამ შვილი შეჭამა, კაცმა ცოლი გაყიდის და თავად დარჩის. ჩუენ თვით ასრე დაგვემართა, რომე ათის სულის ჯალაბისაგან მეტი აღარ მორჩა. ჩუენის მკუიდრის მამულის ნავაჭრი ფასი მივასწარით და ღუთით დავრჩით. ღმერთმან დაგიმადლოს, რომე ჩუენი მკუიდრი მამული იყიდეთ და დაგუარჩინეთ, თვარემ სრულებით ამოვსწყდებოდით. აწ ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. ვინცა ამა ნასყიდობას შემოგეციოს, რისხავსმცა ღმერთი... ამისი მოწამენი არიან *ეფენიაშვილი მოძღვარი სვიმონ, გურჯიშვილი ლომი*".[9] დოკუმენტით სრულიად ცხადია, რომ XVII საუკუნის შუა ხანებში *დიდი ლიახვის* ხეობის სოფელ *ზემო ჯავაში* ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ოსთა თავდასხმებისა და მეკობრეობის შედეგად ამოწყდა. გაუკაცრიელებულ *ზემო ჯავას* ერთი ფეოდალისაგან მეორე ფეოდალი ყიდულობს. ამავე დოკუმენტში ამოწყვეტილ ქართულ გვარებზეცაა (მაგალითად, *ძიგანიძეებზე*) საუბარი. მიუხედავად ამისა, ოსმა ისტორიკოსებმა ის დამახინჯებულად თარგმნეს, რომ თურმე ზემო ჯავაში ოსური მოსახლეობა ამოწყდა: «Вымерла Верхняя Джава и не стало там осетин...». სინამდვილეში თარგმანი ასეთი უნდა ყოფილიყო: «Вымерла Верхняя Джава и опустошена (буквально: обезлюдена) осетинами... так вымерла, что никаких признаков людской жизни там не было».

ახლა ისტორიის სიღრმეში გადავინაცვლოთ. ოსური აგრესია საქართველოს მიმართ ადრიდანვე იყო დამახასიათებელი. ქართულ წყაროებში დადასტურებულია რამდენიმე შემთხვევა ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში ოსთა საქართველოში დიდი რაზმებით შემოჭრისა. ასეთი ცნობები დაცულია ლეონტი მროველის თხზულებაში, კერძოდ, III საუკუნეში *ამაზასპ მეფის* დროს, IV საუკუნეში *მირიან მეფის* დროს, ოსთა შემოჭრის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ოსები ჯერ კიდევ ჩრდილოეთ კავკასიის ველებში არ ცხოვრობდნენ და უფრო ჩრდილოეთით მომთაბარეობდნენ, საქართველომდეც აღწევდნენ. *ლეონტი* მოგვითხრობს: „...გარდმოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალეთისასა, ხოლო ვერ იგრძნა ამაზასპ მეფემან გარდმოსვლა ოვსთა ვიდრე გარდმოსვლამდე მთისა. მოვიდეს ოვსნი და დადგეს ლიახუსა ზედა რვა დღე განსუენებად, და არა სადა განვიდა მარბიელი, რა-

[9] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან. წ. I. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.). ნ. ბერძენიშვილის გამოც. თბ. 1940, გვ. 363-364.

მეთუ ქალაქისა მცხეთისა შემუსვრად მოსრულ იყვნეს. მაშინ *ამაზასპ* მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა... მოვიდეს ოვსნი ჩრდილოეთ კერძოთა ქალაქისათა, რომელს არს *მუხნარი.* მაშინ *ამაზასპ* მეფემან განავსნა ციხენი და კარნი მცხეთისანი ლაშქრითა... განვიდა და დაესხა ოვსთა, განთიადისა ჟამსა... სძლია და აოტა ბანაკი მათი, და მოკლა მეფე ოვსთა, და მოსრა ყოველი სიმრავლე მათი. და წელსა მეორესა... შეკრიბნა სპანი თჳსნი და ყოველნი, და გარდავიდა ოვსეთს. და ვერ-ვინ წინააღუდგა და მოტყუენა ოვსეთი, და მოვიდა შინა გამარჯვებული"[10]. *ამაზასპი შაბურ I-ის* (242-272) თანამედროვე გახლდათ. „III საუკუნიდან, როგორც ცნობილია, მართლაც, გახშირდა ალანების შემოსევები ამიერკავკასიაში. შეიძლება ალანთა ერთი ასეთი შემოსევა იგულისხმება ქართული წყაროს ამ მოთხრობაში მეფე *ამაზასპის* ბრძოლაზე ქართლში შემოჭრილ ოსებთან"[11].

ალან-ოსები ქართლში IV საუკუნეში მირიან მეფის დროსაც დაურბევიათ: „გარდმოვლეს ოვსთა *ფეროშ* და *კავტია* და განრყუნეს ქართლი. ჴოლო მირიან გარესგარ გარდავიდა ოვსეთს, მოტყუენა ოვსეთი და მიუწია ხაზარეთამდი, და გარდმოვლო გზა დვალეთს და მოვიდა შინა"[12].

III-IV საუკუნეების ქართველთა და ოსთა ურთიერთობაში ერთი რამაა საყურადღებო: ალან-ოსები ქართლის მოსაოხრებლად გადმოდიან არა დარიალით, არამედ დვალეთის გზით (*კასრის კარით*). ქართულ წერილობით ძეგლებში აშკარად ხაზი ესმის იმას, რომ ადრე შუა საუკუნეებში დვალეთი ოსებით დასახლებული არ იყო, რომ ველებიდან შემოსეული მოთარეშენი ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთ კავკასიაში დვალეთის გზით სარგებლობდნენ.

ალან-ოსები ქართლში *ვახტანგ გორგასლის* მცირეწლოვნობის დროსაც შემოიჭრნენ: „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარმოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოჴრნეს ველნი არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თვინიერ კასპისა. ჴოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაც ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი. რომელ დაურჩეს წარუტყვევნელად ჴევნი ქართლისანი, კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი, ჩავლეს რანისა და მოვაკანისა, წარტყუენეს ივიცა და განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თჳთ

[10] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 55.
[11] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1970, გვ. 568.
[12] ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბ. 1955, გვ. 67-68.

გზა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი".[13]

შიდა ქართლში XIII საუკუნის 90-იან წლებში გახშირდა ოსთა თარეშები. ამ საქმეში მათ მონღოლები უწყობდნენ ხელს: „ხოლო მუნ ყოფასა *ფარეჯანისა* იწყეს ოვსთა ოკრებად, ჴოცად, და რბევად, და ტყუევნად ქართლისა, და ქალაქი *გორი* წარტყუენეს და თკსად დაიჭირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა *ბეგას ძესა ჰამდას* წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა. და მრავალგზის შეებნეს, და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, დაწუეს *გორი* სრულიად. და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხიდაღმან გარდმოუშუეს საბლით კაცი, და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმათ, ჩამოდგნენ შუა, შუელა ქმნეს და ზავი, და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან *გიორგი* განასხნა და აღფურნა".[14] ასე მოიშორეს „ჭირი დიდი მკკდრთა ქართლისათა". ოსური რაზმების ასეთი თარეში საქართველოს მთის რეგიონებში დასახლებამდე გავრცელდა (დვალეთი, შიდა ქართლის მთა). ზემოთ მოყვანილი ფოლკლორული მასალებით აშკარაა, რომ დვალეთში ოსებმა დასახლება ბრძოლით მოახერხეს.

გვიან შუა საუკუნეებში ოსთა თარეშებმა სხვაგვარი სახე მიიღო. ადრე თუ მსხვილი რაზმებით შემოჭრა ხდებოდა, ახლა უკვე საქართველოს საზღვრებში დასახლებულნი წვრილ-წვრილი რაზმებით დათარეშობდნენ, მეკობრეობდნენ, იტაცებდნენ ქონებას, საჭმელ-სასმელს, საქონელსა და ადამიანებს. ტყვეებს ან ჩრდილოეთ კავკასიაში ყიდდნენ, ან ქართველთაგან გამოსასყიდს იღებდნენ.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე კათალიკოსი *ბესარიონ ორბელიშვილი,* როდესაც აღწერს XVII საუკუნის დასაწყისში საქართველოს ვითარებას, აღნიშნავს: *„...მრავალი ბოროტნი აღდგომილ იყვნეს საქართველოსა ზედა: პირველად ოსმანთავან, რომელთა დაეპყრა მეფობა ბერძენთა, მერმე სპარსთაგან და მერმე* ***მახლობელთა ჩუენთა მთიულთა ოვსთაგან, რომელნი დამკვიდრებულ იყვნეს მახლობლად ჩუენთა, რამეთუ იგინიცა ფრიად აჭირვებდეს, რამეთუ მოწევნასა ზაფხულსა ვიდრე ყამამდე ზამთრისა ჴოცდეს და ტყუე ჰყოფდეს ცხადად და იდუმალ, და ესეოდენთა ძურთაგან მოცულ***

[13] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 145-146.

[14] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 296.

ეყვნრს ქართველნი“.[15] ამრიგად, აშკარაა, რომ XVII საუკუნის დასაწყისიდან ქვეყნის ჩრდილოეთში დამკვიდრებული ოსები ქართლს უკვე დიდ საფრთხეს უქმნიან.

სწორედ ოსური თარეშების შედეგი უნდა იყოს მათი *ვახუშტი ბაგრატიონისეული* დახასიათება: *„ქურდნი, მპარავნი, მტყუარნი, ხარბნი, მომხუეჭენი, მესისხლენი, მემრუშენი, ტყჷს მყიდველნი, გარნა არა თჷსთა ჰყიდიან“.*[16]

ქართულ საბუთებში ოსთა მეკობრეობის, თარეშების არაერთი ფაქტია დადასტურებული. ეს დოკუმენტები ძირითადად XVIII საუკუნით თარიღდება. ბევრი მათგანი გამოქვეყნებულია, ბევრიც არქივებშია თავმოყრილი. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

1791 წელი: „ქ. ჩვენი ბრძანება არის *ჩერქეზიშვილო იორამ* და *ფურცელაძე ზურაბ,* მერე *უთნელიშვილს სალთხუცეს გიორგის* და იმის ძმებს ოსები რომ ედავებიან, ეგენი თქუენი სახელონი არიან, თუ სწორეთ ედავებიან, ჩუენთან ჩამოვიდნენ, დაველაპარაკებით და თუ თავის თავად ან მიუხდნენ და ან აწყენინეს რამე, და თქუენ თქუენის ყმით მდევრულად არ მოეშველენით ან სასიკვდილოდ დაზოგეთ და ან დასაჭერად, ჩუენად შეცოდებათ მოგვითხოვთ, ყმასაც წაგართმევთ და სახელოსაც. ...**თუ ყველანი ერთად არ შეიყარენით, და ოსები ცოლებსაც და შვილებსაც გტაცებენ და ხმა არ გაგიციათ, სირცხვილი არა გაქვსთ და ნამუსი და ეს არ იცით, როცა თქუენი მეზობელი აღარ იქნება, აღარც თქუენ იქნებით. ქვეყანაში თავი როგორღა გამოგეყოფათ, რომ იმათგან გეშინოდესთ მაგდენს სოფელს და მაგდენს კაცს**“.[17]

1794 წელი: „ჩვენ მაგივრად მისს ბრწყინვალებას *ოთარ ამილახვარს* მოკითხვა უამბეთ. მერე ჩუენი შვილი *ალმასხან* ორს ზარბაზნით გამოვისტუმრეთ. შენი სასარდლო თავად მამაცობრივ (?) თითო კომლის კაცი არ უნდა დაიკლო. ალმასხანსაც არაგვის ჯარი დაბარებული ჰყავ. მოვლენ და ქცხინვალს ქვეით... ამჯობინოთ იქ უნდა დადგეთ. **ეს ოსნი რომ ასე ავკაცობენ და ქართლს ახდენენ, თუ კიდევ არ დაიშლიან და სიავკაცე მოინდომონ რამე, ღთით თამბა (?) უნდა უყოთ**“.[18]

---

[15] ბ. ორბელიშვილი. ლეაწლი ლეარსაბისი. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. წ. V. თბ. 1989, გვ. 35.

[16] ვახუსტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 637.

[17] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი 1448. საბ. №5309.

[18] სცსა. ფონდი 1448. საბ. №2433.

1794 წლის ერეკლეს ბრძანება: „ქ. ჩვენი ბრძანება არის *მაჩაბელო მიმბაშო ზაზავ* და *ბარძიმ*, მერმე ეს ჩვენი **თოფხანის მოსამსახურე *ელიო-ზიშვილი* დაღბაში ბევრი ოსებისაგან აკლებას ჩივის.** და როგორც თქვენის ერთგულობისაგან ვიცოდე ისე გაისარჯენით, სიტკბოებით იყოს, თუ სიმწარით – თავისი საქონელი გამოურთვით და მოაბარეთ. ჰალბათ, რომ ბეჯითად მოექეცით, რომ გამოურთმევლობა არ იქნება. ...**თქვენც ახლავ ქართლის ლაშქრით უნდა ახლავ წამოხვიდეთ**“.[19]

1795 წლის ერეკლეს ბრძანება: „ჩვენი ბძანება არის *მაჩაბელო ბარძიმ* და *მინბაშო ზაზავ*, მერმე თქუენის ოსების წყალობის, მთისა და ბარის მამულების წიგნები გავსიმჯეთ პაპის ჩვენისაგან ბოძებული სანატრელის მამის ჩუენისაგან ბოძებული და დამტკიცებული ჩვენგანიც ბოძებული და დამტკიცებული, როგორც მამის ჩუენისაგან და ჩუენისაგან წყალობა გჭირვებიათ და გქონიათ თქუენის სამკვიდროს ოსებისა მთისა და ბარის მამულებისა ახლა კიდევ ამ ახლის ოქმით დაგვიმტკიცებია და მთლად თქუენთვის გვიბოძებია ღთნ ჩვენ ერთგულად სამსახურსა შიგან მოგახმაროთ და არ მოგეშალოსთ არცა ჩვენგან და არცა ჩუენმა შვილთა და შვილიშვილის შვილთაგან და, **თუ ჩვენგან მიცემული წიგნები ჰქონდესთ *ჯაჯის ხეობის ოსებს* და სხვათა ამ ჩვენის ახლის ბოძებულის ოქმით და წყალობით დაგვიყენებია ამისთვის რომ კაცები დახოცეს ქვეყნებში დაარბიეს და დაწვეს და ტყუებით დაიტაცეს; ამ მიზეზებისათვის დაგვიყენებია, რაც ჩვენგან მიცემული წიგნები აქცსთ. ამას გარდა მრავალი დანაშაულობა მოხდა რომ ამაში არ დაიწერებოდა და ეს ამისთვის არის რომ ოსებმა ეს საქმეები მოახდინეს**“.[20]

1769 წლის საბუთი: „*ორინთელი პაპუა* ჩიოდა: ოსებმა ჩემს გაქცეულს ძმას ნინიას ტყვისაგან სყიდვა შესწამესო და ამაზე დავა დაუწყესო. თქვენს შვილს *იულონს* მოვახსენეთო და ოქმი გიბოძაო, რომ საქართველოში უნდა ჩვენთან ელაპარაკნეთო და უსამართლოთ ეწყენინებინათ. იმათ თქვენს შვილს არადასდვეს რაო, **ნათლისღების ღამეს მომიხდნენ და სამოცდათექვსმეტი ოსი სახლში ცეცხლი ჩამომიყარესო, ერთი თოფი მე მკრესო, ერთი თოფი – ჩემს ძმას *ელისპარსო* და მძიმეთ დაგჭრესო, რომელსა სახლში მე ვიყავი, ის სახლი ველარ გამიტეხესო და ციხეში არავინ იყოო. მოვიდნენ ციხის კარები დაამტვრიესო და რაც რამ მქონდა, სულ გაიტანესო.** ეს მოვიკითხეთ და როგორც ეს *პაპუნა* ჩიოდა ასე მომხდარიყო: პირველი დანაშაუ-

[19] სცსა. ფონდი 1461. რეესტრი 6. საბუთი №19.
[20] სცსა. ფონდი 1450. წიგნი 11. საბუთი №172.

ლი ოსებისა ესე რომ, ჩვენს შვილს *იულონს* მიეწერა, ჩემს სამართალში ელაპარაკენითო და სამართალს გიზამთო და უსამართლოდ ნურას აწყენინებთო, არ დაეჯერებიათ და მოხდომიან. მისი სამართალი ჩვენმა შვილმა *იულონმან* იცის, როგორც ენებებოდეს, ისე გარდაახდევინოს. *პაპუა კორინთლისა* და იმისის სამართალი ასე განგვიჩენია; *კორინთლები* საქართველოში პირველი აზნაურიშვილები ყოფილან, მაგრამ რადგანაც გაყრილან, შუას აზნაურიშვილათ დავდევით. ცოლშვილში რომ მოხდომიან და ბანიდამ ცეცხლი ჩაუყრიათ და სროლა დაუწყიათ, ამისთვის ერთი მთელი სისხლი უნდა მოსცენ ოსებმა თავისას გვარისა რომ იქნება, შუას აზნაურშვილს ერთი მთელი სისხლი ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი ღვ. ამდენი ეს მთლად მოხდომია, თვით უნდა მოსცენ ოსებმა კორინთელს პაპუას და იმის ძმას *ელისბარს* და *პაპუასთვის* რომ თოფი უკრავთ და მძიმეთ დაუჭრიათ. ასე რომ ამისი ... ... თოფით დაჭრილის სისხლი ნახევარი გაგვიჩენია, რომ იქნება პაპუას ნახევარი სისხლი ორმოცდარვა თუმანი ღვმ. ამდენი ესეც ოსებმა უნდა მოსცენ და ელისბარ რომ თოფით დაჭრილა, იმას რადგანაც შენობაში არა ჰქონებია მოხვედრებული და გაკრული აქვს ის უნდა გაისინჯოს და როგორც დაჭრილნი ყოფილა იმისი სისხლიც უნდა მოსცეს და რაც, ან წახდენიათ და, ან წაუღიათ ისიც უნდა უზღონ და უკან მოუბრუნონ და უკლებლად უნდა მოსცენ თუ თავიანთ სიტყვას გაამართლებენ და ამ *პაპუას* ძმა იმათას ტყვეების საქმეში რევებულა. ამას სამართალს როგორც თითონ გააჩენენ, ჩვენ ყაბული გვაქვს თავისას გაქცეულისა და ხელაღებულის ძმასა სახლის კაცისა და ნათესავისას თვისნი დაიდებენ თავსა ჩვენც სამართალს მივაცემინეთ და თუ ისინი არ დაიდებენ თავსა და არც არა საქმე მათთან ექნებათ. *პაპუას* მოხდომაში სამოცდათექვსმეტი კაცი რომ ყოფილა **ამ სამოცდათექვსმეტის კაცი-და, რომელსაც ხელში ჩაიგდებს, იმას უნდა გარდახდეს ამისი თქმა მე მუშა ვიყაო, მე საქმე არ მაქვსო, რომელიც თავის თავს მუშას ეძახის იმას უფრო დიდი დანაშაული აქვს ჩვენ ასე გაგვიჩინებია და ასე დაგვიმტკიცებია.** ამას იქით ოსების სამართალი ასე უნდა მოხდეს და ოსს და ჩვენ კაცში თავსისხლი საქმე მოხდა რამე რასაც სისხლს ოსები თავისის მკვდრისას იღებენ და თავისის ტყვისასა ქართველის გლეხის კაცის სისხლიც ის გაგვიჩენია ოსების დავაში მკვდრისაცა და ცოცხლისაცა, რომელსაც დაატყვევებენ და აზნაურიშვილის სისხლი ერთი სამად გაგვიჩენია და თავადიშვილის ერთი ექვსად გაგვიჩინებია. ამ ოსების დავაში თავთავისის მიხედულობითაც ეს სამართალი, რომელიც ოსებს ბატონი თავადიშვილები არ არიან, იმათი გაგვიჩენია

და რომელიც ოსების თავადი შვილები არიან იმათი სისხლი ხომ ძველთაგან-ვე გაჩენილი არის კიდევ მეტათა და ჩვენ იმასვერ მოვშლით, ეს ასე გაგვიჩ-ინებია და ასე დაგვიმტკიცებია და ასე უნდა იქით ოსებისა და ქართველების სამართალი ასე მოხდებოდეს... ესეც ასე გვიბძანებია: **რაც ოსი ან ქურდობა-ზე მოკვდება ან მოხდომაზე, იმის სისხლი არც გაუჩინდება და არც მიეცე-მათ და ეგრეთვე ქართველი კაცი რომ წავიდეს იმათში საქურდლათ და იქ ოსებში მოკვდეს, არც იმას გაუჩნდება სისხლი...**".[21]

1783 წლის ერეკლეს ბრძანება: „...ჩვენი ბძანება არის *მილახვარო აბა-შიძე გიორგი:* **მერე თქვენი კაცი ხიზანა რომ ქცხინვალს მეჯოგეთა მდგარა და ოსებს წაუყვანიათ, რომელიც იმ შენის კაცის წამყვანი ოსები არის,** სა-დაც იმ ოსების განაყოფი დაასახლო (?), ასეთი განაყოფი რომ სისხლში სა-განაყოფო შეხვდებოდეს. ის დაიჭირე და სანამდინ შენი კაცი არ გააყვანინო, მანამდინ ნუ გაუშვებ".[22]

1774 წლის ერეკლე მეფის ბრძანება: „ქ. ჩვენი ბძანება არის, რომელ-ნიც არაგვის დადებულნი ოსნი ხართ, ყველამ გაიგონეთ: **თქვენი სიავკაცე ქართლში დიაღ გამრავლდა, რომ ქვეყანა გიჩივისთ;** ახლა ამილახვარი გა-მოგვიგზავნია და თქვენი მოურავი და კიდევ თავადები და კაცნი, რომელნიცა ჩვენი ერთგულნი ხართ და წახდენა არ გინდათ, გამოდით. **ამათ მძევლებიც მიეცით, ფიციც მოეცით და ნურცარას წაახდენთ და თუ ვინც ის წამეხნი-ნოსთ (?) რამე, ისიც მიუბრუნეთ, და თქვენ ჩვენი წყრომით აღარ წახდებით და რომელნიც ჩვენნი მუხანათი იქნებით და ამათთან არ ჩამოხვალთ და მძე-ვალს არ მისცემთ და რაც წაგეხდინოთ, არ მოუბრუნებთ, იცოდეთ ყველამ, რომ თქვენი თადარიგი დაიჭიროთ, რაც შეგეძლოსთ ჩვენ ეს არის, რომ ჩვენს თადარიგსა ვიქთ და ვინც ვინ ჩვენი ორგულნი ხარ და <u>რომელნიცათ</u> და ამ ბძანებას არ დაემორჩილებით, ასეთს რისხვას გამოგიყენებთ,** რომ არას კაცს არ მოსლოდეს და არც ჩვენს მამულში თქვენს <u>გვარსლსა</u> გაუშვებთ და რომელნიცა ერთგულნი იქნებით, მძევალს მოსცემს და პირობას და რაც წა-გიხდენიათ ისევ მოუბრუნებთ, ჩვენგან წყალობა დაგემართებათ... რომელსაცა არა წაგიხდენიათ რა და არც არა დაგიშავებიათ და მძევლებიც კი მოეცით, თქუენ არც არა გამოგერთმევათ და არც არა წაგიხდებათ".[23]

1782 წელი: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი *იესეს* მომცეს.

---

[21] სცსა. ფონდი 1450. წიგნი 26. საბუთი №279.
[22] სცსა. ფონდი 1448. წიგნი 1. საბუთი №1370.
[23] სცსა. ფონდი 1448. წიგნი 1. საბუთი №1379.

ფარემუზამ და **ჩემმა ბიჭმა ოსმა სამი ცხენი მომპარეს, იარაღი თოფი, ნაბადი.** ის ჩემი ბიჭი ჯაჭიშვილმა ელისბარამ დაიჭირა თქვენის ერთგულებით და ცხენიც წაართო. მოუხდა ორომას შვილი, ჩემი სტუმარი რად დაგიჭერია, ბიჭიც წაართო, ცხენიცა და გაუშვა. თქვენის ოქმით და ბძანებით ორნივ აქ ჩამოვაყვანინე...".[24]

1800 წლის გიორგი მეფის წერილი *ოთარ ამილახვრისადმი:* „... **და შენის სოფლისა ოსებისაგან აკლება და აგრეთვე ქართლში ოსებისაგან აშკარად ჯარით სიარული და აკლება მოგეწერა. ღუთის მოწყალებით მშვიდობა არის. ოსებისათვის ასეთს საქმეს ვიფიქრებთ რასმა, რომ მაგათ ველარ ითარეშონ ქართლში და ვეღარცარა უმტრონ".**[25]

1790 წლის ბრძანება: „... ახლა *ბეჟია ნამურაძემ* **ნათხოვარსავით ოსები და ოსის მიმყოლი კაცნი დააყენა ჩვენს მამულში. ხდენითა და ქურდობით აღარას უშვებენ,** ერთის ოქმისა და იასაულის წყალობას გევედრებით, რომ ის ჩვენი მამული დაგვიცალონ და საცა *ბეჟიას* მამა პაპა მდგარიყოს და ან კაცი სახლობდეს, იქ დააყენონ და ჩვენი მამულიდამ ხელი აიღოს".[26]

1773 წლის ბატონყმობის წიგნი: „ესე ბატონყმობის წიგნი მოგართვით თქვენ, ბატონს ჩვენს *ფავლენიშვილს იასეს, თეიმურაზს,* ძმისწულს თქვენსა *იორამს, იოანეს* და *ზაქარიას* და მომავალთა თქვენთ, ჩვენ, *მეტრეველმა გიორგი* მღვდელმა, შვილმა ჩემა *მახარემ, ივანემ, დავითმა* და *ბერმა,* შვილმა და მოვალმა ჩვენმა. ასე რომე, უწინაცა თქვენი ნაყმევი გახლდით და რაჭიდამ ისევ თქვენის ყმობის გულისათვის გადმოვედით. სამაჩაბლოში ხიზნათ დავდექით. **ცოტას ხანს ოსები მოგვიხდნენ და სულ აგვიკლეს ჩვენი საცხოვრებლიდამ და სულ დაგვატყვევეს და წაიღეს.** მოვაწივეთ თქვენს საფარველში და ჩვენი თავი შემოგწირეთ...".[27]

1817 წლის აზატობის წერილი: „შეწევნითა მღთისათა მამისა, ძისა და სულისა წმინდისა ესე აზატობის წერილი დაგიწერე და მოგეცი მე, ქვემო ამის ხელის მომწერერელმან ცხინვალს მცხოვრებელმან *გაბრიელ მურადოვმან,* შენ, *ოქონას* მოსახლეს *მამუკა ბაკურაძეს შვილს კიკოლას.* ასე რომე, ამა ხსენებულის სოფლის ოქონიდამ გზაზე *კნოლეს* მომავლებულ იყავ და **ამა გზაზედ ავაზაკნი ოსნი კაბისაშვილები დაგვხვედროდნენ და დაეჭირეთ, და მთაში აეყვანეთ, და იქ ტყვედ ჩავარდი, და რადგან ამ ხსენებულთ**

[24] სცსა. ფონდი 1448. წიგნი 1. საბუთი №4547.
[25] სცსა. ფონდი 1461. წიგნი 13. საბუთი №166.
[26] სცსა. ფონდი 1450. წიგნი 45. საბუთი №191.
[27] სცსა. ფონდი 1450. წიგნი 45. საბუთი №198.

ოსი სხვას უსჯულოს ქვეყანაში გასაყიდლათ მოენდომებინეთ, და რადგან შენ შეძლება არა გქონდა, რომ მათგან თავი დაგეხსნა, მე ჩემის პატივისათვის კაცის კაცით ან ჩემის თეთრით ამ ხსენებულთ ოსებისაგან გამოგიხსენი ან ჩემს სახლში ჩამოგიყვანე და მემსახურებოდი და რადგან შემამავედრე და ჩემსგან განთავისუფლება მოინდომე, მეც ჩემის კეთილის ნებით აზატი გიყავ ამ წერილის მოცემითა".[28]

1778 წლის არზა: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს პარტელს (?)_დავითიშვილის [ჩელტია იასეს ხიზანს] *ვარძელაშვილს თევდორეს. კარბს* ჩელტიას კედლად ხიზნათ გახლავარ. **ჩელტიას ძმისწულს გოგიას ხომ ოსების ტყვის დასყიდვა შაჩნდა. იმ ოსების პატრონები მომიხდნენ, ამიკლეს, ორი კოკა ღვინო მქონდა, ისიც ჩელტიას ძმისწულმა წამართო**".[29]

1779 წლის არზა: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს *ოქონელს ფალავანდიშვილს ერეკლეს ყმას გვილიკაშვილს ბეროს.* შარშან მთიბათვეში *ძღინას* მივდიოდით *გიორგი ფალავანდიშვილი,* ერთი იმისი კაცი, ერთი *როსტომის* კაცი და ერთი მე. **ეს ოთხნი მაჩაბლის ოსებმა დაგვიჭირეს, გიორგი და თავის კაცი გამოუშვეს და არცარა წაართვეს რა. და მე და როსტომის კაცი კი შეგვინახეს. მერე ფარსადან მაჩაბელს თავის კაცის გიუნაშვილის ტატიას ხელით წიგნი გამოეგზავნა თავის ოსებთან და მაშინ გაგვყიდეს. მე ყარაჯა ოსმა დამიხსნა ცხრა თუმნათ რუსის თეთრზედ და ჩამომიყვანა. და ის ოსი შინ მიდგას, თავის თეთრსა მთხოვს.** მოიკითხეთ, მაჩაბლისაგან გასყიდული გახლავარ, სამართალი გვაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს".[30]

1779 წლის არზა: „ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწას *ბარძიმ მაჩაბელს.* ამას მოვახსენებთ: *გორსა* რომ ბძანდებოდით, მაშინაც მოგახსენეთ კოშკელებისა, რადგან ჩემი კაცნი არიან გარდამხდეს; მაგრამ *ჩიფრანელის* ოსებისა მე საიდამ უნდა გარდავიხადო. შვიდნი იყოლიონ, ბატონიშვილის კაცნი არიან და სამნი ჩემნი არიან. *აბაშიძე* დაგიყენებიათ იასაულათ. იმათს დანაშაულსაც მე მახდევინებს. წყალობას ვითხოვ, რომა ჩემის კაცის დანაშაულის გარდახდაც არ შემიძლიან, თორემ არათუ

---

[28] სცსა. ფონდი 1450. წიგნი 50. საბუთი №260.

[29] ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო არსა ოქმები. ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. VII. თბ. 1981, გვ. 397.

[30] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 437-438.

ბატონისშვილის კაცის დანაშაულიც მე გარდამახდევინოთ. ღმერთან თქვენი რისხვა მამცეს, თუ ასერა სამი წელიწადია მე იმათი ბეგარა მენახოს, უკუმდგარნი გახლანან. არავის არ ზღავენ, ***სვერი მათ დააცლევინეს***". ერეკლე მეფის მინაწერი არზაზე: „...მერე *ბარძიმ მაჩაბელს* რომ ამ არზით ასე მოუხსენებია, ეს რიგიანი მოხსენება არის. რომელიც **ამის ყმა ოსებისა მოუხსენებიათ დანაშაული**, ის ამან უნდა გაწმინდოს და გარდაიხადოს. და რომელიც ჩვენის შვილის იულონის ოსების დანაშაულია, ის ჩვენგან და ჩვენის შვილისაგან უნდა გაიწმინდოს და გარიგდეს".[31]

1789 წლის არზა: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს *ფალავანდისშვილის ზურაბის* ყმას *კობერიძე ივანეს*. **ოსისა და ლეკისაგან წამხდარი გახლავართ.** ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ სხვის ხარჯი მე არ გადამხდეს. ერთი თოფი ეხლაც დაკარგული მაქვს სხვის ხარჯისათვის, მტრისაგან წამხდარი ვარ".[32]

1790 წლის წერილი: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის *ვახტანგის* ჭირი მოსცეს მათს მონას *ბერძნიშვილს იოანეს*. ამას მოვახსენებ. ერთმა **კუდაროელმა ოსმა ყულბამ ერთი თავის შვილი გოგო ჩამოიყვანა და მომყიდა. მეც იმ ჩემს უბედურს შვილს *ტეტიას* მოვანათვლინე და ქრისტიანათ მყვანდა და ჩემის შვილის მაგიერათ იმას უყურებდი. სამის წლისა ვიყიდე შვიდ თუმნათ და ახლა თექვსმეტის წლისა არის. ახლა რომ თქვენ იმერეთს გამგზავნეთ, ჩამოსულიყვნენ იმ გოგოს მამა და იმისი ნათესავები. ერთს დღეს პური წაეღოთ და მეორე დღეს გოგო წაეყვანათ და *მიფიარეთს* ჰყავთ.** მერე თქვენგან ოქმი და იასაული მებოძა, მომატყუეს – გოგოს მოგცემთო და აღარ მომცეს. გევედრები, *მირზაშვილს თამაზას* და *თედეულს გალეგას* უბძანოთ ...ამათ გამომირთონ... იმ ერთს ქრისტიანს სულს ღმერთს ნუ დაუკარგავთ".[33] ამ დოკუმენტს მცირე კომენტარი გვინდა დავურთოთ: კუდაროელმა ოსმა საკუთარი ქალიშვილი ქართველ აზნაურს მიჰყიდა. ქართველმა აზნაურმა გოგონა არა შინამოსამსახურედ, არამედ შვილად გაზარდა. მთიელმა ოსმა გაყიდული და სხვის მიერ შვილად გაზრდილი ქალიშვილობის ასაკში გაიტაცა; გაიტაცა რათა ის ხელახლა გაეთხოვებინა/გაეყიდა. ოსებში ხომ ურვადის წეს-ჩვეულება არსებობდა.

[31] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 440-441.
[32] ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო არ'სა ოქმები და კერძო-სამართლებრიეი აქტები. ტექსტები გამოსცა, შენი'შენები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. VIII. თბ. 1985, გვ. 21.
[33] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII, გვ. 71.

1799 წლის არზა: „ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონათ *ხერხეულიძე ემიკაღაბაშის გიორგისი* და *ჯამასპისაგან.* **ჩვენ სოფელში ოსები გახლდნენ, იმათი ორი ტყვე *დავითიშვილის* კაცმა იმერელმა გაყიდა. ესენი ჩვენ გვემტერებიან. ეს ტყვეები *ყორნისიდამ* მოიპარეს.** ბატონიშვილმა იოსებმაც კარგათ იცის ეს საქმე“.[34]

1796 წელი: „ღმერთმან ჩემის მრავლად მწყალობელის მდივნის *ევნატეს* ჭირი მოსცეს მათ ბიძაშვილს *ბირთველს.* ...**ხომ კარგად მოგეხსენებათ, ოსი და ქართველი როგორ იკლებდა აქაურობას. იმ არეულობაში ქართველები გამოსძღოლოდნენ საქურდლათ გორს, წისქვილები დაენტვრიათ *სულთანიშვილისა* და მოჰქონდათ.** ჩვენზედ ამოიარეს, დაუძახეთ, რა კაცი ხართ მოიცადეთ, არ მოგვიცადეს. რომ მივატანეთ, ცხენიანები გაიქცნენ და ერთი აკიდებული ცხენიანი დავიჭირეთ, რომ წისქვილები ეკიდათ და ერთი დავჭერი, წისქვილები წავართვით და ორსავ თოფი იარაღი ავჰყარეთ და გაუშვით. მას უკან ქართველები გამოეგზავნათ, შემოხსეწილიყვნენ (?) და თოფი იარაღი ეთხოვნათ. თოფიარაღი მივეცით. ახლა ის დაჭრილი ოსი მოსულა და *იოანე ბატონიშვილთან* უჩივლია და ოქმი უბოძებია *ამილახვრის შვილ ომანისშვილზედ*: ორი ოსი და ორი ქართველი დასვი და სამართალი უყონო. რა ოსის გასასამთლებელი საქმე არის, ოსი ოსისათვის თავს დასდებს და ქართლს ვის შეუძლია ოსის სამართალი... თუ უნდოდესთ მანდ *ბატონიშვილის გიორგის* სამართალში მელაპარაკონ ის ოსები... ის ოსებიც გორს ჩამოვიდნენ და გორს მელაპარაკონ“.[35]

1795 წლის დოკუმენტი მთიულეთს ეხება: „ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის *მეფის ძის ვახტანგის* ჭირი *ბურდულს აღდგომელს* მოსცეს. მერე *გიორგი ერისთავისაგან* ნაბოძები მამული გვაქვს *როროსა.* დღევანდლამდინ არავინ წამომდავებია. ახლა *ბედოიძები* გადმომეკიდნენ მძლავრობითა, ჩემს წილს ტყეში ახოს იღებენ. წყალობის წიგნები, **ოსის ჯარს დაუტყვევებია პაპაჩემი ცოლშვილითა,** მაშინ დაგვეკარგა“.[36]

1795 წლის საბუთიდან: „...ღმერთმან ყოვლად უწმინდესის პატრიარხის ჭირი თქვენ *მუხისელ რევაზიშვილებს* მოგვცეს. ჩვენო მოწყალევ, ხუთი კომლი ერთი თოხუმისანი გახლავართ, მკუიდრნი მუხისელნი. ერთი კომლი აიყარა, კახეთს გადავიდა, იქა სახლობს და ოთხი კომლი ჩემს მამულზედ გახ-

---

[34] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII, გვ. 555.

[35] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ნ. ბერძენიშვილის გამოცემა. წ. II. თბ. 1953, გვ. 178.

[36] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. თბ. 1985, გვ. 331.

ლავართ. ჩვენ რომ ობლები გახლდით, იმ ჟამათ ერთი ბებერი გვყვანდათ. *კვალიაშვილმა ივანემ* ოსები მიუსის. ეს ბებერი ძუძუებით ჩამოაკიდვინა. ამ-დენი სცეს, რომ ათი ფრჩხილი ფეხისა დასცვივდა, ჩვარში გამოკრული ქონ-და...".[37]

ოსები არა მხოლოდ შიდა ქართლში თარეშობდნენ, არამედ რაჭაშიც. „*სორის* დასავლეთით, მდ. *რიონის* ნაპირზე, ციცაბო „მაგალთის კლდეზე", ჩიტის ბუდესავით მოჩანს ქვის ნაშენი, საიდანაც გამავალი მცირე ქვაბი იმდე-ნად პატარა მოცულობისაა, რომ ტანმორჩილი ადამიანიც კი მხოლოდ მჯდომარე მოთავსდება. გადმოცემის თანახმად, **იქ ბინა დაუდევს წარმოშობით ოს გო-ლიათს, სახელით კაისს, რომელიც გზად მიმავალ მგზავრებს ძარცვავდა**".[38]

ოსთა თარეშები არ შეწყვეტილა რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგაც. ამ თარეშების შესახებ არაერთი ცნობაა თავმოყრილი XIX საუკუ-ნის პერიოდულ გამოცემებში. ოსთა თარეშებზე *სოფრომ მგალობლიშვილიც* საუბრობდა და ამ მხრივ შიდა ქართლის მკვიდრთა მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებდა. **XVIII საუკუნეში ლეკიანობასთან ერთად, ოსთა თარეშები იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ თითქმის მთლიანად დაიცალა, გაწყდა და კა-ხეთში გადაიხვეწა ფრონეების ხეობათა, მეჯუდისა და ლეხურას ხეობების ქართული მოსახლეობა, რომ აღარაფერი ვთქვათ დიდი და პატარა ლიახვის ხეობათა მკვიდრ ქართველებზე, რომელთა დაბლობში ჩამოსახლება უფრო ადრე მოხდა, რისი მიზეზიც ოსთა თარეშები იყო.**

ერთი საყურადღებო გარემოების შესახებაც უნდა ითქვას: რუსების სა-ქართველოში შემოსვლისთანავე ლეკების თარეშები/ლეკიანობა შეწყდა, ოსე-ბისა კი — არა. ის კიდევ ნახევარი საუკუნე გრძელდებოდა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება *დვალეთსა* და *შიდა ქართლის* ოსთა დასამორჩილებლად ექსპედიციას ექსპედიციაზე აწყობდა. 1823 წელს გორის ოკრუგის უფროსი *ტიტოვი* **თავის მოხსენებით ბარათში წერდა, რომ ოსები გამუდმებით ძარცვავდნენ ქართულ სოფლებს ქსნიდან კუდაროს ხეო-ბამდე. ტიტოვს ამის მიზეზად ის მიაჩნდა, რომ ამ დაუდგრომელი ხალხის ერთადერთ საქმიანობას ძარცვა წარმოადგენდა და ამას საერთო, ორგანიზე-ბული ხასიათი ჰქონდა.**[39] ამის გამო იყო, რომ *ტიტოვმა,* უფრო ადრე 1821 წელს, ორივე *ლიახვის, ქეშელთის, მეჯუდის, პოტნისის* ხეობებში დამსჯელი

[37] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. თბ. 1985, გვ. 317.

[38] О. Миндели. Селение Сори Рачинского уезда кутаисской губернии. Сборник Материалов по описанию местностей и племен Кавказа. вып. XIX. 1894, გვ. 121.

[39] სცსა. ფონდი 2. წიგნი 50. ანაწერი 1. საქმე №1389. ფურცელი 2.

ექსპედიცია მოაწყო. **„ოსებში ამოიღო იარაღი, წაართვა მათ საქონელი, სხვა ქონება და ცეცხლს მისცა ოსებით დასახლებული სოფლები“.**[40] **1827 წლის მონაცემებით შეიარაღებული ბანდა ჰქონდათ შექმნილი ჟამურელ ოსებს. ეს იყო 6-8 ოჯახის გაერთიანება, რომელშიც 20-28 მამაკაცი ყოფილა გაერთიანებული.**[41]

1812-1813 წლებში, როდესაც *დვალეთის ნარას* და *ზროგოს ხეობებსა* და *შიდა ქართლის ჯავის, ქეშელთის, გუფთის* და *მსხლების* ხეობათა ოსები გორის ოკრუგის უფროსმა *რეინერმა* რუსეთის მფარველობაში შეიყვანა, დამორჩილებულნი ითხოვდნენ რუსეთის მფარველობაში შესვლას „იმ სიმართლით“, რა სიმართლითაც იყვნენ უწინარეს საქართველოს შემადგენლობაში. ამისათვის ოსებმა თავიანთ არზას *თეიმურაზ I-ის* მიერ გაცემული სიგელი დაურთეს: 1. გადაიხადონ ბეგარა და დაფარონ წინა წლების დავალიანება („ყოველ წლივ ვაძლოთ ჩვენის ხეობიდამ ბეგარა ხაზინას თითო ცხვარი“), 2. საჭიროების შემთხვევაში გამოიყვანონ ჯარი – თითოეულ კომლზე ერთი ცხენოსანი ან ქვეითი, 3. **არ იქურდონ და სხვა ავაზაკობა არ ჩაიდინონ („აღარ ვქნათ ქურდობა და რბევა“).** ოსები სამაგიეროდ საქართველოში თავისუფალ, დაუბრკოლებელ სიარულს თხოულობდნენ („მოგვცემოდეს თქვენგანა წიგნი, რათა ვიქმნებოდეთ თავისუფლებით მოსიარულე ქართლსა შინა და არ დაგვეშლებოდეს სყიდვა მარილისა, ფართლისა“)[42].

ამრიგად, **ოსები საქართველოს ისტორიულ მხარეებში – *დვალეთსა* და *შიდა ქართლში* – თარეშების, ძალადობის გზით მოვიდნენ, თუმცა ეს საქმიანობა აქ დასახლების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ და ის XIX საუკუნის შუა ხანებამდე გრძელდებოდა. თარეშები იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქართველი ხელისუფალნი მათ უფრო დაბლობ ადგილებში დასასახლებლად იწვევდნენ, ცდილობდნენ მოენათლათ ისინი, უბოძებდნენ აზნაურობას და ამ აზნაურებს წლიურ ხელფასს უნიშნავდნენ. საქართველოს ხელისუფლების ეს ღონისძიებები ოსების დასაასხლოებლად და ინტეგრაციისათვის იყო გამიზნული. ოსთა *დვალეთსა* და *შიდა ქართლის მთაში* ლაშქრობები, თარეშები, თა-**

---

[40] სცსა. ფონდი 2, საქმე №1092. ფურცელი 19-24, 94, 95 (მითითებულია ბ. გამყრელიძის ნაშრომიდან – ოსთა განსახლების საკითხისათვის შიდა ქართლში. – ოსთა საკითხი. გორი-თბილისი. 1996, გვ. 188).

[41] სცსა. ფონდი 2. საქმე №1943. ფურცელი 3 (მითითებულია ბ. გამყრელიძის ნაშრომიდან – ოსთა განსახლების საკითხისათვის შიდა ქართლში, გვ. 188).

[42] სცსა. ფონდი 2. ანაწერი 1. საქმე №322. ფურცელი 6-9. (მითითებულია ბ. გამყრელიძის ნაშრომიდან – ოსთა განსახლების საკითხისათვის შიდა ქართლში, გვ. 188).

ვის მხრივ, ქართველ მთიელთა მამა-პაპათა საცხოვრისიდან აყრას და ბარში მიგრაციას იწვევდა. ნასოფლარების ერთი ნაწილი უკვე ტყითაც იყო დაფარული. ნასოფლარებში დასახლკარება მიზეზი იყო ქართული ტოპონიმების ოსური ტოპონიმებით შეცვლისა. ეთნოგრაფიული მონაცემებით ხერხდება მთელი რიგი იმ გვარების დადგენა, რომლებიც ოსურ თარეშებს გამოერიდნენ და ბარში ჩამოსახლდნენ. მაგალითად, *ხადურებს* ადრე *მაღრან-დვალეთის* სოფელ *ედისში* უცხოვრიათ. აქედან ისინი *პატარა ლიახვის* ხეობაში მიგრირებულან და თანამედროვე სოფელ *ხადურიანთკარში* დასახლებულან[43]. ეთნოგრაფიული მონაცემებით, *დიდი ლიახვის* ხეობის სათავეში მდებარე სოფელ *როკის* მკვიდრნი იყვნენ *ჩიფჩიურები*, რომლებიც ამავე მიზეზით შიდა ქართლის ბარში გადმოსახლდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ოსთა თარეშებს „ოსიანობის" სახელით მოიხსენიებენ და ის „ლეკიანობის" თანაზომიერ მოვლენადაა შეფასებული[44], მაგრამ ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან ლეკიანობის მასშტაბები მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ბევრად დიდი იყო. ისინი აღმოსავლეთ საქართველოს სამი მხრიდან უტევდნენ და ხშირად ქართველებთან დიდი ბრძოლის გამართვასაც ახერხებდნენ. ოსები თუ ძირითადად *დვალეთისა* და *შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის დაბლობში* თარეშობდნენ, ლეკები *დაღესტნიდან, საინგილოდან* და *სამცხე-ჯავახეთიდან* მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე იყვნენ მოდებულნი. XVIII საუკუნის ისტორიკოსი *პაპუნა ორბელიანი*, რომელიც 1739-1758 წლების მოვლენებს მოგვითხრობს, მხოლოდ სამჯერ მოგვითხრობს ოსთა დაუმორჩილებლობასა და თარეშებზე, იმ დროს, როდესაც წელიწადის განმავლობაში ლეკების აუარაცხელ თავდასხმაზე საუბრობს. ლეკიანობის შესახებ კი აღნიშნავს: „ქართლი გათავებულიყო თავად ლეკისაგან".[45] რაც შეეხება ტერმინს ***ოსობა,*** ის, ***ლეკიანობისაგან*** განსხვავებით, ქართულ წერილობით ძეგლებში, საბუთებსა და დოკუმენტებში არ გვხვდება. თუმცა რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, ტერმინი ***ოსობა*** თვით ოსთა შორის, კერძოდ, *დვალეთელ ოსებს* შორის არის დაფიქსირებული. ასეთი სათაური აქვს *კოსტა ხეთაგუროვის* ეთნოგრაფიულ ნარკვევს.[46] ის წერდა: «Отец мой, скончавшийся в 1892 году 82-летним стариком, был

[43] ბ. გამყრელიძე. ოსთა განსახლების საკითხისათვის შიდა ქართლში, გვ. 184.
[44] ვ. ითონიშვილი. ოსიანობა – ოსთა საკითხი. გორი-თბილისი. 1996, გვ. 228-257.
[45] პ. ორბელიანი. ამბაები ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და სასიტყვაო ფაურთო ვ. ცაგარეიშვილმა. თბ. 1981, გვ. 65.
[46] К. Хетагуров. Особа (Этнографический очерк). Сочинения. т. 2. М. 1974.

живым свидетелем последней эпохи того невозвратного прошлого в истории Осетии, которое несет названые **особа.** По словопроизводсту **особа** грузинского происхождения и может быть переведено выражением **осетинщина».**[47] ოსობას *კ. ხეთაგუროვი* წარმოგვიდგენს როგორც რუსეთამდელ ჩამორჩენილ, თანამედროვეობის მოთხოვნილებების შეუსაბამო ცხოვრებას. სინამდვილეში რა ტერმინია ***ოსობა***? რა შინაარსი დევს მასში? რატომ და როდის წარმოიქმნა ის დვალეთელი ოსების მეტყველებაში? რომელ ეთნიკურ წრეში შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ის? ტერმინი, რა თქმა უნდა, ქართულ ეთნიკურ გარემოში შეიძლებოდა წარმოქმნილიყო და ეს ეთნიკური სამყარო დვალეთის ქართული მოსახლეობა იყო და დვალეთელ ქართველთა მეტყველებაში ის წარმოიქმნა XVI საუკუნეში, როდესაც ალაგირელი ოსები აქ თარეშობდნენ. შემდეგ დვალეთელი ქართველების მეტყველებიდან ეს სიტყვა დვალეთის ოსთა მეტყველებაში შევიდა. დვალეთელი ოსები, დვალეთიდან ადგილობრივი ქართველი მთიელების განდევნისა და ასიმილაციის შემდეგ, მთას აქეთ ანუ შიდა ქართლში ლაშქრობისას ამ ტერმინს – ***ოსობა*** – გამოიყენებდნენ. უღელტეხილებს აქეთ, შიდა ქართლის მთაში დვალეთელი ოსების ლაშქრობებსა და თარეშებზე *კ. ხეთაგუროვიც* მიუთითებდა: «При особом доверии и расположении владелец сакли может показать вам несколько серебряных вещей: тяжелый кованый пояс, кубок, ковш, старинные монеты и тому подобняя «хазна», достававшаяся его предку после набега на владения какого-нибудь грузинского князя»[48]. «Во время *особа* ограбление осетина осетином даже не было предусмотрено обычным правом. Но делать набеги за перевалы и грабить инородцев ставилось в заслугу»[49]. მოყვანილი ციტატა პირდაპირ მიუთითებს ***ოსობის*** არსზე, რომ ის ოსთა მიერ ქართველებში ძარცვა-გლეჯასთან და ტყვეთა მოტაცებასთან იყო დაკავშირებული. ქართველთა მოთარეშე ოსები საკუთარ ხალხში განდიდებულნი იყვნენ. ანალოგიურად აფასებდა მოთარეშე ლეკებს დაღესტნის საზოგადოებაც; ისინი გმირებად იყვნენ გამოცხადებულნი და ამ „გმირების“ შესახებ სიმღერებიც ითხზებოდა[50].

ოსთა თარეშები არც უცხოელ ავტორთა ყურადღების მიღმა დარჩენი-

---

[47] К. Хетагуров. Особа (Этнографический очерк), გვ. 228.

[48] К. Хетагуров. Особа (Этнографический очерк), გვ. 241.

[49] К. Хетагуров. Особа (Этнографический очерк), გვ. 276.

[50] რ. თოფჩიშვილი. ალანიის ხალხთა ეთნოგრაფია: ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა. თბ. 2007, გვ. 158-160.

ლა. მაგალითად, XIX საუკუნის პირველი მესამედის გერმანელი ავტორი *ედუარდ აიხვალდი* წერდა: „*ყორიდან* 30-ოდე ვერსზე ჩრდილოეთით, **ცხინვალის იქითა მხარეს მთებში ოსები ცხოვრობენ. ახლა მათ ქალაქის მოსახლეობასთან ზავი და მშვიდობა აქვთ, რომლებსაც ადრე გაუთავებლად ძარცვავდნენ და ხოცავდნენ.** ახლა ისინი თავს სიამოვნებით ანათვლინებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ მონათვლას მათთვის მოაქვს ვერცხლის მანეთი, ახალი პერანგი და ვერცხლის ჯვარი. ამიტომ ისინი ხშირად ხელმეორედ სხვა სახელით მოდიან და არცთუ იშვიათად ოთხჯერ ინათლებიან, სანამ შეიცნობენ“.[51] გორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, **„მთაში არიან ოსური სოფლები, საიდანაც არც თუ იშვიათად ჩამოდიან ოსები გორში, რათა მოქალაქეებს მოპარონ პირუტყვი და სხვა ნივთები“;**[52] „ამჟამად ოსები ლაგამ ამოდებულნი არიან მხოლოდ აქაური სამხედრო ძალის საშუალებით, რომელთაც ყველგან უდგათ საგუშაგოები. **წინათ ოსები ძალზე ხშირად დიდ ჯგუფებად მოულოდნელად გამოცვივდებოდნენ მთის ხვევებიდან, იჭრებოდნენ სოფელში, აწიოკებდნენ** და **ძარცვავდნენ** რაც **კი ხელთ მოხვდებოდათ.** ახლა კი სოფელში საკმაო სიმშვიდეა, რადგან სამხედრო ძალა ყოველთვის ფეხზეა“[53]; **„ის** (გორი – რ. თ.) **იმსახურებს, რომ აქ სიმშვიდე აღდგეს, რაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ოსთა ყაჩაღობით განუწყვეტლივ ირღვეოდა“.**[54]

ოსთა თარეშებზე საუბრობს გერმანელი *გიულდენშტედტიც*, რომელიც საქართველოში 1772 წელს იმყოფებოდა: „[წინათ] აქ (ონში – რ. თ.) კათოლიკე სომხების გამო, იყო ორი კაპუცინი ბერი. ერთი მათგანი ახლა გორშია, მეორე კი **ოსებმა გაძარცვეს და მოკლეს გორის გზაზე**“[55]. საქართველოდან დარიალით გასულ მეცნიერს ოსები გასაძარცვავად ელოდებოდნენ. ბოლოს მან უფრო უსაფრთხო – ინგუშეთის სოფელ ანგუშტის გზით ისარგებლა: **„300-მადე თაგაურელი ოსი ჩასაფრებულიყო ხიდთან იმ განზრახვით, რომ მე გავეძარცვე.** რაკიღა ამ მხარის მძევლები *ყიზლარში* გარდაცვლილყვნენ და მთელი რუსული რაზმები საქართველოდან და მათი მხარიდან

[51] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. XIX საუკუნის პირველი მესამედი. გერმანულიდან თარგმნა გია გელაშვილმა. თბ. 2005, გვ. 116.
[52] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 233.
[53] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 235.
[54] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 116.
[55] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა. ტ. I. თბ. 1962, გვ. 109.

უკან გასულიყვნენ, ისინი ფიქრობდნენ, რომ ხელფეხი გახსნილი აქვთ ყაჩაღობისათვის, რაც მათ ომის დაწყების წინ მოაწყვეს მრავალი რუსული რაზმების მიმართ"[56].

რუსეთის იმპერიას მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში დიდი პრობლემები ჰქონდა საქართველოს მთებში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებთან. იმის გამო, რომ ოსები მთისწინეთსა და ბარში თარეშებს აგრძელებდნენ, რუსეთის ხელისუფლება სამხედრო ექსპედიციას ექსპედიციაზე აგზავნიდა, როგორც *დვალეთში,* ისე *შიდა ქართლის მთიანეთში.* ისინი ახლა უკვე *ბაგრატიონთა* ერთგულად აცხადებდნენ თავს. 1810 წელს ოსებმა ამის გამო *ცხინვალი* და მისი მიდამოები დაარბიეს: „ხოლო ოდეს მეფე (*სოლომონ მეორე* – რ. თ.) შთავიდა *იმერეთს,* თანა შთაიყვანა მეფის ძის *იულონის ძეი ლეონ,* და შეგზავნა *რაჭით* მთათა *ლიახვისათა,* რათა მან აღძრას ოვსნი პირისპირ რუსთა. ესე აღვიდა და შემოიყარნა ოვსნი და მოვიდა მახლობელ *ცხინვალისა.* სცნა რა ესე *ახვერდოვმან,* გუბერნატორმან ქართლისამან, აღვიდა *ცხინვალს* რუსთა მხედრობითა და ოდეს ვერ უძლო ბრძოლა ოვსთა, დამაგრდა ციხესა *ცხინვალისასა*; **მაშინ ოვსთა მოწვეს და მოარბიეს გარეშონი *ცხინვალისანი* და თჳთ ცხინვალი და უკუნ იქცნენ.** მაშინ *ტორმასოვმან* შეგზავნა *ჭვრიეს* ფრიადი მხედრობა რუსთა და მათ მოწვეს *ჭვრიეი* და ვერღარა დადგა *ლეონ კოშკს* და აღვიდა *ნარას.* ნარელთა სცეს პატივი, ვითარცა პატრონს თჳსსა"[57].

მართალია, ცარიზმის ხელისუფლებამ XIX საუკუნის შუა ხანებისათვის მთებში მცხოვრები ოსების თარეშები აღკვეთა, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა გაქურდვის პროცესი კვლავ გრძელდებოდა. არაერთი საამისო პუბლიკაციაა დაბეჭდილი იმდროინდელ ქართულ პრესაში. 1898 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი" (№682) წერდა, რომ **„ქურდობამ კი საგრძნობლად მოიმატა ქართულ სოფლებში ოსების დასახლებათა გამრავლების პროპორციულად". „ამის გამო ხეველებს ზამთრობით საძოვრად აღარ გაჰყავდათ საქონელი, რომ არ მოეპარათ. ცუდი დღე ადგათ ძალიან. ორი თავზეხელაღებული ოსი ღამით შეპარულა ქართველი კაცის ბოსელში. აუხსნიათ ორი რჩეული ხარი და როცა გამოყვანას აპირებდნენ, გაუგია პატრონს და შევარდნილა ბოსელში. ოსებს დაუჭერიათ პატრონი და მაგრად უცემიათ**

---

[56] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 181.

[57] თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სახელებლები დაურთო ლეილა მიქიაშვილმა. თბ. 1983, გვ. 77.

— რა უფლება გქონდა, რომ მანამ გაიღვიძე, სანამ ჩვენ ხარებს წავიყვანდითო. ქართველის ყვირილზე მოცვენილან მეზობლები და უშველით მისთვის, ხოლო ოსები გაქცეულან. ქურდები ვერავინ იცნო, რადგან შეფუთულები იყვნენ. ის კია, რომ ოსურად შეეხმიანა გაქცევის დროს ერთი მეორეს. ავტორი *მართალაძე*, ანუ *გრ. წინამძღვრიშვილი*, აღნიშნავს, რომ ისინი კარნახელები იყვნენ. იგი გაოცებულია ამ ქურდების ფსიქოლოგიით, რომელთაც ვერავინ შეედრება საკითხის დაყენებით — შენ რომ გაქვს მე კი არ მინდაო? გაიძახიან ოსები კომუნისტებივით, მაგრამ სხვა ღონისძიებით" („ცნობის ფურცელი", 1899, №798).[58]

ოსთა თარეშები რომ მართლაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა გვიან შუა საუკუნეების საქართველოსათვის, პოეტ *დავით გურამიშვილის* სტრიქონებიდანაც კარგად ჩანს: *„თურქი, სპარსი, ლეკი, **ოსი,**/ ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,/ სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,/ ყველამ წაკრა თითო ქიშტი"*. კიდევ ერთი ფაქტის შესახებ: ოსებს შორის მონის აღმნიშვნელი ტერმინი იყო *გურძიაკი*, რაც პირდაპირ ითარგმნება როგორც „ქართველი". *გურძიაკები* თარეშების შედეგად წაყვანილი ტყვე ქართველების შთამომავალნი იყვნენ, რომელთა გამოსყიდვას ქართველები ვერ ახერხებდნენ. ოსთა შორის საკმაოდ ცნობილია *ქალოევების/კალოევების* გვარი. ეთნოგრაფიული მასალებით, ამ გვარისანი არიან ქართველი თავადი ქალის *წერეთლის* შთამომავალნი, რომელიც ოსებმა ტყვედ ჩაიგდეს ხელში. ტყვე ქალს ოსები, ჩვეულებრივ, „ქალოს" სახელით მოიხსენიებდნენ. მისმა შთამომავალებმა კი *ქალოშვილის* გვარი მიიღეს, რაც შემდეგ *ქალოევად/კალოევად* იქცა.

ამრიგად, გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს ჩრდილოეთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში — **დვალეთში, შიდა ქართლის მთიანეთსა და რაჭის კუდაროს მხარეში — მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებები მოხდა: აქ ქართველებს თანდათან ეთნიკური ოსები ჩაენაცვლნენ.** ქართველი მთიელები მთისწინეთსა და ბარში გადასახლდნენ. მათ ნასოფლარებში კი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მცხოვრები ირანულენოვანი ოსები დასახლდნენ. ქართველი მთიელები, უფრო სწორედ მათი ნამატი ნაწილი ყოველთვის მიგრირდებოდა ბარში. ასეთი მიგრაციული პროცესით ხდებოდა საქართველოს ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში დემოგრაფიული ვითარების რეგულირება. *დვალეთიდან* და *შიდა ქართლის მთიანეთიდან* კი ქართველთა

[58] მ. გაჩეჩილაძე. სამაჩაბლოს ოსთა ეთნო-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა (1857-1905 წწ. ქართული პრესის მასალების მიხედვით). თბ. 1996, გვ. 42.

ჯგუფური, ერთდროული გადასახლება მოხდა. მთიელების ბარში ერთდროულმა გადასახლებამ კი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მცხოვრებ ოსებს საშუალება მისცა ასევე ჯგუფურად, დიდი მიგრაციული ნაკადების სახით დასახლებულიყვნენ ქართველ მთიელთა ნასახლარებზე. მართალია, ეთნიკური ვითარების შეცვლა საქართველოს ჩრდილოეთ მონაკვეთში ძირითადად შექმნილმა მძიმე საგარეო ფაქტორმა განაპირობა, რამაც ბარში მრავალი ნასოფლარი გააჩინა, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ **ქართველ მთიელთა ჯგუფური გადასახლების მიზეზი ოსთა თარეშებიც იყო. ზემოთ მოყვანილი საისტორიო მონაცემები პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ოსთა თარეშებმა განაპირობა ქართველ მთიელთა ჯგუფური აყრა. მათ ბრძოლით გაიკაფეს გზა.** გვიანობამდე დვალეთში მცხოვრებ ოსებს ტერმინიც კი შემორჩათ – „ოსობა“. ოსურ ენაში ქართული ლექსიკური ერთეულის დამკვიდრება იმ დროს მოხდა, როდესაც ოსები მეკობრეობდნენ *დვალეთში, თრუსოში, შიდა ქართლის მთიანეთსა* და *კუდაროში.* ქართველთა ნასოფლარებში დამკვიდრებულ ოსებს შემდეგაც არ შუწყვეტიათ თარეშები ქართულ სოფლებზე. **ოსთა თარეშების ძირითადი მიზანი ტყვეების ხელში ჩაგდება იყო. ისინი ტყვეებს ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებზე ყიდდნენ, ან ტყვეთა ნათესავებისაგან გამოსასყიდს იღებდნენ; ზოგჯერ კი ქართველებს მონებადაც კი აქცევდნენ.** ოსთა თარეშების ძირითადი არეალი საქართველო რომ იყო, ამას მონის აღმნიშვნელი ოსური ტერმინიც – *გურძიაკი* – ადასტურებს. XVII-XVIII საუკუნეებში *დვალეთში, შიდა ქართლის მთიანეთსა* და *თრუსოში* ქართველ ხელისუფალთა ლაშქრობა ოსთა თარეშებით იყო განპირობებული. **ოსთა თარეშები ქართლში განსაკუთრებით ინტენსიური XVIII საუკუნეში იყო.** მართალია, ქართლ-კახეთის სამეფო ოსთა თარეშების აღსაკვეთად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა, მაგრამ პროცესის შეჩერება საბოლოოდ შეუძლებელი გახდა. ამ პრობლემის მოგვარებას ხელისუფლება ოსთა შორის ქრისტიანობის გავრცელებითა და მათი უფრო ბარის სოფლებში დასახლებით ცდილობდა.

საქართველოს მთიანეთში დასახლებულ ოსებს ქართულ სოფლებზე თავდასხმები არც საქართველოს რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგ შეუწყვეტიათ. დაუმორჩილებლობა და თარეშები იყო მიზეზი რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა მიერ განხორციელებული სამხედრო ექსპედიციებისა. ზემოთ თქმულის მიუხედავად, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ *ოსობა ლეკიანობის* მასშტაბების არ იყო. ლეკიანობასთან შედარებით ოსთა თარეშების მცი-

რე მასშტაბები ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული დემოგრაფიული ვითარებითაა ასახსნელი. დაღესტანი არა მხოლოდ რამდენიმეჯერ იყო ტერიტორიით ოსეთზე დიდი, არამედ დაღესტნის მოსახლეობაც ბევრად სჭარბობდა ოსეთის მოსახლეობას. გეოგრაფიული ფაქტორიდან გამომდინარე, ოსებს ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – დვალეთში შემოსასვლელი მხოლოდ ერთი – კასრის კარი ჰქონდათ, იმ დროს, როდესაც დაღესტნელები სამი მხრიდან (დაღესტანი, ჭარ-ბელაქანი, ახალციხე) უტევდნენ აღმოსავლეთ საქართველოს. აგრეთვე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ლეკებს ტყვე ქართველების გასაღების უფრო მეტი საშუალება ჰქონდათ, ვიდრე ოსებს. პირველნი ახალციხის საშუალებით ტყვეთა შემსყიდველ ოსმალებს პირდაპირ უკავშირდებოდნენ.

Roland Topchishvili

NEGATIVE ASPECT OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS: RAIDS OF OSSETIANS IN SHIDA KARTLI

Summary

Important ethnic and demographic changes took places from the 15th-16th centuries in the northern historical-ethnographic parts of Georgia: in East Kakheti Georgians were substituted with Daghestanians, migration of Adigeian tribes in North-West part caused cultural transformation of local Abkhazs, old Abkhazs were replaced with new Abkhazs, and in the central part, first in Dvaleti and then in the highlands of Shida Kartli, in the Eastern part of Truso and Racha (in Kudaro) the representatives of the Ossetian ethnic group were settled.

The present work deals with the raids of Ossetians (which have migrated from North Caucasus to Georgia) in the central part of Georgia. Local Georgian highlanders moved to live in the front part of the highlands and lowland in groups. Their migration was caused by two reasons: 1. Muslim invasions in the lowlands formed demographic crisis – Georgian highlanders used to settle in the villages abandoned by Georgians. 2. Migration of Georgian highlanders in the lowlands was accelerated by the raids of North Caucasians as well.

The ethnic groups locked in the North Caucasian mountains usually were engaged in raids, which was their professional activity; they robbed both one another and the highlanders of Georgia. Ethnic Ossets managed to settle in the provinces of the Georgian highlands just through such raids. After settling in the Georgian highlands, Ossetians did not stop raiding and robbing the Georgian population of the front mountain part and lowland of Georgia. They also took Georgians as hostages and then sold them or made them their slaves.

There are more than one facts fixed in the Georgian historical sources and historical documents, in regard of the raids of Ossetians, which were settled in Dvaleti and Shida Kartli, conducted by them in front mountain and lowland part. There exist many ethnographic and folklore data as well. The Ossetian legends also exist on the Ossetians' raids in Shida Kartli. Ossetian writer Kosta Khetagurov wrote about robberies and slave kidnapping by Ossetians in the

Shida Kartli villages: "In case of special trust and good attitude the owner of the Ossetian house (sakla) can show you several silver articles: heavy forged belt, cup, ladle, ancient coins and similar "treasure", which he got from his ancestor after the raiding of the property of some Georgian prince".

German authors of the 18th and 19th centuries Johann Anton Güldenstädt and Eduard Eichwald also wrote about the Ossetians' raids. The Ossetians' raids continued till mid-19th century. Though by the mid-19th century period the Russian Tsarist authorities suspended the raids of Ossetians living in the mountains, in the second half of the 19th century the robbing of Georgians still continued. More than one publications are published in the Georgian press of that period. That the main area of Ossetians' raids was Georgia is proved by the Ossetian term "Gurdziak", designating a slave.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

აპოლონ თაბუაშვილი

„მეფის სადროშოს“ აღწერის დავთარი (XVIII საუკუნის II ნახევარი)

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია „მეფის“, ანუ „მეუკანე სადროშოს“ ერთი ნაწილის მოსახლეობის აღწერის დავთარი.[1] დავთარი წარმოადგენს მოზრდილ გრაგნილს, რომელშიც აღწერილია 10 სოფლის მოსახლეობა. გრაგნილს დასაწყისი და ბოლო ნაწილი აკლია და, შესაბამისად, არასრულია. მიუხედავად ნაკლოვანებისა, დოკუმენტი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული თუ ეთნიკური ისტორიის შესახებ.

აღნიშნული დავთარი მოკლედ აქვს განხილული აკად. ივანე ჯავახიშვილს ნაშრომში – „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ დავთართში თითოეული სოფლის და მემამულის ყმების ჩამონათვალის ბოლოს დაანგარიშებულია არა კომლების საერთო რაოდენობა, არამედ „თავების“, ანუ სამხედრო ვალდებულების მქონე სრულწლოვანი მამაკაცების, ჯამი. ივ. ჯავახიშვილი დავთარის დათარიღების საკითხსაც შეეხო და, მასში მოხსენებული პირების (დავით სარდალ-ქალაქის მოურავის (ციციშვილის), ზაქარია ციციშვილის (დედოფლის სახლთუხუცესის), მზეჭაბუკ ჯავახიშვილის და სხვ.) მოღვაწეობის გათვალისწინებით, იგი 1781 წლისად მიიჩნია.[2] ივ. ჯავახიშვილი დოკუმენტის ადგილსამყოფელსა და საარქივო ნომერს არ უთითებს, რამაც, სხვა გარემოებებთან ერთად, განაპირობა კიდეც ის ფაქტი, რომ დავთარი დღემდე გამოუქვეყნებელი იყო.

დავთარში აღწერილია სოფლები: ქარელი, რუისი, თვალათუბანი, ხვახვრელი (ქვახვრელი), დოესი, ხოვლე, ყარაღაჯი, გრაკალი, სასირეთი, ხანდაგი (ხანდაკი). იწყება სოფელ ქარელის აღწერით. თავნაკლულობის გა-

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). Hd ფონდი. საბუთი № 1610.
[2] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წ. I. მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა. თბ. 1930, გვ. 33-34.

მო ქარელში მხოლოდ 57 კომლია დაფიქსირებული, ხოლო ამ კომლებში მცხოვრები მამაკაცების, ანუ „თავების“ რაოდენობა – 74. სოფელში კი გაცილებით მეტი მოსახლე ყოფილა, რადგან მთლიანად ქარელში 214 სრულწლოვანი მამაკაცია აღრიცხული.[3] რუისში – 66, თვალათ უბანში – 19, ხვახვრელში – 5, დოესში – 30, ხოლეში – 39, ყარაღაჯში – 19, გრაკალში – 19, სასირეთში – 42, ხოლო ხანდაგში – 19 კომლი მოსახლე ყოფილა. აღწერის დავთარში სულ 315 კომლია შეტანილი. ზოგიერთ კომლიში ორი და მეტი ოჯახი ერთიანდებოდა. „თავების“ რაოდენობა კი 600-ის აღწევდა.

აღნიშნულ რეგიონში ყმების მფლობელებად გვევლინება „მეფის სადროშოს“ სარდალი და თბილისის მოურავი დავით ციციშვილი, დედოფლის სახლთუხუცესი ზაქარია ციციშვილი, დიმიტრი ციციშვილი, ზაზა ციციშვილი, მზეჭაბუკ, თეიმურაზ, ვახუშტი და ზაალ ჯავახიშვილები, მინბაში (ათასისთავი) გოგია ამილახვრიშვილი და სხვები, სულ 50-მდე თავადი და აზნაური. მათგან რეგიონში ყველაზე მსხვილი მემამულეები ზაქარია (ფლობდა 70-ზე მეტ გლეხს) და დავით (ფლობდა 50-ზე მეტ გლეხს) ციციშვილები ყოფილან. ზოგიერთი გლეხი კი სახელმწიფოს, დედოფლისა და ბატონიშვილების საკუთრებას წარმოადგენდა.

Hd-1610.

ქ. ქარელში ზაქარია ციციშვ{ილის სალთხუცესის ყმა...}
ქ. აზნაურიშვილი გვერდ წითელი სა{....
ქ. აქავ აზნაურიშვილი კიდევ გ{ვერდ წითელი...
ქ. აქავ ამავ სალთხუცისა და გ{...
ქ. აქავ ამისივე აზნაურიშვილი წი{...
ქ. აქავ ამავ წინამძღვრის {...
ქ. აქავ ზაქარიას აზნაურიშვილი ბენ{...
ქ. აქავ ამავ რამაზის ყმა ჟამი{ერაშვილი?....

[3] 1794 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სადაც, თავად-აზნაურებისა და გადასახადებიდან გათავისუფლებული „ბოგანოების“ გარდა, შიდა ქართლის სოფლების მცხოვრებთა საერთო რაოდენობაა მოცემული, ქარელში 106 კომლია დაფიქსირებული. იხ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. იე. ჯავახიშვილის პირადი არქივი. № 644. ფურცელი 218-221.

ქ. აქავ ზაქარიას აზნაურიშვილი ფხა{კა}ძე კომლი {...}

ქ. აქავ ამ ფხაკაძის ყმა ჯავახი, თხის პატრონი კომლი ა, თავი ა, ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა მაზმნიშვილი კომლი ა, თავი ა, ბერუა.

ქ. აქავ ზაქარიას მსახური ქურდოვანიძე {კომლი ა,} თავი ა, გლახა.

ქ. აქავ ამ გლახას ყმა მხალებელი ბერის შვილი კომლი ა, თავი ა, თევდორე.

ქ. აქავ კიდევ აზნაურიშვილი კომლი ა, ქურდოვანიძე თავი ა, იასე.

ქ. აქავ ზაქარიას გლეხი კაცი ნონიაშვილი კომლი ა, თავი ა, ნადირა გუჯარელი.

ქ. აქავ ამისივე ყმა გუჯარელი გარდუკეტაშვილი კომლი ა, თავი ბ, მღვდელი გიორგი, ძმა ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა გუჯარელი ზარხოშაშვილი კომლი ა, თავი ა, ბერიძე.

ქ. აქავ ამისივე ყმა გუჯარელი კიდევ ზარხოშაშვილი კომლი ა, თავი ა, ზურაბა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ლეთეთელი ტატაბაშვილი მამასახლი{სი} კომლი ა, თავი ა, ბერი.

ქ. აქავ ამისივე ყმა გვეძინეთელი ღომღაძე კომლი ა, თავი ბ, ბერუა და სახლის კაცი სესია.

ქ. აქავ ამისივე ყმა კოდმანელი მთიულისშვილი კომლი ა, თავი ბ, კაცია, ძმის წული გოგია.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ მთიულისშვილი კომლი ა, თავი ა, ივანე.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ მ{თ}იულისშვილი კომლი ა, თავი ა, ელისე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხციელი ჯიქურაშვილი კომლი ა, თავი გ, სვიმონა, ძმა გიორგი და შიო.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხციელი შავთელაშვილი კომლი ა, თავი გ, თევდორე, ძმა ივანე და გიორგი.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხციელი {ბაცუ}ლაშვილი კომლი ა, თავი ბ, ბერუა, ძმა ზაზა.

ქ. აქავ ამისივე ყმა წრომელი მელაძე კომლი ა, თავი ა, ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა გოჩაშვილი ქოროზანელი კომლი ა, თავი ბ, ბერუა, ძმა ნასყიდა.

ქ. აქავ ამისივე ყმა {?}ცელი ბანცანაშვილი კომლი ა, თავი გ, თევდორე, სახლის კაცი გლახა და ივანე. წინამძღვრის შვილის ობლის ყმა არის.

ქ. აქავ კიდევ ამავ ობლის ყმა ბულია{?} კომლი ა, თავი ა, ივანე.

ქ. აქავ ზაქარიას ყმა გონძლაშვილი კომლი ა, თავი ა, გიორგი.
ქ. აქავ ამისივე ყმა აფნელი ფოცხვერაშვილი კომლი ა, თავი ბ, მერება, ძმა თევდორე – მეჯინიბე ზაქარიასი.
ქ. აქავ ამისივე ყმა ხვედურელი ქერაჯაშვილი კომლი ა, თავი ა, გოდერძა.
ქ. აქავ ამისივე ყმა ზენაფლაზელი {ფაფე}ლაშვილი კომლი ა, თავი ა, გიორგი.
ქ. აქავ ამისივე ყმა იმერხეველი ნადირაშვილი კომლი ა, თავი ბ, დარბუა, ბიძა ნასყიდა.
ქ. აქავ ამისივე ყმა ჯავახი ფცქიალაძე კომლი ა, თავი ბ, ბასილა, ძმა რაზმაძე{?}.
ქ. აქავ ამისივე ყმა ასპინძელაშვილი კომლი ა, თავი ა, დათუა.
ქ. აქავ ამისივე ყმა გუთნისდედა კომლი ა, თავი ა, გიორგი.
ქ. აქავ ამისივე ყმა მძოვრელი გზირისშვილი კომლი ა, {თავი ა,} მარკოზა, ურია.
ქ. აქავ ამისივე ყმა მძოვრელი ჯინჯიხაშვილი კომლი ა, თავი ა, ბაბათა, ურია.
ქ. აქავ ამისივე ყმა მძოვრელი წიწუაშვილი კომლი ა, თავი ბ, ებალა და შვილი ბათუა, ურია.
ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ წიწუაშვილი კომლი ა, თავი ა, მარდახა, ურია.
ქ. აქავ ამისივე ყმა მძოვრელი იოსებას შვილი კომლი ა, თავი ა, მოშია, ურია.
ქ. აქავ ამისივე ყმა მძოვრელი თავიდაძე კომლი ა, თავი ა, სესია ქართველი.
ქ. აქავ ამისივე ყმა ჯამბაზიშვილი კომლი ა, თავი ა, ღვთისია.
ქ. აქავ ამისივე ყმა თაგოეთელი კანიაშვილი კომლი ა, თავი ბ, გოგია და ძმა კიკოლა.
ქ. აქავ ამისივე ყმა ზახოშაშვილი კომლი ა, თავი ა, ნინია.
ქ. აქავ ამისივე ყმა ხციელი ძაბანაშვილი {კომლი ა,} თავი ა, ბერუა.
ქ. აქავ ჭალელი აბაშიძის ყმა მალიძე კომლი ა, თავი ა, ნინუა, ხიზანი.
ქ. აქავ კიდევ აბაშიძის ყმა ღომღაძე კომლი ა, თავი ა, ბასილა, ხიზანი.
ქ. ქარელში ზაქარია ციციშვილის ყმის ჯამი სალთხუცისა თავი ᲘᲕ (66).

ქარელში ედიას ობლის ყმა

ქ. ჯავახი ქვრივის შვილი კომლი ა, თავი ბ, მამუკა და ძმა ქიტია.
ქ. აქავ ამისივე ყმა ჯავახი საზანდრისშვილი კომლი ა, თავი ა, ოქრუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჯავახი სიძუ{?}კი კომლი ა, თავიც ა, ნინია.
ქ. აქავ ამისივე ყმა მოლოზნის გერიო{?} ბაინდურაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერუა.
ქ. აქავ ამისივე ყმა ნალეკარი კომლი ა, თავიც ა, ზურაბა.
ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი ნიკოლოზ აბაშიძის ყმა სუმბაძე კომლი ა, თავი ა, გოგია.
ქ. რ{?}ხეიძე გორბასლის შვილი აქავ კომლი ა, თავიც ა, კიკალა.

ქ. ედიას ობლის ყმის თავი ᲩᲗ (8).

ქ. მთლათ ქარელს კაცის ჯამი თავი სიდ (214).

ქ. რუისში სარდალ მოურავის დავითის ყმა და აზნაურიშვილი

ქ. აზნაურიშვილი კლიმიაშვილი კომლი ა, თავი გ, დავითი, სახლის კაცი ღვდელი იოსები და შვილი ქაქუცა.
ქ. აქავ ამავ დავითის ყმა სულაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერი.
ქ. აქავ ამისივე ყმა შახუაშვილი კომლი ა, თავიც ა, ივანე.
ქ. აქავ ამისივე ყმა ხვედურელი ხუჭიაშვილი კომლი ა, თავიც ა, სიხარულა.
ქ. აქავ ამისივე ნასყიდი ყაზარაშვილი კომლი ა, თავი ბ, გოგია და მათუა.
ქ. აქავ ამისივე ყმა მაშათაშვილი კომლი ა, თავი ა, პეტრია.
ქ. აქავ ამისივე ნასყიდი ზაალაშვილი კომლი ა, თავი ა, მოსია.
ქ. აქავ კიდევ აზნაურიშვილი სარდლისა კლიმიაშვილი კომლი ა, თავიც ა, კაცია.
ქ. აქავ ამ კაციას ყმა ქუბიაშვილი კომლი ა, თავი ბ, ბერუა და ძმა თევდორე.
ქ. აქავ ამისივე ყმა ბარიაშვილი კომლი ა, თავიც ა, ივანე.
ქ. აქავ ამისივე აზნაურიშვილი კიდევ კლიმიაშვილი კომლი ა, თავიც ა, ჯამასპი.
ქ. აქავ ამ ჯამასპის ყმა მირიანიშვილი კომლი ა, თავი გ, გიორგი, ძმა დავითა და მახარა.
ქ. აქავ ამისივე ყმა გოგიჩაშვილი კომლი ა, თავიც ა, ედია.
ქ. აქავ კიდევ ამისივე აზნაურიშვილი დაფქვიაშვილი კომლი ა, თავი გ, ივანე და შვილი ბეჯანა და ღვდელი.
ქ. აქავ ამ ივანეს ყმა დავითაშვილი კომლი ა, თავი ბ, ზაქარა და ძმა პეტრე.
ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ დავითაშვილი კომლი ა, თავი ა, ბერუა.
ქ. აქავ ამისივე ყმა ნიალის {?} ხეველი ჯავახი კომლი ა, თავიც ა, ბასილა.

ქ. აქავ კიდევ ამისივე აზნაურიშვილი კომლი ა, თავი ბ, გლახა, სახლის კაცი უთრუთ ალაიბეგის შვილი.

ქ. აქავ ამავ გლახას ყმა რევაზა{ს}შვილი კომლი ა, თავიც ა, გიორგი.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ რევაზასშვილი კომლი ა, თავიც ა, შიო.

ქ. აქავ ამისივე მსახური ჯავახი {კომლი ა,} თავი ა, დავითა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ქუბაძე კომლი კომლი ა, თავიც ა, შიო.

ქ. აქავ სარდალ მოურავის გლეხი გვერდის ძირელი ხორბალაძე კომლი ა, თავი ბ, არსენ და ძმა იოსებ.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჯავახი კალველაშვილი კომლი ა, თავიც ა, ოთარა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჯავახი ელისაშვილი კომლი ა, თავიც ა, მანძულა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ბიხანაშვილი კომლი ა, თავი ბ, ქიტესა და ძმა ნინია.

ქ. რუის სარდალ მოურავის ყმის ჯამი თავი ლ̅ბ̅ (38).

ქ. რუის ზაქარია ციციშვილის ყმა სალთხუცისა

ქ. ბულუტაური აზნაური კომლი ა, თავიც ა, ქაიყუბათ.

ქ. აქავ ზაქარიას გლეხი გოგინაშვილი კომლი ა, თავიც ბ, გიორგი და შვილი აბრამა.

ქ. აქავ ამისივე ყმა თათანაშვილი კომლი ა, თავი ა, ბასილა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ლოცულაშვილი კომლი ა, თავიც ა, ქიტუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ლოცულაშვილი კომლი ა, თავი ბ, მანძულა და ძმა ნინია.

ქ. აქავ ამისივე ყმა ატენაშვილი კომლი ა, თავი დ, ბეჟანა, ძმა ხვთისია, სახლის კაცი ივანა და ომანა მეჯინიბე.

ქ. აქავ ამისივე ყმა გარსიტაშვილი კომლი ა, თავიც ა, თევდორე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ფეიქარაშვილი კომლი ა, თავიც ა, შიო.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ფეიქარაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბასილა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ქიქნაძე კომლი ა, თავიც ა, ივანე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ქვებულაშვილი კომლი ა, თავიც ა, ნინია.

ქ. აქავ ამისივე ყმა მედიაშვილი შავერდას შვილი კომლი ა, თავიც ა, ნინია.

ქ. აქავ ამისივე ყმა თანანაშვილი კომლი ა, თავიც ა, მანძულა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდე თათანაშვილი კომლი ა, თავიც ა, ტეტია მეჯინიბე.

ქ. აქავ სარდალ სალთხუცის[4] ყმა ღოუბნელი თათანაშვილის გერი {კომლი ა,} თავი ა, ბასილას გერი ტეტია ხიზანი.

ქ. რუის ზაქარიას ყმის ჯამი თავი კ (20).

ქ. რუისს დემეტრე ციციშვილის ყმა

ქ. ხვედურელი კოვზიაშვილი კომლი ა, თავიც ა, გლახა აზნაურიშვილი.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჩხვიკაძე კომლი ა, თავიც ა, ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ჩხვიკაძე კომლი ა, თავი ბ, პაატა და ძმა სვიმონა.

ქ. აქავ ამისივე ყმა {...?}ველი წინდის ნიკოლაოზის ყმა ბუშისშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა გოგიტაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერელა სნეული.

ქ. რუის დემეტრეს წილი ყმის ჯამი თავი ვ (6).

ქ. რუის ნინია ციციშვილის ყმა მერებაშვილი კომლი ა, თავიც ა, პატარკაცი.

რუის ხიზანი

ქ. ქვემო ციციშვილის ყმა ზაზასი ამანათის შვილი კომლი ა, თავი ბ, პეტრია და ძმა გოგია.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი რევაზის შვილი თავი ა, ბეჟან ღვლეველი.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი სამწევრელი ამილაშვილი{?} კომლი ა, თავიც ა, სტეფანე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი სამწევრელი მამიჯანაშვილი კომლი ა, თავიც გ, დათუნა, გიორგა და ბერიკა.

ქ. აქავ საბატონისშვილო ხიზანი აგარელი ტრამაკიძე კომლი ა, თავიც ა, ბერუა.

ქ. აქავ გვარამის შვილის ყმა ხიზანი მამესწარაშვილი კომლი ა, თავიც ა, ივანე.

ქ. აქავ ბადურის შვილის ყმა ხიზანი ხვედურელი ბეგიაშვილი კომლი ა, თავიც ა, მამუკა.

ქ. აქავ ცხვარი ჭამიას ყმა ხიზანი ბობნაველი ვარძელაშვილი კომლი ა, თავი ა, კოპაძე.

---

[4] იგულისხმება დაეით ყაფლანიშვილი, რადგან ამ პერიოდში სარდალ-სახლთ-უხუცესის თანამდებობები მას ეკავა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი ბობნაველი კიდევ ვარძელაშვილი კომლი ა, თავიც ბ, ბერუა და ძმა დავითა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი კიდევ ვარძელაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერუა.

ქ. აქავ როჭიკაშვილის ყმა ხიზანი სკრელი მელიტა შვილი კომლი ა, თავიც ა, სვიმონა.

ქ. აქავ ივანე ბოგველის ყმა ხიზანი თრიალელი კომლი ა, თავი გ, ბერძენა, შვილი გოგია და ზურაბა.

ქ. აქავ სარდალ სალთხუცის ყმა ხიზანი მამაურჯულო კომლი ა, თავიც ა, ხვთისია.

ქ. აქავ სადედოფლო წინწყარელი დალაქი კომლი ა, თავიც ა, პაპა ხიზანი.

ქ. ბაზიართ ხუცეშვილი დათუას ყმა ხიზანი სამწევრელი ნონიაშვილი კომლი ა, თავიც ა, ლეკვია.

ქ. აქავ თეიმურაზ მდივანბეგის აზნაურიშვილი ხიზანი იონათამასშვილი კომლი ა, თავიც ბ, ზურაბ და ძმა ბეჟან.

ქ. აქავ ამავ იონათამაშვილის ყმა ნასყიდი ხიზანი კობახიძე კომლი ა, თავიც ა, მანძულა.

ქ. აქავ ატენელი იშხანაშვილი ახალი ტყვეობიდამ მოსული კომლი ა, თავიც ა, პეტრია ხიზანი.

ქ. აქავ კიდევ ბაზიართხუცისშვილის კაცი დავითისა ცისკარაშვილი კომლი ა, თავიც ა, ყრუ გიორგი.

ქ. რუის ხიზანის ჯამი თავი კზ. (27)

ქ. რუისის მყოფის ჯამი თავი ჟა (91).

ქ. თვალათ უბანს სარდალ მოურავის ყმა

ქ. გურგენის შვილის ვახუშტის პატარა ობოლი ა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჩილინგდრის შვილი კომლი ა, თავი გ, გოგია, ძმა სვიმონა და ზურაბა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ჩილინგდრის შვილი კომლი ა, თავი გ, ბეჟუა, შვილი ბერუა და გლახა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ლომიტაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ლომიტაშვილი კომლი ა, თავი გ, პეტრია, ძმა დათუა და ზურაბა.

ქ. აქავ ამისივე ყმა იაკოფისშვილი კომლი ა, თავიც ა, იაკოფ.

ქ. აქავ ამისივე ყმა ინანაშვილი კომლი ა, თავიც ა ივანე.

ქ. აქავ ამისივე ყმა კოპაძის შვილი კომლი ა, თავიც ა, მანძულა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ქართველისშვილი კომლი ა, თავიც ა, სვიმონ აზნაურიშვილი.

ქ. აქავ ამისივე ყმა გრიგალაშვილი კომლი ა, თავიც ა, ივანე ტყვეობიდამ მოსული.

ქ. აქავ მოურავის მსახური კომლი ა, თავიც ა, ზალიკა ორჯონიკიძე.

ქ. თვალათ უბანს სარდალ მოურავის ყმის ჯამი თავი ივ (16).

თვალათ უბანს დემეტრე ციციშვილის ყმა

ქ. ბარამიშვილი აზნაურიშვილი კომლი ა, თავიც ა, გ{?}რგ{?}.

ქ. აქავ ალექსიძე დავითის ყმა ღვდლისა მაზიაშვილი კომლი ა, თავიც ა, თევდორე.

ქ. აქავ დემეტრეს აზნაურიშვილის ყმა მაღრაძისა ლომინაშვილი კომლი ა, თავი ა, ივანე.

ქ. აქავ კიდევ დემეტრეს კედლათ ხუბულური ბორტიშვილის[5] ყმა კომლი ა, თავიც ა, თევდორე.

თვალათ უბანს დემეტრეს ყმის ჯამი თავი დ (4).

ქ. თვალათ უბანს ზაქარია ციციშვილის ყმა სალთხუცისა

ქ. ჯობინაშვილი კომლი ა, თავი დ, საბა, ძმა ივანე, შვილი პეტრე და გოგია.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჩხვიკაძე კომლი ა, თავი ბ, დათუნა და სახლის კაცი მანძულა.

ქ. წინამძღვრის შვილის ყმა სულამანაშვილი კომლი ა, თავი ბ, სეხნია, სახლის კაცი გოგია.

ქ. აქავ ბუნიათისშვილის ყმა რამაზისა დათულიაშვილი კომლი ა, თავიც ა, კაცია.

ქ. თვალათ უბანს ზაქარიას ყმის თავი თ (9).

ქ. თვალათ უბანს მყოფის მთელი ჯამი თავი კთ (29).

ქ. აიწერა ხვახრელს მდგომი წმინდი{ს} შიოს შეწირული

ქ. მირუაშვილი კომლი ა, თავი დ, გურგენა, დავითა, პაპა, პაპას ძმა სიკ{?}მუა.

---

[5] ბორტიშვილები მახაბლების ერთ-ერთი ვანაყოფს წარმოადგენდნენ.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჯანაზიზაშვილი კომლი ა, თავი ბ, ბეჟანა და შვილი გოდერძა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ჯანაზიზაშვილი კომლი ა, თავი ბ, პაპუნა და მალა{?} აზა.

ქ. აქავ ამისივე ყმა სადაღაშვილი კომლი ა, თავი ბ, ბერუა, ძმა ოსკან{?}ა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ნადირაშვილი კომლი ა, თავი ბ, თანდილა ძმა ბერუა.

ქ. იქნა ხვახვრელში მყოფის ჯამი თავი იბ (12).

დოეს სარდალ მოურავის ყმა დავითისა

ქ. ხუციაშვილი კომლი ა, თავი ბ, შიო და ძმა გოგია.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჭონიაშვილი კომლი ა, თავიც გ, ადამა, ბერიკაცი და სახლის კაცი ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კოვზიაშვილი კომლი ა, თავი ბ, რამაზა და ძმა ქიტესა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ანდრიაშვილი კომლი ა, თავი ბ, ბერუა ფეხმოტეხილი და შვილი ანდრია.

ქ. აქავ ამისივე ყმა გოგიბაშვილი კომლი ა, თავიც ა, ქიტესა.

ქ. აქავ წმინდა სტეფანეს შეწირული ჭრელაშვილი კომლი ა, თავი ა, ივანე, შვილი გოგია სნეულია.

ქ. აქავ ამისივე ყმა ლომიტაშვილი კომლი ა, თავი ბ, გიორგი ბერიკაცი, სახლის კაცი შავერდა.

ქ. აქავ ალექსანდრე სარდლის ნასყიდი ხორბალაძე კომლი ა, თავი გ, ნადირა, სახლის კაცი ბერუა, შვილი ივანე.

ქ. აქავ ამისივე ყმა შაქარაშვილი კომლი ა, თავი ბ, იასე, სახლის კაცი თამაზა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხორგუაშვილი კომლი ა, თავი ა, შიო სნეული, ამის{ი} გერი პეტრია.

ქ. აქავ ამისივე ყმა ზუბიაშვილი კომლი ა, თავიც ა, შოშიტა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ზუბიაშვილი კომლი ა, თავიც ა, ნინოა.

ქ. აქავ ამისივე ყმა სადუნაშვილი კომლი ა, თავიც ა, ქიტესა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კაკაშვილი {კომლი ა,} თავი ა, მახარე.

ქ. დოეს სარდალ მოურავის ყმის ჯამი თავი კ (20).

დოეს დემეტრე ციციშვილის ყმა

ქ. ტურაშვილი კომლი ა, თავი ა, სტეფანე.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდეე ტურაშვილი კომლი ა, თავი ბ, ბერუა და გოგია.

ქ. აქავ ამისივე ყმა თათანაშვილი კომლი ა, თავი ბ, ხვთისია, სახლის კაცი გლახა.

ქ. აქავ ამისივე ყმა უხურგუნაშვილი კომლი ა, თავი ბ, გოგია, სახლის კაცი ხვთისია.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიკარაზის{?}შვილი კომლი ა, თავიც ა, ბერუა.

ქ. დოეს დემეტრეს ყმის ჯამი თავი ი (8).

დოეს ზაქარია ციციშვილი სალთხუცის ყმა

ქ. ტლაშაძე მღვდელი კომლი ა, თავიც ა, ივანე.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდეე ტლაშაძე კომლი ა, თავი ბ, იასე, სახლის კაცი ხოსია.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხეჩიკაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბეჟანა.

ქ. აქავ ამისივე ყმა წერუაშვილი კომლი ა, თავი ბ, ნინუა და ძმა გოგია.

ქ. აქავ ამისივე ყმა ტერტერაშვილი კომლი ა, თავიც ა, იასე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ლუკიაშვილი კომლი ა, თავი ა, გეგელა.

ქ. აქავ ამისივე ყმა აბრამისშვილი კომლი ა, თავი ბ, ნინუა, ძმა გოგია.

ქ. აქავ ამისივე აზნაურიშვილი ფხაკაძე კომლი ა, თავიც ა, იასე მოურავი.

ზაქარიას ყმის ჯამი დოეს თავი ია (11).

დოეს ხიზანი

ქ. საამიშვილი ზაალის ყმა ხიზანი გულდამაშვილი კომლი ა, თავი ბ, ილურა, ძმა ზაზა, დვალეთელი.

ქ. აქავ თეიმურაზ მდივანბეგის ყმა ხიზანი თაბუაშვილი კომლი ა, თავი ბ, გოგია, ძმა ნასყიდა, ნიჩბელი.

ქ. აქავ თარხნიშვილი ზაზასი და ბერის ყმა ახალქალაქელი ხიზანი დანდურიშვილი კომლი ა, თავი ა, მელქუა.

ხიზანი დოეს თავი ე (5).

ქ. მთლათ დოეს მყოფის ჯამი მდ (44).

ხოვლეს მზეჭაბუკ ჯავახიშვილის ყმა

ქ. იმერლისშვილი {კომლი ა,} თავი ა, პეტრე.

ქ. პაპინაშვილი კომლი ა, თავი ა, იასე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ბიჭიკაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბიჭიკა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კოშაძე კომლი ა, თავი გ, ბერძენა, სახლის კაცი ბერეკა და ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა დულაძე კომლი ა, თავი გ, ტეტია, სახლის კაცი ივანე და ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა იმერლისშვილი კომლი ა, თავი ბ, გელია, სახლის კაცი ივანე.

ქ. აქავ ამისივე ნასყიდი მიქელაძის{?} ივანეს შვილი კომლი ა, თავიც ა, გიორგი.

ხოვლეს მზეჭაბუკის ყმის ჯამი თავი იბ.

ხოვლეს თეიმურაზ ჯავახიშვილის ყმა

ქ. აზნაურიშვილი ნინიაშვილი კომლი ა, თავი ბ, პავლე და ძმა ბერი.

ქ. აქავ ამ ნინიაშვილის ყმა ედიშერაშვილი კომლი ა, თავი ბ, იასე, შვილი გოგია.

ქ. აქავ თეიმურაზის გლეხი ხუციშვილი ბერუა კომლი ა, თავიც ა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კოშაძე კომლი ა, თავიც ა, იასე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჯანანაშვილი კომლი ა, თავი ბ, თამაზა, სახლის კაცი ნასყიდა მსახური.

ქ. აქავ ამისივე ყმა ზაქარაშვილი კომლი ა, თავი გ, ივანე, შვილი პეტრე, სახლის კაცი ზაქარა. ივანე ცალკე დგას.

ქ. აქავ ამისივე ყმა ბახტაძე კომლი ა, თავიც ა, ბეცია.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ბახტაძე კომლი ა, თავი გ, ბატატა, სახლის კაცი ტეტია და ბახტაძე.

ქ. აქავ ამისივე მოყვანილი ჯავახი კომლი ა, თავიც ა, ივანე.

ქ. აქავ ამისივე ყმა პაჭიჭაშვილი კომლი ა, თავიც ა, გოგია.

ქ. ხოვლეს თეიმურაზის ყმის ჯამი თავი იზ (17).

ხოვლეს ვახუშტი ჯავახიშვილის ყმა

ქ. აზნაურიშვილი ნინიაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერი მსახური.

ქ. აქავ ვახუშტის გლეხი ხუცისშვილი კომლი ა, თავი ბ, ბერუა და ძმა ივანე მსახური.

ქ. აქავ ამისივე ყმა ბითაძე კომლი ა, თავი ბ, ბერი და ძმა დემეტრე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ადოაშვილი კომლი ა, თავი ბ, ივანე და ძმა დათია მსახური.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჯანანაშვილი კომლი ა, თავიც ა, ჯანუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ლელაშვილი კომლი ა, თავი ბ, ესტატე და სახლის კაცი გრიგოლ დიაკონი.

ქ. აქავ ამისივე ყმა კოხტაშვილი კომლი ა, თავიც ბ, გიორგი, სახლის კაცი ივან{ე}.

ქ. აქავ ამისივე ყმა უსტაშვილი კომლი ა, თავიც ა, ივანე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ზაქარაშვილი კომლი ა, თავი ბ, ხიზანა და ძმა დემეტრე.

ქ. აქავ ამისივე ყმა იმერელი გიორგიშვილი {კომლი ა,} თავიც ა, ივანე მსახური.

ქ. აქავ ვახუშ{ტ}ის ჯალაბის ზითვის ბიჭი პატარკაც მსახური {კომლი ა,} თავი ა.

ქ. ხოვლეს ვახუშტის ყმის ჯამი {თავი} იᲑ (18).

ქ. ხოვლეს ზაალ ჯავახიშვილის ყმა

ქ. ბიჭიკაშვილი კომლი ა, თავი დ, ივანე, ძმა ესტატე, ბერი და მოსე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ლაგრაძის შვილი კომლი ა, თავიც ა, ტეტია.

ქ. ზაალის ყმის ჯამი {თავი} ე (5).

ქ. ხოვლეს მოლარეთხუცის ელისბარის ყმა

ქ. ელიოზისშვილი კომლი ა, თავი ბ, შიო და შვილი ბერიკა მსახური.

ქ. აქავ ამისივე ყმა იანვარაშვილი კომლი ა, თავიც ა, გოგია.

ქ. აქავ ამისივე ყმა კრკონის დეკანოზის შვილი კომლი ა, თავიც ა, გიორგი.

ქ. მოლარეთხუცის ყმა ხოვლეს თავი გ[6] (3).

ხოვლეს ხიზანი

ქ. მანგლელის ყმა ხიზანი ჩილინგდარი კომლი ა, თავი გ, ივანე, შვილი შიო და თეთრაძე.

ქ. აქავ ხიზანი ჯავახი მჭედელი კომლი ა, თავიც ა, მამუკა.

---

[6] რადგან ელიო'სის'შეილი ბერიკა მსახურად წერია, ის საერთო რაოდენობაში შეეკვანილი არ არის და ამის გამო ელისბარის სრულწლოვანი მამაკაცი ემების რაოდენობა განსა'ხღერულია „გ“-თი (3) და არა „დ“-თი (4). ეს, საერარაუდოდ, განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სამეფოს მოლარეთ'ეხუცესის თანამდებობა მოითხოვდა მუდმივად სამეფო კარ'ს ეოფნას, რის გამოც მისი მსახ'ურიც სოფელ ხოელედან მუდმივად წას'ული იქნებოდა. რადგან მამაკაცების რაოდენობის აღრიცხვა სამ-ხედრო სამსახ'ურის საჭიროების გამო ხდებოდა, ამიტომ სოფელ'ში არმეოფი პი-რის შეეკანა მი'ხან'შეწონილი არ იქნებოდა.

ქ. აქავ ბიჭიკაშვილის დახსნილი დაბრუნდაშვილი თელათგორელი კომლი ა, თავიც ა, ზურაბა ხიზანი.

ქ. აქავ ჭელმწიფის ყმა ხიზანი მიქუტიშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერუკა.

ქ. აქავ ჯავახი ბახტაძის შვილი {კომლი ა,} თავი ა, ბერუა.

ქ. აქავ სარდალ სალთხუცის ყმა ბაზიარი კომლი ა, თავიც ა, ბეჟანა.

ხოვლეს ხიზანის ჯამი თავი Ჩ (8).

ქ. იქნა ხოვლეს მყოფის ჯამი თავი ᲝᲠ (62)

ყარაღაჯს მზეჭაბუკ ჯავახიშვილის ყმა

ქ. ქვრივისშვილი კომლი ა, თავი გ, ზურაბა, ძმა ესტატე და შვილი არუთინა.

ქ. აქავ ამისივე ყმა დემეტრაშვილი კომლი ა, თავი დ, თამაზა, შვილი ოთარა, ივანე და გოგია.

ქ. აქავ ამისივე ყმა მაზმნისშვილი კომლი ა, თავიც ა, ზურაბა.

ქ. აქავ ამისივე ყმა უსანეთლისშვილი კომლი ა, თავი გ, თამაზა, შვილი ბატია და გოგია.

ქ. აქავ ამისივე ყმა პაპინაშვილი კომლი ა, თავი გ, ბადურა, შვილი გოგია და ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ დემეტრაშვილი კომლი ა, თავიც ა, გლახა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ დემეტრაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერუა.

ყარაღაჯს თეიმურაზ ჯავახიშვილის ყმა

ქ. ბერიაშვილი კომლი ა, თავი გ, გოგია, ძმა აბრამა და არუთენა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ბერიაშვილი კომლი ა, თავიც ა, ზურაბა.

ყარაღაჯს ვახუშტის ყმა

ქ. დემეტრაშვილი კომლი ა, თავი ბ, ქიტესა და ძმა ბერძენა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ დემეტრაშვილი კომლი ა, თავიც ა, იასე.

ქ. აქავ ამისივე ყმა მიხანაშვილი კომლი ა, თავიც ა, პაპუჩა{?}.

ქ. აქავ ამისივე ყმა დავითაშვილი კომლი ა, თავი ა, ბერუა.

ყარაღაჯს ზაალ ჯავახიშვილის ყმა

ქ. მეთეფშე პაპუჩაშვილი კომლი ა, თავი ბ, ადამა და შვილი ბერიკა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ასლანაშვილი კომლი ა, თავიც ა, იასე.

ყარაღაჯს ხიზანი

ქ. გოგია თუმანისშვილის ყმა ხიზანი გიგაური კომლი ა, თავიც ა, ივანე.

ქ. აქავ ადირბეგელი სადაღაშვილი კომლი ა, თავიც ა, აკოფა.

ქ. აქავ ხიზანი ჯავახი აბუაშვილი კომლი ა, თავიც ა, მელქუა.

ქ. აქავ ტყვეობიდამ მოსული ხიზანი ურცევნელი კირაკოზაშვილი {კომლი ა,} თავი ა, როსტომა.

ყარაღაჯს მყოფის ჯამი თავი ლბ (32).

გრაკალს გოგია მინბაშის ყმა

ქ. ხეჩუაშვილი მამასახლისი კომლი ა, თავი გ, გიორგი, ძმა ბერუა და შვილი მარტიროზა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ხეჩუაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბეცია.

ქ. აქავ ამისივე ყმა ტატაშვილი კომლი ა, თავი დ, ხიზანა, სახლის კაცი პაპა, გოგია და სტეფანე.

ქ. აქავ კიდევ ტატაშვილი ამისივე ყმა კომლი ა, თავი გ, ესტატე, ძმა არუთინა და ბეჟანა.

ქ. აქავ ამისივე ყმა შოშიაშვილი კომლი ა, თავი ბ, შიო ბერი და ძმა იასე.

ქ. აქავ წმინდი{ს} შიოს შეწირული გიგილაშვილი კომლი ა, თავიც ა, თანდილა.

ქ. აქავ შოშიაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერი შეუძლებელი.

გრაკალს გოგია მინბაშის ყმის ჯამი თავი იდ (14).

გრაკალს ხიზანი

ქ. სარდალ სალთხუცის ყმა კომლი ა, თავიც ა, აკოფა ხიზანი.

ქ. აქავ ხიზანი აბუაშვილი კომლი ა, თავი ბ, რევაზა, შვილი მოსია.

ქ. აქავ ზაქარია ციციშვილის ყმა ხიზანი ტლაშაძე კომლი ა, თავიც ა, ბერუა.

ქ. აქავ გივი ფარეთხუცის[7] ყმა ხიზანი კანდელაკის შვილი კომლი ა, თავი ბ, ბერუა და ძმა ადამა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი იმაშაშვილი კომლი ა, თავი ბ, ბერუა და ძმა არუთინა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი კვერცხისშვილი კომლი ა, თავი ა, იასე.

---

[7] ფარეშთუხუცესი.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი გვარამაძისშვილი კომლი ა, თავი ა, ნასყიდა მსახური.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი თანდილაშვილი კომლი ა, თავი ბ, ვა{?}თია და ძმა აკოფა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი კიდევ იმაშაშვილი კომლი ა, თავიც ა, სვიმონა მსახური.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი კვერცხისშვილი კომლი ა, თავიც ა, პეტრე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი კიდევ კანდელაკისშვილი კომლი ა, თავი ბ, კაცია და ძმა ბერუა.

ქ. აქავ გრაკალს ხიზანი ნაგერალი კომლი ა, თავი ა, გიორგი, ქარიანი.

გრაკალს ხიზნის ჯამი თავი ივ (16).

გრაკალს მყოფის ჯამი სრულიად თავი ლ (30).

სასირეთს ელისბარ მოლარეთხუცის ყმა

ქ. აზნაური ბეჟანიშვილი კომლი ა, თავი ბ, ოთარ, შვილი იოსებ.

ქ. აქავ მოლარეთხუცის გლეხი ლაფერაშვილი კომლი ა, თავიც ა, ზაქარია მღვდელი.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ლაფერაშვილი კომლი ა, თავი ბ, ბერძენა, ძმა ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ბლიაძე კომლი ა, თავი გ, ოქრუა, ძმა შიო და სახლის კაცი ბერუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა დავითაშვილი კომლი ა, თავი ბ, რამაზა, ძმა {?}[8] და ივანე.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ დავითაშვილი კომლი ა, თავიც ა, ჭეჭელა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ელიოზაშვილი კომლი კომლი ა, თავიც ა, ოსიყმე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჭაღიაშვილი კომლი ა, თავი ბ, ლაზარე, ძმა ოქრუა.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ჭაღიაშვილი კომლი ა, თავიც ა, პაპუნა.

ქ. აქავ ამისივე ყმა მაისურაძე კომლი ა, თავიც ბ, ბერუა[9], შვილი ივანე და იასე შეუძლებელი.

ქ. აქავ ამისივე ყმა ჯავახი ბერუას შვილი კომლი ა, თავი ბ, ოანეზა და ძმა არუთინა.

---

[8] სიტყვა გადაშლილია.

[9] „ბერ'ეა" გადაშლილია.

ქ. აქავ ამისივე ყმა მაშათელი ახალი ქრისტიანი კომლი ა, თავიც ა, თევდორე.

ქ. აქავ ამისივე ყმა ცომაშვილი კომლი ა, თავიც ა, სეხნია.

ქ. აქავ ამისივე მსახური კიდევ ცომაშვილი {კომლი ა,} თავი ა, ნინია.

სასირეთს მოლარეთხუცის ყმის ჯამი თავი კბ (22).

სასირეთს ხიზანი მოლარეთხუცის კედლათ

ქ. სახე{ლ}მწიფო ჯავახი მენაბდე კომლი ა, თავიც ა, ღვინია ხიზანი.

ქ. აქავ სახასო ხიზანი ჯავახი თევდორეს გერი კომლი ა, თავიც ა, გიორგი.

ქ. აქავ სახასო ხიზანი კიდევ ჯავახი კომლი ა, თავიც ა, გლახა.

ქ. აქავ სახასო ხიზანი კიდევ ჯავახი კომლი ა, თავი ბ, ნასყიდა, შვილი თევდორე.

ქ. აქავ სახასო ხიზანი კიდევ ჯავახი კომლი ა, თავიც ა, ავან{ე}.

ქ. აქავ სახასო ხიზანი ატენელი დონდარაშვილი კომლი ა, თავიც ა, რამაზა.

ქ. აქავ სახასო ხიზანი ფ{უ}რცელაშვილი კომლი ა, თავიც ა, დათუნა,[10] ბერიკაცი.

ქ. აქავ სახასო ხიზანი ამავ დათუნას ძმა კომლი ა, თავიც ა, შერმაზანა, ფ{უ}რცელაშვილი.

ქ. აქავ სახასო ხიზანი ატენელი მამასახლისის შვილი კომლი ა, თავიც ა, ბერუა.

ქ. აქავ სიონდ{?} ღვთისმ შობლის ყმა ფიცხელი{?} ჯაფარიძე კომლი ა, თავიც ა, თომა.

ქ. აქავ სა{ა}მიშვილის ყმა ხოლოზ{?}ელი მეფურისშვილი კომლი ა, თავიც ა, შიო ხიზანი.

ქ. აქავ დემეტრე [ე]შიკაღა{ს}ბაში{ს} ყმა აიდარბეგელი სარუხანასშვილი კომლი ა, თავი ბ, ნიაზა, შვილი მარქარა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი აიდარბეგელი ანანიაშვილი კომლი ა, თავიც ა, ავაქა.

ქ. აქავ ბეჟან საკაძის ყმა ხიზანი მაიაშვილი კომლი ა, თავი ბ, მანძულა, სახლის კაცი ნადირა.

ქ. აქავ თუშუაშვილის ნასყიდი ხიზანი ყო{?}რნელი ოთარაშვილი კომლი ა, თავი ა, ქიტუა, ძმა პატარა [არის}.

[10] „დათუნა“ გადაშლილია.

ქ. აქავ თარხნის გიორგის ყმა ხიზანი ეზატელი გელიტაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერუა.
ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი ფანტიაშვილი კომლი ა, თავი ბ, ივანე და შვილი ბერძენა.
ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი დევსურაშვილი კომლი ა, თავი ბ, ზურაბა და ძმა მამუკა.
ქ. აქავ გლახა თარხნისშვილის ყმა ხიზანი კაციაშვილი {კომლი ა,} თავი ა, კაცილა.

სასირეთის ხიზანის ჯამი თავი კდ (24).

ქ. აქავ გლურჯიძე გიორგის ყმა კომ{ლი} ა, ბეჟიტაშვილი, თავი ა, პაპუნა.
ქ. აქავ ამისივე ყმა დათუნიაშვილი კომლი ა, თავიც ა, გიგია კოჭლი.
ქ. აქავ გლურჯიძე აზნაურიშვილი კომლი ა, თავიც ა, იოსებ.
ქ. აქავ ამ იოსების ყმა ბეჟიტაშვილი კომლი ა, თავიც ა, ბერძენა.
ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ ბეჟიტაშვილი კომლი ა, თავი ბ, ბერუა და ძმა ივანე.
ქ. აქავ ამისივე ყმა დათუნიაშვილი კომლი ა, თავი გ, დავითა, ძმა საბალა, სახლის კაცი გოგია.
ქ. აქავ გლურჯიძე გოგია აზნაურიშვილი კომლი ა, თავიც ა.
ქ. ამ გოგიას ზითვის ბიჭი ოსი თავი ა, ლეგუა.
ქ. აქავ გლურჯიძე კომლი ა, თავიც ა, შოშია.

სასირეთს მყოფის ჯამი თავი ნᲩ (58)

ხანდაგს მდგომი ვინც არიან

ქ. მზეჭაბუკ ჯავახიშვილის ყმა ქვრივიშვილი კომლი ა, თავი ბ, დავითა და შვილი ბერუა.
ქ. აქავ ამისივე ყმა აბანოელი ძულიაშვილი კომლი ა, თავი ბ, ივანე, სახლის კაცი იასე.
ქ. აქავ თეიმურაზ ჯავახიშვილის ყმა აბანოელი გოგიაშვილი კომლი ა, თავიც ა, ივანე.
ქ. აქავ ამისივე ყმა იორდანაშვილი კომლი ა, თავიც ა, იორდანე.
ქ. აქავ ამისივე ყმა ნინოს დახსნილი ხოვლელი ხუციშვილი კომლი ა, თავიც ა, ათანასე.

ქ. აქავ ვახუშტი ჯავახიშვილის ყმა კრკონელი გარგაძის შვილი კომლი ა, თავიც ა, გოგია.

ქ. აქავ სახასო გოგიბედაშვილი კომლი ა, თავიც ა, კოკოლა.

ქ. აქავ კიდევ გოგიბედაშვილი კომლი ა, თავიც ა, პეტრე.

ქ. აქავ კიდევ გოგიბედაშვილი კომლი ა, თავი ბ, დავით და შვილი იასე.

ხანდაგს ხიზანი

ქ. მანგლელის ყმა მანგლისელი ალიმბარაშვილი კომლი ა, თავიც ა, ივანე ხიზანი.

ქ. აქავ ამისივე ყმა კიდევ მანგლისელი ამილბარაშვილი კომლი ა, თავი ბ, გოგია, ძმა მაზანა.

ქ. აქავ ამისივე ყმა ხიზანი ქვენადრელი ჭყაპიაშვილი კომლი ა, თავიც ა, ღვთისია.

ქ. აქავ ამისივე ყმა მანგლისელი აბიათარისშვილი კომლი ა, თავი ბ, თევდორე და შვილი ბერუა.

ქ. აქავ საბატონისშვილო ხიზანი კოხაჯელი{?} ციბიტაშვილი კომლი ა, თავიც ა, დავითა.

ქ. აქავ საბატონისშვილო ნადარბეზეველი კაკაშვილის პატარა ბიჭი გიგოლა {თავი} ა.

ქ. აქავ ნათლის მცემელის ყმა ლულელი იმერლისშვილი კომლი ა, თავიც ა, მანძულა ხიზანი.

ქ. აქავ სახე{ლ}მწიფო ბარალელი ჯავახი კაკაშვილი კომლი ა, თავიც ა, გოგია ხიზანი.

ქ. ატოცის წმინდა გიორგის ყმა ატოცელი უნაძე კომლი ა, თავიც ა, გოგია ხიზანი.

ქ. აქავ სახე{ლ}მწიფო ოსისშვილი კომლი ა, თავიც ა, ხიზანი.

ხანდაგს მდგომთ ჯამი ხიზნით თავი კდ (24).

Apolon Tabuashvili

CENSUS OF "MEPHIS SADROSHO" (ROYAL MILITARY REGION) IN THE 2ND HALF OF THE 18TH CENTURY

Summary

Publication deals with document ("davtar") of census of "Mephis Sadrosho". Only one part of this document is studied here. The document is not completely preserved, hence frontal and posterior pages are missing. Despite some defects, the document contains important information about socio-economic, demographic and ethnic history of Georgia. Document is dated by 1781.

The document contains description of the following villages: Kareli, Ruisi, Tvalatubani, Khvakhvreli (Kvakhvreli), Doesi, Khovle, Karaghaji, Grakali, Sasireti, Khandagi (Khandaki). According to this description, all those villages had 315 families. Owners of peasants of this region were: David Tsitsishvili, Zacharia Tsitsishvili, Dimitri Tsitsishvili, Zaza Tsitsishvili and Mzechabuk, Teimuraz, Vakhushti and Zaal Javakhishvilis etc. Overall number of feudal lords is approx. 50. Some peasants from those villages belonged to the royal household.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

როზეტა გუჯეჯიანი

ეთნოკულტურული პროცესები ზემო აფხაზეთში (დალი, კოდორის ხეობა)

დღევანდელი ზემო აფხაზეთი, რომლის ისტორიული სახელწოდებაა **დალის სვანეთი** (იგივე უცხოური წყაროების მისიმიანეთის ნაწილი) და რომელსაც მოგვიანებით **კოდორის ხეობაც** ეწოდა, უძველესი საისტორიო წყაროების თანახმად (ბერძნული, რომაული, ბიზანტიური, ქართული), ძველთაგანვე ქართველი მოსახლეობით იყო დასახლებული და საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

გეოგრაფიულად დალის სვანეთი ბალსქვემო სვანეთს **ჯერილდის ულელტეხილზე** გამავალი ბილიკებით უკავშირდებოდა (ჭუბერის თემიდან) დალის ანუ აფხაზეთის სვანეთის სოფლები, ძირითადად, საკუთრივ კოდორის და მისი სათავეების (საკენი, გვანდრა) ნაპირებზე მდებარეობს.

მდინარე საკენის ხეობაში ყველაზე მაღლა მდებარე სოფელია **საკენი,** მის ქვემოთ **ომარიშარაა**. მდინარე გვანდრას ხეობაში სოფელი **გვანდრაა** გაშენებული. საკუთრივ მდინარე კოდორის ზემო წელზე ყველაზე მაღლა სოფლები – მარჯვენა და მარცხენა **გენწვიში** მდებარეობს. უფრო ქვემოთ, მდინარეებიდან მოშორებით, არის პატარა სოფელი **ხუტია**. მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირზე, **ზემო და ქვემო აჟარა//აჯარაა,** ხოლო მარცხენა ნაპირზე სოფელი **მრამბაა**. მდინარე ჩხალთის კოდორთან შესართავში, ორივე მდინარის მარჯვენა ნაპირზე განლაგებულია სოფელი **ჩხალთა.** უფრო ზემოთ, მდინარე ჩხალთის ხეობაში, არის სოფლები – მარჯვენა და მარცხენა **პტიში.** სოფელ ჩხალთის ქვემოთ, კოდორის მარცხენა ნაპირზე სოფელი **შაბათკვარა,** ხოლო მარჯვენა ნაპირზე სოფელი **ქვაბჩარაა.** უფრო ქვემოთ **ზემო ლათა** იწყება, რომელიც საკუთრივ სოფელ **ლათას** ესაზღვრება. ლათას ქვემოთ მდინარე კოდორის ხეობა ვიწროვდება, ის **ბაგადას** ვიწროებში შედის და ამ ვიწროებთან დალის ხეობაც სრულდება.

არქეოლოგიური მასალით ცნობილია, რომ დასახლების კვალი კოდორის ხეობაში წარმოდგენილია ნეოლითის, ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანის ეპოქებით.[1]

ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებიდან ეს ტერიტორია მოქცეულია უძველესი ქართული სახელმწიფოს – **კოლხეთის** შემადგენლობაში[2] და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სახელწოდებები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე იყო: კოლხები, სვანო-კოლხები, ჰენიოხები, მოგვიანებით, მისიმიანელები და სხვ. **ეთნოსთა თანამედროვე კვალიფიკაციით, ზემოთ ჩამოთვლილი სახელები ქართველთა ეთნოსის კრებითი (მთლიანი) ან მისი შემადგენელი ამა თუ იმ ეთნოგრაფიული ჯგუფის აღსანიშნავად გამოიყენებოდა უცხოელთა მიერ.**

ცნობილია, ძველი ბერძნები ეგრისის სამეფოს **„ოქრომრავალ კოლხიდას“ ეძახდნენ. კოლხეთის „ოქრომრავლობაში“ დიდი წვლილი სვანეთს შეჰქონდა.** ოქროს წარმოების ერთ-ერთ უძველეს კერად დალის ხეობის მეზობელი ჭუბერის თემი ითვლებოდა და **სწორედ ამ ორ ხეობაზე გადიოდა გზა ჩრდილოეთ კავკასიაში** (თონღუზ-ორუნისა და ბასის უღელტეხილები).[3] სვანეთზე უცხოელი ვაჭრების მიმოსვლა განსაკუთრებით ინტენსიური ძვ. წ. IV-I საუკუნეებში იყო და ამ მიზნით ძირითადად დალის და ჭუბერის ხეობებს იყენებდნენ. ამას მოწმობს ალექსანდრე მაკედონელის და მისი ერთ-ერთი მემკვიდრის – ლისიმაქეს – მონეტები, რომლებიც გასული საუკუნის დასაწყისში ამ ხეობაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა.

ქართული საისტორიო წყაროების თანახმად, ფარნავაზის ხანიდან (ძვ. წ. 328-263 წწ.) სვანეთი (დალითურთ) ერთიანი საქართველოს მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა.[4] შემდეგაც, სტრაბონის აღწერილობით, დალის

---

[1] ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, უძველესი დროიდან დღემდე. თბ. 2007, გვ. 408; თ. ბერაძე, კ. თოფურია, ბ. ხორავა. თანამედროვე აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. კრ.: საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები“ – მასალები. საქართველოს საპატრიარქო და კონრად ადენაუერის ფონდი. თბ. 2009; რ. ხვისტანი. მასალები საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიისათვის. თბ. 2009, გვ. 102-116.

[2] ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, უძველესი დროიდან დღემდე, გვ. 408; თ. ბერაძე, კ. თოფურია, ბ. ხორავა, თანამედროვე აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

[3] Т. Н. Берадзе. Мореплаваниe и морская торговля в средневековой Грузии. Тб. 1989; ა. ჩარკვიანი. სვანეთი. თბ. 1967. ა. ქალდანი. კოშკების სამყაროში. თბ. 1978.

[4] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955.

მხარეში კვლავ ქართველები (სვანები) ცხოვრობენ: დიოსკურიის ანუ დღევანდელი სოხუმის მახლობლად „არიან სვანები. სვანები სიმამაცის და ძალის მხრივ საუკეთესონი... და **ისინი ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და კავკასიონის მწვერვალები უპყრიათ, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არიან**“.[5]

ცნობილია, კოლხეთის სამეფო მოგვიანებით შეცვალა მორიგმა ქართულმა სამეფომ (ლაზიკა), რომლის საზღვრებში III-IV საუკუნეებში მთელი დასავლეთ საქართველო, მათ შორის, თანამედროვე ზემო აფხაზეთის ტერიტორიაც შედიოდა.

სვანეთის ერისთავი აქტიურად ფიგურირებდა ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, როდესაც ეს დიდი მეფე ცდილობდა დასავლეთ საქართველოს გათავისუფლებას ბიზანტიელთაგან და მის შემოერთებას აღმოსავლეთ საქართველოსთან. ცნობილია, რომ V საუკუნის II ნახევარში სვანეთი (დალითურთ) **ვახტანგ გორგასალმა უშუალოდ ქართლის სამეფოს შეუერთა**. სწორედ ამიტომ ვახტანგ გორგასლის დროინდელი ერისთავების სიაში მოხსენიებულია **„სამნაღირ, ერისთავი შიდა ეგრისისა და სუანეთისა“**.[6]

VI-VII საუკუნეების ზემო აფხაზეთს ბერძენი ავტორები (აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი, თეოდოსი განგრელი), **„მისიმიანთა მხარეს“** უწოდებენ. **ცხადია, მისიმიანელები ქართველები იგივე სვანები არიან.** ეს სახელწოდება ამ ძირძველი ქართული ჯგუფის – სვანების – დიალექტური სახელიდან – **მუშუან**-იდან მომდინარეობს.[7]

ზემო აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის – მისიმიანელების – შესახებ მდიდარი ისტორიული მასალაა შემონახული ბიზანტიურ წერილობით ძეგლებში, რომელიც ბიზანტია-სპარსეთის ომებს ეხება. ცნობილია, რომ 542 წელს დაწყებული „**დიდი ომიანობა ეგრისში“** მკვეთრად აისახა სვანეთის ორ ნაწილზე – მისიმიანეთსა (დალის ხეობა) და ბალსქვემო სვანეთზე. ამ დროის ბიზანტიურ წყაროებში ხშირად იხსენიება დალის ხეობის მთავარი ციხესიმაგრეები: **„ბუკოლუსის“//ბოკერის ციხე** და **„რკინის“//ჩხალთის ციხე**.[8]

562 წელს სპარსეთი და ბიზანტია დაზავდნენ, მაგრამ დავა სვანეთის

---

[5] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ. 1957, გვ. 126.

[6] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 185.

[7] მ. ქალდანი. მიესიანეთისა და მიესიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის. „აფხაზეთის მოამბე“. №2-3. თბ. 1999.

[8] გ. ათანელაშვილი. სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში. თბ. 1959.

ირგვლივ შემდეგაც გრძელდებოდა.[9] VII საუკუნეში ეგრისის ნაწილი ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო და მას მეფის ნაცვლად პატრიკიოსი განაგებდა, რომელსაც დალის ხეობაც//მისიმიანეთიც ემორჩილებოდა. 697 წლიდან არაბებმა დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი დაიპყრეს, არაბებს დაქვემდებარებული მეციხოვნეები იდგნენ **რკინის/ჩხალთის** ციხეშიც. არაბთა შემოსევების დროს (735-738 წწ.) დალის ხეობა ქართლის ერისმთავარს სტეფანოზ III-ს და მის შთამომავლებს ექვემდებარებოდა. შემდეგ კი VIII საუკუნის დასასრულიდან ისტორიული საქართველოს დიდ ნაწილში ერთ-ერთი ქართული მხარის – აფხაზეთის – ერისთავმა ლეონ II-მ შექმნა ახალი ქართული სახელმწიფო, რომელსაც აფხაზთა სამეფო, იგივე ეგრის-აფხაზეთის სამეფო ეწოდა.[10]

აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა სვანეთის საერისთავო და მისი ნაწილი, დალის ხეობა, რომელსაც **მარუშიანთა** საგვარეულო განაგებდა. მარუშიანები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ „აფხაზთა სამეფოს" პოლიტიკურ ცხოვრებაში.[11] გარკვეულ ეტაპზე აფხაზთა სამეფოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ სახლს ქართული (სვანური) წარმოშობის **შავლიანთა** საგვარეულო წარმოადგენდა, რომელიც სამეფო დინასტიას მეტოქეობასაც კი უწევდა. „აფხაზთა სამეფოში" **შავლიანთა დინასტიის ორი მეფეა ცნობილი (861-881 წწ.)**.[12]

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს სამეფოში გაერთიანდა. XI საუკუნიდან აფხაზეთის ერისთავებად იხსენიებიან შარვაშისძეები//შერვაშისძეები).

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ თანდათანობით შეიცვალა აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობა, განსხვავებული იერი შეიძინა აფხაზეთის სოციალურ-კულტურულმა ცხოვრებამაც: დასავლეთ კავკასიიდან აბაზურ-ადიღეური ტომების საქართველოს ტერიტორიაზე ინტენსიური ჩამოსახლების შედეგად მკვეთრად შეიცვალა აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიული ვი-

---

[9] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1941, გვ. 32-34.

[10] მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973.

[11] **მარუშიანია უდიდესი ქართველი მოღვაწე „ერისთავი ქართლისა... კაცი ძლიერი და ერმრავალი" – იოანე მარუშისძე,** რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ბაგრატ III-ის გარშემო მთელი საქართველოს გაერთიანების საქმეში.

[12] თ. მიბწუანი. აფხაზეთის მეფეები და მთავრები. თბ. 1997.

თარება, რამაც განაპირობა ამ მხარის სოციალურ-კულტურული განვითარების რეგრესი; რადიკალურად შეფერხდა აფხაზური (აფსური) ეთნიკური ჯგუფის ორგანული თანამონაწილეობა ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით.[13]

ჩამოსახლებულ აბაზურ-ადიღეურ ტომთა ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე აფხაზი ეთნოსი, რომელიც თავის თავს უკვე აღარ მიიჩნევდა ეთნიკურად თუ კულტურულ-პოლიტიკურად ქართველად.[14] **ამავე პერიოდიდან ეყრება საფუძველი მდინარე კოდორის ზემო წელის მოსახლეობის ეთნიკური სურათის შეცვლის პროცესს.** XVIII საუკუნიდან იწყება ქართველი მოსახლეობისაგან დალის პირველი დაცლა, ქართველთა ფაქტობრივი ეთნოწმენდა. ჩრდილო-კავკასიიდან გამუდმებული შემოსევების გამო ადგილობრივმა მოსახლეობამ დალის ხეობიდან ზემო სვანეთის სიღრმისკენ დიწყო გადაადგილება.

გვიან შუა საუკუნეებში კოდორის ხეობაში აბაზურ-ადიღეურ ტომთა ჩრდილოეთიდან, კავკასიონის უღელტეხილებიდან შემოსვლას ადასტურებს არქანჯელო ლამბერტის, ჟან შარდენის, ევლია ჩელებისა და სხვათა ცნობებიც, აგრეთვე 1654 წლის ლათინურ-ფრანგული რუკაც, რომელზეც აფხაზთა განსახლების უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრად მდინარე კოდორია მითითე-

---

[13] ბ. ხორავა. აფხაზეთის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხისათვის გვიან შუა საუკუნეებში. ჟურნ.: „არტანუჯი“. №10. თბ. 2000.

[14] საყურადღებოა ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემები: ე. ბენაკის დაკვირვებით, აფხაზთა და ქართველთა ხასგასმული ანთროპოლოგიური მსგავსება მრავალი პარამეტრით დასტურდება (В. Бунак. Антропологический состав насселения Кавказа. Вестник Государственного музея Грузии. Тб. 1947, გვ. 39). შ. ინალ-იფას ასრით, თანამედროვე აფხაზები ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან დასავლეთ კავკასიურ ტიპს, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს, ერთი მხრივ, დასავლურქართულ მოსახლეობასთან (მეგრელებთან, გურულებთან, აჭარლებთან...), მეორე მხრივ, ჩერქეზებთან. ამასთან, დასავლეთ ქართველებთან მსგავსება გაცილებით მკვეთრადაა გამოხატული, ვიდრე ჩერქეზებთან, იმისდა მიუხედავად, რომ აფხაზები ლინგვისტურად ამ უკანასკნელებთან ერთ ენობრივ ჯგუფში ერთიანდებიან (Ш. Инал-Ипа. Абхазы. Сухуми. 1965, გვ., 50). ასევე თანამედროვე ანთროპოლოგიური მონაცემებითაც, აფხაზები მიეკუთვნებიან დასაელურქართულ, **შავიზღვისპირულ ჯგუფს** (შავიზღვისპირელი აჭარლები, გურულები, მეგრელები, ლაზები, აფხაზები); რადგან ანთროპოლოგიური გამოკვლევების შედეგებით აფხაზები, ფაქტობრივი მონაცემებით, უფრო ჰგვანან ქართველებს, განსაკუთრებით, მეგრელებს, ვიდრე ენით მონათესავე არაქართველებს – აბაზებსა და ადიღეელებს (მ. აბდუშელიშვილი. ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური თავისებურებები. კრ. „დასკვნითი სიტყვა“ თბ. 2004. ლ. ბითაძე. ანთროპოლოგიური მონაცემები აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის. კრ. აფხაზეთი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. თბ. 2007, გვ. 173-177).

ბული.[15]

დალის ხეობაზე აბაზურ-ადიღეურ ტომთა შემოსევებს დაერთო ბალსქვემო სვანეთის ჭუბერისა და ნაკრის თემებზე ყარაჩაელთა ამაოხრებელი თარეშიც, რაც სისტემატურ ხასიათს ატარებდა. ერთ-ერთი ასეთი შემოჭრის ამბავი გადმოცემის სახითაა შემონახული და იგი მოგვითხრობს რამდენიმე თაობის წინ დალისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ჭუბერის ხეობაში ორი მდიდარი და ძლიერი სოფლის – **სალის და ფაჟის** (სალის თემი სპილენძის, რკინის და ოქროს მოპოვებით იყო სახელგანთქმული. ფაჟის თემის სიმდიდრის წყაროს კი ტყვიისა და ვერცხლის მოპოვება შეადგენდა) სრული ამოწყვეტის და იქაურობის გავერანების შესახებ. მტერი კოდორის ხეობაში **ყარაჩაიდან გადმოსასვლელი** ბილიკით შემოსულა და მათ ურიცხვ ურდოებს ჭუბერის სოფლების შემდეგ **დალიც** სასტიკად აუოხრებიათ.[16]

ეთნოდემოგრაფიული პროცესების ამსახველ სხვა გადმოცემებში დალის ხეობელი ქართული საგვარეულოს – ქალდანების ტრაგიკული ისტორიაა მოთხრობილი,[17] ასეთივე ტრაგიზმითაა აღსავსე გვარმიანთა საგვარეულო ისტორია, მასში მოთხრობილია ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსული მტრის მიერ 40 გვარმიანის ამოხოცვის ამბავი და ა. შ.

XVII-XVIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიელთა გამუდმებული შემოსევების შედეგად ჭუბერის ხეობა მოსახლეობისაგან დიდი ხნით დაიცალა, ხოლო დალის ხეობის ქართული (სვანური) მოსახლეობა თითქმის გაწყდა და ის თანდათანობით ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულმა ადიღეურ//აბაზურმა მოსახლეობამ შეცვალა. ამ ტერიტორიაზე განხორციელდა ქართველთა ფაქტობრივი ეთნოწმენდა: ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩრდილო კავკასიელთა შემოსევებს შეეწირა, ხოლო მცირე ნაწილმა თავი შეაფარა მდინარე ენგურის ხეობის ქართულ სოფლებს (სვანეთში), ძირითადად, ბალსქვემო სვანეთს.

მრავალ ქართულ საგვარეულოს სვანეთში შემონახული აქვს ხსოვნა მათი წინაპრების დალის ხეობაში ცხოვრების შესახებ (გვარმიანების, ქალდანების, გურჩიანების, გერლიანების, სუბელიანების, ჩხვიმიანების... თითო შტო).

---

[15] თ. გვანცელაძე. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. კრ. „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“. თბ. 1998, გვ., 29.

[16] А. А. Иессен, Б. Е. Деген-Ковалевский. Из истории древней металлургии Кавказа. ОГИЗ. М-Л. 1935, გვ. 319-323.

[17] სვანური პროსაელი ტექსტები. ბალსქემური კილო. II. თბ. 1957, გვ. 242-245.

დალის ხეობის დემოგრაფიულ პროცესებთან დაკავშირებით საყურადღებო მასალას გვაწვდის ამ საგვარეულოთა წარმომადგენლების ყოფაში დღემდე მოქმედი ერთი ჩვეულება: ტრადიციული ლოცვის რიტუალის დასრულების შემდეგ, რომელიც სრულდება ეკლესიებში, ან სახლებში, სალოცავ კუთხედ გამოყოფილ აღმოსავლეთის კედელში დატანებულ სარკმელთან, **მლოცველები შემოტრიალდებიან ჩრდილო-დასავლეთისკენ, დალის ხეობის მიმართულებით და ლოცვას აღავლენენ დალში მდებარე სალოცავების (შყერის წმიდა გიორგის ეკლესია, აჯარის წმ. გიორგის ეკლესია...) სახელზე, რომელთა მრევლნიც ყოფილან მათი წინაპრები დალის ხეობაში ცხოვრების დროს.**[18] ეს ფაქტი მრავლისმეტყველია და იგი ასახავს არა მხოლოდ ქართველ მთიელებში დღემდე არსებულ ძლიერ რელიგიურ მუხტს, არამედ ქართველთა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის უფლებასაც დალის სვანეთზე.[19]

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის დროისათვის (XIX საუკუნის დასაწყისში) მდინარე კოდორის შუა და ზემო წელს – წებელსა და დალს მარშანიების ფეოდალური სახლი მართავდა, რომელსაც მდინარე ბზიფის სათავეებში მდებარე ფსხუს მხარეც ემორჩილებოდა. აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შერვაშიძემ რუსეთის სამხედრო ნაწილების დახმარებით XIX საუკუნის 30-იან წლებში მოახერხა თავისი ხელისუფლების გავრცელება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.[20]

დალის ხეობის მთებში ნაყოფიერი საბალახოებით სარგებლობისათვის **აფხაზი მეჯოგეები და მწყემსები XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე გადასახადს უხდიდნენ ბალსქვემო სვანეთის მთავრებს,** დადეშქელიანებს. შემდეგ კი აფხაზებმა გადასახადების გადახდა თანდათანობით შეწყვიტეს, რასაც მოჰყვა არაერთი შეტაკება სვანეთის სამთავროსა და აფხაზებს შორის. ბოლო ასეთი შეტაკება 1863-1864 წლებში მოხდა, სვანებს გადასახადის საზღაურად აფხაზებისთვის 3000 ცხვარი წაურთმევიათ. სვანეთის სამთავროსა და

---

[18] ე. ბარდაველიძე. ქართულ (სვანურ) ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ. 1939, გვ. 60-61.

[19] გ. გასვიანი. აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. თბ. 2004; ა. გელოვანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში. თბ. 2003; რ. გუჯეჯიანი. დალის სვანეთის (კოდორის ხეობის/ზემო აფხაზეთის) ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა. კრ.: საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები“ – მასალები.

[20] თ. ბერაძე, კ. თოფურია, ბ. ხორავა. თანამედროვე აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

სვანეთის მოსახლეობის ბრძოლა ისტორიული უფლებების შენარჩუნებისათვის დიდხანს გრძელდებოდა. მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ დახვრიტა საქართველოს ეროვნული გმირი კონსტანტინე (მურზაყან) დადეშქელიანი და გააუქმა სვანეთის სამთავრო; სვანეთის ჩუბეხევის თემების მოსახლეობა XIX საუკუნის 80-90-იან წლებამდე მოითხოვდა ხელისუფლებისაგან სამართლიანობის აღდგენას და აფხაზი მეჯოგეებისაგან გადასახადების გადახდას თელტობის, ლარაკვაკვას, დარჩვიჭენჭოლის მთებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების გამო, რომელთაც საბალახოებად იყენებდნენ აფხაზები.[21]

1864 წელს რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავროც გააუქმა. ამავე პერიოდიდან იწყება აფხაზთა პირველი მუჰაჯირობა. გაჩნდა ე.წ. თავისუფალი მიწის ფონდი, სადაც ხელისუფლება მიზანმიმართულად ასახლებდა მხოლოდ რუსებს (შუა რუსეთიდან), რუსი მოსახლეობა დამკვიდრდა ლათაში, აჟარაში, გენწუიშში... დაწესდა რუსული მონასტრები, ეკლესია. **ქართველების ჩასახლებას კი ხელისუფლება მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა**. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, ქართველთა ის ნაწილი, რომელთა წინაპრებიც გვიან შუა საუკუნეებში იძულებით გადმოსახლდნენ დალიდან ზემო სვანეთში, იწყებენ დაბრუნებას თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე. ადმინისტრაცია ქართველებს არ აძლევდა სოფლებში დასახლების უფლებას, რის გამოც სვანებმა ტყეების გაკაფვა დაიწყეს და პირველმოსახლეთა ოჯახები 5-6 წლის განმავლობაში ტყეებში ცხოვრობდნენ. ქართველებს შემდეგაც, დიდხანს თავისუფალი მიწების დამუშავების ნება არ ეძლეოდათ. მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, 1926 წლისათვის დალის ხეობაში უკვე 29 სოფელი იყო ქართველებისა: „ასევე პროცენტი სვანებია, ვინაიდან თანდათანობით რუსობა გადასახლდა დალიდან და მათი ადგილები შეისყიდეს სვანებმა. ამ მდგომარეობას ხელი შეუწყო იმპერიალისტურმა ომმა და შემდეგ რევოლუციამ“. ეს პროცესი ძირითადად დასრულდა XX საუკუნის 20-იან წლებში. **1926 წლის მონაცემებით, დალის ხეობა მთლიანად ქართველებითაა (სვანებითა) დასახლებული)**, ლათის ქვემო სოფლებში კი (34% – ქართველები, 9% – აფხაზები, 4% – რუსები, 3%) – შერეული მოსახლეობაა.[22]

რუს და აფხაზ მეცნიერთა ნაწილი ქართველების დასახლებას დალის

[21] ბ. ნიჟარაძე. იალბუზის გარშემო. კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. II. თბ. 1964; ა. გელოვანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში. თბ. 2003.

[22] ი. ასლანიშვილი. აფხაზეთის სვანეთი. 1926 წლის მოგზაურობის მიმოხილვა 25 სურათით და რუკით ტექსტში. ტფ. 1933, გვ. 10-20.

ხეობაში არაობიექტურად აანალიზებს. შიდა მიგრაციის ამ პროცესს ობიექ-ტური ისტორიული ფაქტორი აპირობებდა: დალის ხეობაში XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან დაწყებული ქართველთა მცირე ჯგუფების ჩასახლების პროცესი დალის ხეობაში იყო არა ახალი, უცხო და უცნობი მიწების ათვი-სების პროცესი, არამედ ქართველების დაბრუნება თავიანთ ისტორიულ საც-ხოვრისში, დალის სვანეთში.[23]

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გა-მოცხადდა, რომლის შემადგენლობაში აფხაზეთი სოხუმის ოლქის სახელით შევიდა, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტი-ტუციამ აფხაზეთს ავტონომია მიანიჭა. აქ იყო მოქცეული დალიც.

რუსეთის მიერ საქართველოს II ოკუპაციის შემდეგ აფხაზეთის ავტო-ნომიური ოლქი დაიყო 5 მაზრად. კოდორის ხეობა სხვადასხვა დროს სხვა-დასხვა ადმინისტრაციულ საზღვრებში იყო მოქცეული: 1930 წლისათვის იგი სოხუმის მაზრის შემადგენლობაშია აჟარის სასოფლო საბჭოს სახელით, 1977 წლის მონაცემებით კი დალის ხეობა უკვე გულრიფშის რაიონის შე-მადგენლობაშია აჟარის სას. საბჭოს სახელით.[24]

დალის მხარეში არსებული ორსაუკუნოვანი წყვეტილის მიუხედავად, ისტორიულ საცხოვრისში დაბრუნებულ სვანებს დახვდათ მამაპაპური ქართუ-ლი ტოპონიმიკა, რომელთა უდიდესი ნაწილის ეტიმოლოგია მხოლოდ ქარ-თული ენითა და მისი კილოებით აიხსნება: ბოკერი, ბუჩყური, ბუძგური, გენ-წვიში, ლაგვანა, ლათა, დალი, ჩხალთა, ჩახარი, გვანდრა, აჟარა, აძგარა, ტვიბრაშერი, ხეწკვარა, ხუტია, შიყერი, ნაჰარი...[25]

დალის ხეობის ქართული მოსახლეობა ხანგრძლივი დროის მანძილზე (XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან ვიდრე XX საუკუნის 40-იან წლებამ-დე) მოკლებული იყო საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებებს, ხალხი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა. მაგრამ თანდათანობით კოდორის ხეობის ზემო წელზე ახლად გაშენებულ ქართულ სოფლებში აღორძინდა ტრადიციული ქართული კულტურულ-სამეურნეო ყოფა. მეურნეობის მთავარ

---

[23] მ. ქალდანი. მიესიანეთისა და მიესიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის, გვ. 58.

[24] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისათვის. გამოცემა მეოთხე. თბ. 1977, გვ. 132.

[25] მ. ქალდანი. მიესიანეთისა და მიესიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის; ბ. ნიუარაძე. იალბუზის გარშემო; ა. გელოვანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში; სვანური პროზაული ტექსტები. ბასქეემიური კილო. II. თბ. 1957; თ. მიბჩუანი. აფხაზეთის ტოპონიმიკა. კრ. აფხაზეთის ისტორიის პრობ-ლემები. თბ. 1998.

დარგებად აქ ჩამოყალიბდა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, გაშენდა ხეხილი, განვითარდა მეფუტკრეობა.

დალის ხეობის ტრადიციული ყოფა მცირედით თუ განსხვავდებოდა სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფისაგან. საგალისხმოა, რომ აქაურმა ქართველებმა ბოლო დრომდე შემოინახეს ყველა იმ ძველქართული რელიგიური დღეობის აღნიშვნის ტრადიცია, რომელიც სვანეთის ყოფაშია ფიქსირებული.

საქართველოს გათავისუფლების შემდეგ (1991 წ.) დალის ხეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის აჟარის თემის საკრებულოში იყო მოქცეული.

დალის ქართულ მოსახლეობას შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ სოფლებში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან: აფხაზებთან, რუსებთან. ქართველთა და აფხაზთა შორის არსებობდა ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობები. სამწუხაროდ, რუსეთის იმპერიული ზრახვებიდან მომდინარე პოლიტიკა, რომელიც აფხაზთა ნაწილის ქართველთაგან გაუცხოების საქმეს ემსახურებოდა, გრძელდებოდა მთელი XX საუკუნის განმავლობაში (ცინცაძე 1998) და იგი დასრულდა XX საუკუნის 90-იანი წლების სისიხლიანი პერიპეტიებით; საბოლოოდ კი ამ ძირძველ ქართულ რეგიონში განხორციელდა ქართველების ეთნოწმენდა. დაიღუპა დიდძალი მშვიდობიანი მოსახლეობა, ხოლო ცოცხლად გადარჩენილი ქართველები, ანტირუსულად განწყობილი აფხაზთა ნაწილი და აფხაზეთში მცხოვრები ესტონელები, ბერძნები და სხვა ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლების უდიდესი ნაწილი აფხაზეთიდან გამოაძევეს.

XX ს. 90-იანი წლების ტრაგიკული მოვლენების შემდეგაც დალის ქართული მოსახლეობა თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ახერხებდა მშობლიური მხარის შენარჩუნებას, დიდი ადამიანური მსხვერპლის ფასად. მათ გამუდმებით უწევდათ საქართველოს ამ ნაწილის შეიარაღებული დაცვა რუსეთის საოკუპაციო შენაერთებისა და სეპარატისტთა ფორმირებებისაგან.

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ დალის მხარეს **„ზემო აფხაზეთი"** ეწოდა და გატარდა გარკვეული ღონისძიებები რეგიონის ყოფითი პრობლემების მოგვარებისა და კულტურულ-სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით. გაყვანილ იქნა სამანქანო გზა ჭუბერის თემამდე.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის საოკუპაციო ჯარმა დაიკავა დალის ხეობაც. ამჟამად ზემო აფხაზეთში დგას რუსეთის საოკუპაციო ჯარი. ადგილობრივი, მკვიდრი ქართველობა დევნილია

მშობლიური მიწიდან. ამჟამად დალის ხეობიდან დევნილია 2600-ზე მეტი ქართველი· დარღვეულია მათი მთავარი სამოქალაქო უფლება. დალის ხეობის დევნილი მოსახლეობის ნაწილი კომპაქტურად ჩასახლდა ქვემო ქართლში.

დალის მხარე უძველეს ხანაშივე ჩართული იყო თანადროულ კულტურულ პროცესებში. დალის ქართული კულტურის ძეგლები ცნობილია ანტიკური პერიოდის უცხოელი ავტორებისა და შემდგომი დროის ისტორიკოსებისთვის. ამ მხარეში არსებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ორი ციხესიმაგრე დღემდე შემორჩა ზემო აფხაზეთს: **ბუკულუსის//ბოკერის ციხე და რკინის ციხე. ბუკულუსის//ბოკერის** ციხე გაშენებულია მდინარე კოდორის სათავეებში, გვანდრისა და ყულუჩის შესართავთან. ეს ციხე ალანებთან ეგრისის დამაკავშირებელ მთავარ გზას აკონტროლებდა. **„რკინის ციხე“ – ჩხალთის კომპლექსი – ჩხალთის კომპლექსი,** რომელიც აღმართულია მდინარეების – ჩხალთისა და კოდორის შესართავთან ქლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე, აკავშირებდა დალის მხარეს ჩერქეზეთთან. ასეთივე კოშკების ნანგრევები გვხვდება მთელი გზის გაყოლებით უღელტეხილამდე და მათი მეშვეობით იცავდნენ ქართველები თავიანთ საზღვრებს.

ცნობილია, საქართველში, მათ შორის აფხაზეთსა და სვანეთში, ქრისტეს სჯული თვით წმიდა მოციქულებმა იქადაგეს[26] და ამ მხარეში არსებობდა მდიდარი ქრისტიანული სულიერი და მატერიალური კულტურა. აქვე მოღვაწეობდა რამდენიმე წმინდა მამა, მაგალითად, ცნობილია, რომ 662 წელს ბიზანტიამ, რომელიც ამ დროს მწვალებლობას უჭერდა მხარს, დიდი ღვთისმეტყველი მაქსიმე აღმსარებელი თავის ორ მოწაფესთან ერთად საქართველოს ციხეებში შეამწყვდია: ერთ-ერთი მოწაფე ანასტასი შეაყენეს ბუკოლუსის ციხეში.[27]

დალის ხეობის ქართული ქრისტიანული ძეგლებიდან აღსანიშნავია **შიყერის წმიდა გიორგის ეკლესია** (სოფელი შიყერი, მდინარე გვანდრასა და საკენს შუა მაღალ გორაზე) და სოფელ **აჯარის წმიდა გიორგის ეკლესია.** ორივე მათგანი აღადგინა ადგილობრივმა ქართულმა მოსახლეობამ საბჭოთა სისტემის ნგრევის შემდეგ და იქ გაუსაძლის პირობებში მოღვაწეობდნენ ქართველი სასულიერო პირები თვით ბოლო წლებამდე. 2009 წლის დამდეგი-

---

[26] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. დედაღვთისმშობელი – შემწე ქართული ენისა. თბ. 2008, გვ. 20-55.

[27] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1941, გვ. 40-48.

სათვის საოკუპაციო რეჟიმმა სასულიერო პირებიც გამოაძევა კოდორის ხეობიდან. დღეისათვის განხორციელებულია ამ მხარის ფაქტობრივი ეთნოწმენდა.

ეთნოკულტურული პროცესების მხრივ აღსანიშნავია სულიერი კულტურის ზოგიერთი მსგავსი ასპექტის არსებობა ქართველ და აფხაზ მოსახლეობას შორის ზემო აფხაზეთში.

ქართველი და აფხაზი ხალხის კულტურული ურთიერთობის შედეგად დალის მოსახლეობის სამონადირეო რიტუალებსა და რწმენა-წარმოდგენებში გარკვეული მსგავსება შეინიშნება. ცნობილია, აფხაზური ეთნოსი რელიგიური ერთგვაროვნებით არ ხასიათდება. აფხაზთა წარმართულ რწმენა-წარმოდგენებში ვლინდება ქართული კულტურისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ანარეკლიც. დალის მხარეში ეტაპობრივად ჩამოსახლებულმა აფხაზებმა ადგილობრივ ქართველთაგან მითოლოგიური წარმოდგენების მრავალი ელემენტი შეითვისეს[28]. მაგალითად, რამდენიმე ასეთი საყურადღებო პასაჟი იკვეთება დიმიტრი გულიას ნაშრომში „ნადირობის ღვთაებები და სამონადირეო ენა აფხაზეთში". ნაშრომში აღწერილია აფხაზთა სამონადირეო წეს-ჩვეულებები, რიტუალები, რწმენა-წარმოდგენები და ყოველივე ეს შედარებულია ქართულ მასალასთან. დ. გულია დაწვრილებით აანალიზებს ფაქტობრივ მონაცემებს და გამოკვეთს აფხაზთა ღვთაებათა პანთეონის ერთ-ერთ მთავარ ღვთაებას – ნადირობის ღვთაებას **„აჟეეიპშაა"-ს,** რომელსაც ზოგჯერ **„აირგ"**-საც უწოდებენ. მოჰყავს მასალა სანადიროდ მიმავალი და შინ მობრუნებული მონადირის დალოცვისა შემხვედრთაგან. ეს მასალა დიდ მსგავსებას ავლენს ქართულ (სვანურ) სამონადირეო წეს-ჩვეულებებთან. სწორედ ქართული ქრისტიანული კულტურის გავლენითაა დამკვიდრებული აფხაზურ სამონადირეო მითოსში „აირგ"-ის რწმენა. ცნობილია, რომ აფხაზები **„აირგ"-ს** გაიაზრებდნენ, როგორც **თეთრ ცხენზე ამხედრებულ მეომარს.** სანადიროდ მიმავალ მამაკაცს შემხვედრნი მიმართავდნენ შემდეგი სიტყვებით: „დაე, ნადირობაში ხელი მოგიმართოს აირგმა".[29] **შესაძლოა, აქ წმიდა გიორგის გახალხურებულ აღქმასთან გვაქვს საქმე,** რადგანაც ქრისტიანობის გავლენით, ყველგან და მათ შორის აფხაზეთშიც, ნადირობის და მონადირეების მფარველად, სვე-ბედის მომცემად წმინდა გიორგი ითვლება. ცნობილია, მონადირეები სვანეთშიც სწორედ წმიდა გიორგის (ჯგრაგ) შესთხოვდნენ ნადირობაში ხე-

[28] ნ. აბაკელია. წინაპართაგან დაწესებული ერთი წეს-ჩვეულების შესახებ აფხაზეთში. ჟურნ.: „არტანუჯი". №10. თბ. 2000.

[29] Д. Гулия. Божества Охоты и Охотничий Язык у Абхазов. К этнографии Абхазии. Сухум. 1926.

ლის მომართვას. წარმატებული ნადირობის შემდეგ მონადირე სვანეთში ამ სახის სამადლობელს წარმოთქვამდა: „დიდება ღმერთს, მადლი ღმერთს, დამბადებელო, ბატონო ქვეყნისაო, ნანადირევი და მონადირე ყველა შენი გაჩენილია, რა დროსაც კი მოგმართო, ყოველ დროს შენი კარგი ჯვარი დამწერე, მადლი და სახელი იქნება შენი. ქრისტე მაცხოვარო! დიდება შენდა... მწყალობელო, ცხოველო წმ. გიორგი! დიდება შენდა. ადამიანის მწყალობელი შენა ბრძანდები, დღე და ღამე მარჯვნივ მომყევი, ქაჯ-ეშმაკი მაშორე ჩემს მწყალობელ ღმერთს დიდებას... დალს კლდისას დიდება!..“.[30] სავარაუდოა, რომ რომ აფხაზურ სამონადირეო ციკლში ღვთაება აირგის არსებობა ქართველებთან (სვანებთან) ურთიერთობის შედეგად გაჩენილი კულტურის ელემენტია და აფხაზთა სამონადირეო მითორელიგიურ წარმოდგენებში არსებული ქრისტიანული რწმენის პლასტები ქართული სამონადირეო ეპოსისა და სარიტუალო პრაქტიკის გავლენითაა წარმოქმნილი.

[30] ბ. ნიჟარაძე. იალბუ'სის გარ'ეემი.

Rozeta Gujejiani

ETHNOCULTURAL PROCESSES IN ZEMO (UPPER) ABKHAZIA (DALI, KODORI GORGE)

Summary

According to the historical sources, today's Zemo (upper) Abkhazia was called as Dali Svaneti, i.e. Abkhazian Svaneti, which was later named as Kodori Gorge. Since ancient times it belonged to Svaneti (Western Georgian Highlands) and it was obvious that this territory was always an integral part of Georgia.

Dali Svaneti was connected to the Balskvemo Svaneti by the narrow path (from Chuberi community) to the Jerildi Mountain chain, Dali or Abkhazian Svaneti villages are mainly situated on the banks of the river Kodori and on its beginnings (Sakeni, Gvandra).

Dali gorge was actively mentioned in entire early Medieval history of Georgia: in the 4th - 7th centuries Persia and Byzantium attempted to conquer Georgia. In the second half of the 5th century Georgian King Vakhtang Gorgasali united Svaneti (including Dali) with the Kingdom of Kartli.

Wars between Sassanid Iran and Byzantium, which started in 542, abruptly reflected on two parts of Svaneti – Misimianeti (Dali gorge) and Balsqvemo (Lower Bali) Svaneti. During the Arab invasions (735-738), the Dali gorge population obeyed the Kartli Prince Stephanoz III and his heirs. Later in the Western Georgia new Georgian state, Egrisi-Abkhazian Kingdom, was established. Later it became a part of United Georgian Kingdom.

At the end of the 16th century, there started basic changes in ethnical groups (communities) of Abkhazia. In the result of the permanent invasions from the North Caucasus, the local Georgian population started replacement (movement) from Dali gorge to the deeper part of Svaneti.

In the 17th - 18th centuries in the result of the permanent invasions of the northern Caucasians, the Chuberi gorge was depopulated for long time, and in Dali gorge the Georgian (Svanetian) population was almost destructed and they were gradually replaced by the newly come Adyghean/Abkhazian ethnical group.

According to the ethnographical materials, a part of the survived Georgians of Dali gorge resettled in the Balsqvemo Svanetian villages. Subsequently, from the beginning of the 19th century, there started the Georgians big resettlement processes in Dali gorge This was not a process of development of the new, unknown territories but resettlement of the Georgians to their historical living place, Dali Svaneti.

Until 30-40s of the 19th century the Abkhazian cattlemen and shepherds paid taxes to the rulers of the Balsqvemo (Lower Bali) Svaneti the Dadeshqelians, in order to use the productive pastures in the mountains of Dali gorge. After the first occupation of Georgia by Russia, the Abkhazians stopped paying taxes, in the result of which, there often took places multiple attacks between the Svanetian principality and the Abkhazians.

Soon the Russians started to be settled in the gorge. The government harshly opposed settlement of the Georgians there, but still by 1926 there were 29 Georgian villages in Dali gorge.

Georgian population of Dali gorge was deprived of opportunity to have educational and medical establishments for a long period, people lived in unbearable conditions.

After the second occupation of Georgia by the Russians, the autonomous district of Abkhazia was divided into 5 uyezds (districts). Kodori gorge entered into various administrative borders. After liberation of Georgia in 1991, Dali gorge was within the frames of Gulripshi region, Azhara community of the Autonomous Republic of Abkhazia.

After the Russian-Georgian War (2008), Russian military forces occupied the Kodori gorge. At this moment, there are about 2600 Georgian refugees from the Dali gorge.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

მაია შაორშაძე

XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი სასულიერო მოღვაწეები მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად

1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობას და მონარქიის გაუქმებას, ბუნებრივია, მოჰყვა არა მარტო მოწინავე საზოგადოებისა თუ უბრალო ხალხის თანდათანობით შევიწროება, არამედ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ეკლესიის უმაღლესი იერარქიაც და სხვა სასულიერო პირებიც. ისინი იძულებული გახდნენ შეგუებოდნენ ახალ რეალობას, თუმცა შეძლებისდაგვარად იბრძოდნენ ეკლესიის კუთვნილი ადგილისა და მდგომარეობის შენარჩუნებისათვის, სიწმინდეთა დაცვისათვის, რომელნიც აშკარა საშიშროების წინაშე დადგნენ. ამის ბევრი მაგალითი ცნობილია საქართველოს ისტორიიდან, მაგრამ ჩვენ ამჯერად გვინდა შევჩერდეთ ერთ ფაქტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის კვლავ გააქტიურების გამო XIX საუკუნის დასაწყისიდანვე. კერძოდ, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია **1802 წლის ქართლ-კახეთის სასულიერო პირების მოხსენებითი ბარათი რუსეთის იმპერატორისადმი,** საიდანაც ვგებულობთ, რომ ქართლ-კახეთის ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები აღიარებენ რა რუსეთის იმპერატორის 1801 წელს მიღებულ მანიფესტს ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების თაობაზე, მიმართავენ იმპერატორ ალექსანდრე I-ს (1801-1825 წწ.), რათა საუკუნეთა მანძილზე აოხრებულ და დასუსტებულ საქართველოს ეკლესია-მონასტრებს შეეწიოს, აღადგინოს, შეამკოს, დაიცვას და დაიფაროს ისინი. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიეცეს საშუალება, ძველებურად მართოს და განაგოს ეკლესიის საქმეები, ეპისკოპოსებს შეუნარჩუნდეთ თავთავიანთი ხარისხები და ეპარქიები, მამულები, ყმები, შეწირულობები და შემოსავლები. სასულიერო დასის განსაკუთრებულ სათხოვარს კი წარმოადგენს ის, რომ გაუგიათ ლათინთა მხრიდან იმპერატორისადმი მიმართვის ამბავი, სადაც ისინი ითხოვდნენ უკან დაებრუნებინათ გარკვეუ-

ლი დროის მანძილზე მათი ყოფილი ეკლესიები თბილისსა და გორში. ქართველი სასულიერო პირები შეახსენებენ იმპერატორს, რომ მეფე თეიმურაზ II-მ (კახეთის გამგებელი 1709-15; მეფე 1733-44; ქართლის მეფე 1744-62 წწ.) და ერეკლე II-მ (კახეთის მეფე 1744-62; ქართლ-კახეთის მეფე 1762-98 წწ.), კრების დადგენილებითა და გადაწყვეტილებით, საზოგადოების წინაშე ჩადენილი დიდი ბრალისა და შეცოდებისათვის კათოლიკეები განდევნეს საქართველოდან, მათი კუთვნილი მცირე ტაძრებიც დიდი ხნის წინათ ჩამოართვეს და მართლმადიდებლურ ეკლესიას დაუბრუნეს. ქართველი სასულიერო პირები წუხან იმაზეც, რომ ამ მართლმადიდებლურ ეკლესიებში წლების მანძილზე მრავალი ქართველი საერო და სასულიერო პირი იყო დასაფლავებული და ამის გამოც მათი კათოლიკეებისათვის დაბრუნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა.

არსებობს ამ სიგელის ორი დედანი (ფონდი 1448. საქმე 9200; ფონდი 1448. საქმე 9199), რომლებიც შედგენილია 1802 წლის 28 და 29 აპრილს. დოკუმენტი დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო ლიტერატურაში. ტექსტი ძირითადად ერთნაირი შინაარსისაა, განსხვავება მხოლოდ ეპისკოპოსთა რამდენიმე ხელრთვაში შეინიშნება. სიგელი დაწერილია მოყვითალო ფერის ქაღალდზე, ზომა 29,5X21 სმ. მელანი შავი, განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთწერტილი. ტექსტი ნაწერია r-ზე და v-ზე. ყოველი აბზაცი იწყება ასომთავრული ანბანის ასონიშნებით (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია). წერილის შინაარსი სრულად ასეთია:

უავღუსტესო მონარჯო,

ყ(ოვლა)დ მოწყალევ ჯელმწიფევ:

ვინადგან მივიღეთ ცხად ყოფაჲ ნამდჳლი, ყ(ოვლა)დ მაღლითა ბრძანებითა თჳთმპყრობელობისათა, ყოვლისა როსიისა და ივერიისა უსაშუალოდ შეერთებისათჳს უჭეშმარიტესითა მანიფესტითა და აღჴსთქჳთ ფიცი ყოვლითა ჩვენდამო ჰრწმუნებულითა ერითა, ვიდრე წვეთადმდე სისხლისა მოწამედ ყოველთა მხილველისადმი თვალისა, უთჳთმპყრობელესისა ერთმთავრობითისა ნებისა დამცველნი და სახედ და მაგალით ქმნითა ყოველთადმი სარგებლობისა საკუთრად ყოვლისა საზოგადოობისა, იგივე სისხლითა, ფიცითა და წამებითა, უსაშუალოდ ერთ ყოფად შეერთებულნი უმოწყალესითა მოხედჳთა ვითხოვთ უმონებრივესად ყ(ოვლა)დ სამღუდელონი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი სრულიად ქართლისა და კახეთისანი:

ინებოს ყ(ოვლა)დ მოწყალემან ჴელმწიფემან ჩვენმან, რათა გვაქუნდეს თჳს თჳსთა ხარისხთ შინა მყოფთა იგივე პატივი ყ(ოვლა)დ სამღუდელოთა მიტროპოლიტთა, არხიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა თანა, ყოვლისა როსიისათა მართლმსაჯულებითა მისის დიდებულების იმპერატორებისათა, ეკკლესიათა და ყოველთა სამღუდელოთა წესთა ჩვენთა იგივე კანონი, იგივე დაცვა და იგივე პატივი, ვითარ იგი სცხოვრებენ მოწყალებითა მისის დიდებულების იმპერატორისათა როსიასა შინა ყ(ოვლა)დ სამღუდელონი და არხიმანდრიტნი, ხ(ოლ)ო ეკკლესიათა უმეტეს უკუჱ სასაყდროთა შეკრებითთა ტაძართა მღუდელმთავართათა და მონასტერთა, რომელნიცა მრავალგზის მტერთა დასხმისა გამო, აღოჴრებულ არიან და უკიდურესსა სიგლახაკესა და ნაკლულევანებასა შინა იმყოფებიან, შევავედრებთ მისსა იმპერატორებითსა დიდებულებასა, მსასოებელნი, რომელ მაღალ ერთმთავრობითთა მისთა უხვებათაგან იქმნებიან აღდგინებულ და შემკულ და ღ(მრ)თივ აღმაღ‖ლებული მარჯვენე მისი იქმნების მარადის მფარველ და დამცველ მათისა კეთილმდგომარეობისა.

უკეთუ ესე არა ინებოს ყ(ოვლა)დ მოწყალემან ჴელმწიფემან ჩვენმან, მაშა გვაქვნდეს ჩვენ მსგავსად პირველთამებრ მეფეთა ჩვენთათვის უფლებაჲ ყმისა და მამულისა და არავისგან მძლავრებაჲ, ვითა ცხად ჰყოფენ გუჯარნი ეკკლესიათა ჩვენთანი და შეწირულებანი მეფეთა ჩვენთა ზედა და კვალად გუჯარნი სამწყსოთა ჩვენთანი, ვითარ აქამომდე იგივე წესი და მწყსაჲ ერისა შემოსავალისათჳს მათგან არათუმებრ კანონისა ჩვენისა იქმნებოდეს, ა(რამე)დ კანონისამებრ და რაოდენობისა რუსეთისა იმპერიასა შინა განწესებულისა ყმისა და მამულისა იქმნებოდეს და კუალად რათა მთავარნი მის კერძოსანი დადგენილნი მისის დიდებულების იმპერატორებისაგან შეეწეოდენ ეპისკოპოსთა.

ესმა სასმენელთა ჩვენთა, ვ(ითარმე)დ უთხოვიეს ლათინთა ტფილისს და გორსა შ(ინ)ა ეკკლესიანი. ინებოს ყ(ოვლა)დ მოწყალემან ჴელმწიფემან ჩვენმან არა ბოძებად მათდა იგინი, ვინადგან მიუღო იგინი ცხებულმან მეფემან თეიმურაზ და მეფემან ირაკლი თანა კრებით, დიდისა ბრალისა და შეცოდებისათჳს საზოგადოობისა, განიდევნნეს ლათინნი და მიეღოთ ეკკლესიანი, რომელიცა ესე პატიჟი მცირე იყო მათისა ყოვლადისა ბრალეულებისა და მიერ დღითგან იქმნნეს ეკკლესიად მართლმადიდებელთა, ინებოს ყ(ოვლა)დ მოწყალემან ჴელმწიფემან ჩვენმან, არღარა უკუნქცევად მათდა, რომელთა შორის მრავალნი სამღუდელონი და საერონი კეთილშობილნი კნიაზნი მარხიან, რომელიცა ჰშობს ჩვენ შორის დიდსა მწუხარებასა და ურვასა ყოვლისადმი საზოგადოობისა.

წელსა 1802, აპრილს 29, ტფილისს. ||

ხელრთვები:

მდაბალი მიტროპოლიტი სამთავროსა და გორისა და წილკანისა იოანე.

მდაბალი მიტრაპოლიტი ხიზიყისა და სიღნაღისა ბოდბელი იოანნე.

მდაბალი მიტროპოლიტი ნინოწმიდისა და საგარეჯოსი მიხაილ.

მდაბალი არხიეპისკოპოსი რუსთავისა და მარტყოფისა სტეფანე.

მდაბალი ეპისკოპოსი ნეკრესისა ამროსი.

მდაბალი ეპისკოპოსი ხარჭასოში ნიკოლაოს.

მდაბალი მიტრაპოლიტი ტფილისისა და ეფისკოპოზი მანგლისისა და ბოლ<ი>ნისისა ბაგრატოვანი არსენი.

მდაბალი მიტრაპოლიტი რუისისა და სურამისა არხიმანდრიტი, თავდებასა მღთისმშობლისა, მრუელი იუსტინე.

მდაბალი ეპისკოპოსი სამთავისისა და ქსნისა ღერვასი.

მდაბალი ეპისკოპოსი ნიქოზისა ათან{ა}სე.

არხიმანდრიტი მოძღვართმოძღვარი იოაკიმ.

მრავალმთის დავით გარესჯის არხიმანდრიტი უდაბნოსა ილარიონ.

არხიმანდრიტი იკორთისა გამალიელ.[1]

რაც შეეხება 1802 წლის 28 აპრილით დათარიღებულ მეორე სიგელს, რომლის შინაარსიც იგივეა, ხელრთვებში არის შემდეგი განსხვავებანი:

მდაბალი მიტრაპოლიტი სიღნაღისა და ხიზიყისა ბოდბელი იოანე.

მდაბალი მიტროპოლიტი ტფილისისა და ეფისკო(პო)სი მანგლისისა ბაგრატოვანი არსენ.

ყ(ო)ვ(ლა)დ მდაბალი მიტროპოლიტი ნინოწმინდისა და საგარეჯოსი მიხაილ.

მდაბალი არხიეპისკოპოსი რუსთავისა და მარტყოფისა სტეფანე.

მდაბალი მიტროპოლიტი წილკანისა, არაგვისა, მუხრანისა და ახალგორისა იოანე.

ყ(ოვლა)დ სამღუდელო ურბნისისა და ცხინვალისა იულიოს.

ყ(ოვლა)დ სამღუდელო ნეკრესისა ავროსი.

ყ(ოვლა)დ სამღუდელო სამთავისისა და ქსნისა ღერვასი.

ყ(ოვლა)დ სამღუდელო ხარჭასოსი ნიკოლაოს.

ყ(ოვლა)დ სამღუდელო ნიქოზისა ათანასი.[2]

---

[1] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი 1448. საქმე 9200.
[2] სცსა. ფონდი 1448. საქმე 9199.

როგორც ჩანს, მეორე დღეს შედგენილი სიგელი უფრო სრულია, ვიდრე მისი პირველადი ვარიანტი. წერილს ხელს აწერს ათი მღვდელმთავარი და სამი არქიმანდრიტი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დოკუმენტს არ ახლავს კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის (1788-1811 წწ.) ხელრთვა. ძალიან საინტერესოა აგრეთვე, კონკრეტულად რომელ ქართველ საერო და სასულიერო პირთა საფლავები იგულისხმება თბილისისა და გორის აღნიშნულ ტაძრებში, მაგრამ ეს ამჯერად ჩვენთვის უცნობია და შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს.

დოკუმენტში ნახსენები მეფეების – თეიმურაზისა და ერეკლეს გადაწყვეტილებაში ნაგულისხმევია 1755 წლისა და მისი შემდგომი მოვლენები, როცა საქართველოში კათოლიკეების შევიწროება დაიწყო. გასათვალისწინებელია იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება საქართველოში და ანტიკათოლიკური პროპაგანდა. საეკლესიო კრებამ სწორედ 1755 წელს გადააყენა კათალიკოსობიდან ანტონ I (1744-1755, 1764-1788 წწ.) კათოლიკური სარწმუნოების მიღების ბრალდებით. როგორც ჩანს, ამ ფაქტმაც თავისი გავლენა იქონია თეიმურაზის პოლიტიკაზე კათოლიკე მისიონერების მიმართ.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ერთი საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ გორის აღნიშნული ტაძარი გარკვეული დროის მანძილზე „ნაქონი“ და კუთვნილი ყოფილა კათოლიკე მისიონერებისა, მაგრამ თეიმურაზ მეფემ ეს ტაძარი და მის გვერდით მდებარე სასახლე ჩამოართვა მათ და გადასცა კირილე ქართლის მთავარეპისკოპოსს, როგორც გორისა და აქ მცხოვრები მართლმადიდებელი მრევლის მწყემსმთავარს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1755 წლიდან დღევანდელ გორის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა მართლმადიდებლური წესით აღესრულებოდა.

ეს საბუთი წარმოადგენს დედნის პირს და ჩვენ მიერ იგი გამოქვეყნებულია 2010 წელს „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანის“ XII ტომში. მისი შინაარსი ასეთია: „ქ. ჩვენი ბრძანება არის, გორს პატრების საყდარი და სასახლე მთავარეფისკოპოზის, ბატონის წმინდას კირილესათვის გვიბოძებია და წყალობა გვიქნია, თავის ტახტათ და სადგომათ, როცა გორს მიბრძანდებოდეს, ამ საყდარსა და საყდრის სახლებში დადგებოდეს, **რადგან გორი <ქ> {და} ქართველი კაცი, ამის სამწყსო იყო, ეს პატრების ნაქონი ეკლესია ამისთვის გვიბოძებია.** ქრისტეშობის კა, ქ(ორონი)კ(ონ)ს უმგ.“ აქვს ბეჭდის

ადგილი ლეგენდით: ...მ(ე)ფ(ე)...თეიმურაზის დამტკიცებული[3] (ხაზგასმა ჩვენია – მ. შ.).

როგორც ცნობილია, 1629 წელს თეიმურაზ I-ს (1606-1648 წწ.) გორში მტრების მიერ დანგრეული ქართული ტაძარი კათოლიკე მისიონერებისათვის გადაუცია, სადაც მათ თავიანთი ეკლესია აუშენებიათ. გორის ტაძრის ე. წ. კათოლიკური ნაწილი რომ დაშენებულია ქართული ტაძრის საძირკველსა და ნანგრევებზე, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ახლახანს აქ მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების მსვლელობამ.

მის ხელთ არსებული წყაროების ანალიზის საფუძველზე, პროფ. ქ. პავლიაშვილი აღნიშნავს, რომ „...კავკასიის სამხრეთში და კერძოდ, საქართველოში კათოლიკე მისიონერების აღმშენებლობით საქმიანობას საიმპერიო ხელისუფლება ევროპის სუვერენტთა თვალის ახვევის მიზნით ერთგვარ შემწეობასაც კი უწევდა. ამის დასტურია 1806 წელს კაპუცინელი მისიონერებისათვის გორსა და თბილისში ჩამორთმეული ეკლესიების დაბრუნება რუსეთის მთავრობის მიერ, რისთვისაც მათ ხელისუფლებამ 6000 მან. გამოუყო. მისიონერები გამუდმებით ითხოვდნენ ვატიკანისაგან რუსეთის მთავრობასთან საერთო ენის გამონახვას, რათა ჩამორთმეული ეკლესიები დაებრუნებინათ გორსა და თბილისში, რამეთუ ველარ აუდიოდნენ გორის სადგომი სახლის ქირის გადახდას. აღნიშნული კი იმის დასტურია, რომ მისიონერებს 1795 წლიდან გორში ეკლესია უკვე აღარ ჰქონიათ“[4] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კათოლიკე მისიონერებს გორში ეკლესია არა 1795 წლიდან, არამედ 1755 წლიდან ჩამორთმევიათ და იგი მეფე თეიმურაზ II-ს ქართლის მთავარეპისკოპოს კირილესათვის გადაუცია და, შესაბამისად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. ეს მდგომარეობა რომ შენარჩუნებულია 1802 წლამდე, ამის თქმაც ასევე ზუსტად შეიძლება ზემოთ მოყვანილი სიგელის საფუძველზე. როგორც ჩანს, ქართველი სასულიერო პირები წინასწარ გრძნობდნენ საშიშ ტენდენციას კათოლიკეების კვლავ გააქტიურებისა და რუსეთის ხელისუფლებისაგან გარკვეული დროის განმავლობაში მათი მფარველობის გამო. სწორედ ამაზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ 1806 წელს ისინი დროებით

---

[3] სცსა. ფონდი 1449. საქმე 2167 (იხ: მ. შაორშაძე. კათოლიკოს-პატრიარქი კირილე II (ციციშვილი) და მისი მოღვაწეობა. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. ტ. XII. თბ. 2010, გვ. 403-407).

[4] ქ. პაელიაშვილი. ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან (XV-XIX სს.). „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“. XXI. თბ. 2005, გვ. 87.

იბრუნებენ კიდეც გორის ყოფილ, ე. წ. კათოლიკურ ტაძარს და XIX საუკუნის I ნახევრის მანძილზე დროდადრო ინარჩუნებენ კიდეც მას, ვიდრე კათოლიკეებს საბოლოოდ არ განდევნიან საქართველოდან. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი შეუძენია გორის ახლადაგებულ-გადაკეთებული ე. წ. კათოლიკური ეკლესიის საკითხს XIX ს-ის 10-30-იან წლებში, რომლის ტერიტორიაც სადავო გამხდარა.

საქართველოში ანტიკათოლიკური პროპაგანდის შესახებ ძალიან საინტერესოა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XVIII საუკუნის ერთი დოკუმენტის შინაარსი, სადაც დომენიკე პატრი მეფეს კათოლიკეების დაცვას სთხოვს. [5] პატრი აღნიშნავს, რომ ვითომდა მეფესთან კათოლიკეებს ბრალი დასდეს და ცილი დასწამეს, მაგრამ მკაცრი სასჯელისაგან ისინი ისევ მეფემ დაიცვა. მართალია, სხვა სარწმუნოების ვართ, მაგრამ ქრისტიანებად ვიწოდებით — მიმართავს იგი მეფეს. „...თქვენისა სამეფოდამ სრულიად ჩვენი განლტოლვა და გაოტება ნებავსთ, თუ მართალსა სარწმუნოებასა მოიქადიან, მეოთხისა ხ[ა]ლკიდონის კრებისაგან გაყრილნი და მართლმადიდებლობითისა აღსარებისაგან შეჩვენებულნი, ჩვენ მათსა უდარესად სარწმუნოებისა დამაკნინებელად არა ვიპოებით და თუმცაღა ამითიც მრუმედ მოვიპოებდეთ, ვითამც სხვისა სჯულისანი ვართ, რადგანც სხვანი სჯულნი იპოებიან სამეფოსა თქვენსა. მაშა ამადგან ესრეც ძალ მიღებულნი და თხემ დამუსრვილნი არ უნდა ვიქმნნეთ.“ როგორც ჩანს, კათოლიკეები საქართველოში დიდად შეუვიწროვებიათ და შიშით შეპყრობილი პატრი მეფეს სთხოვს, რომ სხვათა სიტყვას არ ენდოს და თვითონ განსაჯოს სამართალი. „...თვინიერ თქვენსა შეწყალებისა სასოებასა არა სადა მოველით ჩვენ გაფრანგებასა არა რომლისამე სულისას მოგახსენებთა მათა, ვინათგან მათ ესეთისა ვერაგობითა იღონისძიონ ბრალსა ქვეშედ არა განვლიგდეთ და მათგან ბოროტთა საცინელებათა არა მივეცნეთ. დიდნი შემცოდენი ვართ უმეტეს კაცის მკვლელისა მას ბარაბასსა, მარა მაჰმადისა მოსაეთაცა თვისთა სჯულთა ვერა შეაგინებენ, რომ მღვთისა იესოსი უარის მყოფელნი არიან, ჩვენ შუკათა და ფოლორთცთა ქვა დასაკრებად გვდევენ და გვეძიებენ და უწყალოსა საკიცხელისა სიტყვითა სარწმუნოებასა და საიდუმლოთა და პაპასა გვაგინებენ, რომელიცა მეფობისა თქვენისა ნი[შ]ნად არ იკადრება... აწ უმაღლესო მეფეო, მას ჴორც ქმნილსა სიტყვასა ავასხეთ და ერთი მოწყალებისა გზა დაგვიდევით, რომენ თქვენთა სამეფოთა თქვენი მლოცველნი შეწყალებისა ნი[შ]ნითა ვიპოებოდეთ.“

[5] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). Sd-2854 (პირი).

ბოლოს კი დომენიკე პატრი დასძენს: „ქ. და ესეცა მოუმტერებიათ, რომენ საცა საზრდელთა და სასმელთა მომფარდველნი კაცნი გვყვეს, მათთვის ფიცით უთქვამსთ, თუ მათზედ მცირე განფარდეთ ნივთით რაღმეო, რამდენსამე თეთრ თუმანს წაგართმევთო, ისინი სიყმილით უნდა მოისპენნო და კიდეც ჩანს, რომ ლამის სულმიღებულნი შევიქმნათ ვერღა მოსყიდითა.“

ერთი შეხედვით, წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ თითქოს კათოლიკეებს უსამართლოდ და უმიზეზოდ დევნიდნენ საქართველოში, მაგრამ როგორც სხვა წყაროებიდან ირკვევა, საქმე ასე მარტივადაც არ უნდა ყოფილიყო და ამ დროისათვის ანტიკათოლიკური პროპაგანდა უსაფუძვლოდ არ უნდა დაწყებულიყო. რეალურად ამ მოვლენას უფრო ღრმა ფესვები მოეპოვებოდა, თორემ იყო დრო, როცა კათოლიკე მისიონერებს საქართველოში დევნა კი არა, გარკვეული ხელის შეწყობაც კი მოეპოვებოდათ, ისევე როგორც სხვა კონფესიებს. სხვაგვარად ისინი თავიანთი ტაძრების აშენებას და საქართველოში დამკვიდრებას უბრალოდ ვერ შეძლებდნენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი ნაშრომია ცნობილი კათოლიკობის შესახებ საქართველოში და ჩვენ ახლა აღარ შევუდგებით კიდევ ერთხელ მათ აქ მოყვანას. აღნიშნულის შემდეგ საინტერესო იქნება მხოლოდ მოკლედ მიმოვიხილოთ ის საერთო მდგომარეობა, რაც გვიან შუა საუკუნეებში თან ახლდა კათოლიკეების მოქმედებებს საქართველოში.

როგორც ცნობილია, XVII-XVIII საუკუნის ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ პაპის ავტორიტეტითა და საფრანგეთის დახმარებით კავკასიის დიდი ნაწილის შეკავშირებას ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ, თუმცა ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ამ მიზნით წლების მანძილზე არაერთხელ გაიგზავნა ევროპაში ქართველი ელჩობები.

XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში ჩამოვიდნენ ფრანცისკანელთა ორდენის მისიონერები, ე.წ. კაფუცინები, რომელნიც, ფაქტობრივად, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის აგენტები იყვნენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია დადგენილია კათოლიკური ეკლესიის ცენტრის – ვატიკანის სწრაფვის რეალური მიზნები საქართველოსთან მიმართებით. კათოლიკური სარწმუნოების დამკვიდრების შემთხვევაში საქართველოს პლაცდარმის როლი უნდა შეესრულებინა აღმოსავლეთში და ევროპულ პოლიტიკურ მიზნებს მომავალი ამ გზით ექნებოდა. ევროპასთან კათოლიკობის გზით ურთიერთობას საქართველოსთვის კი კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელობა იმ მხრივ ჰქონდა, რომ შემოსულ მისიონერებს

შორის იყვნენ მწერლები, მხატვრები, ექიმები, ინჟინრები, გეოგრაფები, ასტრონომები და სხვა. მათ მიერ გახსნილ სკოლებში (თბილისი, გორი, ახალციხე, გურია, სამეგრელო) ისწავლებოდა ქართული, იტალიური, ლათინური, ფრანგული ენები. გროვდებოდა აგრეთვე ფოლკლორული მასალა. ზოგიერთ ნიჭიერ ახალგაზრდას საშუალება ეძლეოდა ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მიეღო განათლება. XVIII-XIX საუკუნეებში ქართველი კათოლიკეები ძირითადად ცხოვრობდნენ ქალაქებში: თბილისში, გორში, ქუთაისში, ახალციხეში, სამცხის, არტაანისა და შავშეთის სოფლებში. ქართველ კათოლიკეთათვის მღვდელმსახურების ენა ლათინური იყო. XVI საუკუნიდან მის გვერდით თანდათან გავრცელდა კავკასიის კათოლიკეთათვის ვატიკანის მიერ დამტკიცებული სომხურენოვანი რიტი (ტიპიკონი). მის დანერგვას ხშირ შემთხვევაში მოსდევდა ქართველ კათოლიკეთა სახელისა და გვარის შეცვლაც ამ რიტის შესაბამისად. ასეთმა ვითარებამ კი შემდეგ მრავალი გაუგებრობა წარმოშვა.[6]

XVIII საუკუნე მსოფლიო ისტორიოგრაფიაში კათოლიციზმის პროპაგანდის ოქროს ხანად არის მიჩნეული. ეს აისახა საქართველოს ცხოვრებაზეც. ხოლო XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოს ისტორიაში კათოლიციზმის დაცემის ხანადაა აღიარებული. პროფ. ქ. პავლიაშვილის მიხედვით, რუსეთის მთავრობის პოლიტიკა კათოლიკური მისიებისადმი პირობითად ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს: პირველი ეტაპი XVIII ს-ის მიწურულიდან XIX ს-ის 30-იანი წლების ჩათვლით და ის ერთგვარი კომპრომისულობით გამოირჩევა და მეორე – XIX ს-ის 40-50-იანი წლები, როდესაც რუსულმა პოლიტიკამ კათოლიციზმისადმი აგრესიული ხასიათი შეიძინა. ორივე ეს ეტაპი რუსეთის საგარეო პოლიტიკის სისხლხორცეული ნაწილი იყო.[7] როგორც ცნობილია, ამ დროს აიკრძალა კათოლიკური პროპაგანდა, მისიონერები ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკურ აგენტებად იქნენ მიჩნეულნი, ისინი ჩამოაცილეს პოლიტიკურ-დიპლომატიურ საქმეებს და უკიდურესად შეავიწროვეს. ცარიზმმა კათოლიკეთა უცხოურ მისიონერთა ნაკადს დაუპირისპირა ადგილობრივი სომეხი კათოლიკენი, რომელთაც, როგორც რუსული ორიენტაციის მატარებლებს, ყოველნაირად ხელს უწყობდა. რუსეთის მთავრობა ყველაფერს აკეთებდა მისიონერთა აღმო-

[6] იხ: შ. ლომსაძე. გეეანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები. თბ. 1979.

[7] ქ. პავლიაშვილი. ფრაგმენტები გორის კათოლიკური ეკლესიის ისტორიიდან (XV-XIX სს.), გვ. 86.

სავლეთიდან განსადევნად. განსაკუთრებით გაურთულდათ არსებობა მესხეთის ქართველ კათოლიკეებს, რომლებიც ქართულენოვანი ტიპიკონის დანერგვისთვის იბრძოდნენ. ცარიზმი საერთოდ არ სცნობდა ქართველ კათოლიკეებს და მათ ყველა აღწერაში სომხებად აღრიცხავდა. ასეთ ვითარებაში XIX საუკუნის 40-იან წლებში ფრანცისკანელთა მისიონის წევრებმა დატოვეს საქართველო და ეს მისიონი გაუქმდა. კათოლიკურ მრევლს ადგილობრივი ქართველ-სომეხი ბერ-მონაზვნები უძღვებოდნენ.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში კათოლიკეები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ქუთაისის კათოლიკურ ტაძარს, რისი დამადასტურებელიცაა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ერთი დოკუმენტი **„დავთარი ქუთაისის ჰრომის-კათოლიკეთ ეკკლესიისა, რომელსა შინა იწერების ყოველი შემოსავალი და გასავალი ამავე ეკკლესიისა, დაწყებული 1845 წელსა, იანვრის 14-სა დღესა და არს წელთათვის 1845-ისა და 1846-ისა.“**[8] როგორც სათაური მიანიშნებს, დავთარში აღნუსხულია ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის შემოსავალი და გასავალი 1845 წლიდან 1846 წლამდე. დავთარს აქვს ამავე ეკლესიის ბეჭედიც. აღნიშნული შემოსავალ-გასავალი კათოლიკეების ჯერ კიდევ საკმაოდ შეძლებულ მდგომარეობაზე მეტყველებს.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობის ორ მიმართულებად – მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებად ჩამოყალიბებამ, მათ შორის მრავალი დოგმატური, საღვთისმსახურო, ორგანიზაციული და კულტურული განსხვავებები წარმოშვა. ამ მხრივ ურთიერთობა საუკუნეთა მანძილზე ხშირად მწვავე დაპირისპირების საგანიც გამხდარა. თავდაპირველად საქართველოში არ იზიარებდნენ საბერძნეთის რადიკალურ შეფასებებს რომის ეკლესიის შესახებ და აქ შედარებით ფრთხილი დამოკიდებულება არსებობდა, რომლის მკვეთრად გამომხატველია გიორგი მთაწმინდელი, რასაც იგი კონსტანტინოპოლის იმპერატორთან საუბარშიც ამჟღავნებს. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ დროისათვის კათოლიკობაში ჯერ კიდევ არ იყო იმდენი დოგმატური და საღვთისმსახურო განსხვავებები, რომლებიც შემდგომში თანდათან მომრავლდა, გაიზარდა და მკვეთრად მიუღებელი სახე მიიღო. მოგვიანებით, ბერძნული შეხედულება საქართველოშიც ნელ-ნელა იკიდებს ფეხს, თუმცა ბერძნულთან შედარებით იგი გაცილებით რბილ ხასიათს ატარებს. ამითაა გამოწვეული ის გარემოებაც, რომ ანტიკათოლიკურ თხზულებათაგან ქართულად ითარგმნა

[8] ხელნ. Q-529.

მხოლოდ ერთი – XI ს-ის მიწურულისა და XII ს-ის დამდეგის მწერლის – ევსტრატი ნიკიელ მიტროპოლიტის (გარდ. 1117 წ.) „მოსაკსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათჳს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“. ეს თხზულება მოგვიანებით XII-XIII ს-ის არსენ ვაჩეს ძის დოგმატიკონშიც შეუტანიათ (S-1463) (შესულია აგრეთვე 1541 წ-ის (S-312) და XVIII ს-ის (S-2951) პოლემიკურ-დოგმატიკურ კრებულებში, ასევე 1778 წლის (A-267) დოგმატიკონში).

XVIII საუკუნეში კათოლიკური პროპაგანდა იმდენად გაძლიერდა საქართველოში, რომ საჭირო გახდა ამ პროცესის შეჩერება. კათოლიკობის წინააღმდეგ გაილაშქრა ანტონ I-მა კათალიკოსმაც, რომელსაც თავის „მზამეტყველების“ მესამე წიგნში აღნიშნულის თაობაზე ცალკე თავი შეუტანია. XVIII საუკუნის ბოლოს ანტონ კათალიკოსის ბრძანებით პორფილე ბაგრატიონმა გადმოთარგმნა რუსი მღვდელმთავრის – თეოფანე პროკოპოვიჩის თხზულება „ისტორია თჳს დაწყებისა განხეთქილებისა შორის ბერძენთა და რომაელთა თჳს გამოსლვისა სულისა წმიდისა“.

არსებობს აგრეთვე ვინმე რომანოზისაგან ანტონ არხიმანდრიტისადმი 1830 წელს გაგზავნილი ნაშრომი „რომის განდგომისათჳს მართლმადიდებლობისაგან“ (XVIII-XIX სს.) (Q-52).

კათოლიკობის საწინააღმდეგო განწყობის ასახვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **კათალიკოს-პატრიარქ ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის** (1724-1737 წწ.) პოლემიკური ხასიათის თხზულებაში **„ვრდემლი“**. არსებობს მისი მრავალი ნუსხა: XVIII საუკუნის, რომელსაც აქვს ჩანამატები და მინაწერები ნუსხურით (S-286), ტიმოთე გაბაშვილის მიერ გადაწერილი, რომელიც ადრე ეკუთვნოდა მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის მონასტერს (A-119). შესულია აგრეთვე XVIII ს. კრებულში (S-3269), რომლის გადამწერია ფილიპე, ასევე S-1596, A-156, A-298, A-1395, A-1591 და სხვა.[9]

ბესარიონ კათალიკოსი გარეჯის ლიტერატურული სკოლის ღირსეული წარმომადგენელია. მონასტერში ყოფნის დროს მას არაერთი ხელნაწერი და თხზულება გადაუწერია, განსაკუთრებით ასკეტიკური ხასიათისა, მათ შორის, კლემაქსი, ლავსაიკონი, კასიანე რომაელი და სხვ. თუმცა მისი ორიგინალური თხზულებებიდან გამოირჩევა პოლემიკური ხასიათის ნაშრომი

[9] იხ: მ. ქავთარია. ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. I. თბ. 1959; კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. I. თბ. 1980.

„გრდემლი“, რომელიც მას ჯერ კიდევ ნათლისმცემლის უდაბნოში ყოფნის დროს დაუწერია. ბესარიონ ორბელიშვილს ამ საქმეში იმ დროს თბილისში მყოფი ლათინთა მოძღვარი ფრანცისკო ბოლონიელი, კაფუცინი დახმარებია. თხზულება განმსჭვალულია კათოლიკობისა და რომის ეკლესიის წინააღმდეგ და მის დოგმატთა და საეკლესიო წესთა კრიტიკას შეიცავს. კათოლიკობის პროპაგანდა მის დროს ძალზედ გაძლიერებულა და მრავალი მიმდევარიც გამოსჩენია. ამის აღმოსაფხვრელად და განსადევნადაა სწორედ მიმართული მისი თხზულებაც.

აღნიშნულ მოღვაწეთა საქმის გამგრძელებლებად გვევლინებიან ზემოთ ჩამოთვლილი XVIII ს-ის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი სასულიერო პირებიც, რომელთა კათოლიკეების საწინააღმდეგო განწყობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მასში დაცული სიწმინდეების დასაცავად იყო მიმართული და რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილი წერილიც პირველ რიგში სწორედ ამის დადასტურებაა. ზოგჯერ, კალმით ბრძოლის გარდა, საჭირო ხდება რეალურ ქმედებებზე გადასვლაც, ამიტომ ყველა იმ ადამიანის ღვაწლი, რომლებიც მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებისა და მათში დაცული სიწმინდეების დასაცავად შეძლებისდაგვარად იბრძვიან, შთამომავლობამ არ უნდა დაივიწყოს და ღირსეული ადგილი მიუჩინოს ერის ისტორიაში.

Maia Shaorshadze

GEORGIAN ECCLESIASTIC FIGURES DEFENDING THE ORTHODOX CHURCH IN THE BEGINNING OF THE 19TH CENTURY

Summary

After the Russian conquest of the kingdom of Kartl-Kakheti in 1801, the Georgian Church and the ecclesiastic figures were in bad conditions. They were forced to get used to a new reality, however, they still fought for the rights of the Georgian church.

This is the first time when the letter of the ecclesiastic figures of Kartl-Kakheti of 1802, addressed to the Russian Emperor, is published. In this letter bishops and archimandrites of Kartl-Kakheti asked the Emperor Alexander I for help in restoration and protection of the Georgian churches and monasteries, which were destroyed throughout the centuries. They also express their wish to cofirm their rank, dioceses, estates, serves and incomes. The special request of the ecclesiastic figures is connected to former Catholic churches located in Tbilisi and Gori. The Catholics were trying to get these churches back. The Georgian bishops and archimandrites asked the Emperor not to return these churches to the Catholics.

The presented article includes information about the Catholics living in Georgia, their purposes and relationships with the Georgian society throughout the centuries.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

ხათუნა ბაინდურაშვილი

ახალი მასალა ჩრდილოეთ კავკასიაში ცარიზმის რელიგიური პოლიტიკის შესახებ

რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი საკითხი, რომელიც ჩრდილო კავკასიაში ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას ეხება.[1] თუმცა საიმპერატორო ხელისუფლების მხრიდან ჩეჩნების, ინგუშებისა და დაღესტნის მოსახლეობის დამორჩილებისათვის გატარებული ღონისძიებები, რომლებიც მათი რელიგიის საკუთარი ინტერესების განხორციელებისათვის გამოყენებას ემსახურებოდა, კონკრეტული კვლევის საგანი არ გამხდარა. ჩრდილო კავკასიაში ცარიზმის რელიგიური პოლიტიკის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო მასალა ინახება ხელნაწერეთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მიხეილ თუმანიშვილის არქივში. ესაა რუსულ ენაზე შედგენილი ოთხგვერდიანი ნაბეჭდი წერილი სათაურის გარეშე, ნომრით 1248. წერილს ბოლოში ლურჯი ფანქრით მიწერილი აქვს 1859 წლის 15 მაისი.[2] ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ეს უნდა იყოს წერილის შედგენის თარიღი.

საარქივო მასალა თავისი შინაარსითა და დანიშნულებით წარმოადგენს ანგარიშსა და ინსტრუქტაჟს კომპეტენტური პირისა, რომელიც კარგად იცნობს და ფლობს ინფორმაციას კავკასიის მთიელებში არსებული მდგომარეობის შესახებ. კარგად აცნობიერებს იქ ცარიზმის რელიგიური პოლიტიკის არსსა და მიზანს ისლამთან მიმართებით, საიმპერატორო ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად შექმნილ ვითარებას.

საარქივო მასალა საინტერესო და საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იგი ასახავს ისლამის იმ ცოდნას, რაც დაგროვდა რუსეთის იმპერიაში ცა-

[1] История дагестана. т. II. М. 1968; В. Г. Гаджиев. Роль России в истории Дагестана. М. 1965; Г. Ш. Каймаразов. Очерки истории культуры народов Дагестана. М. 1971.

[2] ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი. მ. თუმანიშვილის არქივი. № 1248, გვ. 4. (შემდგომში ხეც. №1248).

რიზმის მიზანმიმართული ძალისხმევით კავკასიის მთიელთა დამორჩილების საქმეში ისლამის მათ სასარგებლო იარაღად გამოყენებისათვის.

აღნიშნული წერილის ავტორი აშკარად ხელისუფლების მოხელეა. იგი კარგად იცნობს ადგილზე შექმნილ რელიგიურ და სოციალურ ვითარებას, კარგად იცნობს ისლამის რელიგიურ მოძღვრებას, რომელსაც **ისლამიზმს** უწოდებს. იცნობს ამ რელიგიის სოციალურ არსს. მიგვაჩნია, რომ ტერმინ **ისლამიზმის** გამოყენება არ შეიძლება მართებული იყოს, რადგან ისლამიზმი, როგორც ტერმინი, საარქივო მასალაში მხოლოდ ისლამს აღნიშნავს და მას კონკრეტულ მომენტში საერთო არაფერი აქვს ისლამიზმთან, მის ზოგად და ვიწრო ცნებასთან და არსთან. ისლამიზმი ზოგადი მნიშვნელობით გამოიყენება ისეთი მუსლიმური მოძრაობებისა და დაჯგუფებების მიმართ, როგორებიც არიან ფუნდამენტალისტები, ინტეგრისტები, ტრადიციონალისტები, ექსტრემისტები და ტერორისტები, რომელთა იდეოლოგიის დედაარსია პირვანდელ ისლამთან დაბრუნება, ერთიანი მუსლიმური თემისა და სახალიფოს შექმნა. ვიწრო მნიშვნელობით კი ისლამიზმი ეწოდება XX ს-ის 60-70-იანი წლებიდან დაწყებულ მოძრაობას, რომელიც ისლამში უპირველესად პოლიტიკურ იდეოლოგიას ხედავს და მთავარ ყურადღებას ხელისუფლების საკითხს აქცევს. ისლამისტებისათვის ისლამი წარმოადგენს გლობალურ და ტოტალურ იდეოლოგიას, რაც ნებისმიერი საკითხის განმსაზღვრელია.[3]

წერილის ავტორი კარგ ცოდნას ამჟღავნებს ისლამისა და შარიათის არსისა და მუსლიმთათვის მათი მნიშვნელობის საკითხში.

საარქივო მასალიდან კარგად ჩანს მთიელთა ის მდგომარეობა შარიათისა და ადათის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ აქ რუსეთის პოლიტიკის გააქტიურებამდე და მის შემდეგ. კერძოდ ის, რომ ადათს უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მთიელთა ცხოვრებაში, ვიდრე შარიათს, რაც მთის მოსახლეობას არათანაბარ ვითარებაში აყენებდა. წერილის ავტორი აღნიშნავს: „ჩვენს ხელისუფლებას მხარი იმ ელემენტისათვის უნდა დაეჭირა, რომელიც უკეთ შეესაბამებოდა ჩვენს პოლიტიკურ ხედვას; მაგრამ მოჩვენებითად, მოსახლეობის უმრავლესობის თანაგრძნობის მოსაპოვებლად ჩვენ გვაროვნული ინტერესები უგულვებელვყავით და მხარი დავუჭირეთ და აღვადგინეთ მუსლიმური სამღვდელოება, როგორც მასთან (ხალხის მასებთან) დაახლოების საუკეთესო საშუალება, ვინაიდან ხალხი ყოველთვის გამოხატავდა და გამოხატავს მეტ თანაგრძნობას შარიათისადმი,

[3] გ. სანიკიძე. ისლამი'ზმი. ისლამი – ენციკლოპედიური ცნობარი. თბ. 1999, გვ. 96-97.

რომელიც საყოველთაოა, ვიდრე ადათისადმი, რომელიც ცალკეული გვარების წარმომადგენელის გავლენასა და ძალაუფლებას ამყარებს". ამ ქმედებით ხელისუფლებას სურდა მთის მოსახლეობაში კონფრონტაცია გამოეწვია, რაც საბოლოო ჯამში ცარიზმის პოლიტიკისათვის ხელსაყრელი იქნებოდა. წერილის ავტორს ხელისუფლების სწორედ ეს ნაბიჯი მიაჩნია მათთვის არასასურველი შედეგების მომტანად. კერძოდ, როგორც იგი აღნიშნავს, შეიქმნა რელიგიური ნაცია, რითიც ერთ ადამიანს მიეცა უფლება გამხდარიყო მთელი ამ რეგიონის საერო და სასულიერო ხელისუფალი. „მაშინ კავკასიაში გაჩნდა მოძღვრება საღვთო ომისა ურჯულოთა წინააღმდეგ და შეიქმნა რელიგიური გაერთიანება **მიურიდიზმის** სახით". კავკასიაში მიურიდიზმის წარმოშობის მიზეზზე თავის დროზე ყურადღება გაამახვილა იმ პერიოდის რუსეთის პროგრესულად მოაზროვნეთა ნაწილმა, კერძოდ, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მიერ 1859 წელს ჟურნალ «Современик»-ის №78-ში გამოქვეყნებულ წერილში «О значении наших последних подвигов на Кавказе», ვკითხულობთ, რომ „მიურუდიზმი არ არის ახალი მოვლენა. ისლამის ამ სწავლებას დიდი ხანია იცნობდნენ მთიელები ოღონდ მისი გამოყენება აქამდე არ დასჭირვებიათ" და აქვე დასძენენ, რომ „მიურიდიზმის გავრცელების ახსნა უნდა ვეძიოთ არა მის პოპულარობაში, არამედ მთიელთა წინააღმდეგობაში რუსული მართველობის მიმართ".[4]

ცარიზმის რელიგიურმა პოლიტიკამ, ხელი შეეწყო მუსლიმური სამღვდელოებისათვის, გაეძლიერებინა შარიათი ადათის საპირისპიროდ, რაც მთიელი ხანების დამორჩილების საქმეს გაუადვილებდა, მარცხი განიცადა და უკუპროცესების გამომწვევი მიზეზი გახდა. როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, „ჩვენი მმართველობის წინააღმდეგ აფეთქებულმა რელიგიურმა მოძრაობამ მოიცვა მთელი კავკასიის ქედი და დაუქვემდებარა შარიათს".[5]

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში მიურიდიზმის გააქტიურების პროცესი დაიწყო 1785 წლიდან და განსაკუთრებით მასშტაბური ხასიათი მიიღო 1841 წლიდან, როდესაც შამილის მეთაურობით შეიქმნა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო – იმამატი. სახელმწიფოში ადათობრივი სამართალი შეცვალა შარიათმა, არაბული გამოცხადდა სახელმწიფო ენად. სახელმწიფო იდეოლოგია იყო მიურიდიზმი, რომელიც არის რელიგიური ფანატიზმის ყველაზე რეაქციული გამოვლინება. მისი გამოყენებით შამილმა შექმნა მკაცრი

[4] «Современик». 1859. № 78, გვ. 22-26.
[5] ხეც. №1248, გვ. 2.

რელიგიურ-დესპოტური მმართველობა და თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ებრძოდა მთაში ცარიზმის რეჟიმის დამყარებას.

როგორც საარქივო მასალით ირკვევა, ცარიზმის მცდარმა რელიგიურმა პოლიტიკამ შედეგად გამოიღო ის, რომ მთიელები ისლამის დროშის ქვეშ გაერთიანდნენ ერთიან მუსლიმურ ნაციად და ღაზავათი (საღვთო ომი) გამოუცხადეს რუსეთს. რუსული პოლიტიკის შედეგი იყო მთიელებში მიურიდიზმის გავრცელება-გააქტიურება, რამაც შედეგად თეოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება გამოიწვია. წერილის ავტორი სწორედ ამ ნაციონალური ერთობის ჩამოყალიბების შედეგად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ცარიზმმა ჩრდ. კავკასიაში თავისი სამხედრო ძალები გაზარდა. მას მიაჩნია, რომ მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით ვერ ამოძირკვავენ მიურიდიზმის წარმოშობის სათავეს, რომლის აფეთქების საშიშროება ყოველთვის იყო ამ მხარეში. ავტორს მთაში მშვიდობის დამყარების აუცილებელ პირობად მიაჩნია ის, რომ მუსლიმური სამღვდელოება მოექცეს მხოლოდ თავისი სულიერების ჩარჩოში და საერო დატვირთვა ჩამოშორდეს. „თავადაზნაურობის აღდგენით ხელისუფლებას ექნება საუკეთესო იარაღი ისლამიზმის დასამარცხებლად. რადგან ამასთან ერთად კვლავ დაიწყება შარიათისა და ადათის ურთიერთდაპირისპირება“[6]. მეტი ეფექტურობისათვის, ავტორის აზრით, უნდა შევიწროვებულიყო შარიათის სასამართლო უფლება და იგი მხოლოდ სასულიერო საკითხებით უნდა შემოფარგლულიყო, ხოლო მათ მიერ დაარსებულ სახალხო სასამართლოში უნდა შეეტანათ რაც შეიძლება მეტი სამოქალაქო საკითხი. „ამგვარად, სამოქალაქო და სასულიერო საწყისის ურთიერთ გაყოფით ადვილად შევძლებთ პირველის დაახლოებას ჩვენს სამართალწარმოებასთან და ხალხს თანდათან ჩვენი სამოქალაქო სტრუქტურის ყველა სფეროსთან დავაკავშირებთ“,[7] ანუ ამით უნდა მომხდარიყო ადათობრივი სამართლის ადგილზე იმპერიაში მოქმედი სამოქალაქო სამართლის ჩანაცვლება, რაც განაპირობებდა შარიათის დაკნინებას, რასაც უნდა გამოეწვია მუსლიმი სამღვდელოების მორალური გატეხვა და ხალხზე მათი გავლენის მოსპობა. ერთ-ერთი საგულისხმო მომენტია ის, რომ წერილის ავტორს აუცილებელ პირობად მიაჩნია მუსლიმებში რწმენის შერყევა და ისლამის ადგილზე ქრისტიანობის გავრცელება. „ამის გამო საჭიროა მივიღოთ ზომები, რომ რწმენადაკარგულ მუსლიმებს თვალწინ ჰქონდეთ სხვა მზა აღმასრებლობა, რომელიც უფრო მეტად წმიდა და მეტად

[6] ხეც. №1248, გვ. 2.
[7] ხეც. №1248, გვ. 3

სიმშვიდის მომგვრელია და უნებურად ამის შედარებამ ძველთან (ისლამთან – ხ. ბ.) პირველივე შემთხვევაში უსიტყვო უპირატესობის შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს"[8].

წერილის ავტორი კავკასიაში ისლამის ქრისტიანობით შესაცვლელად ხელისუფლებას ურჩევს დააარსოს „კავკასიაში მართლმადიდებლობის აღდგენის საზოგადოება" და მისიონერებად მოამზადოს ღირსეული ქრისტიანი სასულიერო პირები. „აი, ერთადერთი გზა, რომელმაც შესაძლოა მიგვიყვანოს კავკასიაში მშვიდობის სრულ დამყარებამდე."[9] ამ სიტყვებით სრულდება წერილი.

ვიცით, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ კავკასიელ მუსლიმთა გასაქრისტიანებლად 1861 წელს შეიქმნა „მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება კავკასიაში". იგი თავდაპირველად ექვემდებარებოდა საქართველოს ეგზარქოსს, ხოლო 1884 წლიდან – რუსეთის სინოდს. საზოგადოება კავკასიაში აღადგენდა ძველ ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს, ამარაგებდა მათ საღვთისმსახურო საგნებითა და ლიტერატურით, ზრუნავდა სამღვდელოების მატერიალური მდგომარეობის განმტკიცებისათვის. 1880 წლისათვის ამ საზოგადოებას ამიერკავკასიაში 20 საეკლესიო-სამრევლო სკოლა ჰქონდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა.[10]

ხელისუფლება იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუსლიმური მოსახლეობის საკუთარი მმართველობისა და კანონმდებლობისადმი დამორჩილებას, რომ 1872 წელს იქმნება: Положение об управлении закавказского духовенства шиитского учения, Положение об управлении Закавказского мусульманского духовенства сунитского учения და ვფიქრობთ ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს Положение об управлении частями Закавказья неподчиненными общему гражданскому правлению. ვფიქრობთ, რომ ეს დოკუმენტიც ამ ინსტრუქტაჟის შედეგად უნდა შექმნილიყო. კავკასიაში, ხელისუფლების აზრით, ამ ტიპის დასახლებებს მიეკუთვნებოდა დაღესტნისა და ყარსის მხარეები და ქუთაისის გუბერნიის ნაწილი. (ბათუმისა და სოხუმის ოკრუგი, ანუ მუსლიმებით დასახლებული ტერიტორიები).[11]

---

[8] ხეკ. №1248, გვ. 3.

[9] ხეკ. №1248, გვ. 4.

[10] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. 2007, გვ. 545.

[11] Положение об управлении частями Закавказья неподчиненными общему гражданскому правлению (სატიტულო ფურცელი არ აქვს), გვ. 4.

ამრიგად, ახალი საარქივო მასალა შეიცავს ძალზე საინტერესო ინ-ფორმაციას ჩრდილოეთ კავკასიაში მთიელთა მიმართ ცარიზმის რელიგიური პოლიტიკის შესახებ. ამ მასალას უფრო მეტ ღირებულებას სძენს ის ფაქტი, რომ იგი დაწერილია მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელის მიერ, რომელიც არა მხოლოდ კარგად იცნობს მთაში მიმდინარე პროცესებს, არამედ მითითე-ბას აძლევს ხელისუფლებას რელიგიური პოლიტიკის შემდგომი წარმართვი-სათვის.

Khatuna Baindurashvili

NEW MATERIAL ABOUT TSARIST RELIGION POLICY IN THE NORTH CAUCASUS

Summary

For study of Tsarist religion policy in the North Caucasus, interesting material is found in the National Centre of Manuscripts (Mikheil Tumanishvili's archive).

There are four pages printed in Russian without title, by number 1248. And we have date written with pencil at the end – May15, 1859.

This archival material, with its content and destination, presents the report and instruction of certain person, who is well informed about the Caucasian mountaineers. He is well aware of essence and aim of Tsarist religion policy towards the Muslims, and even renders some advices to government. They are as follows: establishment of civil law and spread of Orthodox Christianity could subordinate the highlanders.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

თენგიზ სიმაშვილი

თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების აგენტი დიმიტრი ჯაში და სოციალისტ-ფედერალისტები

საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის დიმიტრი ჯაშის შეგნებულად, დამახინჯებულად გადმოცემული ცხოვრება და საქმიანობა გახდა ის საფუძველი, რომელზედაც აიგო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ცრუ ვერსია.[1] ისინი ყოველგვარი რეალური ფაქტებისა და დოკუმენტების გარეშე ასაბუთებდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა საკუთარი აგენტის, კერძოდ დიმიტრი ჯაშის, მეშვეობით მოაწყო „ოხრანკამ“, ანუ მეფის ხელისუფლებამ.

ამჟამად გამოაშკარავებული, ახლად გამოაშკარავებული მასალები მოწმობს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დროს (1907 წ.) დიმიტრი ჯაში თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების აგენტი ჯერ კიდევ არ იყო. პირიქით, მასალები პირდაპირ ადასტურებს 1904 წლიდან დიმიტრი ჯაშის ძალიან ახლო ურთიერთობას სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებთან, როგორც მენშევიკებთან, ისე ბოლშევიკებთან.

საიდუმლო პოლიციის მასალებში დიმიტრი ჯაში თავდაპირველად დასახელებულია სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის, ხოლო ქრონოლოგიურად მომდევნო დოკუმენტებში კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად და ამ პარტიის მხარდამჭერი ქმედებების განმახორციელებლად. მაგალითად, 1905 წლით დათარიღებულ „ოხრანკის“ თბილისის განყოფილების საქმეებში არსებული სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის თბილისის ჯგუფში შემავალი პირების სიაში – ფილიპე გოგიჩაიშვილთან, პართენ გოთუასთან, ანდრეი ღულაძესთან, ალექსანდრე ჯაბადართან, დიომიდე კილაძესთან, ალექსან-

[1] ილიას მკვლელობის შესახებ იხილეთ: თ. სიმაშვილი. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები. თბ. 2011. იქნება მითითებული აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული საარქივო მასალა და სპეციალური ლიტერატურა.

დრე ლასხიშვილთან, ილია ზურაბიშვილთან და სხვებთან ერთად დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში დასახელებულია ზემოაღნიშნული პარტიის წევრად და გაზეთ „ივერიის“ თანამშრომლად. მითითებულ საარქივო დოკუმენტში, ამ ადამიანებისგან განსხვავებით, დიმიტრი ჯაშზე შედარებით ვრცელი ინფორმაციაა მოცემული. კერძოდ, აღნიშნულია, რომ: „დიმიტრი ჯაში... ეკუთვნის სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას, 1904 წლის 11 აპრილს თბილისის რკინიგზის სადგურის ბაქანზე მოწყობილ დემონსტრაციაში აქტიური მონაწილეობის გამო, როცა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მოღვაწეები, ადმინისტრაციული წესით უნდა გაეგზავნათ რუსეთის სხვადასხვა ტერიტორიებზე გადასასახლებლად, თბილისის გუბერნატორის დადგენილებით, დაპატიმრებულ იქნა და ციხეში ოჯდა ექვსი კვირა. მონაწილეობას იღებდა ასევე მუშების ანტისახელმწიფოებრივ შეკრებებში, დანაშაულებრივი მოწოდებების (პროკლამაციების) გავრცელებაში, შემოწირულობების შეგროვებაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტის „სამხედრო სალაროსათვის“ ფსევდონიმით „ზდეშნი“. ურთიერთობაში იყო საგუბერნიო სამმართველოს ჩინოვნიკ ევსეი ტყემალაძესთან და მისგან იღებდა ხელისუფლების მაკომპრომიტირებელი საბუთების ასლებს, რომლებიც ყველაზე საინტერესო იყო დანაშაულებრივი ორგანიზაციისათვის. მათ გადასცემდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ცნობილ მოღვაწეს გერასიმე ლომჯარიას, რათა გამოექვეყნებინა ეს დოკუმენტები რევოლუციურ ორგანოში – „ლისტოკ ბორბი პროლეტარიატა“.[2] ამას მოსდევს ამ დოკუმენტების მოკლე შინაარსი.

„ლისტოკ ბორბი პროლეტარიატა“ იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის ბიუროს მიერ გამოცემული ჟურნალი. საარქივო დოკუმენტებში ამ გამოცემის სულის ჩამდგმელად დასახელებულია, თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების დახასიათებით, „მენშევიკების გენერლად“ წოდებული,[3] დიმიტრი ჯაშის მამიდის ქმრის ახლო ნათესავი, თბილისში მის მეზობლად მცხოვრები ნოე რამიშვილი.[4] გერასიმე ანთიმოზის ძე ლომჯარია, როგორც აქტიური სოციალ-დემოკრატი თბილისის „ოხრანკის“ განყოფილე-

---

[2] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). კაკაესიის სარაიონო დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 94. აღწერა 1. საქმე 21, გვ. 123.

[3] სცსა. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო. ფონდი 153. აღწერა 1. საქმე 793, გვ. 140.

[4] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 215. აღწერა 2. საქმე 18, გვ. 131.

ბის ერთ-ერთ საქმეშიც იხსენიება.[5]

დიმიტრი ჯაშის მეუღლის, დარია ჯაშის ჩვენებით, დიმიტრი მას თავიდან სოციალ-დემოკრატად გაეცნო. მისი მეუღლე და მეუღლის მეგობრები — იმერლიშვილი (ილიკო იმერლიშვილი), ობოლაძე (ალექსანდრე, იგივე საშა ობოლაძე) და სხვები ძარცვავდნენ ბანკებს. დიმიტრი ჯაში ილიკო იმმერლიშვილსა და საშა ობოლაძეს „ნახაზს უკეთებდა გაცარცვისას".[6] დარია ჯაში მათ ახასიათებს, როგორც ანარქისტებს, მაგრამ სინამდვილეში ორივე პიროვნება სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები იყვნენ.[7]

დიმიტრი ჯაში რამდენიმე სხვა საარქივო საქმეშიც 1905-1906 წლებში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრად არის დასახელებული.[8]

როგორც ჩანს, დიმიტრი ჯაშის სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრად დასახელება გამოწვეული იყო ამ პერიოდში „ოხრანკის" მიერ მის შესახებ არასწორი ინფორმაციით. ზემოთ უკვე აღვნიშნე, შემდგომ წლებში შექმნილ საარქივო მასალებში იგი სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად არის დასახელებული.[9]

დიმიტრი ჯაშის მიერ ფულის შეგროვებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტის „სამხედრო სალაროსათვის" და მის კავშირს ამ პარტიის წევრებთან, სრულად ადასტურებს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში 1906 წლით დათარიღებული, დიმიტრი ჯაშის დაპატიმრების შესახებ არსებული საქმე.[10]

---

[5] სცსა. საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 80, გვ. 38.

[6] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილება. ფონდი 8. აღწერა 25. სახელმწიფო უშიშროების საქართველოს განყოფილება. მწერალ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში გიორგი ბერბიჭაშვილის ბრალდების საქმე № 683 (დარია ჯაშის, უშანგი ჯაშის დაკითხვის ოქმები).

[7] სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტის ილიკო იმერლიშვილის მონაწილეობის და როლის შესახებ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში და სხვა საინტერესო მასალები იხილეთ: თ. სიმაშვილი. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები ილია ჭავჭავაძის მკვლელები. თბ. 2011.

[8] სცსა. კავკასიის სარაიონო დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 94. აღწერა 1. საქმე 2[1], გვ. 231; სცსა. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო. ფონდი 153. აღწერა 1. საქმე 793, გვ. 34; სცსა. კავკასიის სარაიონო დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 94. აღწერა 1. საქმე 70, გვ. 2.

[9] სცსა. თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ფონდი 115. აღწერა 2. თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე თბილისის ოლქის პროკურორის ზედამხედველობის საქმე 399, გვ. 106; სცსა. თბილისის საოლქო სასამართლოს ფონდი 116. აღწერა 1. სახელმწიფო საბჭოს წევრ თავად ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობაზე საგანგებო საქმეებზე გამომძიებლის საქმე 13633, გვ. 79.

[10] სცსა. თბილისისა და თბილისის მაზრის დროებითი გენერალ-გუბერნატორის

1909 წლიდან დიმიტრი ჯაში თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების აგენტურის საქმეებში როგორც სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელი აგენტი, ისე ფიგურირებს.[11] ამასთან, პარალელურად „ოხრანკას“ იგი აგენტურულ ინფორმაციას აწვდიდა არა მარტო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრების და, ზოგადად, თვით ამ პარტიის საქმიანობის შესახებ, არამედ ავტოკეფალური მოძრაობის – ე. წ. „ავტოკეფალისტებზე“[12] და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთის წარმომადგენლებზე.[13]

საარქივო მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ დიმიტრი ჯაშის გადაბირება-„დააგენტურება“ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიებისას 1907 წლის სექტემბრიდან ამავე წლის დეკემბრამდე მოხდა. ანუ, როგორც ჩანს, ამ მკვლელობასთან კავშირში მისი მამხილებელი დოკუმენტების ძიების საქმიდან ამოღების სანაცვლოდ და, შესაბამისად, მისთვის სასჯელის არიდების მიზეზით, იგი თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების აგენტობას „დათანხმდა“.

იბადება კითხვა: ისეთი რა საინტერესო და ღირებული ინფორმაციის მიწოდება შეეძლო დიმიტრი ჯაშს რუსეთის საიდუმლო პოლიციის ადგილობრივი ორგანოს თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებისათვის, რომ მათ დაფარეს და გაასაიდუმლოეს დიმიტრი ჯაშის როლი სახელმწიფო საბჭოს წევრის ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში?

ამ კითხვაზე პასუხს დიმიტრი ჯაშის აგენტურული საქმიანობა იძლევა. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივის ფონდებში ჩვენ მიერ მოძიებული მისი აგენტობის დამადასტურებელი დოკუმენტები – ხელფასის აღების უწყისები, „ოხრანკისათვის“ მიცემული ინფორმაცია 1909-1911 წლებით არის დათარიღებული. თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების საარქივო დოკუმენტებიდან და მისი აღიარებიდან ასევე ჩანს, რომ მან სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელ აგენტად „მუშაობა“ 1909 წლის მარტში დაიწყო.[14] საარქივო მასალების ანალიზიდან გა-

---

ქანცელარიის ფონდი 20. აღწერა 2. დიმიტრი ჯაშის დაპატიმრების საქმე 107.

[11] სცსა. საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 42.

[12] სცსა. საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 66, გვ. 6-10.

[13] სცსა. საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 30^3.

[14] სცსა. საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 30^3, გვ 72-73.

მომდინარე დ. ჯაშის მიერ აგენტურული საქმიანობის დაგვიანებით დაწყება რამდენიმე მიზეზის გამო მოხდა. მათ შორის, როგორც ჩანს, დიდი როლი ითამაშა თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების ხელმძღვანელების ცვლილებამ 1908 წლის დასაწყისში.[15]

1909-1911 წლებში თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებას სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაზე ინფორმაციის შემგროვებლად რამდენიმე აგენტი ჰყავდა. მათ შორის ყველაზე „ღირებულ“ ცნობებს იძლეოდნენ „სლუჩაინი“ – ანუ დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში და „დვარიანინი“ – ივანე პოლიეევქტოს ძე კარბელაშვილი.[16] აღვნიშნავ, რომ ორივე პიროვნებას – დიმიტრი ჯაშსაც და ივანე კარბელაშვილსაც ერთნაირი ტრაგიკული დასასრული ჰქონდათ: დიმიტრი ჯაში 1922 წელს თბილისში, [17] ხოლო ი. კარბელაშვილი 1920 ზაქათალაში მოკლეს.[18]

ჯაში-სლუჩაინის მიერ მიწოდებული ვრცელი ინფორმაცია, აშკარად მეტყველებს, იგი კარგად იყო მომზადებული აგენტურული საქმიანობის საწარმოებლად. ჯაში-სლუჩაინი „აგენტურული საქმის“ ისეთი ცოდნით, მონდომებით აგროვებდა ცნობებს და აანალიზებდა მოძიებულ ინფორმაციას, რომ მის მიერ გამოტანილი დასკვნები სრულად ასახავდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის საქმიანობის რეალურ სურათს. ჯაში-სლუჩაინის მიერ მიწოდებულ „აგენტურულ ცნობებში“ არის ვრცელი, დეტალური მასალა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიული კონფერენციების, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.[19] მაგალითად, 1910 წლის 17 იანვარს ჯაში-სლუჩაინი აწვდის ინფორმაციას თბილისის „ოხრანკის“ უფროს პოდპოლკოვნიკ ა. კარაულოვს 1909 წლის დეკემბერში ჩატარებული სოციალისტ-ფედერალისტების კონფერენციის შესახებ. უთითებს კონფერენციის ჩატარების ადგილს, ასევე განხილულ საკითხებს. ეს ინფორმაცია საკმაოდ ვრცელი და დეტალურია,

---

[15] სცსა. კავკასიის სარაზინო დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 94. აღწერა I. საქმე 50, გვ. 43.

[16] სცსა. საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა I. საქმე 42. ამის შემდეგ დიმიტრი ჯაშს, როგორც აგენტს, ჯაში-სლუჩაინის სახელით მოვიხსენიებთ.

[17] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქიო სამმართველოს მესამე განყოფილება. ფონდი 8. აღწერა 25. სახელმწიფო უშიშროების საქართველოს განყოფილება. მწერალ ილია ჭავჭავაძის მკელელობაში გიორგი ბერბიჭაშვილის ბრალდების საქმე № 683 (დარია ჯაშის, ეშანგი ჯაშის დაკითხვის ოქმები), გვ. 25.

[18] გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“. № 12. 2-8 იანვარი. 2012, გვ. 19.

[19] სცსა. საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა I. საქმე 42, გვ. 8.

ხოლო მასში მოხსენიებული პირები მიხეილ ადამაშვილი (მ. ჯავახიშვილი), იონა მეუნარგია, კიტა აბაშიძე და სხვები კარგად არიან ნაცნობნი ჩვენი მკითხველისათვის.

კონფერენციის მსვლელობისას განხილული საკითხები, მათ ირგვლივ გამართული დებატები თვითმხილველის მიერ აღწერილს ჰგავს. არადა დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ჯაში-სლუჩაინი ამ კონფერენციას არ ესწრებოდა, რადგან, ჯერ ერთი, იგი არ იყო ამ პარტიის წევრი და, მეორე, თავდაპირველად ის არასწორად უთითებს კონფერენციის ჩატარების ადგილს. შემდეგ კი, ხელმძღვანელი ოფიცრის მითითებით აგროვებს ინფორმაციას და აზუსტებს მას. კერძოდ, 1910 წლის 22 იანვრის აგენტურულ ინფორმაციაში ჯაში-სლუჩაინი უკვე დაზუსტებით უთითებს კონფერენციის ჩატარების ადგილს.

მის ერთ-ერთ „აგენტურულ ცნობაში“ აღწერილია, თუ რა სახის ზომების გატარებას აპირებდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტია რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.[20] თავდაპირველად მითითებულია, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის შიდა გუბერნიებიდან რუსი მოსახლეობის გადმოსახლებებმა სოციალისტ-ფედერალისტებში საშინელი არეულობა გამოიწვია. პარტიის წევრები ამ გადასახლებების წინააღმდეგ გამოსულან, დაუსვიათ საკითხი ე. წ. „მიწის ფონდის“ დასაარსებლად, რომელიც თანხებს მცირე საპროცენტო განაკვეთით გასცემდა ქართველი მიწათმფლობლებისა და თავად-აზნაურობისათვის, რომ მათ რუსებზე მიწები არ გაეყიდათ.

ჯაში-სლუჩაინი „ოხრანკას“ აცნობებდა სხვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც თავისი აქტუალობით საქართველოსთვის დღესაც ფრიად მნიშვნელოვანია. მაგალითად, ის დაწვრილებით აღწერდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის იმ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რათა დაემყარებინათ მჭიდრო კავშირები ირანსა და თურქეთში კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკურად ქართველ მუსლიმებთან.[21]

ჯაში-სლუჩაინის მიერ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ავ-კარგიანობის „ცოდნაზე“ მეტყველებს მის მიერ მიწოდებული შემდეგი ინფორმაცია: „სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მიერ მიღებული ჩაკეტილობის პრინციპიდან და პარტიის ორგანიზებიდან გამომდინარე, ამ პარტიას ახა-

[20] სცსა. საბოგადოებრიი ეშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა I. საქმე 42, გვ. 15.

[21] სცსა. საბოგადოებრიი ეშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა I. საქმე 42, გვ. 83.

სიათებს თავისებურება, რომელიც სხვა პარტიებში არ შეიმჩევა. (ანუ ჯაში-სლუჩაინიმ კარგად იცის სხვა პარტიების სტრუქტურაც – თ. ს.) სახელ-დობრ, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედიან თითქმის ერთი და იგივე პირები, ვინც არიან პარტიის თბილისის კომიტეტში. ეს მდგომარეობა აიხს-ნება იმით, რომ პარტიის ცენტრს არ სურს პარტიის საიდუმლო ინფორმა-ციები იცოდეს პარტიის წევრთა ფართო წრემ".[22] მის 1910 წლის 13 მარტის ინფორმაციაში მითითებულია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი შედგება 12 ნამდვილი და 7 კანდიდატისაგან. ჩამოთვლის და ასახელებს ამ პიროვნებებს და ასევე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემავალ 5 მუდმივ საპატიო წევრს. ამ უკანასკნელებს შორის ასახელებს ნ. მარს, დ. ჯავახოვს და სხვებს. უფრო მეტიც, იგი დეტალურად აღწერს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს სტრუქტურას. უთითებს, რომ იგი შედგება განმკარგულებელი ბიუ-როს (სექცია), სამხედრო განყოფილების, აგრარული სექციის, სარედაქციო კომიტეტისაგან. აღნიშნავს, რომ ყველა ეს სექცია კოოპერირებულია. ასახ-ლებს ასევე იმ პირებს, ვინც შედიან ამ სექციებში: გ. მაჩაბელი, ე. ავალოვი, მ. ადამაშვილი და სხვები. ამ ინფორმაციაში ჯაში-სლუჩაინი ასევე დეტალუ-რად ახასიათებს ამ პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტს, მის შემადგენ-ლობას. მიმოიხილავს პარტიის რაიონულ კომიტეტებს და „ოხრანკისათვის" საინტერესო სხვა საკითხებს.

ჯაში-სლუჩაინის აგენტურული ინფორმაციის მიწოდება სისტემატურ ხასიათს ატარებდა და „ოხრანკაში" მის ხელმძღვანელ ოფიცერს თითქმის ყოველდღიურად მიეწოდებოდა. ამასთან, როგორც აღვნიშნე, ისინი საკმაოდ ვრცელი, ხშირად რამდენიმეგვერდიანია. კონსპირაციის დაცვის ინტერესები-დან გამომდინარე, აგენტის ხელმძღვანელი ოფიცერი მიღებულ აგენტურულ ინფორმაციას სრულად არ აფორმებდა, მხოლოდ გარკვეულ ნაწილს იწერდა „აგენტურული ცნობების ამონაწერების" სახით. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება დიმიტრი ჯაშის ბრწყინვალე ინფორმირებულობა სოციალისტ-ფედერა-ლისტური პარტიის საქმიანობის შესახებ. მაგალითად, 1910 წლის 10 აპრი-ლის „აგენტურულ ცნობაში" იგი ჩამოთვლის სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ყველაზე აქტიურ წევრებს. თავდაპირველად ასახელებს გიორგი ზდანოვიჩს, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს. მის შესახებ იძლევა სხვადასხვა სახის ინფორმაციას. აღნიშნავს იმასაც, რომ მას

[22] სცსა. საზოგადოებრივი ქმიშრეების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხ-რანკა) ფონდი 95. აღწერა I. საქმე 42, გვ. 95-97.

პარტიაში „გამოუსწორებელ კატორღელს“ უწოდებდნენ, რადგან გ. ზდანოვიჩი 1880-იან წლებში კატორღაში იყო გაგზავნილი. უთითებს, რომ მასთან შესაძლოა ინახებოდეს პარტიული ლიტერატურა და მიმოწერა. ივანე (კიტა) აბაშიძეზე, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეზე, კი წერს, რომ იგი მუდმივად ქუთაისსა და ჭიათურაშია, მაგრამ თბილისში ხშირად ჩადის, თვეში სამ-ოთხჯერ. გედეონ ქუთათელაძეზე კი უთითებს, რომ იგი შედიოდა პარტიის საბრძოლო ჯგუფში და შემდეგ მიანდეს პარტიული იარაღის შენახვა. აქვე ასახელებს სილოვან ხუნდაძეს, გიორგი ლასხიშვილს, ანტონ ფურცელაძეს, ალექსანდრე ყიფშიძეს, პეტრე სურგულაძესა და სხვებს. იგი ასევე უთითებს ადგილს, სადაც შეიძლება ინახებოდეს ამ პარტიის კუთვნილი იარაღი. საინტერესოა, რომ ეს „აგენტურული ცნობა“ ქრონოლოგიურად ემთხვევა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ხელმძღვანელების დაპატიმრებას.

ფაქტობრივად, ჯაში-სლუჩაინი უზარმაზარ ინფორმაციას ფლობდა არა მარტო პარტიის ხელმძღვანელებზე, არამედ უბრალო წევრებზეც. მაგალითად, ერთ-ერთ პირზე, კერძოდ გ. ტლაშაძეზე 1910 წლის 10 ნოემბერს „ოხრანკას“ აწვდის ინფორმაციას, რომ ის პარტიის პროპაგანდისტია და 8 ნოემბერს დილით გაემგზავრა სიღნაღში ხაზინის გასაძარცვავად.

ამრიგად, იმ პერიოდში თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების უფროსმა და, შესაბამისად, აგენტ ჯაში-სლუჩაინის ხელმძღვანელმა ოფიცერმა პოდპოლკოვნიკმა ა. კარაულოვმა მისი და სხვა აგენტების მეშვეობით ბრწყინვალედ იცოდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის საქმიანობის თითქმის ყველა ასპექტი. მათ შორის პარტიის სტრუქტურა თბილისსა და რეგიონებში, პარტიის წევრების ვინაობა და მათი მომავალი გეგმებიც კი. როგორც პოდპოლკოვნიკ ა. კარაულოვის საქმიანობის ანალიზიდან ჩანს, იგი ბრწინვალედ ფლობდა აგენტურის მართვა-გამოყენების ტაქტიკას. შესაბამისად, მან „კარგად“ გამოიყენა აგენტურისაგან და, კერძოდ, ჯაში-სლუჩაინისგან მიღებული ინფორმაცია სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის აქტიური საქმიანობის შესაჩერებლად.

მეფის რუსეთის საიდუმლო პოლიციის ადგილობრივი ორგანოების აგენტურის გამოყენების პრაქტიკის გაანალიზების შესწავლისას აშკარა ხდება, რომ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში „ოხრანკის“ განყოფილებებმა აგენტურის მართვის ეტაპობრივი, რამდენიმე სახის ტაქტიკა გამოი-

ყენეს.[23]

აღნიშნულ ნაშრომში მე დეტალურად არ შევეხები საიდუმლო პოლიციის მიერ აგენტურის მართვის სხვადასხვა ტაქტიკის სპეციფიკასა და თავისებურებებს. განსახილველი საკითხიდან გამომდინარე მხოლოდ აღვნიშნავ, რომ 1906-1907 წლებში აგენტურის მართვა-გამოყენების ჩვენთვის საინტერესო ტაქტიკის რუსეთის მთელი იმპერიის მასშტაბით დანერგვა, დაკავშირებულია იმ დროს პეტერბურგის „ოხრანკის" განყოფილების უფროსის, გენერალ ი. გერასიმოვის სახელთან. გერასიმოვისთვის მთავარი იყო აგენტების მეშვეობით რევოლუციური პარტიების, ტერორისტული ორგანიზაციების ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების, ტერორისტული და ექსპროპრიაციული აქტების მომზადების პროცესის შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვება. ყოველივე ამის საფუძველზე კი არა ნაჩქარევი დაპატიმრებების განხორციელება, არამედ გარკვეული დროის განმავლობაში რევოლუციური ორგანიზაციის საქმიანობის შესწავლა-გაანალიზება, საჭირო დროს მისი წამყვანი წევრების შერჩევითი დაპატიმრება და შედეგად – რევოლუციური პარტიისა თუ ორგანიზაციის მთლიანი დეზორგანიზაცია იყო.[24]

სწორედ აგენტი ე. აზეფის და სხვა „აგენტურული" წყაროს ინფორმაციის გამოყენების საფუძველზე შეძლო მან რუსეთის სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ავტონომიურად მოქმედი ცენტრალური ტერორისტული ორგანიზაციის სახელწოდებით – „საბრძოლო ორგანიზაცია" («Боевая Организация») საქმიანობის დეზორგანიზება. კერძოდ, 1905-1906 წლების მიჯნაზე აგენტ ე. აზეფისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე „საბრძოლო ორგანიზაციის" დაგეგმილი ტერორისტული აქტების სისტემატური ჩაშლით, ტერორისტებზე პერმანენტული ფსიქოლოგიური ზეწოლით და სხვა სახის ღონისძიებების მეშვეობით გერასიმოვმა აიძულა ამ ტერორისტული ორგანიზაციის რიგითი წევრები და ხელმძღვანელებიც, დაეჯერებინათ თავიანთი საქმიანობის უპერსპექტივობა. მეტიც, ამ უკანასკნელებმა თავადვე მიმართეს რუსეთის სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და 1906 წელს „საბრძოლო ორგანიზაციამ" არსებობა შეწყვიტა.[25]

თბილისის „ოხრანკის" უფროსი პოდპოლკოვნიკი ა. კარაულოვი საქარ-

---

[23] თ. სიმაშვილი. საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციონერების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 წლებში. თბ. 2003.

[24] Б. Н. Николаевский. История одного предателя (террористы и политическая полиция). М. 1991, გვ. 178.

[25] «Былое – журнал освободительного движения». Петроград. 1918. №2. Л. 29, გვ. 29.

თველოში მოქმედი რევოლუციური პარტიების საქმიანობის შესაწყვეტად აგენტურის მართვის დაახლოებით მსგავს ტაქტიკას იყენებდა. ეს კარგად ჩანს ჯაში-სლუჩაინის აგენტურული საქმიანობის ანალიზიდან. ძირითადად, სწორედ მის მიერ მიწოდებული ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მეშვეობით შეძლო ა. კარაულოვმა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დეზორგანიზაცია და ეფექტური საქმიანობის საკმაოდ ხნით შეჩერება. თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებას სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის საქმიანობის შეწყვეტის და მათზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილების რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. დეტალურად აქ მათ არ შევეხები, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ კავკასიაში მოქმედი საიდუმლო პოლიციის ადგილობრივი ორგანოების აზრით, იმპერიის არსებობისთვის ყველაზე საშიში არა სოციალ-დემოკრატები, არამედ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მსგავსად „ნაციონალისტურად“ განწყობილი პარტიები იყვნენ. შემთხვევითი არაა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთის წარმომადგენლებს, და არა სხვა პარტიებს, მიანდო მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა 500 ბერდანის სისტემის შაშხანა 1905 წლის ნოემბერში თბილისში სომხებისა და თათრების შეტაკების თავიდან ასაცილებლად.

ჯაში-სლუჩაინის მიერ თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებისათვის მიწოდებული შეტყობინებების, ცნობებისა და ინფორმაციის შინაარსის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ იგი საჭირო მასალებს აგროვებდა იმ სტამბებში, სადაც იბეჭდებოდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიული დოკუმენტები. მას სტამბაში ჰყავდა ახლობლები, ნაცნობები და, რაც მთავარია, თვითონაც იქ მუშაობდა. როგორც ჩანს, თბილისისა და კავკასიის რაიონული „ოხრანკის“ განყოფილებების საქმეებში თავმოყრილი 1909-1911 წლებით დათარიღებული, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ნაბეჭდი სახის უამრავი პარტიული დოკუმენტი – წესდებები, კონფერენციების მასალები, სწორედ ჯაში-სლუჩაინის მიერ არის ფარულად შეგროვებული და შემდეგ „ოხრანკისათვის“ გადაცემული.

დიმიტრი ჯაშს იმ დროს, 1908-1911 წლებში სანდო პირად მიიჩნევდნენ სხვადასხვა პარტიების წევრები და ქართული საზოგადოების წარმომადგენლები. შესაბამისად, სწორი არაა თითქოს 1911 წლამდე მისი „ოხრანკის“ აგენტობა უკვე გამჟღავნებული იყო. ამას მოწმობს, ჯაში-სლუჩაინის მიერ 1910 წლის 12 თებერვალს „ოხრანკისათვის“ მიწოდებული ინფორმაცია, რომ – „12 თებერვალს ქართული დრამატული საზოგადოების შენობაში მო-

ტანილ იქნა საიდუმლო კონვერტი პ. გოთუას სახელზე, რომელშიც აღმოჩნდა დაბეჭდილი მიპატიჟება „ცნობილ“ დღეებში, ფილიპე გავრილის ძე გოგიჩაიშვილის სახლში „მომავალი გეგმების“ განსახილველად... წერილში მე შევძელი შემდეგი პირების გვარები შემემჩნია, რომლებიც ამ შეკრებაზე იქნენ მიპატიჟებული – მ. წერეთელი, სურგულაძე, დიასამიძე, მუსხელიშვილი და სხვები... პ. გოთუამ გახსნა კონვერტი, მოიღუშა და იქ მყოფ ვიღაცას უთხრა, მე ვიცი რაც ამისაგან გამოვა, მაგრამ მაინც არ წავალ“.[26] მოყვანილი მაგალითი ადასტურებს, რომ დიმიტრი ჯაშს ენდობოდნენ და მასთან პარტიის საიდუმლოებებზე საუბარს არ ერიდებოდნენ სოციალისტ-ფედერალისტებიც. აშკარაა, რომ იგი პირადად ეკონტაქტებოდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წამყვან წევრებს, მათ თანამგრძნობ პირებს და ასე ახერხებდა ინფორმაციის მოძიებას ამ პარტიის საქმიანობაზე. დიმიტრი ჯაში პართენ გოთუასთან გაზეთში თანამშრომლობას და ახლო ურთიერთობას, მისი მეუღლის დარია ჯაშის მოგონებებიც ადასტურებს. დარია ჯაშის სიტყვებით: „განსაკუთრებით დამამახსოვრდა ის, რომ დიმიტრიმ პართენ გოთუას ვერ იქნა და ვერ ასწავლა რუსული მართლწერა“.[27]

ახლა მეორე მხრიდან შევხედოთ ამ ფაქტებს და ვნახოთ დიმიტრი ჯაშის შესახებ პართენ გოთუა რას იგონებდა: „მე კარგად მახსოვს, რომ ერთხელ, ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ 1907-1908 წლებში, თარიღი არ მაგონდება, ჩვენთან რედაქციაში უნდა შეკრებილიყო ინტერპარტიული კომიტეტი, მაგრამ კრება მოულოდნელად გადაიდო. იმ ღამეს, 11 საათზე, რედაქციის მეორე ბნელ ოთახში ნახეს მაგიდის ქვეშ დაწოლილი დიმიტრი ჯაში. როგორც მეორე დღეს გადმომცეს, ჯაშმა თავი მოიმძინარა, მერე სიმთვრალე მოიგონა და ბარბაცით წავიდა“.[28]

ჯაში-სლუჩაინის „აგენტურულმა“ საქმიანობამ შედეგი გამოიღო და 1910 წელს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მთავარი მოღვაწეების უმეტესობა – „ფირცხალავა, ქავთარაძე, ლასხიშვილი, ქუთათელაძე, აღლაძე,

[26] სცსა. სახელგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 42, გვ. 64. ეს ვიღაც, ვისი სახელიც დოკუმენტში არ ფიქსირდება, როგორც ჩანს, ამ ინფორმაციის აეტორი დიმიტრი ჯაში იყო. ჩანს პოდპოლკოვნიკი ა. ქარაულოვი მისი გვარ-სახელის ჩაწერას მოერიდა „აგენტურულ ცნობაში“.

[27] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 215. აღწერა 2. საქმე 18, გვ. 146.

[28] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილება. ფონდი 215. აღწერა 2. საქმე 17, გვ. 410.

ბილანოვი, მაჭავარიანი დაპატიმრებულ იქნენ, შედეგად პარტიის აქტიური საქმიანობა დროებით შეწყდა“. სწორედ ასე წერია წერილში, უფრო სწორედ კი, როგორც მისი შინაარსიდან ჩანს, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრებისადმი მიმართვაში, რომლის სათაურია – „განსაკუთრებული აზრი, რომ დროებით შეწყდეს ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის საქმიანობა“. ეს წერილი-მიმართვა 1910 წლის ოქტომბერში დაწერეს და გაავრცელეს პარტიის წევრებში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა წევრმა იაკობ ღულაძემ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ვასილ რცხილაძემ.[29]

თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების ერთ-ერთ საქმეში მოთავსებულია ამ წერილი-მიმართვის ქართულიდან რუსულად თარგმანილი ასლი. წერილი-მიმართვის ავტორები პირდაპირ საუბრობენ იმაზე, რომ პარტიის წამყვანი წევრების დაპატიმრება მოხდა არა შემთხვევით, არამედ: „ეჭვს გარეშეა მოქმედებს გამოცდილი ხელი, რომელმაც იცის ჩვენი პარტიის საიდუმლოებები და აწვდის მათ პოლიციას“.[30] ი. ღულაძე და ვ. რცხილაძე წერილში უთითებენ, რომ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ხელმძღვანელები და აქტიური წევრები თბილისსა და პროვინციებში ერთდროულად დააპატიმრეს, რის გამოც პოლიციას ხელში ჩაუვარდა უამრავი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ასეთი რამ ადრე არ ხდებოდა და სწორედ ამიტომ წერილის ავტორებიდან ერთ-ერთმა დატოვა პარტიის ცენტრალური კომიტეტი. მათ გამოკითხეს პარტიის სხვა წევრებს და მათი აზრიც მოისმინეს. ასეთი შეხვედრებისა და აზრთა ურთიერთგაცვლის შემდეგ, რადგან ვერ იგებენ, ვინ არის პარტიის რიგებში შეპარული აგენტი, გამოიტანეს დასკვნა, რომ აუცილებელი იყო: 1) დროებით შეეჩერებინათ პარტიის საქმიანობა; 2) დაეთხოვათ პარტიის ცენტრალური კომიტეტი; 3) პარტიის თბილისის, გორისა და ქუთაისის კომიტეტებს გადაეტანათ საქმიანობა სხვა ქალაქებში და ა. შ.

ამ პერიოდში თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების სხვა აგენტების მიერ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ ისინი ვერ მოიპოვებდნენ ჯაში-სლუ-

---

[29] აქვე მინდა აღვნიშნო, რომ იაკობ სოლომონის ძე ღულაძის ძმა ანდრეი დაახლოებით ამავე პერიოდში „დააააგენტურა“ საიდუმლო პოლიციამ. იხ.: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან არსებული საგანგებო საგამოძიებო კომისიის ფონდი 1854, აღწერა 1, საქმე 95, გვ. 1.

[30] სცსა. საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა 1. საქმე 42, გვ. 217-218.

ჩაინის მსგავს სრულყოფილ ინფორმაციის. „პარტიის საიდუმლოებების“ გამცემი არ შეიძლება ყოფილიყო „დვარიანინიც“, იგივე ივანე კარბელაშვილი. იგი ამ დროს გიმნაზიის მოსწავლე იყო და პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების წევრებთან, მათ საქმიანობასთან შეხება არ ჰქონდა. 1909-1910 წლებში კარბელაშვილი-დვარიანინი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შესახებ თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებას ძირითადად მეორეხარისხოვან საკითხებზე აძლევდა ინფორმაციას. შედარებით ღირებული იყო მისი „აგენტურული“ ცნობები „ავტოკეფალისტებთან“ დაკავშირებით. საინტერესოა, რომ 1917 წლის მარტში თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომისიის მიერ დაკითხული თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის, ი. პასტრულინის სიტყვებით, აგენტ ი. კარბელაშვილს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობამდე ერთი თვით ადრე შეუტყობინებია საიდუმლო პოლიციისათვის, რომ ნიკონს მოკვლას უპირებდნენ.[31]

საარქივო მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ „გამოცდილი ხელი“, რომელმაც კარგად იცოდა სოციალისტ-ფედერალისტურის პარტიის საიდუმლოებები, მხოლოდ ჯაში-სლუჩაინი იყო. ზემოდასახელებული წერილი-მიმართვის ასლიც სწორედ ჯაში-სლუჩაინის ხელით მოხვდა „ოხრანკის“ უფროს ა. კარაულოვთან. ამას ადასტურებს ჯაში-სლუჩაინის 1910 წლის 10 ნოემბრის „აგენტურული ცნობა“ – „იაკობ ცინცაძემ, რომელსაც „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში ჰქონდა შენახული „განსაკუთრებული აზრის“ წერილის ეგზემპლიარი პარტიული საქმიანობის შეწყვეტაზე, დაწერილი იაკობ ღულაძის და ვასილ რცხილაძის მიერ, ეს დოკუმენტი შესანახად გადასცა მელიტონ გობეჩიას, რომელიც ცხოვრობს ი. ცინცაძის ბინაზე, სახლი № 15 ვეძინის ქუჩა. ამ დოკუმენტის ეგზემპლიარი შეიძლება ინახებოდეს არჩილ ჯაჯანაშვილთან, მცხოვრები ვეძინის ქუჩა № 3“.[32] ამ ადამიანებს – ი. ცინცაძეს, ა. ჯაჯანაშვილს ჯაში-სლუჩაინი იცნობდა არა მარტო სამუშაოდან, არამედ როგორც მეზობლებსაც. თბილისში იგი ოჯახთან ერთად სწორედ ვეძინის ქუჩაზე, მათ მეზობლად ცხოვრობდა.

ზემოთ მოყვანილი მასალების ანალიზიდან ცხადია, რომ აღნიშნულ

---

[31] სცსა. მიერ კაეკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან არსებული საგანგებო საგამოძიებო კომისიის ფონდი 1854. აღწერა I. საქმე. 95, გვ. I. ი. კარბელაშვილის აგენტურული საქმიანობის შესახებ მასალას შემდგომ სხვა ნაშრომში განვიხილავთ.

[32] სცსა. საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკა) ფონდი 95. აღწერა I. საქმე 42, გვ. 256.

პერიოდში თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების მიერ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ეფექტური საქმიანობის შეჩერებაში აგენტ ჯაში-სლუჩაინის დიდი „წვლილი“ იყო.

ამრიგად, დიმიტრი ჯაში 1909-1911 წლებში თავისი აგენტურული საქმიანობით სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ფრთის, კერძოდ მენშევიკების წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან ბოლშევიკების რაოდენობა საქართველოში ამ დროს საკმაოდ მცირე იყო. ბუნებრივია, რომ თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების მიერ 1910-1911 წლებში ეროვნული სულით გაჟღენთილი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დეზორგანიზაციის, მისი აქტიური წევრების დაპატიმრების შედეგად სწორედ სოციალისტური იდეოლოგიური ბაზის მქონე სოციალ-დემოკრატი მენშევიკების გავლენა გაიზარდა ქართულ საზოგადოებაში.

საინტერესოა, რომ 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ „ოხრანკის“ აგენტობაში ბრალდებული და დაპატიმრებული დიმიტრი ჯაში ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან არსებული საგანგებო საგამოძიებო კომისიის სახელზე ციხიდან გაგზავნილ ვრცელ რამდენიმეგვერდიან წერილში,[33] ასევე ნ. ჟორდანიას და მთელი ქართული საზოგადოების სახელზე გაგზავნილ 7-გვერდიან დეპეშაში[34] ყველანაირად აძაგებს სოციალისტ-ფედერალისტებს, სამაგიეროდ აქებს სოციალ-დემოკრატებს. ასეა თუ ისე, დიმიტრი ჯაში, თავისი „აგენტურული“ წარსულის მიუხედავად, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, გარდაცვალებამდე სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთის, მენშევიკების და ბოლშევიკების, ხელისუფლებაში ყოფნის დროს – 1918-1922 წლებში სახელისუფლებო ორგანოებში საკმაოდ შემოსავლიან ადგილებზე მუშაობდა.[35]

---

[33] სცსა. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ფონდი 2080. აღწერა 1. საქმე 220, გვ. 8-11.

[34] სცსა. თბილისის მუშათა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ფონდი 1844. აღწერა 2. საქმე 41, გვ. 5-9; შ. ბადრიძე. წიწამურის ტრაგედიის გამოცანები. გაზ. „სახალხო განათლება“. 5 აპრილი. 1990.

[35] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილება. ფონდი 8. აღწერა 25. სახელმწიფო უშიშროების საქართველოს განყოფილება. მწერალ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში გიორგი ბერბიჭაშვილის ბრალდების საქმე № 683 (დარია ჯაშის, უშანგი ჯაშის დაკითხვის ოქმები).

Tengiz Simashvili

"OKHRANKA" TBILISI DEPARTMENT'S AGENT DIMITRI JASHI AND THE SOCIALIST-FEDERALISTS

Summary

The work contains the archival materials which illustrate that when the murder of Ilia Chavchavadze took place, Dimitri Jashi was not "Okhranka" Tbilisi Department's agent. According to the archival documents, Dimitri Jashi is initially named as a member of Socialist-Federalist Party and after that, as a member of Social-Democratic Party and performer of supporting activities for that party. In this article the archival documents are presented and analyzed about those issues. Those documents confirm that only since 1909 Dimitri Jashi became an agent of "Okhranka" Tbilisi Department to collect the necessary information from Socialist-Federalist Party.

According to our research, information obtained by the agent Dimitri Jashi and conclusions made by him completely reflected the real picture of Socialist-Federalist Party's activity. Accordingly, in that period "Okhranka" Tbilisi Department perfectly knew almost all aspects of Socialist-Federalist Party's activities from the reports of Dimitri Jashi and other agents.

Also, Dimitri Jashi's agency activities are analyzed and substantiated. The arguments are provided that just through the information obtained by Dimitri Jashi "Okhranka" Tbilisi Department managed to disorganize the Socialist-Federalist Party which caused the hiatus in effective activity of that party. Consequently, in 1910-1911 disorganization of nationalistic Socialist-Federalist Party by "Okhranka" Tbilisi Department and arresting of its active members encouraged the rise of influece of one of the wings of Social-Democratic Party, namely, the Mensheviks.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

ნატო სონღულაშვილი

თავადაზნაურობა 1900-1917 წლების საქართველოში

XIX საუკუნის II ნახევრიდან შექმნილი მოვლენების შედეგად XX საუკუნის დასაწყისს საქართველო სხვადასხვა სიახლესთან ერთად ახალი სოციალური ფენების: პროლეტარიატის და ბურჟუაზიის წარმოშობით შეხვდა. ახალმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გარდაქმნებმა საზოგადოების სოციალური შემადგენლობის გარკვეული ცვლილებები განაპირობა. ამ ფონზე ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს თავადაზნაურთა ცნობიერების და ფუნქციების ცვლილების შეფასება და გათვალისწინება. მით უფრო, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ქრონოლოგიური პერიოდის ფარგლებში, აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევები არ გვხვდება. ძირითადად აქცენტი კეთდება XIX საუკუნეზე. მართალია, 1900-1917 წლებში თავადაზნაურობა აღარ წარმოადგენდა მრავალრიცხოვან და ძლიერ კრებულს, თუმცა ბეჭდურ მედიაში დაცული ინფორმაცია მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

თავადაზნაურობა ფეოდალური საქართველოსთვის დამახასიათებელი ფენაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე პრივილეგირებულ და შეძლებულ ძალას წარმოადგენდა. მათი უფლებები იმდენად დიდი იყო, რომ არა თუ დიდი პატივით სარგებლობდა სამეფო კარზე, არამედ ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური, თუ სამხედრო საკითხების გადაწყვეტისას მეფე მათზე იყო დამოკიდებული. ფაქტობრივად, თავადაზნაურობა მონარქიული სახელმწიფოს არსებობის მთავარი დასაყრდენი იყო. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კვალი“ 1901 წელს წერდა: „მეცხრამეტე საუკუნეს თავადაზნაურობა სრულებით სხვა გულით დაუხვდა, წარსულის გამოთხოვებამ მას საშინლათ დაწვა გული, რადგანაც წარსულის ბევრი რამ გაყვა ისეთი, რისი მაგიერიც აწმყოს არაფერი მოუტანია. ამის უკეთ გასათვალისწინებლად საჭიროა გავიხსენოთ, როგორი იყო თავადის მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნემდინ, როგორ შეიც-

ვალა ის მეცხრამეტე საუკუნეში. წინეთ მას გარშემო ეხვია ურიცხვი ყმები, რომელთა სულისა და ხორცის ერთადერთი პატრონი თვითონ ის — თავადი იყო, ყველა, ვინც მას გარშემო ეხვია, მას თვალწარბში შეჩერებოდა და მისი ყოველგვარი ჟინის ასასრულებლად ყველა გამზადებული იყო. ერთადერთი მოსამართლე თავის სოფელში ის იყო და იქ ყველას ბედ-იღბალს მხოლოდ ის ატარებდა. თუ სამშობლოს მტერი შემოესეოდა, მეფე მას თხოვდა, შენი კაცებით მომეშველეო, ის მეფის მარჯვენა ხელი იყო, ქვეყნის მართვა-გამგეობაში ის მონაწილეობას იღებდა, სასახლის კარი მისთვის მუდამ ღია იყო, — მეფის სახლში ის თითქმის მეფის ტოლად გრძნობდა თავს, თავის სახლში — განუსაზღვრელ ბატონად. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან თავადის ამგვარი მდგომარეობა სრულებით შეიცვალა. სამშობლოს მართვა-გამგეობაში მას ყოველგვარი მნიშვნელობა ჩამოართვეს, მეფე და მისი სასახლე მას ახლოსაც არავინ დაანახვა; თავადის თავისუფალ მოქმედებას ყოველმხრივ ფრთები შეეკვეცა. ყოველივე ამან ის არა თუ ქონებრივად დააქვეითა, თავის შინაყმათა თვალშიც კი სახელი გაუტეხა. თავადობამ იწყო წარსულის გლოვა, მოინდომა მისი დაბრუნება, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა. ის იძულებული გახდა თავის ხვედრს შერიგებოდა და ერთმა ნაწილმა ღვინოში და ქორ-მეძებრობაში პოვა თავისი იდეალი, მეორემ კალამი აიღო ხელში და წარსულის გლოვაში მოიპოვა სულის სიმშვიდე, მესამეს სამხედრო სამსახურმა დაავიწყებია ძველი დიდება“.[1]

საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებით თავადაზნაურობა ერთ-ერთი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად უფლებააყრილი ფენა იყო. მან დაკარგა არა მხოლოდ მამულები და გავლენა, არამედ XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული საქართველოსთვის ეს წოდება მიუღებელი აღმოჩნდა. ჰენრი კუპრაშვილი წერს: რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ქართველი თავადებისა და აზნაურების (სამეფო, სათავადო, საეკლესიო) მრავალსაუკუნოვანმა საგვარეულო წყობამ რღვევა იწყო. რუსეთის მთავრობამ რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებასთან ქართული წყობილების სოციალური უნიფიკაციის მიზნით ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები. 1803 წელს, რუსეთის გუბერნიების თავადაზნაურთა ორგანიზაციების მსგავსად, თბილისში დაარსდა ქართველ თავადაზნაურთა პირველი წოდებრივი ორგანიზაცია — თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო სათანადო დებულებით. დეპუტატთა საკრებულო ირჩევდა სამაზრო და საგუბერნიო თავად-აზნაურთა

[1] გა'ს. კვალი. 1901. № 36, გვ. 792.

წინამძღოლებს (მარშლებს). რუსეთის მთავრობის შემდეგი ღონისძიება იყო ვასალურ-სენიორული დამოკიდებულების მოსპობა საქართველოში და რუს თავადებთან ქართველი თავადების უფლებრივი გათანაბრება. ამასთან, ქართველ თავადებს მემკვიდრეობითი ფეოდალური თანამდებობები და საგადასახადო იმუნიტეტი მოუსპო, 1833 წლის კანონით სათავადო აზნაურები გაათავისუფლეს თავადებისადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან, რის შედეგად ხდებოდა მათი ქონებრივი გამიჯვნაც. 1838 წლის კანონით კი თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში არჩევნებისას და თანამდებობების დაკავებისას უფლებრივი განსხვავება თავადებსა და მათ ყოფილ სათავადო აზნაურებს შორის მოისპო, მოხდა მათი უფლებრივი ნიველირება".[2]

თავადაზნაურთა ფენა თანდათან პარალიზებული გახდა. ჯერ ერთი, ეს გამოწვეული იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად და, მეორეც, XIX საუკუნის II ნახევრიდან შექმნილი სოციალური და ეკონომიკური ხასიათის გარდაქმნებით, კერძოდ, ბატონყმობის გაუქმებით. თუ XIX საუკუნის I ნახევარში თავადაზნაურობა აქტიურობით გამოირჩეოდა და მონარქიული სამეფოს აღდგენისათვის იბრძოდა, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წარმომადგენლებთან ერთად, შემდეგში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ალექსანდრე ბენდიანიშვილის აზრით, „თავადების უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ მათ დაკარგეს პოლიტიკური გავლენა, მემკვიდრეობით სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობანი, რითაც საფუძველი გამოეცალა სათავადოთა სისტემას. სათავადოს შიგნით შეიკვეცა აზნაურის სოციალურ-პოლიტიკური ფუნქცია, მას ჩამოერთვა თავადის კარის თანამდებობანი, მოურავობა, მდივნობა, ბოქაულთუხუცესობა, გლეხთა ზედამხედველის მოვალეობა. ქართველი მოხელის ადგილი ცენტრშიც და პერიფერიებშიც რუსმა მოხელემ დაიკავა. ამას კი ვერ შეეგუა ქართველი თავადაზნაურობა და თავის პროტესტს შეთქმულება-აჯანყებით გამოხატავდა".[3]

XIX საუკუნის II ნახევრიდან, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს ცხოვრებაში. თავადაზნაურობა მიხვდა, რომ საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქა დგებოდა, სადაც მისი ისტორიული როლი საჭირო აღარ იქნებოდა. სწორედ ამის გამოხატულებას წარმოადგენდა თავადების პოლიტიკური ხასიათის გამოსვლების ჯერ შემცირება და შემდეგ

[2] კ. კუპრაშვილი. „დიდი რუსიანობა" საქართველოში XIX საუკუნის პირველი ნახევარი. თბ. 2011, გვ. 131-132.

[3] ალ. ბენდიანიშვილი. გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში. თბ. 1989, გვ. 31.

შეწყვეტა. ალექსანდრე ბენდიანიშვილი წერს: „XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქართველი თავადაზნაურობა უკვე აღარ წარმოადგენდა ერთიან წოდებასა და კლასს, უკვე მომხდარი იყო მისი სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია. ამ დროს ძირძველი თავადაზნაურობა საქართველოს მოსახლეობის 4%-ს შეადგენდა. მაგრამ ნახევარს დაკარგული ჰქონდა ეკონომიკური შეძლება და პოლიტიკური წონა. მეწარმე თავადაზნაურთა გამრავლება, რენტისა და კრედიტის, კაპიტალისტური ფორმების დანერგვა არსებითად ცვლიდა ძველ წოდებას. მიმდინარეობდა ფეოდალური საკუთრებისა და მემამულური მეურნეობის ბურჟუაზიული ევოლუცია. თავადაზნაურთა ერთი ნაწილი კაპიტალისტური საზოგადოების მიწათმფლობელთა კლასს ქმნიდა, საერთოდ, მიწათმფლობელი თავადაზნაურობა ორმაგი ბუნების იყო, — ფეოდალური წოდებისა და კაპიტალისტური კლასის ნიშნებს აერთიანებდა. იყენებდა, როგორც ფეოდალური, ისე კაპიტალისტური ექსპლოატაციის ფორმებს“.[4]

თავადაზნაურთა უფლებების შეკვეცას განაპირობებდა საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულება მათდამი. ეს განსაკუთრებით იგრძნობა XIX საუკუნის II ნახევრიდან. საზოგადოების ფართო ფენებისთვის, გლეხებისთვის თავადები მათ მოწინააღმდეგე კლასად აღიქმებოდა. აღნიშნული პერიოდში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა გლეხების საზოგადოებასთან დაკავშირებას და ახალი სახელმწიფოს შენებისთვის მოღვაწეობასა და ბრძოლას იწყებს. „სულ სხვაგვარ ნიშნებსა და მიმართულებას გვიჩვენებს დღევანდელი ცხოვრება. დღეს აღარ არსებობს ძველი ბატონყმობა და მოსპობილია ადამიანის პირადი უთავისუფლებობა. გართულებულია ცხოვრება და ხალხის საზოგადოებრივ კლასებად დანაწილებაც. თავადაზნაურობას დღეს აღარ აქვს ძველებური სოციალ-ეკონომიკური უპირატესობა, რადგან თვით მამული აღარ არის ერთადერთი სახსარი ეკონომიურის ძალისა და საზოგადოებრივის დაწინაურებისა. ცხოვრების ახალს ვითარებაში კაცს მამულის გარედაც შეუძლია შეიძინოს ქონება და, რახან შთამომავლობას წინანდებურად დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, შეუძლია აგრეთვე საზოგადოებაშიც მოიპოვოს ძალა და დაწინაურება. რამდენადაც ეს „შეუძლია“ სინამდვილე ხდება, რამდენადაც ძველებური წოდებანი ერთმანეთში ითქვიფებიან და ახალი, ქონებისა და არა შთამომავლობის საფუძველზე დამყარებული საზოგადოებრივი კლასები ვითარდებიან, იმდენადვე

[4] ალ. ბენდიანიშვილი. გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 185.

ჩვენს ცხოვრებას უფრო დემოკრატიული ელფერი ედება და ჩვენი ერი წარმატებისა და აღორძინების გზაზე დგება".[5] ქართველი საზოგადოების წამყვანი ნაწილი ნათლად აცნობიერებდა ახალი დროის მოთხოვნებს და ეკონომიკურ თუ სოციალურ გამოწვევებს, რომელთა გადალახვის გარეშე სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებისთვის და დამოუკიდებლობის აღდგენისთვის პირობის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა. „სწრაფ წარმატების გზაზე მხოლოდ ის ერი სდგას, რომელშიც გაზრდილია შრომის საზოგადოებრივი განაწილება, განვითარებულია გაცვლა-გამოცვლა და აღორძინებულია ვაჭრობა-მრეწველობა. რამდენადაც ასეთი ვითარება ამა თუ იმ ერში ფეხს იკიდებს, იმდენადვე თავადაზნაურობას ეკარგება ეკონომიური უპირატესობა, ხოლო სხვადასხვა წოდებათაგან შემდგარ ბურჟუაზიას ემატება ძალა და ემჩნევა დაწინაურება. ეს დაწინაურება სჩანს საზოგადოდ ყველაფერში და იგი უნდა ჩნდეს, კერძოდ სწავლა-განათლების საქმეშიც. რა თქმა უნდა სწავლის შესაძენად საჭიროა ნივთიერი შეძლება და ამიტომ სწავლა-განათლება იმ წოდებასა და კლასში უფრო გავრცელდება, რომელიც ეკონომიურად წამოწეულია და აქვს საჭირო საშუალება. არა თავადაზნაურ მოსწავლეთა რიცხვის გამრავლება სასწავლებლებში მომასწავებელია იმისი, რომ ჩვენი ცხოვრებაც მოქალაქობრივობის გზაზეა დამდგარი და თანდათან ვითარდება".[6]

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მთლიანად შეიცვალა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მხარეები. დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად ქართველობა გარუსების საფრთხის წინაშე დადგა, რომლის არსებით მახასიათებლებს წარმოადგენდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ქართული ენის უფლებების შეზღუდვა.

იმ მოლოდინის გაუმართლებლობის შემდეგ, რაც რუსების შემოსვლას მოჰყვა საქართველოში, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იწყებენ შეიარაღებულ თუ საპროტესტო ხასიათის გამოსვლებს რუსეთის საიმპერატორო კარის წინააღმდეგ. თავადაზანაურობის უკმაყოფილების მიზეზი მათი ფუნქციების და უფლებების შეზღუდვაში და ხშირ შემთხვევაში გაუქმებაში მდგომარეობდა. იმედი იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოს საშინაო ვითარებაში არ ჩაერეოდა, არ გამართლდა. ამიტომ საწყის ეტაპზე გამოხატული რადიკალური ფორმები აღნიშნულის დასტური იყო.

[5] ქერნ. მოამბე. 1904. №6, გვ. 73.
[6] ქერნ. მოამბე. 1904. №6, გვ. 73.

XIX საუკუნის II ნახევრიდან რუსეთში ახალი ეტაპი იწყება, რაც ბატონყმობის გაუქმებით გამოიხატა. ,,ბუნებრივია, ამ ფაქტმა თავისი ასახვა ჰპოვა საქართველოშიც. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ბატონყმობის გაუქმება და კაპიტალისტური სისტემის შემოსვლა წარმოადგენდა ეპოქის გამოწვევას და ეს პროცესი, როგორც ცნობილია, ბევრად ადრე დაიწყო ევროპაში. ასევე რუსეთში ეს გარდაუვალი იყო. ერთი მხრივ, XIX საუკუნის I ნახევრაში შეიარაღებული აჯანყებების დამარცხებამ და, მეორე მხრივ, იმ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გარდაქმნებმა, რომელსიც მოხდა XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში, ქართველი საზოგადოების წამყვანი ნაწილი დაარწმუნა ბრძოლის ახალი მეთოდის შემუშავებაში. ერთ-ერთი საკითხი კი თავადაზნაურთა ახალი ცხოვრების წესზე გადაყვანა იყო. სამოციანელები ნათლად აცნობიერებდნენ ეპოქის იმ გამოწვევას, რომელშიც მთელი ევროპა იყო ჩართული და ცდილობდნენ ახალი დროისთვის ფეხი აეწყოთ, ქართულ სინამდვილეზე მოერგოთ და ეს ყველაფერი საქართველოს აღორძინებისათვის გამოეყენებინათ. თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო შეგუებოდა საკუთარი პრივილეგიების დაკარგვას და ,,დაქვეითების გზას დადგა", მეორე ნაწილი – ე. წ. ღარიბი თავადაზნაურობა შეეცადა ხალხთან კავშირში ყოფილიყო. და საკუთარი თავისთვის თვითონვე შეექმნა ცხოვრების პირობები.

XX საუკუნის დასაწყისიდან თავადაზნაურობა აღარ წარმოადგენდა მრავალრიცხოვან და ძლიერ კრებულს. ამასთან, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გარდაქმნებმა მათი ბრძოლისუნარიანობა დასცა, თანაც ქართული საზოგადოების წამყვანი ნაწილი უკვე ახალი სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძოდა, სადაც თავადაზნაურობას ძველი ადგილი აღარ ექნებოდა. ამიტომ ის იძულებული ხდება ნაწილობრივ შეეგუოს ეპოქის მოთხოვნებს და აღარ მიმართოს გამოხატვის რადიკალურ ფორმებს. 1908 წელს გაზეთი ,,ცისკარი" წერდა: ,,მართალია, ეს მიზეზი მუშაობს რუსეთის თავადაზნაურობაშიც, მაგრამ გაცილებით უფრო ნელა, ვინემ ჩვენში. იქ მრავალი მემამულე შეეწყო მამულის შოვნას. აგრეთვე იქ სამსახურით ივსებენ იმას, რასაც მამული აკლებს. ცნობილია, რომ მთელი მაღალი ბიუროკრატია მემამულეებისაგან შესდგება. ჩვენებური მემამულე კი სწრაფად ვალიანდება, საკუთრება ეყიდება და ასე ეკონომიურათ მამულს დიდათ აღარ აფასებს, მისთვის სიცოცხლეს აღარ სწირავს. თუ შერჩა მამული, ხომ კარგი, თუ არა და სულ ერთია – მაინც ბანკს დარჩება. ასე იქნება თუ ისე, მამული მაინც ჩამოერთმევა. ამიტომ ისი-

ნი მრავალ ალაგას გლეხებს უთმობენ და ბრძოლას შერიგებას რჩეობენ".[7]

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ნაწილი თავადაზნაურობასთან მიმართებით გაზეთ „ცისკარის" მიხედვით ასეთი იყო: „საქართველოს ნაწილთა პირველი ნაციონალური მოძრაობა იყო მოძრაობა თავადაზნაურობის ძველი წყობილების შესარჩენად. გლეხობა აქ იღებდა მონაწილეობას სწორედ წინააღმდეგი მიზნით – ბატონყმობის უღლის შესამსუბუქებლად. ე.ი. აქ ფეოდალები ებრძოდნენ რუსებს, ხოლო გლეხები ფეოდალებს. აი ჩვენი ნაციონალიზმის ტრაგიზმი. რატომ ასე უნდა მომხდარიყო? ცხადია რატომ. თავადაზნაურობის ნაციონალური დროშა იყო დროშა ფეოდალთა გაძლიერების, გლეხობის დაჯაბნების, ახალი ცხოვრების უარყოფის, ძველი ურთიერთობის აღდგენის – ერთი სიტყვით ეს დროშა არ იყო ხალხის დროშა. თავადაზნაურობის ნაციონალური ინტერესი არ შეიცავდა ნაციის ინტერესებს".[8] გაზეთი „ივერია" კი შემდეგნაირად აღიქვამს ამ საკითხს: „... ვინ იყო, ან რა ძალა იყო, ის ძალა, რომლითაც საქართველოს განცალკევებულნი ჯგუფნი შეერთდებოდნენ ხოლმე და მედგრად ებრძოდნენ საქართველოს გარეშე მტერს? მაშ ვინ დაიცვა საქართველოს ტერიტორია, ენა, სარწმუნოება? ვინ შეჰქმნა საქართველოს თავისებური კულტურა, ლიტერატურა? ამის პასუხს ყველა შესძლებს, თუ-კი განგებ არ დაიბრმავებს თვალებს, არ დაიყრუებს ყურებს და სიმართლეს არ უღალატებს. ეს ძალთა-ძალა იყო თავადაზნაურობა. საქართველოში თავადაზნაურობა რომ არ ყოფილიყო, დღემდე არც არავითარი ეროვნული კულტურა, ლიტერატურა, ხასიათი არ იქნებოდა და მთელი ჩვენი ხალხი წარმოადგენდა მარტო ჯგუფს, რომელსაც ერად არავინ ჩათვლიდა".[9]

1900 წლიდან ბეჭდურ მედიაში თავადაზნაურობის აშკარა კრიტიკა იწყება. ფაქტობრივად, ეს წოდება საუკუნის დასაწყისში უკვე აღარ წარმოადგენს ავტორიტეტულ ძალას. ქართველი ერის გაძლიერებისა და განვითარების პროცესში თავადაზნაურობის როლი უარყოფილია. „ჩვენ არ შეგვიძლია თავადაზნაურობისაგან მოველოდეთ ერის აღორძინებას. თავადაზნაურობა არის წოდება შექმნილი წარსული ცხოვრების მიერ, მისი არსებობის აზრი წარსულშია, მისი ნიადაგი წარსული წეს-წყობილების ნაყოფია. თავადაზნაურობა, როგორც წოდება გვიანდერძა წარსულმა. მაგრამ იგი არსებობს დღეს,

[7] გა'ს. ცისკარი. 1908. №1, გვ. 1.
[8] გა'ს. ცისკარი. 1908. №11, გვ. 1.
[9] გა'ს. ივერია. 1902. №252, გვ. 3.

დღევანდელს ცხოვრების პირობებში როდესაც გაჩნდნენ წოდებანი და წოდებრივი განწყობილება. თავად-აზნაურობას–წოდებას არ ძალუძს დაიმორჩილოს ახალი ცხოვრების პირობები, პირიქით, თვითონ ემორჩილება ახალ ცხოვრებას და ნელ-ნელა ხშირად შეუგნებლად, იღებს მის ელფერს და ითვისებს მის ხასიათს".[10] მუდმივად კეთდება აქცენტი იმაზე, რომ თავადაზნაურობა ვერ ერკვევა საზოგადოებრივ პრობლემებში, რაც ქმნის ბარიერს მოსახლეობის ფართო ფენებთან ურთიერთობების. „ქართველი თავადაზნაურობის მოღვაწეობას თან სდევს ერთი თვალსაჩინო ნაკლი, რომელიც ფრიად დამახასიათებელია მისი, როგორც წოდებისა: პოლიტიკური გამოურკვევლობა და ამ გამოურკვევლობასთან დაკავშირებული იდეური გამოურკვევლობა და დაქსაქსულობა. ქართველი თავადაზნაურობას ნათლად არა აქვს შეგნებული, რა მიზეზები იწვევს ქართველი ხალხის ეროვნულ დეზორგანიზაციას და რა ზომების მიღებაა საჭირო ამ დეზორგანიზაციის მოსასპობად".[11]

მარიამ გარიყული შემდეგნაირად ახასიათებდა თავადაზნაურობას: „თავადაზნაურთა უმეტესობა უსაქმურობაში ატარებდა დროს, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ნიადაგი მომცდარი ჰქონდათ ფეხქვეშ, სამხედრო ასპარეზზე გმირობას და სამშობლოსათვის თავდადებას მათ აღარავინ სთხოვდა. სამეურნეო შრომაც არ შედიოდა მათ დღიურში, სწავლა-განათლებას აგრერიგად არ ეტანებოდნენ. მათი უმეტესობისათვის მიზანი გიმნაზიის პირველი, მეორე და მესამე კლასი – კურსის დამთავრება იყო. ზოგი მათგანი აქამდისაც ვერ მიატანდა. რა უნდა გაეკეთებინა ამ უსაქმოდ დარჩენულ ახალგაზრდობას? დღეს შენთან, ხვალ იმასთან, ზეგ დუქანში. ლოთობა, ჩხუბი და დავიდარაბა".[12]

თავადაზნაურობა მალე მიხვდა, რომ თანამედროვე საზოგადოების ნაწილი ვერ გახდებოდა, თუ დროს ფეხს არ აუწყობდა. „... მესამოცე წლებამდე ცხოვრება იყო მარტივი და მდორე, მწერლობა ერთფეროვანი, მხოლოდ ერთი კლასის – თავადობის სიმპატია-იდეალების გამომხატველი. რადგანაც სამხედრო სამსახურმა და ჩინოვნიკობამ შემოდგა ჩვენში ფეხი და ორივეს დიდი მოტრფიალენი გამოუჩნდნენ ჩვენს თავადობაში, სწავლა-განათლება ნელ-ნელა აღორძინდა და თბილისში სასწავლებელიც კი დაარსა მთავრობამ კეთილშობილთათვის. ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა, რომელსაც მაშინდელ დროსთან შედარებით რიგიანი განათლება მიეღო, ნელ-ნელა უკუაგდო პირადი

[10] გაზ. ცნობის ფურცელი. 1903. №2154, გვ. 2.
[11] გაზ. სახალხო გაზეთი. 1910. №184, გვ. 1.
[12] მ. გარიყული. მოგონებები, თბ., 1959, გვ. 207.

ცხოვრების ვიწრო ფარგლები და გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე, მისმა მოღვაწეობამ ჩვენს ცხოვრებას სული შთაბერა და საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც თითქმის სრულებით აღარ არსებობდა, ორმოცდაათ წლებში ნელ-ნელა აღორძინდა, მაგრამ ცხოვრების ამოძრავება შუაგულიდან, თვით ხალხიდან, კი არ დაიწყო, არამედ ზედაპირიდან – თავადაზნაურობიდან".[13]

ზემოთ განხილული საკითხები, კერძოდ, საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნისთვის ბრძოლა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მხრიდან მოწმობს იმას, რომ მათ საერთო მიზანს წარმოადგენდა კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ სისტემაზე გადასვლა, ამ პროცესში ყველა სოციალური ფენის ჩართვა და ეროვნული ეკონომიკის აღორძინება. ისეთი ქართული, ეროვნული პოლიტიკის მაწარმოებელი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც კი, როგორიც იყო: ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტური პარტია და ზოგადად, ეროვნული მიმართულების მოღვაწეები, საჭიროდ თვლიდა ახალი ეკონომიკური ფორმების ქართულ სინამდვილეში დანერგვას და თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი სამრეწველო სტრუქტურის გამოყენებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, XX საუკუნის დასაწყისში თავადაზნაურობა აღარ წარმოადგენდა ძლიერ სოციალურ ფენას. მათი დიდი ნაწილი უკვე ასიმილაციას განიცდიდა საზოგადოების ფართო ფენებთან. ფაქტობრივად, იმ მცირე ნაწილის გარდა, რომლებიც რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დებდნენ ფიცს და მათი მეშვეობით ცდილობდნენ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებას და არა გავლენის, რადგანაც ამ პერიოდში თავადაზნაურობას უკვე არ გააჩნდა გავლენა საზოგადოებაზე. ქართველი ინტელიგენციის შეგნებული ნაწილის მცდელობისდა მიუხედავად, თავადაზნაურობისთვის შეეგნებინებინა ახალი ეპოქის მოთხოვნა და ის გარდაქმნები, რაც კაპიტალიზმმა მოიტანა, უშედეგო აღმოჩნდა. ყველასთვის ნათელი იყო, რომ კაპიტალიზმი მხოლოდ რუსეთისთვის და მის დაქვემდებარებაში მყოფი საქართველოსთვის კი არ იყო დამახასიათებელი, არამედ იგი მთელი თანამედროვე ეპოქის რეალობა და ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. ფეოდალიზმი დასრულდა და მისი არსებობა მხოლოდ უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და მისი საბოლოო წარმომადგენელი თავადაზნაურთა ის მცირე ნაწილი იყო, რომელიც დროის გამოწვევას ვერ ეგუებოდა. პრაქტიკულად ქართველი საზოგადოების შეგნებული ნაწილი დარწმუნებული იყო არსებული სინამდვილის

[13] „ა'ს. კეალი. 1901. №36, გვ. 792.

გარდაუვალობაში და ცდილობდა შექმნილი ვითარება საქართველოს საკეთილდღეოდ გამოეყენებინა.

1900-1917 წლებში მიმდინარეობდა ბრძოლა არა მხოლოდ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რაც პირველ რიგში კულტურით, განათლებით ბრძოლას გულისხმობდა, არამედ ქართველი საზოგადოების ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლებს შორისაც. თავადაზნაურობა კი იმ წოდებას ეკუთვნოდა, რომელიც წარსულს აიდეალებდა და ძველი დროის დაბრუნება მხოლოდ იმიტომ სურდა, რომ აღედგინა ის გავლენა და პრივილეგიები, რაც საუკუნეების მანძილზე ჰქონდა. ახალი თაობა, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ქართველი მოღვაწეების ის ბირთვი, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს სამოციანელებისგან ახალი საქართველოს მშენებლობის დევიზი, მთლიანად მიმართული იყო შეექმნათ თანამედროვე ტიპის სახელმწიფო, სადაც ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი იქნებოდა ეკონომიკურად და სოციალურად თავისუფალი და რაც მთავარია, იცხოვრებდა დამოუკიდებელ საქართველოში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, მათ დემოკრატიული ქვეყნის აშენება დაისახეს მიზნად და მონარქიული წყობა უკვე მიუღებელი იყო არა მარტო მათთვის, არამედ მრავალი ქართველისთვის. როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა მთელი ამ წლების მანძილზე და თუ თავიდან რუსული იდეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, შემდეგ და განსაკუთრებით ხელისუფალებაში მოსვლის შემდეგ საზოგადოების ფართო ფენების გულის მოგების მიზნით თავიანთი სახელმწიფოებრივი პროგრამა უფრო ეროვნული გახადეს. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ხალხში ნდობის მოპოვება და ყველა იმ პრობლემის მოწესრიგება, რაც საზოგადოების სატკივარი იყო. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებლობას წარმოადგენდა დაბალი ფენების ორგანიზება და დამოუკიდებელი საქართველოს უპირატესობის დანახვება. გაზეთი „ერთობა“ 1920 წელს წერდა: „დღეს ჩვენი ცხოვრება დაინგრა და ჩვენი სამშობლო ჩვენი ხალხის ხელშია. მთელი მშრომელი ხალხი, ვინც კი საქართველოს მიწაზე ცხოვრობს, დღეს საქართველოს გამგე და პატრონია. გუშინ თქვენ იყავით სხვის ხელში შემყურენი, დღეს კი ხართ თავისუფალი მოქალაქენი და უთქვენოდ, თქვენ დაუკითხავად, თუ თქვენი სურვილი, ნება და დასტური არ იქნა, ისე ჩვენის ქვეყანაში არაფერი

გაკეთდება. უწინ ჩვენში ყველაფერი კეთდებოდა მემამულეებისათვის, მდიდრებისათვის და ყოველივე ამას აკეთებდა მათი მთავრობა. დღეიდან კი ჩვენში ყოველისფერი გაკეთდება თქვენთვის, მშრომელი ხალხისთვის და ამას აკეთებს თქვენი მთავრობა".[14]

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დაწყებული თავადაზნაურთა უფლებების შეზღუდვის პროცესი ნელ-ნელა მიმდინარეობდა მთელი XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისიდან ახალ სტადიაზე გადავიდა. აღნიშნული პროცესების განვითარებას თავადაზნაურობის საწინააღმდეგოდ ხელი შეუწყო კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრებამ საქართველოში. თავადაზნაურობა 1900-1917 წლებში უკვე აღარ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც XIX საუკუნის II ნახევარში ჰქონდა. ახალმა ეკონომიკურმა წყობამ გარკვეული გარდაქმნები განაპირობა და მოდერნული ეპოქისთვის ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი სოციალური ფენა მთლიანად მიუღებელი აღმოჩნდა.

ბუნებრივია, სტატიაში განხილული საკითხები პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილია, თუმცა, ვფიქრობთ, წარმოდგენილმა მასალამ საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა.

[14] გა'ს. ერთობა. 1919. №47, გვ. 3.

Nato Songulashvili

NOBILITY IN 1900-1917 IN GEORGIA

Summary

With all other various novelties, Georgia met the beginning of the 20th century with creation of proletariat and bourgeoisie, as appendix for two classes of feudalism: nobles and peasants. These new political and economic transformations caused some changes in social composition of Georgian society.

Nobility is characteristic social class for feudal Georgia that had been considered as privileged and wealthy for centuries. They were not only respected at the Royal Court, but in many cases King was depended upon them in solution of political and military issues. Practically, the nobility was an essential part of monarchical state existence.

In 1900-1917 the nobility was no more such privileged. After the abolition of serfdom, restriction of nobles' rights was progressing. Development of the above-mentioned process was promoted by establishment of capitalistic system, which was followed by creation of new social classes: proletariat and bourgeoisie. In the period under review, the nobility was no longer so powerful, as it had been in the second half of 19th century.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

დიმიტრი შველიძე

გადმოძახილი წარსულიდან

ამას წინათ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომების“ მეორე წიგნში გამოქვეყნდა პროფ. როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომი „კავკასიური ცივილიზაციის“ შესახებ“. ავტორის შენიშვნით, ბოლო დროს ამ თემის შესახებ გააქტიურდა საუბარი; იბეჭდება წიგნები, ტარდება სამეცნიერო კონფერენციები და ა.შ.

მაგრამ არიან კი კავკასიის ხალხები, ერთი საერთო ცივილიზაციის წარმომადგენლები? სათანადო კვლევის, მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურის მოხმობისა და ანალიზის შემდეგ, ავტორი არაორაზროვნად დაასკვნის: „ამრიგად, კავკასიური ცივილიზაცია არ არსებობდა და არ არსებობს. კავკასიელებს (სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიელებს) არ ჰქონიათ კულტურული ფენომენების, სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების საერთო კომპლექსები და სტრუქტურები, რელიგიური ერთობა. საერთო კავკასიური კულტურული და ცივილიზაციური ერთობის წარმოქმნას ხელი შეუშალა რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა და კლიმატურმა მრავალფეროვნებამ, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელმა გზებმა, და ამ გზებზე სხვადასხვა დამპყრობლის მიგრაციამ და აქ დამკვიდრების სურვილმა. განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში ქართველთა ცდა კავკასიელების ქრისტიანული იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანებისა წარუმატებელი აღმოჩნდა. კავკასიის სამხრეთმა და ჩრდილოეთმა ნაწილებმა განვითარების სხვადასხვა გზა გაიარეს. აქ მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს ერთი ისტორიული მარშრუტი არ გაუვლიათ. „კავკასიური ცივილიზაცია“ მხოლოდ ცივილიზაციის თეორიებში, ისტორიასა და ეთნოლოგიაში ჩაუხედავი მეცნიერების მოგონილი სიტყვებია“, (როლანდ თოფჩიშვილი – „კავკასიური ცივილიზაციის“ შესახებ“. ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართვე-

ლოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“. II. თბილისი. 2011, გვ. 61-62).

ბუნებრივია, რომ თუ მეცნიერთა ნაწილი, „კავკასიური ცივილიზაციის“ არსებობის იდეას რეალურად მიიჩნევს, ზემოაღნიშნული დასკვნა-განაჩენი უპასუხოდ არ დარჩებოდა. ასეც მოხდა. იმავე საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომების“ სარედაქციო კოლეგიამ ადგილი დაუთმო ალტერნატიულ მოსაზრებასაც, რის შედეგადაც გამოცემის მესამე წიგნში გამოქვეყნდა ბნი ჯონი კვიციანის პოლემიკური პუბლიკაცია. ავტორის აზრით, კავკასიურმა ცივილიზაციამ „განვითარების უმაღლეს წერტილს“ XI-XII საუკუნეებში მიაღწია და მისი ჩამოყალიბების პროცესში ქართულ კულტურას „ისტორიული როლი მიუძღვის“. რაც შეეხება ამ ცივილიზაციის დღევანდელ სახეს, ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „კავკასიაში იკვეთება ორი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა – ცივილიზაციური მემკვიდრეობის პრობლემა (კავკასიური ტრადიციული კულტურის ტრანსფორმაცია თანამედროვეში); მეორე – ახალი, სამოქალაქო კულტურისა და საგანმანათლებლო სტანდარტების ჩამოყალიბების აუცილებლობა. ეს უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სივრცის დომინანტური ეთნოსის ტრადიციული კულტურის ფასეულობათა ბაზას“ (ჯონი კვიციანი – „კავკასიაში ეთნიკური ვითარებისა და ცივილიზაციური კუთვნილების შესახებ (პასუხი რ. თოფჩიშვილის ინტერპრეტაციებს.“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“. IV. თბილისი. 2011. გვ. 457-458).

კავკასიის ხალხთა ურთიერთობის ხასიათის შესახებ ინტენსიური დისკუსია მიმდინარეობდა გასული საუკუნის დასაწყისშიც. დისკუსიის მოტივი ძირითადად პოლიტიკური იყო. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ერთი ნაწილი ასაბუთებდა, რომ კავკასიის ხალხებს ერთიანი სახელმწიფოებრივი ერთეული უნდა შეექმნათ, საერთო პარლამენტით და აღმასრულებელი ხელისუფლებით. ამ პროექტს ქართველი სოციალ-დემოკრატები იცავდნენ. მათი წარმოდგენით, კავკასიის საოლქო თვითმმართველობა, მომავალი რუსეთის დემოკრატიული და შემდგომ, სოციალისტური რესპუბლიკის ნაწილი იქნებოდა.

ამ პროექტს ეწინააღმდეგებოდნენ ქართული ეროვნულ-პოლიტიკური პარტიები: სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, პატრიოტ-ანარქისტები და არაპარტიული ეროვნული ძალები. ჯერ კიდევ „საქართველოს თავისუფლების ლიგამ“ თავის პროგრამაში აუცილებლობად მიიჩნია,

რომ კავკასიის ხალხებს თავდაპირველად საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოები უნდა შეექმნათ და მხოლოდ ამის შემდეგ გაერთიანებულიყვნენ ერთიანი კავკასიის ფედერაციაში. ლიგის მესვეურები ითვალისწინებდნენ კავკასიელ ხალხთა შორის არსებულ კულტურულ, რელიგიურ, ეკონომიკურ პირობათა თუ პოლიტიკურ პოზიციათა მრავალფეროვნებას და საჭიროდ მიიჩნევდნენ, რომ მათ ჯერ ეს წინააღმდეგობანი მოეგვარებინათ და მერე ეზრუნათ საერთო სახელმწიფო სტრუქტურების შექმნაზე. შემდგომში ამგვარი სიფრთხილე ისტორიამ გაამართლა, როცა პოლიტიკურ და სხვა წინააღმდეგობათა გამო 1918 წლის მაისში დაიშალა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა.

1900-იანი წლების ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა კავკასიის ხალხთა რეალური და სამომავლო ურთიერთდამოკიდებულების შესახებ პუბლიკაციები და წიგნები. მათ შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცნობილი ქართველი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ვრცელმა ოთხწერილიანმა სერიამ „კავკასიის ერთობა?!“. იგი გაგრძელებებით გამოქვეყნდა გაზეთ „დროების“ 1909 წლის 29 ოქტომბრის (№240), 31 ოქტომბრის (№242), 7 ნოემბრისა (№248) და 11 ნოემბრის (№251) ნომრებში. „ალაროდიელის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი მიხეილ წერეთლის წერილი იმით არის საყურადღებო, რომ მასში, გარდა კავკასიის ხალხთა ურთიერთობების პოლიტიკური მხარისა, განხილულია მათი ურთიერთდამოკიდებულების კულტურული, ისტორიული, სამეურნეო-ეკონომიკური და სხვა ასპექტები. ვფიქრობთ, რომ მიხაკო წერეთლის ნაშრომის გაცნობა სასარგებლო სამსახურს გაუწევს პრობლემით დაინტერესებულ მხარეებს და მეტ სიცხადეს შეიტანს განსახილველი საკითხის არსში.

წერილი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული სტილიც დაცულია, ზოგიერთი უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა.

ალაროდიელი (მიხეილ წერეთელი)

კავკასიის ერთობა?!

მას შემდეგ, რაც ნება და შეძლება მოგვეცა თავისუფლად გველაპარაკნა ჩვენი ცხოვრების მოწყობაზე, მთავარი საგანი ჩვენი მსჯელობისა კავკასიის ერთობის საგანია. მართალია, ჩვენში არც ერთ პარტიას არ გაუბედნია სეპარატისტულ აზრთა გამოთქმა, პირიქით, სეპარატიზმი ყველას გველივით ეზიზღებოდა და ეზიზღება დღესაც, რუსეთთან ერთობა და საუკუნო კავშირი-კი თავის თავად საგულისხმო ჭეშმარიტებად ითვლება, და ამ მხრით „ერთობაზედ“ ლაპარაკი მეტიც იყო. მაგრამ, მიუხედავად ამ საერთო სახელმწიფოებრივ ერთობისა, კავკასიისათვის მაინც ყველა ძალა-უნებურად აღიარებდა რაღაც განსაკუთრებულ ერთობასა, ყველა პარტია, ყველა მიმართულებისა და რწმენის კავკასიელი მაინც, თუ სხვა არავინ, ყველასათვის თავის თავად საგულისხმო ჭეშმარიტებად ითვლებოდა და ითვლება დღესაც აგრეთვე რაღაც განსაკუთრებული ერთობა კავკასიისა, – ერთობა, რომელიც ცალკეა აღიარებული და რომელმაც თავის თავად, როგორც მთლიანმა პიროვნებამ, უნდა განამტკიცოს ერთობა მთელს რუსეთთან. არა გუბერნიები, არა ის რაოდენობა მცხოვრებთა, რომელიც კავკასიაშია, განამტკიცებს რუსეთთან ერთობას, არამედ „კავკასია“, რომელსაც თავისი საზოგადოებრივი პიროვნება უნდა ჰქონდეს, თავისი განსაზღვრული უფლებანი და ვალდებულებანი რუსეთთან. სულ ერთია, რა ფორმაც ექმნება კავკასიის ამ საზოგადოებრივ პიროვნებას, – ფორმა ერთობისა, ავტონომიისა თუ სხვა რამ ფორმა, – იგი მაინც „კავკასიად“ არის აღიარებული, ამ სიტყვას ეძლევა რაღაც განსაკუთრებული აზრი.

ჩვენ აქ არ გვინდა გავარჩიოთ ზემოხსენებულნი ფორმანი კავკასიის ასეთ საზოგადოებრივ პიროვნებისა, რომელიც რუსეთთან განამტკიცებს ამა თუ იმ განწყობილებას, არც პროექტების შემუშავება გვინდა. ჩვენთვის საინტერესოა თვით არსება კავკასიის საზოგადოებრივ პიროვნებისა; რას წარმოადგენს კავკასია, როგორც საზოგადოებრივი პიროვნება? რაში გამოიხატება მისი აწმყო ერთობა და მომავალშიაც ძლიერ საეჭვო ხომ არ იქნება განხორციელება ამ ერთობისა?

ჩვენ აქ არც კავკასიის ცხოვრების წვრილმანზე ვილაპარაკებთ, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ზოგადი მოსაზრება გვსურს გამოვსთქვათ და სხვა არაფერი. ბეჯით დასკვნათათვის კი საჭიროა ხანგრძლივი კვლევა და ღრმა ცოდნა საგნისა.

ხანდახან რომელიმე საგანი ერთიანად და მთლიანად გვეჩვენება ხოლმე, მაგრამ როგორ უნდა დავამკვიდროთ ჩვენს გონებაში მისი ერთობა, თუ განსაზღვრული კრიტერიუმი არ გვექნება, განსაზღვრული თვალთახედვა, რომლითაც უნდა განვიხილოთ იგი? ყოველთვის საჭიროა ასეთი კრიტერიუმი, ერთი რომელიმე კრიტერიუმი მაინც, რომ ერთი რომელიმე ერთობა საგნისა განვამტკიცოთ. საგანს კი მრავალი მხარე აქვს, რომლითაც იგი განიხილება, და ჩვენს არჩევანზეა დამოკიდებული,–ისეთი მხარე უნდა ამოვირჩიოთ ჩვენის საგნის ერთობის განსამტკიცებლად, რომელიც ჩვენს მიზანს უფრო შეეფერება. შეგვიძლია აგრეთვე შეძლებისა დაგვარად ყოველ მხრით განვიხილოთ საგანი, იგი მთლიანად მოგვეჩვენოს რომელიმე მხრითა და არა მთლიანად სხვა მხრით, და აქაც ჩვენი მიზნისაგან არის დამოკიდებული, – რომელი ერთობა გვჭირდება განსამტკიცებლად, რომ ამის და მიხედვით მივაქციოთ ყურადღება ჩვენთვის საჭირო ერთობისა და მთლიანობის დამამკვიდრებელ მხარეებს და არ მივაქციოთ ყურადღება ჩვენთვის საჭირო ერთობისა და მთლიანობის დამამკვიდრებელ მხარეებს და არ მივაქციოთ ყურადღება იმ მხარეებს, რომლებიც ჩვენთვის არავითარ ერთობას არ განამტკიცებენ. ამ გვარად, ჩვენი მიზნის მიხედვით, შეგვიძლია განვამტკიცოთ ნამდვილი ერთობა საგნისა და აღმოვაჩინოთ მოჩვენებული მისი ერთობა, ხოლო ეს „სინამდვილეც“ და ეს „მოჩვენებაც“ აგრეთვე ჩვენი მიზნის თვალთახედვით გვეჩვენება ამგვარად.

მაგალითად, რუსეთის იმპერია ერთი და მთლიანია რუსეთის სახელმწიფო იდეის თვალთა ხედვით, რუსეთის სახელმწიფო კაცთა მიზანთა თვალთახედვით. კრიტერიუმი ამ ერთობისა მათთვის რუსეთის არსებობაა, თვით ფაქტი რუსეთის იმპერიის არსებობისა სრულიად და სწორედ განზომილ საზღვრებში. მაგრამ რამდენი ელემენტია რუსეთის იმპერიაში სულ სხვა და სხვა მიზნის მქონე, რომელნიც ამ თავიანთ მიზანთა მიხედვით მრავალ სხვა მხრით განიხილავენ რუსეთსა და ეს უკანასკნელიც მათთვის სრულიადაც არ არის ნამდვილი ერთობა, არამედ მოჩვენებული ერთობა, მრავალ ფეროვანება, რომელიც დღეს ნაძალადევ ერთობას წარმოადგენს. მართლაც, როდესაც ვიკვლევთ რუსეთს, როგორც სახელმწიფოს და ეს არის მიზანი ჩვენის

კვლევისა (შეიძლება სხვა რამის მიზანიც, როგორც, მაგალითად, სახელმწიფო კაცებს აქვთ) – რუსეთი არის ამ თვალთახედვით ერთი და განუყოფელი. როდესაც იმავე რუსეთს ვიკვლევთ, მაგალითად, გეოგრაფიულის მხრით, – იგი მრავალ-ფეროვანია და მრავალ მთელ ერთეულისაგან შესდგება. როდესაც მას ვიკვლევთ ანტროპოლოგიურისა და ეთნოლოგიურის მხრით, – მაშინაც იგი არავითარ ერთობას არ წარმოადგენს. ისტორიულის მხრითაც იგი მრავალ-ფეროვანებაა. ხოლო ერთობ სოციალურად იგი არა თუ ერთი და მთლიანი არ არის, არამედ სრულიად სხვა და სხვა ნაწილთაგან შესდგება და ხშირად ერთი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ნაწილთაგანიც.

შეგვიძლიან შევამოკლოთ განსახილველი საგანი და ასეთნაირადვე შევხედოთ მას სხვა და სხვა მხრით. ავიღოთ, მაშასადამე ნაწილი რუსეთის სახელმწიფოსი, რომელიც ჩვენ აქ გვაინტერესებს, – კავკასია, – და შევხედოთ ზემოხსენებულ თვალთახედვით და ვნახოთ, რას წარმოადგენს იგი. ყოველ მხრით განვიხილოთ, მაგრამ ჩვენს კრიტერიუმად დავისახოთ სოციალური მსგავსება, სოციალური ერთობა, განვსაზღვროთ, რა არის ჩვენთვის ეს სოციალური ერთობა და მერე ვნახოთ, ამ მხრით კავკასია მოჩვენებული ერთობაა თუ ნამდვილი. სოციალური მსგავსება იმიტომ ავარჩიეთ უმთავრეს მხარედ, რომ მიზანი ჩვენი, იდეალი ჩვენი არის რუსეთის ყველა ბუნებრივ სოციალურ ორგანიზმთა თავისუფლება და, თუ შესაძლებელია, მათ შორის თავისუფალი კავშირი და არა სრულიად სხვა და სხვა სოციალურ ორგანიზმთა მთლიანად აღიარება ძალა-უნებურად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთობას კი არა, მრავალფეროვანებას წარმოადგენენ.

რასაკვირველია, კავკასია ერთია რუსეთის ადმინისტრატიულის თვალთახედვით. წინად იგი სანამესტნიკო იყო, შემდეგ სამთავარმართებლო, ეხლა ისევ სანამესტნიკოა. იგი ექვემდებარება რუსეთის იმპერიის საერთო კანონებსა და სხვა. იგი დაყოფილია გუბერნიებად, როგორც სხვა მიწა-წყალი რუსეთის იმპერიისა. ევროპიდან რომ გამოხედოს კაცმა ამ თვალთახედვით კავკასიას, რასაკვირველია, იგი მისთვის რუსეთის ორგანული ნაწილი იქნება, – ისეთივე „რუსეთი", როგორიც მოსკოვის გუბერნიაა. ეს პირდაპირ შეესაბამება აგრეთვე რუსეთის სახელმწიფოებრივობის თვალთა ხედვას, მიზანს, იდეალს. როდესაც საქართველოში მეფობა მოსპეს, ამ მიზნისა და იდეალის სახელით პირდაპირ ბრძანება იყო ჩვენში მოსულ ახალ გამგეთადმი, – საჭიროდ ესცანით საქართველო რუსეთის გუბერნიად გადავაქციოთო, – და ამ გადაწყვეტილების შესაფერად მოქმედებას ავალებდნენ. როდესაც მთელი კავ-

კასია დაიპყრეს და მთელი ერთი ერი ჩერქეზობა – მთლად ერთიანად გასწყდა და ოსმალეთში გადასახლდა, მათ ადგილებში რუსები ჩაასახლეს. აგრეთვე საქართველოში და კავკასიის სხვა და სხვა ნაწილში სახელმწიფო სცდილობს რუსების დასახლებას, რადგან იდეალი მისი კავკასიასა და რუსეთს შორის მარტო ადმინისტრატიული ერთობა კი არ არის, არამედ ნამდვილი, რეალური, რომლის დამატებაც, შედეგიცა და თვით უმთავრესი საშუალებაც იქნება ადმინისტრატიული ერთობა. როდესაც განხორციელდება ეს იდეალი, როდესაც კავკასიაში 99% რუსი იქნება, მაშინ სახელი კავკასიისა დარჩება, მაგრამ იგი რუსეთის ნამდვილი და ჰომოგენური ნაწილი იქნება. მაშინ განმტკიცდება მათ შორის ერთობა, – ერთობა, რომელსაც ემსახურება რუსეთის სახელმწიფო აზრი და რომლისაკენაც მიისწრაფვის იგი ეს ერთი საუკუნე.

დღეს კი ეს ერთობა მხოლოდ მოჩვენებულია (ე. ი. მოჩვენებითია – დ. შ.), ჩვენი მიზნის მხრით და ჩვენის თვალთახედვით. ადმინისტრატიული ერთობა ნამდვილი ერთობა არ არის. კავკასია რომ დაჰყო თოთხმეტ გუბერნიად, დანიშნო თოთხმეტი გუბერნატორი, რომელნიც ნამესტნიკს ექვემდებარებიან, მთელი მხარე რომ შეიყვანო რუსის კანონის მოწესრიგების სფეროში, – ეს კიდეე არ ნიშნავს იმ სოციალურ ერთობას, რომელიც ნამდვილი ერთობაა და რომელიც არის აგრეთვე მიზანი რუს სახელმწიფო კაცთა, – გარუსებით რომ უნდათ განახორციელონ ეს ერთობა, რომელიც მრავალ სხვა სოციალურ მოვლენათა ერთობით დახასიათდება.

ხელად შეგვიძლიან ნათელ-ვყოთ ეს მოჩვენებული ერთობა ერთის უბრალო მაგალითით. ავიღოთ მცხოვრებთა რაოდენობა სხვა და სხვა გუბერნიაში, ვნახოთ, სად რამდენია რუსი, ის ელემენტი, რომლის მსგავსიც უნდა გახდეს ყველა კავკასიელი, რუსთა სახელმწიფო იდეალის მიხედვით.

1897 წლის აღწერის ანგარიშით, სტავროპოლის გუბერნიაში 873,301 მცხოვრებზე 91,97% რუსი იყო; ყუბანის ოლქში 1,918,881 მცხოვრებზე 90,57% რუსი იყო, მაშასადამე, თითქმის მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე განხორციელებულია ეს ერთობა; რუსობა დიდს უმეტესობას შეადგენს. თერგის ოლქშიაც მესამედი რუსობაა – 983,936 მცხოვრებზე 33,69% რუსია, აგრეთვე ჩერნომორის გუბერნიაში განდევნილ ჩერქეზების მაგივრად 57,488 მცხოვრებზე 60,60% რუსია. ამ რუსებისათვის, რასაკვირველია, ადმინისტრატიული ერთობაც განსამტკიცებელია ნამდვილ ერთობისა, რადგან მათი ნამდვილი ერთობა არსებობს, იგი გამოიხატება მათ რუსობაში, ეს რუსობა კი უმთავრესი ძარღვია ნამდვილ, სოციალურ ერთობისა. მაგრამ საკვირვე-

ლია, რომ ეს ნაწილი „კავკასიისა“ მთელ კავკასიის ერთობაში შედის, მაშინ როდესაც ამიერ კავკასიაში აი როგორ არიან ხალხები დანაწილებულნი: დაღესტნის ოლქში 571,154 მცხოვრებზე 79,17% ლეკია სხვა და სხვა ჯგუფისა და ერთისა და იმავე ძირის ენისა, დანარჩენი მუსულმანები – თათრები, თათები და სპარსელები მუსულმანები არიან ლეკებსავით, მაშასადამე, დიდი ერთობის მქონე მუსულმან ლეკებთან. რუსი კი მხოლოდ 2.81%. ბაქოს გუბერნიაში 826,716 მცხოვრებზე 58,84% თათარია, 11% – სხვა მუსულმანი, შემდეგ სომხობა და სხვანი, რუსი კი 9,39%, ისიც უმთავრესად ქალაქ ბაქოში. ყარსის ოლქში 290,654 მცხოვრებზე 35,88% თათარი და თურქია, 25,30% სომეხი, 14,80% ქურთი, მხოლოდ 9,58% რუსი. ერევნის გუბერნიაში 829,556 მცხოვრებზე 53,16% სომეხია, 37,82% თათარი და თურქი, 1,01% რუსი. განჯის გუბერნიაში 878,415 მცხოვრებზე თათარი არის 60,80%, სომეხი 33,26%, დანარჩენი სხვები არიან, რუსები კი 2,04%. საქართველოში: ტფილისის გუბერნიაში (ზაქათალის ოლქიანად) 1,051,032 მცხოვრებზე 50,90% ქართველია, 18,67% სომეხი, დანარჩენი სხვები არიან, რუსი კი 8,16%. ქუთაისის გუბერნიაში (ბათუმ-სოხუმიანად) – 1,058,241 მცხოვრებზე 85% ქართველია, დანარჩენი სხვები არიან, რუსი კი 2,22%.

ეს იმ აბნეულ-დაბნეულ სტატისტიკით, რომელიც 1897 წელს შეადგინეს ნამდვილი ცნობები კი უფრო საგულისხმიერო იქნებოდა. გარდა ამისა, რუსების რიცხვში ჯარი და ჩინოვნიკობაც შედის (თუმცა ამათშიაც ბევრია არა რუსი). ყოველ შემთხვევაში, სად 90% პროცენტი რუსობა ჩრდილოეთ კავკასიაში და სად 1% – 9% რუსობა ამიერ-კავკასიაში?! დიდი განსხვავებაა. სად 90% პროცენტი რუსობა და სად 80% – 90% ქართველობა, მაგალითად! ამათი ტერიტორიები რომ ერთსა და იმავე სანამესტნიკოში მოაქციო, საერთოდ მათ „კავკასია“ უწოდო, ვითომ ამით ნამდვილი იქნება ან კავკასიის ერთობა რუსეთთან, ან ერთობა თვითონ კავკასიისა? – არა მგონია.

მერე დაუკვირდით: აქ. საქართველოში, 50% – 85% ქართველობაა, იქ ლეკეთში – 80% ლეკობა, მაშასადამე, ცოტად თუ ბევრად დაცული ყოფილა ერთგვარი მოსახლეობა საკუთარ ტერიტორიაზე; იქ თათრების ბატონობა, სხვაგან კიდევ ერთმანეთში არეული თათრობა, სომხობა, ქურთობა და სხვანი! გუბერნიებად დაყოფა, რუსის სამართალი და ჩაფარი, ერთად მოქუჩება ასეთნაირად არეულ-დარეულ ეთნიურ და რელიგიურ სხვადასხვა ელემენტთა და „კავკასიელებად“ წოდება ვერა ჰქმნის თვით „ზაკავკაზიის“ ერთობასაც და ჩემის აზრით, ტყუილი ოცნებაა, რომ ოდესმე განხორციელდეს იგი. სულ

სხვა საკითხია სოლიდარობა მათ შორის. სოლიდარობა და ერთობა ერთი და იგივე არ არის.

* * *

თუმცა ფიზიკური ერთობა რასისა თავის თავად არ არის ძლიერი ფაქტორი ხალხთა სოციალური ერთობისა, არც ფიზიკური განსხვავებაა ამ ერთობის დიდად ხელის შემშლელი, ვინაიდან ერთ რომელსამე ერშიაც მრავალ რასის ნაწილებსა ვხედავთ, მრავალ ანთროპოლოგიურ ტიპებს, ერთ ეროვნულ ტიპად გადადღებულთ, მაგრამ ამ ფიზიკურ ერთობასა და განსხვავებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ შემთხვევაში, სახელდობრ ისეთ შემთხვევაში, როდესაც განსაზღვრული ფიზიკური ტიპი უკვე ჩამოყალიბებულ სოციალურ სხეულის შემადგენელ ადამიანებს ახასიათებს. ასეთ შემთხვევაში რაც უფრო დიდი განსხვავებაა სოციალურ სხეულთა შორის, მით უფრო მეტი ყურადღება ექცევა ფიზიკურ ტიპსაც და ესეც ზედ ერთვის ერთობის ხელის შემშლელ პირობებსა.

ანთროპოლოგ ალექსანდრე ჯავახიშვილის ოც-და-ხუთზე მეტი უმთავრესი ანთროპოლოგიური თვისება აქვს აღნიშნული, რომელთაგანაც, მაგალითად, ქართველებს, განსაზღვრული რაოდენობა საერთო აქვთ სხვა და სხვა ხალხთან, განსაზღვრული – განსხვავებული; ზოგთან მეტი საერთო, ზოგთან მეტი განსხვავებული. ფრიად საინტერესოა მისი შედარებითი ტაბულები, რომლის გაზეთში გადმოტანა მეტად მიგვაჩნია. ყველა ნახავს, ვინც მოისურვებს, ამ ტაბულებს მის «Антропология Грузии»-ს პირველ ნაწილში, გვ. 237-240. ქართველებს რუსებთან (ტვერის გუბერნიის რუსებთან, 200 კაცის გაზომვის მიხედვით) 27 შესადარებელი ანტროპოლოგიური ნიშანი აქვთ: საერთო – 17, განსვავებული – 10; პოლონელებთან (226 კაცი. გაზ.) – 20: საერ. – 11, განდ. – 9; ყუბანის ყაზახებთან (41-61 კ. გაზ.) – 22: საერთო – 10, განდ. – 12; აღმოსავლ. ქართველ-სომხებთან (105 კ. გაზ.) – 22: საერთო – 15, განდ. – 7; პოლონელ ებრაელებთან (100-200 კ. გაზ.) – 28: საერთო – 17, განდ. – 11; თერგის ოლქის ოსებთან (36-200 კ. გაზ.) – 18: საერთო – 9, განდ – 9 სპარსელებთან (46 კ. გაზ.) – 25: საერთო – 10, განდ. – 15; თორღოუთის მონღოლებთან (43.138 კაც. განდ.) – 26: საერთო – 13, განსხ. – 13; უდებთან (150-175 კ. განდ) – 26; საერთო – 17, განსხვ. – 9; ყუმიყებთან (107 კ. განდ.) – 18: საერთო – 15, განსხვ. – 3; ყაბარდოელებთან

(40 კ. გან.) – 20: საერთ. – 11. განსხვ. – 9; ყარა.ყირღიზებთან (10-66 კ. გაზ.) – 12: საერთ. – 6, განსხვ. სართებთან (38 კ. გაზ.) – 12: საერთო – 8, განსხვ. – 4. აზერბეიჯანელ თათრებთან – 13: საერთო – 4, განსხვ – 9.

რასაკვირველია, ეს უკანასკნელი სიტყვა არ არის მეცნიერებისა, თუმცა ბ-მა ალექსანდრე ჯავახიშვილმა კავკასიის ხალხთა ყველა ანთროპოლოგის ცნება შეკრიბა და შეიმუშავა და ასეთი შედეგი მიიღო. ქართველებს სხვა და სხვა ხალხებთან ამ ტაბულებით მეტ-ნაკლები მსგავსება და განსხვავება აქვთ. აგრეთვე ამ ტაბულათა შედგენა რომელიმე სხვა ხალხთან შედარებით შეიძლება დახატო და შედეგი ისეთივე იქნება. ყოველთვის დარჩება მსგავსება და განსხვავება მეტისა თუ ნაკლების ხარისხისა, და რაც უნდა დიდი იყოს მსგავსება და ნაკლები განსხვავება, ეს უკანასკნელი მაინც თავის ბეჭედს ასვამს ამა თუ იმ ტიპსა და ჩვენც განსხვავება უფრო ნათლად წარმოგვიდგება ხოლმე თვალ წინ, ვიდრე მსგავსება.

მაგრამ ეს წმინდა ანთროპოლოგიური გარჩევა კიდევ ცოტა რამეს წარმოადგენს იმასთან შედარებით, რასაც ჩვენა ვხედავთ რომელიმე ტიპის თვით სახის გამომეტყველებაში. სპეციალური ბეჭედი აზის სახეზე ყოველ ხალხის საშუალო ტიპს, ეს ბეჭედი მისთვის მის ხანგრძლივ ისტორიას დაუსვამს, მის სჯულსა, ზნე-ჩვეულებას, ერთობ იმ სოციალურ ცხოვრებას, რომლის სფეროშიაც აღზრდილან მისი მრავალნი წინაპარნი, მას მათგან მიუღია მემკვიდრეობით ათასი თვისება, ამავე სფეროში თვითონვე დაბადებულა და აღზრდილა. მემკვიდრეობასა და შობას რომ თავი დავანებოთ, თვით ფაქტი განსაზღვრულ სოციალურ სფეროში ცხოვრებისა განსაზღვრულ გარეგან ბეჭედს ასვამს უცხო ტომის ინდივიდსაც: იგი რამოდენიმედ ემსგავსება იმ ტიპს, რომლის სოციალურ სფეროშიაც იგი დიდხანს სცხოვრობდა. სოციოლოგმა გუმპლოვიჩმა ამას დიდი ყურადღება მიაქცია. იგი ამბობს, – ეს რაღაც გამოურკვეველი ბეჭედია, რაღაც თავისებური გამომეტყველება აქვს ამა თუ იმ ტიპს განსაზღვრულ სოციალურ წრეში მცხოვრებს, გადასახლებულიც კი ერთ სოციალურ სფეროდან მეორეში ამ უკანასკნელის გავლენას განიცდის ისე მძლავრად, რომ ბოლოს და ბოლოს სახით, გამომეტყველებითაც კი ემსგავსება ამ სფეროს ტიპსაო. – და თუ გადასახლებულიც ასეთ გავლენას განიცდის გარეგნულადაც, როგორიღა უნდა იყოს თავისებურება თვით ადგილობრივ მცხოვრებისა. თუ გარეგნულადაც მოსჩანს ეს თავისებურება, – როგორიღა უნდა იყოს მისი სულიერი თავისებურება, შექმნილი იმ სპეციალურ საზოგადოებრივ წრისაგან, რომელიც ჰქმნის ასეთს ტიპს, მაშა-

სადამე, მთელს სოციალურ ერთეულს, შემდგარს ასეთს საშუალო თავისებურ ინდივიდთაგან, – მთელს სოციალურს ტიპს.

კავკასიაში ასეთი სოციალური ტიპები არსებობენ, მაგრამ სოციალურ ტიპთა არსებობა კიდევ არაფერია, – არსებობენ თვით შედარებით შეურეველი ეთნიური ტიპებიცა, რომელნიც ჟამთა ვითარებაში არასოდეს ისე არ შერეულან, რომ ერთი ხალხი, ერთი ერი დაეარსებინათ. აბა გადაჰხედეთ ევროპას, ევროპის ერებს, რამდენი ეთნიური ელემენტია თვითოეულ ერში. საფრანგეთი პირდაპირ ნარევია კელტებისა, რომაელებისა, იბერიელებისა, გერმანელებისა, მაგრამ ამ ნარევმა შეჰქმნა ერთი ტიპი – ფრანგის სოციალური ტიპი. ინგლისი კიდევ მეტად არის ნარევი, ეთნიურ ელემენტთაგან შემდგარი. აგრეთვეა იტალია, ესპანია. თვით გერმანიაშიც კი წმინდა რასა არ არის დაცული: იქ გერმანელი, კელტი, სლავიანი და ფინნია არეული. თვითოეული კავკასიელი ერი, რასაკვირველია, ალბად, ოდესღაც უცხო ეთნიურ ელემენტებს შეისვამდა. რეკლიუ ამბობს, დღეს სომეხთა სისხლში მრავლად არის ებრაელისა და ქურთის სისხლიო; სპარსელში კიდევ ბევრია თათრის სისხლი, მაგრამ კავკასიაში ისეთი აღრევა ეთნიურ ელემენტთა და ერებად გადადულება თავის დღეში არ მომხდარა, როგორიც მოხდა ევროპაში. ჩემის ფიქრით, ორი უმთავრესი ფაქტის არ არსებობამ გამოიწვია ასეთი მოვლენა კავკასიაში, წინაალმდეგ ევროპისა, სადაც ეს ორი ფაქტი მოხდა: რომის იმპერიის მსგავსი არასოდეს არა ყოფილა რა კავკასიაში. ევროპაში რომის იმპერიის ბატონობამ აღრია, შეაერთა და გაარომაელა მთელი სამხრეთი და დასავლეთი ევროპა. კავკასიაში კი კავკასიის იმპერიაც არა ყოფილა, კავკასიის ხალხები ისე არ აღრეულან ერთმანეთში, რომ ერთი ხანგრძლივი სახელმწიფო დაეარსებინათ და შემდეგ ერთ კავკასიელ ერად გადადულებულიყვნენ. იყო ხოლმე ბატონობა უცხოთა, იყო ხან-მოკლე ქართული ძლიერი სამეფო, დავით აღმაშენებლისა და თამარისა, რომელთაც თითქმის მთელი კავკასია ეპყრათ; შირვან-დერბენდი ჰყავდა დავითს საზღვრად, „თავისი ხმლით შემოხაზული“, უძველეს დროიდანაც დიდი იყო ქართველთა გავლენა კავკასიის სხვადასხვა ხალხზე, მაგალითად, ლეკებზე, მაგრამ ქართველობამ კავკასია ვერ გარდაქმნა საქართველოდ; მუდმივი შემოსევაც, სხვათა შორის, ამ საქმეს ხელს უშლიდა. მეორე ფაქტი ის არის, რომ ხალხთა დიდ გადასახლებას ისეთი შედეგები არ მოუტანია კავკასიაში, როგორც ევროპაში. იქ გერმანელებმა განაახლეს ძველი საზოგადოება რომისა და გალლო-რომაელთა, შექმნეს ახალი დიდი ერები, ანუ მისცეს მათ თავიანთი ელფერი, აქ-კი უცხო

ხალხთა შემოსევა გრიგალივით გადმოუვლიდა ხოლმე კავკასიას, ცეცხლსა და მახვილს აძლევდა ყოველისფერს, ახალს ვერაფერსა ჰქმნიდა, და ბოლოს იმით გათავდა, რომ უმთავრესი ხალხები შემოსეულებს არ შერევიან, — ქართველი ქართველად დარჩა, სომეხი სომხად; მთიულებში ისლამი შეიტანეს, საქართველოს მესამედი გაამაჰმადიანეს და დიდი კულტურა მოუსპეს, ისიც აგერ — ახლა-ხან. კავკასიის აღმოსავლეთი აივსო თათრებითა, რომელთაც ვერაფერი ვერ შეჰქმნეს რა ერთობ კავკასიის ერთობისათვის, პირ-იქით, კიდევ უფრო არივ-დარიეს აქაურობა. ამით გათავდა მათი „მსვლელობა". ბოლოს რუსები მოვიდნენ, და როგორც უკვე ვთქვით, ჩრდილოეთი კავკასია-კი გააყაზახეს, მაგრამ დიდი საკითხია, „გააერთიანებენ" თუ არა მთელს კავკასიას, თუმცა ასეთი „ერთობა" მათ სახელმწიფო მიზანს შეადგენს.

დღეს კავკასიაში მრავალი ეთნიური ჯგუფი არსებობს, რომელნიც არც-კი ფიქრობენ ერთმანეთში აღრევასა და რომელთაც თანდათან ეღვიძებათ თავიანთ სოციალურ ინდივიდუალობის შეგნება. თუ ყველა მათგანი არ წარმოადგენს შეურიგებელ ელემენტებს, უმთავრესნი მაინც ასეთნი არიან, და ერთობა მათ შორის პირდაპირ წარმოუდგენელია. სოლიდარობის განმტკიცებაც-კი ფრიად ძნელია, ფრიად რთული მოსაწყობი, არა თუ ერთობა და ერთ ერად გარდაქმნა, რომ თვითოეულმა სთქვას გულწრფელად, ისე, რომ არა სტყუოდეს თავის-თავის წინაშე და უცხოსაც არ ატყუებდეს, — მე „კავკასიელი" ვარო!

ეთნიური ერთობა კავკასიელთა არ არსებობს არა თუ იმ აზრით, რომ სისხლით არიან სხვა-და-სხვანი, არამედ იმ მხრითაც, რომ კულტურული და ისტორიული საერთო ტრადიციები მათ არა აქვთ. არასოდეს არ არსებულა „კავკასიის ისტორია", იგი მხოლოდ ხელოვნურად დაიწერება, როგორც შეერთება კავკასიის სხვადასხვა ხალხის ისტორიებისა. არასოდეს არ არსებულა „კავკასიის საერთო კულტურა", იგიც სხვადასხვა კულტურათა ურთიერთზე გავლენით თუ დახასიათდება, თორიემ კულტურის რომელი ისტორიკოსი დასწერს „კავკასიის კულტურის" ორგანული განვითარების ისტორიას.

საზოგადოდ, მთელი კულტურული და პოლიტიკური ისტორია კავკასიის ხალხთა ერთ კალაპოტში არასოდეს არ ჩამდგარა, რომ დროთა ვითარებაში შეუჩერებლად ედინა, როგორც ერთ დიდ მდინარეს ცივილიზაციის სხვა მდინარეთა შორის. თვითეულ ხალხს ჰქონდა თავისი ორიგინალური ისტორია დღემდე. იყო ხოლმე ურთი-ერთზე გავლენა, პოლიტიკურ ცხოვრებათა მიმდინარეობის შეხვედრა, შეტაკება, კავშირი საერთო მტერთა წინააღმდეგ, მაგრამ

ერთობა – არასოდეს, თვით რელიგიური ერთობაც არა ყოფილა კავკასიაში ისეთი, როგორც ევროპაში პაპობამ შეჰქმნა და თავისი ბეჭედი დაასვა მთელს ევროპიულს პოლიტიკურსა და ერთობ სოციალურ ცხოვრებასა. ჩვენში კი საეკლესიო ერთობა თვით ქართველ-სომეხთა შორისაც კი მოისპო მეექვსე საუკუნეში. კათალიკოზ აბრაამის ბრძანება თავის სამწყსოსადმი საგულისხმიერო: „ქართველების შესახებ ჩვენ დავადგინეთო, – ამბობდა იგი: – ამიერიდან გეკრძალებათ მათთან იქონიოთ ერთობა ლოცვასა, ჭამა-სმასა, მეგობრობასა და შვილების კვებაში, აღარ უნდა მიხვიდეთ მოსალოცავად მცხეთის სახელოვან ჯვარისა, არც მანგლისის ჯვარისა. აღარც უნდა მიიღოთ იგინი ჩვენს ეკლესიაში. მათთან ცოლ-ქმრობას განეშორეთ. მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ მათ, ვითარცა ურიათაო“. – საერთოდ საქართველოს ისტორიას თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, აგრეთვე სომხეთის ისტორიას. სომხობაც და ქართველობაც „ისტორიული ინდივიდუალობანი“ იყვნენ, „სულიერნი ოჯახნი“, როგორც რენანი ამბობს თვითეულ ერის შესახებ. ისტორია ამ ორი ხალხისა სულ სხვა და სხვა იყო, როგორც დროში, ისე სივრცეში. ბედი მათის ისტორიისა სულ სხვა და სხვა იყო აგრეთვე, ხან და ხან წინააღმდეგიც: როცა სომხეთის ისტორია მიიწურა და მეთერთმეტე საუკუნეში დაიშალა და დაინგრა სრულიად და უკანასკნელად ეროვნულ – პოლიტიკური ცხოვრება სომხეთისა, საქართველოში მაშინ იკრიბებოდა ეროვნული ძალები, დავით აღმაშენებელი ჰქმნიდა ქართულ მძლავრ იმპერიას, მეთორმეტე საუკუნეში კი საქართველო სრულიად გაიფურჩქნა და შეჰქმნა თავისი „ოქროს ხანა“.

კავკასიის მთიულთა ისტორია ჯერ არც კი არის გამორკვეული. ეს კიდევ არაფერი, – მათ არც კი აქვთ თავიანთი ისტორია, მწერლობაც არა ჰქონიათ, ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრებაც არ განუვითარებიათ, რომ მასთან ერთად საკმაო ეროვნული თვით-შეგნება განვითარებულიყო და მათ თვით შემგნებ სოციალურ ორგანიზმებს თვითონვე დაეწეროთ თავიანთი თავგადასავალი, გამოვლილნი ტანჯვანი და სიხარულნი, შემოქმედება და დიდება თავიანთ ნიჭისა და შრომისა. ისინი დღეს ისტორიულ მეცნიერების ობიექტები არიან, და არა შემოქმედნი თავინთ ისტორიისა.

თათრების ისტორია მარტო კავკასიის ისტორიულ ციკლს არ ეკუთვნის. მათაც არ შეუქმნიათ არასდროს ერთი ერი კავკასიის ტერიტორიაზე და არ გამოსულან მთლიან და თვით-შეგნებ ინდივიდიდან სხვა ისტორიულ ერთა პირისპირ. მცირე აზიაში და ბალკანის ნახევარ-კუნძულზე გადატყორცნილმა მათმა მონათესავე თურქებმა ევროპისა და წინა-აზიაში შეჰქმნეს ახალი, თუმ-

ცა ბევრის მტრობით უცნაური ხანა ისტორიისა; სპარსეთში ადერბაიჯანელები სპარსეთის ისტორიის სფერობა შევიდნენ, კავკასიაში დარჩენილ თათართა ისტორია ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით კი რამდენიმე... (გაურკვეველის — დ. შ), ისტორით ამოიწურება. შეიძლება აგრეთვე ეს ისტორია ახლა იწყებოდეს, წარსული კი... არავითარ ორგანულ ხასიათს არ იჩენს და არც არავითარ ორგანულ კავშირს წარმოადგენს სხვა ისტორიულ ერთა ისტორიასთან.

ამგვარად, ერთობა ისტორიისა, არც ისტორიულ განვითარების თანასწორი ხარისხიც, არ არის კავკასიელთა შორის, ისტორიულ განვითარების ხარისხის თანასწორობა კი სხვა ნამდვილ სოციალურ მსგავსებასთან, ერთად ერთი უპირველესი საშუალებათაგანია მათ შორის მტკიცე კავშირის გამტკიცებისათვის.

* * *

კავკასიაში სხვა და სხვა სოციალური ჯგუფებია, რომელთა ისტორიული და სოციალური განვითარება ერთი და იგივე არ არის. პირიქით, დიდი გასხვავებაა ამ მხრით მათ შორის. აქ ვხედავთ რუსობის სხვა და სხვა ელემენტს: ყაზახობას, გლეხობას, რომელთა უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში სცხოვრობს, და როგორც წარმომადგენელნი გაბატონებულ ერისა გამორიცხულ უნდა იყვენენ კავკასიის ერთობიდან, რადგან კავკასიის ერთობა მათის თვალთა ხედვით რუსობაა, ე. ი. სრული მოსპობა კავკასიის ორიგინალობისა. აკი ამიტომაც გამოვრიცხეთ ჩრდილოეთის ნაწილი კავკასიისა კავკასიის ერთობიდან, რომელიც ჩვენი საკუთარის თვალთა ხედვით გვაინტერესებს და არა რუსულ სახელმწიფო იდეის თვალთა-ხედვით. აქ არიან როგორც ვთქვით, ისეთი სოციალური ჯგუფები, რომელთათვისაც ერის, ისტორიულ ერის სახელწოდებაც კი შეუძლებელია. აქ არიან ქართველები და სომხები, რომელთაც ხანგრძლივი ეროვნული ისტორია და კულტურა აქვთ. არიან ბოლოს თათრები, რომელთა ნამდვილი ეროვნული ისტორია შეიძლება ახლა იწყებოდეს კავკასიის ტერიტორიაზე. ასეთის განსხვავებულის ელემენტებისაგან შესდგება ერთობ კავკასიის ხალხი და ამიტომ გვებადება ეჭვი მის არა თუ მომავალ ერთობაზე, არამედ ნამდვილ და მტკიცე სოლიდარობაზედაც, თორემ კავკასია რომ მხოლოდ სამი ერთსა და იმავე განვითარების ხა-

რისხის სოციალურ ჯგუფისაგან, ანუ უკეთ ვთქვათ ეროვნულ ჯგუფისაგან შესდგებოდეს, როგორც ეს შვეიცარიაშია, და არა მრავალ, სრულიად განსხვავებულ ჯგუფისაგან, როგორც სიდიდითა, ისე განვითარების ხარისხითა, – მაშინ, რასაკვირველია, მათ შორის სოლიდარობა, კავშირი, კონფედერაცია, ან მათ მიერ ერთ ფედერატიულ სახელმწიფოს შექმნა – ყოველივე ეს ადვილად გადასაწყვეტი საკითხი იქნებოდა თეორიულად, შესაძლებლობისა და სურვილის მხრით მაინც. ეხლა კი ზემო ხსენებულ მიზეზთა გამო ეს საკითხი ძლიერ რთულია; ყოველივე ზემოხსენებულს კიდევ ის ერთვის, რომ ბევრგან პირდაპირ დომხალივით არის არეული ერთმანეთში სხვა და სხვა, ხანდახან ურთი-ერთის მოსისხლე და შეურიგებელი ელემენტები.

ჩამოვთვალოთ უმთავრესი საგანნი, რომელნიც ჰქმნიან ნამდვილ, ორგანულ სოციალურ ერთობას და რომელთა არ-არსებობა ხელს უშლის თვით სოლიდარობასაც კი განუვითარებელ საზოგადოებათა შორის.

კავკასია აზიაა, და აზიაში, ხომ მოგეხსენებათ, რა დიდი მნიშვნელობა და როლი აქვს სჯულსა, სარწმუნოებასა. ჯერ ევროპამ რამდენი იღვაწა და სისხლი დაჰღვარა, სანამ მისი ბრჭყალებიდან განთავისუფლდებოდა. რამდენი დრო გავიდა, სანამ ეროვნულ ერთობის იდეამ სძლია სარწმუნოების ერთობის იდეას. ჩვენში კი ამ მხრით ძლიერ ჩამორჩენილნი ვართ და სარწმუნოებრივი განსხვავება დიდს, უდიდესს როლსა თამაშობს. ამიერ-კავკასიაში სამი უმთავრესი სარწმუნოებაა, რომელთა შორის არც თუ ისეთი მეგობრული კავშირია, როგორიც ჩვენის ერთობისა და სოლიდარობისათვის არის სასურველი: მართლმადიდებლობა, სომეხ-გრიგორიანობა, და მუსულმანობა. ეხლა რაოდენობა აიღეთ ამ სარწმუნოების მოსავთა. მართლმადიდებელნი – 1,732,561 სული; სომეხ-გრიგორიანი. – 1,206,155; მუსულმანნი (შიიტი და სუნიტი) 2,741,776.

დანარჩენ სარწმუნოების მმოსავთა რიცხვი დიდი არ არის, სულ ყველასი ერთად – 171,155, თუმცა ამათაც უნდათ თავიანთი უფლებანი და გარანტია, როგორც უნდა იყოს ფორმა კავკასიის მომავალ ორგანიზაციისა. თავი რომ დავანებოთ ყველაფერს, – ვსთქვათ, რომ შევძელით და კავკასიის მომავალი ორგანიზაცია იდეალურად მოვაწყვეთ, განვაშორეთ კიდეც ერთმანეთს სასულიერო და საერო საქმეები, მაინც საკითხია ჩვენთვის, – რა როლს ითამაშებს ეს რელიგიური განსხვავება და წინააღმდეგობა თვით ამ პოლიტიკურ ორგანიზმის შედგენის პროცესში..., პირადადაც რომ ვინმე ჩვენგანი გამაჰმადიანდება, – მარტო სჯულსა და რწმენას კი არ იცვლის, არა-

მედ უარ-ჰყოფს მთელს თავის ორი ათასი წლის ისტორიას, თვით იმ ბრძოლის შინაარსს, რომელიც განიცადეს მათ მამა-პაპათა, და უერთდება სულიერად სრულიად მოწინააღმდეგე სოციალურ ორგანიზმსა. გამაჰმადიანება კათოლიკობიდან პროტესტანტობაში გადასვლა არ არის. გამაჰმადიანება იმავე დროს გათათრებასა, გასპარსელებასა, გაოსმალებასა ნიშნავს ჩვენთვის ჯერ ჯერობით და კიდევ დიდხანს ექნება ეს მნიშვნელობა.

ამრიგად თვით ერთი ერის ერთობისა, მაგალითად, ქართველთა ერთობის ხელის შემშლელია სჯულის სხვა და სხვაობა და წინააღმდეგობა, და რაღა უნდა იყოს იგი სხვა და სხვა ერთა, სხვა და სხვა პატარა ეთნიურ ჯგუფთა ერთობისათვის. მოიწვიეთ, მაგალითად, დამფუძნებელი კრება ყველა ზემოხსენებული რელიგიურ ჯგუფებისათვის, – მუსულმანები-კი კავკასიაში სწორედ სარწმუნოებას აღიარებენ ერთა კლასსიფიკაციის კრიტერიუმად, – და გადააწყვეტინეთ მათ მომავალი დაყოფა კავკასიისა საფედერაციო კანტონებად, ან შტატებათ. თუ თანასწორი რაოდენობა იქნება ყველა სჯულის წარმომადგენელთა ასეთ კრებაზე, – ეს მაინც ვერ იხსნის კრებას გაჭირებისაგან, რადგან რამდენიც უნდა იყოს მათი წარმომადგენელი, ერთხმად აღიარებენ სრულიად სხვანაირ ორგანიზაციას, ვიდრე დანარჩენი სარწმუნოებანი და არასოდეს არ დაემორჩილებიან უმეტესობას შეერთებულ სარწმუნოებათა. თუ პირდაპირისა და საყოველთაო კენჭისყრით მოიწვიეთ კრება, – მაჰმადიანები უმეტესობით პირდაპირ გასრესენ ყველა დანარჩენ სარწმუნოებას, ამ მხრით, მაშასადამე, ფედერატიულ პრინციპსაც ვერ განახორციელებს წინდაწინ მოწვეული დამფუძნებელი კრება, რადგან იქნება ისეთი საკითხები, რომლებიც წინდაწინვე უნდა გადაწყდნენ, თორემ კრება მათ ვერ გადასწყვეტს ვერასოდეს. ჩვენთვის მაგალითად, უეჭველი ჭეშმარიტებაა, რომ საქართველო მთლიანი პიროვნებით უნდა შევიდეს. კავკასიის ფედერაციაში ეს საკითხი მანამდე უნდა იქნეს გადაწყვეტილი, სანამ დამფუძნებელი კრება მოიწვეოდეს, თუ კი ამ კრებას მიეცით ეს საკითხი გადასაწყვეტად, როგორც სჯულის განსხვავება ქართველთა შორის, ისე ბევრი სხვა მოსაზრება მეზობელ ერთა, თავის დღეში არ აღიარებინებს არავინ საქართველოს მთლიანობას, ქართველობა კი თავის დღეში არ დასთმობს ამ საკითხში ერთ იოტის ოდენასაც! ყველამ უწყის, რაც გამოვა ასეთის წინააღმდეგობისაგან.

აიღეთ მეორე დიდი სოციალური მოვლენა, განმამტკიცებელი სოციალურ ერთობისა, – ენა. კავკასიაში რომ სამი უმთავრესი ენა იყოს, როგორც შვეიცარიაში, კიდევ არა უშავსრა. მაგრამ აქ უთვალავი ენაა. დღეს კიდევ

ისეთი ხანაა, რომ ყოველ ენას აქვს სურვილი ლიტერატურის შექმნისა, განვითარებისა, აღორძინებისა. საუკუნეთა განმავლობაში რომ ანბანიც არ ჰქონდათ, დღესა ჰქმნიან საკუთარ ანბანსა და მწერლობას იწყებენ. თვით მაჰმადიანებიც-კი მალე მიაქცევენ ყურადღებას ენის განსხვავებას და, შეიძლება ეს ქართველებისათვის იმ მხრით იყოს ხელსაყრელი, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა ენის მხრით მაინც იგრძნონ ერთობა ჩვენთან, მაგრამ როცა აღმოჩნდებიან მსურველნი ლეკურ ენისა, ჩაჩნურისა, ოსურისა და მრავალ სხვათა, მაშინ აღარავინ აღარ დასჯერდება სამი ენის ქართულის, სომხურისა და თათრულის – ბატონობას და თუ დღეს ამ ნიადაგზე კულტურულ ავსტრიაშია ერთი აურ-ზაური, ადვილი წარმოსადგენია რაღა იქნება ჩვენში, შედარებით უკულტურო კავკასიაში, სადაც უფრო მეტად არიან არეულ-დარეულნი ენები და ეროვნებანი. აქაც, მაშასადამე, წინადვე მოწვეული დამფუძნებელი კრება ერთა და ენათა შესარიგებლად ვერას გახდება, თუ წინდაწინვე არ იქნა განსაზღვრული და არსებული ფაქტი დამოუკიდებლობა თითოეულ შესაკავშირებელ ერთეულისა.

იურიდიულ შეგნების ერთობა კიდევ ნაკლებად ახასიათებს კავკასიის ერებს. შეუძლებელია ერთი და ივივე სამართალი შეიმუშაოს კავკასიის წარმომადგენელთა კრებამ, ისეთი დიდი განსხვავებაა მათ შორის ზნეჩვეულებათა, წესთა და ადათთა, შარიატისა და ქართულ ან სომხურ სამართალთა შორის. საერთო დამფუძნებელი კრება ან საერთო პარლამენტი იძულებული იქნება ათასნაირ კანონთა კრებული მისცეს სამართლის ყოველ დარგში კავკასიის სხვა და სხვა ერს და სოციალურ ჯგუფს რომ თითოეული მათგანი დაკმაყოფილდეს, ან და საერთო კანონები ძალით უნდა მოახვიოს თავზე, რაიცა თავისუფალ კრებას არ შეუძლია და არც ისურვებს. აქაც, მაშასადამე, თვით კრებაზე უნდა მივიდეს თითოეული წარმომადგენელი უკვე გარკვეულ სამართლითა და უნდა იგულისხმებოდეს მის ამომრჩეველთა შორის უკვე არსებული იურისპრუდენცია.

აიღეთ ეკონომიური მხარე სოციალურ ცხოვრებისა. აქაც დიდ განსხვავებას ნახავთ. ჯერ ერთი ეკონომიური ცხოვრება ძლიერ არის დამოკიდებული ხალხის ზნე-ჩვეულებაზე და არსებულ იურიდიულ ან კონვენციონალურ ნორმებზე, და თუ ამ უკანასკნელ სოციალურ მოვლენათა შორის არის განსხვავება, მაშასადამე, ეკონომიურ ცხოვრების სხვა და სხვაობაც იქნება. ვინ არ იცის, რა განწყობილებაში არიან ურთი-ერთ შორის შარიატი და წესი და ადათი ერთის მხრით და მიწის მფლობელობა მეორეს მხრით. მეორე – ფი-

ნანსურ საკითხებში კავკასიის დამფუძნებელი კრება ან პარლამენტი ისეთ წინააღმდეგობას შეჰხვდება თუ გინდა იმ მხრითაც, რომ კავკასიის ერები სრულიად სხვა და სხვა ეკონომიურ განვითარების საფეხურზედა სდგანან, რომ მისი მოქმედება შეუძლებელი იქნება. დასთანხმდება სომხის კაპიტალი დაღესტანში მიწის კულტურისა ან განათლების ასაყვავებლად მილიონები ხარჯოს? გუშინაც კი ბატონი ხატისოვი გაიძახოდა – ტფილისის ქალაქს ტფილისის მაზრისაც არა მართებს-რაო, არა თუ მთელი კავკასიისაო, ვყიდით, ვყიდულობთ, ფულს ვიღებთ, ფულს ვაძლევთ, – ქვით, მორჩა და გათავდაო, და მომავალი საერთო ფინანსები კავკასიისა, საერთო ბიუჯეტი შესაძლებელია? თანასწორი განაწილება სხვა და სხვა კუთხისათვის ხარჯისა საკითხს ვერ გადასწყვეტს, რადგან ჩვენში ძლიერ მდიდარი მხარეებიცაა და უკიდურესად ღარიბიცა. აგრეთვე ვინ დასთანხმდება შემოსავლის დაგვარად გადასახადების გაწერას? რომელი სომეხი ან თათარი გაიღებს თავის ჯიბიდან ფულს ქართველის საკვებად? თუ ფინანსები ერთობის თვითეულ წევრის საკუთარი სახელმწიფო ფუნქცია იქნება? მაშინ ვეჭვობ, რომ ერთი უმთავრეს ძაფთაგანი საერთო ცხოვრებისა გაწყვეტილი არ იქმნას.

საერთო ბიუჯეტი კავკასიისათვის, თუმცა ყველა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არა, მაგრამ ძლიერ ბევრ საქმეთა გასაკეთებლად აუცილებელია, რადგანაც ჩვენში ბევრია ისეთი მხარე, რომლის პროგრესი შეუძლებელია, თუ საერთო მთავრობამ დიდი ხარჯი არ გასწია ამ საქმისათვის. და თუ ავტონომიები ეროვნებათა მიხედვით იქმნენ შედგენილნი, რასაკვირველია ერთი ერი ძლიერ უგულოდ დასთანხმდება სხვა ერისათვის თავის სიმდიდრის განაწილებას.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რომ ჩვენში არსებულ სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფს თავისი განსაზღვრული ტერრიტორია ჰქონდეს. ტერიტორიის დაქუცმაცება, სხვა და სხვა ელემენტების არევა, – აი რა უშლის ხელს უმთავრესად ჩვენს ერთობას. ერთს ოჯახში რომ სრულიად სხვა და სხვა ხასიათის ხალხი შეიკრიბება და ყველა აცხადებს თავის უფლებასა და უპირატესობას, – სწორედ ისეა კავკასიის საქმე. ყველა ერს რომ ჰქონდეს თავისი განსაზღვრული ტერრიტორია და მასზე ჰქონდეს აშენებული თავის სოციალური ცხოვრება, თავისი სოციალური ერთობა, რასაკვირველია, მაშინ ყველა ამ სოციალურ ერთეულთა სოლიდარობა ადვილი საქმე იქნებოდა, მალე მოეწყობოდა, თუ სხვა პირობები ხელს შეუწყობდნენ. მაგრამ, ხომ იცი, მკითხველო, როგორი სიამაყით გიცქერის ადამიანი, რომელსაც თავის ბინა

აქვს, სახლ-კარი, ოჯახი. ისიც ხომ იცი, როგორ უბედურად გამოიყურება უსახლ-კარო, რომელიც სასოწარკვეთილებას ეძლევა, თუ ვერ ჰპოვებს თავშესაფარს, ან იბრძვის უკანასკნელ წუთამდე მის მოსაპოვებლად. ერიც ასეთსავე სულის-კვეთებას განიცდის, განსაკუთრებით ის ერი, რომელსაც ჰქონია ერთ დროს დიდი ტერრიტორია, ეხლა კი აღარ აქვს...

ამგვარად, ჩემის ფიქრით, იქ, სადაც სოციალური ერთობა არ არის, ე.ი. ერთობა ენისა, სჯულისა, ზნე-ჩვეულებათა, ისტორიისა, ეკონომიურ ცხოვრებისა, არ არის კულტურული განვითარების ხარისხის თანასწორობა, არ არის აგრეთვე განვითარებული ტერრიტორიები სხვა და სხვა საზოგადოებრივ სხეულთათვის, – არ არის სოციალური ერთობა, ანუ იგი ფრიად და ფრიად სუსტია და არა თუ ნამდვილი ეროვნული ერთობის განმტკიცება არ შეიძლება ამ სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის, არამედ მათ შორის ფედერატიულ კავშირის, სოლიდარობის განმტკიცებაც ძნელია, თუმცა არც იმას ვიტყვით, რომ სრულიად შეუძლებელი იყოს ასეთი სოლიდარობა.

ხშირად მომავალს კავკასიის ფედერაციას შვეიცარიისა, შეერთებულ შტატებისა, კანადისა, ავსტრალიისა და სხვა ფედერაციებსა და კონფედერაციებს ადარებენ. აგრეთვე ავსტრო-ჰუნგრეთის არეულ-დარეულობასაც ამსგავსებენ. ჩვენს მდგომარეობას მაგრამ ისტორია ზემოხსენებულ ფედერაციათა და კონფედერაციათა შედგენისა, აგრეთვე ისტორია ავსტრიის ერთა ურთიერთ განწყობილებისა სულ სხვაა, იგი ბევრად განსხვავდება ჩვენს ისტორიისაგან. ეს შედარება ყოველ შემთხვევაში ძლიერ საინტერესოა, იგი შეიძლება ცალკე მსჯელობის საგნად გავიხადოთ როდისმე.

* * *

როგორცა ვსთქვით, – არ შეიძლება სრული ანალოგია გავიყვანოთ შვეიცარიასა, შეერთებულ შტატებსა და კოლონიათა, ავსტრიასა და სხვა ერთის მხრით და კავკასიის შორის – მეორეს მხრით, შვეიცარია – ნაყოფია მთებსა და ხევებში შეხიზნულ ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვებისა. არა ჩვეულებრივი თვისება შვეიცარიისა კიდევ ის არის, რომ სამივე მხრით მას აკრავს ის უმთავრესი ერები, რომელთა სოციალურ ცხოვრებას თვითოეულად გამოეყვნენ მისი პატარა ნაწილები, მთებში შეხიზნულნი და თავისუფლების მოტრფიალენი. „მთების ერთობას“

უნდა უმადლოდნენ შვეიცარიელები უმთავრესად თავიანთ ერთობასა. ამას გარდა, მათ შორის რომ აყალ-მაყალი არ არის კულტურულ განსხვავების ნიადაგზედ, – ამისი უმთავრესი მიზეზიც ის არის, რომ ირგვლივ ყვავიან კულტურანი საფრანგეთისა, გერმანიისა და იტალიისა, რომელთა მზა-მზარეულად მიმღები ბრძანდება თვითოეული ეროვნება შვეიცარიისა.

რაკი ერთხელვე თავისუფლება მოიპოვა შვეიცარიის მთამ, იგი აღარავის დაანებებდა ამ თავისუფლებას, არ მიიღებდა სრულ მონაწილეობას ფართო ცხოვრებაში იტალიისა, საფრანგეთისა და გერმანიისა, რომ მათი მუდმივი მღელვარებაც გაეანწილებინა, თუმცა შვეიცარია არასოდეს არ დარჩენილა ევროპის დიდ ისტორიულ მოვლენათა გარეშე, როგორნიც იყვნენ მაგალითად საფრანგეთის რევოლუცია და ნაპოლეონის ომები.

პირიქით, მათ მეომართა ერი შეადგინეს და აქირავებდნენ სალდათებს მეფეებსა და იმპერატორებსა. შემდეგ მათ შინაგანი ხაოსიც მოაწესრიგეს, რაც უთანასწორობა იყო თვით შვეიცარიის შიგნით აუარებელ სახელმწიფოთა და „მეხარკე მიწათა“ შორის, გაასწორეს და წინად თუ აწეწილ-დაწეწილი კონფედერაცია იყო სახელმწიფოთა, 1848 წლის კონსტიტუციის შემუშავებითა და შემდეგ 1874 წლის მისი შესწორებით შვეიცარია გარდიქცა ერთ ფედერატიულ ნეიტრალურ სახელმწიფოდ. ვინ იცის, კავკასიაც რომ ერთ გეოგრაფიულ ერთეულს შეადგენდეს შვეიცარიის მსგავსად, ერთს გამონაკვთულ ერთეულს მიუვალ მთათა, იქნებ ისიც არ მომხდარიყო ჟამთა ვითარებაში, რაც დღეს კავკასიას თავზედ არტყია. და რომ კიდევაც მომხდარიყო, იქნებ შესაძლებელი იქნებოდა ხელ-ახლავე მოპოვება მთის თავისუფლებისა და ყველა ერთა შეთანხმებისა. შამილის დიადი ბრძოლა ნუ თუ ცდა არ იყო ასეთის საქმისა, მაგრამ დანარჩენ კავკასიაში რომ ადვილად მოიკიდეს ფეხი რუსებმა ერთის მხრით შავი ზღვიდან და ყუბანიდან და მეორეს მხრით საქართველოს სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან, ამან ხელი შეუშალა მთის ერთობას, შამილის ოცნებას?

საქართველომ კი რად მოუწოდა რუსეთს? იმიტომ რომ დაიღალა, ვეღარ გაუძლო საუკუნოებით ბრძოლას სპარსეთთან, ოსმალებთან, კავკასიის დანარჩენ მუსულმანებთან. საქართველო ერთად ერთი საქრისტიანო ქვეყანა იყო მთელს კავკასიაში და წინა აზიაში, რომელსაც პოლიტიკური თავისუფლება ჰქონდა. ამასთანავე იგი მდიდარიც იყო. იგი მარტო მთებისაგან არ შესდგებოდა შვეიცარიასავით. ამიტომაც მას მთელი წინა აზია და კავკასია ემტერებოდა, მოსვენებას არ აძლევდა. ვინ იცის, იქნებ თავდაპირველადვე

რომ მაჰმადიანები ვყოფილიყავით, ყველა ერთობა კაი ხნის განმტკიცებული ყოფილიყო! მაგრამ მაშინ კავკასიის ერთობა უფრო თათრული, სპარსული ან ოსმალური ერთობა არ იქნებოდა? ყოველ შემთხვევაში სულ სხვა სოციალურ სურათს არ წარმოადგენდა კავკასია? იქნებოდა-ღა საქართველო, როგორც ჩვენ იგი წარმოგვიდგენია წარსულში თავის კულტურისა და სულის ორიგინალობითა, ან როგორიც დღეს არის იგი და იმედიც აქვს იარსებოს შემდეგაც?.

კავკასიაში ერთობა არასოდეს არა ყოფილა, არც საქართველოსთან უნდოდათ ერთობა, და მხოლოდ აკლება, აწიოკება, მუდმივი ომი და ჯაშუშობა იყო ხოლმე ჩვენი საჩუქარი მეზობელ ერთაგან; საქართველომაც ვეღარ შესძლო, შურიც იძია და რუსებს მოუწოდა, ერთმორწმუნე ერსა; ამ უკანასკნელმა კი თავისი ერთობა მოინდომა კავკასიაში. ეხლა ჩვენვე, ქართველობამვე უარ-ვყავით ეს ერთობა და ჩვენი ფედერალისტურის მისწრაფებებით ვაწვდით კავკასიას იმ ერთობის პროგრამას, რომელიც წინადვე უნდა განხორციელებულიყო. ეს ერთობა იყო აუცილებელი პირობა კავკასელთათვის დაცვისა წინად და ეხლაც, ხოლო იგი ვერც წარსულში განხორციელდა და ეხლაც საეჭვოა რომ განხორციელდეს.

შვეიცარიელები კი საკუთარ ერებს ეყოფოდნენ და მთაში აარსებდნენ საერთო დამოუკიდებელ ცხოვრებას. იქ საერთო გაჭირვება აერთებდა ხალხებს, აქ კი ერთმანეთსა ვსჭამდით და გარეშე მტრებს თვითონვე ვუხმობდით. იქ ერთისა და იმავე ხარისხის კულტურის ხალხები ერთდებოდნენ, აქ კი საქრისტიანო საქართველო ყელზე ადგა მთელს ზღვას მუსულმანებისას და უპირებდა წალეკვას. ამ პატარა საქრისტიანომაც დიდ საქრისტიანოს დაუძახა და მტრებმაც იგემეს დიდი მდევის მუშტი როგორც კავკასიაში, ისე ოსმალეთში, ეხლა კიდევ სპარსელები გიახლებიან მის გამომცხვარ კვერებსა.

დიახ, სულ სხვა იყო შვეიცარიის ისტორია და სულ სხვაა ჩვენი.

შეერთებულ შტატების წარმოშობა კიდევ სულ სხვაა. იგი განსაკუთრებით ანგლო-საქსონელების რასის ეროვნული შემოქმედებაა სხვა ევროპელთა დახმარებით, რომელნიც სულით, გულითა და ენითაც უერთდებოდნენ ანგლო-საქსონელებს. ინგლისისა, განსაკუთრებით, და ევროპის საუკეთესო და ენერგიით სავსე მუშა ხალხი გადავიდა ახალ ქვეყანაში და ინგლისის ეროვნულ კულტურულ ნიადაგზედ შექმნა ახალი ანგლო-საქსონიური საზოგადოება, რომელიც მეტროპოლიას გამოეყო, როცა გამდიდრდა და გაძლიერდა, და დაიარსა საკუთარი რესპუბლიკა. აი მთელი ისტორია შეერთებული შტატები-

სა. კოლონიები დამოუკიდებლად სცხოვრობდნენ ურთი-ერთისაგან ამერიკის მიწის განუზომელ სივრცეზედ და შეერთების დროსაც შეინახეს ეს დამოუკიდებლობა, – აი ძირი მათის ფედერალიზმისა. ისინი ერთსა და იმავე კულტურისა იყვნენ, უმთავრესად ერთისა და იმავე ერის ნატეხნი, – აი რად იყო ადვილი მათი შეერთება და იმ უთანხმოებათა მოსპობა, რომელიც ყოველ საზოგადოებაში არსებობს ხოლმე. ასეთივე იყო ისტორია სხვა კოლონიათა, რომელთაგანაც ზოგნი განთავისუფლდნენ სრულიად მეტროპოლიისაგან და საკუთარი რესპუბლიკები დაიარსეს, ზოგნი კი დარჩნენ მეტროპოლიის ქვეშევრდომობაში, მაგრამ შინაგანი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს.

გერმანიაზე არას ვიტყვით. იგი ნაყოფია გერმანულ ეროვნული სულისა, რომელიც თვითოეულ მის დამოუკიდებელ ნაწილში ტრიალებდა და ბოლოს ამ ხელმა შეაერთა მთელი ერი ერთ დიდ იმპერიად. ესევე ითქმის იტალიაზედაც.

დარჩა ავსტრია, რომელსაც მართლაც მეტი მსგავსება აქვს ჩვენთან მაგრამ სწორედ იმიტომაც სჭამენ ერთმანეთს სხვა და სხვა ერები ავსტრიაში, რომ საკმაო არ არის მათ შორის სოციალური ერთობა, იგი სულ სხვა და სხვა სოციალურ ერთეულთაგან შესდგება და ზოგი თხოულობს თავის უფლებათა უპირატესობას, როგორც გერმანელები და ჰუნგრელები, ზოგი კიდევ უფლებათა გათანასწორებას, მათ განსაზღვრას, ამ ნიადაგზეა იქ საშინელი ბრძოლა, რომელიც ბოლოს და ბოლოს შეიძლება იმპერიის დაშლით გათავდეს...

...ავსტრიაში საუკუნოებით ბატონობიდა გერმანელი ელემენტი დანარჩენ ერებზე, ჩვენში კი ასი წელიწადია რაც შემოვიდა რუსეთი, ისიც სამოცი წლის ბრძოლის შემდეგ გაიმაგრა ფეხი. რასაც ავსტრია საუკუნოებით სცდილობდა, – სლავიანთა გაგერმანელებას და ვერ მოახერხა, იმას ახლა სცდილობს რუსეთი და ვერც ის მოახერხებს კავკასიის გარუსებას. ვერ მოახერხებს იმიტომ, რომ რაც უნდა ბევრი რუსობა ჩამოგვისახლოს, – ამ ჩამოსახლებას საზღვარი აქვს, რადგანაც კავკასიელთა რიცხვი საკმაოდ ბევრიცაა, სიმჭიდროვე მოსახლეობისა საგრძნობელია, და გადმოსახლებისაც ბუნებრივი საზღვარი მალე დაედება. აგრეთვე კულტურულად ქართველი და სომეხი რუსზე დაბლა არა სდგას. ამასთანავე უმეტესი ნაწილი კავკასიელთა მუსულმანობაა, და მათი გარუსება მით უფრო შეუძლებელია, ისიც სპარსეთისა და ოსმალეთის საზღვრებზე. კიდევაც რომ ჩაიგდოს ხელში რუსეთმა სპარსეთისა და ოსმალეთის ნაწილები, – მაშინაც შეუძლებელია მათი გარუსება, –

იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მრავალ მილიონ მუსულმანთა გარუსება ან გაფრანგება უაზროთაგან უაზრო უტოპიაა. – მხოლოდ კიდევ მეტს ხაოსს შექმნის რუსეთი ჩვენში გადმოსახლების პოლიტიკით, – მოგებით კი ვერას მოიგებს. ასე რომ მომავალში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კავკასია რუსეთის პირისპირ ყოველთვის წარმოადგენს ცალკე ერთეულს, ხოლო როგორი იქნება ამ ერთეულის ნაწილთა შორის ერთობა, – ეს ძლიერ საფიქრებელი საკითხია რუსეთის საზღვრებში იქნება ეს ერთობა, თუ მის გარეშე, – ეს სულ ერთია, – ჩვენი ერთობის საკითხი ნათლად მაინც არ სწყდება. რუსეთის საზღვრებში შესაძლებელი თვითმართველობა კავკასიისა... – სულ უნდა გამოვრიცხოთ ჩვენი მსჯელობიდან, რადგანაც სანამ რუსეთის სახელმწიფო იდეა დარჩება კავკასიაში, ათასი რეფორმები და თვითმართველობანი რომ შემოიღონ ჩვენში, – კავკასიის ერთობის განხორციელებას მაინც დაუშლის ეს სახელმწიფო იდეა, რადგანაც იგინი ურთიერთსა ჰრიცხავენ. სულ სხვა საკითხია, თუ ჩვენ შეძლება მოგვეცა ჩვენი საქმენი ჩვენ თვითონ განვაგოთ, თუ ჩვენ უფლება მოგვეცა კავკასიის საერთო ცხოვრების მოწყობისა.

როგორც ზემოთა ვსთქვით ჩვენის ფიქრით, სრული ერთობა შეუძლებელია, ფედერატიული სოლიდარობა კი ზემოხსენებულ განსაკუთრებულ გარემოებათა მიხედვით, – ძლიერ საეჭვო, თუ ამ სოლიდარობის განმტკიცება დავიწყეთ საერთო „კავკასიის“ ცნების ნიადაგზე, აქედან გამოვედით ჩვენი საერთო მოქმედების დროს.

ჩემის ფიქრით, ერთად ერთი პირობა, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი სოლიდარობა, ე.ი. ან კონფედერაცია შევადგინოთ კავკასიის ერთაგან, ან ერთი ფედერატიული პოლიტიკური სხეული, – აი რა არის: თავდაპირველად ყველანი უნდა წარვსდგეთ ურთიერთის პირის-პირ, როგორც თვით-გამორკვეული სოციალური ინდივიდები, განსაზღვრულის უფლებებითა, განსაზღვრულის ტერიტორიებითა, საზღვრებითა და ერთობ მთელის ჩვენის საზოგადოებრივის ფიზიონომიითა.

კონფედერაცია, ან ფედერაცია მაშინ არის შესაძლებელი და ნაყოფიერი, როცა წინდაწინვე თვითოეულმა სოციალურმა ინდივიდმა იცის თავისი ვინაობა და ისიც, თუ ვის უერთებს თავის ცხოვრებასა. ისტორიაში კონფედერაციები და ფედერაციები ასე არსდებოდნენ ხოლმე, – შვეიცარიისა, შეერთებულ შტატებისა, ავსტრალიისა და სხვათა. ნაწილთა შორის, მით უფრო ადვილია კონფედერაცია ან ფედერაცია, როგორც ეს იყო შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში და სხვა. აგრეთვე რაც უფრო ხელს უწყობს გარეშე

პირობები, ან ბუნების პირობები სხვა და სხვა ელემენტთა კავშირს, იმდენად უფრო ადვილი განსახორციელებელია ეს კავშირი, როგორც ეს მოხდა შვეიცარიაში. კავკასიაში განსხვავებაც მეტია სხვა და სხვა ელემენტთა შორის და გარეშე ბუნებრივი პირობებიც უფრო ნაკლებად გვიწყობს ხელს კავშირისათვის, და ამიტომაც გვეძნელება ნათლად და ადვილად წარმოვიდგინოთ ჩვენი სოლიდარობა, თუ წინდაწინვე ოდნავ მაინც თავისუფალნი, უფლებამოსილნი უკვე სრულიად გამორკვეულნი პიროვნებანი არ შევიკრიბენით და არ ვიქონიეთ მსჯელობა ჩვენს შესაძლებელ კავშირზედ.

მაგალითად, საქართველო, როგორც „საქართველო" უნდა წარდგეს კავკასიის სოციალურ ერთეულთა წინაშე. ტფილისში არავის ნება არ მიეცემა მსჯელობა იქონიოს იმაზე, თუ რა არის საქართველო, როგორია მისი საზღვრები, როგორია მისი შინაგანი წყობილება და სხვა. იგი იქნება საქართველო, თავის სატახტო ქალაქით, ტფილისით, და ილაპარაკებს კავშირის შესახებ, როგორც საქართველო, და არა როგორც გუბერნიები, ან ოლქები და სხვა. სულ ერთია – ჩამოეჭრება მას ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები თუ არა, საქართველო მაინც საქართველო უნდა იყოს, ამ სახელწოდებით, მას გარკვეული აზრი და შინაარსი უნდა ჰქონდეს. მაზრების ჩამოჭრაც ვერავითარ საერთო კავკასიის კრებაზე ვერ გადაწყდება, – იგი წინდაწინვე უნდა იყოს გადაწყვეტილი თვით საქართველოს მიერ, რადგანაც ეს მაზრები ჩვენ ტერრიტორიაზე არიან... ხოლო თვით რომ მოსჭრან ჩვენს ქვეყანას ეს მაზრები და სხვებს შეუერთონ, – ამის უფლებას საქართველო ვერავის მისცემს. დააკანონეთ ასეთი უფლება ტერიტორიების ჩამოჭრისა, სადაც კი ვინმე ჩასახლებია რომელიმე ერსა, და წესიერებისა და კავშირის მაგიერ ერთა შორის ხაოსი და ჟლეტა გამეფდება. – მაგრამ კიდევაც რომ ჩამოჭრან იგინი – საქართველო მაინც რჩება განსაზღვრულ სოციალურ ინდივიდუალობად და იგი მაინც ასეთის სახით წარსდგება კავკასიის წინაშე. არც იმას უშავს არაფერი, რომ ტფილისის გუბერნიაში 50% მეტი არ არის ქართველობა. სწორედ იმ ორი მაზრის უცხო ელემენტის ანგარიშით გამოდის ეს 50%, მათ გარდა კი ტფილისის გუბერნიაში 61% პროცენტი ქართველობაა, ქალაქებიც თუ გამოვაკელით, სადაც უმთავრესად არის შეკრებილი უცხო ელემენტები, (ეს მოვლენა კი ბევრ ქვეყანაში არსებობს) – 72% მეტი ქართველობაა თბილისის გუბერნიაში, მთლად საქართველოს ტერიტორიაზედ არის 70,5% ქართველობა. ასე რომ ამ მხრით ვერავინ შემოგვედავება. თუ უნგრეთის სახელმწიფოში უნგრელი მარტო 42,8% დანარჩენი კი სხვა ხალხები, თუ საკუთ-

რივ უნგრეთშიც კი უნგარელი 48,6%-ის მეტი არ არის, ჩვენს 70,5%-ს ძალა არ ექნება ჩვენს სისხლით მორწყულ ტერიტორიაზედ? როგორც საქართველო, სხვებიც ასეთივე უფლებებით, ასეთივე ინდივიდუალობით უნდა წარსდგნენ ურთ-ერთის წინაშე და განამტკიცონ ერთობა. სადაც ხაოსია და განუსაზღვრელობა უფლებათა, იქ ერთა შორის სოლიდარობა და კავშირი არ არის.

...რა ნიადაგი აქვთ მათ ამისათვის, და, განსაკუთრებით როგორ მოაწესრიგებენ ურთი-ერთ შორის ტერიტორიალურ უფლებათა დავასა, – ეს ჩვენთვის უფრო ძნელი გადასაწყვეტი საკითხია, ვიდრე მათთვის. განვიმეორებთ კიდევ რომ მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ჩვენი ერთობა და სოლიდარობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ კი ერთად დავიწყეთ გადაწყვეტა მთელმა კავკასიამ თითოეული ხალხის ცხოვრების მოწესრიგებისა, – ვერასოდეს ვერ შევთანხმდებით.

...ამას ისიც თუ დავუმატეთ, რომ ადვილი შესაძლებელია კავკასიელთა უმთავრესმა ნაწილმა უფრო სპარსეთთან და ოსმალეთთან მოინდომოს ერთობა. ეჭვს გარეშე იქნება, რომ საქართველოში დღეს უფრო საქართველოს უფლებათა საკითხზედ, მისი „ავტონომიის“ საკითხზეა საფიქრებელი, ვიდრე ვიდრე საეჭვო კავკასიის ერთობაზე.

ჯერ თითოეული ჩვენგანი გავხდეთ თავისუფალ საზოგადოებრივ ინდივიდად, და მერე ვეცადოთ განვამტკიცოთ ერთობა, და თუ ყველანი ვერა, რამდენიმენი მაინც შევერთდეთ ფედერატიულ სოლიდარობითა. მანამდის კი საერთო მოქმედება საერთო დაბრკოლებათა წინააღმდეგ. ხოლო თვით-გამორკვევა თითოეულისათვის საკუთარის ძალებით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

ბექა კობახიძე

საქართველოს პირველი ამერიკელი მეგობარი – კონგრესმენი უოლტერ მარიონ ჩენდლერი

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა. აღნიშნული მოვლენიდან მცირე ხნის შემდეგ დამოუკიდებელმა ქართულმა სამეფო-სამთავროებმა რუსული ოკუპაციის გამო არსებობა შეწყვიტეს. დასახელებულ მიზეზთა გამო XX საუკუნემდე ქართულ-ამერიკულ სახელმწიფოებრივი ურთიერთობებს საფუძველი ვერ ჩაეყარა. ეს შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1917 წელს რუსეთის ცარისტული იმპერია დაშალა და გათავისუფლებულ ქართველ ერს საშუალება მიეცა საკუთარი სახელმწიფოებრიობა აღედგინა.

საქართველოს და მთლიანად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, უპირველეს ყოვლისა, მათი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება და დაცვა ესაჭიროებოდათ. მათ უნდა მოეპოვებინათ დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერა თუ მფარველობა და ამით უზრუნველეყოთ საკუთარი დამოუკიდებლობა. დიდ სახელმწიფოებად იმ დროისათვის განიხილებოდნენ 1918 წელს პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ანტანტის ქვეყნები: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია, იტალია და, რასაკვირველია, ამერიკის შეერთებული შტატები.

ამერიკისათვის საინტერესო იყო კავკასიის რეგიონი იმდენად, რამდენადაც ეს ქვეყანა ყველაზე გვიან, 1917 წელს, ჩაერთო მსოფლიო ომში და ამ დროისათვის შეთანხმებათა მთელი კასკადით (საიქს-პიკო და სხვ.) მოკავშირე სახელმწიფოებს უკვე განსაზღვრული ჰქონდათ მოწინააღმდეგეთა ტერიტორიების გადანაწილების გეგმა. ბოლშევიკთა მხრიდან ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ რუსეთი აღნიშნულ შეთანხმებათაგან გამოთიშა და აშშ-ს მიეცა შესაძლებლობა ცარისტული იმპერიის „კუთვნილი“ ტერიტორიები თავად

აეთვისებინა. აქ პირველ რიგში იგულისხმება თურქეთსა და სომხეთზე მანდატის აღება, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამავე პროექტში სამხრეთ კავკასიის ჩართვაც.[1]

საქართველო-ამერიკის ურთიერთობების (1917-21) ბევრ საინტერესო დეტალს პუბლიკაციებსა თუ მონოგრაფიებში არაერთი ქართველი ავტორი შეხებია. თუმცა მათ ანალიზს სტატიის შეზღუდული მოცულობის გამო აქ არ შევუდგებით.

ჩვენი ნაშრომი აგებულია დღემდე უცნობ საარქივო თუ პუბლიკაციურ მასალებზე და მიზნად ისახავს ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი პიროვნების – კონგრესმენ უოლტერ მარიონ ჩენდლერის წარმოადგენს. დღეისათვის ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული მოკავშირეობის გათვალისწინებით უმნიშვნელოვანესია ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ფაქტიური საფუძვლის ჩამყრელის, ორივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული პიროვნების, ღვაწლის დღის სინათლეზე გამოტანა. თუმცა მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად.

ჩვენ მიერ მიკვლეული ცნობებით, რუსეთისაგან ჩამოცილებული სამხრეთ კავკასიური პოლიტიკური ერთეულების აღიარების საკითხი აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატის არსებობის ხანაში, 1917 წლის დეკემბრის ბოლოს, დადგა (ამ დროისათვის სამხრეთ კავკასია თვითონ არც ფიქრობდა დამოუკიდებლობაზე). ეს ცნობა დაცულია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტთა ოფიციალურ კრებულში.[2]

1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში პარიზში შეიკრიბა ანტანტის სახელმწიფოთა უმაღლესი სამხედრო საბჭო. რუსეთის ომიდან ფაქტიობრივი გამოთიშვის შემდეგ მათ უნდა გადაენაწილებინათ როგორც მისი წილი სამხედრო პასუხისმგებლობა, ასევე საოკუპაციო ტერიტორიებიც. კონფერენციის მსვლელობის დროს, 28 ნოემბერს, სახელმწიფო მდივანმა ლანსინგმა ვაშინგტონიდან პარიზში მისწერა პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელსა და აშშ-ს ევროპული მისიის მეთაურს – პოლკოვნიკ ჰაუსს შემდეგი სახის კითხვა: „დეპარტამენტი მოხარული იქნება გაიგოს თქვენგან თუ რა დამოკიდებულება აქვთ ჩვენს კოლეგებს (იგულისხმებიან ანტანტის წარმომადგენლები ბ. კ.) სამხრეთ კავკასიის დე ფაქტო მთავრობის ცნობასთან დაკავშირებით.“

[1] Архив полковника Хауза. Т. IV. М. 1924, გვ. 94

[2] Papers relating to the foreign relations of the United States. Russia. 1918. Vol. II. Chapt. 3, გვ. 583-584; http://digicoll.library.wisc.edu/cgibin/FRUS/FRUSidx?type=header&id=FRUS.FRUS1-918Russiav02&isize=M.

2 დეკემბრის საპასუხო წერილში ჰაუსმა თავისი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა აღნიშნულ საკითხზე, რადგან ჯერ არ იყო გამორკვეული, თუ რა გეგმები არსებობდა სამომავლოდ რუსეთთან მიმართებით. ჰაუსი ვილსონის პრეზიდენტობის დროს გახლდათ ამერიკის ევროპული პოლიტიკის არქიტექტორი და მისი მოსაზრება ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

აშშ-ს დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ანალოგიური იყო 1918-1919 წლების განმავლობაშიც, ხოლო 1920 წელს სახელმწიფო მდივანმა ბეინბრიჯ კოლბიმ იტალიის მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტაში საქართველოსა და აზერბაიჯანს „ეგრეთწოდებული რესპუბლიკები“ უწოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, პრეზიდენტ ვილსონის ადმინისტრაცია უარყოფდა საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებას.[3]

განსხვავებული იყო ამერიკელების ურთიერთობა სომხეთთან, რომლის დამოუკიდებლობაც მათ სცნეს და დიდ მხარდაჭერასაც უცხადებდნენ. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ამერიკელ სომეხთა კომიტეტმა, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა და მატერიალურ სახსრებსაც არ ზოგავდა აშშ-ს მხარდაჭერის მოსაპოვებლად.[4]

პარიზის საზავო კონფერენციაზე აზერბაიჯანული დელეგაციის თავმჯდომარის, ალი მირბანბეკ თოფჩიბაშევის ცნობით, აღნიშნული პროპაგანდა უმეტესწილად ანტიქართულ და ანტიაზერბაიჯანულ ხასიათს ატარებდა.[5] შეერთებული შტატები ერთ-ერთ განმსაზღვრელ როლს თამაშობდა საერთაშორისო პოლიტიკაში და ამიტომაც საჭირო იყო ადგილზე საკუთარი გავლენიანი მხარდამჭერის ყოლა, რომელიც დაუპირისპირდებოდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდას და შეეცდებოდა, რომ მოეხდინა ცვლილებები ამერიკის დამოკიდებულებაში რეგიონის მიმართ.

ასეთ მხარდამჭერად გამოძებნილ იქნა ეროვნებათა ცნობილი დამცველი, ამერიკელი კონგრესმენი უოლტერ მარიონ ჩენდლერი (1867-1935). დაიბადა 1867 წლის 8 დეკემბერს მისისიპიში. მიჩიგანის, ჰაიდელბერგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში დაეუფლა ისტორიასა და იურისპრუდენციას. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1900 წელს, საცხოვრებლად გადავიდა ნიუ

---

[3] ე. ტაბაღუა. საქართველოს საკითხი შეერთებული შტატების პოლიტიკაში 1917-1920 წლებში. კრებ.: საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. თბ. 1995. ტ. III, გვ. 299-318.

[4] ზ. აჯალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. ტფ. 1925, გვ. 138.

[5] А. М. Топчибашев. Письма из Парижа. Баку. 1998, გვ. 55-56.

იორკში, სადაც ადვოკატობას მიჰყო ხელი, ასევე იყო მწერალი და კითხულობდა ლექციებს. მრავალი წლის მანძილზე გახლდათ ნიუ იორკის წარმომადგენელი კონგრესში. არჩეულ იქნა სამოცდამესამე და სამეცდამეოთხე კონგრესებში პროგრესული პარტიიდან, სამოცდამეხუთე კონგრესში, რესპუბლიკური პარტიიდან (1913-1919 წლები). სამოცდამეექვსე კონგრესის არჩევნებში დამარცხდა, თუმცა წარმატებას მიაღწია სამოცდამეშვიდე კონგრესის არჩევნებში, კვლავინდებურად რესპუბლიკური პარტიის სახელით (1921 წლის 4 მარტი-1923 წლის 3 მარტი). ამის შემდეგ მას არჩევნებში აღარ გაუმარჯვია. ცხოვრების ბოლო წლებში ის კვლავ ადვოკატად მუშაობდა. გარდაიცვალა 1935 წლის 16 მარტს ნიუ იორკში.[6]

კონგრესმენობის პერიოდში იგი ებრაული ეროვნული უმცირესობის უფლებებს იცავდა აშშ-ში. 1919 წელს, არჩევნებში დამარცხების შემდეგ, იმოგზაურა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, შეისწავლა ადგილზე ვითარება და რუსეთისაგან ახალჩამოცილებული სამივე ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობის ლობისტად იქცა. კონგრესში სწორედ მის მღელვარე გამოსვლებს მოჰყვა ამერიკის მიერ კოლბის ნოტით გამოცხადებული პოლიტიკისაგან გადახვევა და 1922 წელს ამ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის აღიარება.[7]

ქართულ-აზერბაიჯანულ დელეგაციათა თხოვნით ჩენდლერმა მათი ლობისტობაც იკისრა. მოხდა კავკასიის საქმეების ბალტიურ პოლიტიკასთან მიბმა, რაც ანტიიმპერიალისტური და რუსეთის აღდგენის საწინააღმდეგო იდეებით მყარდებოდა. ამ იდეების გარშემო დარაზმულ ამერიკულ საზოგადოებას კი მხარი კავკასიისა და ბალტიისპირეთის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის უნდა დაეჭირა.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივის ჰარვარდისა და პარიზის ახალგახსნილ ფონდებში ჩვენთვის საინტერესო პიროვნების შესახებ არაერთ მნიშვნელოვან საქმეს მივაკვლიეთ. ასევე „ნიუ იორკ თაიმსის“ არქივში მოვიძიეთ ჩენდლერის რამდენიმე სტატია. საკუთარი მთავრობისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში კონგრესმენის შესახებ ცნობებს გვაწვდის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე აზერბაიჯანული დელეგაციის მეთაური ალი მირბანბეკ თოფჩიბაშევიც. ეს უკანასკნელი წყაროც აქამდე უცნობი იყო ქართველი მკითხველისათვის. საერთაშორისო პოლიტი-

[6] Guide of Biographies of US Congress http://bioguide.congress.gov/scripts/biodisplay.pl?index=C000297

[7] US Embassy in Estonia http://photos.state.gov/libraries/estonia/99874/History%20stories/Walter-M_-Chandler.pdf

კაში ქართულ-აზერბაიჯანული საკითხთა ძალიან მჭიდრო კავშირების გამო დიდ მნიშვნელობას ატარებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესწავლის საქმეში.

პირველ ცნობას ჩენდლერის შესახებ 1919 წლის 20 სექტემბერს პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარის, კარლო ჩხეიძის, მიერ ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში ვხვდებით: „...აქამდის უნუგეშოდ იყო საქმე ამერიკაში, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ბედის გადაწყვეტა. რა რიგ გავუსწორეთ ჩვენ ანგარიში ამ ნაკლს ნახავთ იმ პირობიდან, რომელიც დავდევით ამერიკის მოქალაქე ჩენდლერთან, რომელთანაც იგივე პირობა დადეს აზერბაიჯანელებმა და ბალტიელებმა. მისი მიზანია, რომ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე შეიქმნას სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც იქნება რუსეთსა და გერმანიას შორის. ამ აზრს ბევრი მომხრე გამოუჩნდება ამერიკაში, თუ მას სათანადოდ მივაწოდებთ. ჩენდლერი ითხოვს ჩვენი წარმომადგენლის გაგზავნას ამერიკაში და გვპირდება, რომ ის დაეხმარება ჩვენი საკითხის დაყენებაში.“ კარლო ჩხეიძე ასევე აცნობს ჩენდლერის ბიოგრაფიას, ამბობს, რომ ყოფილი კონგრესმენი ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს, რაც სხვადასხვა წრეებთან მუშაობას უფრო გაუადვილებს.[8] ანალოგიურ ცნობას იძლევა აზერბაიჯანული დელეგაციის მეთაური, თოფჩიბაშევი, თავის მოხსენებაში აზერბაიჯანის მთავრობისადმი.

თოფჩიბაშევის ცნობით, ჩენდლერი მოამარაგეს ყველა საჭირო ცნობით, გადასცეს მას შესაბამისი დოკუმენტური მასალა და პარიზიდან ამერიკაში გაისტუმრეს სამუშაოდ. თუმცა იგი შტატებიდან იწერებოდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფ ახალჩამოყალიბებულ რესპუბლიკათა საქმეებზე სრულიად მარტოს უწევს მუშაობა და ითხოვდა, რომ მასთან თანაშემწედ გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები.[9] 1919 წლის დეკემბერში აკაკი ჩხენკელი რომიდან პარიზში გაგზავნილ წერილში სთხოვს კარლო ჩხეიძეს, რომ მან დაუყოვნებლივ გაგზავნოს ამერიკაში სამუშაოდ ქართველი დიპლომატი, აღიარებული ანტანტოფილი და ინგლისურის შესანიშნავი მცოდნე დავით ღამბაშიძე.[10] ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშაობდა რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლად ინგლისში, სანაცნობო წრეც შესაბამისი ჰყავდა დასავლეთ-

[8] სცსა. ფონდი 2115. აღწ. 1. საქმე 60. ფურც. 6.
[9] А. М. Топчибашев. Письма из Парижа, გვ. 55-56.
[10] სცსა. ფონდი 2115. აღწ. 1. საქმე 127. ფურც. 1-2.

ში და მისი ამერიკაში გამგზავრებაც ერთობ სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ იმ დროისათვის პარიზის კონფერენცია წყვეტდა საქართველოს ბედს, სადაც ქართველ დელეგატთა რაოდენობა ისედაც შეზღუდული იყო. ღამბაშიძის პარიზში მუშაობის გამო ვერ მოხერხდა მისი ოკეანის გაღმა გამგზავრება.

ჩენდლერი აღნიშნულმა გარემოებამ ვერ შეაფერხა და უმალვე შეუდგა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ჩვენ მიერ მოძიებულ იქნა, მის მიერ 1920 წლის 25 დეკემბერს ყველაზე მსხვილ და გავლენიან ამერიკულ გამოცემა – „ნიუ იორკ თაიმსში" გამოქვეყნებული ვრცელი წერილი სათაურით „ხუთი მებრძოლი რესპუბლიკა ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, აზერბაიჯანი, საქართველო და მათი საჭიროებანი." ავტორი სტატიაში ხაზს უსვამს მთელი საუკუნის მანძილზე ამ ქვეყნებში რუსეთის მიერ გატარებულ კოლონიზატორულ პოლიტიკას და მას მჩაგვრელურს უწოდებს. იგი ასახელებს იმ ნიშნებს, რომლითაც ეს ხალხები საკუთარ სახელმწიფოში ცხოვრებას იმსახურებენ: რუსებისაგან სრულიად განსხვავებული ენა, კულტურა, ტრადიციები, ეთნიკურობა, რელიგია და სხვ. ქართველების შესახებ იგი შემდეგს წერს „მართალია ქართველი ხალხი რუსებივით ბერძნულ მართლმადიდებლობას მისდევს, მაგრამ მათი სისხლი, ენა, ისტორია და ცივილიზაცია რადიკალურად განსხვავებულია." იგი აქვე უთითებს განათლების დონეს მაშინ, როდესაც რუსეთში მოსახლეობის 90% უწიგნურია, ამ ქვეყნებში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 70% აჭარბებს. ამ მონაცემების თანახმად, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ ვილსონის მიერ გაცხადებულ ერთა თვითგამორკვევის პრინციპებს, იგი აშშ-ს კონგრესისაგან დაუყოვნებლივ მოითხოვდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ამ განაპირა მხარეების დამოუკიდებლობის აღიარებას.

იგი ბალტიისპირეთსა და კავკასიას ბოლშევიზმის წინააღმდეგ აღმართულ მყარ ბურჯებს უწოდებს, რომლებიც აგერ უკვე მესამე წელია მედგრად იცავენ კაცობრიობას მისი გავრცელებისგან. საუბრობს იმაზე, რომ ეს ქვეყნები მზად არიან რუსეთის იმპერიის ვალების საკუთარი წილი გადაუხადონ გამარჯვებულ სახელმწიფოებს. აგრეთვე იმ დათმობაზე, რომლის მიხედვითაც საქართველო-აზერბაიჯანი თანახმანი არიან ბათუმი და ბაქო დაუქვემდებარონ ერთა ლიგის თავისუფალ კონტროლს. აქვე აღწერს ამ კორიდორის სარგებლიანობას და ამ ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრეებს.[11]

[11] New York Times. 25th of January 1920 http://query.nytimes.com/gst/abstract.html?res=9D04-E4D71F38E533A25756C2A9679C946195D6CF

როგორც ზემოთ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, 1920 წლის 10 აგვისტოს გამოქვეყნებულმა ბეინბრიჯ კოლბის ნოტამ, ფაქტობრივად, გადაწურა აშშ-ს მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების იმედები, მაგრამ ვერც ამ ფაქტმა და ვერც საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციამ ვერ შეუშალა ხელი უოლტერ მარიონ ჩენდლერს, კვლავაც გაეგრძელებინა მუშაობა საქართველოს მხარდასაჭერად 1921 წლიდან, ამჯერად უკვე კონგრესის წარმომადგენელთა პალატის იურიდიულ კომიტეტში არჩეული კონგრესმენის რანგში.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ჰარვარდის და პარიზის ფონდებში ჩვენ მიერ მიკვლეულ იქნა მისი მიმოწერა ქართველ დიპლომატთან, შვეიცარიასა და ერთა ლიგაში საქართველოს ელჩთან – მიხეილ სუმბათაშვილთან.[12] ამ მიმოწერიდან ირკვევა, რომ ჩენდლერი კონგრესში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა თუ სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებში ლობირებდა საქართველოსთან დაკავშირებულ არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ისეთ ჰუმანიტარულ საკითხებს, როგორებიცაა: საზღვარგარეთ მყოფ გაჭირვებულ ქართველი სტუდენტთა დახმარება, ოკუპირებული საქართველოს მოსახლეობისათვის ხორბლის გაგზავნა და სხვ.

1921 წლის 25 დეკემბერს მიხეილ სუმბათაშვილისადმი გაგზავნილ წერილში ჩენდლერი ამბობს, რომ ის არ დაელოდება საქართველოსა და აზერბაიჯანელების წარმომადგენლების ჩასვლას ამერიკაში და შეუდგება კონგრესში საქართველოს საკითხის პროპაგანდირებას. თუმცა სასურველი იქნებოდა, რომ სუმბათოვი, რომელიც ასე კარგად საუბრობს ინგლისურად, ან ავალოვი ჩასულიყვნენ და მიხმარებოდნენ მას, ასევე კარგი იქნებოდა თოფჩიბაშევის ჩასვლაც. თუ ისინი რაღაც მიზეზის გამო ვერ მოახერხებენ გამგზავრებას, შეუძლიათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კონგრესმენი ყველაფერს იღონებს ამ რესპუბლიკათა საქმეების კეთილად გადაწყვეტისათვის.

ამერიკელი დეპუტატის თქმით, მან და მისმა მეგობრებმა წამოიწყეს ფართომასშტაბიანი მოძრაობა ევროპელ სტუდენტთა დასახმარებლად, ამ საქმისათვის იგეგმება 1 მილიონი დოლარის გამოყოფა. ამ თანხიდან 700 ათასი დოლარის გამოყოფა 1921 წლის ბოლომდეა განზრახული და არწმუნებს სუმბათაშვილს, რომ ქართველი და აზერბაიჯანელი სტუდენტები მშივრები არ დარჩებიან.

აქვე დასძენს, რომ ის მიემგზავრება ნიუ იორკში, რათა ქართველ

[12] სცსა. ფონდი 2121. აღწ. 1. საქმე 9. ფურც. 34-44.

სტუდენტთა საკითხი წამოწიოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, როკფელერის ფონდისა და ახალგაზრდა მამაკაცთა ქრისტიანული ასოციაციის წინაშე.[13] მომდევნო, პირველ ნოემბრით დათარიღებულ წერილში იგი აცნობებს სუმბათაშვილს, რომ ნიუ იორკში დაესწრო ახალგაზრდა მამაკაცთა ქრისტიანული ასოციაციის კონფერენციას, შეხვდა მათ ოფიციალურ წარმომადგენლებს, რომლებთანაც პირადი ნაცნობობა აკავშირებს, და პირობა მიიღო, რომ იმ ქვეყნების სტუდენტებს, რომლებსაც თავად წარმოადგენს, კარგად მოეპყრობიან. მისივე თქმით, აპირებს, რომ ბოლომდე ჩაჰყვეს სტუდენტთა საქმეს, რადგან მათი ალალბედზე მიტოვება არ შეიძლება. ამასთანავე, სთხოვს საქართველოს მთავრობას, რომ გაუგზავნონ საზღვარგარეთ დარჩენილ ქართველ სტუდენტთა სიები, ცნობები მათი მდგომარეობის შესახებ და სხვ.

მომდევნო წერილებიდან ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობას მართლაც, გადაუგზავნია სტუდენტთა სიები და ჩენდლერს აღნიშნული ინფორმაცია შესაბამისი ორგანიზაციებისათვისაც დაუგზავნია. ის ასევე კმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოს შესახებ ოფიციალური ცნობების გაგზავნისათვის, რომლებიც მოგვიანებით კონგრესში გამოსვლისას, დებატებში გამოიყენა.

საქმე ის გახლდათ, რომ ოჰაიოელმა კონგრესმენმა ფესმა კონგრესში შეიტანა ომისა და გვალვისაგან დაზარალებულ რუსეთში, კერძოდ ვოლგისპირეთში, დახმარების გაგზავნის პროექტი. ჩენდლერმა წამოაყენა წინადადება, რომ ტერმინი „რუსეთი“ რეზოლუციაში შეცვლილიყო „რუსეთის ყოფილ იმპერიად“, რათა დახმარების წილი საქართველოსაც რგებოდა. ამ შემთხვევაში ორმაგად მოგებული გამოვიდოდა ქართველი ხალხი, ერთი მხრივ, იგი მიიღებდა ამერიკიდან გამოგზავნილ დახმარებას, ხოლო, მეორე მხრივ, ტერმინის – „ყოფილი რუსეთის იმპერია“ – დამკვიდრებით დადასტურდებოდა საქართველოს ოკუპაციის არაღიარების ფაქტი, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა. თუმცა ჩენდლერმა მოახერხა ის, რომ რეზოლუციაში ჩაიწერა „რუსეთის მთელი ტერიტორია, რომელიც საჭიროებს დახმარებას“. კომპრომისული ვარიანტის მხარდაჭერით, კონგრესმენმა საქართველოს პოლიტიკური სტატუსი თითქოს კი იმსხვერპლა, მაგრამ ის ამ შემთხვევაში

[13] ახალგაზრა მამაკაცთა ქრისტიანული ასოციაცია – Young Men's Christian Association (YMCA) დაარსდა 1851 წელს, იგი გახლავთ აშშ-ში არსებული ერთ-ერთი უმსხვილესი საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც ძირითადად ფოკუსირებულია ახალგაზრდობის ჯანმრთელ ცხოვრებასა და მათი უფლებების დაცვაზე. იხ. ბმული http://www.ymca.net/history/1900-1950s.html

ეყრდნობოდა რეალპოლიტიკას და ითვალისწინებდა იმ ადამიანთა ხვედრს, რომელთაც შიმშილი ელოდათ საქართველოში. ასე რომ, კონგრესმა პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის ტერიტორიაზე 20-მილიონიანი დახმარების გაგზავნის შესახებ, ახლა უკვე ამერიკის ვაჭრობის მინისტრს და ამერიკის ხსნის ადმინისტრაციას[14] უნდა გადაეწყვიტათ, თუ რომელ ტერიტორიებზე გადანაწილდებოდა აღნიშნული დახმარება.

ჩენდლერის თხოვნით, 1921 წლის დეკემბერში ვაშინგტონში ევროპიდან სამუშაოდ ჩავიდა ზურაბ ავალიშვილი. კონგრესმენმა ქართველ დიპლომატს შეხვედრა მოუწყო ამერიკის მომავალ, ოცდამეთერთმეტე პრეზიდენტთან (1929-1933), იმჟამად კი ვაჭრობის მინისტრ და შეთავსებით ამერიკის ხსნის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ჰერბერტ ჰუვერთან, რომელსაც უნდა განესაზღვრა, რომელი რეგიონები მიიღებდნენ კონგრესის მიერ გამოყოფილ 20 მილიონი დოლარის ღირებულების საკვებ პროდუქტებს. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ამ შეხვედრის ფაქტიც პირველად შემოდის სამეცნიერო სივრცეში.[15]

ჰუვერის განცხადებით, მან კავკასიაში უკვე გაგზავნა თავისი აგენტი ჰატჩინსონი, რომელიც შეადარებს კავკასიასა და ვოლგისპირეთში არსებულ მდგომარეობებს, შემდეგ კი ამის მიხედვით გადაწყდება ერგოს თუ არა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს დახმარების ნაწილი. ჩენდლერის მტკიცებით, მან და ზურაბ ავალიშვილმა სცადეს დაერწმუნებინათ ვაჭრობის მინისტრი, რომ კავკასიაშიც ისეთივე გაჭირვებული მდგომარეობა იყო, როგორც რუსეთში და მიიღეს დაპირება, რომ მათი პოზიცია გათვალისწინებული იქნებოდა ჰატჩინსონის მოხსენებასთან ერთად.

მოყვანილი წერილებისა და შეხვედრის შინაარსში გამოჩნდა ემიგრანტული ქართული მთავრობის კეთილშობილური სახე. მიუხედავად იმისა, რომ მათ მოუწიათ ქვეყნის დატოვება, მაინც არ იფარგლებოდნენ მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებზე ბრძოლით და კვლავაც ზრუნავდნენ საქართველოში დარჩენილი მოსახლეობის გაჭირვებაზე, ყოველდღიურ ყო-

[14] The American Relief Administration-1921-23 წლებში ოპერირებდა ევროპასა და, განსაკუთრებით, რუსეთში შიმშილის დასაძლევად. ამ წლების მანძილზე აღნიშნული ორგანიზაცია, მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე, დღიურად 10.5 მილიონ ადამიანს აპურებდნენ. იხ. ბმული http://books.google.com/books?id=K167sO8f99wC&pg=PA162&lpg=PA162&dq=area+of+responsibility+of+american+relief+administration&source=bl&ots=tI9Jo5cNcr&sig=W4iuJLpzxECLxWcdcHx14MZV3iI&hl=en&ei=IZLFTtWFGszFtAbYuvycBw&sa=X&oi=book_result&ct=result&resnum=4&ved=0CDYQ6AEwAw#v=onepage&q&f=false.

[15] სცსა. ფონდი 2121. აღწ. 1. საქმე 9. ფურც. 42-44.

ფაზე და, შეძლებისდაგვარად, უცხოელი მეგობრების გვერდში დგომით ცდილობდნენ ქართველი ხალხისათვის დახმარების აღმოჩენას.

ეს ის პერიოდია, როდესაც ვილსონის ადმინისტრაცია პრეზიდენტ ჰარდინგის ადმინისტრაციამ შეცვალა. სახელმწიფო მდივანი, ზემოხსენებულ ბეინბრიჯ კოლბის ნაცვლად, ჩარლზ ევანს ჰიუზი გახდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლისათვის, ფაქტობრივად, დაიმსხვრა ილუზია ბოლშევიკური ხელისუფლების დროებითობისა და დემოკრატიული რუსეთის აღდგენის შესახებ, რამაც ახალი ადმინისტრაციის ახლებური მიდგომა გამოიწვია ე.წ. „რუსეთის საკითხისადმი".

ჩენდლერის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოგზავნილ პოლიტიკურ მიმოხილვაშიც სწორედ ეს სახეცვლილი მიდგომა ჩანს. მისი თქმით, ვაშინგტონის ადმინისტრაციის დამოკიდებულება ახალწარმოქმნილი არარუსული სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც დე იურედ იქნენ ცნობილნი დანარჩენი მსოფლიოს მიერ, არის დადებითი, მაგრამ ჯერ ამასთან დაკავშირებით ოფიციალური პოზიტიური განცხადებები არ გაკეთებულა სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან. ამ პატარა ქვეყნების მეგობრებს სჯერათ, რომ ბატონი ჰარდინგი და ბატონი ჰიუზი განიარაღების კონფერენციის (ვაშინგტონის კონფერენცია ბ. კ.) დამთავრებას ელოდებიან და ამის შემდეგ გააკეთებენ ოფიციალურ განცხადებებს. კონგრესმენის პირადი მოსაზრებით კი, ამერიკა სრულ ზეწოლას განახორციელებს რუსეთზე და შეეკვრება მსოფლიოს დანარჩენ სახელმწიფოებს ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხში.

თუმცა საქართველოს საკითხი, უკვე შემდგარი ოკუპაციის გამო, დასავლეთის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში, ფაქტობრივად, დახურული აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ არაოკუპირებული გახლდათ ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებიც ძლიერი დასავლური მხარდაჭერის გარეშე საქართველოს ბედს გაიზიარებდნენ და სწორედ ამ ნიადაგზე გააჩაღა ჩენდლერმა მუშაობა, კონგრესში მისი საქმიანობის მთავარი მიმართულებაც სწორედ ეს გახლდათ.

წარმომადგენელთა პალატაში ხელახლა არჩევამდე ცოტა ხნით ადრე, 1921 წლის დასაწყისში, ჩენდლერმა კიდევ ერთხელ იმოგზაურა ევროპასა და ბალტიისპირეთში. დაბრუნების შემდეგ კი კვლავინდებურად განაახლა პროპაგანდა პრესის ფურცლებზე, სამინისტროებსა თუ კონგრესში.

„ნიუ იორკ თაიმსში" გამოქვეყნებულ 1921 წლის 5 აპრილის სტატია-

ში, სათაურით „ბოლშევიზმი კვდება“, ავტორი ყვება, თუ რა სიამოვნებით უყურებდა ტალინში ესტონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების 3 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს. წითელი რუსების მცდელობა, რომ კონტრდემონსტრაცია მოეწყოთ, ჩენდლერის სიტყვებით, დაშლილ იქნა რესპუბლიკის მამაც პოლიციელთა მიერ, რომლებმაც თავიდანავე უარი თქვეს რაიმე საერთო ჰქონოდათ ბოლშევიკებთან. მისივე თქმით, ამერიკის მხრიდან ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა მხოლოდ რამდენიმე თვის საქმეა და რომ ის აპირებს აღნიშნულ რესპუბლიკათა მოთხოვნა უახლოეს მომავალში კიდევ ერთხელ წარუდგინოს პრეზიდენტ ჰარდინს, სახელმწიფო მდივან ჰიუზს და სენატს. ამ საქმის დადებით დასასრულში კი თავად ეჭვი არ ეპარება.[16]

1921 წლის 16 მაისს, დაპირებისამებრ, წარმომადგენელთა პალატის ტრიბუნიდან კონგრესმენმა მემორანდუმით მიმართა ამერიკის სახელმწიფო მდივან ჰიუზს, და ბალტიისპირეთის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარება მოითხოვა. საკითხის მიმოხილვა და ჩენდლერის მიმართვის ტექსტი წარმოდგენილია „ნიო იორკ თაიმსის“ 17 მაისის ნომერში.[17] სტატიის ავტორი მკითხველს აცნობს, რომ წინა სახელმწიფო მდივნების – ლანსინგისა და კოლბის, დროს ამერიკა ორმაგ პოლიტიკას აწარმოებდა – ერთი მხრივ, არ აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე უარს ეუბნებოდა საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოცილებულ რესპუბლიკებსაც. ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანი ჰიუზი კი, ჯერჯერობით სდუმს ლატვიის, ესტონეთის, ლიტვის, საქართველოს, აზერბაიჯანის და ჩიტის ციმბირული რესპუბლიკების აღიარებასთან დაკავშირებით. შემდეგ მოყვანილია ჩენდლერის გამოსვლის ტექსტი, სადაც ის ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა აღიარების სასარგებლოდ მრავალ ძლიერ არგუმენტს იშველიებს და საკითხის ბოლომდე მიყვანას ერთადერთ გონივრულ, შესაძლებელ გამოსავლად მიიჩნევს.

კონგრესმენის მიმართვის პასუხად 1921 წლის 22 მაისს „ნიუ იორკ თაიმსში“ ქვეყნდება ვრცელი სარედაქციო ანალიტიკური სტატია, რომელშიც ავტორი ეხმიანება უოლტერ მარიონ ჩენდლერის მიერ სახელმწიფო მდივან ჰიუზისათვის ახლახან გადაცემულ მემორანდუმს, ბალტიისპირეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე. „ნიუ იორკ თაიმსი“ აკრიტი-

[16] New York Times 5th of April 1921 http://query.nytimes.com/gst/abstract.html?res=9F01E5DC-103CE533A25756C0A9629C946095D6CF&scp=1&sq=chandler&st=p

[17] New York Times. 17th of May 1921. http://query.nytimes.com/gst/abstract.html?res=9E01E2-D61E3FEE3ABC4F52DFB366838A639EDE&scp=4&sq=walter+chandler&st=p

კებს ჩენდლერის შემდეგ სიტყვებს: „სამართალი მოითხოვს, რომ ეს პატარა ბალტიისპირული ქვეყნები დაუყოვნებლივ უნდა იქნენ ცნობილნი და მფარველობის ქვეშ აყვანილნი ერთა ლიგის მიერ". ავტორის მოსაზრებით, რასაკვირველია, უსამართლო იქნებოდა მათი მხოლოდ ცნობა და შემდგომ დაუცველობა, თუმცა კი ამის მსურველს ვერავის ხედავს და შესაბამის მაგალითად მოჰყავს კავკასია, კერძოდ, საქართველო: „ერთი წლის წინათ არაფერი ისე სტაბილურად არ გამოიყურებოდა, როგორც საქართველო, მოკავშირეთა მისიები ხელშეკრულებებს დებდნენ საქართველოს მთავრობასთან და ეკონომიკურ ურთიერთობასაც აწყობდნენ... თუმცა ამ ახლადშექმნილმა რესპუბლიკებმა ვერ გაძლეს მფარველობის გარეშე და წაღებულ იქნენ ბოლშევიკური წყალდიდობის მიერ".[18]

ჩენდლერი არ შეუშინებია მსგავს პესიმისტურ მიდგომა. პირადი აქტიურობით და საერთაშორისო პოლიტიკაში შეცვლილი რეალობის წყალობით შეძლო მიეღწია მიზნისთვის, რისი დაგვირგვინებაც გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 1922 წლის 28 ივლისს ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა.

ის, რისი გაკეთებაც ობიექტური საერთაშორისო ვითარების გამო, სამწუხაროდ, ვერ შეძლო საქართველოსთან მიმართებით, მოახერხა ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ უოლტერ მარიონ ჩენდლერი ქართულ საარქივო დოკუმენტაციაში მოიხსენიება როგორც საქართველოს წარმომადგენელი ამერიკაში. მისი პიროვნება ეხმიანება როგორც საქართველო-ამერიკის თანამედროვე მეგობრობას, ასევე 1980-იანი წლებიდან მოყოლებულ ქართულ-ბალტიურ ერთობლივ ბრძოლას თავისუფლებისათვის და მან ეს ყველაფერი საკუთარ თავში ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში გააერთიანა. ვფიქრობთ, საქართველოს ისტორიაში მისი გამოჩენით უფრო ძველდება და მდიდრდება ქართულ-ამერიკულ-ბალტიური ურთიერთობები.

[18] New York Times. 22nd of May 1921. http://query.nytimes.com/mem/archive-free/pdf?res=980-6E1DD1F3FEE3ABC4A51DFB366838A639EDE

Beka Kobakhidze

THE FIRST AMERICAN FRIEND OF GEORGIA – CONGRESSMAN WALTER MARION CHANDLER

Summary

The article introduces the first American friend of Georgia – Walter Marion Chandler, who was a lobbyist of First Georgian Republic (1918-1921) in gaining recognition of its independence in USA. The evidences on this person were recently discovered by us in various historic sources and we introduce him to the Georgian public. Hereby is described the details of his contribution to Georgia, relationship between him and Georgian diplomats etc. Research is exclusively based on archival data and press materials, which were unknown before for the Georgian historiography. While lobbying the case of Baltic States in USA, W. M. Chandler was linking Georgia to Baltic region. Taking into consideration current tight relationship between USA, Georgia and Baltic States, it is quite important to know who was the founder of above mentioned partnership between the friendly nations.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

დიმიტრი სილაქაძე

უცნობი ფურცელი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სამხედრო მოღვაწეობიდან

საქართველოს ეროვნულ გმირის, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილ ისტორიულ ნაშრომებსა თუ თანამებრძოლთა მოგონებებში ძირითადი აქცენტი კეთდება ქაქუცას, როგორც „შეფიცულთა რაზმის" მეთაურსა და ანტისაბჭოთა აჯანყებების ერთ-ერთ გამორჩეულ სამხედრო ლიდერზე. ასევე მკითხველისათვის ცნობილია მისი მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში, სტრატეგიული სიმაღლის „არწივის ბუდის" გმირული დაცვა კავკასიის ფრონტზე და მონაწილეობა ქართველ ცხენოსანთა ათასეულის მანევრში სპარსეთის ფრონტზე. უკანასკნელ პერიოდში კი ისტორიკოსმა გოჩა საითიძემ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში აღმოაჩინა საინტერესო დოკუმენტები ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაწყებითი განათლების შესახებ.[1] რაც შეეხება ქაქუცას სამხედრო საქმიანობას დამოუკიდებელი საქართველოს რეგულარულ არმიაში, ავტორთა დიდი ნაწილი (ა. დაუშვილი კ. წენგუაშვილი; გ. შარაძე; დ. ონიკაძე-გიგაურისა; დ. ჭუმბურიძე) მოკლედ დასძენს, რომ ქაქუცა მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში და მონაწილეობდა ქვეყნის მიერ წარმოებულ ყველა ბრძოლაში.[2] ზემოთ ჩამოთვლილთაგან ისტორიკოსმა ალექსანდრე დაუშვილმა დეტალურად შეისწავლა საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული სამხედრო სამინისტროს

[1] გ. საითიძე. უცნობი ფაქტები ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრებიდან. ჟურნ.: „ისტორიანი". №7. ივლისი. 2011, გვ. 28-34.

[2] ალ. დაუშვილი, კობა წენგუაშვილი. იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის, თამარ! თბ. 2005, გვ. 10; გ. შარაძე. ქაქუცა ჩოლოყაშვილი. კრებ.: ქაქუცა ჩოლოყაშვილი. შემდგენელ-რედაქტორები: გურამ შარაძე და გურამ გვერდწითელი. თბ. 1989, გვ. 11; დ. ონიკაძე-გიგაურისა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი. თბ. 2009, გვ. 8; დ. ჭუმბურიძე. ქაქუცა ჩოლოყაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი. „მეომრის ბიბლიოთეკა". №5. თბ. 2008. გვ. 10.

მასალები და ვერაფერი მოიძია ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ, გარდა ერთი ცნობისა, რომელიც ეხება ვინმე (სახელი და მამის სახელი მითითებული არ არის) პოდპორუჩიკ (უმცროსი ლეიტენანტი დ. ს.) ჩოლოყაშვილის დანიშვნის ბრძანებას 1918 წლის 23 დეკემბერს.[3] ჩვენ მიერ მიკვლეული საარქივო მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია პოდპორუჩიკი ჩოლოყაშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი ერთი და იმავე პიროვნებად მივიჩნიოთ, რადგანაც, მოძიებული საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ქაქუცა ჩოლოყაშვილი იმ პერიოდისათვის სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონში მსახურობდა. ისტორიკოსი ლევან ზ. ურუშაძე კი წერს, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი 1919 წელს ასრულებდა სამხედრო მინისტრის მოადგილის მოვალეობას და კურირებდა არმიის საკავალერიო შენაერთებს.[4] ამ ინფორმაციის წყაროდ ისტორიკოსი ინტერნეტენციკლოპედია „ვიკიპედიის" ინგლისურენოვან ვერსიას ასახელებს.[5] თავის მხრივ, ინგლისურენოვანი ვიკიპედია იმოწმებს ლევან ზ. ურუშაძის 2006 წელს დაწერილ ზემოთ ნახსენებ სტატიასა და ალექსანდრე მიქაბერიძის მიერ 2007 წელს გამოცემულ ქართველების ბიოგრაფიულ ენციკლოპედიას.[6] ლევან ზ. ურუშაძე თავის სტატიაში, ასევე ყოველგვარი წყაროს მითითების გარეშე დასძენს, რომ სამხედრო სამინისტროდან წასვლის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილი მეთაურობდა ერთ-ერთ საკავალერიო პოლკს.[7]

ქაქუცას სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ასევე ცნობილია, რომ 1921 წელს საბჭოთა რუსეთთან ომის დროს იგი გააგზავნეს დასავლეთ საქართველოში ცხენოსანი ნაწილების შესადგენად გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად.[8] ნ. ნაკაშიძის ინფორმა-

---

[3] ალ. დაუშვილი. საქართველოს წითელი არმიის საჯარისო ნაწილების ფორმირების ზოგიერთი უცნობი საკითხი. ჟურნ.: „ანალები". 4. თბ. 2009, გვ. 204-205.

[4] ლევან ზ. ურუშაძე. ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიისათვის. ჟურნ.: „ამირანი". ტ. 14-15. თბ. 2006, გვ. 153.

[5] ლევან ზ. ურუშაძე. ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიისათვის, გვ. 165.

[6] http://en.wikipedia.org/wiki/Kakutsa_Cholokashvili. ვიკიპედიის სტატიას ლიტერატურის სიაში ასევე დართული აქვს გურამ შარაძისა და გურამ გეერდწითელის ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული კრებული, რომელიც არანაირ ინფორმაციას არ შეიცავს ქაქუცას სამხედრო მინისტრის მოადგილეობაზე.

[7] ლევან ზ. ურუშაძე. ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიისათვის, გვ. 153.

[8] ალ. სულხანიშვილი. მოგონებები შეფიცულთა რაზმზე. თბ. 2007, გვ. 70-72; დ. ჭუმბურიძე. ქაქუცა ჩოლოყაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი, გვ. 11-12; ნ. ნაკაშიძე. ქაქუცა. ჟურნ.: „თეორი გიორგი". №3. ივლისი. 1930 წელი. წერილი დაბეჭდილია გურამ შარაძის წიგნში. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. I. თბ. 2001, გვ. 613.

ციის თანახმად, მოხერხებულა 2 ესკადრონი (ასეული) ცხენოსნის მოგროვება, ამ ორიდან კი ერთის მეთაურად ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაუნიშნავთ.[9] ის ფაქტი, რომ ამ ომის ბოლო ეტაპზე ქაქუცა ცხენოსანი ასეულის მეთაური იყო, დასტურდება ქართული არმიის მთავარსარდლის, გიორგი კვინიტაძის მოგონებების მიხედვითაც.[10] თავის მხრივ, ნაკაშიძის მოგონება, რომელიც „თეთრი გიორგის" 1930 წლის ივლისის ნომერში დაიბეჭდა და 2001 წელს გურამ შარაძემ გამოაქვეყნა ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის პირველ ტომში, საკმაოდ საინტერესო ინფორმაციის შემცველია, მაგრამ არაა გამოყენებული ქართული ისტორიოგრაფიის მიერ. ჩვენ ცენტრალური საისტორიო არქივის გვარდიის მთავარი შტაბის დოკუმენტებში (ჰარვარდისა და ლევილის კოლექცია) აღმოვაჩინეთ 15-მდე საინტერესო დოკუმენტი, რომლებიც მეტ-ნაკლებად ნათელს მოჰფენს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობას დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. დოკუმენტებში ზუსტადაა ნაჩვენები, თუ რომელ ნაწილში და რა თანამდებობაზე მსახურობდა იგი, რომელ სამხედრო ოპერაციებში მიიღო მონაწილეობა და ბოლოს – დოკუმენტების უდიდესი ნაწილი 1920 წელს ქაქუცას გვარდიიდან წასვლასა და ამ მოვლენის შედეგად გამოწვეული უდიდესი აჟიოტაჟის შესახებ გვაძლევს მეტად საინტერესო ინფორმაციას, რაც აქამდე სრულიად უცნობი იყო მკითხველთათვის.

როგორც ცნობილია, ქაქუცა პირველი მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე ქართველ ცხენოსანთა ათასეულში ირიცხებოდა. ამ ათასეულის ყოფილი ოფიცრის, ნაკაშიძის მოგონებების მიხედვით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩოლოყაშვილი გვარდიის ცხენოსან დივიზიონში გადასულა სხვა გამორჩეულ ოფიცრებთან ერთად.[11]

სახალხო გვარდია რეგულარული და არარეგულარული ნაწილებისაგან შედგებოდა. რეგულარულ ნაწილებში გამოირჩეოდა გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი, რომლის სიძლიერეს რუსეთის სამხედრო ატაშე პავლე სიტინიც აღნიშნავდა თავის საიდუმლო მოხსენებებში და ქართული შეიარაღებული ძალების საუკეთესო შენაერთად მიიჩნევდა.[12] 1919 წელს შტატებით ცხენოსანი

---

[9] ნ. ნაკაშიძე. ქაქუცა, გვ. 613.

[10] გ. კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. თარგმნეს ნონა გოგიჩაიშვილმა და ნინო ქაჯაია. წ. 2. თბ. 1999, გვ. 114, 116.

[11] ნ. ნაკაშიძე. ქაქუცა, გვ. 611

[12] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა). ფონდი №1874 (საქართველოში რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის სამხედრო ატაშეს ფონდი). აღწერა 1. საქმე 5. ფურც. 38.

დივიზიონი შედგებოდა: ორი ცხენოსანი ესკადრონის, არტილერიის ერთი მწყობრის, ტყვიისმფრქეველთა და მესანგრეთა მცირე გუნდებისაგან; მთლიანი პირადი შემადგენლობა კი შეადგენდა 456 კაცს.[13] ქაქუცა ჩოლოყაშვილი, როგორც მის მიერ დამფუძნებელი კრებისადმი 1920 წლის აპრილში გაგზავნილი მოხსენებიდან ჩანს, დივიზიონში სხვა ოფიცრებთან ერთად ჩარიცხულა 1918 წლის აგვისტოს ბოლოს.[14] 1920 წლის 4 თებერვლისთვის კი დივიზიონს მეთაურობდა გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი.[15] მეთაურის მოადგილეები იყვნენ: გიორგი შენგელია და დავით წერეთელი, ხოლო ქაქუცა ჩოლოყაშვილი მეთაურობდა დივიზიონის პირველ ესკადრონს.[16] საინტერესოა, თუ რომელ სამხედრო ოპერაციებში მიიღო დივიზიონმა მონაწილეობა. ამის ჩამონათვალი მოცემულია ჩოლოყაშვილის მიერ დამფუძნებელი კრებისადმი 1920 წლის აპრილში გაგზავნილ მოხსენებაში (სტილი დაცულია დ.ს):

„სახალხო გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი არსებობს 1918 წ. 20 აგვისტოდან და ამავე აგვისტოში აფიცრები ჩარიცხულნი იყვნენ დივიზიონში.

1918 წ. 29 ოქტომბერს გაგზავნილ იქნა სოფ. ვორონცოვკაში 2 ასეული და ტყვიის მფრქეველთა რაზმის ერთი გუნდი.

1918 წ. 3 დეკემბერს დაბრუნდა ვორონცოვკიდან ერთი ასეული და ხსენებული რაზმის ერთი გუნდი.

1918 წ. 15 დეკემბერს დივიზიონმა გაილაშქრა ბორჩალოს მაზრაში სომხეთის ფრონტზედ, სადაც მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში ეკატერინენფელდთან, დაგეტ-ხაჩინთან და ბოლნის-ხაჩინთან.

1919 წ. 3 თებ. დაბრუნდა სომხეთის ფრონტიდან.

1919 წ. 8 თებერვალს დივიზიონმა გაილაშქრა სოჭის ფრონტზედ და 16-17 აპრილს გავიდა მდ. ბზობზედ გაგრის დასაჭერად.

---

[13] სცსა. ფონდი №1833 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ფონდი). აღწერა 1. საქმე 365. ფურც. 96; დ. ხილაქაძე. საქართველოს I დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურის და რიცხოვნობის საკითხისათვის. იკონე ჯაფარიძეს ილიის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. III. თბ. 2011, გვ. 340.

[14] სცსა. ფონდი №1970. (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ფონდი). აღწერა 3 (პარვარდისა და ლეონილის კოლექციიდან). საქმე 32. ფურც. 125.

[15] ბოლშევიკებმა გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი, სხვა ქართველ სამხედრო მოღვაწეებთან ერთად, თბილისში 1923 წლის 21 მაისს დახვრიტეს.

[16] სცსა. ფონდი №1970. აღწერა 3 (პარვარდისა და ლეონილის კოლექციიდან). საქმე 30. ფურც. 18.

1919 წ. 18 აპრილს დივიზიონმა დაიჭირა სამზღვრები და უკუაქცია მტერი მდ. მზიმთამდე.

1919 წ. 29 ოქტომბერს დივიზიონი დაბრუნდა სოჭის ფრონტიდან.

1919 წ. 8 ნომბერს დივიზიონი გაგზავნილ იქნა ამბოხების ჩასახშობად გორის მაზრაში საიდანაც დაბრუნდა 1919 წ. 20 დეკემბერს.

1920 წ. 22 თებერვალს – დივიზიონმა გაილაშქრა ბათომის ოლქში საიდანაც დაბრუნდა ამა წლის 11 მარტს".[17]

ბათუმის ოლქიდან დაბრუნების შემდეგ დივიზიონის ოფიცრებმა, როგორც ირკვევა, აღძრეს შუამდგომლობა გვარდიის შტაბის წინაშე, რათა დივიზიონის ხაზინადარი ყიფიანი გაეთავისუფლებინათ. ყიფიანი დათხოვნილი და დატუსაღებული იყო ბოროტმოქმედებაში მონაწილეობისათვის. შემდგარა საგამოძიებო კომისია შტაბის წევრ ჭიაბრიშვილის ხელმძღვანელობით. კომისიამ საკითხი ბოლომდე ვერ გამოარკვია, მაგრამ ჩათვალა, რომ ყიფიანმა ბოროტმოქმედება ჩაიდინა, ამიტომ 1920 წლის 20 მარტს გვარდიის მთავარმა შტაბმა ძველი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.[18] ამავე დღეს გვარდიის მთავარი შტაბის წევრ ჭიაბრიშვილს ცხენოსანი დივიზიონის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ოფიცერმა შენგელიამ (ამ დროს დივიზიონის მეთაური ხიმშიაშვილი მთავარი შტაბის მიერ გაგზავნილი იყო ვლადიკავკაზში – დ. ს.) ზეპირად აცნობა, რომ დივიზიონის ოფიცრებმა ყიფიანის სამსახურიდან დათხოვნის გამო მასთან შეიტანეს განცხადება სამსახურის დატოვების შესახებ.[19] მთავრმა შტაბმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო 6 აპრილს. შტაბის აზრით, ოფიცრებმა დივიზიონის დატოვე გადაწყვეტილება მიიღეს ძალიან რთულ მომენტში, როდესაც ქვეყანა, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. (შტაბი ამაში გულისხმობდა: ვლადიკავკაზისა და სოჭის მიმართულებით არსებულ მდგომარეობას; ბოლშევიკების მოახლოებასა და ინგლისელებთან ურთიერთობების გამწვავებას ბათუმის ოლქში ქართული ნაწილების შესვლასთან დაკავშირებით). ამის გამო, მათი გადაწყვეტილებით დივიზიონიდან დაითხოვეს ოფიცრები: ჩოლო-

---

[17] სცსა. ფონდი №1970. აღწერა 3 (ჰარვარდისა და ლევილის კოლექციიდან). საქმე 32. ფურც. 125.

[18] სცსა. ფონდი №1833 (დამფუძნებელი კრების ფონდი). აღწერა 1. საქმე. 1079. ფურც. 21-22; სცსა. ფონდი №1970. აღწერა 3 (ჰარვარდისა და ლევილის კოლექციიდან). საქმე 25. ფურც. 54.

[19] სცსა. ფონდი №1970. აღწერა 3 (ჰარვარდისა და ლევილის კოლექციიდან). საქმე 32. ფურც. 77.

ყაშვილი, კუსტაშვილი; მ. დადიანი; ს. წერეთელი; მამულაიშვილი და ბერელაშვილი. ასევე მთავრობის წინაშე დააყენეს შუამდგომლობა, რომ აღნიშნულ ოფიცრებს მომავალში აკრძალვოდათ არმიასა და გვარდიაში სამხედრო სამსახური.[20] ხოლო დანარჩენი ოფიცრები არ დაითხოვეს გვარდიიდან, თუმცა დისციპლინარული სასჯელი დააკისრეს და ერთი-ორი კვირით „ჰაუპტვახტში" ჯდომა გამოუწერეს.[21] აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიაც. მთავრობის თავმჯდომარის მდივანი 13 აპრილს იუსტიციის მინისტრს წერდა: (სტილი დაცულია) „ამ გვარი მოქმედება სამხედრო პირთა ამ მეტად გართულებულ პოლიტიკურ პირობებში მთავრობის თავმჯდომარეს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია და დამავალა გთხოვოთ რათა დაუყონებლივ დაინიშნოს სამხედრო გამომძიებელი და დამნაშავენი პასუხის გებაში მიცემული. შედეგი თქვენი განკარგულებისა გთხოვთ აცნობოთ მთავრობის თავმჯდომარეს".[22] წაყენებულმა ბრალდებამ აღაშფოთა გვარდიიდან „მგლის ბილეთით" გარიცხული ოფიცრები და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარეს წერილი გაუგზავნეს. ოფიცრები წერდნენ, რომ გვარდიის შტაბის მიერ მათი დათხოვნის ბრძანებაში არ იყო ნათლად წარმოჩენილი ის გარემოებები და წინაპირობები, რაც მათ დათხოვნას წინ უძღოდა; ჩამოთვლილი იყო ცხენოსანი დივიზიონის მიერ ჩატარებული ყველა სამხედრო ოპერაცია. ისინი დასძენდნენ, რომ დივიზიონში სანიმუშო წესრიგი იყო როგორც ბრძოლის ველზე, ასევე მშვიდობიანობის პერიოდში. ჩამოყალიბებული იყო გულითადი ურთიერთობა უფროს-უმცროსობას შორის, მაგრამ მათი ურთიერთობა ვერანაირად ვერ აეწყო გვარდიის მთავარ შტაბთან. ამის მიზეზი კი იყო შემდეგი – უკანასკნელნი ოფიცერთა საზოგადოებას სრულ უნდობლობას უცხადებდნენ, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ოფიცერთა დათხოვნის ან დადანაშაულების დროს დივიზიონის ოფიცრობას არაფერს ეკითხებოდნენ, ასევე მათ აზრს არ ითვალისწინებდნენ კადრების შერჩევის დროსაც, ხოლო მთელი პასუხისმგებლობა დივიზიონის მომზადებისა მაინც ოფიცერთა კისერზე იყო. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, მათი თქმით, ამ ნაბიჯის გადადგმა ძა-

[20] სცსა. ფონდი №1970. აღწერა 3 (ჰარეარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე 32. ფურც. 122.

[21] სცსა. ფონდი №1970. აღწერა 3 (ჰარეარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე 32. ფურც. 122.

[22] სცსა. ფონდი №1970. აღწერა 3 (ჰარეარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე 32. ფურც. 136.

ლიან მძიმე იყო, მაგრამ მათ პატაკების მიტანის შემდეგ უფროსს სთხოვეს შტაბისათვის მოეხსენებინა, რომ პოლიტიკური მომენტის სიმძიმიდან გამომდინარე ოფიცერთა დათხოვნა მომხდარიყო არა ერთიანად, არამედ „ახალ აფიცერთა სამსახურში ჩარიცხვის თანაბარ". ასევე მათ განაცხადეს, რომ, თუ დივიზიონს ფრონტზე გალაშქრება მოუწევდა, ისინი დაუფიქრებლად წავიდოდნენ საომრად და დარჩებოდნენ დივიზიონში იქამდე, ვიდრე მშვიდობიანობის დადგომის შემდეგ მათი ჩანაცვლება არ მოხდებოდა ახალი ოფიცრებით.[23] ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე ვთქვათ იმის შესახებ, გადასცა თუ არა ოფიცერმა შენგელიამ გვარდიის მთავარ შტაბს ოფიცერთა პატაკთან ერთად მათი ზეპირი თხოვნა, რადგანაც ამაზე გვარდიის დოკუმენტები არაფერს გვეუბნება. შტაბის გადაწყვეტილება კი ცნობილია და ქაქუცასათვის განსაკუთრებით აღმაშფოთებელი გახდა შტაბის თხოვნა მთავრობისადმი მათთვის სამხედრო სამსახურის საერთოდ აკრძალვის შესახებ: (სტილი დაცულია) „ცხენოსან დივიზიონის აფიცრობა თავის დღეში არ დაეცემოდა ზნეობით ისე, რომ გაფიცვით ან სხვა რამე უმზგავსობით საფრთხეში ჩაეგდო მთავრობა, ეღალატა სამშობლოსათვის და მთელი ქვეყნის თვალში თავს ლაფი დაესხა. მაგრამ მთავარმა შტაბმა, სჩანს, სწორედ ასე შეხედა ჩვენგნით სამსახურიდან დათხოვნის სურვილის განცხადებას და ყურად არ იღო ჩვენი განცხადება დივიზიონის უფროსის მიერ მოხსენებული (უნდა იყოს დივიზიონის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დ. ს.) გარდა ამისა მთავარ შტაბს დაუდგენია, როგორც ჩვენ ეს გამოგვეცხადა, რომ მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა, რათა მთავრობას გვარდიიდან დათხოვნილ აფიცრებს ჯარში სამსახურიც აღუკრძალოს. ეს არის უმძიმესი სასჯელი, რომელიც უდრის სისხლის სამართლის კანონებით გათვალისწინებულ მოქალაქეობრივ უფლების აყრას და ასეთი სასჯელის გაჩენა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს".[24] ოფიცრები ითხოვდნენ სამხედრო სასამართლოს გაესამართლებინა ისინი მთელი სისასტიკით და სიმკაცრით და თუ დამნაშავეები გამოდგებოდნენ, მზად იყვნენ კანონის მთელი სიმკაცრით დასჯილიყვნენ. გამართლების შემთხვევაში კი გაფანტულიყო ის ჩრდილი, რაც გვარდიის შტაბის დადგენილებამ მიაყენა ამ ოფიცერთა ღირსებას, რადგან თვლიდნენ, რომ არანაირი

[23] სცსა. ფონდი №1970. აღწერა 3 (ჰარეარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე 32. ფურც. 125-126.

[24] სცსა. ფონდი №1970. აღწერა 3 (ჰარეარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე 32. ფურც. 126.

ბრალი არ მიუძღოდათ სამშობლოსა და მთავრობის წინაშე.[25]

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ 5 მაისს განიხილა გვარდიის ცხენოსანი დივიზიონის ოფიცერთა შუამდგომლობა და გვარდიის მთავარი შტაბის წევრს – რუბენ აუშტროვს – განმარტება მოსთხოვა. მას ახალი არაფერი არ უთქვამს და დასძინა, რომ შტაბმა გამოიტანა დასკვნა, რომ ეს თხოვნები კოლექტიური იყო და ეს მოხდა მძიმე სამხედრო პირობების დროს.[26] რატომ მოხდა ოფიცერთა სხვადასხვა წესით დასჯა, აუშტროვს ამის შესახებ არაფერი უთქვამს. სამხედრო კომისიამ დაადგინა: „შუამდგომლობის ასლი გაეგზავნოს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს. ეთხოვოს ამ საკითხის შესახებ განმარტება. ამის შემდეგ იქნას კომისიის მსჯელობა“.[27] შტაბს 8 მაისისათვის უნდა გაეკეთებინა განმარტება იმ გარემოებებისა და მიზეზების შესახებ, რომლის გამოც ოფიცრები დათხოვნილნი იყვნენ სამსახურიდან.[28] შტაბს არანაირი განმარტება არ გაუკეთებია, ამიტომ 10 მაისს დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ თავიდან გაუგზავნა მოთხოვნა შტაბს, რათა 11 მაისამდე გაეკეთებინათ განმარტება.[29] მთავარმა შტაბმა, ოფიცრების განცხადებისა და ცხენოსანი დივიზიონის მეთაურის პატაკის[30] საფუძველზე, კიდევ ერთხელ განიხილა ეს საქმე და სამხედრო კომისიას მისწერა, რომ აღნიშნულ საკითხზე საკუთარ დადგენილებას არავითარ შემთხვევაში არ შეცვლიდა.[31] ამავდროულად დაიწყო გამოძიება, რასაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ითხოვდა როგორც მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, ასევე თვითონ

---

[25] სცსა. ფონდი №1970. აღწერა 3 (ჰარეარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე 32. ფურც. 126.

[26] სცსა. ფონდი №1833. აღწ. 1. საქმე 1079. ფურც. 21-22.

[27] სცსა. ფონდი №1833. აღწ. 1. საქმე 1079. ფურც. 22.

[28] სცსა. ფონდი №1970. აღწ. 3 (ჰარეარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე. 32. ფურც. 127.

[29] სცსა. ფონდი №1970. აღწ. 3 (ჰარვარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე. 32. ფურც.123 (საქმეში დოკუმენტების რიგითობა ამ ადგილას დარღვეულია, ამიტომ არის 5 მაისის დოკუმენტი 127-ე ფურცელზე, ხოლო 10 მაისისა – 123-ე ფურცელზე).

[30] ეს პატაკი ხელთ არ გვაქვს. ამ დროს დივიზიონში დაბრუნებული იყო მეთაური გიორგი ხიმშიაშვილი. როგორც ჩანს, იგი ოფიცრებს გამოექომაგა და შტაბს გადაწყვეტილების შეცვლა სთხოვა, როგორც ეს შტაბის დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიისადმი მიწერილი წერილის კონტექსტიდან ჩანს.

[31] სცსა. ფონდი №1970. აღწ. 3 (ჰარვარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე. 32. ფურც. 194 (აღნიშნულ დოკუმენტს უსის ორი თარიღი 10 (20?) აპრილი და მაისი (რიცხვი არ ჩანს), მაგრამ რადგან დოკუმენტი წარმოადგენს პასუხს დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის მოთხოვნაზე, იგი უნდა დაეთარიღოთ არა უადრეს 11 მაისისა.

ოფიცრებიც. პირველ ივლისს სამხედრო პროკურორმა თბილისის მეორე უბნის სამხედრო გამომძიებელ თარხნიშვილს გადაუგზავნა ცხენოსან დივიზიონის ოფიცერთა საქმე, ამ უკანასკნელმა 3 ივლისს, გვარდიის შტაბის 6 აპრილის დადგენილებაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ ოფიცერთა ქმედებაში შეიძლება აღმოჩენილიყო ბოროტმოქმედების ნიშნები და საქმე მიიღო წარმოებაში წინასწარი გამოძიებისათვის.[32]

როგორ წარიმართა გამოძიება, უცნობია. სავარაუდოდ საქმეს მსვლელობა აღარ მისცემია. გვარდიის მთავრმა შტაბმა კი მალევე ოფიცერთა საქმეზე საკუთარი დადგენილება შეცვალა. 1920 წლის 31 აგვისტოს მთავარი შტაბის სხდომაზე ვალიკო ჯუღელმა განაცხადა, რომ დივიზიონიდან დათხოვნილ ოფიცერთაგან იყვნენ ისეთებიც, რომელთაც იმდენი დანაშაული არ ჩაუდენიათ რომ სამუდამოდ დათხოვნილები იყვნენ სამხედრო სამსახურიდან. მისი აზრით, ისინი საკმაოდ დაისაჯნენ როგორც ზნეობრივად, ისე მატერიალურადაც, ამიტომ მიზანშეწონილი და ზნეობრივად მისაღები იქნებოდა პერსონალურად განეხილათ ოფიცერთა საქმეები და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ზოგიერთი მათგანი სასჯელიდგან გაეთავისუფლებინათ.[33] დივიზიონის მეთაურმა ხიმშიაშვილმა შტაბის წევრებს განუცხადა, რომ ოფიცრების ქმედება დაუკვირვებლობისა და გატაცების შედეგი იყო, ამიტომ ითხოვდა, რათა ყველა დათხოვნილი ოფიცერი „შეწყნარებული“ და „ნაპატიები“ ყოფილიყო.[34] ხიმშიაშვილს შეეწინააღმდეგა გვარდიის მთავარი შტაბის წევრი ხარაში და მოითხოვა, რომ ყველა ოფიცერზე შტაბს პერსონალურად ემსჯელა.[35] საბოლოოდ დაადგინეს: „წინააღმდეგ თავისი დადგენილებისა №132 მთავარი შტაბი ადგენს: ა) ყველა ის ოფიცრები, რომლებზედაც მთავარი შტაბის მიერ დადებული იყო დისციპლინარული სასჯელი, განთავისუფლებულ იქნენ ამ სასჯელისაგან. ბ) მთავარი შტაბი წინააღმდეგი არ არის მამულაიშვილის სამხედრო უწყებაში შესვლისა. რაც შეეხება დანარჩენ დათხოვნილ ოფიცრებს შტაბი იქონიებს მსჯელობას მათ შესახებ პერსონალურათ, თუ ისინი

---

[32] სცსა. ფონდი №1833. აღწ. 3 (პარეარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე. 18. ფურც. 13.

[33] სცსა. ფონდი №1970. აღწ. 3 (პარეარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე. 40. ფურც. 32-33.

[34] სცსა. ფონდი №1970. აღწ. 3 (პარეარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე. 40. ფურც. 32-33.

[35] სცსა. ფონდი №1970. აღწ. 3 (პარეარდისა და ლეეილის კოლექციიდან). საქმე. 40. ფურც. 32-33.

შემოიტანენ სათანადო განცხადებას“.[36]

რას აკეთებდა ქაქუცა გვარდიიდან წასვლისა თუ გარიცხვის შემდეგ? ოფიცერ ნაკაშიძის ინფორმაციის მიხედვით, ის ბენია ჩხიკვიშვილს მიუწვევია აჭარაში განსაკუთრებულ მინდობილობათა ოფიცრის თანამდებობაზე.[37] მას ქაქუცასთვის უთქვამს: „აჭარაში უდიდესი გავლენა ბეგებსა აქვთ. ჩვენ მათთან გვიხდება საქმის დაჭერა. ბეგები სოციალისტებს არ ენდობიან. მათი ნდობის მოსაპოვებლად საჭიროა დავანახვოთ, რომ მთელი საქართველო გაერთიანებული არის. შენ დიდი გვარის კაცი ხარ და, ამ მხრივ, დიდ სამსახურს გაგვიწევ. ეროვნული და სახელმწიფო ინტერესები ამას მოითხოვენო“.[38] ქაქუცაც დათანხმებულა, მაგრამ ბათუმიდან ცხენოსან ლეგიონში დაბრუნება უთხოვია (ცხენოსანი ლეგიონი იყო რეგულარული არმიის შემადგენლობაში დ. ს.). თხოვნა სამხედრო სამინისტროში გადაუგზავნიათ და ლეგიონის ოფიცრები ელოდნენ ქაქუცას დანიშვნას[39]. ამ დროს კი საქართველოში საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალები შემოიჭრნენ. ამ ომის დროს, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩოლოყაშვილი გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად დასავლეთ საქართველოში გააგზავნეს ახალი ცხენოსანი ნაწილების ჩამოსაყალიბებლად, ომის ბოლო პერიოდისათვის მათ შეძლეს ორი ესკადრონის შექმნა, რომელთაგანაც ერთ-ერთს ქაქუცა ჩაუდგა სათავეში.

მართალია ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ამ შენაერთებით ბრძოლაში ჩართვა იმ დროს მოახერხა, როდესაც ომის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც სათავეში ჩაუდგა ქვეყანაში არსებულ ანტისაბჭოთა ძალებს.

ჩვენ ვეცადეთ მკითხველისათვის გაგვეცნო საქართველოს ეროვნული გმირის სამხედრო მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და შეუსწავლელი პერიოდი. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია, ქართველი მკითხველს უფრო მეტ ინფორმაცია ელის ქაქუცა ჩოლოყაშვილის, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრის, შესახებ.

---

[36] სცსა. ფონდი №1970. აღწ. 3 (ჰარვარდისა და ლეჟილის კოლექციიდან). საქმე. 40. ფურც. 33.
[37] ნ. ნაკაშიძე. ქაქუცა, გვ. 612
[38] ნ. ნაკაშიძე. ქაქუცა, გვ. 612
[39] ნ. ნაკაშიძე. ქაქუცა, გვ. 612

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

© იუანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი (გურამ შარაძის კერძო კოლექცია)

გვაღრიის შტაბი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი (გურამ შარაძის კერძო კოლექცია)



ქართველი კავალერისტები

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი (გურამ შარაძის კერძო კოლექცია)

გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი. ადრეული პერიოდი ფოტო.
© http://burusi.wordpress.com/history/gogi-khimshiashvili/

Dimitri Silakadze

UNKNOWN PAPER FROM THE MILITARY ACTIVITY OF KAIKHOSRO (KAKUTSA) CHOLOKASHVILI

Summary

The life and activity of the national hero of Georgia Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili is mentioned in various historical works and comrades memoirs, where this person is considered as the head of Sworn Brothers' detachment ("Shepiculta Razmi") and the leader of anti-soviet uprising. It is also well known about his military merits on the Caucasian front during the World War I. Nevertheless there are few materials about his military activities among the armed forces of the Democratic Republic of Georgia (1918-1921). The unknown documents from the Central Historical Archive had revealed that from August 1918 to April 1920 he had been leading the first squadron unit of the peoples' Guards cavalry division. In spring 1920, Kakutsa Cholokashvili and other officers as well, wrote the report about their retirement from people's guard which turned out to be considered as a betrayal by the military staff. Furthermore, they asked the government to prohibit Kakutsa to enter in any kind of military service. According to Kakutsa's letter sent to the military commission of the Constituent Assembly, their retirement was a protest against an arrest of treasurer of this squadroon. Staff of the guard started the preliminary investigation and only several months later they changed their minds. This meant that if this officers would desire to enter the military service, it would be discussed as individual case. Comrade-officer Nakashidze informs us that Kakutsa Cholokashvili himself attempted to enter the regular cavalry legion. In 1921 the Soviet Russia – Georgian war was lunched and Kakutsa with General Chavchavadze was sent to the West Georgia to form new cavalry legions. At the final stage of war, he had been leading new squadron. In this way, we have tried out to inform reader about the interesting and unknown facts from the military activity of the national hero of Georgia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

მერაბ კალანდაძე

გადაურჩა ივანე ჯავახიშვილი სტალინურ ტერორს?

ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ სტალინური რეჟიმი წარსულს ჩაბარდა. რეალობა გაცილებით უფრო რთული და მრავალწახნაგოვანია. სტალინური რეჟიმის შორეული ექო ჯერ კიდევ გაისმის. ბოლშევიკური მენტალიტეტი ჯერ კიდევ ძლიერია და ბოლომდე დაძლეული როდია. ამიტომ ამ თემაზე საუბარს ჯერაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

სტალინური ტერორი არ იყო ერთგვაროვანი და ფართო სპექტრში უნდა განვიხილოთ. ის ხორციელდებოდა სხვადასხვა ფორმით. სტალინური რეჟიმის მსხვერპლი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმ ადამიანებით, რომლებიც დახვრიტეს. ეს „დიდი ტერორის" მხოლოდ ერთი ფორმა იყო. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ის ადამიანები, რომლებიც 30-იან წლებში შიმშილით დაიხოცნენ და რაშიც სტალინის დანაშაული ძალზე დიდი იყო. მას შეეძლო ამ უბედურების თავიდან აცილება, მაგრამ ამისათვის არაფერი გააკეთა. ცინიკურად განაცხადა: „კაპიტალისტური ქვეყნებიდან პურს არ შევიძენთ". „დიდი ტერორის" კიდევ ერთი ფორმა იყო მორალური ტერორი, რომელიც ხშირად სავალალო შედეგით მთავრდებოდა. სამივე შემთხვევაში დასასრული ლეტალური იყო. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და დიდი მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი სწორედ მორალური ტერორის მსხვერპლად უნდა მივიჩნიოთ. სტალინი იყო მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტირანი, დესპოტი, მონსტრი, „ბოროტების გენია", რომლის ანალოგი მსოფლიო ისტორიაში ძნელად მოიძებნება (ვ. ი. ლენინი, ა. ჰიტლერი, მაო ძე-დუნი, პოლ პოტი). სტალინმა შექმნა საბჭოთა კავშირი და ბოლშევიკურ-ტოტალიტარულმა რეჟიმმა წარმოშვა სტალინი. მან საფუძველი ჩაუყარა „ჩინგისხანურ სოციალიზმს". სტალინის ფენომენის მისი ქართული წარმოშობით ახსნა სუბიექტური და ტენდენციურია. იმის გამო, რომ სტალინი ქართველი იყო, მისი გაღმერთება, უსაშველოდ განდიდება, ცხადია, არ ღირს, ზედმე-

ტია.[1] სტალინის დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ მან ხელყო ადამიანის ხელშეუვალი უფლებები: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა.[2]

* * *

ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქი, აღიარებული თავკაცი, დიდი ივანე ჯავახიშვილი ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოსი და მისი ლიდერის – სტალინისათვის – იმთავითვე მიუღებელი იყო. საბჭოთა ხელისუფლების დაარსების პირველი დღიდანვე იწყება აშკარა თუ ფარული ბრძოლა ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ. ეს ადვილი გასაგებიცაა. ბოლშევიკებისათვის მენტალურად მიუღებელი იყო ასეთი კოლორიტული ფიგურა, როგორიც ივანე ჯავახიშვილია. ის წინ ეღობებოდა მათ უნივერსიტეტის დანაგვიანებაში, ქართული სულიერების დათრგუნვაში, საქართველოს წარსულის გაყალბებაში. ბოლშევიკებისათვის ივ. ჯავახიშვილი სუვერენული საქართველოს სიმბოლოდ იქცა. საჭირო იყო მისი თავიდან მოშორება. „არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა". ამ ჩანაფიქრის განხორციელება, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა ადვილ საქმეს და ბოლშევიკებს ამისათვის საკმაოდ დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდათ. მათ შესანიშნავად ესმოდათ, რომ ივ. ჯავახიშვილის შევიწროვება სულაც არ იქნებოდა ადვილი საქმე, რადგან ქართველ ხალხს ის ძალიან უყვარდა და დიდი პატივს სცემდა. ილიას საქმის გამგრძელებლად სწორედ ივ. ჯავახიშვილი ესახებოდათ. „მეოცე საუკუნის დასაწყისში ილიას მძიმე ტვირთმა ივ. ჯავახიშვილის მხრებზე გადაინაცვლა. ამ უკანასკნელს წილად ხვდა უაღრესად საპატიო და ამასთან მეტად რთული ხვედრი... ილია ჭავჭავაძეობა გაეწია ერისათვის".[3] ბოლშევიკებმა ეს ძალიან კარგად იცოდნენ და ამიტომ იყო, რომ სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს ძველ ინტელიგენციას და პირველ რიგში დიდ ივანე ჯავახიშ-

[1] სტალინი. ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებაში. თბ. 2002; გ. ყორანაშვილი. სტალინი – შტრიხები პორტრეტისათვის. თბ. 2006; გ. გამრეკელი. „ჩინგისხანურ სოციალიზმს" გადარჩენილი ქართველები. თბ. 2010; ნ. ქოთორი. ტირანები. თბ. 2011: ეს სია პრინციპში მისაღებია, თუმცა ცოტა გაბერილი უნდა ჩანდეს. ამიტომ მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, დაზუსტება, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ შეიძლება იქნეს. იხ. Э. Радзинский. Сталин. М. 1997.

[2] აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1776 წლის 4 ივლისი) – ქრესტომათია ახალ ისტორიაში. ნაწ. I. თბ. 1979, გვ. 217.

[3] რ. მეტრეველი. იე. ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1975, გვ. 25.

ვილს.

ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ ფრონტალური შეტევის ათვლის წერტილად გვევლინება მისი გათავისუფლება უნივერსიტეტის რექტორობიდან 1926 წლის ივნისში. ამით მათ უნივერსიტეტს ძალიან ძლიერი დარტყმა მიაყენეს. შეეცადნენ მოეშალათ სულიერებისა და ეროვნულობის სათავე. დაიწყო ბოლშევიკების მიერ უნივერსიტეტის დანაგვიანების პროცესი. ასე შემოაბიჯებინეს ბოლშევიკებმა უნივერსიტეტში უვიცობას, არაკომპეტენტურობას, უზნეობას, უსინდისობას და მის დამახასიათებელ ატრიბუტებს. ყოველივე ამის შედეგი დღესაც, 21-ე საუკუნის დასაწყისში, აშკარაა.[4]

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ფაქტისადმი გულგრილი დამოკიდებულება პოლიტიკური კონიუნქტურის გამოვლინებას წარმოადგენდა და ძალად თავს მოხვეული იყო. ამიტომ ამის გამო მათი მკაცრად განსჯა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. განა მათ ჰქონდათ სხვა არჩევანი? „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული". ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატურია.

არსებობა შეწყვიტა სახელმწიფო საბჭომ, რომელსაც სათავეში ედგა ივანე ჯავახიშვილი, ხოლო 1927 წელს ის იძულებული შეიქნა დაეტოვებინა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეობა. ცხადია, ეს არ იყო ფაქტების უბრალო დამთხვევა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ის აშკარად „პერსონა ნონ გრატა" გახდა. უსამართლო დევნამ, ცხადია, ძალიან ატკინა გული ივ. ჯავახიშვილს და მძიმე მორალური ტრავმა მიაყენა ღვაწლმოსილ მეცნიერს. ტოტალიტარულმა სისტემამ მოახერხა და აღმართა ბარიერი დიდ მეცნიერსა და საზოგადოებას შორის. ეს ივ. ჯავახიშვილის გამჭრიახ მზერას არ გამოჰპარვია მხედველობიდან. „მე საზოგადოებაში აღარ გამომესვლება, რადგან ხალხი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება და ვგრძნობ ამავე დროს, ჩემი რცხვენიათ".[5] „ივანე ჯავახიშვილის რექტორობის პერიოდის საუნივერსიტეტო ორგანიზაციული მოღვაწეობით და ბრძოლით შენარჩუნდა უნივერსიტეტის ეროვნული შინაარსის განმსაზღვრელი მექანიზმი" – აღნიშნავს პროფ. გ. ციციშვილი.[6] ფაქტობრივად, ბოლშევიკებმა უნივერსიტეტის ავტონომიას გულში მახვილი ჩაარტყეს.

---

[4] მ. კალანდაძე. საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში. თბ. 2006, გვ. 39-40.

[5] ნ. ჯავახიშვილი. რაც მაგონდება. თბ. 1990, გვ. 22.

[6] გ. ციციშვილი. უცნობი ჯავახიშვილი. „სამშობლო – ფრონტე". №12. იუნისი. 1996.

30-იანი წლების დასაწყისში ივ. ჯავახიშვილის დევნა-შევიწროება ახალ ფაზაში შედის. ფილიპე მახარაძის უარყოფითი რეცენზია ივანე ჯავახიშვილის წიგნზე „საქართველოს ეკონომიკური ისტორია" ახალი ტალღის აგორების ნიშნად მოგვეელინა. საბჭოთა ხელისუფლება შეეცადა მეორე ძლიერი დარტყმა განეხორციელებინა ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილზე, რომელსაც სათავეში ედგა ივ. ჯავახიშვილი. 1930 წლის ზაფხულში მთავრობამ განახორციელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. ფაქტობრივად, ეს იყო უნივერსიტეტის დაშლა სხვადასხვა სასწავლებლად, რასაც საბოლოოდ მოჰყვებოდა უნივერსიტეტის გაუქმება.[7]

საქართველოში „კონდრატიევშჩინის" პირველ დიდ მსხვერპლს ივ. ჯავახიშვილი წარმოდგენს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს 1930 წლის დეკემბერში უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბებული საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარებული სხდომა.[8] ის მთავრობამ დისპუტის სახელით მონათლა. სხდომის მთავარი ლაიტმოტივი იყო ძველი პროფესურისადმი მტრული დამოკიდებულება. მათი ლიდერები იყვნენ ივ. ჯავახიშვილი და გრ. წერეთელი. „პროფ. ივ. ჯავახიშვილის ირგვლივ თავს იყრის მემარჯვენე პროფესურა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ხალხი".[9] ფაქტობრივად, ეს იყო ივ. ჯავახიშვილისადმი წაყენებული პოლიტიკური ბრალდება. რა თქმა უნდა, ივ. ჯავახიშვილი არასოდეს ყოფილა მარქსისტი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ის ცუდი ისტორიკოსი იყო. ოპონენტები ასეთი ვიწრო პარტიული პოზიციებიდან ეკამათებიან დიდ მეცნიერს და კარგად არიან ამოფარებული პოლიტიკურ კონიუნქტურას. მათ არ ძალუძთ ივ. ჯავახიშვილთან მეცნიერული პაექრობის გამართვა. ცოტა ხნის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტიდან დაითხოვეს, ხოლო საქართველოს ისტორიის კათედრას სათავეში ჩაუდგა არა დიდი ივანე ჯავახიშვილი, არამედ ფილიპე მახარაძე. სწორედ ამაზეა ნათქვამი „ფარა შემობრუნდა და კოჭლი ცხვარი თავში მოექცაო". სატირალია, რომ არ იყოს სასაცილო. როდემდე?

ივ. ჯავახიშვილს თავისუფლად შეეძლო გაემეორებინა უილიამ შექსპირის გენიალური სიტყვები:

---

[7] ს. ჯორბენაძე. თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია. თბ. 1988, გვ. 120-124.

[8] ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯაროს წინაშე. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მ. ვაჩნაძემ და პროფ. ე. გურულმა. თბ. 2004.

[9] ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯაროს წინაშე, გვ. 29-115.

„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა.
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგანაც უღირსთ უსამართლოდ დაადგეს დაფნა.“

თუ ელისაბედის ეპოქის მიმართ ეს განაჩენი, შესაძლოა, მკაცრად ჟღერდეს, სტალინური რეჟიმისადმი მისი რეალურობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა რეჟიმმა ფეხქვეშ გათელა ბიბლიური პრინციპი „კეისარს კეისრისა“.

ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. ის მხოლოდ ძალებს იკრებს და უფრო მეტი გაქანებით გრძელდება. ამ ბრძოლის კულმინაციას წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1935 წლის 23 მარტიდან - 2 აპრილამდე გამართული სხდომა.[10] ეს არ იყო მეცნიერული პაექრობა. ეს იყო ივ. ჯავახიშვილისადმი წაყენებული პოლიტიკური ბრალდება. დისკუსია ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და ივ. ჯავახიშვილის ნაღვაწზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი გვიქმნიდა. მას „ნაციონალ-შოვინიზმის“ გავრცელებაში დებდნენ ბრალს. „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ სკოლას“ მიაკუთნებენ. ეს იყო ვიწრო კლასობრივი მიდგომა, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის დამსახურების რეალური შეფასებისაგან ძალზე შორს იყო და, ეტყობა, მაშინ ამას არც არავინ ისახავდა მიზნად. უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილის შემოქმედებისადმი მშრალი სოციოლოგიური სქემებით მიდგომა კრახით დამთავრდა. საფიქრებელია, რომ ამ ბინძური ცილისმწამებლური კამპანიის უკან იდგა არა მხოლოდ ლ. ბერია, არამედ შეიძლება თავად სტალინი.[11]

ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ ხანგრძლივი ცილისმწამებლური კამპანია მორალური ტერორის საუკეთესო ნიმუში იყო. ის სამი აქტისაგან შედგებოდა. ბოლშევიკები თანამიმდევრულად მოქმედებენ. პირველს მოჰყვა ივ. ჯავახიშვილის გათავისუფლება უნივერსიტეტის რექტორობიდან. მეორემ გამოიწვია მისი მოკვეთა უნივერსიტეტიდან, მესამეს უნდა მოჰყოლოდა მისი ფიზიკური განადგურება.

1935 წლის განხილვამ 1937 წლის „დიდი ტერორის“ უვერტიურად

---

[10] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 4 და 5.

[11] გ. ყორანაშვილი. ივ. ჯავახიშვილი (ახლებურად წაკითხვის ცდა). თბ. 1999, გვ. 117-136.

გაიჟღერა, მეცნიერულ განქიქებას უნდა მოჰყოლოდა ფიზიკური განადგურება. ბოლშევიკებს საქმე სწორედ აქეთ მიჰყავდათ. ამ თვალსაზრისით, ფრიად სიმპტომურია მეორე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, დიდი ელინისტის, გრ. წერეთელის ხვედრი. არსებობს დიდი ალბათობა, რომ იგივე ბედი ელოდა ივ. ჯავახიშვილს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რამ გადაარჩინა ივ. ჯავახიშვილი დახვრეტას?

მკვლევარები მიუთითებენ სამ გარემოებაზე: 1. ეს მოხდა სიმონ ჯანაშიას ლავრენტი ბერიაზე გავლენის წყალობით. 2. ივ. ჯავახიშვილის გადარჩენაში დიდი წვლილი მიუძღვის მისი პირველი ცოლის ძმას, ალექსანდრე სვანიძეს. 3. სტალინი შეეცადა პოლიტიკური ოპონენტებისთვის, პირველ რიგში კი ლ. ტროცკისათვის, დაემტკიცებინა, რომ ქართველმა ერმა თავისი ველურობით არ წარმოშვა ველური სტალინი. სამივე ამ შეხედულებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ რომელია მათ შორის შედარებით წონადი?

დავიწყოთ პირველით. არ გამოვრიცხავთ, რომ ივ. ჯავახიშვილის გადარჩენის საქმეში ს. ჯანაშიამ იქონია გავლენა ლ. ბერიაზე, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ იქნებოდა. მარტო ბერია ამ საკითხს ვერ გადაწყვეტდა.

რა თქმა უნდა, ერთი წამითაც არ უარვყოფთ ამ საქმეში ალ. სვანიძის მოწადინებას. მან თავისი მოქალაქეობრივი და მამულიშვილური ვალი პირნათლად მოიხადა, მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო საკმარისი. ალ. სვანიძე თავად იყო სტალინური ტერორის მსხვერპლი. მან არათუ ივანე ჯავახიშვილის გადარჩენა, საკუთარი თავის გადარჩენა ვერ შეძლო. ამიტომ ივ. ჯავახიშვილის გადარჩენის საქმეში მისი როლის გაზვიადება, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვს. ეს უეჭველად გვერდითი მოვლენებია, მარამ არა ძირითადი; მთავარი, ჩვენი აზრით, სულ სხვა რამ იყო. არის ამის გამომწვევი სხვა, უფრო სერიოზული გარემოება.

გაცილებით უფრო წონადად გვესახება ვერსია, რომლის მიხედვითაც ივ. ჯავახიშვილი იხსნა იმან, რომ სტალინს სურდა მსოფლიოსათვის ეჩვენებინა, ველური სტალინი არ იყო ველური ქართველი ერის წარმომადგენელი, როგორც ამას აღნიშნავდნენ მისი მოწინააღმდეგეები. მიზანშეწონილი იქნებოდა ამ გარემოების უფრო მკაფიოდ ხაზგასმა. მისი მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, შედარებით დამცრობილი ჩანს, რაც სწორი არ უნდა იყოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა შოთა რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წლისთავის ფართოდ აღნიშვნა. გაიმართა ქართული კულტურის დღეები. მოხდა ილია ჭავჭავაძის სახელის რეანიმაცია. ივ. ჯავახიშვილის გადარჩენა

ძალიან კარგად ჯდება ამ კონტექსტში.[12] ამგვარად, სტალინს სჭირდებოდა ივ. ჯავახიშვილი. ეს უკანასკნელი 1937 წელს დახვრეტას სწორედ ამან გადაარჩინა. სხვა გარემოებები მხოლოდ გვერდითი ფაქტორები გახლდათ (ამ შემთხვევაში ი. სტალინი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და ქართული კულტურის ბედი ნაკლებად ადარდებდა, თუმცა ობიექტურად კარგი საქმე გაკეთდა). ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოსდა ივ. ჯავახიშვილი გადაურჩა სტალინის „დიდი ტერორს", მაგრამ სინამდვილეში ეს მთლად ასე როდია. 1937 წელს არ დახვრიტეს, როგორც ეს ჩაფიქრებული იყო. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. უარესი თავიდან იქნა აცილებული, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ივ. ჯავახიშვილი არ იყო სტალინური ტერორის მსხვერპლი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ივ. ჯავახიშვილის სახით საქმე გვაქვს მორალური ტერორის მსხვერპლთან, რომელიც სტალინის დიდი ტერორის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ კომპონენტად გვევლინება. ხანგრძლივმა, უსამართლო დევნამ ლეტალური დასასრული განაპირობა.

1940 წლის 18 ნოემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში ლექციის ჩატარების დროს ივ. ჯავახიშვილის უეცარი გარდაცვალება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და ის იმ ხანგრძლივი და უსამართლო დევნა-შევიწროების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა, რომელიც ხორციელდებოდა მის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დაარსების პირველივე დღეებიდან და მისი მთავარი სულისჩამდგმელი ამხანაგი სტალინი ბრძანდებოდა.[13] ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ლეტალურ შედეგამდე მიგვიყვანა, მორალური ტერორი გახლდათ.

1940 წლის 18 ნოემბერი დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა და ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ წარმოებული პერმანენტული, უწყვეტი ცილისმწამებლური კამპანიის ლოგიკურ დაგვირგვინებას წარმოადგენდა.

მე-20 საუკუნის გამოჩენილი რუსი მწერლის, მ. ბულგაკოვის, თქმით, „შეურაცხყოფა არის საუკეთესო ჯილდო კარგად შესრულებული სამსახურისათვის". ასე გამოხატავდა მადლიერებას ტოტალიტარული ბოლშევიკური სახელმწიფო, სტალინური რეჟიმი. ნ. მაკიაველის თქმით, „პატიოსნების და უანგარობის ერთადერთი საზღაური უმადურება" ივ. ჯავახიშვილს უმადურების სავსე ფიალის ბოლომდე გამოცლა მოუხდა.

---

[12] ს. ჯორბენაძე. ცხოვრება და ღვაწლის ივანე ჯავახიშვილისა. თბ. 1984, გვ. 104; 122-123.

[13] მ. კალანდაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ. 2011, გვ. 297-298.

* * *

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილი საბჭოთა ხელისუფლებისათვის და პირადად ამხანაგი სტალინისათვის „პერსონა ნონ გრატა“ აღმოჩნდა, რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს. ის პირობითად რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს. 1920-იანი წლების დასაწყისი, როდესაც თავი იჩინა ივ. ჯავახიშვილის დევნა-შევიწროების პირველმა სიმპტომებმა, ამ მწვავე და ხანგრძლივი დაპირისპირების შესავლად, წინაისტორიად, შეიძლება მივიჩნიოთ. პრაქტიკულად ეს იყო ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ ტოტალური შეტევის მოსამზადებელი ეტაპი. სიმპტომატურია, რომ უნივერსიტეტის დაარსების შვიდი წლისთავისადმი მზადების პროცესში ივ. ჯავახიშვილს და ძველ პროფესურას გვერდი აუარეს. 2. 1926-1936 წლები, როდესაც ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა მიმდინარეობს და ბოლშევიკები ხისტ პოლიტიკას ახორციელებდნენ დიდი მეცნიერის მიმართ. ის იწყება 1926 წელს ივ. ჯავახიშვილის გათავისუფლებით უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან და თავის კულმინაციას აღწევს 1935 წლის 23 მარტი - 2 აპრილის დისკუსიის დროს. ამ მონაკვეთს პირობითად ივ. ჯავახიშვილის შავბნელი ხანა შეიძლება ვუწოდოთ. 3. 1936-1940 წლები, როდესაც ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა გარეგნულად ლიბერალურ ფორმას იღებს, მაგრამ შინაგანად კვლავ დაძაბული რჩება. საბჭოთა ხელისუფლება ბოლომდე არ ენდობოდა ივ. ჯავახიშვილს და მას თავის მთავარ მოწინააღმდეგედ მოიაზრებდა, რომელიც თურმე სათავეში ედგა საქართველოში ფაშისტურ ორგანიზაციას.[14] შეიძლება ითქვას, რომ ამ ხანგრძლივ პოლიტიკურ ზეწოლას უკვალოდ არ ჩაუვლია. 1940 წლის 18 ნოემბერს მისი უეცარი გარდაცვალება ამ დევნისა და უსამართლო შევიწროების ლოგიკური შედეგი იყო. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ივ. ჯავახიშვილი არის ი. სტალინის „დიდი ტერორის“ პირდაპირი თუ არა, არაპირდაპირი მსხვერპლი. უმადურობამ და უსამართლობამ ნაადრევად მოუსწრაფა სიცოცხლე ღვაწლმოსილ მეცნიერს და ამაში ტოტალიტალურ-ბოლშევიკური რეჟიმისა და ამხანაგ სტალინის „ლომის წილი“ ძევს.

ასეთი უდიერი დამოკიდებულება ფრიად სიმპტომატურია და, ვფიქ-

[14] ვ. ციციშვილი, გაუსინარეჯული ისტორიის ფურცლები. „ცისკარი“. 1995. №3-4; დ. ცინცაძე. ეს ჩვენი ისტორიაა. თბ. 2003; ვ. ბურული. ჯეარცმული უკვდავება და ჯვარმცმელთა სირცხვილი. თბ. 2011.

რობთ, კიდევ ერთი საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, თუ რაოდენ მძიმეა ნამდვილი მეცნიერის ბედი ტოტალიტარული რეჟიმის დროს.[15] აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. პროლეტარიატის დიდი ბელადი, ვ. ი. ლენინი, ამბობდა „სახელმწიფო ეს არის საზოგადოების გასრესის მექანიზმი". სავსებით მართლზომიერად მიგვაჩნია, რომ ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ კამპანია სრული ფიასკოთი დასრულდა. ივ. ჯავახიშვილის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში, ხოლო მისი ოპონენტები დღეს უკვე აღარავის ახსოვს.[16] „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია".

დასმულ კითხვას ასეთი პასუხი უნდა გავცეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ივ. ჯავახიშვილი ვერ გადაურჩა სტალინის „დიდ ტერორს" და მისი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმის – მორალური ტერორის – მსხვერპლს წარმოადგენს. შედეგი ორივე შემთხვევაში ლეტალური იყო. განსხვავება მხოლოდ ფორმაშია, თუმცა ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმ ძნელ დროში, ალბათ, ესეც პროგრესი იყო. „მამაო! მიუტევე ამათ, რამეთუ არ იციან, რას იქმნიან". როდემდე?

[15] ვ. გურული. ჯეარცმული უკვდაეება და ჯეარმცმელთა სირცხვილი. 2011.
[16] მ. კალანდაძე. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ. 1999, გვ. 127.

Merab kalandadze

DID IVANE JAVAKHISHVILI SURVIVE STALIN'S PURGES?

Summary

The Soviet government from the very first days of occupation of Georgia severely persecuted Georgian intelligentsia and its leader Ivane Javakhishvili. The form of the repressions was changing from time to time. At first, he was removed as rector of Tbilisi State University in 1926. In 1930s he was forced to leave Tbilisi State University, which was founded by him. The sessions, which began in Tbilisi State University on March 23 and ended on April 2, 1935 were the culmination of the persecution. The sessions were full of unjust defamations towards Ivane Javakhishvili. According to the scheme, they should be followed by physical elimination of Ivane Javakhishvili, but it did not happen. Stalin protected him from the execution in order to show that he was not barbarian.

Survival from the execution does not mean that Ivane Javakhishvili was not a victim of Stalin's purges. He was a victim of moral terror, the most widespread form of Stalin's Great Purges. It was one of the most serious factors, which, subsequently, resulted in the premature death of great scholar.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

ცირა ბარამიძე

ივანე ჯავახიშვილი ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ და ლინგვისტური კავკასიოლოგია

ივანე ჯავახიშვილმა ქართველთა უძველესი ხანის ენისა და კულტურის მთავარი საკითხები განიხილა სამ წიგნში: პირველი საქართველოს, იმიერ-ამიერ-კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიურ პრობლემებს ეხება; მეორე ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და ნათესაობის საკითხის გარკვევას ეხება[1] და მასში პრობლემის ენათმეცნიერული თვალსაზრისით განხილვისა და გადაჭრის ცდაა მოცემული; მესამეში კი ქართველთა და კავკასიელთა უძველესი ხანის კულტურული ვითარებისა და ისტორიის ზოგადი მონახაზი არის წარმოდგენილი ენის, ზნე-ჩვეულებათა ანალიზისა და ნივთიერი კულტურის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით.

ივანე ჯავახიშვილმა ამ სამი წიგნიდან უპირატესობა მიანიჭა მეორეს და პირველად სწორედ ის დაბეჭდა, რადგანაც ამ ენათა თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის პრობლემა ყველაზე რთულსა და თანაც ძირითად ამოცანას წარმოადგენდა. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ქართველი ერის ეთნოგენეზის საკითხში მარტო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებით და მხოლოდ ქართულ-ქართულენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გარკვევა და გადაჭრა შეუძლებელია. ამისთვის კავკასიური ერებისა და ენების ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალების გამოყენება აუცილებელია.

თავდაპირველად ივანე ჯავახიშვილი ერიდებოდა ენათმეცნიერულ კვლევებში ჩაბმას, რადგან იგი მისი სპეციალობა არ იყო, მაგრამ მანამდე არსებული გამოკვლევების საფუძველზე მან განსაზღვრა, თუ რატომ იყო უნაყოფო მანამდე ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნები-

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბ. 1937.

სა და ნათესაობის გამოსარკვევად ჩატარებული სამუშაო. მისთვის ცხადი შეიქნა, რომ ამ უნაყოფობის ერთ-ერთ მიზეზთაგანს იმ მეთოდოლოგიური პრინციპების გაუთვალისწინებლობაც წარმოადგენდა, რომელთა გამოყენებით ეს უაღრესად რთული აგებულების ენები უნდა ყოფილიყო გამოკვლეული.

ენობრივი მასალის შესწავლამ ივანე ჯავახიშვილი დაარწმუნა, რომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართულისა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება ძალზე შეცვლილა. კვლევა-ძიების შემდგომი გაგრძელების შედეგად გამოირკვა, რომ თავდაპირველად ქართველური და ე. წ. კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილა და რომ მხოლოდ შემდეგში, სხვადასხვა მიზეზის გამო დროთა განმავლობაში დაშორებიან ერთმანეთს და სამ-ხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან.

ივანე ჯავახიშვილმა პარალელურად მოგვცა ძველი და საშუალო საუკუნეების ბერძნული, რომაული, ქართული, სომხური, არაბული და სხვა წყაროების მიხედვით ისტორიულ-გეოგრაფიულისა და ეთნოლოგიური პრობლემების კრიტიკული განხილვა, რამაც მას საშუალება მისცა ენათმეცნიერული გზით მოპოვებული დასკვნების სისწორე შეემოწმებინა.

ქართველური და შარომატული (სარმატული) ანუ ჩრდილოკავკასიური ენების თავდაპირველი აგებულების მთავარი დამახასიათებელი თვისებების გამორკვევის შემდგომ, მათი ლექსიკური საგანძურის ამავე მეთოდებით წარმოებულმა ცალკეულმა და შედარებითმა შესწავლამაც დაარწმუნა ივანე ჯავახიშვილი, რომ ამ გზით შესაძლებელია მეცნიერებას ამ ტომებისა და ერების უძველესი ხანის ნივთიერი კულტურისა და მსოფლმხედველობის სხვადასხვა მხარე გადაეშალოს თვალწინ და არაერთხელ სრულებით ახალი და საგულისხმო ფაქტებიც შეეძინოს. მკვლევრისთვის ფართო და მიმზიდველი პერსპექტივები ისახებოდა.

ივანე ჯავახიშვილმა დასკვნების სისწორის შესამოწმებლად გადაწყვიტა, ყველა ძირითადი საკითხი საჯარო მოხსენების საშუალებით სამეცნიერო კამათის საგნად ექცია. ამგვარად, 1923 წელს დაწყებული საქმე მხოლოდ 1937 წელს მიიჩნია დასრულებულად და გამოსცა კიდეც კაპიტალური მონოგრაფია.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფები ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნიშნის მიხედვითაა სახელდებული ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიაში.[2] ქართულ-

[2] იე. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბ. 1937, გვ 624-625.

ქართველურის გარდა ივ. ჯავახიშვილი ხმარობს ტერმინებს: „სინდური ენები“ – აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებისათვის; „ღილღური ენები“ – ნახური ჯგუფისათვის, „ლეგურ-ალბანური ენები“ – დაღესტნური ენებისათვის (ალბანური აწინდელი ლეზგიური ქვეჯგუფის აღმნიშვნელია, „ლეგური“ კიდევ – ხუნძურ-ანდიურ-დიდოურისა, ლაკურისა და დარგუულისა. სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ერთიანდება ტერმინით შარომატული (ანუ საურომატების, სარმატების) ენები; ხოლო ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას მოიცავს ტერმინი „ქართულ-შარომატული ენები“ და, შესაბამისად, ავტორმა წარმოგვიდგინა ქართულ-შარომატული ენათმეცნიერება.

ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ამგვარი პრობლემების განხილვისას შეცდომებისგან თავის დაღწევა შეუძლებელია, მით უმეტეს კავკასიურ ენათა კვლევა-ძიების სფეროში, „სადაც ბაბილონის ენათა აღრევის მსგავს მოვლენას ზედ უაღრესად გამართულებელ გარემოებად ტრანსკრიფციათა, ტერმინოლოგიისა და თეორიების აღრევაც ერთვის“. ამიტომ შესაძლებლად მიიჩნევდა მის მიერ მოცემული ეტიმოლოგიების ახლებურად წარმოჩენასაც, მაგრამ მაინც თვლიდა, რომ მოპოვებული შედეგის მთავარი ნაწილი, ძირითადი დებულებანი, არ უნდა ყოფილიყო მცდარი. იგი ამბობდა, რომ მისი მოლოდინი მომავალში რომც არ გამართლებულიყო, მაინც ამგვარი მეთოდოლოგიური გზით და **ენობრივი მასალის ანალიზით იქნებოდა შესაძლებელი კავკასიური ენების ბუნებისა და ნათესაობის საკითხის გადაჭრა,** იმედოვნებდა, რომ მომავალში სხვები ამ პირველი ცდის ავტორზე უკეთ და დამაჯერებლად შეძლებდნენ ამ პრობლემების გაშუქებას.

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ ახალი იყო და პასუხსაგები დასკვნების შემცველი, ამიტომაც ცალკეული დაკვირვებაცა და ზოგადი დასკვნებიც მეთოდურად და არგუმენტირებულად იყო წარმოდგენილი. ყველა მთავარი პრობლემის განხილვის დროს ჯერ ცალკეული ენობრივი ერთეულის მასალის ანალიზია ხოლმე მოყვანილი, შემდეგ ენათა ჯგუფების საერთო დახასიათებაა, სულ ბოლოს კი შედარებით შესწავლაზე დამყარებული ზოგადი დასკვნაა ხოლმე დართული. როგორც ვხედავთ, ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად ივანე ჯავახიშვილმა ენათმეცნიერული პრობლემის განხილვა აუცილებლად მიიჩნია. ამგვარი მიმართულებითა და მასალის სრულყოფილი შესწავლით მოხერხდებოდა იმ გზის გაკაფვა, რომელიც მაშინდელ „გარშემოზღუდულობისგან ფართო ასპარეზზე“ გაიყვანდა და ყოველმხრივ საინტერესო, უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლე-

მის გადაჭრას შეაძლებინებდა მეცნიერებას. იგი წერდა: ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ერებისა და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავის ერისა და ქვეყნის". ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ეთნოგენეზის საკითხი ენობრივი მასალის სიღრმისეული შესწავლით გადაწყდებოდა საბოლოო. ამიტომაც მომავალ მკვლევრებს მოუწოდებდა, მოთმინება, გულმოდგინება გამოეჩინათ, სიძნელეს არ შეეშინებინა ისინი და საკითხი საფუძვლიანად შეესწავლათ.

ივანე ჯავახიშვილმა ქართველურ-კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების საკითხის გადასაჭრელად უმთავრესი მნიშვნელობა მორფოლოგიური აღნაგობის გამორკვევას მიანიჭა და აღნიშნა, რომ მის გასარკვევად ფონეტიკაა საჭირო. თავის მხრივ, შეუმცდარი ფონეტიკის შექმნაც მორფოლოგიის გაუთვალისწინებლად შეუძლებელი ყოფილაო. იგი მიიჩნევდა, რომ ამგვარ კვლევას წინ უნდა ჰქონოდა ფონეტიკა დართული. ავტორს მასალებიც კი ჰქონდა მზად ამისთვის, მაგრამ საბოლოოდ დამუშავების წინ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ცალკეული დებულებისთვის აუცილებლად საჭირო ფონეტიკური მაგალითების მოყვანით დაკმაყოფილებულიყო.

ქართული კავკასიოლოგიური სკოლა, ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის კვალდაკვალ, XX საუკუნეში საფეხურებრივად შეისწავლიდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკვანძო საკითხებს. ენათმეცნიერება ისეთივე ზუსტი მეცნიერებაა, როგორც საბუნებისმეტყველო დისციპლინები: ფიზიკა ან ქიმია. მეცნიერების კომპეტენტურობის დონეს მისი მეთოდის იმანენტურობა და სიმკაცრე განსაზღვრავს.

დასავლელი კომპარატივისტები და ქართველი ინდოევროპეისტები სკეფსისითა და ნიჰილიზმით უყურებდნენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დამტკიცების საკითხს. ისინი ამ საკითხის გადაჭრას ცდილობდნენ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გვერდის ავლით, ან ამ მეთოდის არაკორექტული და არაადეკვატური გამოყენებით. იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში ფ. ბოპისეული მიდგომის (ფ. ბოპმა მოგვცა ინდო-ევროპული ენების შედარებითი გრამატიკა და არა ფონეტიკური შესატყვისობები) გამოყენება ზიანის მომტანი აღმოჩნდა. კერძოდ, შედარებით გრამატიკას მიენიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ენათა ნათესაობის დამტკიცებისათვის მორფოლოგიის მონაცემებს მტკიცებულებითი ძალა არა აქვს. ისინი მეთოდის თვალსაზრისით არარელევანტურია, ჭარბია. შესადარებელ ენებს შორის ერთადერთი გადამწყვეტი კრიტერიუმი კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა დადგენაა.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი გამოყენებით ამას არც არნ. ჩიქობავა უარყოფდა, მაგრამ მეორე რიგის ამოცანად სახავდა.[3]

1924 წელს ა. მეიე სვამდა საკითხს მეთოდიკის გადასინჯვის (კერძოდ, გამკაცრების მიმართულებით) შესახებ. ამავდროულად, XX საუკუნის პირველ მეოთხედში მიღწეული იქნა შედეგები შედარებითი ენათმეცნიერების სფეროში (ლ. ბლუმფილდი და ნ. ტრუბეცკოი). აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური (resp. ჩრდილოკავკასიური) ენების ნათესაობის დადგენა ნ. ტრუბეცკოის სახელს უკავშირდება.[4] მან დაადგინა კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობანი ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა შორის, მაგრამ ვერ შეძლო ჩრდილო-კავკასიურ ენათა შორის ბგერათშესატყვისობათა პარადიგმების აგება და, შესაბამისად, მათი ნათესაობის საბოლოო დამტკიცება. 1924 წელს ნ. ტრუბეცკოიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ ჩრდილოკავკასიურ ენათა ნათესაობა სამხრეთკავკასიურ (ქართველურ) ენებთან „არ არის არც ცხადი, არც მეცნიერულად დამტკიცებული.[5] 1953 წელს ტ. გუდავამ დაადგინა შესატყვისობა „ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ლატერალსა და ქართველურ ყ//ყვ ფონემებს შორის.[6] ამ ნაშრომში პირველად დადგინდა ბგერათშესატყვისობანი დაღესტნურსა და ქართველურ ენებს შორის. ამიტომ ამ სტატიას ისტორიული მნიშვნელობა აქვს, შემდეგ 1955 წელს აკადემიკოს ქ. ლომთათიძის მიერ დადგენილი იქნა აფხაზურ-ქართველური ბგერათშესატყვისობანი დენტალურ ხშულთა რიგში:[7] ამ შესატყვისობების საილუსტრაციოდ მან დამატებითი მასალა დაიმოწმა 1995 წელს; 1977 წელს ქ. ლომთათიძემ ქართველურსა და აფხაზურს შორის კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობები დაადგინა სხვა რიგებისთვისაც.[8] ჰაინც ფენრიხმა სცადა დაედგინა ბგერათშესატყვისობები დაღესტნურ და ქართველურ ენებს შორის; რენე

---

[3] მ. ქურდიანი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნირების საფუძვლები. თბ. 2007, გვ. 191-193.

[4] N. Trubetzkoy. Les consonnes latérales des langues Caucasiques-Septentrionales. "Bulletin de la Societe de linguistique". t. 23. № 27. Paris. 1922, გვ. 184-204.

[5] N. Trubetzkoy. Les consonnes latérales des langues Caucasiques-Septentrionales, გვ. 327

[6] ტ. გუდავა. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ტ ლატერალის გენეზისისა და ქართველურ ენებში მისი ფონეტიკური შესატყვისის შესახებ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება". VI. თბ. 1954, გვ. 55-65.

[7] ქ. ლომთათიძე. ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში (ქართველურ-აფხაზურ-ადიღურ ენათა მასალაზე). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესია. თეზისები. თბ. 1955, გვ. 11-12.

[8] ქ. ლომთათიძე. კვლავ ქართ. წ. აფხ. შგ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული". XX-XXI. თბ. 1995, გვ. 261-266.

ლაფონმა 1948 წელს დაადგინა, რომ ქართველურ ენათა ინფრაგლოტალურ აფრიკატებს (მჟღერებსა და ყრუებს) ბასკურში შეესატყვისება ყრუ სისინა აფრიკატები და მათგან ნაწარმოები სპირანტები, ხოლო ქართველურ ენათა სუპრაგლოტალურ აფრიკატებს – ყრუ ნახევრადშიშინა აფრიკატები და მათგან ნაწარმოები სპირანტები.

აღნიშნული კვლევები და, რა თქმა უნდა, შემდეგი კვლევებიც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პოზიციიდან კორექტირებას და მეთოდის გამკაცრებას საჭიროებდა. შედარებული აღმოჩნდა სინქრონიაში თანაარსებული ენების (ქართული, ხუნძური, აფხაზურ-ადიღური, ზანური, სვანური) მონაცემები, თითოეული ენობრივი ჯგუფის (ქართველურის, აფხაზურ-ადიღურის, დაღესტნურის) ფუძე-ენობრივი არქეტიპების წინასწარი რეკონსტრუქციის გარეშე; ასევე შედარებისთვის აღებული იყო ცალთანხმოვნიანი ძირები და, ამასთანავე, მიკვლეული ბგერათშესატყვისობები არასისტემური იყო; ამიტომ აღიქმებოდნენ არარეგულარულ, არაკანონზომიერ მოვლენებად. ყოველივე ეს ამცირებდა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დადგენის საქმეში ამ შრომების მნიშვნელობას.

თანამედროვე ლინგვისტურმა კავკასიოლოგიამ მოახდინა კვლევის კორექტირება – შედარებითი მორფოლოგიიდან შედარებითი ფონეტიკისაკენ; სრულყო აგრეთვე თეორიული ბაზა; აამაღლა კვლევის შედეგების ვერიფიცირებადობის ხარისხი მეთოდის სიმკაცრის შესაბამისად (რ. აბაშია, მ. ჩუხუა, მ. ქურდიანი), დაიცვა ენათმეცნიერება პროფანაციის მორიგი პროცესისაგან ცალსახად თვლიდნენ, რომ ჩრდილოკავკასიური ენებია მონათესავე მხოლოდ.

ემპირიული კვლევების პროცესში დადგინდა არაერთი ფონეტიკური კანონი თუ წესი და აიხსნა გარკვეული ფონეტიკური მოვლენები (ვ. შენგელია, რ. აბაშია, მ. ქურდიანი), დაზუსტდა ბგერათშესატყვისობების ფორმულები ენობრივ ჯგუფთა შიგნით (ვ. შენგელია, ნ არდოტელი). შემუშავდა რამდენიმე ზოგადლინგვისტური თეორია და მიდგომა, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წმინდა კომპარატივისტული პრობლემების გადაწყვეტაში.

ენობრივი ნიშნის მორფემატული თეორიის (მ. ქურდიანი) და ალტერნაციის ფუძექმნადობის თეორიის (ა. არაბული) მიხედვით გადაისინჯა და გაანალიზდა დაღესტნურ, აფხაზურ-ადიღურ, ბასკურ-ქართველურ ენათა ძირების სტრუქტურა და ფუძექმნადობის მოდელები. იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალის შედარებამ ცხადყო ძირ-ფუძეთქმნადობის ამ უძველესი მოდელის სრული ფუნქციონალური და მასალობრივი იდენტურობა სამხრეთ და ჩრდილო-

კავკასიურ ენებში.

მ. ჩუხუასა და მ. ქურდიანის კვლევების შედეგად დადგინდა და აიხსნა სინქრონიულ ბგერათშესატყვისობათა დიაქრონიაში ასახვის (resp. პოვნიერების) ჰოლოგრამული პრინციპი.

კვლევა წარმოებდა პარალელურად განსხვავებული მიდგომებით – ერთი მხრივ, მოხდა ბგერათშესატყვისობათა რანჟირება მათი მტკიცებულებითი ძალის მიხედვით (მ. ქურდიანი), მეორე მხრივ, უკვე ერთი ენობრივი ოჯახის წევრებად ცნობილ ენათა ფონემატური სისტემების ჯგუფთაშორისი შედარებისას ორიენტაცია აღებული იქნა როგორც „არაიდენტურ", ასევე „იდენტურ" ბგერათშესატყვისობათა სრულ პარადიგმებზე (მ. ჩუხუა).

1998 წელს იან ბრაუნმა ქართველურ-ბასკური ენების ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის ნახევარსაუკუნოვან შედეგებს თავი მოუყარა მონოგრაფიულად.[9] მან განსაზღვრა ბასკურის ადგილი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ბასკურ-ქართველურ ჯგუფში.

მ. ქურდიანმა მოგვცა იბერიულ-კავკასიურ ენებს (აფხაზურ-ადიღურ, ბასკურ-ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ) შორის გამოვლენილი არაიდენტური ბგერათშესატყვისობების სისტემატიზაცია და ააგო მათი ვერიფიცირებადი პარადიგმები. ამით **დამტკიცდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიურ ენათა კუთვნილება ერთი ენობრივი ოჯახისადმი.**

კომპარატივისტული მეთოდით გაანალიზებული მასალა მხარს არ უჭერს იბერიულ-კავკასიურ ენათა ტრადიციულ დაყოფას გეოგრაფიული ნიშნით სამხრეთკავკასიურ (ქართველურ) და ჩრდილოკავკასიურ (აფხაზურ-ადიღურ, ნახურ, დაღესტნურ) ენებად. გეოგრაფიულად ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული ენების ორი ჯგუფი არ არის უფრო ახლო ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული მათგანი სამხრეთ-კავკასიურ ენებთან. ამიტომ ამ ქვეჯგუფებიდან ორში დადასტურებული ბგერათშესატყვისობა საკმარისია რეკონსტრუქციისათვის.

მ. ქურდიანმა წარმოადგინა არაიდენტური ბგერათშესატყვისობები:

1. ლატერალთა რიგში (ს. დაღესტ. – ს. ქართვ.).
2. სიბილანტურ აფრიკანტთა რიგში (ს. ქართვ. – ს. დაღესტ.).
3. დენტალურ ხშულთა რიგში (ს. ქართვ. – ს. დაღესტ.).
4. ქართველური და აფხაზურ-ადიღური ბგერათშესატყვისობები: ლატე-

[9] Jan Brawn. Euscaro-caucasica: historical and comparative studies on Kartvelian and Basque. Warszawa. 1998, გვ. 149.

რალთა რიგში, სიბილანტურ აფრიკატთა რიგში, დენტალურ ხშულთა რიგში.

5. ქართველური და ბასკური ბგერათშესატყვისობები და სხვა....[10]

იბერიულ-კავკასიური კომპარატივისტიკის თეორიული პოსტულატები, მიღწევები თუ პრობლემები, დადგენილ კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა ფორმულების საილუსტრაციო მასალა წარმოდგენილია მ. ჩუხუას კაპიტალურ მონოგრაფიაში,[11] სადაც „იბერიულ-იჩქერიული“ უდრის „ქართველურ-ნახურს“. აისა ხალიდოვმა შეაჯამა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემური საკითხები და აღნიშნა: „მიხეილ ქურდიანის კვლევა მკაცრი და ვერიფიცირებადი მეთოდებით ამტკიცებს ნათესაობის საკითხს რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების საფუძველზე, იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხს სკეპტიციზმით ინდოევროპული ენების მკვლევრები უყურებენ... ისინი მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ კომპარატივისტიკაში სწორედ იბერიულ-კავკასიურ ენებს. თუ იმავე სიმკაცრით დაისმება საკითხი ინდოევროპული ენების მიმართაც, მაშინ ინდოევროპულ ენათა ნათესაობის ჰიპოტეტურობის ხარისხი კვლავ მაღალი რჩება. ცნობილია, რომ ინდოევროპულ ენათა ნათესაობა დაიყვანება პირველყოფილ თემურ წყობილებამდე (კონკრეტული ისტორიული მონაცემები ამ პერიოდისა არ არსებობს). იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალა გამოყენებულია სინქრონიული მეთოდით. იმავე ინდოევროპული ენების სინქრონული შედარება კი გვაძლევს უფრო მნიშვნელოვან განსხვავებებს. ამასთან, ინდოევროპული ენების მკვლევრები არ მიიჩნევენ ამას სკეპტიციზმის მიზეზად ინდოევროპული ენების ნათესაობის საკითხში. „როგორი მაღალი მოთხოვნაც არ უნდა წაუყენონ იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას ინდოევროპეისტებმა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მიხეილ ქურდიანის ნაშრომი შეესაბამება ამ მკაცრ მოთხოვნებს არანაკლებ, ვიდრე ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაშრომი – მიძღვნილი ინდოევროპული ბგერათშესატყვისობებისადმი და ამ ენათა ნათესაობის საკითხისადმი“.[12] დავძენდი, გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ინდოევროპულ ენათა დივერგენცია მოხდა განფენილ სივრცეში და შედარებით მოკლე დროის მანძილზე, ხოლო იბერიულ-კავკასიურ ენათა დივერგენცია – გეოგრაფიულად შემჭიდროებულ არეალში და უფრო ხანგრძლივ დროში. ეს ყო-

[10] მ. ქურდიანი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, გვ. 1040.

[11] მ. ჩუხუა. იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა. თბ. 2008, გვ. 763.

[12] А. И. Халидов. Об установлении родства иберийско-кавказских языков (в поддержку концепции М. Э. Курдиани) (рецензия-отзыв) – კავკასიოლოგიური ძიებანი. №2. 2010.

ველივე გათვალისწინებული უნდა იქნას ენათა ნათესაობის სიღრმისეული კვლევისას.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ქართველთა ეთნოგენეზის საკითხთან დაკავშირებული, ჯერ კიდევ XX საუკუნეში დაწყებული კრიზისი, გამოწვეული კომპარატივისტიკის დისკრედიტაციით გრძელდება ახლაც. ნიჰილისტური დამოკიდებულება იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის ოპონენტებს ავიწყებს მეთოდოლოგიური სიმკაცრის დაცვის სავალდებულო მოთხოვნას. ქართველური ენები, ვთქვათ, ნოსტრატულ ენათა ოჯახის უეჭველ წევრად ცხადდებოდა სემიტურ-ქამიტურ, ინდო-ევროპულ, ურალურ, დრავიდულ და ალათაურ ენებთან ერთად (ილიჩ-სვიტიჩი)... მის შედარებით ლექსიკონში არაკორექტულად და არაპროფესიულადაა წარმოდგენილი მასალა. ასეთივე სურათია ლევინთან (სემიტურ-ქამიტური), თუ ანდრონოვთან (დრავიდული) ენების მონაცემებთან დაკავშირებით. ილიჩ-სვიტიჩის კვალს დაადგა ბომჰარდიც.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ასეთი ფანტასტიკური „თეორიების“ ლომის წილი სწორედ ენათა ოჯახებს შორის ნათესაობაზე მოდის. მაკროოჯახების ანუ ფილუმების შიგნით ნათესაობის დადგენისათვის დაუშვეს მეთოდოლოგიური შეღავათები, რაც, ფაქტობრივად, თვით ნათესაობის დამტკიცებაზე უარის თქმას ნიშნავს.

ფილუმების იდეა პოპულარულია აშშ-ში, სტენფორდის უნივერსიტეტში (ჯ. გრინბერგი, ჯ. ბენგელსონი, მ. რულენი) ფილუმად არის წარმოდგენილი დენე-კავკასიური ენობრივი ერთობა, რომელიც ჩრდილო კავკასიის ენებს ჩრდილო ამერიკის ნა-დენე ენებთან მონათესავედ განიხილავს.

დინ უორთმა და კ. ულენბეკმა წამოაყენეს ახალი ჰიპოთეზა, როცა ბასკური და პალეოციმბირული დაუკავშირეს ერთმანეთს (ჩუქჩურ-ბასკური ზმნის მსგავსება). იმავე გზას ადგა ე. ლევი. ყველაზე შორს კი ს. სტაროსტინი „წავიდა“, რომელმაც ჯერ ჩრდილოკავკასიური და ენისეური ენების ნათესაობა „დაამტკიცა“, შემდეგ კი ისინი სინო-ტიბეტურ ენათა ოჯახებთან ერთად ერთ ფილუმში გააერთიანა. არც ერთი ენობრივი ფილუმის არსებობა დღეს დამტკიცებული არ არის. არც ერთი მკვლევარი უშუალოდ არ ფლობს არც ერთ ქართველურ ან მთის კავკასიურ ენას. არც ერთი მათგანი არ იმოწმებს ქართული კავკასიოლოგიური სკოლის თვით კორიფეების მიერ დადგენილ შესატყვისობებსა და ეტიმოლოგიებს, არც კი უთითებს, როგორც არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

ცხადი ხდება, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხის

შესახებ გამოსული ორი ფუნდამენტური ნაშრომის (მ. ჩუხუა, მ. ქურდიანი) შემდეგაც კი გრძელდება კომპარატივისტიკის დისკრედიტაცია ინერციით თუ შეგნებულად. ნათელია, რომ ქართველთა ეთნოგენეზის საკითხს ე. წ. Dark ages შავ ბედად გასდევს არა მარტო უცხოელ, არამედ თვით ქართველ მეცნიერთა თუ კვაზიმეცნიერთა „ნაშრომებში". მიზეზი უფრო მეტად სუბიექტური უნდა იყოს, ვიდრე ობიექტური. „დაუშვებელია" მათთვის ქართველი იყოს აფხაზის, ჩერქეზის, ხუნძის, ჩეჩენის და ა.შ. ნათესავი თვით კომპარატივისტული კვლევის დადებითი შედეგების მიუხედავადაც კი. „დასაშვებია" იყოს ნათესავი თუნდაც ჩუქჩების, ინდო-ევროპელის და ა. შ. სამწუხაროა, რომ ქართველებს ზოგი მკვლევრისთვის ახლო მონათესავე ენობრივ-ეთნიკური ჯგუფი არა ჰყავს. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ასეთი მკვლევრისათვის იბერიულ-კავკასიური საენათმეცნიერო მიღწევები მაგ., რ. თოფჩიშვილისთვის ისტორიის სხვა სამრეკლოდან რეკავს ზარს, „მასთან ისე, რომ მეტწილად ცხადი არ არის, რასაც რეკავს და რისთვისაც რეკავს" (არნ. ჩიქობავა). მეცნიერი ლინგვისტები ასეთ შემთხვევაში კომპარატივისტულ სიბრმავეს მოუცავთ, ხოლო არალინგვისტი მეცნიერები, რომლებიც ეთნოგენეზის საკითხის კვლევას ენათმეცნიერების გარეთ ეწევიან, მეთოდოლოგიურ ჩიხში შეუყვანია მეთოდის დისკრედიტაციას და მათი ნააზრევი ხშირად კრიტიკას არ ექვემდებარება, რომ აღარაფერი ვთქვათ, ტერმინოლოგიურ აღრევასა თუ უცოდინარობაზე.

მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ქართული კავკასიოლოგიური სკოლის მიღწევების ინტერნაციონალიზაცია თარგმანებით, რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს იმათთვის, ვისთვისაც კავკასიონის ქედი არა ბუნებრივ, არამედ ხელოვნურ დაბრკოლებას წარმოადგენს და ვისთვისაც ქართველური მასალის ჩრდილო-კავკასიურ მასალასთან შეპირისპირება მიუწვდომელიცაა და არასასურველიც, რადგან მათთვის შედეგი კვლევის დასაწყისშივეა განსაზღვრული.

მიმაჩნია, რომ ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი წყდება და უკვე გადაწყვეტილია ლინგვისტიკის წიაღში. მატერიალური კულტურის შესწავლა ამ თვალსაზრისით დამხმარე საკვლევი მასალაა.

ხოლო მათთვის, ვისთვისაც ეს ჯერ კიდევ არ არის სარწმუნო, კავკასიოლოგია[13] საერთაშორისო ფორუმს გამართავს და პოლემიკაში გამოიწვევს ოპონენტებს.

[13] არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბ. 1979, გვ. 3.

Tsira Baramidze

IVANE JAVAKHISHVILI ON THE ETHNOGENESIS OF GEORGIANS AND LINGUISTIC CAUCASIOLOGY

Summary

Ivane Javakhishvili initiated the study of Georgian-Kartvelian languages in relation with highland Caucasian languages. He considered that research in that direction and the comprehensive study of the data of Caucasian languages would become a breakthrough for those languages and would enable scholarship to solve quite significant problems. The problem in question was associated with the genesis of the Georgian language and of the Georgian people. In order to solve the problem, Javakhishvili regarded it essential to study the original nature of the Georgian and highland Caucasian languages.

In his seminal study ("The Original Nature and Relation of the Georgian and Caucasian Languages." Tbilisi, 1937), he stated that those languages were genetically related. He wrote: „As far as it has been established that the so-called Caucasian languages have been spoken by the tribes, related to our ancestors, every educated Georgian should know about the languages and history of these tribes in the same way as their own language and history." He was sure that the questions of the ethnogenesis could be solved by means of the profound examination of linguistic data. Therefore, he called future scholars should not be afraid of difficulties and should study the issue essentially.

Following Javakhishvili's heritage, the Georgian school of Caucasian Studies thoroughly studied key issues of Ibero-Caucasian linguistics in the 20th c. In the early 20th c. Georgian scholars carried out significant research by means of applying scientific methods and solved the problem of the ethnogenesis of Georgians (M. Chukhua, M. Kurdiani). In spite of this, the crisis, that started in the 20th c., caused by the defamation of comparative studies, is still in effect even after the two fundamental studies were published. The above mentioned discreditation was not due to the drawbacks of comparative studies. The comparativist method is universal in connection to any

language family. The purposeful defamation of comparative studies yielded in the integration of different language families into phylums (Noetic, Nostratic, Boretic, Dene-Caucasian, etc). Based on the said approach, South and North Caucasian languages were distributed to different genealogic trees. The assumption, that the method was not trustworthy, caused the emergence of new hypotheses (allogenetic theory) and, later, those investigations were declared objective truths and were referred to as undisputable theories.

The paper addresses the "Dark Ages," having existed in comparative studies, its periods and the factors, having caused the creation of quasi-scientific opuses. It is an attempt to solve the problem in point.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

ნიკო ჯავახიშვილი

ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფო მოღვაწეებთან ქართველთა ურთიერთობის ისტორიიდან (XX საუკუნის 50-70-იანი წლები)

ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში გახიზნულ ქართველ ემიგრანტთა საქმიანობისა და დასავლელ სახელმწიფო მოღვაწეებთან ურთიერთობის შესახებ საკმაოდ ბევრია ცნობილი. იმავდროულად, ფაქტობრივად, ყურადღების მიღმაა დარჩენილი აზიის ქვეყნებში ჩასულ ქართველთა საქმიანობა და მათი კონტაქტები იქაურ სახელმწიფო მოღვაწეებთან.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით გამოვარკვიოთ, თუ რა შეხების წერტილები ჰქონდათ გასული საუკუნის 50-იან-70-იან წლებში ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფო მოღვაწეებთან ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს – გენერალ **შალვა მაღლაკელიძესა** (1894-1976) და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრს, პუბლიცისტ **მიხეილ ქავთარაძეს** (1906-2008), ასევე სსრ კავშირის ქართველ დიპლომატ **ალექსანდრე ჩიკვაიძესა** (დაბ. 1933 წ.) და ცნობილ ქორეოგრაფებს, ქართული ეროვნული ბალეტის დამაარსებლებსა და ხელმძღვანელებს **ილიკო სუხიშვილსა** (1907-1985) და **ნინო რამიშვილს** (1910-2000).

სტატია ორ ქვეთავად იყოფა: 1. ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფო მოღვაწეებთან ქართველ ემიგრანტთა ურთიერთობის ისტორიიდან; 2. ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფო მოღვაწეებთან სსრკ-ის ქართველ დიპლომატთა და კულტურის მუშაკთა ურთიერთობის ისტორიიდან.

აქვე დავძენთ, რომ ეს საკითხი საგანგებო კვლევის ობიექტად დღემდე არ ქცეულა.

1. ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფო მოღვაწეებთან ქართველ ემიგრანტთა ურთიერთობის ისტორიიდან

1950-1953 წლებში პაკისტანში თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწე, ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, ვერმახტის გენერალი შალვა მაღლაკელიძე (1894-1976).

საინტერესოა, როგორ მოხვდა მაღლაკელიძეების ოჯახი პაკისტანში.

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შ. მაღლაკელიძე ცხოვრობდა იტალიაში, ძირითადად რომში, სადაც იგი „ხმელთაშუა ზღვის პაქტის ორგანიზაციაში" სამხედრო კონსულტანტად მსახურობდა.

შ. მაღლაკელიძის მომავალმა მეუღლემ მარიამ იოსების ასულმა ცოტაძემ (რომელსაც დედა პოლონელი ჰყავდა და პოლონეთში დაიბადა), რომში დაამთავრა კეთილშობილ ქალთა პანსიონი და უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ამის შემდეგ მას მიენიჭა სამედიცინო სამსახურის ოფიცრის წოდება.

1949 წლის გაზაფხულზე შ. მაღლაკელიძემ და მ. ცოტაძემ რომში იქორწინეს.

იმავე წელს ამ ქალაქში ჩავიდა პაკისტანის შეიარაღებული ძალების სამედიცინო სამსახურის გენერალი ფარუკი, რომელიც თავის ქვეყანაში ჩასაყვანად აგროვებდა ექიმებს და ამის სანაცვლოდ მათ მაღალ ანაზღაურებას და საუკეთესო პირობებს სთავაზობდა. ეს იმან განაპირობა, რომ იმდროინდელ პაკისტანში ტროპიკული ეპიდემიები მძვინვარებდა. იმ ექიმთა შორის, რომლებიც პაკისტანში სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გაემგზავრნენ, აღმოჩნდა მარიამ ცოტაძე-მაღლაკელიძისაც. 1950 წლის 28 მარტს მას პაკისტანის დედაქალაქ ყარაჩიში შეეძინა ასული – თამარ შალვას ასული მაღლაკელიძე, რომელიც დღეისათვის, თავის ოჯახთან ერთად, თბილისში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

პაკისტანში შ. მაღლაკელიძე თავისი ძველი მეგობრის, იტალიელი პოლიტიკური მოღვაწის, დოქტორ ენრიკო ინსაბატოს დახმარებით გაემგზავრა. აქვე უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის მიწურულს ინსაბატო თბილისში იტალიის კონსულად მსახურობდა და საქართველოს კარგად იცნობდა. მაღლაკელიძესთან ერთად ის კავკასიელ ემიგრანტთა პრესაშიც თანამშრომლობდა.

შ. მაღლაკელიძე იგონებდა: „რომში ყოფნის დროს მე კვლავ ინსაბა-

ტოსთან ვმეგობრობდი. მან შემიყვანა მასონურ ლოჟაში და საკმაოდ დიდი რანგი მომცეს მასონისა – „სიკვდილთან შერიგებული". ამ დროს რომში იმყოფებოდა პაკისტანელი გენერალი აიუბ-ხანი, სწორედ ის, რომელიც შემდგომში პაკისტანის პრეზიდენტი გახდა. აი, მას წარუდგინა ჩემი თავი ინსაბატომ, როგორც ხმელთაშუა ზღვის სამხედრო პაქტის სამხედრო მრჩეველი და წარუდგინა იმიტომ, რომ თვითონ აიუბ-ხანი მასონი გახლდათ.

ასე, რომ აიუბ-ხანმა ამიყვანა თავის სამსახურში იტალიელი გენერლის ამადარის გვარით, ერთი მხრივ, როგორც თვითონ მახასიათებდა „სამხედრო ტაქტიკის მცოდნედ" და მეორე მხრივ, სადაზვერვო საქმიანობის ექსპერტად, როგორც რუსულის მცოდნე. რასაკვირველია, რომ თვითონ აიუბ-ხანმა იცოდა, თუ ვინ ვიყავი მე, ჩემგან იცოდა საქართველოც... მასაც მოვუყევი ჩემი თავგადასავალი".[1]

XX საუკუნის 50-იან-60-იანი წლების აზიის პოლიტიკურ ლიდერთა გალერეაში უდავოდ საყურადღებო პიროვნებას წარმოადგენდა მუჰამად აიუბ-ხანი. 1928 წლიდან ის სამხედრო საქმიანობას ეწეოდა, მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის ყოფილი სამხედრო კოლონია, ინდოეთი, რელიგიურ ნიადაგზე გაიყო ორ ნაწილად – ინდოეთად და პაკისტანად (1947 წ.), აიუბ-ხანი თავისი სამშობლოს სამსახურში ჩადგა. სხვადასხვა დროს იგი იყო პაკისტანის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი (1951-1954 და 1956-1958 წლებში) და თავდაცვის მინისტრი (1954-1955). 1958 წელს მან დაამყარა სამხედრო რეჟიმი და 27 ოქტომბერს პრეზიდენტი გახდა. 1959 წელს მიენიჭა ფელდმარშლის სამხედრო წოდება. 1960 და 1965 წლებში იგი კვლავ აირჩიეს პრეზიდენტად, ხოლო 1963 წელს – მმართველი პარტიის მუსლიმთა ლიგის მეთაურად. 1969 წლის მარტში პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა.[2]

ამდენად, შალვა მაღლაკელიძე და მისი მეუღლე მაშინ მოღვაწეობდნენ პაკისტანში, როდესაც მათი მასპინძელი აიუბ-ხანი ამ ახლად ჩამოყალიბებული ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად მსახურობდა.

მაღლაკელიძეთა ოჯახი დაბინავდა ქალაქ კოხათში, სადაც საგანგებო დასახლება და სამხედრო-სადაზვერვო ბაზა მდებარეობდა. იქაურ საავადმყოფოში მუშაობდა სამედიცინო სამსახურის კაპიტანი მარიამ ცოტაძე-მაღლაკე-

---

[1] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი. „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში". მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რეხილაძემ. თბ. 1994, გვ. 210.

[2] მუჰამედ აიუბ-ხანი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. თბ. 1975, გვ. 244.

ლიძისა.

შ. მაღლაკელიძის მოგონებებში ვკითხულობთ: „აქვე ცხოვრობდა გენერალი აიუბ-ხანი, ეს ვეებერთელა კაცი. ჩვენ 9 ოთახი გვქონდა, მსახურები, მზარეული. ჩვენი პაკისტანელი მზარეული ჩვენი ხარჯით 10-15 მშიერ მოხეტიალე თანამემამულეს აჭმევდა ხოლმე და ჩემი ცოლი უწყრებოდა ამის გამო, ფულს ნუ გვიხარჯავ ამდენსო. მე კიდევ მეცინებოდა ამაზე და ვაშოშმინებდი ხოლმე მას. თვითონ ამ დასახლებაში პატარა ქუჩები იყო გაკეთებული რუსული აბრებით: გორკის ქუჩა, ლენინის, ძერჟინსკის და ასე შემდეგ. ეს იმიტომ, რომ პაკისტანელ დიპლომატებს, იგივე დაზვერვის ხალხს, უკვე აჩვევდნენ რუსულ გარემოს. რუსულ ენას მათ ასწავლიდნენ თავადის ქალები ტარაკანოვები, ასწავლიდნენ აგრეთვე არისტოკრატიულ ჩვევებს და ვთქვათ, ქალს ხელზე რა დროს უნდა აკოცონ.

მე ვუთხარი აიუბ-ხანს:

— ეს ჩვევები დღევანდელ რუსეთში მოძველებულია და ანაქრონიზმია-მეთქი, სხვანაირად უნდა ვასწავლოთ-მეთქი.

აიუბ-ხანმა მითხრა:

— არა უშავს, ესეც იცოდნენ, ხომ შეიძლება ასეთ ხალხსაც შეხვდნენო“.[3]

შ. მაღლაკელიძე მოხალისედ მონაწილეობდა პაკისტანის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ ლაშქრობაში, რომლის მიზანს წარმოადგენდა ინდოეთისათვის ჩამოეცილებინა მუსლიმებით დასახლებული ქაშმირი, რომელიც ჰიმალაისა და ტიბეტის საზღვარზე მდებარეობს. აქვე უნდა ითქვას, რომ შ. მაღლაკელიძე მოხალისედ შეგნებულად წავიდა, რადგან ინდოეთს მხარს სსრ კავშირი უჭერდა.

შ. მაღლაკელიძე იგონებდა: „მივუახლოვდით ქაშმირის საზღვრებს... პაკისტანურ ჯარს უკან თან მოჰყვებოდა ჯარისკაცთა მთელი ოჯახები და ჩვენ რომ დავბანაკდით, ირგვლივ სულ მოფენილი იყო ამ ოჯახის წევრებით... უეცრად გამოვიდნენ ინგლისელები და შუაში ჩადგნენ. მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ ისინი გასულნი პაკისტანიდან და ინდოეთიდან. მათ გამოგვიცხადეს, რომ ჯერჯერობით ჩვენი საგუბერნატოროები ხართო და ომს არ დავუშვებთო. ასე გამოვბრუნდით უკან.

სხვათა შორის, იმ ფაქტმა, რომ მე მოხალისედ წავედი ქაშმირში, დიდი გულისწყრომა გამოიწვია ჩემს მეზობლად მცხოვრებ ინდოელებში, რომ-

[3] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 210-211.

ლებიც მეუბნებოდნენ, რომ თქვენ – ქრისტიანი, იტალიელი გენერალი, რატომ ეხმარებითო მუსლიმანებს. მეორე მხრივ, ქუჩაში მსხდომ უამრავ პაკისტანელთა შორის (ზოგი – ფეხსაცმლის მწმენდავია, ზოგი – არზის დამწერი და ყვირიან – „ელზა, ელზა!" – ამით მუშტარს იხმობენ) – დიდი მოწიწება დავიმსახურე ამის გამო. ქუჩაში რომ დამინახავდნენ, ფეხზე დგებოდნენ".[4]

საბოლოოდ, ქაშმირის ტერიტორიის ერთი მესამედი (ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი) გადაეცა პაკისტანს, ხოლო დანარჩენი – ინდოეთს დარჩა.[5]

საგულისხმოა, რომ რამდენიმე სანდო პიროვნებასთან ერთად, შ. მაღლაკელიძეც თან ახლდა აიუბ-ხანს, როდესაც ისინი პაკისტანის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან მივიდნენ და ელოდებოდნენ ტიბეტელთა სულიერი წინამძღვრის, დალაი-ლამას ჩინეთიდან გადმოსვლას.

შ. მაღლაკელიძის ცნობით: „ველოდით, დალაი-ლამა უნდა გადმოსულიყო ჩინეთიდან, მაგრამ ვეღარ გადმოვიდა და აიუბ-ხანი ძალზე ღელავდა".[6]

იმ პერიოდში პაკისტანში აკრედიტებული უცხო ქვეყნების საელჩოებში მუსიკას ასწავლიდა ქართველი ქალი, გვარად ავალიანი. როგორც შ. მაღლაკელიძე იგონებდა, ეს ქალი „რუსულად კარგად ლაპარაკობდა, ქართულად – ცუდად. ჩემი ქმარი გერმანელი ბარონი იყოო რევოლუციამდე და ტფილისში შემირთოო ცოლადო. მე რომ ჩავეკითხე, რომელი ავალიანებიდან ხართ, რომელი რაიონიდან – ვერ მიპასუხა. ისე, ფუფუნებაში ცხოვრობდა და რამდენჯერმე დამპატიჟა თავისთან".[7]

აღსანიშნავია, რომ შ. მაღლაკელიძე პაკისტანელ მეგობარს გაუფრთხილებია: „ავალიანს ნუ ენდობი, ინგლისელების ჯაშუში არისო".[8] ამის შემდეგ შ. მაღლაკელიძემ ავალიანთან ურთიერთობა შეწყვიტა.

პაკისტანში ცხოვრების პერიოდში შ. მაღლაკელიძის ოჯახი მეგობრობდა ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკის – აჰმედ ხაშმის ოჯახთან, რომელიც წარმოშობით ფერეიდნელი გურჯი ყოფილა. მას ცოლად ჰყავდა იტალიელი ქალი, რომელიც დაახლოებული იყო შ. მაღლაკელიძის მეუღლესთან.

ა. ხაშმის შესახებ შ. მაღლაკელიძე იგონებდა: „ცოლი იტალიელი

---

[4] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 211.
[5] Дж. Гренвилл. История XX века (Люди, события, факты). Перевод с английского. М. 1999, გვ. 404.
[6] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 211.
[7] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 211-212
[8] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 212.

ჰყავდა, რომელიც ქმრის სიყვარულის გამო სულ მის ადათ-წესებზე იყო გადასული, თავის ბავშვებს ურდუ ენაზე ელაპარაკებოდა. თვითონ ხაშმიზე ხმა დადიოდა, რომ წარმოშობით არაბი იყო — სხვებს იქ არ ჰქონდათ სახელთან ერთად გვარიც. და აი, ამ ხაშმიმ ერთ მშვენიერ დღეს განმიცხადა, რომ ქართველი იყო, გურჯი ფერეიდანიდან, უფრო სწორად, მამამისი ყოფილა იქიდან გადმოსული. მამამისი გამხდარა დიდი სასულიერო პირი, რაღაც წმინდანის მსგავსი და მას „პირ"-ად იხსენიებდნენ. ეს გვარი, „ხაშმი" — მამაჩემს ჰქონდაო და მეც ვატარებო. მე კი ვიფიქრე, ალბათ ჩვენეული სოფელი ხაშმიდან იყვნენ ამათი წინაპრები და აქედან წარმოსდგა მათი გვარიც მეთქი.

ამ აჰმედმა მამამისის საფლავიც მაჩვენა, დიდი კედლებით იყო გადმოკიდებული. იმ მიდამოებში ხეები არ არის შეშისთვის და ბორცვებზე მხოლოდ ბუჩქები იზრდება. აი, ამ ბუჩქების ძირებიდან ღატაკი ხალხი აკეთებს ნახშირს და მერე ყიდიან. ამას ტვირთავენ ვირებზე ხოლმე და სწორედ ასეთი ჯოგები ჩამოდიოდა ამ საფლავის მიმდებარე გზაზე. ამ საფლავთან იყო კოკებში სიცხისაგან გაცხელებული წყალი და „პირ"-ის საფლავთან ყველა გამვლელი ვალდებული იყო წყალი დაელია და ურნაში ფული ჩაეგდო. ამას იქ მდგომი ვიღაც ჩალმიანი აკონტროლებდა.

ერთ მშვენიერ დღეს, აჰმედ ხაშმიმ დაგვპატიჟა მენგოს დღესასწაულზე. ეს მენგო (ჩვენთან მანგოს ეძახიან და კონსერვებში მინახავს აქ, მაგრამ ვერავითარ შედარებაში ვერ მოვა იქაურთან) როცა დამწიფდება, ყვითლდება და ისეთი დიდებული სასმელია მისი წვენი, რომ რაღაც განუმეორებელი რამ არის... იქ იმართება ამის დღესასწაული... ჩვენთან რთველი რომაა, ისე... მივედით მე და ჩემი მეუღლე, ცოტაძის ქალი და დაგვხვდნენ იქ სხვა სტუმრებიც, ინგლისელები.

შემოიტანა დიდ ლანგარზე მსახურმა მენგოები, მაგრამ, გასაკვირად, ზემოდან მწვანეები აწყვია, ე. ი. მკვახე. რაღაც ჩაილაპარაკა აჰმედმა ურდუ ენაზე, თავი მდაბლად დაუკრეს და მოართვეს მათრახი. აქ მოხდა უსიამოვნო სცენა: გადაკრა და გადაკრა ძლიერ რამდენჯერმე მათრახი ახმედმა მსახურს. ის თავდახრილია, ხელები გულზე დაწყობილი აქვს და აჰმედს ზურგს უშვერს.

მე მეწყინა და შემრცხვა — აჰმედს ქართველად ვთვლი და ახლა ასეთი სცენა ყველას დასანახად. დამთავრდა ეს ამბავი და შემდეგ აჰმედმა მითხრა: განგებ დავაწყობინე ეგ მენგო ზემოდან. როგორ გგონია, მე მამაჩემიდან მომდევს ყველა ამათი ზიზღი და შურს ვიძიებ, როგორც გურჯიო. იქ იმათ

ცხელ წყალს ვასმევ და ამათ მათრახს ვუშენო... ძნელი წარმოსადგენია ასეთი წყურვილი შურისძიებისა".[9]

შ. მაღლაკელიძე დაესწრო პაკისტანის სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის გამართულ საზეიმო ღონისძიებას, სადაც ცხენბურთი გაიმართა.

ქართველი ემიგრანტი გენერალი იგონებდა: „ღირსშესანიშნავი იყო ცხენბურთი, რომელიც ჩემი თვალით ვიხილე იქ... პაკისტანელები დიდებული ცხენოსნები არიან. ამ გამოშვების დღეს მე განსაკუთრებულ პატივს მცემდნენ – ცალკე სავარძელზე მსვამდნენ ყვავილის გვირგვინებით შემკულს. ასეთ პატივს არ სცემდნენ იქ დარჩენილ ინგლისელ სამხედროებს (ამ დროისათვის ინგლისი უკვე გასული იყო იქიდან)... ვზიავარ ამ დღესასწაულზე და წინ ბროშურები მიწყვია სხვადასხვა ენაზე. ავიღე გერმანული ბროშურა, გადავშალე და შიგ ეწერა, რომ ცხენბურთის სამშობლოა კოლხეთი და ივერიაო".[10]

პაკისტანში ყოფნისას შ. მაღლაკელიძე შემთხვევით შეხვდა ვინმე ფანცხავას, რომელიც, მისი თქმით, გამოწყობილი იყო ადგილობრივი „მდაბიო-ავარასავით", კერძოდ, წელზე შემოხვეული ჰქონდა „თეთრი, თითქმის გამჭვირვალე ნაჭერი". როგორც გამოირკვა, ფანცხავა ემსახურებოდა ერთ რუს ექიმს, რომელსაც კომუნისტად თვლიდნენ.[11]

საგულისხმოა, რომ თავის მოგონებებში შ. მაღლაკელიძემ ყურადღება გაამახვილა ურდუ ენაზე გავრცელებულ ხალხურ გამონათქვამზე: „მე შენ გეტყვი, – გურჯი არ იყო", რომელსაც თვითონ ასე ხსნიდა: „როდესაც კაცი ტრაბახობს და თავის თავზე არნახულ საგმირო ანბებს ყვება, მას შეუძახებენ ხოლმე ამ ანდაზას... ე. ი. ნუ ტრაბახობ, შენ გურჯი არა ხარ, შენ გმირი არა ხარო, ე. ი. ნუ ტყუიხარო. რაც შეეხება სიტყვა „გურჯს", მისი მნიშვნელობა არც კი იციან...

შემდეგ ერთი ყადისაგან იქ მოვისმინე საინტერესო რამ: პაკისტანის ერთ შორეულ პროვინციაში, რომლის დიდი ნაწილიც ინდოეთს ეკუთვნის, არის ადგილი, რომელსაც ჯანდაბისტანს უწოდებენ. იმ ადგილას უხსოვარი დროიდან ვეებერთელა მეტეორიტია ჩამოვარდნილი, რომლის გარკვეული ნაწილი მიწის ზევით ჩანს. ვინც მას გადაშორდებაო, ყველა იღუპება – ადამიანია ეს, ცხოველი თუ ფრინველი. და აი, გადმოცემითო, ჩვენ ვიცითო,

[9] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 212-213.
[10] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 213.
[11] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 214.

რომ გურჯებმა გადაადგილეს ეს მეტეორიტი და სიცოცხლეს მეტი ტერიტორია მოუპოვესო. მე ვფიქრობ, ჩვენში რომ არის გავრცელებული გამოთქმა: ჯანდაბას იქით იყოს მათი თავი და ტანიო – აქედან ხომ არ მოდის?!".[12]

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ინდოეთის მოსაზღვრედ მდებარეობს ქალაქი გუჯრათი, რომელიც შესაძლებელია ტერმინ „გურჯს" (ანუ ქართველს) უკავშირდებოდეს. ასევე გამორიცხული არ არის, რომ ამავე ტერმინს უკავშირდებოდეს ინდოეთში არსებული გუჯარათის შტატი, რომელიც ინდოსტანის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, არაბეთის ზღვის სანაპიროსთან მდებარეობს.

გარდა კოხათისა, შ. მაღლაკელიძე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა პაკისტანის ქალაქებში ყარაჩისა და პეშევარში.

1953 წლის დასაწყისში შ. მაღლაკელიძეზე ორჯერ განხორციელდა ტერორისტული აქტი, რომელიც ორივე შემთხვევაში უშედეგოდ დასრულდა.

შ. მაღლაკელიძე იგონებდა: „ვარ ასე პაკისტანში, კოხათში, 1953 წელია. ჩვენი სახლის ირგვლივ უამრავი მაწანწალა დაძრწის, სიცხის გამო ნახევრად შიშვლები. ერთ ღამეს, როდესაც ჩემს ოთახში ვმუშაობ, არადა, გარედან ვჩანვარ, შემოაგდეს ქვა, რომელიც მკერდზე მომხვდა. იმწამსვე გარეთ გამოვვარდი, ვხედავ, მირბიან ეს მაწანწალები. მე ვიფიქრე, რომ ამ უბედურ ხალხში ბევრი გიჟია და ალბათ, სიგიჟით მესროლეს მეთქი ქვა. მაგრამ, მეორე საღამოს იგივე განმეორდა – ქვა მაგიდას მოხვდა. კიდევ გამოვიჭერი გარეთ და ისევ გაიქცნენ, ერთ-ერთი მათგანი ქვის ღობეს გადაახტა.

ამის გამო, მივმართე აიუბ-ხანს. აიუბ-ხანმა მითხრა, რომ ვერ არის საქმე კარგადო. ქვის ასეთი სროლა (წაწვეტებული ქვისო) ჩვენში ტერორს ნიშნავსო. ადრე საძულველ ინგლისელ მოხელეებს ასე კლავდნენო. ესე იგი, შენ აღმოგაჩინეს და ტერორს გინიშნავენო. ჩემი რჩევაა, სასწრაფოდ დატოვო პაკისტანი და დასავლეთ გერმანიაში დაბრუნდეო. გამოვედი აიუბ-ხანიდან ცუდ გუნებაზე. საკმაოდ ბუნდოვანი ისტორია იყო. ჩემს ეჭვს ზოგიერთი გარემოება აძლიერებდა. კერძოდ ის, რომ პაკისტანში უკვე საბჭოთა საელჩო იყო. სხვათა შორის, საბჭოთა ელჩს მაშინ ყველა დასცინოდა – რევოლვერიანი დადიოდა...

ასეა თუ ისე, გადავწყვიტე სასწრაფოდ დამეტოვებინა პაკისტანი, მაგრამ ოჯახს ვტოვებ იქ – 1950 წელს ჩვენ იქ ქალიშვილი შეგვეძინა. ოჯახს

[12] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 213.

ვტოვებ იმიტომ, რომ ესენი პაკისტანში კეთილმოწყობილნი არიან. მე კი ისევ გაურკვევლობაში მივდივარ. ვუთხარი მეუღლეს, მე იქ მოვმაგრდები და შენ მერე ბავშვიანად შვებულებით მეწვიე მეთქი".[13]

ამის შემდეგ, შ. მაღლაკელიძემ დატოვა პაკისტანი და გაემგზავრა დასავლეთ გერმანიაში, სადაც აიუბ-ხანის შუამდგომლობის საფუძველზე კანცლერმა კონრად ადენაუერმა თავის სამხედრო მრჩევლად დანიშნა.

1966-1973 წლებში პარიზში აკრედიტებულ ინდოეთის საელჩოში მძღოლად მუშაობდა ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, პუბლიცისტი მიხეილ ქავთარაძე (1906-2008), რომელიც იგონებდა: „ინდოეთის საელჩოში 7 წლის მუშაობამ ბევრი რამის ნახვის საშუალება მომცა, სახელდობრ, ინდოელთა გაცნობისა. ცხადია იმიტომ, რომ ინდოეთი, როგორც ყველამ იცის, განსაკუთრებულად საინტერესო ნაწილს შეადგენს კაცობრიობისას... ინდოელები, შეუძლებელია როგორც ერთი ერი, ისე აღიწეროს. აქ ყოველგვარი ხასიათია წარმოდგენილი. ზოგჯერ შეხვდები უპატიოსნეს ადამიანს, ზოგჯერ გაიძვერას, ხშირად ფულის მოყვარულს, უფრო ხშირად – ძუნწს. თუმცა ეს თვისებები ყველა ერში არსებობს, ინდოელთა შორის, ამა თუ იმ პიროვნებაში ესა თუ ის, დადებითი თუ უარყოფითი თვისება დიდი ძალით არის წარმოდგენილი. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ კეთილ ინდოელს შეხვდები, ძნელია მასში ავის აღმოჩენა. ასევეა ყველა სხვა თვისების მიმართ... მიუხედავად 7 წლით მათთან ერთად ცხოვრებისა, ჩემთვის ისინი კიდევ სრულიად გაუგებარნი და უცნობნი დარჩნენ".[14]

ინდოეთის საელჩოში მუშაობის პერიოდში მ. ქავთარაძეს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა არაერთ გავლენიან ინდოელ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწესთან და დიპლომატთან, რომელთა შესახებაც თავის მემუარებში საყურადღებო ცნობები შემოგვინახა. აქვე უნდა ითქვას, რომ იმხანად საელჩოში მსახურობდნენ სხვა ქართველი ემიგრანტებიც: ძმები თორნიკე და ჯუანშერ მიტროფანეს ძე ლაღიძეები, თემო თაქთაქიშვილი (გიორგი გვაზავას სიძე), ვიქტორ შუბლაძე, ძმები მამულაშვილები, კოხრეიძე, ასათიანი და წულაძე. ისინი ცალკეულ განყოფილებებში კურიერის მოვალეობას ასრულებდნენ.[15]

მ. ქავთარაძის მოგონებებში ვკითხულობთ: „სამი წლის განმავლობაში

---

[13] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი, გვ. 214.
[14] მ. ქავთარაძე. ცხოვრების 100 წელი (ინტერვიუები, წერილები, თარგმანები, ლექსები). შემდგენელი ნ. ქავთარაძე. თბ. 2007, გვ. 182-183.
[15] მ. ქავთარაძე. ცხოვრების 100 წელი, გვ. 185.

პირველი მდივნის თანამდებობას ასრულებდა მუსლიმანი ინდოელი, გვარად ჰაშმი. ამ კაცმა, როდესაც ვკითხე, სადაური ხარ... — ჰაშიმიდების დინასტიასთან ვარ დაკავშირებულიო. და ამ ჰაშიმიდების დინასტიასთან დაკავშირების პრეტენდენტი საკვირველ სიმპათიას იჩენდა კომუნისტებისა და რუსებისადმი.

გაკვირვებულმა ვკითხე, — თქვენი თანამდებობის კაცი როგორ ამულავნებთ ამგვარ მიდრეკილებებს-მეთქი. საკვირველი რამ მიპასუხა. მიშელ, — მითხრა მან, — 18 წლამდე მე გულისჯიბეში სტალინის სურათს ვატარებდიო.

ეს მაშინ გამეხარდა და თან გამიკვირდა კიდეც. ეს ფაქტი დღესაც მოწმობს იმ უზარმაზარ პოპულარობას და მაშასადამე, ძლიერებას, რასაც ამ კაცმა კაცობრიობის თვალში მიაღწია".[16]

საფრანგეთში მოღვაწე ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პირველი მრჩეველის შესახებ მ. ქავთარაძე მოგვითხრობს: „იგი ბენგალელი იყო, გვარად ბარი. ჩემთან საკმაოდ გულახდილად ლაპარაკობდა თავის თანამემამულეებზე. ხუმრობით სხვადასხვა ნაკლში ამხელდა, თუმცა უნაკლო თვითონაც არ იყო. ერთ დღეს, სადღაც მიმყავდა ახლად ჩამოსულ ვიღაც ინდოელთან ერთად. ამ ახალმა შემატყო, რომ ფრანგი არ ვიყავი და მკითხა, — სადაური ხარო. ვუთხარი, ქართველი რომ ვიყავი. მან თქვა, — ვიცი, მხოლოდ ამ ქვეყანას არ ვიცნობო.

მაშინ ეს მრჩეველი ჩაერია ლაპარაკში და უთხრა, იცით თქვენ, რა ხალხია ესენიო? როდესაც ოდესაში კონსულად ვმსახურობდი, საქართველოში ჩავედიო. ვიყავი თბილისში, მომწყურდა და ერთ კაფეში მსხდომ ორ კაცს ვთხოვე, თუ შეიძლება თქვენს მაგიდასთან დაჯდომა-მეთქი. დიდი სიამოვნებითო, მიპასუხეს. იქ ყოფნისას ტუალეტში წავედი. დაბრუნების შემდეგ, მიმტანს დავუძახე — განაგრძო თხრობა ინდოელმა. აქ უკვე მე ჩავერიე და ვუთხარი, ყველაფერი გადახდილი იყო-მეთქი, არა?

— სწორედ ასე იყო! აი, რა ხალხიაო! — უთხრა მეორე ინდოელს.

ეს ამბავი ჩვენთვის არც ისე გასაკვირია, მაგრამ ეს ინდოელი თვითონ ძალზე ძუნწი კაცი იყო".[17]

ინდოეთის სამხედრო ატაშეს, გენერალ ნანარ დელპან სინგჰის შესახებ მემუარებში ვკითხულობთ: „იგი, როგორც მისი გვარი მიუთითებს, სიკჰების კასტას ეკუთვნოდა. ჩალმას ატარებდა და გაშვებული წვერი ძლივს შესამჩნევი ბადით ჰქონდა აკრული... სამხედრო კაცის იერი არ ჰქონდა. იგი ყოველთვის კარგ ხასიათზე იყო, ყველასთან თავისუფლად მოსაუბრე და გარეგ-

[16] მ. ქავთარაძე. ცხოვრების 100 წელი, გვ. 183.
[17] მ. ქავთარაძე. ცხოვრების 100 წელი, გვ. 183-184.

ნულად გულუბრყვილო კაცის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებდა... მისი მეუღლე სრულიად სხვა პროვინციიდან იყო, სახელდობრ, კარადადან და მწერლობდა კიდეც ამ ტომის ენაზე... ყოველთვის, როდესაც მასთან გამოვცხადდებოდი, მეტყოდა ხოლმე, მიშელ, დალიე ვისკი, რამდენიც გინდაო. ამ მიპატიჟებით არასოდეს მისარგებლია...

ინდოეთის საელჩოდან უკვე კარგა ხნის წასული ვიყავი, როდესაც ინდირა განდის მკვლელობის გამო ტელევიზორში ვნახე, თუ როგორ კომენტარებს იძლეოდა ჩემი მეგობარი გენერალი, ახლა ინდოეთში მყოფი, ამ მკვლელობის გარშემო. ეს საუბარი მით უმეტეს საინტერესო იმით იყო, რომ, როგორც ცნობილია, ინდირა განდი სწორედ ამ გენერლის თანაკასტელმა სიკჰმა მოკლა".[18]

1971 წელს, ინდოეთის თანადგომით, პაკისტანს გამოეყო მისი აღმოსავლეთი ნაწილი და ბანგლადეშის სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ინდოელებმა მორალური თანადგომის თხოვნით მიმართეს მარშალ შარლ დე გოლის მთავრობის ყოფილ მინისტრს, ანდრე მალროს, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ინდოეთის საელჩოს კულტურის განყოფილების უფროსის დავალებით, მ. ქავთარაძე ეწვია ა. მალროს, რომელსაც მისთვის ბანგლადეშის მხარდასაჭერი წერილი უნდა გამოეტანებინა.

ამ შეხვედრას მ. ქავთარაძე ასე იგონებდა: „მან შემომხედა თუ არა, მითხრა, თქვენ ინდოელი არ უნდა იყოთო.

— არა ბატონო, მე ისეთი ქვეყნიდანა ვარ, რომელიც ბანგლადეშზე მეტად საჭიროებს თქვენი სიდიდის კაცის დახმარებას-მეთქი.

— რომელი ქვეყნიდან ხართო, — მკითხა.

— მე ქართველი ემიგრანტი ვარ-მეთქი, — ვუთხარი.

ვხედავდი, რომ მალროსთვის ეს მოულოდნელი იყო. მოულოდნელი და იქნებ უხერხულიც, რადგან მას ხომ კომუნისტების დამცველის წარსული ჰქონდა...

მალრომ მითხრა: ჰო, საქართველოს საკითხს ვიცნობ, მაგრამ ახლა ჩემი მდგომარეობა ნებას არ მაძლევს ასეთ საკითხებზე თუნდაც ფიქრისასო.

წერილი თავდახრილმა ჩამოვართვი. ასე პირისპირ შეხვედრა მეღირსა მაშინდელი საფრანგეთის კულტურულ მწვერვალთა უეჭველ წარმომადგენელთან".[19]

[18] მ. ქავთარაძე. ცხოვრების 100 წელი, გვ. 189.
[19] მ. ქავთარაძე. ცხოვრების 100 წელი, გვ. 191.

2. ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფო მოღვაწეებთან სსრკ-ის ქართველ დიპლომატთა და კულტურის მუშაკთა ურთიერთობის ისტორიიდან

ინდოეთსა და პაკისტანში საგასტროლოდ არაერთხელ იმყოფებოდნენ ქართული ეროვნული ცეკვისა და სიმღერის ცალკეული ანსამბლები, რომლებმაც ადგილობრივი საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურეს.

1962 წელს ამ ქვეყნებში ჩავიდა ქართული ნაციონალური ბალეტი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით. იმხანად პაკისტანის პრეზიდენტი იყო ზემოხსენებული აიუბ-ხანი, ხოლო ინდოეთის პრემიერ-მინისტრი – ჯავაჰარლალ ნერუ (1889-1964), მანამდე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.[20]

გამოჩენილი ქორეოგრაფი, ეროვნული ბალეტის დამაარსებელი ილიკო სუხიშვილი იგონებდა: „1962 წლის 10 იანვარს, მოსკოვში, კულტურის სამინისტროში გამომიძახეს და მითხრეს, რომ ინდოეთში უნდა გავმგზავრებულიყავით ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ჯავაჰარლალ ნერუს პირადი მოწვევით. თურმე, თბილისში ყოფნის დროს, ნერუს ჩვენი კონცერტი უნახავს და ძალიან მოსწონებია. ინდოეთში კონცერტები უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ უნდა გაგვემართა. ამ წამოწყებას პრემიერ-მინისტრის ქალიშვილი ინდირა განდი ხელმძღვანელობდა.

9 თებერვალს თბილისიდან სპეცთვითმფრინავით ინდოეთში გავფრინდით. დელის აეროდრომზე მასპინძლებმა დიდი შეხვედრა მოგვიწყვეს. უამრავი ხალხი გვესწრებოდა. ნინოსთან ქ-ნი ინდირა განდი მივიდა და ყელზე ყვავილების გვირგვინი ჩამოჰკიდა. იქვე, აეროდრომზე, ინდური ტრადიციული მუსიკისა და ცეკვის კონცერტი გავიმართეს. კონცერტი სულ 40 წუთს გაგრძელდა. ამის შემდეგ გავემგზავრეთ ქალაქში და საუკეთესო სასტუმრო „ამბასადორში“ დავბინავდით...

11 თებერვალს დაიწყო ჩვენი კონცერტები დედაქალაქის სტადიონზე, სადაც 50 ათასი კაცი ეტეოდა. ბილეთები არ ღირდა ძვირი. აფიშებში გამოცხადებული იყო, რომ ამ კონცერტებს უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ მართავს პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, რომელიც სხვათა შორის, ინდოელ ხალხს ლამის მეშვიდე ღმერთად ჰყავდა აღიარებული ბრაჰმას, ვიშნუს, შივას, კალის, ინდრასა და რამას მერე.

[20] ნერუ, ჯავაჰარლალ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 7. თბ. 1984, გვ. 395.

კონცერტს აუარებელი ხალხი დაესწრო. კონცერტზე შემოვიდნენ ბატონი ნერუ, ინდირა განდი, კულტურის მინისტრი, მთავრობის წევრები და საბჭოთა კავშირის ელჩი ბენედიქტოვი. ნერუს თან პირადი ექიმი მოჰყვა. ჩვენ შემოსასვლელთან შევეგებეთ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს. სტადიონზე, პირველ რიგში, სპეციალურად მისთვის მოწყობილი იყო რბილი სავარძელი. სანამ კონცერტს დავიწყებდით, მისი ექიმი ჩვენთან მოვიდა და გვითხრა: ბატონი ნერუ შეუძლოდ არის და ნუ გეწყინებათ, პირველი განყოფილების შემდეგ ის უნდა წავიდესო.

მე ექიმს მოვმართე: გთხოვთ, დიდი მადლობა გადასცეთ მობრძანებისათვის. ის, რომ ერთ განყოფილებას ნახავს, ჩვენთვის ესეც ძალიან სასიხარულო იქნება-მეთქი. მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როცა ნერუმ მეორე განყოფილებასაც ბოლომდე უყურა. კონცერტის დამთავრებისთანავე, მთავრობის ყველა წევრთან ერთად, ჩვენთან, სცენაზე ამოვიდა, მოგვილოცა, მადლობა გადაგვიხადა ინდოეთის უპატრონო ბავშვების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისა და უანგარო დახმარებისათვის. სამახსოვროდ მე მას წელზე ვერცხლის ხანჯალი შემოვაკარი.

ნერუმ დიდი მადლობა გადამიხადა საჩუქრისათვის და დასძინა:

— „მე პირველი განყოფილების შემდეგ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ თქვენ მიერ წარმოდგენილი სანახაობა იმდენად მომიხდა, რომ თითქმის განვიკურნე. თურმე ქართული ხელოვნება ყოფილა ჩემი წამალიო“.

მეორე დღეს პრესა აჭრელებული იყო ჩვენთან ერთად კონცერტზე გადაღებული ნერუს ფოტოსურათებით. როცა ინდოელმა ხალხმა ნახა, რომ მათი „მეშვიდე ღმერთი“ ჩვენს კონცერტს ესწრებოდა, ბილეთების სალაროსთან მეორედ მოსვლა დაიწყო. ყველა ქალაქში, სადაც კი უნდა გამოვსულიყავით, მთელი ბილეთები დაიტაცეს“.[21]

დელიში კონცერტების დასრულებისთანავე, ჯ. ნერუმ ანსამბლის ხელმძღვანელი თავისთან მიიპატიჟა. მათ შორის საყურადღებო საუბარი გაიმართა.

ი. სუხიშვილის მემუარებში ვკითხულობთ: „ნერუმ თავის რეზიდენციაში ჩაიზე დამპატიჟა. ბოდიში მოიხადა: ქალბატონ ნინოს ვერ ვპატიჟობ იმიტომ, რომ მე ცოლი არ მყავს და როდესაც ოჯახში დიასახლისი არ არის, უცხო ქალის სახლში მოწვევა ჩვენში მიღებული არ არისო. დიდხანს ვისაუბრეთ. მას თავისი თარჯიმანი ჰყავდა. ის უფრო საქართველოზე მელაპარაკებო-

[21] ი. სუხიშვილი. მოგონებები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ქ. ჯანდიერმა. თბ. 2008, გვ. 80-81.

და, სადაც ორი დღით ყოფილა ჩამოსული, მაგრამ ჩვენს ქვეყანას და ხალხს მასზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია; დიდი სიყვარულით იგონებდა საქართველოში გატარებულ დღეებს და ჩვენს სტუმარ-მასპინძლობას.

მან თქვა: ჩვენ შეიძლება ისეთი მასპინძლები არა ვართ, როგორც ქართველები, მაგრამ მთელი გულით და დიდი სიყვარულით გელოდებოდით ჩვენს ქვეყანაში. თქვენ ჩვენთვის ძალიან დიდ საქმეს აკეთებთ. ჩვენ უამრავი უპატრონო ბავშვი გვყავს და როცა ამ ბავშვების დახმარების საკითხი დადგა, მე იმწამსვე გამახსენდა თბილისში ნანახი ქართული ცეკვის ანსამბლი, გულღია ქართველები და მივხვდი, რომ ამ საქმეში დახმარებისათვის სწორედ თქვენთვის უნდა მომემართაო. მერე ის ინდოეთზე მიყვებოდა, მაჰათმა განდის თავგანწირვასა და თავისი ხალხის გასაჭირზე.

მე ვუყურებდი ამ ბრძენ, დინჯად მოსაუბრე, ოდნავ დაღლილ კაცს და ვხვდებოდი, ასე გულწრფელად რატომ უყვარდათ ინდოელებს, რომ ამ ქვეყანაში ყველაზე უკანასკნელ მათხოვარსაც კი მისი დიდი გულისა და გონების იმედი ჰქონდა.

საღამომ შეუმჩნეველად ჩაიარა. პრემიერ-მინისტრს მადლობის გრძნობით დავემშვიდობე და გარეთ გამოსულმა ვიგრძენი, რომ გაუთავებელი საკონცერტო ციებ-ცხელების, კომერციისა და დაუსრულებელი აურზაურის სამყაროდან ცოტა ხნით წრფელი განცდების, ფიქრისა და განსჯის მშვიდ კუნძულზე აღმოვჩნდი“.[22]

ვფიქრობთ, საყურადღებოა ქართველი ქორეოგრაფის თვალით დანახული ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი: „ბომბეის ადგილობრივმა მთავრობამ ქალაქის რატუშაში დიდი მიღება გაგვიმართა. ამ დარბაზობამ ღამის ორ საათამდე გასტანა. ვინაიდან ჩვენი სასტუმრო იქიდან საკმაოდ ახლოს იყო, გადავწყვიტეთ, ფეხით წამოვსულიყავით. უსახლკარო ინდოელებს ქუჩაში, პირდაპირ ტროტუარებზე ჰქონდათ გაშლილი ჩალის საფენები და ისე ეძინათ. იმდენნი იყვნენ, რომ ზედ გადაბიჯება გვიხდებოდა. ამ უზარმაზარ ქვეყანას უზარმაზარი პრობლემები აქვს. ღამის ბომბეიში ნანახმა სურათმა ნერუს დაღლილი ხელები და სევდიანი მზერა გამახსენა“.[23]

ინდოეთში საგასტროლო ტურნეს დასრულებისთანავე ქართული ანსამბლი პაკისტანს ესტუმრა და კონცერტები გამართა.

ილიკო სუხიშვილი იგონებდა: „პაკისტანიდან კალკუტაში იქაური

[22] ი. სუხიშვილი. მოგონებები, გვ. 83.
[23] ი. სუხიშვილი. მოგონებები, გვ. 83.

მთავრობის წარმომადგენელი ჩამოვიდა და მასთან ერთად ქალაქ ყარაჩიში გავფრინდით.

სასტუმრო „ორიენტში" რომ მიგვიყვანეს, გავოცდით – ქუჩიდან დაწყებული, სასტუმროს შესასვლელამდე სულ ძვირფასი ხალიჩები იყო გაფენილი, დიდებულ რესტორანში კი უკვე სუფრა იყო გაშლილი. „ორიენტში" ჩვენ ადგილობრივი კულტურის მინისტრი, განათლების მინისტრი და პაკისტანში ჩვენი ელჩი გველოდებოდნენ.

როგორც ელჩის ლაპარაკიდან გავიგეთ, ჩვენი პაკისტანში მოწვევა პირადად პრეზიდენტ აიუბ-ხანის ინიციატივა იყო. მას გაგებული ჰქონია ინდოეთში ჩვენი ყოფნისა და იმ დიდი პატივისცემის შესახებ, რომელიც ჩვენ მიმართ ინდოეთის მთავრობამ გამოიჩინა... ამ ორ ქვეყანას შორის რთული ურთიერთობები და ქიშპობა იყო.

ამიტომ, აიუბ-ხანმა გასცა განკარგულება, რომ პაკისტანში გაცილებით უკეთესად მივეღეთ, ვიდრე ინდოეთში და, მართლაც, ჩიტის რძე არ გვაკლდა, დღედაღამ ყურადღებით ვიყავით გარემოცული. ჩვენთან მუდმივად იმყოფებოდა კულტურის მინისტრი. ის კონცერტებზე გვაცილებდა და უკანვე მოვყავდით.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენები იმართებოდა ჩვენთანვე, სასტუმროს დიდ ეზოში, სპეციალურად აშენებულ ესტრადაზე, რომელიც 2.500 კაცს იტევდა.

პირველ კონცერტს თავად აიუბ-ხანი, მთელი მთავრობა და პარლამენტის წევრები ესწრებოდნენ. კონცერტი რომ დამთავრდა, აიუბ-ხანი სცენაზე გამოვიდა. სრულიად ახალგაზრდა, მშვენიერი გარეგნობის კაცი იყო. მან დიდი მადლობა გადაგვიხადა პაკისტანელი ხალხისა და მთავრობის სახელით".[24]

ყარაჩიში კონცერტების დასრულების შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტმა ანსამბლის ხელმძღვანელობასა და წევრებს დიდი დარბაზობა მოუწყო.

მრავლისმნახველი ქართველი ქორეოგრაფი აიუბ-ხანის მასპინძლობით მოხიბლული იგონებდა: „გაგვაოცა სუფრის სიუხვემ და აღმოსავლური ტკბილეულის მრავალფეროვნებამ. თავი ათასერთი ღამის ზღაპარში გვეგონა".[25]

ასევე დიდი პატივისცემით შეხვდნენ ქართველ ხელოვანებს ქალაქ დაკაში, რომელიც აღმოსავლეთ პაკისტანში მდებარეობს.

ი. სუხიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „დაკას გენერალ-გუბერნა-

[24] ი. სუხიშვილი. მოგონებები, გვ. 80-84.
[25] ი. სუხიშვილი. მოგონებები, გვ. 84.

ტორი აზატ-ხანი – პრეზიდენტ აიუბ-ხანის უახლოესი მეგობარი იყო. იქაც ძალიან დიდი მიღება გაგვიმართეს, საუკეთესო სასტუმროში მოგვაწყვეს.

აზატ-ხანი პირველ დღესვე სასტუმროში გვეწვია. საუბარში, რომელსაც რუსულად ენუქიძე თარგმნიდა, მოულოდნელად თქვა, რომ დედა – ქართველი, ჩოლოყაშვილის ქალი მყავსო. გამოირკვა, რომ მათ წინათ ირანში უცხოვრიათ და იქიდან გადმოსახლებულან პაკისტანში. ჩვენ ძალიან დაგვაინტერესა ჩოლოყაშვილის ქალის ისტორიამ, მისი გაცნობის დიდი სურვილიც გვქონდა, მაგრამ აზატ-ხანმა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ ისურვა და არც დედამისთან შეხვედრა შემოუთავაზებია. ქართველთა ბედუკულმართობის კიდევ ერთი მსხვერპლი – გავიფიქრე მე.

დაკაში 5 კონცერტი გავმართეთ. იქ აღმოსავლური ხელგაშლილობით დაგვასაჩუქრეს და სამშობლოში გამოგვისტუმრეს".[26]

XX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს ინდოეთში დიპლომატიურ სამსახურს ეწეოდა სსრ კავშირის (1992 წლიდან – საქართველოს) სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი ალექსანდრე ჩიკვაიძე (დაბ. 1933 წ.). 1967-1969 წლებში იგი სსრკ-ის ვიცე-კონსულად მსახურობდა ქ. ბომბეიში, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.

ცნობილი ქართველი დიპლომატი იგონებდა: „ინდოეთში მუშაობით ჩემთვის დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, მოვლენებითა და ურთიერთობებით დამუხტული ხანა. საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსულის თანამდებობა, საკონსულო საქმიანობის გარდა, ორ ქვეყანას შორის კულტურული კავშირების გაღრმავებას გულისხმობდა. იმხანად ბომბეიში ამ ხაზით რამდენიმე ორგანიზაცია მოქმედებდა. მათთან აქტიური სამსახურებრივი კონტაქტი მქონდა. შევხვდი ბევრ საინტერესო ადამიანს და არა მხოლოდ ბომბეიში, რადგან საკონსულო ზონა ერთდროულად რამდენიმე დიდ შტატს ფარავდა".[27]

ალექსანდრე ჩიკვაიძე მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა გამოჩენილ ინდოელ მსახიობთან, კინორეჟისორთან და პროდიუსერთან რაჯ კაპურთან (1924-1994). აქვე დავსძენთ, რომ რ. კაპურმა 1947 წელს ბომბეიში დაარსა ფირმა "RAJ KAPUR FILMS", რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობდა.

ა. ჩიკვაიძის მემუარებში ვკითხულობთ: „ჩემი ბომბეიში ყოფნის დროს არ მახსოვს არც ერთი დელეგაციის ვიზიტი, რომ რაჯ კაპურთან შეხვედრა

[26] ი. სუხიშვილი. მოგონებები, გვ. 84.

[27] ა. ჩიკვაიძე. პოლიტიკური ჭადრაკი სამი სხეადასხეა ქეეყნის ელჩის თეალით. თბ. 2004, გვ. 35.

და მასთან ფოტოსურათის გადაღება არ ეთხოვათ. იმ დროს მისი ცნობილი ფილმიდან „მოხეტიალის სიმღერას“ ყველა მღეროდა და აღფრთოვანებით საუბრობდნენ მასზე, როგორც მსოფლიოს საუკეთესო კინომსახიობზე.

ერთხელ მან თავის სტუდიაში მიმიწვია რუსეთთან ერთობლივი ფილმის გადაღების დროს და მითხრა:

— „რუსეთის დათვს ვერავინ, ვერც ერთი კაპიტალისტი, ჩემს გარდა, ვერ მართავს. ფილმის გადასაღებად მოსკოვიდან დათვი გამოვაგზავნინე და ინდოეთის ტროპიკულ სიცხეში რომ ამოყო თავი, რაც კი ბალანი ჰქონდა, გასცვივდა და ფილმის გადაღება სამი თვით უნდა გადავდო, სანამ ცოტა არ აგრილდება და დათვს ბალანი კვლავ არ ამოუვა, მაგრამ ერთი ფრაგმენტი ამ ფილმიდან უნდა გაჩვენო“.

საქმე ის გახლავთ, რომ ფილმის ამ ნაწილს ის იღებდა ბენზინის გასამართ სადგურზე და მისი ბრძანებით გალიიდან დათვი გამოუშვეს, რომელიც წარმოუდგენელი სისწრაფით გაექანა იქვე, ბოძზე ჩამოკიდებული ტელეფონისაკენ, ყურთან მიიდო ყურმილი და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ აღელვებული ვიღაცას ელაპარაკებოდა.

ჩემს შეკითხვაზე — რაჯი, როგორ მოახერხე ამ სცენის გადაღება, მიპასუხა:

— „ამისათვის მოსკოვიდან 10 ყუთი შესქელებული რძე ჩამოვატანინე და ყოველდღე ყურმილზე ნახევარ ქილას ვუსვამდი, რომ დათვს კარგად შეესრულებინა ეს როლიო“.

არ დავაყოვნე და ვუთხარი:

— „ჩემო რაჯი, ბავშვობიდან ისე მიყვარს შესქელებული რძე, რომ მაგ დათვზე უკეთესად მე შევასრულებდი მაგ როლს-მეთქი“.

უნდა გენახათ, რამდენი იცინა. თურმე, მასაც ძალიან ჰყვარებია შესქელებული რძე და გამომიტყდა, რომ მორჩენილ ნახევარ ქილას ყოველდღე თვითონ მიირთმევდა და ამიტომ იყო, რომ ორ თვეში ხუთ კილოგრამზე მეტი მოიმატა“.[28]

1969 წელს ბომბეიში ჩავიდა სსრ კავშირის მთავრობასთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირების ორგანიზაციის დელეგაცია თავმჯდომარის, ნინა პოპოვას — ხელმძღვანელობით. დელეგაცია გაეცნო ინდოეთში აკრედიტებული სსრ კავშირის დიპლომატიურ წარმომადგენ-

[28] ა. ნიკვაიძე. პოლიტიკური ჭადრაკი სამი სხეადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით, გვ. 35-36.

ლობებში არსებულ ვითარებას კულტურული კავშირების გაღრმავების თვალსაზრისით და ამ სფეროში მიღწეული შედეგებით კმაყოფილი დარჩა. მალე ამას მოჰყვა ვიცე-კონსულ ალექსანდრე ჩიკვაიძის დაწინაურება. იმავე წელს ის გადაიყვანეს ლონდონში, სსრ კავშირის საელჩოს პირველი მდივნის თანამდებობაზე.[29]

ამრიგად, გასული საუკუნის 50-70-იან წლებში ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფო მოღვაწეებთან გარკვეული ურთიერთობანი აკავშირებდათ ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს: გენერალ შალვა მაღლაკელიძესა (1894-1976) და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, პუბლიცისტ მიხეილ ქავთარაძეს (1906-2008), ასევე სსრ კავშირის ქართველ დიპლომატ ალექსანდრე ჩიკვაიძესა (დაბ. 1933 წ.) და ცნობილ ქორეოგრაფებს, ქართული ეროვნული ბალეტის დამაარსებლებსა და ხელმძღვანელებს ილიკო სუხიშვილსა (1907-1985) და ნინო რამიშვილს (1910-2000).

[29] ა. ჩიკვაიძე. პოლიტიკური ჭადრაკი სამი სხეადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით, გვ. 38.

Niko Javakhishvili

ON THE HISTORY OF GEORGIANS' RELATIONSHIP WITH STATESMEN OF INDIA AND PAKISTAN (IN THE 1950s-1970s)

Summary

This paper covers the relationship between the statesmen of India and Pakistan and the prominent representatives of the Georgian emigre circles like General *Shalva Maghlakelidze* (1894-1976) and *Mikheil Kavtaradze* (1906-2008), member of the Georgian National-Democratic party and pamphleteer, as well as *Alexandre Chikvaidze* (born 1933), the ethnic Georgian USSR diplomat, and *Iliko Sukhishvili* (1907-1985) and *Nino Ramishvili* (1910-2000), the famed choreographers, founders and leaders of the Georgian National Ballet.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

ჯონი კვიციანი

გზა სამოქალაქო საზოგადოებისაკენ საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი პოსტ-საბჭოურ ქვეყნებში სულ უფრო აქტუალურს ხდის ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ სამოქალაქო ინტეგრაციას. ეს კი საქართველოში აუცილებელ პირობას წარმოადგენს ეროვნული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში.[1] სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანაში ეთნიკურ ქართველებსა და აქ მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ბევრად მხოლოდ კონსტიტუციურად დეკლარირებული საერთო მოქალაქეობა თუ აერთიანებთ, სხვა შემთხვევაში, სახეზეა ტერიტორიული, ენობრივ-საკომუნიკაციო-კულტურული პლურალიზმით გამოწვეული პრობლემები, რაც მოსახლეობის დეზინტეგრაციას იწვევს და ამით საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მოდენიზაციულ პროცესებს.

საქართველოში ახალი ზეეთნიკური „თანამოქალაქეთა ერის" ჩამოყალიბებისას, რომელიც ქვეყანაში განათლებისა და კულტურის სტანდარტიზაციას უნდა ითვალისწინებდეს, კარგი იქნება, თუ საფუძვლად მულტიკულტურალიზმის ახალი მოდელი „კულტურული თავისუფლება" დაედებოდა, რის შესახებაც წერს ცნობილი ინდოელი მოაზროვნე, ნობელის პრემიის ლაურეატი ამარტია სენი. მისი არსი „ინდივიდუალური თავისუფლებისა და კულტურული არჩევანის" ქონაში მდგომარეობს. ამისათვის მთავარია ჯგუფური იდენტიფიკატორული ფორმების თანდათანობით დასუსტება და ინდივიდუალურ არჩევანზე გადასვლა. რუსი მეცნიერი ემილ პაინი გამოყოფს ამარტია სენის დებულებას, რომლის მიხედვით, „კულტურული თავისუფლება – ეს ინდივიდისათვის უფლების მიცემაა იცხოვროს და იარსებოს თავისი არჩევანის შესაბამისად, იქონიოს რეალური შესაძლებლობა შეაფასოს სხვა ვარიანტები". ინდოელი მოაზროვნის აზრით, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ჯგუფური

[1] ‘ს. დავითა’შვილი. ნაციონალი’ზმი და გლობალი’ზაცია. თბ. 2003, გვ. 34-37.

თუ თემური ტრადიციები დიდწილად არანებაყოფლობითია, ისინი „ასკრიპტიულებია", ანუ ინდივიდისათვის მიწერილია დაბადებიდანვე. კულტურული თავისუფლების წახალისების პოლიტიკის მიზანია,[2] დაასუსტოს ამგვარი წინასწარი განსაზღვრა, განავითაროს ინდივიდუალური მულტიკულტურალიზმი.

საქართველოში მიმდინარე სოციალური ტრანსფორმაციის პროცესში აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების დიფერენცირებული ხედვა, რომელიც არ უნდა იყოს გაიგივებული სოციალურ ცხოვრებასთან ზოგადად. დასავლური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობა წარმოდგენილია სამნაწილიანი მოდელით: სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო და ეკონომიკა.

ერთი მხრივ, მათი გამიჯვნის აუცილებლობა და, მეორე მხრივ, მათი ურთიერთმიმართების ორგანიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია საშუალებას იძლევა, ადამიანმა გააცნობიეროს ამ პროცესში ჩართულობის აუცილებლობა და განსაზღვროს თავისი აქტივობა. თუ ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს სახელმწიფო და საზოგადოება გაიგივებული აქვს და ამით კრიტიკული პოტენციალი დაცემულია, დასავლეთში ისინი ბინარულ ოპოზიციაში არიან. ამასთან ერთად იქ გაცნობიერებულია, რომ, სამოქალაქო საზოგადოების გარდა, არის პოლიტიკური (პარტიები და სხვა) და ეკონომიკური (ფირმები, საწარმოო ორგანიზაციები და სხვა) საზოგადოებები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი აქტორები არიან. ამავე დროს პოლიტიკური საზოგადოება გვევლინება შუამავლად სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის[3].

რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, ჩვენთან ძალისხმევა ცალმხრივად მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების ცალკეული ელემენტების, ასოციაციების, ინსტიტუტების შექმნისაკენ, მაგრამ ნაკლებად ზრუნავენ საბაზრო ეკონომიკის პროექტის შესაქმნელად. არ გვაინტერესებს, რა ფორმით იცვლება სახელმწიფო საკუთრება, სახელმწიფო კონტროლი და ა.შ. გვაქვს თუ არა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროექტი სახელმწიფოსთან მიმართებით და სხვა.

გასაცნობიერებელია, რომ საბაზრო ეკონომიკის შექმნის პროცესში

---

[2] Э. Паин. Мирное сосуществование XXI века. Журн. «Россия в глобальной политике». №2. М. 2011, გვ. 5.

[3] Jean L.Cohen and Andrew Arato. Civil society and political theory.The MTT Press. Cambridge Massachusetts, and London, გვ. 457.

დაშვებული გარკვეული შეცდომების „წყალობით“ გამოთავისუფლებული ძალები საფრთხეს უქმნის საქართველოში სოციალურ სოლიდარობას და სამართლიანობას. ამ შემთხვევაში რაიმე ეროვნულ კონსოლიდაციაზე საუბარი უკვე პრობლემური ხდება.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამჟამად გარკვეულწილად გაზიარებულია დასავლური გამოცდილება, ეროვნული კონსოლიდაციისაკენ გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები. ამჟამად მოსახლეობის უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, სოციალურ-კულტურული თანამშრომლობის მიზნით, შექმნილია საკანონმდებლო ბაზა და მიმდინარეობს მისი რეალიზება. იმისათვის, რომ მომავალში შემცირდეს საქართველოში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები, საჭიროა შემუშავდეს ქართულ გარემოში ახალი „ზეეთნიკური“ ერთობის მოდელი ან პროექტი, რომელიც დაფუძნებული იქნება როგორც ისტორიული თანაცხოვრების გამოცდილებაზე, ისე დღევანდელი გამოწვევების ობიექტურ გააზრებაზე.

ჩემ მიერ 2011 წელს გამოცემულ ნაშრომში „ეროვნული უმცირესობანი საქართველოში XX-XXI სს.“ ეთნიკური ოსების მაგალითზე გაანალიზებული მაქვს, თუ როგორ ფართოდ გამოიყენებოდა სსრ კავშირში მულტიკულტურალიზმის პრინციპი, როგორც იდენტურობის ჯგუფური ფორმა, მოკავშირე რესპუბლიკებში ავტონომიების დანერგვის სახით[4]. ყოველივე ამან საქართველო სოციალურ-კულტურულ დეზინტეგრაციამდე, სამხედრო კონფლიქტებამდეც კი მიიყვანა. მდგომარეობიდან გამოსვლა ბევრად იქნება დამოკიდებული ქართული სამოქალაქო ერის შექმნაზე, სადაც ადამიანები აბსოლუტურად თანაბარი სამოქალაქო, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებითა და მოვალეობებით იცხოვრებენ. ანუ ჩამოყალიბდება ისეთი ერი, სადაც ადამიანები, რომლებიც გაერთიანებულნი იქნებიან არა მარტო საერთო მოქალაქეობით, ტერიტორიით, საერთო სახელმწიფო ენით, არამედ საერთო ზეეთნიკური კულტურითაც. ამ უკანასკნელის შემუშავება უნდა გამომდინარეობდეს ძირითადად ქართული კულტურის თავისებურებებიდან, მისი წესებიდან და ტრადიციებიდან, რაც მთლიანობაში სემეელ ჰანთინგტონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამოქალაქო ეროვნულ იდენტობას“ წარმოადგენს[5]. ასეთი „ზეეთნი-

[4] ჯ. კვიციანი. ეროვნული უმცირესობანი საქართველოში XX-XXI საუკუნეებში. თბ. 2011, გვ. 19.

[5] Samuel P. Huntington.Who Are We? The Challenges To America`s National Identity. New York. 2004 , გვ. 62.

კური“ ერთობის მოდელს „ქართველიანი“ შეიძლება ეწოდოს, რომლის არსი, ქართული იდეის გათვალისწინებით, სწორედ რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი ეთნოსის საყოველთაო ინტეგრაციაა. გასათვალისწინებელია ასევე ეთნონიმ „ქართველის“ ისტორიულ-ეტიმოლოგიური და ფუნქციური მხარეც, კერძოდ, თუ როგორ იქცა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – ქართლის აღმნიშვნელი სახელწოდება საერთო-სახელმწიფოებრივ ტერმინად – საქართველოდ და ქართლური და ქართლელი კი გაფართოვდა ტერმინებად – ქართულ-ქართველური და ქართველი. თვით ეს ტერმინიც „ქართველიანი“ – გარკვეულწილად მიგვანიშნებს საქართველოს საზოგადოების სამომავლო სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის ხასიათზე, რომლის დროსაც მისი ყოველი წევრი (ეროვნული კუთვნილების მიუხედავად) მოტივირებული იქნება, ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიზაციის შემდგომ განვითარებას.

Joni Kvitsiani

THE WAY TO A CIVIL SOCIETY IN GEORGIA

Summary

Civil integration based on liberal-democratic values becomes more and more important in post-Soviet Georgia. The author notes that within this reality educational and cultural standartization should be based on a new multicultural model called "cultural freedom". This means that individual freedom and cultural choice are to exist in this context.

The work notes that Georgian civil nation should be formed not only in means of common citizenship, territory, common state language, but also – super-ethnical culture, which should be developed from peculiarities of Georgian culture and its traditions. According to the author, this kind of "super-ethnical" national identity may be called "Kartveliani" in Georgia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

კონსტანტინე ჭიჭინაძე

საკმაოდ ძველი ისტორიის არცთუ ისე ძველი გაგრძელება თუ უბრალო დამთხვევა?

(ჰიპოთეტური მოსაზრება ჩეჩნეთ-რუსეთის ურთიერთობების ერთ დეტალზე)

ჩეჩნურ-რუსულ ურთიერთობაზე უამრავი სამეცნიერო სტატია და წიგნია დაწერილი. საკითხი საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი. ამიტომ, სამეცნიერო გამოცემაში არ ღირდა ამ საკითხზე კიდევ ერთი სტატიის გამოქვეყნება, რომ არა ჩვენი ერთი დაკვირვება, რომელსაც შევეცდებით აქ ჰიპოთეზის სახე მივცეთ. ჩვენ ხელთ არსებულ ლიტერატურაში (ინტერნეტისა და ეფექტური საძიებო ალგორითმების შექმნის შემდგომ, ტერმინი „ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურა", საკითხის გარშემო არსებული თანამედროვე ლიტერატურის მნიშვნელოვან და ხშირად კი – უდიდეს ნაწილსაც მოიცავს. დღესდღეობით, გამონაკლისს მხოლოდ საარქივო მასალა წარმოადგენს, მაგრამ ამ სახის მასალის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის ტემპებიდან გამომდინარე, მალე ალბათ აღარც ის იქნება გამონაკლისი) ვერსად მივაგენით მსგავს მოსაზრებას.

სათაურიდანვე ჩანს, რომ სტატია სამი ნაწილისგან შედგება: „საკმაოდ ძველი ისტორიის" ქვეშ ჩეჩნურ-რუსული ურთიერთობების საწყის პერიოდს ვგულისხმობთ, „არცთუ ისე ძველი გაგრძელების" ქვეშ – ჩეჩნეთ-რუსეთის I ომისდროინდელ მოვლენებს, ხოლო სტატიის მესამე ნაწილში კი შევეცდებით თავად ჩვენი ჰიპოთეზა დავასაბუთოთ.

1. ჩეჩნურ-რუსული ურთიერთობების ადრეული ეტაპები

ისტორიკოსები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის შემოღწევის

დასაწყისს XVI საუკუნით ათარიღებენ.[1] სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ თანამედროვე ჩეჩნეთისა და დაღესტნის თერგისპირა ტერიტორიებში პირველი კაზაკები, მოგვიანებით კი რუსული ციხეების აშენებაც დაიწყო. ამ ტერიტორიაზე კაზაკთა პირველი ორი დასახლებიდან ერთის ადგილი თერგის შესართავთი იყო (მოსახლეობა ე.წ. თერგელი კაზაკები), ხოლო მეორესი კი – ჩეჩნეთის წინამთიანეთი (მოსახლეობა ე.წ. გრებენელი კაზაკები). ჩეჩენთა შემხვედრმა მიგრაციამ უკან, თერგის მარცხენა (ჩრდილოეთ) ნაპირისკენ დაახევინა, როგორც გრებენელებს (1685 წ.), ისე თერგელებს (1712).[2] მიუხედავად იმისა, რომ კაზაკებსა და ავტოქტონურ ეთნოსებს შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული იყო და ხშირად ჰქონდა ადგილი მათ შორის შეიარაღებულ შეტაკებებს (თუმცა, მშვიდობიანი თანაცხოვრებაც არაიშვიათი მოვლენა იყო),[3] ჩვენი აზრით მაინც არ შეიძლება ამ მოვლენის განხილვა, როგორც რუსეთსა და ჩრდილოეთ კავკასიელ ეთნოსებს შორის დაპირისპირებად. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თერგელ და გრებენელ კაზაკთა უდიდესი ნაწილი უკრაინიდან და რუსეთიდან გამოქცეული გლეხები (ან მათი შთამომავლები) იყვნენ, ისინი მთის მოსახლეობასთან ერთად ხშირად მონაწილეობდნენ რუსეთის სამხრეთ ტერიტორიებზე თავდასხმაში და, საერთოდ, XVIII საუკუნის დასაწყისამდე რუსულ ხელისუფლებასთან მათი კავშირი არამყარი იყო.[4] ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩეჩნებსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის რეალური დაპირისპირება XVI საუკუნეში არ დაწყებულა და იგი უფრო გვიანდელი მოვლენაა. ჩვენი აზრით, მისი ათვლა იმ დროიდან უნდა დავიწყოთ, როდესაც რუსეთის შეიარაღებული ძალებს პირველად მოუხდათ ჩეჩნურ რაზმებთან შეტაკება ან მათ პირველად გადალახეს ჩეჩნეთის (უფრო ზუსტად, ჩეჩნური თემების ტრადიციული განსახლების) იმდროინდელი საზღვრები (დაღესტან-რუსეთის კონფლიქტი სავარაუდოდ ჩეჩნეთ-რუსეთის კონფლიქტზე უფრო ადრე იწყება, მაგრამ ამ საკითხის განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს). სხვადასხვა ავტორი ასეთად რამოდენიმე განსხვავებულ თარიღს ასახელებს.

კერძოდ, ცნობილია XVI-XVII საუკუნეებში აკინელი ჩეჩნების (ჩეჩნების ეთნიკური განსახლების ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ-

[1] Г. З. Анчабадзе. Вайнахи (чеченцы и ингуши). Тб. 2001, გვ. 57.
[2] М. Гаммер. Шамиль. Мусульманское сопротивление царизму. Завоевание Чечни и Дагестана. М. 1998, გვ. 13.
[3] Российский Кавказ. Под ред. В. А. Тишкова. М. 2007, გვ. 30.
[4] Российский Кавказ. Под ред. В. А. Тишкова. М. 2007, გვ. 31.

ში ანუ რუსეთთან ყველაზე უფრო ახლოს მცხოვრები ჩეჩნური თემი. მათი დღევანდელი განსახლების ტერიტორია, ძირითადად დაღესტნის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული) რუსებთან კონფლიქტური ურთიერთობების შესახებ. მაგრამ ურთიერთობები მათ შორის ხშირად მოკავშირულიც იყო და საერთო მტერთან ბრძოლასაც მოიცავდა[5] (რასაც, უკვე აღარ ჰქონდა ადგილი შემდგომ ეპოქებში). ამის გამო ძნელია ეს ურთიერთობები რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის პერმანენტული ომის დასაწყისად ჩავთვალოთ.

ჩეჩენი მწერლისა და პოეტის აბუზარ აიდამოვის მიერ შედგენილ „ჩეჩნეთ-ინგუშეთის ისტორიის ქრონოლოგიაში", 1708 წლის თებერვლის გასწვრივ არის ასეთი ჩანაწერი – „ჩეჩნეთში ანტიფეოდალური და ანტიკოლონიური აჯანყება".[6] ლიტერატურის მიხედვით, 1707-1708 წლების მოვლენები წარმოადგენდა რუსული ციხესიმაგრის ტერკის შემოგარენში მცხოვრები პოლიეთნიკური და პოლირელიგიური შემადგენლობის მოსახლეობის აჯანყებას (რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს, მართლაც ჩეჩნები შეადგენდნენ, მაგრამ მათ გარდა იყო ბევრი სხვაც: ყუმუხები, ნოღაელები, ყუბანელი კაზაკებიც კი) ბაშკირი მურატ კუჩუკოვის ხელმძღვანელობით. თანაც, ეს აჯანყება მიმართული იყო არა მარტო რუსული ადმინისტრაციის, არამედ ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგაც.[7] მისი ცნობა ჩეჩნურ-რუსულ კონფლიქტად, არ უნდა იყოს გამართლებული, იმიტომაც, რომ ეს ციხესიმაგრე დაღესტანის ტერიტორიაზე იყო განლაგებული.

ასეთ თარიღად, არც აბუზარ აიდამოვის იმავე „ქრონოლოგიაში" მითითებული 1707 წელი გამოდგება, როდესაც, ყირიმელი ხანის ლაშქარმა ჩეჩნებთან და ყუმუხებთან ერთად ალყაში მოაქცია ციხესიმაგრე ტერკი. როგორც პირველ ისევე, მეორე შემთხვევაში ჩეჩნური მხარე თავდამსხმელის როლში გამოდიოდა. ამჯერად არ აქვს იმას მნიშვნელობა, რომ ჩეჩენთა ასეთი აქტივობა სავარაუდოდ რუსეთის აქტივობით იყო პროვოცირებული.

უფრო მეტი არგუმენტი იარსებებდა იმისათვის, რომ 1718 წელი მიგვეჩნია ჩეჩნეთ-რუსეთის ხანგრძლივი დაპირისპირების დასაწყისად, რომ არა ზოგიერთი გარემოება. ცნობილია, რომ 1718 წელს ადგილი ჰქონდა დონელი

---

[5] А. А. Адисултанов. Акки и аккинцы в XVI—XVIII веках. Грозный. 1992, გვ. 77-121 (მოცემული წიგნის გვერდების ციტირება ხორციელდა ინტერნეტში განთავსებული მისი doc ვერსიის მიხედვით. იხ. http://akka.ru/files/akka_history/akka_akkinci.doc).

[6] Абузар Айдамиров. Хронология истории Чечено-Ингушетии (http://umarlavina.narod.ru/biblioteka.htm).

[7] Ш. Б. Ахмадов. Чечня и Ингушетия в XVIII-начале XIX века. Элиста. 2002, გვ. 347-350.

კაზაკების პირველ სამხედრო ექსპედიციას სუნჟასა და არღუნზე.[8] ჩეჩენეთის იჩქერიის რესპუბლიკის არმიის ბრიგადის გენერალი, ისტორიკოსი დალჰან ხოჟაევი თავის წიგნში აღნიშნავს, რომ 1718 წელს ჩეჩნეთში შემოიჭრნენ რუსეთისა (დონელი კაზაკებით დაკომპლექტებული) და ზოგიერთი ყაბარდოელი ფეოდალის გაერთიანებული ძალები ატამან კრასნოშჩოკოვის (Краснощеков) ხელმძღვანელობით.[9] საქმე ის არის, რომ მართალია, დონელი კაზაკების დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია ბულავინის აჯანყების (1707-1709 წწ.) დამთავრებისთანვე მოხდა და საბოლოოდ, ფაქტიურად გაფორმდა 1723 წელს,[10] მაინც დონელი კაზაკების რაზმების გაიგივება მეფის არმიასთან, არ მიგვაჩნია გამართლებულად. თანაც, ატამანი ივან მატვეევი (მეტსახელად – კრასნოშჩოკოვი) პეტრე I მიერ სალაშქრო ატამანად (походный атаман) დანიშნული იქნა მხოლოდ 1722 წელს[11] და ის ვერანაირად ვერ იქნებოდა 1718 წელს ატამანი. უფრო მეტიც, როდესაც 1723 წელს დონის კაზაკთა ატამანი ვასილი ფროლოვი გარდაიცვალა კაზაკთა წრე (войсковой круг) შეიკრიბა და ჯარის ატამანად (войсковой атаман) ივან მატვეევი (კრასნოშჩოკოვი) აირჩია, პეტრე I არ დაამტკიცა კაზაკთა ეს გადაწყვეტილება და ატამანად სულ სხვა პიროვნება დანიშნა.[12] შესაძლებელია, კრასნოშჩოკოვი უფრო „ლოკალური" ატამანის რანგით მონაწილეობდა 1718 წლის დარბევაში («атаман Донского казачьего войска» რანგით უფრო დაბალია ვიდრე «атаман Войска Донского»), მაგრამ მისი ბიოგრაფიის ამ ფაქტზე ინფორმაცია კაზაკებზე ზემოთმოყვანილ და სხვა ჩვენს ხელთ არსებულ გამოცემებში[13] არ მოიპოვება. არადა, მისი ცხოვრების სხვა დეტალებზე ინფორმაცია, მითითებულ გამოცემათაგან ზოგიერთში, საკმაოდ უხვად არის მოყვანილი. როგორც ჩანს, ჩეჩენი ავტორის მიერ აღწერილ მოვლენებს ადგილი ჰქონდა არა 1718 წელს, არამედ 1722 წელს – პეტრე I ცნობილი

[8] А. П. Берже. Горные племена Кавказа. Живописная Россия. Под общ. ред. П. П. Семенова. СПб. 1883. Т. 9. Кавказ, გვ. 86-87; Абузар Айдамиров. Хронология истории Чечено-Ингушетии (http://umarlavina.narod.ru/biblioteka.htm).

[9] Д. Хожаев. Чеченцы в Русско-Кавказской войне. Грозный.1998, გვ. 19.

[10] Е. Савельев. История казачества с древнейших времен до конца XVIII века. Историческое исследование в трех частях. Новочеркасск. 1915, გვ. 411-414.

[11] П. Н. Краснов. Картины былого Тихого Дона. 1909, გვ. 169.

[12] Е. Савельев. История казачества с древнейших времен до конца XVIII века. Историческое исследование в трех частях. Новочеркасск. 1915, გვ. 412-413.

[13] П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. Часть 1. СПб. 1869; А. А. Гордеев. История казачества. М. 2006; В. А. Потто. Два века Терского Казачества (1577-1801). Владикавказ. 1912; В. Е. Шамбаров. Казачество: История вольной Руси. М. 2007.

სპარსული ლაშქრობის დროს, რომლის დროსაც სარწმუნოდ არის დადასტურებული კრასნოშჩოკოვის მონაწილეობა[14] (1722 წლის ამბებზე უფრო დეტალურად ცოტათი ქვემოთ ვისაუბრებთ).

ზემოთქმული არგუმენტები ამცირებენ 1718 წლის მოვლენების შანსს გამოცხადდეს ჩეჩნეთზე რუსეთის პირველ იერიშად. მითუმეტეს, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში 1708-1017 და 1718-1721 წლებში რუსეთისა (თუ კაზაკების) და მისი მოკავშირეების სამხედრო ექსპედიციის, როგორც შემადგენლობაზე, ისე მარშრუტზე და ზუსტ თარიღებზეც კი ისტორიკოსებს შორის თანხმობა არ არის.[15]

ასეთ თარიღად, არც პეტრე I მიერ ორგანიზებული სპარსული ლაშქრობა დრო (1722 წ.) შეიძლება დასახელდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს პირველად მოხდა რუსეთის რეგულარული ნაწილების (ბრიგადირ ანდრეი ვეტერანის ცხენოსთა ჯგუფის – 2000 დრაგუნისა და 400 კაზაკის შემადგენლობით) შეტაკება ჩეჩნურ რაზმებთან.[16] ცნობილია, რომ რუსები, ძირითადად, ყუმუხური დასახლების – ენდერის დასალაშქრად (თუმცა, როგორც ჩანს მასში ნაწილობრივ ჩეჩნური მოსახლეობაც ცხოვრობდა) იყო გაგზავნილი, ხოლო ჩეჩნები ყუმუხების დასახმარებლად გამოემართნენ. რუსულმა ნაწილებმა ამ ბრძოლაში სერიოზული დანაკლისი განიცადეს, რის საპასუხოდაც მათ ჩეჩნეთს შეუსიეს რუსეთის ვასალის ყალმუხი ყაენის – აიუკის ორდა. რასაკვირველია, აიუკის ეს საქციელი მის მიერ რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით იყო გამოწვეული, მაგრამ აღმოსავლეთ ჩეჩნეთის (თანაც, მხოლოდ ვაკის) დარბევა, ფორმალურად მაინც ყუმუხთა ხელით იყო გაკეთებული. თუმცა, ინგლისელი მკვლევარი ჯ. ბადლი, სწორედ ამ თარიღს თვლის რუსეთსა და ჩეჩნებს შორის პირველ სამხედრო შეტაკებად.[17]

საინტერესოა, რომ ბრიგადირი ა. ვეტერანი პეტრე I მიერ იმავე 1722 წელს დაღესტანის მდინარე სულაკზე დაარსებული რუსული ციხესიმაგრის სვიატოი კრესტის (Святой Крест)[18] კომენდანტი იყო, და შესაბამისად, ეს

---

[14] И. В. Ровинский. Хозяйственное описание Астраханской и Кавказской губернии. СПб. 1809, გვ. 410-411.

[15] А. А. Адисултанов. Акки и аккинцы в XVI-XVIII веках. Грозный, გვ. 125-128 (მოცემული წიგნის გვერდების ციტირება ხორციელდა ინტერნეტში განთავსებული მისი doc ვერსიის მიხედვით. იხ. http://akka.ru/files/akka_history/akka_akkinci.doc).

[16] Г. З. Анчабадзе. Вайнахи (чеченцы и ингуши). Тб. 2001, გვ. 59.

[17] J. F. Baddeley. The Russian Conquest of the Caucasus. London. 1908, გვ. 25; J.F. Baddeley. The Rugged Flanks of the Caucasus. Vol. I. London. 1940, გვ. 82.

[18] Н. Д. Чекулаев. О казачьей колонизации Дагестана в первой трети XVIII века. Академа. Ежеквартальный научно-практический журнал. Махачкала. 2006, №2, გვ. 12-16.

რეიდიც სწორედ ამ ციხესიმაგრიდან იყო დაწყებული.[19] ეს ფაქტი, გამოგვადგება შემდგომ მსჯელობაში.

ჩვენი აზრით, ჩეჩნების წინააღმდეგ რუსეთის მრავალსაუკუნოვანი აგრესიის დაწყების ყველაზე უფრო მისაღებ „კანდიდატად" 1732 წლის ზაფხული უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამ წელს, აუჯანყდა ჩეჩენ აულის მოსახლეობა საკუთარ ფეოდალებს და ამ უკანასკნელთა მოწვევით აჯანყების დასაშოშმინებლად წამოვიდა გენერალ-მაიორი ჰ. დუგლასის რაზმი.[20] დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის (მეორე გამოცემა) მიხედვით: «В 1732 из крепости Святой Крест (на р. Сулак), построенной по велению Петра I, на территорию Чечни был направлен воинский отряд. В малой Чечне у аула Чечень, жители оказали ему сопротивление. Это было первое из известных по документам вооруженных столкновений русских войск с чеченцами. По реляции начальника с тех пор за племенем нахче укоренилось этническое название чеченцы».[21] ამავე წყაროს მიხედვით, ადრე რუსები ჩეჩნებს უფრო ხშირად უწოდებდნენ სხვა სახელწოდებებს – მაგ. мичигизяне (ჩეჩნების ყუმუხური დასახლებიდან – მიჩიღიში) და шибутяне (მდინარე არღუნზე განლაგებული ჩეჩნური დასახლების – შატოის ძველი სახელწოდების – შუბუთ(ტ)ის მიხედვით). მართალია, ენციკლოპედიაში აღნიშნული სტატიის ავტორი „მორცხვად" წერს, რომ ჩეჩენ-აულის მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაუწია რუსულ რაზმსო, მაგრამ სინამდვილეში ჩეჩენმა აჯანყებულებმა, არა უბრალოდ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს გენერალ დუგლასის მიერ გამოგზავნილ სამხედრო შენაერთს პოლკოვნიკ კოხის ხელმძღვანელობით (300 ჯარისკაცი და 200 კაზაკი), არამედ დაამარცხეს კიდეც და დიდი დანაკარგებით უკან დაახევინეს.[22] ასევე, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ გენერალი დუგლასი 1732 წლის 19 მაისიდან, ზემოთაღნიშნული ციხესიმაგრის – სვიატოი კრესტის კომენდანტი იყო.[23]

ს. ჰ. შიშკინის (С. П. Шишкин) მიერ შედგენილ ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიაში, 1758 წლის გასწვრივ წერია – „პირველი სამხედრო

[19] Ш. Б. Ахмадов. Чечня и Ингушстия в XVIII-начале XIX века. Элиста. 2002, გვ. 351.
[20] Ш. Б. Ахмадов. Чечня и Ингушстия в XVIII-начале XIX века. Элиста. 2002, გვ. 353-355.
[21] Большая Совєтская Энциклопедия. Второє издание. 1958. Т. 51, გვ. 309.
[22] А. Зиссерман. История 80-го пехотного Кабардинского полка (1726-1880 гг.). Т. 1. СПб. 1881, გვ. 27-28; В. А. Потто. Кавказская война в отдельных эпизодах, очерках, легендах и биографиях. Т. 1. СПб. 1885, გვ. 45.
[23] П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. Часть 1. СПб. 1869, გვ. 117-118.

ექსპედიცია ჩეჩენთა წინააღმდეგ" («Первая военная экспедиция против чеченцев»).[24] როგორც ჩანს, მოცემულ ავტორს ეს რუსი ისტორიკოსის ს. ფ. გოლოვჩანსკის (С. Ф. Головчанский) ამავე სახელწოდების ნაშრომიდან აქვს აღებული.[25] ვფიქრობთ, რომ დამატებით არგუმენტაციას არ მოითხოვს ის ფაქტი, რომ 1732 წელს მომხდარი მოვლენების აღწერის შემდეგ, აღნიშნული სამხედრო ექსპედიცია ვერ ჩაითვლება ჩეჩნების წინააღმდეგ განხორციელებელ პირველ აქციად.

ჩეჩნეთ-რუსეთის ურთიერთობების უფრო ადრეული დაწყების მომხრეების წინააღმდეგ, ასეთი არგუმენტი გვინდა წარმოვთქვათ: ჩრდილოეთ კავკასიაში ჩეჩნებისა და (გრებენელი) კაზაკების განსახლების ანალიზი აჩვენებს,[26] რომ ისინი ერთმანეთთან ახლო კონტაქტში მოდიან დაახლოებით XVII საუკუნის ბოლოს – XVIII საუკუნის დასაწყისისთვის. შესაბამისად, მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი კონფლიქტური ურთიერთობების წარმოშობა.

ჩვენი თხრობა და ანალიზი არასრულყოფილი იქნებოდა, რომ არ გვეხსენებინა ცნობილი კავკასიოლოგის ნ.ი. პოკროვსკის (Н. И. Покровский) მოსაზრება, იმის შესახებ, რომ ჩეჩნეთის ვაკის (плоскости) დასაპყრობად ჩეჩნებთან ომის დასაწყისი უნდა დავთარიღოთ 1739 წლით, რადგანაც სწორედ ამ დროს შეიქმნა ქვემო თერგის კაზაკური სტანციებიდან ერთიანი გამაგრებული ხაზი, რომელიც ქალაქ-ციხესიმაგრე ყიზლარზე იყო დამყარებული.[27] შევნიშნავთ, რომ ჯერ ერთი, როგორც უკვე ვნახეთ, 1732 წელს ეს ომი უკვე დაწყებული იყო და მეორეც, ჩვენთვის, როგორც მკვლევარისთვის მთავარი იყო *თავდაპირველი თავდასხმითი* და *არა თავდაპირველი თავდაცვითი* აქტივობის იდენტიფიცირება. თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანები ომის დაწყისად, როგორც წესი, აღიქვამენ მოწინააღმდეგის არა თავდაცვით ღონის-

[24] С. П. Шишкин Описания, хронология, указатели (http://www.spsl.nsc.ru/history/descr/main_h7.htm).

[25] С. Ф. Головчанский. Первая военная экспедиция против чеченцев в 1758 г. (По документам Кизлярского комендантского архива). Записки Терского общества любителей казачьей старины. № 11. Владикавказ. 1914.

[26] Э. А. Борчашвили. Социально-экономические отношения в Чечено-Ингушетии в XVIII-XIX веках. Тб. 1988, გვ. 43-55; В. Б. Виноградов, Т. С. Магомедова. Первая русская карта Северного Кавказа. Вопросы истории. 1976, №6, გვ. 199-203; Е.Н. Кушева. О местах первоначального поселения гребенских казаков. Историческая география России XVIII в. Ч. 2. М. 1981, გვ. 38.

[27] ციტატა მოყვანილია აღნიშნული ნაშრომის მიხედვით: Г. З. Анчабадзе. Вайнахи (чеченцы и ингуши). Тб. 2001, გვ. 60.

ძიებებს, არამედ აგრესიულ ქმედებებს და სწორედ ასეთი ტიპის ქმედება ნარჩუნდება კოლექტიურ მეხსიერებაში.

სტატიის ამ ნაწილში მოყვანილი ფაქტების ანალიზის შედეგად ჩეჩნურ-რუსული შეიარაღებული კონფრონტაციის დასაწყისად 1732 წელი უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, გარკვეული „უფლება" მიენიჭოს იგივე მნიშვნელობა, ალბათ, 1722 წელსაც აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის ორივე ეს სამხედრო ექსპედიცია ციხესიმაგრე სვიატოი კრესტიდან არის დაწყებული. ამ ფაქტს ჩვენს შემდგომ მსჯელობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

2. ერთი ქალაქის ისტორია

ქალაქი, რომელზეც ჩვენი სტატიის მეორე ნაწილში გვექნება საუბარი 1995 წლის 14 ივნისის მოვლენებმა გახადეს მსოფლიოში ცნობილი. სწორედ ამ დღეს, სტავროპოლის მხარის პატარა ქალაქ ბუდიონოვსკში შეიჭრა ჩეჩენ მეამბოხეთა დიდი რაზმი საველე მეთაურის შამილ ბასაევის ხელმძღვანელობით. სტატიის ამ ნაწილში ჩვენ არ ვაპირებთ იქ მომხდარი მოვლენების ანალიზს. აქ მხოლოდ ამ ქალაქის ისტორია გვინდა მოკლედ მიმოვიხილოთ.

ქალაქი ბუდიონოვსკი (Будённовск) სტავროპოლის მხარის ჩრდილოაღმოსავლეთ ნაწილში, სწორ პლატოზეა განლაგებული – მდინარეების ყუმა (Кума), მოკრაია ბუივოლასა (Мокрая Буйвола) და ტომუზლოვკას (Томузловка) ნაპირებზე.[28] ეს ორი უკანასკნელი მცირე მდინარეებს მიეკუთვნებიან, ხოლო ყუმა კი საკმაოდ დიდი მდინარეა, რომელიც სტავროპოლის მხარის გავლის შემდეგ თითქმის განივად კვეთს დაღესტანს და კასპიის ზღვაში ჩაედინება.

როგორც დასახლებულმა პუნქტმა, რომელიც იმ ქვეყანაში მდებარეობს, რომელშიც მომხდარი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ისტორიის გადაწერა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ამ ქალაქმა მრავალი სახელი გამოიცვალა. მისი ახლანდელი სახელი – ბუდიონოვსკი, I მსოფლიო და სამოქალაქო ომების გმირის, მარშალ ს. მ. ბუდიონის (С. М. Будённый) საპატივსაცემოდ არის დარქმეული. ქალაქის ადმინისტრაციის ოფიციალურ საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად გადარქმევა მოხდა 1935 წლის 6 მაისს, ხოლო მანამდე კი ქალაქს, 1921 წლის 28 დეკემბრიდან პრიკუმსკი (Прикумск) ერქვა[29].

[28] Администрация города Будённовска, официальный портал (http://www.budennovsk-sk.ru/city/geography.php).

[29] Администрация города Будённовска, официальный портал (http://www.budennovsk-sk.ru/city/history.php)

ამ საიტზე არ არის ნახსენები ის, რომ 1957 წლის 14 ნოემბერს ქალაქს ისევ პრიკუმსკი დაარქვეს (დასახლებული პუნქტებისთვის ცოცხალი „ვოჟდების“ სახელების დარქმევის აკრძალვასთან დაკავშირებით) და მხოლოდ ს.მ. ბუდიონის გარდაცვალების შემდეგ (26/10/1973) რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 30.11.1973 ბრძანებით დაუბრუნეს ამჟამინდელი სახელი. ამის შესახებ მრავალი წყარო იტყობინება და მათ შორის ვიკიპედიაც[30]. ალბათ, შეიძლება ადმინისტრაციის ასეთი „მორცხვობის“ მოტივების გაგება, თითქმის მთელი საბჭოთა პერიოდი ხომ რეალობისა და ისტორიისადმი ჯორჯ ორუელისეული მიდგომის ეპოქა იყო.

მიუხედავად ქალაქის სახელთან დაკავშირებული უცნაური პერიპეტიებისა, ჩვენი დაინტერესება ბუდიონოვსკის ამ სახელებით არ იყო განპირობებული. ჩვენ მისმა პირველმა სახელწოდებამ დაგვაინტერესა. სახელმა, რომელიც დაარსებისას დაარქვეს და, რომელიც მას 1921 წლამდე ერქვა. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ბუდიონოვსკის ადგილას ოქროს ურდოს დროინდელი მონღოლური (და შეიძლება უფრო ადრინდელი – ხაზარული) ქალაქი მაჯარი (Madjar, Маджар) იდგა,[31] მაინც ბუდიონოვსკის დაარსების ოფიციალურ თარიღად 1799 წელია მიჩნეული. სწორედ ამ წელს პავლე I მიერ სენატისთვის ხელმოწერილი ბრძანებისა და, შემდგომ სომხური მოსახლეობისთვის ბოძებული სიგელის (жалованная грамота) მიხედვით მდინარე ყუმაზე დაარსებული იქნა ქალაქი სვიატოი კრესტი (Святой Крест).[32] ჩეჩნურ-რუსული ურთიერთობებზე საუბრისას სომხები უბრალოდ იმიტომ ვახსენეთ, რომ აღნიშნული ქალაქის ძირითადად მოსახლეობას ოდესღაც სწორედ ისინი წარმოადგენდნენ. თუმცა, ამ მომენტს ჩვენს თხრობაში არანაირი როლი არ აქვს და ამიტომ ამ მიმართულებით აღარ გავღრმავდებით.

მთავარი ის რაც ამ თავში გავარკვიეთ იყო ის, რომ ბუდიონოვსკის თავდაპირველი სახელწოდება გახლდათ სვიატოი კრესტი.

---

[30] http://ru.wikipedia.org/wiki/Будённовск; აგრეთვე http://ru.wikipedia.org/wiki/История Будённовска და სხვა.

[31] И. В. Бентковский. Заштатный город Святого Креста. Вестник архивов Армении. 2005, №2 (106), გვ. 31-56; В. Л. Егоров. Историческая география Золотой Орды в XIII–XIV вв. Изд. 2-е. М. 2009, გვ. 122; Э. Д. Зиливинская. Золотоордынские мавзолеи Северного Кавказа. Золотоордынская цивилизация. Вып. 3. Казань. 2010 (http://www.opentextnn.ru/history/archaeology/settlement/?id=4254).

[32] Полное собрание Законов Российской Империи. Т. XXV. №19166, გვ. 832-835; Собрание актов. I. გვ. 213-218; Р. Е. Аджимамедов. Страницы истории Прикумья с древнейших времен. Буденновск. 1992; В. З. Акопян. Город Святой Крест. Между прошлым и настоящим 1799-2009. Исторический очерк. Пятигорск. 2009; Ю. К. Студенников. Сказание о земле Прикумской: К 200-летию города Буденновска. М. 1999.

3. ჩვენი ჰიპოთეზა და არსებული ლიტერატურის ანალიზი

ჯერჯერობით ჩვენი სტატიის პირველ და მეორე ნაწილებს შორის კავშირი არ არის ნათელი. გაუგებარია რა შეიძლება აკავშირებდეს მდინარე სულაკზე მდებარე *ციხესიმაგრე სვიატოი კრესტს*, მდინარე კუმაზე მდებარე *ქალაქ სვიატოი კრესტთან.* არსებულ ლიტერატურას თუ გადავხედავთ დიდი არაფერი. კერძოდ, ერთ-ერთ ვერსიის თანახმად (ეს ვერსია ისევე არ არის გამყარებული ფაქტებით, მაგრამ ამავე დროს, ისევე არ ეწინააღმდეგება მათ, როგორც სხვა დანარჩენი ვერსიები, ამიტომ აქვს არსებობის უფლება) პავლე I, როგორც პეტრე I საქმის ერთგვარმა გამგრძელებელა, შეგნებულად დაარქვა თავის დაარსებულ ქალაქს მისი წინამორბედის მიერ დაარსებული ციხესიმაგრის სახელი.[33] საქმე ის არის, რომ რუსეთსა და სპარსეთს შორის დადებული რეშტისა (1732) და განჯის (1735) ხელშეკრულების მიხედვით რუსეთი ვალდებული იყო დაეტოვებინა თერგის სამხრეთით დაკავებული ტერიტორიები, ამიტომ, რუსების მიერ თავად იქნა მოთხრილი ციხესიმაგრე სვიატოი კრესტი.[34] ისე, რომ მოცემული ვერსიის თანახმად, ქალაქს ეს სახელი 63 წლის წინ „გამქრალი" ციხესიმაგრის საპატივსაცემოდ დაარქვეს. არსებობს, მოსაზრება, რომ არა მარტო ქალაქ სვიატოი კრესტს დაარქვეს სახელი ციხესიმაგრე სვიატოი კრესტიდან გამომდინარე, არამედ თავად ამ უკანასკნელსაც თავისი სახელი ოდესღაც მის სიახლოვეს არსებული ბერძნული კოლონიის – სტავროპოლისის სახელწოდებიდან ერგო.[35]

პავლე I მოტივაციის ანალიზს ამ სტატიაში არ ვაპირებთ, გვინდა მხოლოდ იმის ხაზგასმა, რომ ციხესიმაგრე სვიატოი კრესტის ნაცვლად რუსეთის იმპერიის რუქაზე გაჩნდა ქალაქი იმავე სახელწოდებით. მაგრამ, ჯერჯერობით მაინც გაუგებარი რჩება, თუ რა კავშირი შეიძლება არსებობდეს ჩეჩნეთ-რუსეთის მრავალსაუკუნოვანი შეიარაღებული დაპირისპირების დასაწყისსა და ბუდიონოვსკის თავდაპირველ სახელს შორის.

აზრამდე, რომელსაც სტატიის ამ ნაწილში წარმოვადგენთ შ. ბასაევის ბუდიონოვსკში რეიდის დროს ჩეჩენ მეამბოხთა პირველივე ულტიმატუმის (1995 წლის 14 ივნისის 16.15 სთ-ზე) ტექსტმა მიგვიყვანა. ეს ტექსტი მრა-

[33] От Святого Креста до Святого Воскресения. Сборник документов и материалов. уденновск. 2010, გვ. 54; Кому не любо имя Святого Креста, или назад, в Маджары (http://www.yerkramas.org/2011/10/25/komu-ne-lyubo-imya-svyatogo-kresta-ili-nazad-v-madzhary).

[34] В. Дегоев. Северный Кавказ: исторические очерки. Кавказская война Надир-шаха. Дружба Народов. 2011. №7, გვ. 134-154.

[35] «Альманах Крестоград». выпуск первый. Госархив Ставропольского края. 1993, გვ. 44-50.

ვალჯერ დაიწერა სხვადასხვა ინტერნეტ თუ ბეჭდვით გამოცემებში, უამრავჯერ გადმოიცა ტელევიზიითა თუ რადიოთი. იგი დაახლოებით ასე ჟღერდა: Прекратить боевые действия в Чечне и вывести федеральные войска.[36] მაშასადამე, ჩეჩნური შეიარაღებული ფორმირებების (ამ რეიდში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა საველე მეთაურების დაქვემდებარებაში მყოფი რაზმები, რომელთა საერთო ხელმძღვანელობას შ. ბასაევი ახორციელებდა.[37] ამ ფაქტს ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ ვფიქრობთ, რომ ეს ერთი ჯგუფის სპონტანური გადაწყვეტილება არ ყოფილა) ამ აქციის მიზანი ჩეჩნეთ-რუსეთის ომის დამთავრება წარმოადგენდა.[38]

მაგრამ, რატომ მაინცა და მაინც ბუდიონოვსკი აიერჩიეს ჩეჩნებმა თავიანთ მცდელობაში მიეღწიათ ამ მიზნისათვის? ანუ, როგორც ბუდიონოვსკის ტრაგედიაზე დაწერილ თავის წიგნში «Будённовский крест» სვამდა რიტორიკულ კითხვას სვეტლანა ბირიუკოვა (Светлана Бирюкова) – За что же заплатил Будённовск?[39]

თუ ჩეჩნების ეს არჩევანი შემთხვევითი იყო და, ასე ვთქვათ, ტექნიკური გარემოებებით განპირობებული (რისი გამორიცხვაც, არ შეგვიძლია) – მაშინ, ჩვენი აზრით, ამ კითხვას აზრი არ აქვს. მაგრამ ეგებ მათი ეს საქციელი, წმინდა რაციონალურ მოტივებთან ერთად (მტრისათვის მისთვის მიუღებლად მაღალი ზარალის მიყენება, რაც შეიძლება მეტი ადამიანის მძევლად აყვანა და ა.შ.) გამოწვეული იყო, ასე ვთქვათ სიმბოლური დატვირთვის მქონე მომენტებით. ხომ არ იყო ბუდიონოვსკი სამიზნედ არჩეული იმიტომ, რომ მისი თავდაპირველი სახელი სვიატოი კრესტი, ემთხვევა იმ ადგილის სახელს საიდანაც ჩეჩნეთში პირველად გაიგზავნა სადამსჯელო ოპერაცია

---

[36] მაგ. "Хронология захвата заложников в городе Буденновск" (http://ria.ru/history_spravki/20110610/386717117.html); აგრეთვე, Еженедельник "Коммерсантъ", № 23(576), 14.06.2004 (http://www.kommersant.ru/Doc-rss/482648) და სხვა.

[37] Россия-Чечня: Цепь ошибок и преступлений. 1994-1996. М. 2010, გვ. 347.

[38] მაგ. იხილეთ 2003 წ. 19 მარტის რუსეთის უმაღლესი სასამართლოს საკასაციო განჩინება (Кассационное определение Верховного суда России от 19 марта 2003 г. N 19-кп002-98): «Конечной целью задуманного было желание добиться отделения Чеченской Республики от Российской Федерации путем захвата большого количества заложников и совершения актов терроризма на территории одного из городов России, чтобы использовать это как средство воздействия на органы власти Российской Федерации». (http://supcourt.consultant.ru/cgi/online.cgi?req=doc;base=ARB;n=93634;div=ARB;mb=ARB;ts=B9474D83E9B6F3F17BB114A62E2F6A53). იგივე დასტურდება, რუსეთის როგორც მოქმედი, ასევე გადამდგარი ოფიციალური პირების, მრავალრიცხოვანი ანალიტიკოსების განცხადებით, თავად ჩეჩენ წარმომადგენლებსე, რომ არაფერი ვთქვათ.

[39] С. Бирюкова Будённовский крест. 2010. (http://zhurnal.lib.ru/p/petrienko_p_w/010_budkrest.shtml).

(1732 წელს იყოს ეს თუ 1722 წელს, ამას არ აქვს დიდი მნიშვნელობა)? ***ომი დამთავრდეს იქ საიდანაც ის ოდესღაც დაიწყო.*** არის ამ იდეაში რაღაც სიმბოლური. არ არის გამორიცხული, რომ ვისაც ასეთი „სიმბოლური" აქციის ჩატარება მოუვიდა თავში, შეიძლება არც კი სცოდნოდა, რომ იმ სვიატოი კრესტის მხოლოდ ნანგრევებიღაა ნარჩენილი. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ მას (ან მათ) ინფორმაცია ამის შესახებ ჰქონოდათ, მაგრამ სიმბოლური აზროვნებიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ციხესიმაგრე სვიატოი კრესტის ნაცვლად ქალაქი სვიატოი კრესტი „დაესაჯათ". რატომ მაინცა და მაინც ეს სვიატოი კრესტი და არა სხვა? ჯერ ერთი, ბუდიონოვსკი ჩეჩნეთიდან საკმაოდ ახლოსაა (დაახლოებით, 100-150 კმ) და მეორეც, რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჩანდეს, სვიატოი კრესტი რუსული ტოპონიმიკისთვის უჩვეულოა და როგორც ჩანს, მეტი ამ სახელის მქონე დასახლებული პუნქტი რუსეთში არც ადრე ყოფილა და არც ახლა არის.[40]

მოკლედ, შესაძლებელია ორი ვარიანტი. ბუდიონოვსკში ეს რეიდი ჩეჩენმა მეამბოხეებმა ან „სიმბოლური" დატვირთვის გამო ჩაატარეს (ე.წ. „სიმბოლური" ვერსია) ან ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევაა (ე.წ. „შემთხვევითი" ვერსია) და მეტი არაფერი.

შევეცადოთ გავაანალიზოთ ყველა ის არგუმენტი, რომელიც პირველი ან მეორე ვერსიის ჭეშმარიტებაზე ლაპარაკობს. კარგად გვესმის, რომ რა შედეგიც არ უნდა მივიღოთ ფაქტების ანალიზის შედეგად, ვერსია მაინც ვერსიად დარჩება, თუ ჩვენგან დამოუკიდებლად ამას, იმ ამბების მონაწილე რომელიმე ჩეჩენი მებრძოლი არ დაადასტურებს. თუმცა, ამის იმედი ნაკლებად გვაქვს, რადგანაც იმ რეიდის მონაწილეთაგან ძალიან ცოტაა ცოცხალი. ხოლო იმ პერიოდის ჩეჩენი ლიდერებიდან სულ 1-2 ადამიანია დარჩენილი.

დავიწყოთ „სიმბოლური" ვერსიით. თუ ეს ვერსია ჭეშმარიტია, მაშინ:

1) ბუდიონოვსკში შეჭრა უნდა ყოფილიყო წინასწარ დაგეგმილი და არ უნდა ყოფილიყო, ასე ვთქვათ, შემთხვევითი ან იძულებითი გაჩერება შორ გზაზე;

2) სამხედრო-ტაქტიკური თვალსაზრისით ბუდიონოვსკი არ უნდა ყოფილიყო ყველაზე უფრო მისაღები სამიზნე ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად.

მხოლოდ ამ ორი მომენტის ერთდროული არსებობა მოგვცემდა უფლე-

[40] რუსეთში ამ სახელის სხვა დასახლებული პუნქტის არარსებობის შესახებ იხ.: В. З. Акопян. Город Святой Крест. Между прошлым и настоящим 1799-2009. Исторический очерк. Пятигорск. 2009.

ბას უფრო თამამად გვესაუბრა ჩვენი ჰიპოთეზის სიმართლეზე. ამ თეზისების სხვაგვარი კომბინაცია – „ბუდიონოვსკში შეჭრა წინასწარ იყო დაგეგმილი“ + „სამხედრო-ტაქტიკური თვალსაზრისით ბუდიონოვსკი ყველაზე უფრო მისაღებ სამიზნეს წარმოადგენდა“ მართალია, ჩვენს სასარგებლოდ არ იმეტყველებდა, მაგრამ არც წინააღმდეგობაში იქნებოდა ჩვენს ვერსიასთან. მხოლოდ ისეთი კომბინაციები, რომელშიც იფიგურირებდა – „ბუდიონოვსკში შეჭრა არ ყოფილა წინასწარ დაგეგმილი აქცია“ გააბათილებდნენ ჩვენს ვერსიას.

3.1. წინასწარ დაგეგმილი თუ შემთხვევით?

რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, ჩვენთვის ხელმისაწვდომ ღია წყაროებში, მათ შორის გადამდგარ თუ მოქმედ ოფიციალურ პირთა განცხადებებში, აგრეთვე ოფიციალურ დოკუმენტებში თუ სხვადასხვა სტატიებსა და წიგნებში – ამ რეიდის სავარაუდო და რეალური მარშრუტის განსხვავებული ვერსიები გხვდება. სხვაობა თითქოს არ არის დიდი, მაგრამ ჩვენი ვერსიის დადასტურება/უარყოფისთვის ამ მცირე სხვაობასაც შეიძლება პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდეს.

ღია წყაროებზე დაყრდნობით მიმოვიხილოთ ლიტერატურა იმის შესახებ თუ:

ა) რა გზით მიდიოდნენ;

ბ) სად მიდიოდნენ;

გ) როგორ მოხვდნენ ბუდიონოვსკში;

3.1.1. მარშრუტი (არსებული ლიტერატურის მიხედვით)

ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ამ რეიდის ჩასატარებლად რაზმის შედგენა შ. ბასაევმა თავის მშობლიურ – ვედენოს რაიონში დაიწყო. შემდგომ რაზმმა გადაინაცვლა ყოფილი ნოვოგროზნენსკის (Новогрозненский) – ამჟამინდელი ოისხარას (***Ойсхара) მიმართულებით (თუმცა, ამ დასახლებულ პუნქტს, უკვე მაშინ ერქვა ოისხარა)***, რომელიც ქ. გუდერმესის სიახლოვეს მდებარეობს, სადაც ისინი ჩაჯდნენ კამაზის ტიპის მანქანებში და გაემართნენ ჩეჩნეთის საზღვრისაკენ.[41] თუმცა, რა მიმარულებით მოძრაობდნენ ამის შესახებ განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ჟურნალისტთა და ექს-

[41] Ю. Рыбаков. «Буденновский круг». Журнал «Огонёк». №4 (5082). 08.06.2009; აგრეთვე იხ. Кассационное определение Верховного суда России от 19 марта 2003 г. N19-кп002-98 (http://supcourt.consultant.ru/cgi/online.cgi?req=doc;base=ARB;n=93634;div=ARB;mb=ARB;ts=B9474D83E9B6F3F17BB114A62E2F6A53) და მრავალი სხვა.

პერტთა უმრავლესობის აზრით (ბასაევის რაზმის მებრძოლთა დაკითხვის ოქმებიც ამას ადასტურებენ) კამაზებზე და მილიციის მანქანად გადაკეთებულ ჟიგულზე განთავსებული ჩეჩნური რაზმი ჯერ დაღესტანში შევიდა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაკვეთა საზღვარი სტავროპოლის მხარესთან[42]. კერძოდ, ერთ-ერთი წყაროს მიხედვით მისი მარშრუტი ასე გამოიყურებოდა: ოისხარა (ნოვოგროზნენსკი)-ხასავიურთი-ბუდიონოვსკი[43]. თუმცა, არსებობდა განსხვავებული აზრიც, რომელიც არაერთხელ იქნა გამოთქმული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში[44] და რომელსაც ემხრობა რუსეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ანატოლი კულიკოვი (Анатолий Куликов). მის მიერ 2000 წელს მიცემულ ინტერვიუში მოცემული ვერსია ასე ჟღერს: ბასაევის რაზმის მებრძოლებმა ჩეჩნეთი მშვიდობიანი მოქალაქეების სახით დატოვეს და მხოლოდ შემდეგ შეიკრიბნენ სტავროპოლის მხარეში[45]. რასაკვირველია, კულიკოვს, რომელსაც ბასაევის რეიდის დროს ჩეჩნეთში ფედერალური ძალების გაერთიანებული დაჯგუფების ხელმძღვანელის პოსტი ეკავა[46] აწყობდა, რომ მორალური თუ სხვა სახის პასუხისმგებლობა, რომელიც მას ეკისრებოდა ბასაევის რაზმის მის „დაქვემდებარებულ" ტერიტორიაზე თავისუფალი მოძრაობის გამო – სხვებზე გადაეტანა. თუმცა, კულიკოვის მხრიდან პირადი ინტერესის არსებობა ამ საქმეში, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი ვერსია ნაწილობრივ მაინც არ არის მართალი და, შესაბამისად, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ბასაევის რაზმის გარკვეული ნაწილი მართლაც ელოდებოდა ძირითად ჯგუფს სტავროპოლის მხარეში.

არსებობს მარშრუტის მესამე ვერსიაც, რომელიც ჩვენ მხოლოდ ერთ გამოცემაში შეგვხვდა. ამ ვერსიის მიხედვით ჩეჩნეთიდან ბასაევის კამაზებმა გადაკვეთეს ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარი და ისე მოხვდნენ ბუდიონოვსკში.[47]

---

[42] Ж. Щелкунова. Личный охранник «генерала». «Ставропольская правда», 24 сентября 2003 г.; აგრეთვე «Московские новости», N42, 18-25 июня 1995 г. (http://www.somnenie.narod.ru/buden/den1xr.html); Кассационное определение Верховного суда России от 19 марта 2003 г. N19-кп002-98 და სხვა.

[43] Буденновск (http://www.hotdotcenter.com/articles/chechnya/arenafight/first/buddenovsk).

[44] http://ria.ru/history_spravki/20110610/386717117.html.

[45] А. Камакин. «Масхадов отговаривал Басаева идти на Буденновск», газета «Сегодня», №129, 17 Июня 2000 г.

[46] იხ. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმაში „ედინაია როსიას" ფრაქციის საიტზე შესაბამისი ინფორმაცია (http://www.cr-duma.ru/deputats/389?detailed).

[47] А. Трушин. Полет Шамиля. Журнал «Профиль». №1 (173). 17.01.2000.

3.1.2. მიზანი (არსებული ლიტერატურის მიხედვით)

თავის მრავალრიცხოვან ინტერვიუებში შამილ ბასაევი ამტკიცებდა, რომ მის მიზანს არ წარმოადგენდა ბუდიონოვსკი[48] და, რომ იგი მიემართებოდა ქ. მინვოდისკენ (Минеральные Воды), რადგანაც იქიდან სურდა მოსკოვში გადაფრენა და იქ შესაბამისი აქციის ჩატარება[49]. მნიშვნელოვანწილად განსხვავებულ ვერსიაზე საუბრობდა ბასაევის რაზმის წევრი რ. დუნდაევა 2000 წელს ტყვედ ჩავარდნის შემდეგ. მისი თქმით, ბუდიონოვსკის რეიდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი – ასლანბეკ ისმაილოვის საუბრობდა ქ. მინვოდზე, როგორც ჩეჩნური რაზმის საბოლოო მიზანზე[50]. სულ სხვა ვერსია წამოაყენა შამილ ბასაევის ძმამ – შირვანი ბასაევმა ბუდიონოვსკის ამბებიდან ერთი თვის შემდეგ. მისი თქმით ამ აქციის მიზანს რამოდენიმე მფრინავის მძევლად აყვანა წარმოადგენდა[51]. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ბუდიონოვში განლაგებული სამხედრო აეროდრომის მფრინავებზე საუბრობდა.

იმდროინდელი (და, მნიშვნელოვანწილად, დღევანდელიც) რუსული ოფიციოზი და მასთან ასოცირებული გამოცემები[52], აგრეთვე ბუდიონოვსკის ბევრი ოფიციალური პირი თუ გამოცემა[53], თითქმის ერთხმად ამტკიცებდა (და ამტკიცებს), რომ აქციის მიზანი სწორედ ბუდიონოვსკი იყო. ამის მიზეზად, ბუდიონოვსკში განლაგებული სამხედრო აეროდრომის არსებობა სახელდება, საიდანაც ჩეჩნეთი ინტენსიურად იბომბებოდა[54]. იგივე გამოცემას, ამ თეზისის დასამტკიცებლად ბუდიონოვსკის საავადმყოფოში ჩეჩნური ფირმა „ირბისის“ მიერ ფართის დაქირავების ფაქტიც მოჰყავს, სადაც ტერორისტებისთვის იარაღი და ტყვია-წამალი ინახებოდა. თუმცა, სხვა გამოცემები საერთოდ უარყოფენ ასეთი ფირმის არსებობის ფაქტს[55].

რუს ჟურნალისტთა და ექსპერტთა შორის ასევე არ არსებობს ერთია-

---

[48] М. Шевелев. «Московские новости». N 42. 18-25 июня 1995 г. (www.somnenie.naro-d.ru/buden/shamil.html).

[49] იხ. Ю. Рыбаков. Буденновский круг. журнал «Огонёк». №4 (5082). 08.06.2009, მიხედვით.

[50] О. Алленова, М. Степенин. Поймали повариху Басаева. Газета «Коммерсантъ». №134 (2019). 25.07.2000.

[51] იხ. А. Трушин. «Полет Шамиля». журнал «Профиль». №1 (173). 17.01.2000 მიხედვით.

[52] იხ. მაგ. С. Гамаюнов. Буденновск. 10 лет спустя. Воспоминания прокурора, Невинномысск: Невинномысская городская типография. 2005; О. Павлов. «Правда о событиях в Буденовске». Газета «Спецназ России». №6(45), 2000.

[53] იხ. «Московские новости». N 42. 18-25 июня 1995 г. მიხედვით.

[54] იხ. მაგ. Ю. Юрьев, П.Евдокимов. Святой крест «Альфы». Газета «Спецназ России». № 6 (166). 2010.

[55] Буденновск (http://www.hotdotcenter.com/articles/chechnya/arenafight/first/buddenovsk).

ნობა ამ საკითხზე. თუმცა, მინვოდიდან მოსკოვში გადაფრენის ვერსიას, პრაქტიკულად ყველა უარყოფს. ასევე, მრავალი ავტორი უარყოფს ბუდიონოვსკს, როგორც რეიდის საბოლოო მიზანს[56]. ხშირად გვხვდება ვერსია, რომლის მიხედვითაც ბასაევის რეიდის მიზანი ჩრდილოეთ კავკასიის უმსხვილესი სატრანსპორტო ცენტრი – ქ. მინვოდი უნდა ყოფილიყო[57]. გვხვდება სხვა ვერსიებიც. ერთ-ერთი ჟურნალისტის აზრით ბასაევის მიზანი ქ. ნევინომისსკში (Невинномысск) განლაგებული, ასაფეთქებელი ნივთიერებების რუსეთში ერთ-ერთი უმსხვილესი დამამზადებელი ქიმიური ქარხანა უნდა ყოფილიყო[58]. სხვათა შორის საკმაოდ დიდი ქიმიური ქარხანა იყო ბუდიონოვსკშიც, თანაც პრაქტიკულად დაუცველი, მაგრამ ჩეჩენი მებრძოლები იმ მიმართულებით არც წასულან[59].

იმ ადამიანთა არგუმენტები, რომლებიც უარყოფენ ბუდიონოვსკის, როგორც ოპერაციის მიზნად ყოფნას საკმაოდ მარტივია, რა საჭირო იყო რაიონული ცენტრზე თავდასხმა, როდესაც მის სიახლოვეს საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქებია განლაგებული? ასევე მარტივი პასუხი აქვთ ბუდიონოვსკის ვერსიის მომხრეებსაც – ბოევიკთა მოქმედება ისე კარგად იყო ორგანიზებული, რომ მათ აშკარად წინასწარ ჰქონდათ შესწავლილი ოპერაციის ადგილი. ძირითადად, ამ სახის არგუმენტებს ვხვდებით ჩვენს მიერ ციტირებულ ლიტერატურაში.

სხვათა შორის, ბუდიონოვსკის საავადმყოფოს სარდაფში ჩატარებულ პირველ პრეს-კონფერენციაზე, მარშრუტის შესახებ კითხვა ერთადერთი იყო, რომელზეც შ. ბასაევმა უარი თქვა ეპასუხა[60].

3.1.3. მარშრუტიდან „გადახვევის“ მიზეზები (არსებული ლიტერატურის მიხედვით)

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ექსპერტთა და ჟურნალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით ბასაევის მოხვედრა ბუდიონოვსკში შემთხვევითი მიზეზებით იყო განპირობებული. „შემთხვევითი გადახვევის“ ვერსია ბევრ საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციებში გხვდება და მათში ამ მოვ-

[56] Россия-Чечня: Цепь ошибок и преступлений. 1994-1996. М. 2010, გვ. 347.
[57] იხ. მაგ. Ю. Рыбаков. Буденновский круг. Журнал «Огонёк». №4 (5082). 08.06.2009;
[58] О. Блоцкий. Террористы проникают в Россию за деньги. «Независимая газета». 12 марта, 1996.
[59] И. Л. Бунич. Хроника чеченской бойни и шесть дней в Будённовске. СПб. 1995.
[60] ციტ. «Московские новости». N 42. 18-25 июня 1995 г. მიხედვით.

ლენის მსგავსი, თუმცა, დეტალებში მაინც განსხვავებული სცენარია მოთხრობილი.

1995 წლის 14 ივნისს 11.45 სთ-ზე რუსეთის სახელმწიფო ავტოინსპექციის (საი) სტაციონარულ პოსტთან, რომელიც ბუდიონოვსკის სიახლოვეს, უფრო ზუსტად ბუდიონოვსკსა და სოფელ პოკოინოეს (Покойное) შორის ტრასაზე, არზგირისა (Арзгир) და ნეფტეკუმსკის (Нефтекумск) გასაყართან მდებარებს, რამოდენიმე კამაზის ტიპის მანქანა გამოჩნდა, რომელთაც თანმხლებად მილიციის ასევე უნიმრო მანქანა მოყვებოდა. მანქანები სავარაუდოდ დაღესტნის მხრიდან მოდიოდნენ და ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მიუხედავად გაფრთხილებისა, მილიციის პოსტზე საერთოდ არ გაჩერებულან ისე შევიდნენ ქალაქში[61], ხოლო ზოგიერთი წყაროს მიხედვით, გაჩერდნენ, მაგრამ მილიციის თანამშრომლებს არ მისცეს საშუალება ტენტით დაფარული საბარგული დაეთვალიერებინათ, რომელშიც მათი თქმით, ე.წ. «Груз-200» (ჩეჩნეთში დაღუპულთა ცხედრები) იყო[62]. ამის შემდეგ, როგორც ამას პრაქტიკულად ყველა წყარო აღნიშნავს, საი-ს თანამშრომლებმა თავისი ეჭვების შესახებ შეატყობინეს კოლეგებს: ზოგიერთი წყაროს მიხედვით ბუდიონოვსკის მილიციის მორიგეს[63], ხოლო სხვათა მიხედვით, მათ მეზობლად – ბუდიონოვსკსა და სოფელ პრასკოვეას (Прасковея) შორის განლაგებულ ანალოგიურ პოსტს[64]. სავარაუდოდ, ალბათ უფრო მისაღებია ის ვერსია, რომ მათ ქალაქში მორიგეს შეატყობინეს, რადგანაც მათ არ შეიძლებოდა ცოდნოდათ, რომ ჩეჩნები მაინცა და მაინც პრასკოვეაზე გამავალი გზით წავიდოდნენ (ბუდიონოვსკი გარე სამყაროსთან, გარდა P-263 ავტოტრასისა, ასევე დაკავშირებულია P-266 ავტოტრასით). ბუდიონოვსკის მილიციის მაშინდელი უფროსის (ხოლო ინტერვიუს აღების მომენტში კი ქალაქის მერის) ნ. ლიაშენკოს (Н. Ляшенко) და 1995 წლის 14 ივნისის დილით მილიციის მაშინდელი მორიგის გ. ცაბინის (Г. Цабин) თქმით პოკოინოეს პოსტიდან მიღებული შეტყობინების შემდეგ (საუბარია შეტყობინებაზე იმის შესახებ, რომ კოლონამ არ მისცა საი-ს თანამშრომლებს საშუალება საბარგული ენახებინათ) გაცემული იქნა ბრძანება, რომლის მიხედვითაც პოკოინოეს პოსტზე განლაგებული მი-

[61] Н. Гритчин. В России все больше спецслужб, а террористы захватывают города. газета «Известия». N 109. 16 июня. 1995.
[62] И. Бураков, Н. Поросков. Дорога на Москву. Газета «Время новостей». N198. 25 октября 2002.
[63] Н. Гритчин. В России все больше спецслужб, а террористы захватывают города. Газета «Известия». N 109. 16 июня 1995.
[64] И. Бураков, Н. Поросков. Дорога на Москву. Газета «Время новостей». N198. 25 октября 2002.

ლიციის თანამშრომლები უნდა დაწეოდნენ კოლონას და დაეთვალიერებინათ რა ტვირთი გადაქონდათ სამხედროებს[65]. როგორც ნ. ლიაშენკო ამბობს, მეორედაც უარყოფითი პასუხი იქნა მიღებული და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა კოლონის ბლოკირება პრასკოვეის პოსტზე. თუმცა, გაუგებარია, თავად ქალაქში რატომ არ მოხდა მათი გაჩერება. მისდევდა თუ არა პოკოინოეს პოსტიდან მილიციის მანქანა კოლონას პრასკოვეას პოსტამდე თუ არა? ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის არის, რომ როდესაც აღნიშნული კოლონა პრასკოვეასთან მოხვდა ისინი გააჩერეს და საბარგულის დათვალიერება მოთხოვეს. პრასკოვეასთან კოლონის გაჩერებისა და საი-ს თანამშრომლებთან მოლაპარაკების ფაქტი სასამართლოზე დაადასტურა რაზმის ჩეჩენმა მებრძოლმაც[66]. რადგანაც, ჩეჩნები ასეთი დათვალიერების წინააღმდეგი იყვნენ, ცაბინიდან ან ლიაშენკოდან მოსული ბრძანების თანახმად, საი-ს თანამშრომლებმა მათ მოთხოვეს კოლონის მოტრიალება და საბარგულის დასათვალიერებლად ქალაქის მილიციის შენობისკენ წასვლა. რაზეც ჩეჩნები დათანხმდნენ. ბუდიონოვსკის მილიციის შენობასთან მისულმა ჩეჩენთა რაზმმა რაც შემდგომ მოახდინა ყველასთვის არის ცნობილი.

თავის ინტერვიუებში ბასაევს არაერთხელ უთქვამს, რომ მათი „მოგზაურობის" განმავლობაში გზაზე განლაგებულ საგზაო მილიციის თანამშრომლებს იმდენი თანხა გადასცეს კოლონის უპრობლემოდ გატარებისთვის ქრთამის სახით, რომ სწორედ ბუდიონოვსკთან გაუთავდათ ფული და ამიტომ იძულებულნი იყვნენ ამ ქალაქისთვის შეეტიათ[67]. ამ ვერსიის სარწმუნოობის შეფასება ძალიან ძნელია. მითუმეტეს, რომ თავის სხვა ინტერვიუში, ბასაევი ბუდიონოვსკში მოხვედრას სხვაგვარად ხსნიდა. იგი აღარ ლაპარაკობდა ფულის დეფიციტზე და აღნიშნავდა, რომ ბუდიონოვსკში იმიტომ მოხვდნენ, რომ ისინი იძულებული იყვნენ მობრუნებულიყვნენ[68]. როდესაც ამ იძულებაზე საუბრობდა, ბასაევი სავარაუდოდ გულისხმობდა მილიციის პოსტს ბუდიონოვსკის გასასვლელთან (სოფელ პრასკოვეაში) ანუ მისი ეს ვერსია ახლოს

[65] С. Бирюкова. Будённовский крест. 2010. (http://zhurnal.lib.ru/p/petrienko_p_w/010_budkrest.shtml).

[66] Ж. Щелкунова. Личный охранник «генерала». «Ставропольская правда». 24 сентября 2003 г.

[67] (იხ. Ю. Рыбаков. Буденновский круг. Журнал «Огонёк». №4 (5082). 08.06.2009; და И. Л. Бунич. Хроника чеченской бойни и шесть дней в Будённовске. СПб. Облик. 1995 მიხედვით.

[68] Мы ведь просхали Буденновск, нас остановили уже за городом, пришлось вернуться. Я понял, что лучше в городе воевать, чем в чистом поле. Это была импровизация" (Шевелев М. N 42, 18-25 июня 1995 г. (www.somnenie.narod.ru/buden/shamil.html)).

იყო ამ მოვლენების ყველაზე უფრო გავრცელებულ ვერსიასთან.

ყველა ამ ვერსიის თანახმად, ბუდიონოვსკში რეიდი მართლაც შემთხვევითი ფაქტორებით არის გამოწვეული.

ჩვენს ანალიზს და ლიტერატურაში არსებულ სხვა მასალას დასკვნით ნაწილში მოვიყვანთ.

3.2. ბუდიონოვსკი, როგორც სამიზნე

ამ ნაწილში შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ, ჩეჩნეთის სიახლოვეს მდებარე რუსეთის ქალაქებიდან რომელზე თავდასხმა ყველაზე უფრო მეტად „მომგებიანი" იქნებოდა ჩეჩნებისთვის წმინდა სამხედრო-სტრატეგიული (რასაკვირველია, ზემოთმოყვანილი ან მსგავსი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე).

საქმე ის არის, რომ ამ აქციის დამგეგმავთა მიზნებიდან გამომდინარე იდეალური „სამიზნე" ქალაქის/ობიექტის პარამეტრები განსხვავებული იქნებოდა (როგორც უკვე ვაჩვენეთ, ბუდიონოვსკის რეიდის დროს ჩეჩენთა მიზნებზეც არ არსებობს ერთიანი მოსაზრება). თუ სამხედრო ობიექტზე თავდასხმა იგეგმებოდა, მაშინ სხვა რამ იქნებოდა პრიორიტეტული, ხოლო თუ ქალაქის აღება, მაშინ სხვა და ა.შ. რასაკვირველია, ზოგადი სახით ამ პრინციპების ჩამოყალიბება ძალიან ძნელია. რადგანაც სამიზნე ობიექტის შერჩევა დამოკიდებული იყო მრავალ ფაქტორზე: ამ ქალაქამდე/ობიექტამდე მანძილზე, მისკენ მიმავალი გზების დაცულობაზე, გზის გარშემო მაცხოვრებელი მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე, სამიზნე ქალაქში აგენტურის არსებობაზე და ა.შ.

თუ რომელიმე ქალაქის აღებას აპირებდნენ ჩეჩნები, მაშინ:

1. ასეთი ქალაქი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, რადგანაც დიდი ქალაქის აღება უფრო რეზონანსული იქნებოდა (ასეთ ქალაქებში მიმდინარე მოვლენები უკეთ შუქდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ), მაგრამ არც ისეთი დიდი, რომ მასში ბევრი სამართალდამცავი ყოფილიყო (რაც გაართულებდა დასახული მიზნის განხორციელებას).

2. უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს ქალაქი რუსეთის რომელიმე მხარის ტერიტორიაზე ყოფილიყო (და არა რომელიმე ნაციონალური რესპუბლიკის, რადგანაც მათ მოსახლეობასთან, რომელთა უმრავლესობა სიმპათიით უყურებდა ჩეჩნების ბრძოლას დამოუკიდებლობისადმი (გამონაკლისს, მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა წარმოადგენდა), ურთიერთობის გაფუჭება

არ ღირდა. თანაც, სავარაუდოდ, მძევლად აყვანილი არარუსებისადმი კრემლი ხელისუფლება უფრო ულმობელი იქნებოდა) და/ან ეთნიკურად რუსული ყოფილიყო.

3. ასევე უმჯობესი იქნებოდა, რომ გზის მნიშვნელოვანი ნაწილი კოლონას გაეარა არა ჩეჩნეთის (ჩეჩნეთში ფედერალური ძალების დიდი რაოდენობის ბლოკპოსტების არსებობის გამო) ან რუსეთის რომელიმე მხარის[69] ტერიტორიაზე (ადგილობრივი მოსახლეობის ნეგატიური განწყობის გამო, რაც სამიზნე ქალაქში მისვლამდე აღმოჩენის საფრთხის ალბათობას ზრდიდა), არამედ ისეთ ტერიტორიაზე, სადაც მათდამი სიმპატიით განწყობილი მოსახლეობა ცხოვრობდა (კერძოდ, ინგუშეთი და დაღესტანი). ამ შემთხვევაში დროზე ადრე აღმოჩენის საფრთხე მინუმუმამდე იყო შემცირებული.

რუსული მოსახლეობის მქონე და სტავროპოლის მხარის ტერიტორიაზე განლაგებული ქალაქებიდან რეზონანსის თვალსაზრისით უკეთესი იქნებოდა კავკასიის მინერალური წყლების (Кавказские Минеральные Воды) რეგიონის რომელიმე ქალაქში რეიდის მოწყობა (ამ რეგიონს განეკუთვნებიან ერთმანეთთან ახლოს მდებარე ქალაქ-კურორტები: მინვოდი (Минеральные Воды), ესენტუკი (Ессентуки), პიატიგორსი (Пятигорск), ჟელეზნოვოდსკი (Железноводск), კისლოვოდსკი (Кисловодск) და სხვა). აქ გარდა პოპულარული საკურორტო ზონებისა, განლაგებულია საერთაშორისო აეროპორტი (მინვოდი), სტავროპოლის მხარის სავაჭრო ცენტრი (პიატიგორსკი), მრავალი სამრეწველო საწარმო და სხვა დანიშნულების ობიექტები. თავდასხმის ობიექტად შეიძლებოდა თავად სტავროპოლის არჩევაც, როგორც ამ მხარის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრისა. თუმცა, ჩეჩნეთიდან ბუდიონოვსკი მათზე უფრო ახლოს იყო (როდესაც, სიახლოვეზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ არა მარტო მანძილს ამ ქალაქებს შორის, არამედ გარემოსაც, რომელში მოძრაობაც მოუწევდათ ჩეჩენ მებრძოლებს. ამ თვალსაზრისით დაღესტნის გავლით სტავროპოლის მხარეში გადასვლა, საუკეთესო არჩევანი იყო) და გზა ამ ქალაქამდე უფრო უსაფრთხო იქნებოდა. თანაც, ეს ქალაქები ბევრად უკეთესად იქნებოდა დაცული[70]. სამაგიეროდ, ბუდიონოვსკი ჩამოუ-

[69] რეალურად, საუბარია მხოლოდ და მხოლოდ სტავროპოლის მხარეზე, რადგანაც ჩეჩნეთს გარდა ჩრდილოეთ ოსეთისა, ინგუშეთისა და დაღესტნისა, მხოლოდ ეს მხარე ესაზღვრება.

[70] ჩეჩენთა მრავალრიცხოვანმა რეიდებმა ჩეჩნეთის გარეთ ჩეჩნეთ-რუსეთის I და II ომების დროს მნიშვნელოვნად შეარყიეს ეს ვარაუდი. მაგრამ 1995 წლის ივნისამდე შესაძლებელია კიდევ არსებობდა მითი რუსეთის ქალაქების კარგი დაცულობის შესახებ.

ვარდება ამ ქალაქებს მოსახლეობის სიდიდით და მნიშვნელობით. ჩეჩნებს შეეძლოთ თავისი არჩევანი გაეკეთებინათ ქალაქ ნეფტეკუმსკზეც (Нефтекумск), რომელიც მოსახლეობით ბუდიონოვსკზე პატარა იყო (1996 წლის დაახლოებითი მონაცემებით: 25.1 ათასი[71] – 61.9 ათასის[72] წინააღმდეგ), მაგრამ სამაგიეროდ, ჩეჩნების მიერ შერჩეული მარშრუტის მიხედვით ნეფტეკუმსკი ბუდიონოვსკზე უფრო ახლოს იყო. სხვათა შორის ჩეჩნურმა რაზზმა ეს ქალაქი გამოიარეს ან რამოდენიმე კილომეტრში ჩაუარეს მას.

ალბათ, ბევრი სხვა ვარიანტი შეიძლებოდა არსებულიყო. ამ თვალსაზრისით ბუდიონოვსკი ალბათ არ იყო საუკეთესო ვარიანტი, მაგრამ არც ყველაზე ცუდი არჩევანი უნდა ყოფილიყო.

თუ სამხედრო ობიექტზე აპირებდნენ თავდასხმას, მაშინ უმჯობესი იყო ყველაზე სუსტად დაცული ობიექტის შერჩევა ან ისეთი ობიექტის შერჩევა, რომელიც მაქსიმალურ სიძულვილს იწვევდა ჩეჩნეთის მოსახლეობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩეჩნეთში ასეთი დამოკიდებულება სწორედ სამხედრო მფრინავებისადმი არსებობდა[73] (რადგანაც მხოლოდ მათ წინააღმდეგ იყვნენ ჩეჩენი მებრძოლები უძლურნი, ეფექტური ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების არქონის გამო), მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ ობიექტად სამხედრო აეროდრომი იქნებოდა შერჩეული. თანაც, სატანკო ან სხვა სახმელეთო ჯარებისაგან განსხვავებით, ავიაცია თავის ძალას ავლენს მხოლოდ აფრენის შემდეგ, ხოლო მიწაზე თვითმფრინავები და ვერტმფრენები საკმაოდ დაუცველი ობიექტებია.

ჩვენთვის ცნობილი აეროდრომების სიიდან სტავროპოლის მხარეში მხოლოდ 6 აეროდრომია: აქედან 2 უკვე მიტოვებული. დარჩენილი 4 აეროდრომიდან: ერთი აეროდრომი სპორტული დანიშნულებისაა, მეორე – ჩვენს მიერ ნახსენები მინვოდის საერთაშორისო აეროპორტი (2010 წელს გადაყვანილ მგზავთა რაოდენობის მიხედვით – რუსეთში მეოცე ადგილზე მდგომი[74]), ხოლო დანარჩენ ორს სამხედრო დანიშნულება აქვს[75]. აქედან, სტავ-

---

[71] Народная энциклопедия городов и регионов России Мой Город. «Нефтекумск» (http://www.mojgorod.ru/stavrop_kraj/neftekumsk/index.html).

[72] Народная энциклопедия городов и регионов России Мой Город. «Буденновск» (http://www.mojgorod.ru/stavrop_kraj/budjonovsk/index.html).

[73] იხ. მაგ. Е. А. Федосов. Полвека в авиации. М. 2004. (http://fb2.booksgid.com/content/92/evgeniy-fedosov-polveka-v-aviacii-zapiski-akademika/90.html).

[74] 30 крупнейших аэропортов России 2010 (http://www.airlines-inform.ru/rankings/russian_airports_2010.html).

[75] http://ru.wikipedia.org/wiki/Категория:Аэродромы_Ставропольского_края.

როპოლის სიახლოვეს არსებული შპაკოვსკოეს (Шпаковское) საერთაშორისო აეროპორტი შერეული (სამოქალაქო-სამხედრო) დანიშნულებისაა, ხოლო ბუდიონოვსკის აეროდრომი კი წმინდა სამხედრო დანიშნულების. თუმცა, შპაკოვსკოეს აეროპორტში ბაზირებულია მესაზღვრეთა ჯარების ავიაცია, რომელიც სავარაუდოდ არ მონაწილეობდა ჩეჩნეთის დაბომბვაში ან მონაწილეობდა შეზღუდულად. რჩება მხოლოდ ბუდიონოვსკის სამხედრო აეროდრომი. ამ თვალსაზრისით, ბუდიონოვსკი საკმაოდ „მისაღები“ სამიზნე იყო.

რასაკვირველია, ჩვენ მხოლოდ ავიაობიექტებზე ვკონცენტრირდით, არადა სტრატეგიულ ობიექტთა ჩამონათვალში მრავალი სხვა სამიზნე შეიძლება ფიგურირებდეს. აქ არც ადგილია და არც საშუალება, რომ გავაანალიზოთ ყველა შესაძლო სამიზნე, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, რაღაც თვალსაზრისით ბუდიონოვსკი საუკეთესო სამიზნე შეიძლება ყოფილიყო, სხვა თვალსაზრისით კი არც თუ ისეთი კარგი.

3.3. დასკვნითი მონახაზები

ჩვენს მიერ წარმოდგენილ მასალაში თითქოს ყველაფერი ნათელია: მართალია, ზუსტად არ არის ცნობილი რომელ ქალაქზე აპირებდნენ ჩეჩენი მებრძოლები თავდასხმას, მაგრამ ბუდიონოვსკიდან გამოსვლისას, რომ არ მოებრუნებინათ ისინი უკან, აშკარად სხვაგან წავიდოდნენ. მაშასადამე, ბუდიონოვსკში ისინი შემთხვევით მოხვდნენ და ჩვენი ჰიპოთეზა ბუდიონოვსკის წინასწარი არჩევის შესახებ არ არის მართებული. არც რუსეთისა და ბუდიონოვსკის ოფიციოზის სიტყვებს აქვს მაინცა და მაინც დიდი ფასი. ჯორჯ ორუელისეულ სივრცეში გამოზრდილ ადამიანებისაგან მხოლოდ იმ ინფორმაციას უნდა ელოდე, რომელიც მათ ამ მომენტში აწყობთ.

თუმცა, ამ საკითხის გარშემო ლიტერატურის ანალიზის შედეგად ვიპოვეთ რიგი საინტერესო ფაქტებისა, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებიან ყველაზე გავრცელებულ ვერსიას.

ნ. ლიაშენკო 2005 წელს მიცემულ ინტერვიუში, 1999 წელს მიცემული ინტერვიუსაგან (ამ უკანასასკნელზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი) გარკვეულწილად განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. მისი თქმით, ბასაევის რაზმი მინვოდში მიემართებოდა (ბუდიონოვსკის მრავალი ოფიციალური წარმომადგენლებისგან განსხვავებით ის ბუდიონოვსკში შემთხვევით მოხვედრის ვერსიის მომხრეა), მაგრამ გზა შეეშალათ და პრასკოვეასკენ შეუხვიეს, როდესაც ისინი ამას მიხვდნენ, დაიწყეს უკან მოხვევა და ამ მომენტში იქნენ

გაჩერებული პრასკოვეას პოსტზე საი-ს თანამშრომლების მიერ («...басаевцы двигались в сторону Минеральных Вод, где находится крупный международный аэропорт, но на трассе «промахнулись» с поворотом. Когда они это поняли, то тремя «КамАЗами», в которых якобы везли погибших в Чечне военнослужащих, и сопровождающими легковушками у села Прасковея стали разворачиваться. И были остановлены сотрудниками ГАИ, приказавшими показать груз. Боевики выполнить приказ отказались и потребовали сопроводить их в ОВД»)[76]. გამოდის, რომ ჩეჩნებმა ჯერ დაიწყეს მოხვევა და შემდეგ იქნენ ისინი გაჩერებულები. არსებობს აგრეთვე, კიდევ ერთი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩეჩნებს ბუდიონოვსკში დაბრუნება მილიციის გარეშეც უნდოდათ. კერძოდ, ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებმა რ. დუნდაევამ (ბასაევის რაზმის წევრი) 2001 წელს სასამართლოზე განაცხადა, რომ ბასაევმა გადაიფიქრა მინვოდში წასვლა და ბუდიონოვსკში დაბრუნება გადაწყვიტა («По словам Дундаевой, Басаев передумал и приказал боевикам, двигавшимся на Минводы, свернуть на Буденновск в самый последний момент - уже на территории Ставропольского края, вблизи от милицейского поста»)[77]. ეს ფაქტები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ბუდიონოვსკში მხოლოდ „მილიციის ძალით“ ჩეჩნური რაზმების დაბრუნებას. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, ნ. ლიაშენკოს თქმით, ჩეჩნებს მოსახვევი შეეშალათ და პრასკოვეაში შემთხვევით მოხვდნენ. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს საშუალება შევამოწმოთ (ობიექტური მიზეზების გამო) რომელ ადგილას იდგა საი-ს პოსტი, რომლიდანაც მოაბრუნეს ბასაევი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ის, იმ არეში ყველაზე დიდ მაგისტრალზე – P-263 ავტოტრასაზე იყო განლაგებული. არადა, სწორედ ეს გზა არის უმოკლესი ბუდიონოვსკიდან მინვოდში მოსახვევრად[78]. გამოდის, რომ თუ ბასაევის რაზმს მართლაც შეეშალა მოსახვევი, არა იმიტომ, რომ იგი მინვოდში მიემართებოდა. ეგებ სხვა რამეშია საქმე? ეგებ სამიზნეს ბუდიონოვსკში განლაგებული სამხედრო აეროდრომი წარმოადგენდა, როგორც ამას რუსეთის ბევრი ოფიციალური პირი

[76] Г. Чародеев. Буденновск: позор и подвиг. Малоизвестные подробности. Газета «Труд», 14 июня 2005.

[77] Сообщница Басаева раскрыла суду причины нападения на Буденновск. 08.10.2001. (http://www.lenta.ru/vojna/2001/10/08/dundaeva).

[78] დასახლებული პუნქტებს შორის არსებული მანძილისა და ააეტომობილო მარშრუტების, აგრეთვე სხვადასხვა ობიექტების განლაგებას ეა'ს'ს'ტებდით კომპიუტერული პროგრამა "Google Earth" (ver. 6.1.0.5001) სატელიტური სურათების, http://maps.google.com, http://www.openstreetmap.org, http://wikimapia.org და http://maps.yandex.ru რ'ექების სერვისის საშ'ალებით.

თუ მათთან ასოცირებული ჟურნალისტი ამტკიცებდა? თუ ბუდიონოვსკის სამხედრო აეროდრომამდე მისვლას აპირებდნენ ჩეჩნები, მაშინ მათ მართლაც, შეშლიათ მოსახვევი. აეროდრომამდე ისინი სხვადასხვა გზით უნდა მისულიყვნენ. არსებობდა იქ მისასვლელი, როგორც ჩრდილოეთის (ნაცვლად P-263 ავტოტრასისა უნდა გასულიყვნენ P-266 ავტოტრასაზე და შემდეგ სამხრეთის მიმართულებით მიმავალი ლოკალური მნიშვნელობის გზით მოხვდებოდნენ აეროდრომზე) ისე სამხრეთის (ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ლევ ტოლსტოის ქუჩას გაყოლოდნენ ბოლომდე, გასულიყვნენ ქალაქიდან და არმისული სოფელ პრეობრაჟენსკოემდე (Преображенское) მოეხვიათ ჩრდილოეთისკენ და აეროდრომისკენ მიმავალ სოფლის ერთ-ერთ შარაგზას დადგომოდნენ) გზა[79]. ალბათ, აეროდრომამდე კიდევ სხვა გზებითაც შეიძლებოდა მისვლა. ნებისმიერ შემთხვევაში, პრასკოვეაზე გამავალი გზა, ყველაზე ცუდი ვარიანტი იყო.

მაშასადამე, ბუდიონოვსკის გასასვლელთან (პროსკოვეასთან) ბასაევის რაზმის მოხვედრა, კოლონის შემობრუნების შესახებ მოყვანილი მონაცემებისა და აეროდრომისკენ მისასვლელი გზების ანალიზის გათვალისწინებით, აღარ ეწინააღმდეგება ბუდიონოვსკის, როგორც ჩეჩნების თავდაპირველი სამიზნის იდეას.

გარდა ამისა, 14 ივნისის მოვლენების ქრონოლოგია მეტყველებს, რომ ჩეჩენი მებრძოლები საკმაოდ კარგად ორიენტირდებოდნენ ქალაქში. მათ იცოდნენ სად იყო განლაგებული მათთვის მნიშვნელოვანი ობიექტები. აიღეს ქალაქის მერია. მოახერხეს ბუდიონოვსკის გარესამყაროსთან დამაკავშირებელი სატელეფონო ხაზის გადაჭრა, რომელიც მხოლოდ სამი საათის შემდეგ აღდგა. ეს ყოველივე, არაპირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ შესაძლებელია, ქალაქის სქემა მებრძოლებს წინასწარ შესწავლილი ჰქონდათ.

რატომ არ დაესხნენ მაშინ ჩეჩენი მებრძოლები სამხედრო აეროდრომს თავს? ამის ახსნა ძალიან მარტივია. მას შემდეგ რაც ისინი იძულებულები იყვნენ ბუდიონოვსკის მილიციის შენობასთან მისულიყვნენ, მათ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ გარდა იმისა, რომ ამ შენობისთვის შეეტიათ. თუმცა, შესაძლებელია, რომ სამხედრო აეროდრომზე თავდასხმის გარდა, მათ ქალაქის ხელში ჩაგდებაც ჰქონდათ დაგეგმილი. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტიც, რომ როდესაც ქალაქ ყიზლარზე და მის აეროდრომზე თავდასხვა იგეგმებოდა (ამაზე ცოტათი ქვემოთ), სალმან რადუევის თქმით, სწორედ ასეთ – „ორ-

[79] მარშრუტის ანალიზისას გამოყენებული მასალაზე უკვე ვისაუბრეთ.

მაგ“ ვარიანტზე (აეროდრომზე თავდასხმა და ქალაქის ხელში ჩაგდება) შეჩერდა ჩეჩნეთის ხელმძღვანელობის ყურადღება.[80]

ბუდიონოვსკის, როგორც თავდაპირველი სამიზნის იდეას, რომ დავეთანხმოთ კიდეც, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სწორედ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეარჩიეს ჩეჩნებმა ეს ობიექტი. შესაძლებელია, ასეთი არჩევანი მხოლოდ სამხედრო აეროდრომის (რომელზეც მაშინ განთავსებული იყო საბრძოლო მართვის 487-ე ვერტმფრენთა ცალკეული პოლკი და სამხედრო-საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების 4 არმიის გვარდიის 1-ლი შერეული ავიადივიზიის 368 მოირიშე ავიაპოლკი) არსებობის გამო გაკეთებულიყო. ჩვენ რასაკვირველია არ ვუარყოფთ ამ არგუმენტს, მაგრამ ვთვლით, რომ მასთან ერთად ისტორიულ მოტივებსაც ჰქონოდა ადგილი.

მაინც რა გვაფიქრებინებს ამაზე გარდა ზემოთმოყვანილი ორი სვიატოი კრესტის არსებობისა?

ამაზე გვაფიქრებინებს ჩეჩენთა მეორე რეიდის ობიექტიც. საქმე ის არის, რომ ჩეჩნურ-რუსული I ომის დროს ჩეჩნებმა ომის დამთავრების მოთხოვნით ქვეყნის გარეთ ორად-ორი რეიდი მოაწყვეს.[81] პირველი, შამილ ბასაევის რეიდი იყო. ამ რეიდმა მართალია ომს საბოლოოდ ვერ დაუსვა წერტილი, მაგრამ ცნობილი ისტორიულ-სამართალდამცავი საზოგადოების „მემორიალის“ დასკვნის მიხედვით ბუდიონოვსკის ამბების შედეგად ხელმოწერილ დოკუმენტებს საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა: «Хотя в дальнейшем переговоры не привели к политическому урегулированию в Чечне, а задачи, поставленные в подписанном Соглашении по блоку военных вопросов, так и не были выполнены, послебуденновский мирный процесс позволял избегать крупномасштабных боевых действий в течение полугода, причем в течение двух месяцев деятельность Специальной наблюдательной комиссии позволяла даже урегулировать ряд конфликтных ситуаций, не допускать возобновления столкновений».[82] მეორე რეიდი კი – 1996 წლის 9 იანვარს ქალაქ ყიზლარში განახორციელეს ჩეჩნურმა რაზმებმა სალმან რადუევისა და ხუნქარფაშა ისრაპილოვის ხელმძღვანელობით. როგორც თავად რადუევმა თქვა სასამართლოზე დაკითხვისას ამ ქალაქზე თავდასხმის მიზეზი

[80] В. Устинов. Обвиняется терроризм. М. 2002, გვ. 202-215.

[81] И. Бураков, Н. Поросков. Дорога на Москву. Газета «Время новостей». N198. 25 октября 2002.

[82] Россия-Чечня: Цепь ошибок и преступлений. 1994-1996. М. 2010, გვ. 49-53.

მასში განლაგებული სამხედრო აეროდრომი იყო, რომელზეც საბრძოლო ვერტმფრენები იყო დისლოცირებული. თუმცა, მისივე თქმით ჯ. დუდაევის მიერ დასახული ოპერაციის ერთ-ერთ მიზანი, ქალაქის ხელში ჩაგდებაც წარმოადგენდა[83].

ჩვენი ჰიპოთეზის სისწორეში, რომ დავრწმუნდეთ ისევ ისტორიას უნდა დავუბრუნდეთ. 1735 წელს ციხე-სიმაგრე სვიატოი კრესტის მოთხრის შემდეგ რუსებმა, იმავე წელს ახალი ციხე-სიმაგრე – ყიზლარი ააშენეს[84]. თანაც, ეს უბრალოდ ერთი ციხის ნაცვლად მეორეს მშენებლობა არ ყოფილა. ყიზლარს კოლოსალური ადგილი ეკავა კავკასიაში რუსეთის ექსპანსიის საქმეში. აკადემიკოსმა ა. პ. ბერჟემ ყიზლარს კავკასიაში რუსული (რუსეთის) დედაქალაქი უწოდა («Кизляр был, так сказать, русской столицей на Кавказе»)[85]. უფრო გვიანდელი ავტორებიც არ აკლებენ ეპითეტებს ყიზლარს. ბ. ვ. სკიტსკი აღნიშნავს, რომ «Кизляр ... являлся главной цитаделью русского могущества на Северном Кавказе»[86]. მართალია, 1763 წლის შემდეგ ეს სტატუსი მოზდოკზე გადადის, მაგრამ ყიზლარი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში[87] და XIX საუკუნის პირველ მესამედშიც[88] რჩება კავკასიაში უმნიშვნელოვანეს ქალაქად. იმდენად მნიშვნელოვნად, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიას ყიზლარის მხარესაც კი უწოდებდნენ.[89] ყიზლარის განსაკუთრებულ როლზე მხოლოდ რუსი ავტორები არ საუბრობენ. იგივეა აღნიშნული ჩრდილოეთკავკასიელ ისტორიკოსთა შრომებშიც, რომლებშიც გამეორებულია თეზისი, ყიზლარზე, როგორც რუსულ დედაქალაქზე[90]. თანაც, მიუხედავად დაღესტანში მდებარეობისა ყიზლარი მასში მაც-

[83] В. Устинов. Обвиняется терроризм. М. 2002, გვ. 195-198, 202-215.

[84] Т. Барретт. Линии неопределенности: северокавказский «фронтир» России. Американская русистика. Вехи историографии последних лет: Антология. Самара. 2000. Т. 2. Императорский период, გვ. 179.

[85] Акты, собранные Кавказской Археологической Комиссией. Тифлис: Типография главного управления наместника Кавказского. 1866. Т. I, გვ. X.

[86] Б. В. Скитский. Социальный характер движения имама Мансура. Известия 2-го Северо-Кавказского пединститута им. Т. Гадиева. Т. 9. юбилейный сборник. Орджоникидзе. 1932, გვ. 111.

[87] Ю. Ю. Гранкин. Кизляр – политический и экономический центр Северо-Восточного Кавказа в XVIII веке. Российская история: актуальные вопросы (общенациональный и региональный аспекты). Ученые записки. Выпуск 2. Пятигорск. 2003, გვ. 136-142.

[88] Н. П. Гриценко. Города Северо-восточного Кавказа. Ростов. 1984, გვ. 88.

[89] Н. П. Гриценко. Города Северо-восточного Кавказа. 1984, გვ. 88.

[90] Ш. Б. Ахмадов. Чечня и Ингушетия в XVIII-начале XIX века. (Очерки социально-экономического развития и общественно-политического устройства Чечни и Ингушетии в XVIII – начале XIX века). Монография. Элиста. 2002, გვ. 398-399; Б. В. Туаева. Из истории фор-

ხოვრებელი მოსახლეობის მიხედვითაც კი იმ დროსაც რჩებოდა „არადაღესტნურ“, რუსულ ქალაქად. 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით ქალაქ ყიზლარში რუსული მოსახლეობის წილი 49,2% შეადგენდა. დაღესტნის არცერთ სხვა ქალაქში რუსული მოსახლეობის წილი ასეთი მაღალი არ ყოფილა. თუმცა, 1989 წლის მონაცემების მიხედვით ყიზლარში კიდევ უფრო მეტი რუსი (63.5%) ცხოვრობდა.[91]

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ყიზლარის მეორე დარტყმის (პირველი-ბუდიონოვსკი იყო) ობიექტად ამორჩევა, გარკვეულ ლოგიკაში „ჯდება“, რადგანაც სვიატოი კრესტის დატოვების შემდეგ სწორედ ყიზლარზე გადავიდა კავკასიაში რუსული ფორპოსტის ფუნქცია. ძნელი სათქმელია, რამდენად მისდევდნენ ამ ლოგიკას ის ადამიანები ვინც გეგმავდა მოცემულ ოპერაციებს. ფაქტია, რომ, როგორც მინიმუმ უცნაურ დამთხვევასთან (თან ორ დამთხვევასთან) გვაქვს საქმე.

კიდევ ერთი მომენტი აღნიშვნა გვინდა. სტატიის პირველ ნაწილში საკმაოდ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა იმისთვის, რომ დაგვედგინა ჩეჩნურ-რუსული შეიარაღებული დაპირისპირების დასაწყისის თარიღი. შეიძლებოდა ჩეჩენ ხელმძღვანელთაგან რომელიმე მისულიყო ანალოგიურ დასკვნებამდე? მითუმეტეს, რომ თავად ჩეჩენ ავტორებს შორის შეიმჩნევა ტენდენცია კონფლიქტური ურთიერთობების დასაწყისის უფრო ადრინდელი რიცხვით დათარიღებისკენ. ამ არგუმენტს შემდეგი პასუხი უნდა გავცეთ. საქმე ის არის, რომ ფრაზა ჩეჩნებსა და რუსებს შორის პირველი შეტაკების შესახებ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემაშია აღნიშნული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ენციკლოპედია სავსეა წმინდა ორუელისეული პასაჟებით, ის მაინც ავტორიტეტულ წყაროდ შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული გარკვეულ წრეებში. შესაბამისად, მასზე დაყრდნობით შეიძლებოდა დაეგეგმათ ბუდიონოვსკისა და ყიზლარის ოპერაცია.

აქამდე ასე თუ ისე მაინც ფაქტებით ვოპერირებდით. სტატიის ბოლოში კი გვინდა, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი აზრი გამოვთქვათ. ბევრი ვიფიქრეთ იმაზე თუ ვის შეიძლებოდა სცოდნოდა ამ ისტორიული ფაქტების

мирования системы городских поселений на Северном Кавказе. Материалы X ежегодной научно-практической конференции Владикавказского института управления: „Человек, государство, общество: традиционные проблемы и новые аспекты“. Владикавказ. 2008, გვ. 375-388; А. А. Цуциев. Атлас этнополитической истории Кавказа (1774-2004). М. 2007, გვ. 23 და სხვა.

[91] Население Дагестана (http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rndaghestan.html)

შესახებ. მე ასეთ ადამიანად ჩეჩნეთის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი პოეტი ზელიმხან იანდარბიევი მესახება. სწორედ მას, როგორც იდეოლოგსა და ჩეჩნეთის ხელმძღვანელობაში ყველაზე უფრო განათლებულ ადამიანს, შეიძლებოდა სცოდნოდა ეს ისტორია. ხოლო სიმბოლოებისადმი ზედმეტი ყურადღების მიქცევა (ე.ი. ომის დამთავრება იქ საიდანაც იგი დაიწყო) შესაძლებელია, ჯოჰარ დუდაევის ხელწერაა. მითუმეტეს, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც დუდაევთან 1992-1993 წლებში სტუმრობდა, თავად ძალზე მგრძნობიარე იყო სიმბოლოებისადმი და ხშირად იყენებდა მათ თავის პოლიტიკურ აქციებში (მაგ. საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის დანიშვნის დამთხვევა საკუთარ დაბადების დღეზე და ა.შ.). შესაძლებელია, მან ეს „გადადო“ დუდაევსაც.

ეს მოსაზრებები არცთუ მოკლებულია აზრს იმიტომ, რომ ყიზლარის აქციის დაგეგმვაში სავარაუდოდ თავად ჯ. დუდაევიც მონაწილეობდა.[92] რაც შეეხება ბუდიონოვსკზე რეიდის დაგეგმვას, მართალია შ. ბასაევი ამტკიცებმა, რომ ეს მხოლოდ მისი ინიციატივა იყო და, რომ დუდაევმა არ იცოდა ამის შესახებ, მაგრამ ჩეჩნების შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის მეთაურმა – ასლან მასხადოვმა თავად განაცხადა, რომ ის ცდილობდა უარი ეთქმევინებინა შ. ბასაევისთვის ამ რეიდის განზრახვისგან.[93] აქედან ორი რამ შეგვიძლია ვივარაუდოდ: პირველი ის, რომ იქ სადაც მასხადოვმა იცოდა, დუდაევსაც შეიძლებოდა სცოდნოდა და მეორე, თუ მართლა ცდილობდა მასხადოვი უარი ეთქმევინებინა ბასაევისთვის და ვერ ათქმევინა, მაშასადამე, ამ უკანასკნელს ზემოდან ჰქონდა სანქცია. შამილ ბასაევს ბუდიონოვსკამდე მართალია, გამორჩეული საველე მეთაური იყო, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი მრავალთა შორის.

და მაინც. თუ მართლა ისე მოხდა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, რატომ არავის წამოცდა ბუდიონოვსკი ისტორიულ-სიმბოლისტური აზროვნების მსხვერპლი, რომ გახდა? ძნელი სათქმელია რატომ. შესაძლებელია, ეს მხოლოდ 1-2 ადამიანმა იცოდა და მათ თავად გადაწყვიტეს არავისთვის გაემხილათ ის, რომ ქალაქის აღება უპირველეს ყოვლისა ისტორიულ-სიმბოლის-

[92] ამას იძახდა დაკითხვისას ს. რადუევი (იხ. Устинов В. Обвиняется терроризм. М.: Олма-Пресс. 2002. с. 202-215). თუმცა, ეს შეიძლებოდა სასამართლოზე თაღდაცვის ტაქტიკის ნაწილიც ყოფილიყო.

[93] იხ. ა. მასხადოვისა და ა. ს. კულიკოვის შეხვედრის სტენოგრამა (В. Зорин. Кремнистый путь к миру. М. Виоланта. 1996, გვ. 309-326), აგრეთვე ა. ს. კულიკოვის ინტერვიუ (А. Камакин. Масхадов отговаривал Басаева идти на Буденновск. Газета «Сегодня». №129, 17 Июня 2000 г.).

ტურმა მიდგომამ გადაწყვიტა და არა მარტო სამხედრო-პოლიტიკურმა აუცილებლობამ. თუ არ მოხვედრილა შემთხვევით ბუდიონოვსკში რატომ უარყოფდა თავად ბასაევი ამას და რატომ არაფერი იცოდნენ მისი რაზმის წევრებმა ჭეშმარიტი სამიზნე ობიექტის შესახებ? ამ ბოლო კითხვაზე პასუხი მარტივია – სამხედრო საიდუმლოებიდან გამომდინარე. ხოლო ბასაევი რატომ იქცეოდა ასე – ჩემთვის დღემდე უცნობია და ალბათ, უცნობი დარჩება.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი სტატიის სათაურს. ვიმედოვნებთ, რომ მოყვანილი ფაქტების ანალიზმა საბოლოოდ მაინც მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „საკმაოდ ძველ ისტორიას“ შეიძლება ჰქონოდა გაგრძელება „არცთუ ისე ძველ“ წარსულში. როგორც ჩანს, მსგავსი მოსაზრებები ჰქონდა მხედველობაში აკადემიკოს ნ.ნ. პოკროვსკის (Н. Н. Покровский), როდესაც მან 1990-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარ მოვლენებს უწოდა «разительный пример мести истории за многолетнее пренебрежение ею».[94]

* * *

ბუდიონოვსკის გარშემო, კიდევ სხვა, სიმბოლური დატვირთვის მქონე მომენტის გამოყოფა შეიძლება. დღესდღეობით ბუდიონოვსკთან დამეგობრებულ ქალაქთა სიაში სულ 5 ქალაქია.[95] თანაც, ამ სიიდან მხოლოდ ორი ქალაქი მდებარეობს კავკასიის რეგიონში. აქედან ერთი სწორედ ის ყიზლარია, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი. ხოლო მეორე კი – ჩვენთვის კარგად ნაცნობი გეორგიევსკი (***Георгиевск***) – ქალაქი სადაც დაიდო ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის (გეორგიევსკის ტრაქტატი). ხელშეკრულება, რომელიც შემდგომ რუსეთმა დაარღვია და ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა. ჩვენს მიერ სტატიაში მოყვანილი ლოგიკით გეორგიევსკიც შესაძლებელია გამხდარიყო ტერორისტული რეიდის მსხვერპლი, ოღონდ ამჯერად ქართველების მხრიდან. მაგრამ, როგორც ჩანს ქართველებს ამ სახის სიმბოლური აზროვნება არ გვახასიათებს. აღნიშნული თუ სხვა მიზეზების გამო, ვფიქრობთ, რომ გეორგიევსკის მოსახლეობას შეუძლია ეძინოს წყნარად.

---

[94] Н. И. Покровский. Кавказская война и имамат Шамиля. М. Российская политическая энциклопедия (РОССНЭН). 2000, გვ. 7.
[95] http://ru.wikipedia.org/wiki/Будённовск

Konstantin Chichinadze

NOT SO OLD CONTINUATION OF AN OLD HISTORY OR JUST A COINCIDENCE?

(Hypothetical opinion about a detail in Chechen-Russian correlation)

Summary

In the first part of the article Chechen-Russian correlation is analyzed. Also, it is stated that 1732 A.D. should be considered as the beginning of the Russian aggression towards Chechnya. Since, exactly in 1732 A.D. Russian military unit, which was located in the tower of Svyatoy Krest ("Holy Cross") near the river Sulak, was first to attack a Chechen village.

The second part of the article is about a story of town Budyonnovsk, located on river Kuma. The original name of the town was Svyatoy Krest.

On the basis of this coincidence, an opinion is stated in the third part of the article that Shamil Basayev's military units attack on Budyonnovsk, June 14 of the year 1995, was not accidental. Possibly the Chechen leadership wanted for this subversive act to have a symbolic connotation along with the rational meaning. Presumably, the "symbolic meaning" implied to end the permanent war between Chechens and Russians there (or in a town with same name), where it had begun almost three centuries ago. It is proved by Basayev's action's well-known and the only purpose – to end the war.

Nevertheless, the author does not exclude the possibility of the events, described in the article, to be an outcome of mere coincidences.

Ketevan Gochitashvili

Multi-Ethnical Georgia and Multilingual Education[1]

Georgia, as the majority of contemporary states is multi-ethnical and multilingual country. According to the last general population census (2002), Georgians make up 83.8%, non-ethnic Georgians are 15.2% of the population.

Ethnical Variety

There are the ethnical minority dwellings in the four regions of Georgia: in Abkhazia, the so called "South Ossetia", Kvemo Kartli, and Samtskhe-Javakheti. There is also some Kisti population in the Kakheti, but in total they compose only 7% of the region's population.

There are Russians, Greeks, Kurds, Jews, Ukrainians, etc. in Georgia. These dwellings are not homogeneous. For example, one group of the Greek population speaks Turkish, while the other speaks Modern Greek. Azeri living in Shida Kartli speak Georgian and in Kvemo Kartli (borders state of Azerbaijan) – Azeri language. The extent of integration differs between Tbilisi and Regions. One of the important reasons of it is the fact that they receive secondary education in different languages. It differs even between the villages and small towns of the same region. It should be mentioned, that sometimes the majority (ethnic Georgians) are minorities in the regions where ethnic minorities live compactly (majority in minority), for example ethnic Georgian are minority in the two Georgian regions in Kvemo Kartli and Javakheti) is very crucial as well. The educational policy should acknowledge and address this challenge and protect ethnic minorities as well as ethnic majority, which are minority in particular

[1] This paper was selected by international committee for the presentation on the international conference – Encounters between the Caucasus and the West: Image and Reality. VU University Amsterdam, April 23th, 2010.

regions (**Sh. Tabatadze. Bilingual educational Policy in Georgia; Kent State University).**

Linguistic Variety

The language situation is also diverse, since the ethnic groups have different languages. There are Kartvelian, Indo-European, Turkish, etc. languages spread throughout the country.

The Georgian language is official language in whole Georgian territory (in Abkhazia the Abkhazian language has the status of official language – there are two official languages in this autonomy);

Confessional Variety

The Majority of the population is Orthodox Christian (Georgians, Russians, Ossetians, Abkhazs, Assyrians, Udians and some part of Armenians). Catholics are represented by Georgians, Armenians, Poles, Germans, Russians, etc. Azeri, other North-Caucasian peoples residing in Georgia, and some ethnic Georgians and Abkhazs are Muslims. You can find also Protestants, Yazids, and Jews in Georgia.

According to the general census (2002), 16.1% of the population belongs to religious minority

Language Policy and the problem of minority integration

Two ethnic conflicts took place after the break-up of the Soviet Union. The Abkhazian and "South Ossetian" conflicts had political roots, but ethnic confrontation influenced them quite much. Some experts label these conflicts as "language wars". (**G. Svanadze. (2003) How to protect the state language. Retrieved on March 25, from the website:** www.minelres.lv.archive.htm)

The legislation regarding the Language Policy in Georgia needs a refinement. It is very important, that the international conventions regulate language issues and problems along with the local legislation. In 2005, Georgia ratified the frame convention about the protection of national minorities.

The Language policy in Georgia has developed in two directions:

1. To consolidate of the status of state language;

2. To protect the minority languages.

1. There is no law on state language in Georgia: several legislative acts determine the functioning of the state-language.

2. The 38th article of the Georgian constitution states that each citizen of Georgia, according to the known principles and norms of International Law, has right to develop his/her own culture freely, without any discrimination and interference, to use the native language in a private and public lives.

Intercultural Education

The Georgian state considers that settlement of the existing conflicts and prevention of the conflicts in future partially depends on the proper educational and language policy. Our consideration is that each member of a multicultural society has the equal right to acquire diverse socio-cultural competencies, to maintain their cultural differences and have the ability to live equally in the diverse world. The monolingual education does not give a person the abilities useful in the multicultural environment like in Georgia. Because of this, our method of approach is to set intercultural education in Georgian educational space.

In any country it must be necessary to know state language though Georgian reality offers a different picture – representatives of minority do not even speak elementary Georgian. People who do not know the state language appear in a disadvantageous position; They cannot receive information –cannot understand what they hear and what they read, except for the occasions when specific approach is used to contact them, so called "greenhouse" conditions are created for them and others speak to them the language (frequently foreign language) they can understand. Naturally, there is possibility that such an approach can cause rejection, marginalization and finally, isolation of the people who do not know the state language. Specialists consider that the usage of the foreign language – ***lingua franca*** – may meet the basic transactional demands, but a different picture is represented with respect to communication, in relation to deep life aspects. For even when a contact is established in the language familiar to the speakers, the level of communication is determined by the language competence of speakers; therefore, it is limited and cannot be perfect.

Nowadays the only existing medium of instruction in the educational sphere is a **monolingual model**: education both in dominant language (state

language) and in those of ethnic minorities are monolingual: at Georgian schools the medium of instruction is one and the same language (Georgian); foreign language is taught as a subject; One is the medium of instruction at Russian, Armenian, Azerbaijani and Ossetian schools – state language is taught as a subject like other (foreign) languages. But monolingual education meets the interests of the population of the multiethnic state at the minimum level, as it does not provide conditions for full integration in a diverse environment.

In present day educational sphere the multilingual education will settle several vital problems ethnic minorities are facing, since:

The multilingual education means, on one hand, such organization of the educational process where two or more languages can be used (for instance, the Turkish language for ethnic minority in Austria, or German as the second language in Russia, English in Georgian educational space). Consequently, second language is not only the subject of study, but at the same time it is the means of communication and medium of instruction. On the other hand, bilingual education means that one gets to know with native and world cultural values through mother-tongue and foreign language, where foreign language becomes means and facility of perception of cultural-historical and social experience of different countries and peoples. **(K. Gochitashvili, Main Advantages of Bilingual Education; Issues of Teaching State Language in the Georgian Educational System, Tbilisi, 2008)**

One of the main preferences of the multilingual education is the fact that it provides a school-child with high-level language competence. In fact, in this case the learning of language is not a closed process oriented on the product only, but at the same time, it creates basis for ability to use the language freely and fluently, as along with acquiring communication skills (in modern approach, second language learning is oriented on these skills in the monolingual educational system), school-child is prepared to use the language adequately in accordance with contextual requirements both in prepared and in unplanned, unprepared oral and written communication acts.

As minority language users put it, their mother tongue is an indicator of their national belonging, but the area of its practical usage is comparatively limited and its social prestige is not high as well. Truly it may seem controversial, but everything will be in its place if we take into consideration the social status of minority language users. Very often some languages are considered prestigious according to the social status of their users. We must bear in mind that language prestige, as the practice shows, is connected not to the language itself, but

to the social class and the status of its speakers. Having an official language is one-sidedly connected to enhancing the social prestige.

Another advantage of the multilingual education is to enhance the social prestige of an individual at the expense of state language through facilitating socialisation process and enhancing socio-cultural competence.

It is noteworthy that there must be free choice of monolingual and multilingual education. Structure of linguistic market determines how appropriate a language is and if it is needful in a given situation. Therefore, society must have a clear picture of the so called linguistic market, take into consideration individual interests and regional requirements and make consequent decision which educational system to choose – either the monolingual or the multilingual. This choice must be based on the will of a family or an individual and must be maintained by the state and educational system. Generally, the model of multilingual educational system, supporting linguistic diversity, learning and sustaining of the minority language, is appropriate for ethnic minorities.

According to B. Schulter, the fact that there are different schools with minority and majority languages as medium of instruction creates more problems, along with pure linguistic difficulties, for school-children who are taught the language of ethnic minority: the present system segregates children from very early ages according to their ethnic, linguistic and cultural origin and children get education separately even in the regions and towns, where they live side by side. In every-day life, children realize that they principally differ from each other and that they must be taught in different classes. Therefore, the existing system not only provides unequal opportunities for children, but it forms segregated society with high risk of conflicts. (**B. Schulter. Language learning and multilingual education from the point of view of the child: Language Policies and Education in Multilingual Societies. Tbilisi, 2006.)**

Children are not taught literacy in their mother tongue and, therefore, they will not be able to express more difficult academic content in this language. Seeing that children who speak Georgian at home are more successful, children using minority language may conclude that everything they get at home (including, knowledge of mother tongue), hinders their way in life. At the same time, this develops negative attitude towards majority language and culture. This psychological tension is sometimes called "bicultural ambivalence": "Being ashamed of one's own culture and hostile attitude to the other one". Consequently, people receiving education in such system often become semilinguals: they know neither their mother tongue, nor the second language properly.

The mentioned problem can be solved with various models of multilingual education when there are two or more languages of instruction in one and the same class.

Within the frames of the programme of transitional behaviour in linguistic environment, education starts with comparatively more lessons in mother tongue in primary schools, later on, in final years of school, the education in the state language grows up to 100%. The present model has been successfully used for the integration of migrants into Western Europe. It helps assimilation of minority groups into majority linguistic culture.

There is one more obstacle – many parents are concerned that getting education in two or three languages is difficult for children. But when the concentrated, interactive methods are oriented on children, they can acquire two or three languages, without noticing it.

As it was mentioned above, in multilingual education, part of education is taught in the mother tongue, and the rest part of it is provided in the second and third languages. First of all, this ensures stabile development of the mother tongue: the child is taught literacy and expressing complex ideas in the native language. At the same time, school-children feel comfortable to get lessons in the language they are familiar with, as they understand the questions they are asked. They can test themselves and this develops their self-confidence.

On December 31, 2004 the Minister of Education and Science of Georgia proved "Civil Integration Programme", which aims at providing free cultural and language choice and the knowledge of the state language for speakers of minority languages. This programme is underway today.

In parallel with the steps to improve the quality of teaching of the state language, the Ministry of Education and Science of Georgia has taken some measures to raise the level of the teaching of minority languages. Namely, two more joint projects of Ministry of Education of Science of Georgia and the OSCE High Commissioner on National Minorities: "Supporting the teaching of Azerbaijani as the native language in non-Georgian schools of Kvemo Kartli" and "Supporting the teaching of Azerbaijani as the native language in non-Georgian schools of Samtskhe-Javakheti".

In 2008 with cooperation of the Minster of Education of Science of Georgia and the OSCE High Commissioner on National Minorities the bilingual education strategy has been developed. The implementation of the present project began in 2009: 40 pilot schools have been selected in Georgia, which will choose a specific model of multilingual education (in this respect their choice s

free – they choose one out of 4 proposed models); Schools will participate in this model only if they wish to and through the submission of the project they will get additional subsidies and other bonuses in order to realise the multilingual programmes. But it is crucial that schools were prepared for the implementation of this project or they cared out this process in cooperation with the NGO sector and/or higher education institutions.

Considering the local and Western experiences, we think that the main problem is the language integration, which can be reached only in the conditions of multicultural education.

The multilingual education is the basis of the intercultural education, since the monolingual education does not give an opportunity to acquire the following aspects of using both state language and mother tongue. Bilingual Education does not suppress the students' natural cultural environment, and on the contrary, it increases it.

Proper education is the main tool for successful socialization of person. Among many other skills, the goal of the contemporary educational principles is to develop the skills of social adaptation and the perception of reality. Each Person must be able to develop individually, to share the rules set by society, to receive moral and material values correctly and to integrate with the other cultures, maintaining his own.

Intercultural education is a very important way to prevent, manage and solve conflicts. This type of education allows a person to understand, that linguistic, cultural and confessional varieties are the norms and not the barriers getting across which often leads to conflicts. In multicultural Georgia intercultural education will prepare any civilian to live in harmony in multicultural and diverse world and

1. Receive and percept cultural pluralism as an unchangeable and fascinating reality.
2. Promote the establishment of fair and equal society
3. Promote the development of harmonic interpersonal and interethnical relationships.

The language is an important tool of (including intercultural) education. The nature of the language is social and national and it is also a very strong weapon in interpersonal communications. Language regulates interpersonal and social relations and their consequences. It is the language that provides the formation and storage of information, which is the result of personal and historical experience. Human communicates with its environment, culture, and world us-

ing a language. In a multicultural environment, one must be able to speak both his own language and the state one. After such an education the minority realizes, that the State Language (Georgian in this case) is not a danger for their languages, on the contrary, the knowledge of the state language gives them much more personal abilities and chances in the multicultural and multilingual society.

Tolerance, democracy, respect of the minority in the globalizing world helps individuals and states to maintain their identities, and, at the same time, it helps a person to acquire the social skills that are necessary for successful socialization and personal realization.

This is, in short, the educational and language policy in the present-day Georgia.

We totally believe, that very multiethnic state has try to implement appropriate educational policy, which enables it to solve the issue of minority education and their integration in the states' economic, political and social life. Political, economic, public and social participation of ethnic minorities is a primary goal of all democratic state policies. However, the instruments, strategies, policies and values to achieve this goal are different for different countries and even more, different within the country based on political, vocational and situational context. Multilingual education seems to be a solution; however, it needs an appropriate design and implementation.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

რეცენზია

თედო დუნდუა

Catalogue de l'exposition Armenia Sacra Mémoire Chrétienne des Arméniens (IVe-XVIIIe siècle) Paris, musée du Louvre, 2007

რეცენზია აქ წარმოდგენილ რუკებზე[1]

აღნიშნულ კატალოგში წარმოდგენილი რუკები ტენდენციურია. კონკრეტული სურათი კი ასეთია:

გვ. 17. რუკა – **სომხეთის ისტორიული პროვინციები.** აქ სომხეთის ისტორიულ პროვინციად ჩათვლილია გუგარქი, ამ ზოგადი ტერმინის ქვეშ კი იგულისხმება ძირძველი ქართული პროვინციები, სახელდობრ: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტაანი, კლარჯეთი. სომხეთის ისტორიული პროვინციების კატეგორიას განაკუთვნეს ასევე ტაო და სპერი. რეალურად, საქმის ვითარება კი ასეთია – ძვ.წ. II ს. დასაწყისში დიდი არმენიის მეფე არტაშეს I უკავშირდება მცხეთის ტახტის ჰეგემონიით უკმაყოფილო კლარჯეთის ერისთავ სუმბატ ბივრიტიანს/ბაგრატიონს, ქართლის პირველი მეფის, აზოს, პირდაპირ ჩამომავალს და ერთად ახერხებენ ქართლის/იბერიის სამეფოს ჩამოაჭრან სამხრეთი ტერიტორიები. აქ ჩამოყალიბდა გუგარქის ავტონომიური საპიტიახშო. საპიტიახშო მოიცავდა საკუთრივ ქვემო ქართლს (სომხ. გუგარქს), ჯავახეთის (და არა სამცხის) ნაწილს, კლარჯეთს და მიმდებარე ტერიტორიებს. მმართველი დინასტია ბაგრატიონებია, რომლებიც ხანდახან ფარაზეან/ფარნავაზიანებადაც იწოდებიან სომხურ წყაროებში, რაც მათ იბერიულ წარმომავლობას ნათელს ჰფენს (Очерки Истории Грузии.

[1] რეცენზია დაიწერა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით. ის სამინისტროს გადაეგზავნა 29. 09. 08.

T. I. Тб. 1989, გვ. 272-273; T. Dundua. Bagrat, Son of Bivrat. Phasis. Greek and Roman Studies. Vol. 4. Tb. 2004, pp. 26-30). მოსახლეობაც ძირითადად ქართულია. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ, როცა პონტოს დამარცხებული მეფე მითრიდატე ევპატორი ამ მხარეების გავლით კოლხეთისკენ გარბოდა, მის შეჩერებას სწორედ იბერები ცდილობდნენ (Н. Ю. Ломоури. К Истории Понтийского Царства. Ч. I. Тб., 1979, გვ. 183-185.). ახ.წ. I-II სს. ქართლის სამეფოს ძლიერების ხანაა. მას ზურგს რომის იმპერია უმაგრებს. ეს ევროპული ალიანსი პართია/ირან-არმენიას უპირისპირდება. წარმატებული კამპანიების შედეგად იბერიამ რიგი სამხრეთული ტერიტორიები უკან დაიბრუნა (Очерки Истории Грузии. т. I., გვ. 308, 314, 317, 322-323). IV ს. II ნახ-ში გუგარქის საპიტიახშო დაიშალა და მისი ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ქართლის სამეფოს შეუერთდა (Очерки Истории Грузии. Т. II. 1988, გვ. 56-57). დინასტიაც შეიცვალა. ამიერიდან აქ ფეროზიანები არიან, ქართლის სამეფო კლანის, ფარნავაზიანების, უახლოესი ნათესავები. ამ დინასტიის წარმომადგენელია ცნობილი ვარსქენ პიტიახში. ის, რომ კლარჯეთიც უკან არის დაბრუნებული, კარგად ჩანს იქიდან, რომ სწორედ აქ აშენებს ვახტანგ გორგასალი არტანუჯს (Очерки Истории Грузии, т. II, გვ. 69). რაც შეეხება ტაოს, განა ის დიაოხების/ტაოხების სამშობლო არ არის?! ამ დროისთვის (ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისი) სომეხთა წინაპარი ფრიგიელები საერთოდ არ ფიგურირებენ რეგიონში. სპერი კი სპეციფიური ქართული პროვინციაა. ტერმინი „იბერ“ სწორედ აქედან მომდინარეობს – სასპერ > ჰესპერ > იბერ.

აქვე სრული გაუგებრობაა იბერიისა და კახეთის ერთ სიბრტყეზე მოხსენიება. კახეთი იბერიის სამეფოს ერთ-ერთი პროვინციაა.

გვ. 20. რუკა – **სომხეთი IV ს. მიწურულს**. აქ თითქმის ანალოგიური სიტუაციაა, ოღონდ ქვემო ქართლი რატომღაც სპარსელებს წაუღიათ, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე კი ალანები არიან?! სრული გაუგებრობაა. ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თუ სად წავიდა პოლიტიკურად ქვემო ქართლი IV ს-ში.

გვ. 22. აქ იგივე რუკაა, რაც გვ. 20.

გვ. 70. აქ წარმოდგენილ რუკაზე ქართლის საერისმთავრო (VI-VII სს.), რატომღაც, უსაფუძვლოდ, იბერიად და კახეთად არის დაშლილი. ამ უკანასკნელის ტერიტორია შემცირებულია. ალაზნის მარცხენა სანაპიროც, რატომღაც, ქართლის საერისმთავროს გარეთაა მოქცეული.

გვ. 112. **IX ს-ის მოწურულის რუკა**. აქ თითქმის ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ ნარატიულ ნაწილში დავით IV აღმაშენებლის მიმართ ბაგრატუნის ხმარება დაუშვებელია. ბაგრატუნები ქართველ ბაგრატიონ/ბივრიტიანების გასომხებული შტოა.

გვ. 117. აქ იგივე რუკაა, რაც გვ. 112.

გვ. 136. რუკა – **სომხეთი XIII ს. ბოლოს**. აქ გურჯისტანი და სხვა „ილხანური" (ე. ი. ირანში დასახლებულ მონღოლებს დაქვემდებარებული) მხარეები ერთ ფრად არის წარმოდგენილი. არ არის სწორი! ბოლოსდაბოლოს მონღოლებს აღმოსავლურქართული სამეფო არ გაუუქმებიათ.

გვ. 294. აქ იგივე რუკაა, რაც გვ. 136.

გვ. 298. კვლავაც იგივე რუკაა.

გვ. 358. რუკა – **სომხეთი 1639 წლისთვის**. აქ იგნორირებულია გურიის და სამეგრელოს ავტონომიური სამთავროების არსებობის ფაქტი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

რეცენზია

ალექსანდრე ბოშიშვილი

ცოტა რამ სამველ კარაპეტიანის ნაშრომზე – Мэры Тифлиса

სამველ კარაპეტიანის ნაშრომი Мэры Тифлиса (Тбилиси) 2003 წელს ცნობილი ორგანიზაციის RAA-ს[1] სამეცნიერო სასწავლო სერიით მეხუთე წიგნად ერევანში გამომცემლობა „გიტუტიუნმა“ გამოსცა. მონოგრაფია სომხეთის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის რეკომენდაციით დაიბეჭდა.

ნაშრომი საკმაო მოცულობისაა (128 გვერდი) და მოიცავს პერიოდს საქართველოში არაბთა ბატონობის ხანიდან მოყოლებული XIX საუკუნის ჩათვლით. იგი რამდენიმე თავისგან შედგება: შესავალში ავტორი მოკლედ საუბრობს მელიქებზე, თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობასა და თბილისის მმართველებზე. შემდეგ ცალ-ცალკე თავებადაა წარმოდგენილი – Градоначальники (Мэры) Тифлиса в XII-XIII веках; Бейбудские градоначальники (Мэры) Тифлиса в XVII-XVIII вв. (გვ. 28-42); Градоначальники (Мэры) Тифлиса в годы обшественного правления (1840-1875 гг.) (გვ. 43-66); Градоначальники (Мэры) Тифлиса в годы самоуправления (1875-1917 гг.) (გვ. 67-99); ნაშრომს ერთვის ბოლოსიტყვაობა, საძიებლები, დამოწმებული ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი სია და ილუსტრაციები (გვ. 100-128). ნაშრომის მოძიება ინტერნეტსივრცეში, როგორც სომხურ ისე რუსულ და ინგლისურ ენებზე ადვილად ხელმისაწვდომია.

ავტორი ნაშრომში ხშირად ხაზს უსვამს, რომ თბილისი სომხებმა ააშენეს, რომ მანამდე, სანამ აქ სომეხი ვაჭრები გამოჩნდებოდნენ, თბილისი

[1] RAA (Research on Armenian Architecture) ცნობილი ორგანიზაციაა, რომელმაც დღემდე მრავალი ნაშრომი გამოსცა. ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყანაში სომხური ეკალის შესწავლით არის დაკავებული. არაერთი ნაშრომი გამოიცა საქართველოს შესახებ, მათ შორის – საქართველოს სომხებსე; საქართველოში არსებულ მონოფიზიტურ ძეგლებზე, რომელთა უმრავლესობა მართლმადიდებლურია; რეკა-ცნობარი, რომელშიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 600-მდე ტაძარი სომხურ ძეგლად არის აღნუსხული; ასევე ახალციხის, ჯავახეთისა და კახეთის შესახებ სხვადასხვა ნაშრომები (ერცლად იხ.: http://raa.am)

დიდი სოფელი იყო, ამიტომ სომეხმა ხალხმა უნდა იამაყონ იმ სომხებით, რომლებმაც ეს დიდი ქალაქი ააშენეს, უნდა ახსოვდეთ მათი ბიოგრაფიები და სათანადო პატივი უნდა მიაგონ მათ ხსოვნას.

აღნიშნული წიგნი მთლიანად გაუგებრობაზეა აგებული: ავტორი ეჭვგარეშე მიიჩნევს, რომ თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა საუკუნეთა განმავლობაში სომხური იყო. წიგნის შესავალში საუბარია საუკუნეთა მანძილზე თბილისში ეთნიკურად სომხური მოსახლეობის განუხრელ ზრდაზე, აქედან გამომდინარე თითქოს ლოგიკური ჩანს, რომ მათი ხელმძღვანელიც სომეხი უნდა ყოფილიყო.

ნაშრომში, სხვა მრავალ უზუსტო და მიკერძოებულ ინტერპრეტაციასთან ერთად, ჩვენი ყურადღება მიიქცია ორმა საკითხმა: 1. თბილისის მოსახლეობა; და 2. თბილისის მელიქების უფლებები და მათი თანამდებობრივი მდგომარეობა.

მეცნიერი აშკარად მცდარი გზით მიდის, როდესაც აღნიშნავს, რომ თბილისის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას XX საუკუნემდე ეთნიკური სომხები შეადგენდნენ. ავტორს ამის დასასაბუთებლად წარმოდგენილი აქვს რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნეში, სხვადასხვა წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემები.

ცნობილია, რომ რუსულ აღწერებს თავისი სპეციფიკა ჰქონდა. ვფიქრობთ, ბატონ სამველ კარაპეტიანს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა. რუსული აღწერები მოსახლეობას ეროვნებების მიხედვით ანაწილებდა და ისე აღწერდა. სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფებიც კი ცალ-ცალკე ეროვნებებად იყვნენ წარმოდგენილი. აღწერებში ცალკე იყო ჩაწერილი – ქართველი (ქართლ-კახეთის მოსახლეობა), იმერელი, გურული, ხევსური, თუში და სხვა, XV-XVII საუკუნეებში ირანის დიდი გავლენის გამო ქართული მოსახლეობის გამუსლიმებული ნაწილი რუსებმა თათრებში ჩათვალეს; ხოლო სავაჭრო ურთიერთობებში ჩართული ქალაქში მცხოვრები ქართული მოსახლეობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სომხურ გრიგორიანული აღმსარებლობის იყო, ამიტომ ისინი სომხებს მიაკუთვნეს; ყველა მათგანის მშობლიური, სალაპარაკო და საოჯახო ენა მხოლოდ ქართული იყო. თბილისში მცხოვრებმა „სომხებმა“ სომხური რომ არ იცოდნენ აღნიშნავენ უცხოელი მოგზაურებიც. 1876 წ. რუსი მოხელე დიმიტრი კობიაკოვი ამბობს, რომ „თბილისში მცხოვრებმა ბევრმა სომეხმა სომხური ენა თითქმის სრულებით არ იცის და თავის მშობლიურ ენად ქართულს თვლის. ზოგიერთი კი, ვინც

სომხური ენა იცის, მაინც უმთავრესად ქართულ ენაზე ლაპარაკობს, რომელიც თბილისში ძირითადი სალაპარაკო ენაა ყოველდღიურ ცხოვრებაში".[2] ამ ცნობას თვითონ სომხებიც ადასტურებენ. არტემ არარატელი ამბობს, რომ „აქური (თბილისელი ა.ბ.) სომხების უმრავლესობამ სრულებით არ იცის სომხური და ქართულად ლაპარაკობს".[3] იმავეს იმეორებს ვენეციის მხითარისტი მინას ვარდაპეტ ბჟიშკინი (ბჟიშკიანცი), რომელმაც XIX ს-ის 20-იან წლებში მოიარა ეს მხარე და მისი დაკვირვებითაც საქართველოში მოსახლე სომხები სომხურის უცოდინარნი იყვნენ და მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ.[4]

აქ უცნაური ალბათ არაფერია, გრიგორიანმა ქართველებმა არ იცოდნენ სომხური ენა და ადათები. ენის უცოდინარობა, პროფ. პარუირ მურადიანის აზრით, იმან გამოიწვია, რომ სომხური სკოლები არ არსებობდა.[5] პროფ. გურამ მაისურაძე კი აღნიშნავს, რომ სომხური სკოლები სწორედაც რომ არსებობდა და ამ სასწავლებლებს „სასწავლო საგნების შერჩევაც" კი თვითონ შეეძლოთ; აშკარაა, გასომხებულ ქართველებს ნაკლებად აინტერესებდათ სომხური ენისა და ადათების შესწავლა.[6]

ქართველების გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მასობრივ გადასვლას ხელს ისიც უწყობდა, რომ მაშინ დამკვიდრებული წესის თანახმად – „ვაჭარი", „მედუქნე", „ხელოსანი" სომეხი უნდა ყოფილიყო. ქართველთა უმრავლესობისათვის ეს პროფესიები, სამწუხაროდ, სამარცხვინოდ ითვლებოდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი ხელობის ამქართა გაერთიანებაში შესასვლელად გრიგორიანობის მიღება აუცილებლი იყო.[7] შემორჩენილია ისტორიული საბუთები, საიდანაც ჩანს, რომ ხშირად ქართველს ოჯახში, ერთი ძმა „სომეხი", ანუ ვაჭარი ან ხელოსანი ჰყავს.[8]

შუა საუკუნეების საქართველოში „სომეხი", როგორც წესი, ნიშნავს გრიგორიან ადამიანს, განურჩევლად მისი ეროვნებისა და წარმომავლობისა, ამის საპირისპიროდ არსებობდა ასევე სოციალური კატეგორია „ქართველი".

---

[2] ა. თოთაძე. სომეხი ეთნოლოგიურების ანტიქართული ისტერია. თბ. 2005, გვ. 13.
[3] Артемий Араратский. Жизнь Артемия Араратского. Т.II. СПб. 1813, გვ. 14.
[4] გ. მაისურაძე. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა (XIII-XVIII სს-ებში). თბ. 1982, გვ. 312.
[5] გ. მაისურაძე. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა (XIII-XVIII სს-ებში), გვ. 304.
[6] გ. მაისურაძე. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა (XIII-XVIII სს-ებში), გვ. 314.
[7] ანანია ჯაფარიძე. ქართველთა გასომხება. თბ. 1999, გვ. 32.
[8] სცსა, ფონდი №254. აღწ. №2. საქმე №387.

ყველა ვაჭარი და ხელოსანი „სომეხად“ იქცა, ყველა ფეოდალი კი „ქართველად“ ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველოში „სომეხი“ უფრო ხშირად აღნიშნავდა არა ეროვნებას, არამედ სოციალურ ფენას, სოციალურ კატეგორიას. ქვეყანაში არსებობდა „ქართველი“ ანუ – ყმა, გლეხი, მებატონე და „სომეხი“ ანუ ვაჭარ-ხელოსანი. ბუნებრივია, ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ ვაჭრები და ხელოსნები, ანუ „სომხები“ იქნებოდნენ.[9]

XVIII საუკუნის საბუთებში და აღწერებში ხშირად გვხვდება სომხური სახელები და სომხური სახელებისგან ნაწარმოები გვარები.[10] როგორც პროფ. როლანდ თოფჩიშვილი აღნიშნავს – გვარებით, სწორედ რომ გრიგორიანი ქართველები უნდა იყვნენ ჩაწერილი, სომხები მხოლოდ სახელებით, გვარების გარეშე, რადგან სომხებს გვარები XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არ ჰქონდათ მაშინ, როდესაც ქართველებში ადრეული ხანიდანვე მომდინარეობს გვარ-სახელის ტრადიცია.[11]

ნაშრომის მთავარი იდეაა, რომ ქალაქ თბილისის ხელმძღვანელი პირები უკლებლივ ყველა სომხები ყოფილან. კარაპეტიანი შესავალში აღნიშნავს, რომ 800 წლის მანძილზე ქალაქის 47 ხელმძღვანელიდან 45 სომეხი ყოფილა. (გვ. 2).

საინტერესოა ნაშრომში აღწერილი გვარების წარმოება. ქალაქის მელიქების და მელიქ-მამასახლისების ბებუთაშვილების წარმომადგენლები აღნიშნულნი არიან, როგორც Бейбудянц – „ბეიბუდიანცი“. მიუხედავად იმისა, რომ ბებუთაშვილები მართლაც სომხური მონოფიზიტური სარწმუნოების მიმ-

---

[9] გასომხებული ქართველების შესახებ იხ.: შავშვილი (ხაქარია ჯიჯინაძე). ქართველი გრიგორიანები (სომხის სარწმუნოების ქართველები). თბ. 1906; მ. თამარაშვილი; პასუხად სომხის მწერლების; თბ; 1902; გ. მაისურაძე. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა (XIII-XVIII სს-ებში). თბ. 1982; გ. მაისურაძე. საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.). თბ. 1999; ბ. არველაძე. „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები. თბ. 1982; ანანია ჯაფარიძე. ქართველთა გასომხება. თბ. 1999; შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბ. 1998; რ. თოფჩიშვილი. ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები. ეთნოისტორიული ეტიუდები. წ. I. თბ. 2005; ალ. ბოშიშვილი, გრ. კობიაშვილი. ქართველთა გასომხება (XVI-XVIII სს.); საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“; მასალები; ხელო-დიდაჭარა; 2009, გვ. 498-502; ალ. ბოშიშვილი, თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ. 2010;

[10] სომხურობა აქ პირობითია, რადგან სომხური ონომასტიკონი თითქმის მთლიანად სპარსულიდან მომდინარეობს. ადვილი შესაძლებელია, საქართველოში პირდაპირ სპარსეთიდანაც იყოს შემოსული.

[11] რ. თოფჩიშვილი, ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები, ეთნოისტორიული ეტიუდები, წ. I, თბ., 2005, გვ. 161-162; რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარსახელები, ეთნოისტორიული ეტიუდები, წ. I, გვ. 273-281; ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარსახელები საქართველოში, თბ., 1997, გვ. 11.

დევრები იყვნენ და აქ არ ვკამათობთ მათ ეთნიკურ და კონფესიურ კუთვნილებაზე, უფრო სხვა საკითხი გვაინტერესებს, შუა საუკუნეებში ხომ ეროვნებებზე ისეთი ხაზგასმა არ ხდებოდა, როგორც ეს XIX საუკუნიდან დაიწყო, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიაში. თბილისის მოსახლეობა ყველა, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, თბილისელად ითვლებოდა. ქართველი, თათარი, ებრაელი, სომეხი და სხვა ყველა ქალაქელი იყო. ეროვნებებად დაყოფა მათთვის პირობითი იყო.

ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ერთმანეთის დღეობებშიც მონაწილეობდნენ,[12] ერთმანეთს შვილებსაც უნათლავდნენ. შემორჩენილია არაერთი საეკლესიო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც მართლმადიდებელი მღვდელი ნათლავს ბავშვს და ნათლია სომეხი მოქალაქეა,[13] არის საწინააღმდეგო შემთხვევებიც.

ქალაქში ყველა მოქალაქის გვარი *შვილ* სუფიქსით ბოლოვდებოდა. ამიტომ ბებუთაშვილის „ბეიბუდიანცად“, შერგილაშვილის „შერგილიანცად“, ივანგულაშვილის „იავანგულიანცად“ გამოყვანა ზედმეტად ხელოვნურია. არ არსებობს თუნდაც ერთი საბუთი, რომელითაც დადასტურდება თბილისში გვარის, შვილის გარდა, სხვა სახით დაბოლოვება. მხოლოდ XIX საუკუნეში რუსული ადმინისტრაციის დამყარების შემდეგ დაიწყო მანამდე არსებული *შვილ* ფორმის რუსული *ოვ*-ით შეცვლა, ამიტომ გახდა ბებუთაშვილი – ბებუთოვი; მირიმანაშვილი – მირიმანოვი და ა.შ., აქ არაფერი განსაკუთრებული არ არის. ეს ახალი ტენდენცია ყველასთვის ერთნაირად პოპულარული იყო და დიდებულთა უმეტესობა გვარს რუსული ვარიანტით აქტიურად იცვლიდა – ციციშვილი ციციანოვი ხდებოდა, ბარათაშვილი – ბარათოვი/ბარათაევი; ჯავახიშვილი – ჟევახოვი და სხვ.

დასახელებული ნაშრომისადმი ჩვენი მთავარი შენიშვნა-პრეტენზია თბილისის მელიქების და მათი მერობის საკითხს შეეხება. ავტორი მელიქების საკითხის განხილვისას აქტიურად იმოწმებს 1962 წელს გამოცემულ „დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის“.[14] სომეხი ისტორიკოსის კონცეფციის მცდარობა სათავეს მელიქის სახელოს განსაზღვრიდან იღებს, საქმე ისაა, რომ მელიქი სულაც არ შეესაბამება, ქალაქის თავს, და, მით უმეტეს, მერს

[12] ი. გრიშაშვილი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. თბ. 1963; თ. ბერიძე, ძველი თბილისის სურათები. თბ. 1980.
[13] სცსა. ფონდი №489. აღწ. 31.
[14] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.). წიგნი I. შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძნიშვილმა. თბ. 1962.

თანამედროვე გაგებით. პატივცემულ ავტორს მეტი ყურადღებით, რომ წაეკითხა იგივე დოკუმენტები, რომლებსაც ნაშრომში არაერთგზის იმოწმებს, შეამჩნევდა, რომ მელიქი მამასახლისის მომდევნო მოხელე იყო. მაგრამ სხვადასხვა დროს მათი ადგილები იცვლებოდა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მელიქის და მამასახლისის ურთიერთობა მონოგრაფიულად შეისწავლა პროფ. შოთა მესხიამ თავის ნაშრომში „ქალაქები და საქალაქო წყობილება XVII-XVIII სს. საქართველოში", წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე საკმაოდ დიდი ტირაჟითაა გამოცემული და ხელმისაწვდომია ყველასთვის. სამწუხაროდ, ავტორი არ იცნობს აღნიშნულ ნაშრომს.[15] აქვე უნდა ითქვას, რომ მელიქსა და მამასახლისს შორის პირველობას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა, რადგან ხშირად ერთიანდებოდა კიდეც და ზოგჯერ მელიქ-მამასახლისი ერთი პიროვნება იყო, ხოლო ორივე, მელიქიც და მამასახლისიც, ქალაქის იერარქიაში მოურავის მომდევნო ადგილზე იყო.

სულაც არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ თბილისის მელიქები და სხვა მოხელეები, ან XIX საუკუნეში ქალაქის თავები ყველა ქართველები იყვნენ, ან რა საჭიროა ასეთი რამის მტკიცება? უბრალოდ იმას აღვნიშნავ, ყველა სომეხი ვერ იქნებოდა, რადგან ქალაქი მრავალეროვანი იყო, ყველას ჰქონდა შანსი, გამხდარიყო ქალაქის მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი თუ სხვა მოხელე, თანამდებობას, დამსახურების მიხედვით, ყველა ეროვნების წარმომადგენელი იღებდა.

კიდევ ერთი, ფეოდალურ საქართველოში ქალაქის უფროსი მეფის მიერ დანიშნული მოურავი იყო, ამიტომ საეჭვოდ კი არა, დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ მელიქების ქალაქის მერთან გაიგივებისას ბატონი კარაპეტიანი ცდება.

რაც მთავარია, საქართველოს ყველა ქალაქი, მათ შორის თბილისიც, მეფის და მისი მმართველობის ქვეშ იყო. ქალაქის ხელმძღვანელი და უფროსი მეფის მიერ დანიშნული მოურავი იყო, რომელიც რომელიმე ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო (მაგ.; ციციშვილი). ქალაქის მოურავი იყო გიორგი საკაძეც (1609 წ.). ქალაქების მოურავებიდან პირველი ადგილი თბილისისა და გორის მოურავებს ეჭირათ. მოურავი ქალაქის უპირველესი მოხელე იყო. მას ემორჩილებოდა ქალაქის მოხელე – მელიქი, მამასახ-

[15] Ш. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.). Тб. 1959; შ. მესხია. ქალაქები და საქალაქო წყობილება XVII-XVIII სს. საქართველოში. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983.

ლისი, ნაცვალი, ქეთხუდა და ასასები. თავის სასამართლო ფუნქციებს მოურავი მელიქის, მამასახლისის, აგრეთვე 3-4 „სარწმუნო მოქალაქის" (მსხვილი ვაჭრის) თანდასწრებით ასრულებდა. მოურავობა იმდენად საპატიო და შემოსავლიანი თანამდებობა იყო, რომ ხშირად ბატონიშვილებიც კი არ ამბობდნენ უარს ამ სახელოზე.[16]

მელიქი, რაც ქალაქში ნასყიდობა ხდებოდა, ყველას ამოწმებდა და მონაწილეობდა ფასების დაწესებაში (ხაზს ვუსვამთ: მონაწილეობდა, თვითონ არ აწესებდა), სწორედ ამის გამო მელიქების ხელმოწერები უამრავ დოკუმენტზე ფიქსირდება. მელიქი მევახშეობდა, ვაჭრობდა და ამის გამო მნიშვნელოვანი კაპიტალიც უგროვდებოდა.

სურენ კარაპეტიანისთვის ალბათ აღმოჩენა იქნება ისიც, რომ თბილისის მელიქები არ იყვნენ ასე მემკვიდრეობითი რიგით განაწილებულნი, როგორც მას წარმოუდგენია და მეფე ან მოურავი მელიქს ხშირად ცვლიდა, დამსახურების გამო სხვას აწინაურებდა, მიუხედავად წარმომავლობისა და რელიგიური აღმსარებლობისა.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ქალაქს ხშირ შემთხვევაში ერთდროულად რამდენიმე მელიქი ჰყავდა. ასეთ შემთხვევაში რომელი შეიძლება ჩაითვალოს უფროსად, „ქალაქის მერად"?

მელიქი საქართველოში მუსლიმური აღმოსავლეთის გავლენით გაჩნდა, რასაც ქალაქის უკანასკნელი მელიქი დარჩიაც აღნიშნავს.[17] ლორის მელიქიშვილებიც 1798 წლის საბუთში იმავეს ამტკიცებენ.[18] ქალაქში ერთდროულად არსებული რამდენიმე მელიქი იყო. თუმცა XVIII საუკუნის ბოლოს მათ მიერ მოპოვებული მდგომარეობის გამო მელიქების ნაწილმა თავადობა მიიღო. ეთნიკური სომხური საგვარეულოების მოხელეებად დაწინაურება შაჰ-აბასის დროს დაიწყო და როსტომის დროს გაგრძელდა, თუმცა ყველა მათგანმა წარმატებას მხოლოდ იმის გამო მიაღწია, რომ მუსლიმები იყვნენ.

---

[16] ჯ. ლოპალიანი. მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1982; ი. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. ტ. I. თბ. 1952; ივ. ჯავახიშვილი. ქალაქები, საქალაქო წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს. „პრომეთე". 1918, № 1; Ш. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.). Тб. 1959; ი. სურგულაძე. მოურავი. ქსე. ტ. 7. თბ. 1984, გვ. 147.

[17] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. ჟურნ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის" (მსკი). ნაკვ. I(26). თბ. 1948, გვ. 95.

[18] სცსა. ფ. 1450. 18/60.

ამრიგად, თბილისის მელიქს ცალსახად ვერც ერთ კონფესიას ვერ მივაკუთვნებთ. გინდ სომეხი იყოს, გინდ ქართველი, ან თუნდაც მუსლიმი, მისი ქალაქის მერთან ვერ გაიგივება შეცდომაა. თბილისის მელიქები მეფისა და ქალაქის მოურავის მოხელეები იყვნენ.

ცალკე საკითხია XIX საუკუნის ქალაქის თავების საქმე. აქ მხოლოდ ერთს შევნიშნავთ, რომ ქართულ-სომხურ სამეცნიერო კამათში დიდი ადგილი უკავია მხარგრძელების საკითხს.[19] მხარგრძელების მამული, სანაინი და მისი მიდამოები, მოგვიანებით ადგილობივ საგვარეულოს, არღუთაშვილებს ეკავათ, ამიტომ ისინი თავს მხარგრძელების შთამომავლებად მიიჩნევდნენ. არღუთას მხარგრძელებიდან ჩამომავლობის ლეგენდა ერეკლე II-მ არღუთაშვილებს 1783 წელს დაუდასტურა და საგანგებო სიგელიც უბოძა.[20] 1800 წელს არღუთაშვილებმა რუსეთის იმპერატორ პავლე I-ისგანაც მიიღეს სიგელი, რომელშიც მათი გვარი არღუთინსკი-დოლგორუკოვად არს ჩაწერილი. როგორც ვხედავთ, მათ მხარგრძელი რუსულად თარგმნეს, როგორც დოლგორუკი, აქედან მიიღეს დოლგორუკოვი. მხარგრძელის რუსულად თარგმნამ სომეხ მეცნიერებში გააჩინა იდეა, მხარგრძელი სომხურადაც ეთარგმნათ, ასე გაჩნდა ერკაინბაზუკის (Երկայնաբազուկ) საგვარეულო. ეს არის მხარგრძელის ხელოვნური თარგმანი, რომელიც, როგორც ჩანს, უკვე დამკვიდრებულია თანამედროვე სომხურ მეცნიერებაში. არ არსებობს არც ერთი წყარო, მათ შორის სომხურენოვანი, რომელშიც მხარგრძელი ერკაინბაზუკის ფორმით ფიქსირდებოდეს. ვფიქრობთ, წიგნში დასახელებული ქალაქის თავების – ნიკოლოზ არღუთაშვილის (გვ. 77-79) და ალექსანდრე არღუთაშვილის (გვ. 88) მოხსენიება Еркаинабазук-ად (Долгорукий) (გვ. 77-80) არასწორია. თუმცა აქ ჩვენ აღნიშნული პიროვნების რელიგიურ-კონფესიურად გრიგორიანული ეკლესიის კუთვნილებას ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ გვარის წარმოებაში ზედმეტად ხელოვნურობა აშკარად ჩანს.

---

[19] მხარგრძელების შესახებ აქ არ შეეხერდებით, მათ შესახებ მრავალი ნაშრომი არსებობს, ერცლად იხ. შ. დარნიაშვილი. ძეგანი ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან. თბ. 2010; შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ. 1979; ნ. შოშიაშვილი. მხარგრძელები. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 7. თბ. 1984, გვ. 271-272; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979.

[20] ლ. მელიქსეთ-ბეგი. საქართველოს მეფის ერეკლე II-ის და რუსეთის იმპერატორის, პაველ I-ის, სიგელები მხარგრძელთადმი. საისტორიო მოძიებ. I. თბ. 1945.

XIX საუკუნის თბილისში ქალაქის თავების ნაწილი, ალბათ, მართლაც სომხური წარმომავლობისაა, ნაწილი – გასომხებული ქართული წარმომავლობის და ნაწილი – ქართული. ამის შესახებ თავის დროზე საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნდა.[21] ამიტომ ამ საკითხზე დამატებითი არგუმენტების მოტანას აღარ გავაგრძელებ.

[21] ი. ახუაშვილი (მუხათელი), ვინ იყვნენ ტიფლისის მერები?! – Тифлисские мэры, кто они?! თბ. 2008.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

პოლემიკა

როლანდ თოფჩიშვილი

„საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების“ რედაქტორებს – თედო დუნდუას, მარიამ ჩხარტიშვილსა და ალექსანდრე ბოშიშვილს

„საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების“ 2011 წელის IV ტომში გამოქვეყნდა თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორის, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების (რომლის გამგეც მე გახლავართ) უმცროსი მეცნიერთანამშრომლის *ჯონი კვიციანის* წერილი, სათაურით „კავკასიაში ეთნიკური ვითარებისა და ცივილიზაციური კუთვნილების შესახებ (პასუხი *რ. თოფჩიშვილის* ინტერპრეტაციებს)“. შეგახსენებთ: ავტორი აკრიტიკებს ჩემს სამეცნიერო შეხედულებებს ე.წ. კავკასიური ცივილიზაციისა და კავკასიაში ეთნიკური ვითარების ცვლილებების შესახებ. გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ არა ვარ მომხრე მეცნიერმა დრო დაკარგოს და პასუხის ღირსად მიიჩნიოს მსგავს „კრიტიკოსთა ნააზრევი“. როგორც მოგეხსენებათ, ყველა მკვლევარს აქვს შესაძლებლობა საკუთარი ნაფიქრ-ნააზრევი სამეცნიერო ნაშრომში ჩამოაყალიბოს. სხვათა შორის, განსხვავებულ მოსაზრებათა შესახებაც არ შეიძლება მეცნიერს მკვეთრი რეაქცია ჰქონდეს. როგორც ცნობილია, მეცნიერება და, მათ შორის, ჰუმანიტარულიც კატეგორიულობას ვერ იტანს. კატეგორიული იყო ჰუმანიტარული მეცნიერება საბჭოთა პერიოდში. საბჭოთა მეცნიერება კატეგორიული იმიტომ იყო, რომ **ის გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული** – ისტორიული მატერიალიზმი იყო ყველაფრის მიმართულების მიმცემი; დებულებები ზემოდან მოდიოდა. აქედან გამომდინარე, მეცნიერებიც იძულებულნი იყვნენ სქემებისათვის მოერგოთ თავიანთი ნააზრევი. ხშირად გაიგონებდით, ან წაიკითხავდით: „ეს საკითხი საბოლოოდ დადგენილია“, „საბოლოოდ გადაწყვეტილია“, „ჭეშმარიტებაა“, „ამ სფეროში საკვლევი აღარაფერია“. ფაქტობრივად, არავის შეეძლო მეცნიერების ლიდერთაგან განსხვავებული აზ-

რის გამოთქმა. იყო მეცნიერთა გარკვეული წრის ერთგვარი კულტიც – მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ცხადდებოდა და სხვას განსხვავებული აზრი არ უნდა გამოეთქვა, იმავე საკითხებზე წერა არ შეიძლებოდა. ერთი სიტყვით, მეცნიერებაშიც ცეკას მსგავსი სტრუქტურა არსებობდა; უფრო მეტიც, კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ერეოდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საქმეებში. მაგალითად, შეიძლება აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემები მოვიყვანოთ, ზემოდან მოცემული ჩარჩოებით ხდებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა ისტორიის შესწავლა (აქ შეიძლება გავიხსენოთ ცეკას მითითებით *უშანგი სიდამონიძისათვის* მინიჭებული სადოქტორო სამეცნიერო ხარისხის ჩამორთმევა).

საისტორიო და ეთნოლოგიურ მეცნიერებაში არსებული ბევრი წყაროსა და მონაცემის სანდოობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მონაცემები ზედაპირზე დევს და ყველაფერი ნათელია. წარსულში და დღესაც მკვლევრები ასეთ მასალებსა და წყაროებს სათანადო, ხშირად სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევდნენ. მეცნიერებს დასკვნების გაკეთების საშუალება არსებული წყაროსა და მასალის ანალიზი აძლევს, მაგრამ წინასწარ აკვიატებული დასკვნისათვის მასალის მორგება უკვე მეცნიერება აღარაა.

ამრიგად, მეცნიერს შეიძლება განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს, მაგრამ ის აუცილებლად სათანადო მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს არგუმენტირებული მსჯელობისთვის. კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მივაპყრო თქვენი ყურადღება: მართალია, საისტორიო მეცნიერება ფაქტების საშუალებით მიახლოებითი სინამდვილის დადგენაა, მაგრამ ქართველოლოგიას ჩვენს შემთხვევაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაც აქვს – ის საკუთარი ხალხის კულტურის წარმოჩინებას ემსახურება და ეთნიკური/ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების სამსახურშია. ერთი სიტყვით, მეცნიერი ნებსით თუ უნებლიეთ არ უნდა აკნინებდეს და ჩქმალავდეს იმ კულტურულ მიღწევებს, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში თაობების მიერ იყო შექმნილი. თუმცა ის მითოლოგემებსაც არ უნდა ქმნიდეს და ისტორიისა და კულტურის მიღწევების ფალსიფიცირებასა და ზეაღმატებულ ხარისხში წარმოდგენას არ უნდა ცდილობდეს. სამწუხაროდ, ასეთი ტენდენციები დღეს ფრიად დამახასიათებელი რამაა სხვადასხვა ხალხების მეცნიერთა წრეებისათვის, რაც განსაკუთრებით ჩვენ ირგვლივ მკვიდრ, მეზობლად მცხოვრებ ეთნოსებს ეხებათ.

ჩემი სტატია „კავკასიური ცივილიზაციის შესახებ“ ზემოხსენებული „კრიტიკოსისაგან“ განსხვავებული შეხედულებების შემცველია. ეს განსხვავე-

ბული შეხედულებები მავანთა მიერ ერთგვარ შეურაცხყოფად იქნა აღქმული. ჩემი სამეცნიერო ნაშრომი ძირითადად მიემართებოდა რამდენიმე „რუსეთელ“ მეცნიერს, რომლებიც „კავკასიურ ცივილიზაციაში“/„მთურ კავკასიურ ცივილიზაციაში“ ქართულსაც ათავსებენ. მე მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნით დავკმაყოფილდი, რომ ერთ-ერთი ქართველი ავტორიც ამ მოსაზრებას იზიარებს. ეს ქართველი ავტორი კი შეეცადა ჩემი მეცნიერული შეხედულებების „განქიქებას“. არ ვაპირებდი „კრიტიკოსისათვის“ პასუხის გაცემას, რომ არა ერთი ფაქტი: მას შეცდომაში შეჰყავს მკითხველი და ისეთ რამეს მომაწერს, რაც არასოდეს და არსად დამიწერია და ჩემთვის, როგორც მოქალაქისათვისაც, მიუღებელია. საქმე ის გახლავთ, რომ მე **თითქოს კავკასიის ხალხებს სტუმრებად და მასპინძლებად ვყოფ**. ციტატას ქვემოთ შემოგთავაზებთ, ამჯერად კი მოვლენებს გავუსწრებ და კითხვას დავსვამ და პასუხსაც აქვე გავცემ: ჩემს ნაშრომს – კავკასიაში ეთნიკური ვითარების ცვლილებების შესახებ – რატომ „განაქიქებს“ კრიტიკოსი? მას ხომ უშუალოდ „კავკასიური ცივილიზაცია“ ეხებოდა, რომლის აღიარებულ სპეციალისტადაც მიიჩნევს თავს? მიზანი ნათელია: მკითხველი უნდა დარწმუნდეს, რომ რ. თოფჩიშვილი „კავკასიური ცივილიზაციის“ პრობლემას არ უნდა ეხებოდეს, რადგან კავკასიის ისტორიასა და ეთნოლოგიაში მას ფაქტობრივი მასალის ცოდნა არ გააჩნია. ამის დამადასტურებელია ციტატაც: *„სამწუხაროდ, პროფესორ რ. თოფჩიშვილს ამ ბოლო დროს კავკასიის ხალხების ისტორიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ თავის შრომებში (1. Этническая обстановка на историческом и современном Кавказе //კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XII, 2010 და 2. კავკასიური ცივილიზაციის“ შესახებ // თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 2011) ცალსახად ნეგატიური შეფასებები აქვს წარმოდგენილი მათი თანაცხოვრებისა და კულტურის შესახებ, უარყოფილია რეგიონის ხალხთა ერთიანი ცივილიზაციური კუთვნილება“* (*ჯ. კვიციანი.* კავკასიაში ეთნიკური ვითარებისა და ცივილიზაციური კუთვნილების შესახებ: პასუხი რ. თოფჩიშვილის ინტერპრეტაციებს//ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV, თბ., 2011, გვ. 458).

ახლა დაპირებული ციტატა: ***„პირველ ნაშრომში კავკასიის ხალხები ძველებურად დაყოფილია „სტუმრებად და მასპინძლებად“, „კულტურულებად და ნაკლებ კულტურულებად“*** *და ა.შ. შესავალში, სადაც საუბარია კავკასიის*

პოლიეთნიკურობაზე, აქ მცხოვრებ ხალხებს (ადიღები, აფხაზები, ვაინახები, დაღესტნელები, ქართველები და ა.შ.) ავტორი კავკასიურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებს. მაგრამ იქვე რატომღაც დასძენს, რომ ***„რაც მთავარია, მარტო ქართველები არიან ერთადერთი ხალხი კავკასიური წარმომავლობისა“*** *და რომელთაც „გაარჩიათ თავისი ორიგინალური დამწერლობა (თოფჩიშვილი, 2010, გვ. 59). მისი აზრით, ოსები, ბალყარელები და ყარაჩაელები შედარებით ახლახან დასახლებულან კავკასიაში. გაუგებარია ბალყარელთა და ყარაჩაელთა წარმოშობის რომელ ვერსიას ემხრობა ავტორი, რადგან ერთ შემთხვევაში ის ამტკიცებს, სავიარებიდან (ჰუნების ერთ-ერთი ტომი) წარმოიქმნენო და მეორე შემთხვევაში მათ ყივჩაღურ წარმომავლობაზე ლაპარაკობს (თოფჩიშვილი, 2010, გვ. 59)“.*

ბატონო რედაქტორებო! მინდა მოგახსენოთ, რომ „კრიტიკოსი“ ამახინჯებს ჩემ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და თავისებური ინტერპრეტაციებით თარგმნის რუსული ენიდან. პირველ რიგში, **შეურაცხყოფილი გახლავარ იმით, რომ, თურმე, კავკასიის ხალხებს სტუმრებად და მასპინძლებად ვყოფ. ასეთი რამ არსად მიწერია.** ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე ხანდახან გაიგონებდით საქართველოში მცხოვრები ზოგიერთი ხალხის სტუმრებად გამოცხადების შესახებ. ვინც ეთნოსის თეორია იცის **(მე კი ეთნოსის თეორიის მცოდნედ მივიჩნევ თავს) და საერთაშორისო სამართალი, კარგად მოეხსენება,** რომ ქვეყანასა თუ გეოგრაფიულ რეგიონში მცხოვრები ხალხების სტუმრებად და მასპინძლებად დაყოფა, რა თქმა უნდა, უვიცობა, არაჰუმანურობა და, უფრო მეტიც, მკრეხელობაა. ეთნიკური ერთობა, რომელიც გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე, ტიტულოვანი ეთნოსის გვერდით ცხოვრობს, სამი თაობის შემდეგ უკვე მკვიდრად მიიჩნევა. საერთოდ, ხალხების „სტუმრებად“ და „მასპინძლებად“ დაყოფა მეცნიერების საქმე არაა. სტუმარი იმას ნიშნავს, რომ დროებით ცხოვრობს და ოდესმე – ახლო თუ შორეულ მომავალში – უნდა მოიკიდოს გუდა-ნაბადი და ისტორიულ სამშობლოში, ან სადაც უნდა იქ გადასახლდეს. ასეთი აზროვნება ხომ ჩვეულებრივ ფაშიზმად კვალიფიცირდება. **„კრიტიკოსის“ ნართაული დასკვნა ასეთია: თსუ-ის პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი ფაშისტია.** არ მინდოდა ჩემს თავზე მესაუბრა, მაგრამ იძულებული ვარ ვთქვა, რომ ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე ე.წ. სტუმრებს თუ ვინმე იცავდა (პარლამენტარებთან პირადი შეხვედრებითა და საუბრებით და პრეზიდენტებთან პირადი წერილების მიწერით, საგაზეთო პუბლიკაციებით), ერთ-ერთი მე გახლდით. *ზ. გამსახურდიასა* და *ე. შევარდნაძის*

სახელებზე გაგზავნილი წერილები შენახული მაქვს და მომავალში, თუ საჭირო გახდა, არც მათ გამოქვეყნებას მოვერიდები.

„კრიტიკოსის“ მიერ მითითებულ 59-ე გვერდზე ჩამოთვლილი მაქვს ყველა კავკასიელი ხალხი, როგორც საკუთრივ კავკასიური წარმომავლობისას, ისე სხვადასხვა დროს მიგრირებული თურქულენოვანი და ირანულენოვანი ხალხები. ამ ხალხების შესახებ არსად მიწერია, რომ ისინი ახლახან დასახლდნენ კავკასიაში. ვრცელი ციტატა მომყავს ნაშრომიდან, რომლის დამახინჯებულ ციტირებასა და ასევე დამახინჯებულ თარგმანს სთავაზობს მკითხველს „კრიტიკოსი“: «Из ираноязычных народов Кавказа следует назвать осетин, предки которых – аланы – поселились на Кавказе в исторически обозримом прошлом. Что касается ираноязычных народов тат и талышей, они являются одними из древнейших коренных жителей Кавказа. Тюркоязычные народы поселились на Северном и Южном Кавказе в разные периоды истории. **Азербайджанцы, если являются коренными жителями Южного Кавказа, то кумыки, ногайцы, балкарцы и карачаи – жителями Северного Кавказа.** Индоевропейцами по происхождению являются армяне. С испокон веков на Кавказе также проживают как горские, так и грузинские евреи. **Родиной всех вышеперечисленных этносов является Кавказ»** (*Р. Топчишвили. Этническая обстановка на историческом и современном Кавказе //კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XII, 2010*: 59). სად მიწერია, რომ არაკავკასიური წარმომავლობის ხალხები ახლახან დასახლდნენ კავკასიაში? სად მიწერია, რომ არაკავკასიური წარმოშობის ირანულენოვანი და თურქულენოვანი კავკასიელი ხალხები კავკასიის მკვიდრნი არ არიან? შავად გამოყოფილ სტრიქონებს თუ კიდევ ერთხელ გაადევნებთ თვალს, ნახავთ, რომ ამ ეთნოსების შესახებ ხაზგასმით ვწერ: მათი სამშობლო კავკასიაა და რომ ისინი სხვებთან ერთად კავკასიის **ადგილობრივი მკვიდრნი** არიან. ყოველივე ამის შემდეგ რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? ჩემი პასუხი ასეთი გახლავთ: **აზრი და დამოკიდებულება ან მიზანმიმართულად დამახინჯებითაა გადმოცემული, ან კიდევ წაკითხულის გაგების პრობლემასთან გვაქვს საქმე.**

რაც შეეხება კულტურას, ზემოთ მოყვანილ ციტატაში „კრიტიკოსი“ წერს, რომ პირველ ნაშრომში (რომელიც კავკასიის ეთნიკური ვითარების დინამიკას ეხება), გარდა იმისა, რომ კავკასიის ხალხები „სტუმრებად და მასპინძლებად“ დავყავი, მათ „კულტურულებად და ნაკლებ კულტურულებადაც“ ვყოფ თურმე. ნაშრომი ხელახლა სამჯერ წავიკითხე, მაგრამ მსგავს

რამეს ვერ მივაკვლიე. თუმცა რაა იმაში განსაცვიფრებელი, რომ ხალხები კულტურის დონით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეთნოლოგიის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი სფერო კულტურის, უფრო სწორედ, ეთნიკური კულტურის შესწავლაა. ეთნიკური კულტურაა ხალხების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი. პირველი, რასაც სტუდენტებს ვეუბნებით ისაა, რომ უკულტურო ხალხი არ არსებობს. ამას გვასწავლიდა აკადემიკოსი *გიორგი ჩიტაია*. კულტურის საკითხს ვრცელი ადგილი ეთმობა ჩვენს სახელმძღვანელოში „თეორიული ეთნოლოგია" (თანაავტორები *ქ. ხუციშვილი* და *რ. გუჯეჯიანი*). ზოგიერთმა ხალხმა კულტურის მაღალ საფეხურებს მიაღწია, ზოგიერთი კი პრიმიტიული კულტურის დონეზე დარჩა. განა კულტურის თვალსაზრისით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ევროპელები და ტროპიკულ აფრიკაში მცხოვრებნი? განსხვავება იყო კულტურის დონის მიხედვით კავკასიის ხალხებს შორისაც. კავკასიის ხალხებს არ ჰქონიათ საერთო და ერთი დონის კულტურა. ქართველები და სომხები ამ თვალსაზრისით თუ ჩრდილოეთ კავკასიელებზე დაწინაურებული იყვნენ, რა არის ამაში გასაკვირი? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო მონუმენტური საეკლესიო არქიტექტურა არ განასხვავებდა, ერთი მხრივ, ქართველებსა და სომხებს, და, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს ერთმანეთისაგან?! ახლა დამწერლობასა და მრავალსაუკუნოვან მწერლობას მივმართოთ, რაც ასევე სომხებისა და ქართველებისთვის იყო დამახასიათებელი და ანალოგიური რამ ჩრდილოეთ კავკასიელებს არ ჰქონიათ. ადრე შუა საუკუნეებიდან სამხრეთ კავკასიელები სამართლებრივი ურთიერთობებისას დოკუმენტებს ადგენდნენ. ეს ასე იყო საქართველოს ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში. ბუნებრივია, ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის ანალოგიური რამ უცნობი იყო. ყველანაირი ურთიერთობა და გარიგება ადამიანებს შორის აქ სიტყვიერად ხდებოდა, არავითარი წერილობითი აქტი მათთან არ დგებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში დოკუმენტის ძალა ხშირად ლექსსა და სიმღერას ჰქონდა. ანალოგიური სიტუაცია საქართველოს მაღალმთიანეთის მხოლოდ ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – ხევსურეთში – არსებობდა. სვანეთში შექმნილი ჩვენამდე მოღწეული პირველი სამართლებრივი დოკუმენტები კი XIII საუკუნით თარიღდება.

ქართული *დარბაზული* საცხოვრებელი სახლი, სომხური *გლახტუნი* და აზერბაიჯანული *ყარდამი* არ განსხვავდებოდა ადიღეელთა მოწული საცხოვრებლისაგან, რომლის დაშლაც 15 წუთში შეიძლებოდა? დავხუჭოთ ამაზე თვალი და ვიძახოთ, რომ სამხრეთ კავკასიელები და ჩრდილოეთ

კავკასიელები კულტურით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელებიც, ჩრდილოეთ კავკასიელებისაგან განსხვავებით, უფრო მაღალი კულტურის შემქმნელნი იყვნენ, რაც იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ პირველნი ჩრდილოეთ კავკასიელებისგან გენეტიკურად განსხვავებულნი და მათზე მაღლა მდგომნი, უფრო ნიჭიერნი იყვნენ. არა! მიზეზი სხვა რამ გახლავთ. ქართველებისა და სომხების ეთნიკური ნიშა ჩრდილოეთ კავკასიის ლანდშაფტი რომ ყოფილიყო და, პირიქით, ჩრდილოეთ კავკასიელების ეთნიკური ნიშა – სამხრეთ კავკასია, როლები გაიცვლებოდა და ისინი ქართველებსა და სომხებზე კულტურულად მეტად განვითარებულნი იქნებოდნენ. არ უნდა დავივიწყოთ მეზობლური გარემოცვაც. ჩრდილოეთ კავკასიელთა საკონტაქტო ეთნოსები საუკუნეების განმავლობაში ნომადები იყვნენ, სამხრეთ კავკასიელები კი მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციების გავლენის სფეროში იყვნენ მოქცეულნი. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს „კულტურული მასწავლებლის“ ცნება. ევროპისათვის ასეთი „კულტურული მასწავლებლის“ როლს ყოველთვის ხმელთაშუაზღვისპირეთი ასრულებდა (*Коломийцев И.* Тайны Великой Скифии. М. 2005: 81). საქართველოსათვის ასეთი „კულტურული მასწავლებელი“ მახლობელი აღმოსავლეთი და ბერძნულ-რომაული, შემდეგ ბიზანტიური სამყარო იყო. ჩრდილოეთ კავკასიელებამდე ეს „კულტურული მასწავლებელი“, ფაქტობრივად, ვერ აღწევდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი რელიგიაც იყო. ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსების უმეტესობამ მონოთეისტური რელიგია – ისლამი გვიან მიიღო. ისინი ძირითადად წარმართული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი იყვნენ. სამხრეთ კავკასიაში კი IV საუკუნის დასაწყისიდან გავრცელდა ქრისტიანობა. რელიგია კი განსხვავებულ კულტურებს ქმნიდა.

„კრიტიკოსი“ მკითხველს შთაბეჭდილებას უქმნის, რომ *რ. თოფჩიშვილმა* არ იცის კავკასიის ხალხთა ეთნიკური ისტორია. ზემოთ მოყვანილი ციტატის ნაწილი კვლავ უნდა გავიმეორო: *„გაუგებარია ბალყარელთა და ყარაჩაელთა წარმოშობის რომელ ვერსიას ემხრობა ავტორი, რადგან ერთ შემთხვევაში ის ამტკიცებს, სავიარებიდან (ჰუნების ერთ-ერთი ტომი) წარმოიქმნენო და მეორე შემთხვევაში მათ ყივჩაღურ წარმომავლობაზე ლაპარაკობს (თოფჩიშვილი, 2010, გვ. 63)“*. 63-ე გვერდზე შემდეგი რამ მიწერია: «В результате осетины-«степняки» окончательно переселились в горы Центрального Кавказа (საუბარია მონღოლთა შემოსევების შემდგომ პერიოდზე), став горцами, а часть кипчаков укрылась в горах Западного Кавказа.

Вследствие слияния кипчаков с местным населением сформировались современные народы – балкары и карачаи» (*Р. Топчишвили 2010: 63*). რა არის აქ გაუგებარი? არსად მიწერია, რომ ბალყარელები და ყარაჩაელები ჰუნებისაგან (სავიარებისაგან) წარმოიქმნენ. წაკითხულს გაგება უნდა. მე ვწერდი, რომ VI საუკუნეში სავიარები, *პროკოპი კესარიელის* ცნობით, ბინადრობდნენ კავკასიის მთების ახლოს და აღვნიშნავდი: «однако, как выяснятся, они жили и в горах, в частности, на территории нынешней Балкарии и Западной Осетии (Дигории), что подтверждается полевыми этнографическими материалами» (*Р. Топчишвили 2010: 62*). ნუთუ აზრი გარკვევით არაა ჩამოყალიბებული? ესაა გაუგებრობა? არსად არ მიმტკიცებია, რომ ბალყარელები და ყარაჩაელები სავიარებისაგან წარმოიქმნენ-მეთქი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში სავიარების კავკასიის მთიანეთის ერთ-ერთ მონაკვეთში ცხოვრება იმას ნიშნავს, რომ მათ ბალყარელ-ყარაჩაელთა ეთნოგენეზში მიიღეს მონაწილეობა? საერთოდ, ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ჰუნ-სავირების კავკასიის მთებში (დიგორში და ბასიანში) შესვლა 558-559 წლებში – ავარების შემოსევის პერიოდში – მოხდა, როდესაც ეს უკანასკნელნი მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ბატონ-პატრონად იქცნენ (*Коломийцев* 2005: 224). ამ დროს გაუმეზობლდნენ ალან-ოსები საქართველოს აფხაზეთისა და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებსაც (დიგორელი ოსები იმდროიმდელი ალანების შთამომავანი არიან, ხოლო ალაგირელი, ქურთაულელი და თაგაურელი ოსები მთებში მონღოლთა შემოსევების შემდეგ შემოვიდნენ). თავს ვერ დავდებ, რომ კავკასიის შესახებ სრულყოფილი ცოდნა მაქვს, მაგრამ კავკასიის ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები შედარებით სრულყოფილად ვიცი. დაინტერესებულ მკითხველს კი ვეტყვი, რომ ჩემი შეხედულებები ამ საკითხზე „კავკასიის ეთნოლოგიის“ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსა და სხვა ნაშრომებში მაქვს ჩამოყალიბებული (მაგალითად, იხ.: *Р. Топчишвили.* Кавказоведческие исследования. Тб., 2011). ამასთანავე, ამ და სხვა საკითხების შესახებ მსჯელობისას ვეყრდნობი არსებულ მდიდარ წყაროებსა და ლიტერატურას და არა ყურმოკრულ ინფორმაციებს.

„კრიტიკოსი“ ბრალს მდებს, რომ თითქოს ვწერ: „ქართველები არიან ერთადერთი ხალხი კავკასიური წარმომავლობის“. შემდეგ კი აგრძელებს: *„აღსანიშნავია, რომ დღეისათვის არამარტო (უნდა იყოს: არა მარტო – რ. თ.) კავკასიური* (უნდა იყოს კავკასიელი – რ. თ.) *ხალხების, არამედ ბევრ სხვა ხალხთა წარმოშობა დაუდგენელია და ამიტომ კატეგორიული მინიშნე-*

ბის გაკეთება – ვინ არის „კავკასიური წარმოშობის ერთადერთი ხალხი“, მართებულად არ მიმაჩნია. ადიღების, ვაინახების, სომხების, ოსების, ბალყარელების და სხვა ხალხების წარმომავლობა, ავტოხთოურ-მიგრაციული თეორიის თანახმად (მ. აბდუშელიშვილი, გ. მელიქიშვილი, გ. ჩიტაია და სხვ), ეჭვს არ უნდა იწვევდეს“ (*კვიციანი* 2011: 459). იძულებული ვარ აღვნიშნო, რომ „კრიტიკოსი“ დემაგოგიას მიმართავს და ვერ ფლობს ფაქტობრივ მასალას. სად დავწერე, რომ ქართველები არიან ერთადერთი კავკასიური წარმომავლობისანი? არსად! **მხოლოდ იმას აღვნიშნავდი, რომ ქართველები არიან კავკასიური წარმოშობის ხალხთაგან ერთადერთი, რომელთაც ორიგინალური დამწერლობა აქვთ შექმნილი.** ერთ რამეზე მგონი ყველანი ვთანხმდებით, კერძოდ, კავკასიური წარმოშობის ის ეთნოსებია, რომლებიც კავკასიურ/იბერიულ-კავკასიურ ენებზე მეტყველებენ. ცილისწამებაა, რომ ადიღეელებსა და ვაინახებს კავკასიური წარმოშობის ხალხებად არ მივიჩნევ (ასეთ ზღაპრებს თხზავდა ოსი *მ. ბლიევი,* რომელიც ოსებს ძირძველ კავკასიელებად და ვაინახებს კი მოსულებად ასახელებდა). მაგრამ კავკასიელობას ხომ მხოლოდ ენა არ განსაზღვრავს. ინდოევროპული, თურქული მოდგმის ხალხები არ არიან კავკასიური წარმოშობისა, მაგრამ კავკასიელები არიან იმიტომ, რომ აქ მკვიდრობენ. კავკასიელობას ვერავინ წაართმევს „კრიტიკოსის“ მიერ დასახელებულ ვერც სომხებს, ვერც ოსებსა და ვერც ბალყარელებს. გაურკვეველია, რა არის ეს ე.წ. „ავტოხთონურ-მიგრაციული თეორია“? აქ საჭირო და აუცილებელი იყო *გ. მელიქიშვილის, მ. აბდუშელიშვილისა* და *გ. ჩიტაიას* კონკრეტული ნაშრომების მითითება. საერთოდ, კავკასიელთა ეთნოგენეზის შესახებ, თანაც ე.წ. „ავტოხთონურ-მიგრაციული თეორიით“, არც *გ. მელიქიშვილსა* და არც *გ. ჩიტაიას* ნაშრომები არ გააჩნიათ. პირველი მათგანი მხოლოდ ქართველთა ეთნოგენეზის საკითხებს იკვლევდა. ქაშქებისა და ქაშაგების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, ის მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს, ძვ.წ. II ათასწლეულში „კავკასიის იქითა მხრიდან“ მცირე აზიის ჩრდილოეთ ზოლში ხალხთა მიგრაციის შესახებ. სხვა ნაშრომში *გ. მელიქიშვილი* ასევე ვარაუდობს ძვ.წ. III ათასწლეულიდან ქართველური და ადიღეური ტომების გავრცელებას „ცენტრალურ ანატოლიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან მოყოლებული მთელი დასავლეთ ამიერკავკასიის მიწა-წყალზე და კიდევ უფრო ჩრდილოეთით, კავკასიონის ჩრდილო მხარეზეც“ (*გ. მელიქიშვილი.* ძიებანი საქართველოს, კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1999: 261-262). *გ. ჩიტაიას* კი მხოლოდ უცხო-

ელ ავტორთა და *ს. ჯანაშიას* შეხედულებები აქვს მიმოხილული ქართველთა წარმომავლობის შესახებ (*ვ. ჩიტაია.* შრომები, ტომი II. თბ., 2000).

შემდეგი ციტატა: *„დღეს არავინ დაობს* (უნდა იყოს: დავობს – რ. თ.) *იმაზე, რომ ეთნოსის კუთვნილებასთან დაკავშირებით ენას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ცნობილია, რომ ოსების, სომხების, ბალყარელების, ყუმუხების, აზერბაიჯანელების და სხვა ხალხების ფიზიკური წინაპრების უმეტესი ნაწილი ძირ-ძველი* (უნდა იყოს: ძირძველი – რ. თ.) *კავკასიელებია, რომლებმაც კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, საკომუნიკაციო ენად ინდოევროპული ან თურქული მიიღეს“* (*კვიციანი* 2011: 459). ძვირფასო მკითხველო! „კრიტიკოსმა“ ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა კავკასიის თურქულენოვანი და ინდოევროპული მოდგმის ხალხების ეთნოგენეზის პრობლემა. ის აცხადებს, რომ ამ საკითხებზე დღეს აღარავინ დავობსო. კავკასიელებმა თურმე საკომუნიკაციო ენებად მიიღეს თურქული, ოსური, სომხური ენები. **ეს მხოლოდ ერთადერთი მოსაზრებაა გამოთქმული ზოგიერთი ფიზიკური ანთროპოლოგის მიერ.** მათთან კი კამათობენ ისტორიკოსები, ეთნოლოგები, ენათმეცნიერები. მიზანი ერთია: მის მიერ ჩამოთვლილი კავკასიელი ხალხების *„ფიზიკური წინაპრების უმეტესი ნაწილი ძირ-ძველი კავკასიელებია“*. არაა ეს ასე! გასაოცარია, კავკასიის მთებში შესულმა ერთმა მუჭა ყივჩაღებმა როგორ მოახვიეს თავიანთი ენა ადგილობრივ კავკასიელებს, რომლებიც ამის შემდეგ ბალყარელებად და ყარაჩაელებად იქცნენ, თუ ადგილობრივნი მოსულებთან შედარებით უმცირესობას არ წარმოადგენდნენ? თუმცა „კრიტიკოსი“ ხომ ამ მოვლენას არ გულისხმობს. მისი აზრით, კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს კომუნიკაციისათვის ესაჭიროებოდათ თურქული და ოსური ენები და ამის გამო უარი თქვეს მშობლიურ ენებზე და სხვათა ენებზე საუბარი დაიწყეს. **აქ ჩანაფიქრი სულ სხვაა – ოსები მოსულები არ არიან, ძირძველი კავკასიელები არიან და ისინი თურმე უძველესი დროიდან მკვიდრობდნენ კავკასიაში.** ამის შესახებ ცოტა ქვემოთ წერს: *„არ მიგვაჩნია მართებულად ოსების წარმომავლობაზე – როგორც კავკასიაში სულ ახლახან მოსულ ხალხზე – ხაზვასმა“*. ამდენად, **ქართველი „კრიტიკოსი“ მითოლოგემების შემქმნელი ოსი მეცნიერების დამცველადაც გვევლინება.** უფრო მეტიც, ის იმეორებს ბოლო დროის ოსი მეცნიერი-ფალსიფიკატორების „ნააზრევს“: *„ცნობილია, რომ ოსური ეთნოსის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობასთან (ყობანის კულტურის შემქმნელებთან, რომელთა ეთნიკური კუთვნილება ჯერ არ არის გარკვეული) და*

ირანულენოვან ხალხებთან – სკვითებთან, სარმატებთან, ალანებთან“. საიდან დავიწყო, არ ვიცი. ეს უკვე მეტისმეტია! „კრიტიკოსი“ პირდაპირ იმეორებს ოსი მეზღაპრეების: *ტეხოვის, გაგლოითის, ბლიევის, ძათიათისა* და *კალოევის* „ნააზრევს“. ცუდია, რომ აღნიშნულ ხუთეულს ქართველი ავტორიც შეუერთდა. *რ. თოფჩიშვილს* არსად დაუწერია, რომ ოსები კავკასიაში „სულ ახლახან მოსული არიან“. კავკასიის ხალხთა ეთნიკური ისტორიიდან თითქმის ყველაზე კარგად ოსთა ეთნიკური ისტორიაა შესწავლილი. არც-ერთი სერიოზული მეცნიერი არ ფიქრობს იმას, რომ ოსები წარმომავლობით კავკასიელები არიან. თუმცა არც არავინ წერს, რომ დღეს ისინი კავკასიელები არ არიან. ალან-ოსების შესახებ ზღვა წყაროები არსებობს (*А. Алемань.* Аланы в древних и средневековых письменных источниках. *М., 2003*) და დადგენილია, რომ მათი, ისევე როგორც ყველა ირანულენოვანი ეთნოსის, ფორმირების კერა შუა აზია იყო, რომ მათი წინაპარები მომთაბარეები იყვნენ და რომ ახ.წ. I საუკუნიდან სამომთაბარეო არეალი ვოლგის კასპიის ზღვასთან შეერთებისა და აზოვის ზღვას შორის მონაკვეთი იყო, რომ ალან-ოსები კავკასიელებად (არა მთის კავკასიელებად, არამედ კავკასიის სტეპების მკვიდრებად) ჰუნების შემოსევის შენდეგ, IV საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, იქცნენ. ისიც დადასტურებულია, რომ კავკასიის მთიელებად ალან-ოსები მონღოლთა შემოსევების შემდეგ იქცნენ. მაშ, როგორღა არიან ისინი ყობანური კულტურის, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება, მემკვიდრეები? „კრიტიკოსის“ კონცეფციით, ამ დროს მიუღიათ საკომუნიკაციო ენად „ყობანელებს“ ოსური ენა და ასე ქცეულან ისინი ოსებად, ან ამ დროს შემოვიდნენ ალან-ოსები კავკასიის მთებში და მოახდინეს „ყობანელების“ ასიმილაცია. ზემოთ დასახელებული ოსი ავტორები იმდენად არიან მოწადინებული თავიანთი ძირძველი კავკასიელობა სხვებს დააჯერონ, რომ თავს მიიჩნევენ როგორც სკვითების, ისე სარმატებისა და ალანების შთამომავლებად. ოსი ავტორები იმასაც წერენ, რომ „ყობანელები“ უკვე ეთნიკური ოსები იყვნენ. ყველაფერ ამას კი ქართველი ავტორი იზიარებს. გასაოცარია, როგორ მიიჩნევიან ისტორიის სრულიად სხვადასხვა პერიოდებში რუსეთის სამხრეთ სტეპებში მომთაბარე სხვადასხვა ირანული ტომები ოსების წინაპრებად? მაშინ „კრიტიკოსმა“ ელემენტარულად ის მაინც უნდა დაადასტუროს, რომ ჯერ სკვითები იქცნენ სარმატებად, შემდეგ – სარმატები ალანებად. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. როგორ შეიძლება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მცხოვრები სკვითები, სარმატები და ალანები, ყველანი ერთად, ოსების წი-

ნაპრები ყოფილიყვნენ? ისინი მხოლოდ ალანების უშუალო მემკვიდრეები არიან. არსებული მრავალრიცხოვანი წყაროების თანახმად, ალანები არალის-პირეთში ცხოვრობდნენ და ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მათ ევრაზიის სამომთაბარეო სივრცეში გადაინაცვლეს. ალანთა სამომთაბარეო არეალი რუკებზე ასახა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა *ლ. გუმილიოვმა*, ჩვენ კი ეს რუკები გადმოვბეჭდეთ წიგნში „ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი“ (თსუ გამომცემლობა, 2008: 66-70).

„კრიტიკოსი“ ირანულენოვან თათებსა და თალიშებთან დაკავშირებითაც მაკრიტიკებს: *„სადაა ავტორის მიერ თათებისა და თალიშების ნამდვილ, ძირ-ძველ კავკასიელებად გამოყოფა. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილი თათებს და მთიელ ებრაელებს ერთ ხალხად მიიჩნევს, მეორე კი სხვადასხვა ხალხებად“* (*კვიციანი* 2011: 460). მოყვანილი ციტატის ორ წინადადებაში ლოგიკური კავშირიც კი გაწყვეტილია. აქ ის თავის პრინციპს არღვევს და ამ ორი ირანულენოვანი ხალხის ძირძველ კავკასიელებად მიჩნევაში ეჭვი შეაქვს. „განსაქიქებელ“ სტატიაში მიწერია: «Из ираноязычных народов Кавказа следует назвать осетин, предки которых – аланы – поселились на Кавказе в исторически обозримом прошлом. Что касается ираноязычных народов, тат и талышей, они являются одним из древнейших коренных жителей Кавказа» (*Р. Топчишвили 2010: 59*). ამრიგად, „კრიტიკოსი“ ოსებს მიიჩნევს უძველეს კავკასიურ ეთნოსად, ყობანური კულტურის შთამომავლებად, თათებისა და თალიშების მიმართ კი ამ თვალსაზრისით ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. თათებისა და თალიშების შესახებ დაწვრილებით „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიაში“ მიწერია. ამჯერად აქ ყველაფერს ვერ გავიმეორებთ, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ, რომ თათების კავკასიაში მიგრაცია აქ სასანიდების ექსპანსიის დროს მოხდა. ირანის ხელისუფლებამ ჩრდილოეთი საზღვრების დაცვის მიზნით დერბენტის რაიონში მეომარი კოლონისტები დაასახლა. თათები სწორედ ამ კოლონისტების შთამომავალნი არიან. ისტორიული წყაროებით, თათები კავკასიაში პირველად VII-X საუკუნეებში არიან მოხსენიებულნი. თალიშები კი XI-XII საუკუნეებში შემოჭრილ თურქულ ტომებს ლენქორანში დახვდნენ. თალიშები თავიანთი ეთნიკური ტერიტორიის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თალიშების განსახლების არეალი ჯერ ძველი სახელმწიფოს – მიდიის შემადგენლობაში, შემდეგ კი სპარსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. რა ლოგიკით უნდა მივიჩნიოთ ოსები და ბალყარელ-ყარაჩაელები ად-

გილობრივ, ძირძველ კავკასიელებად და თათები და თალიშები – არა, გაურკვეველია. თათებისა და მთის ებრაელების ერთიან ხალხად გამოცხადება კი მხოლოდ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა. ხელისუფლების დავალებით, საბჭოთა მეცნიერები ამტკიცებდნენ იმ უაზრობას, რომ მთის ებრაელები იგივე თათები არიან. იმის გამო, რომ მთის ებრაელები თათურად მეტყველებდნენ, ხალხს თავის ეთნიკურობას ართმევდნენ. არა მხოლოდ თათებისა და თალიშების მიმართ აქვს ტენდენციური დამოკიდებულება „კრიტიკოსს“, არამედ დაღესტნის მთელი რიგი ხალხების მიმართაც. „კავკასიის ხალხთა კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგიის“ კურსში მხოლოდ ავარელები (ქართულ ენაზე მათი აღმნიშვნელი ეთნონიმია ხუნძები – რ. თ.), დარგინელები (ქართულად – დარგუელები – რ. თ.), ლეზგები, ყუმუხები ჰყავს შეყვანილი, სამაგიეროდ მნიშვნელოვანი ყურადღება რუსებზე აქვს გადატანილი, იმ რუსებზე, რომლებმაც კავკასიის დაპყრობაში სისხლის გუბეები დააყენეს და ცეცხლს მისცეს სოფლების დიდი ნაწილი.

შემდეგ ციტატაში „კრიტიკოსი“ უკვე პატრიოტის პოზიციიდან მელაპარაკება და შეგონებებს მიმართავს: *„არ შეესაბამება სინამდვილეს ავტორის მტკიცება იმის შესახებაც (აპელირება კეთდება ჯუანშერის ისტორიაზე), რომ ალანები კავკასიაში მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასლის დროს მთავარ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ, პირიქით, ამ დროს მთავარი პოლიტიკური ძალა ქართული სამეფო იყო და ვახტანგ მეფის დაცვაში სამასი დაქირავებული ალან-ოსიც მსახურობდა“. (იხ. Аланы: история и культура III Владикавказ, 1995: 105).* აშკარაა, რომ წაკითხულის გაგების პრობლემასთან გვაქვს საქმე. წინა წინადადების წამკითხველს იმის გაგება არ გაუჭირდებოდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაზეა საუბარი და არა საერთოდ კავკასიაზე. სინამდვილეში ნათქვამია, რომ იმ დროისათვის ალან-ოსები იყვნენ მთავარი პოლიტიკური ძალა, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში არა მხოლოდ ქართველებს უქმნიდნენ პრობლემებს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლე სხვადასხვა ეთნოსებსაც. რაც შეეხება *ვახტანგ გორგასლის* დაცვის სამას დაქირავებულ ოსს, ქართულ წყაროში (უცხოენოვან წყაროშიც) მსგავსი არაფერია ნათქვამი. *ჯუანშერი* ამის შესახებ არაფერს გვამცნობს. ჩემი „კრიტიკოსი“ კი 1995 წელს ვლადიკავკაზში დაბეჭდილ წიგნს (არასწორი მითითებით) უთითებს. უნდა მიეთითებინა: «Дзаттиаты Р. Г. Аланы в дружине Вахтанга Горгасала. – Аланы: история и культура. Alanica. III. Владикавказ. 1995. ამ შემთხვევაშიც ცნობილი ოსი ფალსიფიკატორის – *რ. ძთიათის*

მითოლოგემასთან გვაქვს საქმე. აღნიშნულ სტატიაში ოსი ავტორი მხოლოდ *ვახტანგ გორგასლის* დაცვაში სამასი დაქირავებული ალან-ოსის ყოფნას ვარაუდობს: **«По нашему предположению, дружина царя Картли Вахтанга Горгасала состояла из алан». ოსი ავტორი ზღაპრებს თხზავს, ქართველი ავტორი – ჩემი „კრიტიკოსი“ კი მითოლოგემას რეალურ ჭეშმარიტებად აცხადებს.** სხვათა შორის, *რ. ძათიათი* სხვა მითოლოგემასაც ქმნის. ქართულ წყაროში ვკითხულობთ, რომ *ვახტანგმა* „დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდეთ. და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და **დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთიულნი**. არა ჭელეწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თჳნიერ ბრძანებითა ქართველთა მეფისა“ (ქართლის ცხოვრება, ტომი I, 1955: 156). დარიალის მახლობლად მოსახლე მთიელები (**„მახლობელნი იგი მთიულნი“**) თურმე ოსები ყოფილან, რომლებიც ცენტრალური კავკასიის მაღალმთიანეთში უკვე დიდი ხნის შემოსულნი ყოფილან და დომინირებდნენ კიდევაც აქ: **«Как показали исследования, под этим «горцами» следует иметь в виду алан, давно уже проникших в высокогорье Центрального Кавказа и явно доминировавших здесь».** ასე ქმნიან ოსი ავტორები ზღაპრებს. ალან-ოსები მაშინ დარიალის სიახლოვეს არ იყვნენ. ქართულ წყაროში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ვახტანგ გორგასალმა ოსებთან საბრძოლველად დარიალის კარი გაიარა და „ჩავლის ველსა ოსეთისასა“. მონღოლთა შემოსევებამდე ალან-ოსები მხოლოდ კავკასიის ველების/სტეპების მკვიდრნი იყვნენ. ამას ადასტურებს ყველა უცხოენოვანი წყარო. X საუკუნეშიც კი არაბი ავტორის, *ალ-მასუდის* ცნობით, ალანთა ქვეყნიდან დარიალამდე ათი დღის სავალია. ალბათ, მომავალში ქართველი ავტორი აღნიშნულ მითოლოგემასაც გაუწევს პროპაგანდას.

ჩემს ნაშრომში ხაზგასმულია, რომ მონღოლებმა კავკასიაში მნიშვნელოვნად შეცვალეს ეთნიკური სიტუაცია. „კრიტიკოსი“ კი საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს, რომ იმ დროისათვის კავკასიელები მონღოლებზე უფრო კონსოლიდირებულნი იყვნენო: *„ავტორის დებულება, თითქოს მონღოლები თავიანთი დაპყრობის იდეოლოგიურად უზრუნველყოფას არ ცდილობდნენ და ამიტომ მოხდა მათი აღრევა ადგილობრივ მოსახლეობაშიო (თოფჩიშვილი, 2010, გვ.57), საკამათოა. ცნობილია, რომ ოქროს ურდოში, რომლის ნაწილიც ჩრდილოეთ კავკასია იყო, სახელმწიფო ენა არაბული გახლდათ, მეორე ენა კი დამორჩილებული ხალხების – ყივჩაღების ენა იყო. 1312 წელს უზ-*

ბეკ-ხანმა ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, ამასთან ერთად ადგილობრივ ხალხებში მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა ტრადიციული კულტურა, წარმართული რწმენები და მართლმადიდებლობა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ მონღოლებს ნამდვილად გააჩნდათ თავიანთი სახელმწიფო „იდეოლოგიური უზრუნველყოფა“, ხოლო ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ მოხდა მათი გათქვეფა-აღრევა დაპყრობილ ხალხებში. ეს მეტყველებს ადგილობრივი სუბსტრატის დომინირებაზე, ანუ კავკასიური ეთნოსები მონღოლურზე უფრო კონსოლიდირებული აღმოჩნდა“ (*კვიციანი* 2011: 469). ისტორიკოსი ვალდებულია იცოდეს, რომ მონღოლთა შორის ხანი *უზბეკი* იყო ორი ეპოქის გამყოფი. დიახ, უზბეკმა პირველმა მიიღო ისლამი და სისხლის გუბეებიც დააყენა. უმჯობესია *ლევ გუმილიოვს* მოვუსმინოთ: «Наследник традиций хана Берке – Узбек – проявил себя как крайне жестокий правитель. приняв ислам, он под страхом смертной казни потребовал того же от всех поданных. Дотоле репрессии по религиозным мотивам в Орде никогда не применялись, поэтому не было ничего удивительного в том, что многие отказались принять «веру арабов». Ведь, по ясе Чингисхана, хан не мог вмешиваться в вопросы веры, а **свобода совести всегда понималась монголами как личная свобода человека**. **Узбек без колебаний отверг этот принцип** – все, отказавшиеся обратиться в мусульманства, в том числе 70 царевичей Чингизидов, были казнены. Но большому количеству татар (христиан и язычников), **отказавшихся принять ислам, удалось уехать на Русь и при Узбеке, и впоследствии»** (*Гумилев Л. Н.* От руси до России: Очерки этнической истории. М., 2004: 137). მე თუ არ დამეჯერება, *ლ. გუმილიოვს* ხომ მაინც დაეჯერება. დიახ, მონღოლები *უზბეკ ხანამდე* შემწყნარებლები იყვნენ. ყველა დიდ დამპყრობელს თუ დაპყრობილ ხალხებში თავისი რელიგია შეჰქონდა, ან ცდილობდა შეეტანა, მონღოლები ასე არ იქცეოდნენ. მონღოლებს ასეთი რელიგია არც ჰქონიათ. ოქროს ურდო, რომლის მთავარი შტაბი და ადმინისტრაციული ცენტრი ვოლგის დაბლობში, დღევანდელი ვოლგოგრადის მახლობლად მდებარეობდა, მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობით (ხარკითა და საძოვრებით) იყო დაინტერესებული. მონღოლები დაპყრობილი ხალხების პირად ცხოვრებაში თითქმის არ ერეოდნენ. პირიქით, ოქროს ურდოს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთისმართლმადიდებელ ეკლესიასთან. ეს უკანასკნელი გადასახადებისაგანაც კი იყო გათავისუფლებული. ეკლესია ხელისუფლებას გარკვეულ სამსახურსაც უწევდა. ასეთი ლეგენდაც არსებობს: კათოლიკურმა ეკლესიამ *მენგუ ხანს* წინადადებით მიმარ-

თა, რათა კათოლიციზმით დაინტრესებულიყვნენ. ხანის პასუხი ასეთი ყოფილა: თათრებს ღმერთი სწამთ, მისთვის კვდებიან, მაგრამ ღმერთს ბევრი თითი აქვს და მისკენ ბევრი გზა მიდის. მონღოლები თავიანთი დაპყრობების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას რომ არ ცდილობდნენ (*უზბეკ ხანამდე*), ეს საყოველთაოდ აღიარებულია და ამ შემთხვევაში „კრიტიკოსი" არა ჩემი, არამედ *ლ. გუმილიოვის* კომპენტენციას აყენებს ეჭვს ქვეშ. არაა საკამათო, რომ მონღოლთა დაპყრობებმა მნიშვნელოვნად შეცვალა კავკასიის ეთნიკური რუკა და არა მხოლოდ კავკასიისა. თავიანთი ეთნიკური ნიშა დაკარგეს ალან-ოსებმა, განსახლების არეალი დაკარგეს ყივჩაღებმაც, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. ამის შედეგი იყო დასავლეთ კავკასიის მთიანეთში თურქულენოვანი ყარაჩაელებისა და ბალყარელების გაჩენა, ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში ნოღაელების გაბატონება. ეთნიკური ურთიერთობები შუა საუკუნეებში დაუნდობელი იყო: თუ არ ჩაყლაპავდი შენ, დროთა განმავლობაში სხვა ჩაგყლაპავდა. ასე დაემართათ მონღოლებსაც; ისინი მათ მიერ დაპყრობილ და სხვადასხვა მიმართულებით გაფანტულ თურქულენოვან მოსახლეობაში გაითქვიფნენ. ამრიგად, მონღოლთა პერიოდში კავკასიაში არც ადგილობრივი სუბსტრატის დომინირებაზე შეიძლება ლაპარაკი და არც იმის შესახებ, რომ კავკასიური ეთნოსები მონღოლებზე უფრო კონსოლიდირებული იყვნენ. კავკასიაში იმ დროს გადარჩენილი ეთნოსები კი გადარჩენას ორ ფაქტორს უნდა უმადლოდნენ: 1. მონღოლებს არ ჰქონდათ გამოკვეთილი რელიგია, თუნდაც რომელიმე მონოთეისტური რელიგია და ძალით არავის ახვევდნენ თავს თავიანთ იდეოლოგიას; და 2. ლანდშაფტს. მთებმა დაიცვა კავკასიის ხალხები. ოსები გადარჩენას მთებს უნდა უმადლოდნენ, სადაც მათ, თავის მხრივ, სხვათა ეთნიკური ნიშა დაიკავეს. „კრიტიკოსი" უდავოდ დასვამს კითხვას: კი, მაგრამ რუსები რომ გადარჩნენ; ისინი ხომ ტყისპირა ველებში ცხოვრობდნენ, სად იყო იქ მთის ლანშაფტი? ამ შემთხვევაშიც ლანშაფტმა – ტყიანმა ლანდშაფტმა – შეასრულა დამცავის როლი. რუსები მორჩილებამაც გადაარჩინა. მონღოლები არც იმ ხალხებს ერჩოდნენ, ვინც უსიტყვო მორჩილებას გამოუცხადებდა, ხარკს გაიღებდა და მონღოლთა არმიაში მებრძოლებს გააგზავნიდა.

ფაქტობრივად, „კრიტიკოსის" ყველა აბზაცზე მიხდება შეჩერება, რადგან თითოეულ მათგანში არა ერთი, არამედ რამდენიმე შეცდომაა. ის წერს: *„უზუსტობაა ტექსტში მონღოლების შემდგომ ყაბარდოელების განსახლებასთან დაკავშირებით. ოქროს ურდოს დამარცხების შემდეგ ყაბარდოელებს*

(ადიღე თემთა ერთ-ერთ დიდ გაერთიანებას) არა მარტო ალანთა დასავლური განსახლების ტერიტორია ჰქონდათ დაკავებული, არამედ მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილი: დასავლეთით მდინარე ყუბანიდან და აღმოსავლეთით – მდ. სუნჯისა და თერგის შესართავამდე“ (კვიციანი 2011: 460). დიახ, მე სიტყვა-სიტყვით მიწერია: «После завершения монгольского господства западную часть территории расселения аланов заняли кабардинцы, которые фактически контролировали ситуацию на Кавказе до прихода сюда русских» (*Р. Топчишвили 2010: 63*). სამწუხაროდ, ქართული ტექსტი რუსულად შეცდომით ითარგმნა, რამაც არსებითად აზრი შეცვალა. ქართულად დაბეჭდილ ტექსტში მიწერია: „მონღოლთა ბატონობის დასრულების შემდეგ, ალანების საცხოვრებელის სამხრეთი ნაწილი ყაბარდოელებმა დაიკავეს და კავკასიაში რუსების შემოსვლამდე სიტუაციის ფაქტობრივი წარმმართველნი ისინი იყვნენ“ (*რ. თოფჩიშვილი.* ეთნიკური სიტუაციის დინამიკა კავკასიაში: ისტორია და თანამედროვეობა. – საქართველო და მსოფლიო, ბათუმი, 2009, გვ. 96). „კრიტიკოსმა“ იფიქრა რ. თოფჩიშვილი გამოვიჭირე, ყაბარდოელების განსახლების აღმოსავლეთი საზღვარი არ იცისო. შეიძლება ის იმაშიც შემომედავოს, რომ ყაბარ-დოელებმა ალანების საცხოვრებლის სამხრეთი კი არა, ალანეთის ტერიტორია მთლიანად დაიკავესო. ალან-ოსებს მონღოლთა შემოსევებამდე ყუბანის აღმოსავლეთით ჩრდილოეთ კავკასიის სტეპების ვრცელი ტერიტორია ეკავათ.

კიდევ ერთი ციტატა, რომლის მიხედვითაც ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს აზერბაიჯანელთა ეთნოგენეზის შესახებაც: *„ბუნდოვანია ავტორის მოსაზრება აზერბაიჯანელთა ეთნოგენეზთან დაკავშირებით. ერთ შემთხვევაში ავტორი აზერბაიჯანელებს კავკასიის მკვიდრ მოსახლეობად მიიჩნევს (თოფჩიშვილი, 2010, 59), მეორე შემთხვევაში კი ჯერ ამბობს, ალბანელები აზერბაიჯანელთა წინაპრებიაო (ქრისტიანები – თავიანთი დამწერლობით), რომლებიც მთლიანად გამქრალანო, მაგრამ იქვე, მისივე მტკიცებით, თურმე „ალბანელები არ გადაგვარებულან“ და რომ ისინი თურქულენოვან ხალხში თანამედროვე აზერბაიჯანელებად გარდაქმნილან. გაუგებარია, მაინც რა მოხდა – გამქრალან თუ გარდაქმნილან? (თოფჩიშვილი 2010, 63)“ (კვიციანი 2011: 461).* მანამ სანამ ჩემს ციტატას შემოგთავაზებთ, უნდა აღვნიშნო, რომ „კრიტიკოს-ინტერპრეტატორს“ და მე „ადგილობრივის“ სხვადასხვა გაგება გაგვაჩნია. აი, რას ვწერ: «Нашестие монголов повлияло и на этническую ситуацию Южного Кавказа. Хотя, надо сказать, в этом регионе подоб-

ные перемены происходили и раньше. Особенно изменилась ситуация в восточной части Кавказа – на территории современного азербайджаского государства, т. е. исторической Кавказской Албании. Исчез христианский албанский этнос эпохи раннего средневековья, имевший собственную письменность. Единственными этническими преемниками кавказских албанов считаются удины. В физическом смысле албаны не переродились: со временем трансформировалось их этническое самоназвание и они превратились в тюркоязычный народ – современных азербайджанцев» (*Р. Топчишвили 2010:63*). რა არის აქ ბუნდოვანი, მკითხველმა განსაჯოს.

„კრიტიკოსი“ რუსეთის იმპერიის დამცველადაც გვევლინება: *„რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკას კავკასიაში, აქაც უზუსტობებია დაშვებული. რუსეთის იმპერია, როგორც ავტორი წერს, ხელს უწყობდა ჩრდილოეთ კავკასიაში არაკავკასიური წარმომავლობის ხალხების – პირველ რიგში რუსების ჩასახლებას* **(აქ გადმოცემულია ჩემი აზრი – რ. თ.). (ეს უკვე „კრიტიკოსის“ განმარტებაა – რ. თ.):** *ცნობილია, რომ რუსეთის იმპერატორიც, რუსების გარდა, ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასია ქრისტიანული* (უნდა იყოს: ქრისტიანი – რ. თ.) *ხალხებითაც, მათ შორის, სომხებითა და ქართველებით დაესახლებინა. მცდარია ავტორის მტკიცება, რომ საბჭოთა პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ წარმონაქმნებში მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ (თოფჩიშვილი, 2010, 65). შევნიშნავთ, რომ რუსები აბსოლუტურ უმრავლესობას (ადიღეს რესპუბლიკის გარდა), არცერთ* (უნდა იყოს „არც ერთ“ – რ. თ.) *ავტონომიურ რესპუბლიკასა თუ ოლქში არ წარმოადგენდნენ“. „ავტორი ლაპარაკობს საბჭოთა რუსეთის პოლიტიკაზე და რატომღაც ამახვილებს მე-19 საუკუნეში ჩეჩნეთში მცხოვრებ რუსების ფაქტზე, მავრამ ამ შემთხვევაში ავტორის მიერ მოტანილი სტატისტიკა რუსების ჩეჩნეთში უმრავლესობაში ყოფნის თაობაზე მის დებულებასვე ეწინააღმდეგება“* (*კვიციანი* 2011: 461). ამ საკითხზე ჩემი ნაშრომიდან ციტატებს ცოტა ქვემოთ შემოგთავაზებთ. ჯერჯერობით კი კომენტარი უნდა დავურთოთ მოყვანილ ამონარიდს. მე ვწერ და ჩემს მოსაზრებას „კრიტიკოსიც“ იმოწმებს, რომ იმპერია ხელს უწყობდა ჩრდილოეთ კავკასიაში არაკავკასიელი ხალხების, პირველ რიგში, რუსების ჩასახლებას. შემდეგ კი შეგვაგონებს, რომ ***„რუსეთის იმპერატორი, რუსების გარდა, ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასია ქრისტიანული*** (უნდა იყოს ქრისტიანი – რ. თ.) ***ხალხებითაც, მათ შორის სომხებითა და ქართველებითაც დაესახლებინა“.*** აქ ხომ ალოგიკურობასთან გვაქვს საქმე. დიახ, რუსეთი, უპირველეს ყოვლისა, კავკასიაში

რუსებს ასახლებდა, სომხებსაც და ბევრ სხვასაც, თურმე, ქართველებსაც. მაგრამ ხომ ცნობილი ფაქტია, რომ ქართველები, რომლებიც უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ დასახლებულნი ჩრდილოეთ კავკასიაში, არა გეგმაზომიერად და ჯგუფურად იყვნენ გადასახლებულნი, არამედ თვითნებურად. ჩრდილოეთ კავკასიაში XIX-XX საუკუნეებში მიგრაციული პროცესებისადმი მიძღვნილ არც ერთ ნაშრომში კრინტიც კი არაა დაძრული აქ ქართველთა მიგრაციის, მით უმეტეს, გეგმაზომიერი მიგრაციის შესახებ (იხ.: *Белозеров. В.* Этническая карта Северного Кавказа. М., 2005). რუსები ჩრდილოეთ კავკასიაში უმრავლესობას შეადგენენ და დღეს აქ რუსული მოსახლეობა როგორც რაოდენობრივად, ისე პროცენტულად რომ იკლებს, ამის გამო სამეცნიერო წრეებში განგაშია ატეხილი. რადგან ჩემი „კრიტიკოსი“ ჩაჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობის შესახებ აპელირებს, მკითხველს ვთავაზობთ ამ ავტონომიაში 1939 და 1959 წლების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სურათს. თუ 1939 წელს ჩაჩნებისა და ინგუშების რაოდენობა ავტონომიაში 50,6% და 7,8%-ით განისაზღვრებოდა და რუსებისა – 34,3%-ით, 1959 წელს სიტუაცია რუსების სასარგებლოდ შეიცვალა: რუსები – 49%, ჩაჩნები – 34,3%, ინგუშები – 6,8% (ერთად – 41,2%) (*Белозеров* 2005: 103). აღნიშნულ საკითხზე ჩვენი სტატიიდან რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ და მკითხველი თავად ნახავს, რა არის მიუღებელი და არამეცნიერული: **«Российская империя стремилась целенаправленно, исходя из собственных интересов, изменить этническую ситуацию во всех регионах Кавказа. Спасшиеся и оставшиеся в горах Северного Кавказа народы адыгского происхождения русское правительство переселило на равнину, создав вокруг каждого из их селений многочисленные русские населенные пункты. Эта имперская политика успешно была продолжена российским руководством и в советский период». «В то же время Российская империя всячески способствовала заселению Северного Кавказа различными этносами некавказского происхождения и, в первую очередь, русскими». «Одним словом, приход русских на Кавказ радикально изменил этническую карту Северного Кавказа (впрочем, как и Южного Кавказа), где заселение славян и российских подданных, фактически протекало беспрепятственно. Кроме того, поощрялись эмигранты армяне, немцы, греки и другие»** (*Р. Топчишвили 2010:65*). ყოველივე ამის შემდეგ ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: „კრიტიკოსის“ ინტერესის სფეროში არ შედის ეთნიკურ ურთიერთობათა შე-

სახებ როგორც ცარიზმის, ისე საბჭოთა იმპერიის კრიტიკა. აბა, რას უნდა მივაწეროთ ეს ამონარიდი? – „*უნდა ითქვას, რომ* ***აქ მცხოვრები რუსები მიეკუთვნებიან ჩრდილოეთკავკასიელ მოსახლეობას და თავს კავკასიელებად აღიქვამენკავკასიის*** (ასეა! – რ. თ.) *ეთნიკური მოზაიკა, რომელზეც ავტორი შესავალში მართებულად ლაპარაკობს, როგორც ანტიკური ხანიდან რეგიონის დამახასიათებელ თავისებურებაზე, დასკვნის მიხედვით ისე ჩანს, რომ თურმე ამგვარი მდგომარეობა კავკასიაში რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია (თოფჩიშვილი, 2010, 67)*“ (*კვიციანი* 2011: 461-462). დიახ, ვწერ და კიდევაც დავწერ, რომ ყველა იმპერიის ქმედება ერთგვარად იწვევდა კავკასიის ეთნიკური რუკის ცვლილებას, მაგრამ რუსებმა ის რადიკალურად შეცვალეს. მათ შეძლეს მთელი კავკასიის ხელში ჩაგდება, რაც ადრე ვერც ერთმა სხვა დამპყრობელმა ვერ მოახერხა. მათმა ქმედებებმა საკუთარი ეთნიკური ნიშა დააკარგვინა ბევრ კავკასიელს და, რაც მთავარია, კოლონიზაციის შედეგად ჩრდილოეთ კავკასიაში მიგრირებული რუსები უმრავლესობაში აღმოჩნდნენ. „კრიტიკოსის“ დასკვნით კი, **„აქ მცხოვრები რუსები მიეკუთვნებიან ჩრდილოეთკავკასიელ მოსახლეობას“**. და ეს იმ დროს, როდესაც თათებისა და თალიშების კავკასიელობა საეჭვოდ მიაჩნია. სხვათა შორის, რუსები სადაც კი მივიდნენ, ყველგან ტერიტორიის მკვიდრ მოსახლეობად გამოაცხადეს თავი. ასე გამოაცხადეს თავი კურილიის კუნძულების მკვიდრებადაც, რომელიც სულ ახლახან წაართვეს იაპონელებს.

„კრიტიკოსი“ მარქსიზმის სქემებიდან გამოუსვლელობაზეც მიგვითითებს: *„კავკასიაში ამჟამად შექმნილი კულტურულ-ცივილიზაციური სურათი, ზოგიერთი მეცნიერისათვის (რ. თოფჩიშვილი და სხვ.„) გახდა საფუძველი იმისა, რომ კავკასიური ცივილიზაცია მითად გამოეცხადებინათ. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, არა მარტო ეს გახლავთ. ამგვარი თვალსაზრისი მეტწილად განპირობებულია ისტორიულ მეცნიერებაში არსებული მეთოდოლოგიური კრიზისით. ისინი ინერციულად განაგრძობენ საზოგადოებრივი განვითარების ხედვას მარქსისტულ–ევროპაცენტრული* („მარქსისტული“ და „ევროპაცენტრული“ სხვადასხვა რამაა. გამართული ქართულით ასე უნდა დაწერილიყო: „მარქსისტული და ევროპაცენტრული“ – რ. თ.) *კანონზომიერებით და ახდენენ მის ექსტრაპოლირებას კავკასიურ სივრცეში. ამგვარ მიდგომას კავკასიის ხალხთა დიდი ნაწილი ჩამორჩენილ „გვაროვნულ წყობამდე“ დაჰყავს.*

თუ ისტორიის მარქსისტულ ხედვას ხალხები უნიფიცირებამდე მიჰყავდა, მაქს ვებერის თვალსაზრისი კულტურულ თავისებურებებს ითვალისწი-

ნებდა, ანუ ეკონომიკური ცხოვრების წესი ყალიბდება და მყარდება კულტურის საბაზო ფასეულობებზე დამოკიდებულებით. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველმა მეცნიერებმა (გ.მელიქიშვილი, ა.რობაქიძე და სხვ.,) ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყეს კავკასიის „მთიელთა ფეოდალიზმის“ უნიკალურ თავისებურებებზე ლაპარაკი, რითაც ზემოხსენებული მარქსისტული მეთოდოლოგიური მიდგომა კავკასიასთან მიმართებაში ეჭვქვეშ დააყენეს“ (*კვიციანი* 2011: 461). 458). ამრიგად, **„კრიტიკოსისათვის“, რომლის სპეციალობა პარტისტორიაა, იმის გამო, რომ არ ვიზიარებ კავკასიური ცივილიზაციის არსებობას, მე მარქსიზმის სქემებში ჩარჩენილი, მარქსისტული მეთოდოლოგიის მიმდევარი მეცნიერი ვარ,** რომელსაც ახალ, განსხვავებულ მეთოდოლოგიებზე წარმოდგენა არა აქვს. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ მეცნიერებაში „მთური ფეოდალიზმის“ (და არა „მთის ფეოდალიზმის“) შემოტანა პასუხობდა სწორედ „მარქსისტულ ფორმაციულ-მეთოდოლოგიურ მიდგომას“ და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებსაც მარქსისტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური თეორიის ჩარჩოებში ათავსებდა. მე არსად დამიწერია, რომ „კავკასიის ხალხების დიდი ნაწილი ჩამორჩენილ „გვაროვნულ წყობამდე“ იყვნენ დასული. გვაროვნული წყობილება მათ დიდი ხნის წინ ჰქონდათ გავლილი და უმრავლესობა ადრეკლასობრივ საფეხურზე იმყოფებოდა. ამავე დროს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები განვითარების ერთ დონეზე არ ყოფილან. სხვადასხვაგვარი იყო ჩაჩან-ინგუშების, ადიღეელების, ყაბარდოელების, დაღესტნელი მთიელებისა და ყუმუხების საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება. მთის ლანდშაფტი აქ ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების საშუალებას არ იძლეოდა. ფეოდალიზმის უმთავრესი ნიშანი ხომ მიწაზე კერძო საკუთრებაა. ჩრდილოეთ კავკასიის მთის საზოგადოებებში მიწა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. დაწინაურებულ ფენას კერძო საკუთრებაში მიწის ნაკვეთები არ ჰქონია და მასზე ყმა-გლეხები არ ჰყოლია მიმაგრებული. ამ, ე.წ. წარჩინებულთა „აღზევება“ კი ძირითადად თარეშების შედეგად დაგროვილი ქონების საფუძველზე ხდებოდა. ეს წარჩინებულები თავისი ცხოვრების ნირით არაფრით განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი მეთემეებისაგან. ბუნებრივია, დაყმევებისა თუ დაქვემდებარების ტენდეციები ჩრდილოეთ კავკასიის მთაშიც იყო, მაგრამ ამ ტენდენციებს თემი, საზოგადოება ძირშივე აღკვეთდა. სადაც დაქვემდებარებაში მყოფი მწარმოებელი მოსახლეობა იყო, მათი რაოდენობა უმნიშვნელო იყო და მოსახლეობის ძირითადად ფენას თავისუფლები შეადგენდნენ. ესაა ფეოდალიზმი? ასეთ სოციალურ ვითარებას კი ზოგიერთმა

ქართველმა მეცნიერმა „მთური ფეოდალიზმი“ შეარქვა. საბჭოთა პერიოდში ამ „მთური ფეოდალიზმის“ ავტორები *ზ. ანჩაბაძე* და *ალ. რობაქიძე იყვნენ* (*ზ. ანჩაბაძე, ალ. რობაქიძე.* კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის //იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVIII, 1973: 111-126; *Робакидзе А. И.* Некоторые черты горского феодализма на Кавказе // Советская этнография, 1978, №2, стр. 15-24) და არა აკადემიკოსი *გიორგი მელიქიშვილი.* ბედმა მარგუნა ბატონ *გიორგი მელიქიშვილთან* ახლო ურთიერთობა მქონოდა – ის კავკასიური „მთური ფეოდალიზმის“ იდეას ღიმილნარევი იუმორით ხვდებოდა. *გ. მელიქიშვილს* რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი აქვს კავკასიის საზოგადოებების შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე და ქვემოთ მის ციტატებს შემოგთავაზებთ. მანამდე კი ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ **მთის საზოგადოებების „მთური ფეოდალიზმი“ ადრეფეოდალურ ურთიერთობებს გულისხმობდა; მაგრამ მთაში არ ყოფილა ადრეფეოდალური ურთიერთობები, ისეთი ურთიერთობები, როგორიც მაგალითად ადრე შუა საუკუნეების საქართველოში, სომხეთსა და ალბანეთში იყო. გ. მელიქიშვილი ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებებს, სრულიად სამართლიანად, მხოლოდ ადრეკლასობრივ (წინაფეოდალურ/პროტოფეოდალურ) საზოგადოებებად მიიჩნევდა.** სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მის რამდენიმე ციტატას შემოგთავაზებთ:

1. „საბჭოთა ეთნოგრაფიულ და, საერთოდ, საისტორიო მეცნიერებაში, 30-იანი წლებიდან მაინც, გაბატონდა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება კავკასიის მთიელთა შორის ახლო წარსულში გვაროვნული წყობილების არსებობის თეზისის მიმართ. დღესაც ბევრი ჩვენი მეცნიერი, მათ შორის არაერთი ქართველი მეცნიერი, თავის მოვალეობად თვლის ენერგიულად გაკიცხოს ეს თეორია და მის წინააღმდეგ გაილაშქროს, თუმცა დღეისათვის თითქმის არავინ ჩანს, ვინც ამ თვალსაზრისს იცავდეს. ამასობაში კი, ვფიქრობთ, **უფრო რეალურად გვესახება მეორეგვარი საფრთხე – კავკასიელ მთიელთა სოციალური განვითარების დონის გაზვიადებულად, გადაჭარბებულად მაღალი შეფასება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში“** (*გ. მელიქიშვილი.* უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის პრობლემა, თბ., 2003: 50. პირველად დაიბეჭდა კრებულში: „ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებული“, თბ., 1976: 145-171);

2. „ჩვენს დროში ამგვარ **გაზვიადებას საფუძვლად უდევს ძირითადად,**

ხშირად ალბათ ქვეცნობიერადაც, ყალბად გაგებულ ეროვნულ პრესტიჟზე ზრუნვა, ამ მიზნით ისტორიული წარსულის შელამაზება, უფრო განვითარებული მოდელის მიყენება ისტორიისათვის“ (*მელიქიშვილი 2003: 51*);

3. „ყველაზე უფრო განვითარებულ ყაბარდოშიც კი „სოფლის მფლობელნი“ მონაწილეობდნენ სახნავი მიწის ყოველწლიურ გადანაწილებაში და თავისთვის ერთ-ერთ ნაკვეთს ირჩევდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს „მფლობელნი“ ეკონომიურად ჯერ კიდევ მთლიანად არ იყვნენ გამოცალკევებულნი თემისაგან“ (*მელიქიშვილი 2003: 52*);

4. რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლამ **აქაური „ფეოდალები“ უსაქმოდ, უფუნქციოდ დატოვა, რამდენადაც ისინი წარმოადგენდნენ უმეტესწილად არა მიწისა და ადამიანების მესაკუთრეებს, არამედ ძირითადად ახორციელებდნენ სამხედრო (თავდაცვა და თავდასხმა-აბრაგობა) და მმართველობით ფუნქციებს“** (*მელიქიშვილი 2003: 54*);

5. **„თეზისი წინაფეოდალური (პროტოფეოდალური) სიტუაციის შესახებ, ჩვენი აზრით, სავსებით შეიძლება გავრცელდეს გვიანი შუასაუკუნეების მანძილზე არსებულ კავკასიის მთიელთა ადრეკლასობრივ საზოგადოებებზე, რომელთა სოციალურ-ეკონომიურ წყობილებას მკვლევარნი ე.წ. „მთურ ფეოდალიზმს“ მიაკუთვნებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად საყოველთაოდ გაბატონებული მოსაზრება შუასაუკუნეების მთის საზოგადოებათა „ადრეფეოდალურობის“ შესახებ, ჩვენი აზრით, სადავოა.** ეს უკანასკნელი განვითარების უფრო მაღალ სიტუაციას გამოხატავს – განვითარებულ ფეოდალიზმში გადაზრდის ძლიერ ტენდენციას იმჩნევს. ასეთი რამ კი მთის ადრეკლასობრივი საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი არ ჩანს“ (მელიქიშვილი 2003: 56).

6. **«В отношении «горского феодализма» нам кажется более приемлемым использование терминов «дофеодальный», «протофеодальный», чем термина «раннефеодальный».** Конечно, каждое из горских раннеклассовых обществ требует отдельного рассмотрения – пути развития этих обществ вовсе не всегда были одинаковыми, различия между ними порой были довольно существенными». (*მელიქიშვილი 2003: 112*. პირველად დაიბეჭდა ჟურნალში: «История СССР», 1975, №6, стр. 44-53).

ვფიქრობთ, საკმარისია ჩრდილოეთ კავკასიის მთის საზოგადოებების შესახებ *გ. მელიქიშვილის* ნაშრომების ციტირება. აქ მხოლოდ ერთს შევნიშნავ, ტერმინი „მთური ფეოდალიზმი“ ჩრდილოეთ კავკასიის მთის საზოგადოებების მიმართ *ზ. ანჩაბაძესა* და *ალ. რობაქიძეს* არ შეუქმნიათ/შემოუთავაზე-

ბიათ. მისი ავტორი XIX საუკუნის მეცნიერი *მაქსიმ კოვალევსკი* გახლავთ (***Кавказ:*** Закон и обычай: ***Ковалевский М.М.*** Закон и обычай на кавказе: В 2 т. Нальчик, 2011. Вып. VII. стр. 179), რომელსაც XX საუკუნის მკვლევარნი მკაცრად აკრიტიკებდნენ და „ბრალს სდებდნენ „ჯოხის გადახრაში" გვაროვნულობის სასარგებლოდ, რაც წყალს ასხამდა კავკასიის მთიელთა შორის მუდმივი გვაროვნული წყობილების არსებობის თეზისის წისქვილზე. თვით კოვალევსკის არასდროს უმტკიცებია ასეთი რამ. პირიქით, იგი ხაზს უსვამდა, მთიელთა საზოგადოებებს შორის არსებულ დიდ განსხვავებას სოციალური განვითარების დონეში" (*ბელიქიშვილი 2003: 50*).

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ „კრიტიკოსის" მიერ კავკასიის ეთნიკური სიტუაციის შესახებ ჩვენი ნაშრომის „განქიქება" განაპირობა მეორე ნაშრომმა, რომლის სახელწოდებაცაა „კავკასიური ცივილიზაციის შესახებ". „განქიქების" მიზანი კი შემდეგის მტკიცება გახლავთ: *რ. თოფჩიშვილის* არაკომპეტენტურობა ცივილიზაციის საკითხების შესახებ განპირობებულია კავკასიის ისტორიისა და ეთნოლოგიის უცოდინრობით. თუ როგორი არაკომპეტენტური გახლავართ ამ სფეროში, ეს კომპეტენტური მკითხველისათვის მიგვინდვია. ახლა რაც შეეხება მისი წერილის მეორე ნაწილს, ამ საკითხზე „კრიტიკოსი" და მე სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. არ მინდა ჩემი ნაშრომი აქ გავიმეორო, მაგრამ ზოგიერთი რამის შეხსენება კი დამჭირდება. მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერთა მიერ მიღებულია ცივილიზაციის ძირითადი ნიშნები, რომელსაც ჩემი „განმაქიქებელი" ცივილიზაციის ევროპაცენტრისტულ ხედვას უწოდებს. ეს ნიშნები ყველაზე ნათლად და გასაგებად *ვ. ჩაილდმა* წარმოადგინა: **1. სახელმწიფო ორგანიზაცია; 2. სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება; კლასების არსებობა; 3. მიწაზე მემკვიდრეობითი საკუთრება; 4. გადასახადების სისტემა და რეგულარული ხარკის მიღებით დაგროვილი ცენტრალიზებული სიმდიდრე; 5. სავაჭრო ურთიერთობათა განვითარება; 6. პროფესიონალ ხელოსანთა, სპეციალისტთა გაჩენა; 7. დამწერლობა; 8. ქალაქების გაჩენა; 9. მონუმენტური ნაგებობები; 10. მეცნიერებისა და ხელოვნების ჩანასახები.**

ჩემთვის ეს ნიშნებია მისაღები, ხოლო კრიტიკოსისათვის რუსეთის დუმის დეპუტატის *რ. აბდულატიპოვისა* და მისი მიმდევარი უჩინო მეცნიერებისა (*ვ. ჩერნოუსი, ხ. თხაგაფსოევი, ვ. დავიდოვიჩი...*), რომლებიც მითოლოგემებისა და ყალბი, ან პარტიის ისტორიის წერაში არიან დახელოვნებულნი. გარდა ამისა, ჩემს ნაშრომში ერთმანეთს შევადარე ჩრდილოეთ და სამხრეთ

კავკასიელთა, განსაკუთრებით ქართველთა ეთნიკური კულტურა (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები). ნაშრომში ხაზგასმით ვწერდი: „**კავკასიური ცივილიზაცია არ არსებობდა და არ არსებობს. კავკასიელებს (სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიელებს) არ ჰქონიათ კულტურული ფენომენების, სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების საერთო კომპლექსები და სტრუქტურები, რელიგიური ერთობა**“. „**კრიტიკოსის**“ **წერილმა ეს დასკვნა ვერ შემიცვალა; პირიქით, ეს აზრი, შეხედულება უფრო გამიმყარდა. ვფიქრობ, მაქვს ამის უფლება.** საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის სპეციალისტებმა *თბაგაფსოევს* უნდა დაუჯერონ იმ სიყალბეში თუ უცოდინარობაში, რომ, თურმე, ჩრდილოეთ კავკასიელებთან ერთად, ქართველებსაც ახალ დრომდე „მსხვილი ცივილიზაციების“ აშკარა გავლენა არ განუცდიათ და თავიანთ კულტურულ თვითმყოფადობას ინარჩუნებდნენ. ჩემს „კრიტიკოსს“ არავითარი კრიტიკული აზრი არ უჩნდება ამ უვიცობის წინააღმდეგ და სიამოვნებით ახდენს მის პერეფრაზირებას: *„მკვლევარს მხეველობაში ჰყავს ქართველები, ადიღები, ბალყარელები, ყარაჩაელები, ოსები, ვაინახები, დაღესტნელები,* ***რომლებისთვისაც დამახასიათებელია მატერიალური კულტურის ტრადიციული ფორმების მაღალი დონის ერთობა, მითოლოგიის ერთობა (ნართული ეპოსი), ეთნიკური ხელოვნების*** *(უნდა იყოს „ეთნიკური კულტურის“ – რ. თ.)* ***ფორმები (განსაკუთრებით მუსიკა და ქორეოგრაფია) და, რაც მთავარია, საკომუნიკაციო კულტურის ფორმები და ტრადიციები“*** *(ჯ. კვიციანი* 2007: 21). ქართველ ხალხს რომ თავი დავანებოთ, ერთი მხრივ, დაღესტნელებსა და ვაინახებს და, მეორე მხრივ, ადიღეელებსა და ყაბარდოელებს არ ჰქონიათ მსგავსი მატერიალური კულტურა (მაგალითად, საცხოვრებელი და თავდასაცავი ნაგებობები შეიძლება დავასახელოთ. ქვის სახლების ნაცვლად ადიღეელებს მხოლოდ მოწნული სახლები ჰქონდათ; უცხო იყო მათთვის კოშკური კულტურაც). ნართული ეპოსი ქართველთათვის უცხო იყო. რაც შეეხება „ეთნიკური ხელოვნების ფორმებს“, ამ თვალსაზრისითაც სრულიად სხვადასხვა სამყაროსთან გვაქვს საქმე. ქართულ პოლიფონიურ მუსიკას საერთოდ კავკასიაში ანალოგია არა აქვს. ანალოგია არ გააჩნია ასევე ქართულ ხალხურ ცეკვებს, მაგალითად, ცეკვა „ქართულს“ – ქალისა და კაცის ცეკვას, რომელიც რაინდულ-რომანტიკული სულისკვეთებით გამოირჩევა. *კოსტა ხეთაგუროვის* ეთნოგრაფიული ნარკვევის თანახმად, ოსეთში მხოლოდ კაცები ცეკვავდნენ, ქალები კი – არა. თურმე ეთნოსი „მსხვილი ცივილიზაციის“ გავლენას თუ განიცადის, მაშინ ის კულტურულ

თვითმყოფადობას კარგავს. არაა ეს ასე. დასავლეთევროპელი ხალხები ერთ დიდ საერთო დასავლეთევროპულ/კათოლიკურ ცივილიზაციაში შედიოდნენ და არც ერთ მათგანს კულტურული თავისთავადობა, ეთნიკური კულტურა არ დაუკარგავს.

შემოგთავაზებთ ციტატებს „კრიტიკოსის" სხვა ნაშრომიდან: I. „...საქართველო და კავკასია, როგორც ერთიანი გეოგრაფიული, ეკონომიკური, კულტურული სივრცე მსგავსი ისტორიული წარსულით, გვევლინება ლოკალურ-ცივილიზაციურ მოცემულობად"; II. „კავკასიის რეგიონში საქართველოს თავისი „გეო", „ჰეარტლანდ"-ური („შუაგული მიწა") მდგომარეობიდან გამომდინარე, კავკასიური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში ისტორიული როლი ეკუთვნის, რაც არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლინგვისტური, ფოლკლორული და სხვა მასალებით დასტურდება"; III. **„კავკასიური ცივილიზაციის აღიარება და შესაბამისი სოციალურ-კულტურული პრაქტიკის გატარება შესაძლოა გახდეს რეგიონში არსებული დეზინტეგრაციის, კონფლიქტების დაძლევისა და დემოკრატიული აღმშენებლობის იდეოლოგიურ ბაზად"** (*კვიციანი ჯ.* საქართველო და კავკასიური ცივილიზაცია. – კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2007: 84, 85). დაწვრილებითი კომენტარის გაკეთება, ალბათ, საჭირო არცაა, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ: **ა)** კავკასია მხოლოდ გეოგრაფიულადაა „ერთიანი მოცემულობა".Mმას არასდროს ჰქონია ეკონომიკური ერთობა (თუმცა სასურველი კი იყო; შუა საუკუნეებში ნატურალური მეურნეობის პირობებში ამის საჭიროება არც იყო). კავკასია არც ერთიანი კულტურული სივრცის მომცველი იყო და არც „მსგავსი ისტორიული წარსულის" მქონე (კავკასიის ხალხები ერთმანეთს რომ ისტორიას სტაცებენ, ესაა „მსგავსი ისტორიული წარსული"? მაგალითად, ოსი ისტორიკოსების მითოლოგემები და სომხეთში გავრცელებული ისტორიული რუკები შეიძლება მოვიყვანოთ. კავკასიელები ასეთ რამესაც წერენ: «Ереван – древний азербайджанский город, ныне столица Республики Армения» (*Гусейнова И.* Историческая энциклопедия Кавказа, Баку, 2010: 274). არაერთი მსგავსი მაგალითი შეიძლება დავიმოწმოთ); **ბ)** კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ანთროპოლოგიური, ლინგვისტური და ფოლკლორული ერთობა ცივილიზაციურ ერთობას არ ქმნიდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კავკასიელებს მსგავსი ფოლკლორი არ ჰქონიათ; არც ლინგვისტური ერთობა ქმნის ცივილიზაციურ ერთობას; რა ვუყოთ იმას, რომ კავკასია ისტორიულადაც და დღესაც მხოლოდ ერთ ენათა ოჯახზე მოლაპა-

რაკე ეთნოსებით არ იყო დასახლებული? **გ)** რაც შეეხება მესამე, ჩემ მიერ გამუქებულ ციტატას, ვეჭვობთ, რომ მას მეცნიერებასთან რამე საერთო ჰქონდეს. როგორც ჩანს, იმდენად მომხიბვლელია კავკასიური ცივილიზაციის იდეა, რომ ის რეგიონში არსებულ ისტორიულ და ახლანდელ კონფლიქტებს უმალ გადაჭრის და ყველა კავკასიელი დემოკრატიზაციის გზასაც ერთად დაადგება. სერიოზულად რომ მივუდგეთ ამ საკითხს, ავტორს კავკასიის ყველა ეთნოსის ყველა სოციალურ ფენაში კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევა უნდა ჩაეტარებინა და დადებითი პასუხების შემთხვევაში უნდა შემოეთავაზებინა აღნიშნული რეკომენდაცია. დღეს მსოფლიოში 70-მდე მოქმედი ეთნიკური კონფლიქტია და ამ კონფლიქტების მხარეებს თუ ერთი ცივილიზაციის წარმომადგენლებად გამოვაცხადებთ, ყველა მათგანის გადაჭრასა და დემოკრატიზაციას წინ აღარაფერი დაუდგება? ერთ ენაზე ლაპარაკობენ და კულტურის ბევრი საერთო ელემენტი აქვთ სამხრეთ სლავებს – სერბებს, ხორვატებს, ბოსნიელებს. მაგრამ ისტორიულმა ჟამთასვლამ ისინი სხვადასხვა ეთნოსებად, უფრო მეტიც, სხვადასხვა ცივილიზაციის მატარებლებად ჩამოაყალიბა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი რელიგიამ ითამაშა. საინტერესოა, კავკასიის შემთხვევაში რელიგიური ფაქტორი კავკასიელი ხალხების საერთო კავკასიური ცივილიზაციის წარმომადგენლებად გამოცხადებას ხელს არ უშლის?ცენა მხოლოდ ეთნიკურობის ერთ-ერთი ნიშანია და არა ცივილიზაციისა,Dდამწერლობის მქონე ხალხები კი ცივილიზაციის მატარებელნი არიან.

ფრიად საყურადღებოა ევროპელთა დამოკიდებულება კავკასიის მიმართ ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.Mამ თვალსაზრისით მხოლოდ ციტატებს დავჯერდები კომენტარის გარეშე: ძველი საბერძნეთისა და რომის ეპოქაში ***„გამოიკვეთება საქართველოს ადგილი, როგორც ევროპული კულტურული ლანდშაფტის ნაწილისა, რომელიც მეტწილად წარმოადგენს რომის მოკავშირეს ირანის წინააღმდეგ და თანაც დამცველს ევროპული საზღვრისა, სადაც არ შედიოდა მაშინდელი ჩრდილოეთ კავკასია.*** დარიალის კარების დაცვით საქართველო იცავდა ანტიკურ სივრცეს. იგი ადრე შუა საუკუნეებშიც ასრულებდა თავის პოლიტიკურ ფუნქციას – დაეცვა რომაული (ქრისტიანული) სივრცე ბარბაროსებისაგან. ***ადრე შუა საუკუნეებში საქართველო ჩრდილოეთ კავკასიის გარეშე წარმოიდგენდა თავს ერთიან ევროპულ სივრცეში“.*** „XI-XII საუკუნეებში „ღვთივ კურთხეული“ სამეფო გვირგვინის მატარებელი საქართველო თავის სივრცეში მოიაზრებს მთელს კავკასიას, სადაც ქართული

ენა ასრულებს ქრისტიანული კულტურის გამავრცელებლის ფუნქციას. საქართველოს მეშვეობით ხდება ქრისტიანობის გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაში და, ამდენად, კავკასიური სივრცე მოიაზრება ევროპულ კულტურულ ლანდშაფტში.Mმაგრამ, მალევე, მონღოლთა გამოჩენისთანავე, საქართველო კარგავს კავკასიის გამაერთიანებლის ფუნქციას და ერთიანი კავკასია ნაკლებად არის წარმოდგენილი საისტორიო წყაროებში. პირიქით, კვლავ ***ადრე შუა საუკუნეების მსგავსად, კავკასიის მთების გადაღმა მცხოვრებნი ქრისტიანული სამყაროსათვის უცხო ელემენტებად აღიქმება,*** რისი დასტურიცაა ამ ეპოქის ევროპელ მოგზაურთა და ფრანცისკანული და დომინიკანური სასულიერო ორდენის წევრთა ნაწერებში დაცული ცნობები, რომლებიც კავკასიის მთებს გადაღმა მოიხსენიებენ გოგისა და მაგოგის ადგილსამყოფელს" (*გაგახია ბ.* კავკასია შუა საუკუნეების ევროპის კულტურულ ლანდშაფტში. – კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2007: 233, 234). ევროპელთა დამოკიდებულება კავკასიისადმი არც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შეცვლილა. გერმანელი *გოტფრიდ მერცბახერი* წერდა: «Главный Кавказский хребет составляет как в географическом, ботаническом и климатическом, так и в этническом отношении преграду между двумя половинами Кавказского перешейка. К югу от этого громадного возвышения земли в настоящее время встречаем глвным образом народы картвельского племени, к северу же их или совсем нет или только в исключительных случаях. Там же живут народы весьма разнообразного и частью загадочного присхождения. **Высокий горный кряж представлял непреоборимые препятствия к их смешению, так что с древнейших времен существовало различие между народностями, населявшими Предкавказье и Закавказье»** (*Г. Мерцбахер.* К этнографии обитателей Кавказских Альп. В кн.: **Кавказ:** племена, нравы, язык. Нальчик, 2011. Вып. VIII, стр. 246).

ამრიგად, ევროპული წყაროებით სამხრეთი და ჩრდილოეთი კავკასია ორ სრულიად სხვადასხვა სამყაროდ აღიქმებოდა. „კრიტიკოსი" კი გაკვირვებული წერს: *„არადა, როლანდ თოფჩიშვილის მსჯელობა ეხება ჩვენს უშუალო მოსაზღვრე ჩრდილოელ მეზობელებს, ეთნოგენეტიკურად დაკავშირებულ ხალხებს, რომლებსაც ქართველებთან ეთნოკულტურული კავშირები არასდროს გაუწყვეტიათ"* (*კვიციანი* 2011: 462). როგორც ჩანს, ის ამ ეთნოგენეტიკურ ერთობაში ენობრივ ნათესაობას გულისხმობს. ენობრივ ნათესაობას თუ ეთნოგენეტიკურ ერთობას კი ცივილიზაციური მიკუთვნების პრობლემასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ქურთები და ინგლისელები, სპარსელები

და იტალიელები, პუშტუნები და გერმანელები, ბენგალიელები და პორტუგალიელები ერთ ენათა ოჯახში შედიან, მაგრამ არც ეთნოგენეტიკურად არიან ნათესავები, არც საერთო კულტურის მატარებელნი არიან, არც ერთ ცივილიზაციას მიეკუთვნებიან და არც საერთო ღირებულებები გააჩნიათ.

კრიტიკის ქარცეცხლში ვარ გახვეული „ნართების ეპოსისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ დავიდოვიჩისეული შეფასების გამო, რომელიც ცივილიზაციის საკითხებში „კრიტიკოსისათვის“ დიდ ავტორიტეტს წარმოადგენს. „რუსეთელი“ ავტორისათვის ჩრდილოეთ კავკასიელებსა და ქართველებს სულიერი კულტურის ბევრი ნიშნის თანხვედრა აქვთ და ამ თანხვედრის დამადასტურებელი ყოფილა „ნართების“ ეპოსისა და *შოთა რუსთაველის* სტრიქონების თანხვედრა. დღესაც იმავე აზრისა ვარ: არც სულიერი კულტურა ჰქონიათ კავკასიის ხალხებს საერთო, განსაკუთრებით დიამეტრულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ჩრდილოეთ კავკასიელთა და სამხრეთ კავკასიელთა სულიერი კულტურა. ქართველთა და სომეხთა სულიერი კულტურა ქრისტიანობით იყო ნასაზრდოები, სხვებისა კი – არა. დიახ, ხსენებული ავტორი ქართული მწერლობის შედევრს, „ვეფხისტყაოსანს“ აგდებით მოიხსენიებს, როდესაც ამ ნაწარმოებსა და „ნართების“ ეპოსს ერთმანეთს ადარებს. სხვათა შორის, დავიდოვიჩის ცოდნის სიმწირეზე (და შეიძლება მიზანმიმართულ ქმედებაზეც) მიუთითებს ის, რომ **ქართველთა ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ ჯგუფს – ხევსურებს – ცალკე ეთნოსად/ხალხად აცხადებს და ქართველებსა და თურქულენოვან ყუმუხებს – ერთი ხის სხვადასხვა შტოებად. რატომ ამ ნონსენსის შესახებ არ იღებს ხმას ჩემი „კრიტიკოსი“?** მისი სათაყვანებელი *დავიდოვიჩი* ხომ ამ თვალსაზრისით ცარიზმის დროინდელი პოლიტიკოსებისა და მათი დაქირავებული მეცნიერების მიმდევარია. როგორც ჩანს, მას ქართველთა ერთიანი ეთნიკური ერთობის მიზანმიმართული დაშლის ასეთი მცდელობანი არ აღელვებს.

მორიგი ციტატა: **„რატომ დუმს რ. თოფჩიშვილი საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე, რომ ჩრდილო კავკასიელებს და კერძოდ, ადიღების წინაპრებს – მეოთებსა და სინდებს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში – ძვ.წ.აღ. მე-5 საუკუნეში ჰქონდათ შექმნილი სახელმწიფო სინდიკა?“** პირდაპირ ვაცხადებ, „საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი“ სინდიკის სახელმწიფოს შესახებ არის მითოლოგემა. ასეთი სახელმწიფო არც ერთ წყაროში არაა დაფიქსირებული, არაა შეტანილი ძველი მსოფლიოს ისტორიის არც ერთ სახელმძღვანელოსა და საენციკლოპედიო ლექსიკონში. მეოტები ანტიკურ წყაროებში პირველად

აზოვისპირეთში ძვ.წ. VI საუკუნეში არიან მოხსენიებულნი. მათი განსახლების არეალი მდინარე ყუბანის ქვემო წელსაც მოიცავდა. სტრაბონი სინდებს მეოტებს მიაკუთვნებს. მიუხედავად იმისა, რომ მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, ჩვენ მაინც ვიხრებით იმ მოსაზრებისაკენ, რომ მეოტებიც და მათი შემადგენელი სინდებიც ადიღეელთა წინაპრები, პროტოადიღეელები იყვნენ. «Локализовать отдельные меотские племена на современной карте пока навряд ли возможно. Единственным исключением в этом отношении являются синды, которые занимали Таманский полуостров, левобережье Кубани и Черноморское побережье до Анапы» (*История народов* Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII века. М., 1988: 73). ცნობილია მხოლოდ ის, რომ სინდები ცხოვრობდნენ ანტიკური ქალაქების სიახლოვეს და პოლიტიკურად ექვემდებარებოდნენ ბოსფორის სამეფოს და სინდების კუთვნილი ტერიტორია მისი ქალაქების სასოფლო-სამეურნეო გარემოცვას წარმოადგენდა. **«Ряд исследователей считают возможным говорить о сложении в восточной Синдике под влиянем Боспора государства.** Основным доводом в пользу этого являются синдские монеты.» **«Однако другие ученые отрицают наличие у синдов государства,** что синды в своем социально-экономическом развитии не могли далеко уйти от остальных меотских племен. Они считают, что монеты с этниконом «Синдон», не носящие имя «царя», выпущены одним из боспорских городов (возможно, городом Синдская гавань). Синдские же «цари», вероятно, были просто племенными вождями» (*История народов* Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII века. М., 1988: 76). გამოთქმულია ის მოსაზრებაც, რომ **სინდები ეთნიკურად იყვნენ კიმირიელთა მონათესავენი** და რომ მათმა სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნმა ერთი საუკუნე იარსება, რადგან ის ბოსფორის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. სინდების არისტოკრატია შედიოდა ბოსფორის მმართველი არისტოკრატიის შემადგენლობაში და რომ **სინდები იყვნენ ელინიზებულნი** (ბერძნებისაგან გადაიღეს ენა და დამწერლობა, სახელები და წეს-ჩვეულებები, მონაწილეობას ღებულობდნენ ბერძენთა შეჯიბრებებში და რელიგიურ დღესასწაულებში, ატარებდნენ ბერძნულ ტანსაცმელს, და მორთულობას). აქ სამი განსხვავებული შეხედულება შემოგთავაზეთ ე.წ. სინდების/სინდიკას სახელმწიფოს შესახებ (რომელთა სახელმწიფოებრიობასაც მხოლოდ მონეტით ვარაუდობენ). ესაა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი? რაც მთავარია, სადაა აქ ტრადიცია. თუ ეს წარმოსახვითი კავკასიური სახელმწიფო მართლაც არსებობდა და იგი პრო-

ტოადიღეელების იყო, სახელმწიფოებრიობის ტრადიცია ხომ გაწყვეტილი იყო. ისტორიულად ხელშესახები პერიოდისათვის ყუბანის მარცხნივ მცხოვრებ ადიღეელებს ხომ სახელმწიფოებრივი ცხოვრებით არ უცხოვრიათ.

„კრიტიკოსს“ თუ დავუჯერებთ, ჩრდილოეთ კავკასიის თითქმის ყველა ხალხს სახელმწიფოებრიობა ჰქონდა და ისინი სომხეთის, ალბანეთის, იბერიისა და კოლხეთის ანალოგიური სახელმწიფოები იყო. ამის საფუძველს მას ის აძლევს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ „ძურძუკთა მეფენი“ არიან მოხსენიებულნი. ძველ წყაროებში მოხსენიებული „მეფენი“ ხომ ყოველთვის სახელმწიფოს მეთაურებს არ ნიშნავს და მათში ჩვეულებრივ ტომის ბელადები იგულისხმებიან. ასეთივე ტომის ბელადები გახლდნენ „ძურძუკი მეფენი“. ცივილიზაციის კონტექსტშია განხილული შამილის იმამატიც: *„აღარაფერს არ ვამბობ იმამ შამილის მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოზე, რომელიც 25 წლის მანძილზე უმკლავდებოდა ერთ-ერთ უძლიერეს იმპერიას“* (*კვიციანი* 2011: 463). აქვე კიდევ ერთ ალოგიკურობაზე უნდა შევჩერდე: „კრიტიკოსის“ სალექციო კურსის – „კავკასიის ხალხთა კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგია“ – მე-9 ლექციის სათაურია: „პოტესტარული ურთიერთობები და სოციალური სტრატიფიკაცია“. აქ კითხვას ვსვამ: თუ ჩრდილოეთ კავკასიაში პოტესტარული ურთიერთობები/ორგანიზაციები არსებობდა, მაშინ რომელ სახელმწიფოებრიობაზეა საუბარი? მკითხველს შევახსენებ, რომ პოტესტარული ორგანიზაცია ესაა საზოგადოებრივი ხელისუფლების ფორმა კლასობრიობამდელ და ჩიფდომის ტიპის გაერთიანებებში, რომელსაც არ ჰქონდა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ატრიბუტები. პოტესტარობის ყველაზე ადეკვატური გამომხატველი ჩვეულებითი სამართალი იყო. პოტესტარულობა ხორციელდებოდა გვაროვნულ-ტომობრივი და სათემო ხელმძღვანელობის, უხუცესთა საბჭოს მეშვეობით. პოტესტარული ორგანიზაციის ფორმები სხვადასხვა იყო: სამხედრო დემოკრატია (ევროპა), საიდუმლო კავშირები (აფრიკა), „დიდი ადამიანების“ ხელისუფლება (ოკეანეა). პოტესტარულობის სინონიმია „წინასახელმწიფო“, „პროტოსახელმწიფო“. საინტერესოა, პოტესტარული ორგანიზაციის ეს განმარტება არა აქვს თავის წიგნში მოცემული რუს ეთნოლოგ ლ. კუბელს (Куббель Л. Е. Очерки потестарно-политической этнографии. М., 1988), რომელიც იმავე სილაბუსის დამხმარე ლიტერატურის სიაშია შეტანილი?

„კრიტიკოსი“ ცივილიზაციის ნიშნად მიიჩნევს ადიღეურ ეტიკეტსაც, ე.წ. „ადიღე ხაბზეს“. რაც მთავარია, *„შემთხვევითი არ არის, რომ მას ბევრი*

მკვლევარი იაპონური სამურაის კოდექსსაც კი ადარებს" (*კვიციანი* 2011: 463). საინტერესოა, ქართველებსა და სომხებს რომ არ ჰქონდათ ადიღეელების (და იაპონელების) ანალოგიური ყოფა-ქცევის მორალურ-ზნეობრივი ნორმები, ეს ერთიანი კავკასიური ცივილიზაციის ხელის შემშლელი არაა? აღნიშნული თვალსაზრისით, ამავე კონტექსტში განიხილავს „უნიკალურ ყაბარდოული ცხენის ჯიშის გამოყვანას". მეცხენეობის სფეროში ყაბარდოელებს წარმატება რომ ჰქონდათ მიღწეული, ამაში საოცარი არაფერია, რადგან ბოლო დრომდე, ისინი ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ – ყაბარდოული კაბაკები რამდენიმე წელიწადში ერთხელ საცხოვრებელ ადგილს იცვლიდნენ; მიწის გამოფიტვის გამო ხშირი იყო შემთხვევა დასახლებული პუნქტის ასი კილომეტრის იქით გადატანისა. საყოველთაოდ ცნობილია ქართველი ხალხის ექსტენსიური სამიწათმოქმედო სისტემის შესახებ, რაც სახვნელი (და არასახვნელი) მიწის განოყიერებითაც იყო განპირობებული. ზემოთ ყაბარდოელების ნახევრად მომთაბარეობის შესახებ მივუთითეთ; ასეთივე ცხოვრების წესი ჰქონდათ მათ მოძმე ადიღეელებსაც, რომლებისთვისაც მეურნეობის ექსტენსიური სისტემა უცნობი იყო. XIX საუკუნის შუა ხანებში ადიღეელთა მიწათმოქმედების შესახებ წერდნენ: 1. «Когда в селении у горцев накапливается много навоза, то они, для избежания нечистоты, не вывозят его в поля для земледелия, как у нас, а переходят с одного места на другое» (*Н. Данилевский*. Кавказ и его горские жители в нынешнем их положении. В кн.: **Кавказ:** племена, нравы, язык. – Нальчик, 2011. Вып. VIII, стр. 68); 2. «Переселения аулов с места на место очень часты; аул, истошив кругом себя землю, переходит на другое место. Земли им для земледелия нужно немного» (*К. Сталь*. Этнографический очерк черкесского народа. В кн.: **Кавказ:** племена, нравы, язык. – Нальчик, 2011. Вып. VIII, стр. 121). **მეცნიერებაში მიწათმოქმედების ასეთ სისტემას, როცა დასამუშავებელი ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის ხელოვნურ საშუალებებს არ იცნობდნენ, პრიმიტიულს უწოდებენ.** ასე რომ, სამიწათმოქმედო კულტურის სფეროში ჩრდილოეთ კავკასიელები (ამჯერად საუბარია ადიღეელებსა და ყაბარდოელებზე) და სამხრეთ კავკასიელები სხვადასხვა დონეზე იდგნენ.

კიდევ ერთი ამონარიდი: „*არ მგონია რასულ გამზათოვის* (ხუნძი, დაღესტნის სახალხო პოეტი – რ. თ.), *ყაისინ ყულიევის* (ბალყარელი საბჭოთა პოეტი – რ. თ.), *ალიმ კეშოკოვის* (საბჭოთა ყაბარდოელი პოეტი, პროზაიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, ბოლშევიკური პარტიის წევრი – რ. თ.), *მაჰმუდ ესამბაევის* (ჩაჩანი მოცეკვავე, ცეკვის ჯადოქარი – რ. თ.), *იუ-*

რი ტემირყანოვის (გამოჩენილი ყაბარდოელი დირიჟორი. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი – რ. თ.), *ჯოხარ დუდაევის* (საბჭოთა გენერალი-მაიორი. დამოუკიდებელი ჩაჩნეთის პირველი პრეზიდენტი – რ. თ.) *და სხვა გამოჩენილი ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების წარმომადგენლების წინაპრები ცივილიზაციის მიღმა ყოფილიყვნენ“* (*კვიციანი* 2011: 464). ბუნებრივია, ეს სია შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ცოტა გაუგებარია, რატომაა ამ სიაში ხელოვნების მუშაკთა და მწერალთა გვერდით სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე დასახელებული, ან რატომ არ არიან მასში შეყვანილი ჩერქეზი მამლუქები? მე ხომ არსად ვწერ, რომ ქართველთა მეზობელი ჩრდილოეთ კავკასიური ეთნოსები უკულტურონი იყვნენ? კი, ბატონო, იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიელები კავკასიური მთური ცივილიზაციის მატარებელნი, მაგრამ ვერავინ დაადასტურებს იმას, რომ ქართველებიც – დიდი სახელმწიფოებრივი ტრადიციისა და დასავლეთევროპული ფეოდალიზმის, დამწერლობის მქონენი, V საუკუნიდან მაღალმხატვრული მწერლობის შემქმნელნი, ქრისტიანები, მაღალი ხელოვნების ნიმუშების შემქმნელნი, არაერთი მონუმენტური ნაგებობის ამგენი, საქალაქო ცხოვრების მატარებელნი, არა გაცვლითი, არამედ ფულადი ნიშნებით მოვაჭრენი, სახელმწიფო სამართლით განმსჯელნი – აღნიშნული ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენენ. 326 წელს ქრისტიანობის მიღებით ქართველმა ხალხმა დასავლურ ღირებულებებზე გააკეთა არჩევანი, ჩრდილოეთ კავკასიელებმა კი – არა. კავკასიის მკვიდრმა რამდენიმე ათეულმა ხალხმა ორიგინალური კულტურა შექმნა, მაგრამ ეს კულტურები და ქართული კულტურა ერთი ცივილიზაციის ჩარჩოებში ვერ თავსდება.

მე თურმე, ე.წ. *„კავკასიის აგრარული ცივილიზაციის ტრადიციულ საკომუნიკაციო კულტურას“:* სტუმართმოყვარეობას, ათალიყობას, ძმადნაფიცობას, სასიგნალო სისტემებს ყურადღებას არ ვაქცევ. ამ ეთნოგრაფიულ მოვლენებს იქ მივაპყრობ სათანადო ყურადღებას, სადაც საჭიროა. ცნობილი და აღიარებული მკვლევრების მიერ ისინი ცივილიზაციის ნიშნებად არ მიიჩნევა და, ბუნებრივია, ვერც ჩემს ყურადღებას მიიქცევდა. „კრიტიკოსი“ აგრძელებს: *„ჩვენ ვიცით, რომ „ადიღე-ხაბზეს“ თანახმად, ნათესავებს შორის მეშვიდე თაობამდე ქორწინება იკრძალებოდა, რაც ხელს უწყობდა ახალგაზრდას ოჯახის შესაქმნელად ხშირად მეზობელი ეთნოსისათვის მიემართა. ამით, რა თქმა უნდა, ეთნოსთაშორისო კულტურულ დიალოგს* (ასეა – რ. თ.) *ხელი ეწყობოდა“* (*კვიციანი* 2011: 464). დიახ, ადიღეელთა შორის ქორწინება ეგზოგამიური იყო! თურმე ერთი კაცის შთამომავალთა შორის ქორწინების

აკრძალვა შვიდი თაობის განმავლობაში საქორწინო პარტნიორის სხვა ეთნოსში მოძებნას იწვევდა. ეს სიმართლეს არ შესაბამება! ადიღეელები რამდენიმე, ასკაციან ეთნოსს არ წარმოადგენდნენ, რომ საქორწინო პარტნიორი ადიღეელთა გარეთ, სხვა ხალხში მოეძებნათ. ადიღეელები რუსთა კოლონიზაციამდე ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე მეტნი იყვნენ. სხვა ხალხებზე თუ ქორწინდებოდნენ ისინი, ამის დასადასტურებლად სათანადო ლიტერატურის მითითება იყო საჭირო. საინტერესოა, კონკრეტულად რომელ ხალხთან ამყარებდნენ ადიღეელები საქორწინო ურთირთობას? რამდენი შემთხვევაა ასეთი დაფიქსირებული? როდიდან დასტურდება ასეთი ფაქტები? ყველა ამ შეკითხვაზე სათანადო პასუხის გაცემა და წყაროს მითითებაა საჭირო და არა ზოგადი განცხადებების ფრქვევა. ისიც საინტერესოა, ეთნოსთაშორისო ქორწინებებით რომელ ხალხებს შორის იმართებოდა კულტურული დიალოგი; თუმცა ასეთ პროცესებს რა კავშირი აქვს ცივილიზაციასთან, გაურკვეველია! სხვათა შორის, როდესაც ქორწინებაზეა საუბარი, მაშინ ვერც იმ ფაქტს ავუვლით გვერდს, რომ დაღესტნური ეთნოსები ამ თვალსაზრისით იზოლატი ეთნოსები იყვნენ, ენდოგამიურნი იყვნენ და ერთმანეთზე თუხუმის წევრები, სისხლით ნათესავები ქორწინდებოდნენ. ამ კრიტერიუმის მიხედვით, თუ ქორწინების ეგზოგამიური ფორმა ცივილიზაციის ნიშანია, დაღესტნელები და დანარჩენი ჩრდილოეთ კავკასიელები როგორღა არიან ერთი ცივილიზაციის წარმომადგენელნი? აქ კიდევ ერთი ეთნოგრაფიული ფაქტი უნდა გავიხსენო, ოღონდ კვების სფეროდან. 1899 წელს ცნობილმა ნორვეგიელმა მწერალმა *კნუტ ჰამსუნმა* რუსეთის გავლით კავკასიაში იმოგზაურა. ვლადიკავკაზიდან თბილისამდე ეტლით იმგზავრა, რომელშიც ოთხი ცხენი იყო შებმული. ღამე ხევის ოსურ სოფელ კობში გაათენა. მეეტლეს ოთხი ცხენიდან ერთი მოუკვდა. კობის მკვიდრმა ოსებმა კი მკვდარი ცხენის ერთი ნაჭერიც არ დატოვეს შეუსანსლავი. „ეტყობათ, ეს საქმე დიდ სიამოვნებას ჰგვრით, ხელით სინჯავენ ხორცს, ხელებს ითბობენ, იცინიან – აგზნებული, ყრუ სიცილით. ნუთუ მათში წარმართულმა ინსტიქტმა იფეთქა?“ (*ჰამსუნი კ.* განცდილი და ნაფიქრი კავკასიაში. თბ., 2006: 72-79). ამ ფაქტით ჩრდილოეთ კავკასიური და ქართული სამყარო ერთი ცივილიზაციის ნაწილებია? ქრისტიანი ქართველი უსულადოს (თანაც ცხენს) შეჭამდა და შეჭამს? ცხენის ჭამის ტრადიცია კავკასიაში მოსულ ოსებს ხომ მომთაბარეობიდან მოსდგამდათ.

ძალიან ბევრ კითხვას იწვევს შემდეგი აბზაცი: „*ამავე დროს რეალობაა ისიც, რომ კავკასიაში ზოგიერთ შემთხვევაში ეთნოცენტრიზმი, ეთნოეტა-*

ტიზმი და სხვა ნეგატიური მოვლენები ხშირად თავს იჩენენ, რასაც ეთნოკონფლიქტამდე და ქსენოფობიამდე მივყავართ. ყველა ვხედავთ, რომ ამით, სამწუხაროდ, ჩვენი რეგიონი გამორჩეულია“ (*კეციანი* 2011: 464). მეცნიერება ზოგად ფრაზებს ვერ იტანს. კონკრეტული ფაქტების მოყვანა და ანალიზია საჭირო. **ეთნოეტატიზმში დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს შესაქმნელად ქართველთა სწრაფვა ხომ არ იგულისხმება?** „ჩვენს რეგიონში“, როგორც ჩანს, „კრიტიკოსი“ საქართველოს გულისხმობს, რომლის მკვიდრი ქართველებიც თურმე ქსენოფობიით არიან გამორჩეულები, ყველაფერი შეიძლება დააბრალო ქართველს ხალხს და ქსენოფობიობას კი ვერავინ დააბრალებს. საქართველოს ტერიტორიების მიმტაცებელი რუსების, აფხაზებისა და ოსების მიმართაც კი არ გასჩენიათ ქართველებს ქსენოფობიური განწყობილება. საქართველოს მიმართ „რეგიონის“ გამოყენება დანაშაულია; საქართველო რეგიონი კი არა, ქვეყანაა. მაგრამ გააჩნია ვისთვის? ქართველებისათვის ის ქვეყანაა, რუსებისათვის – რეგიონი. ამ ტერმინის გამოყენებითა და ქართველთათვის ქსენოფობიის დაბრალებით რუსებს ხომ არ ვუკმევთ გუნდრუკს?

სხვა ნაშრომში ქართველ ხალხს სხვა ბრალდებაცა აქვს წაყენებული. როგორც იტყვიან, ფაქტი აშკარაა: *„მეთოდოლოგიური დივერსიფიკაციის საფუძველზე დაყრდნობით,* ***საჭიროა ჩვენი კულტურის, იდენტურობის კრიზისის გაზრდა.*** *ფაქტობრივად, მე-13 ს-ში ქართული სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ (თათარ-მონღოლები, ირან-ოსმალეთის „პატრონაჟი“ (უნდა იყოს „პატრონატი“ – რ. თ.)), მოგვიანებით, მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე,* ***საქართველო გაითქვიფა ჯერ რუსულ იმპერიულ, შემდეგ კი ხელოვნურ, ე.წ. საბჭოთა მეტანაციონალურ იდენტურობაში.***

ამჟამად, ცხადია, ***მექანიკურად მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე არსებულ ქართული კულტურის ტრადიციებს ჩვენ ვერ დავუბრუნდებით,*** *მაგრამ წარსულთან გაწყვეტილი მემკვიდრეობის აღდგენა, ცარისტული და საბჭოთა წარსულის კრიტიკული გადახედვით, საჭიროა.* ***ეს საშუალებას მოგვცემს გამოვიმუშაოთ ახალი ეროვნული თვითშეგნება,*** *რომელიც გააზრებული იქნება გლობალური და მრავალფეროვანი სამყაროს ჭრილში.* ***ამით ჩვენ დავიბრუნებთ ყველაზე ძვირფას ფასეულობას – ადამიანურობას“*** (*ჯ. კეციანი.* კავკასიის ცივილიზაცია პოსტსაბჭოურ ისტორიოგრაფიაში. თბ., 2007: 4-5). პირველი, რაც უნდა აღვნიშნო, ის გახლავთ, რომ მოყვანილ ამონარიდს არავითარი საერთო არა აქვს საისტორიო მეცნიერებასთან; ეს რაღაც პოლიტო-

ლოგიური, უფრო სწორედ, ფუტუროლოგიური ოპუსია; მეორე, **თურმე ჩვენი, ე. ი. ქართული კულტურა და იდენტურობა კრიზისს განიცდის** და ეს კრიზისი XIII საუკუნიდან დაწყებულა და ჰოი, საოცრებავ, მაინც აქამდე მოგვიღწევია; მესამე, **საქართველო გათქვეფილა ჯერ რუსულ და შემდეგ საბჭოთა მეტანაციონალურ იდენტურობაში.** საკითხავია, თუ სხვებში (რუსებში) გაითქვიფა ქართული იდენტურობა, როგორღა შეიქმნა ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაღალი დონის ქართული კულტურა და მწერლობა? იდენტობადაკარგული ქართველი ხალხი როგორღა იბრძოდა დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის აღსადგენად? მეოთხე, ვინ განაცხადა, რომ XVIII-XIX საუკუნეების ქართული კულტურის ტრადიციებს უნდა დავუბრუნდეთ? მართალია, ქართველი ხალხი ისტორიისკენ ლტოლვით მუდმივად გამოირჩეოდა, მაგრამ არა ძველის დაბრუნების სურვილით. მოაზროვნე ქართველები ყოველთვის მომავალზე ფიქრობდნენ. XVIII-XIX საუკუნეების ქართული ხალხური კულტურული ტრადიციები იყო დიდი ოჯახი, ხის სახვნელი იარაღი, ორბორბლიანი საზიდი საშუალებები (ურემი), მიცვალებულის სუდარით დაკრძალვა, ფეხის ფეხზე გადადებით დაჯდომის დაუშვებლობა და სხვ. ეს ყველაფერი დრომ გააქრო, მაგრამ მთელი რიგი ტრადიციები ხელიხელსაგოგმანებელია, რომელთაც გაფრთხილება, შენახვა სჭირდება, ისევე როგორც ისტორიულ მახსოვრობას. ამ ორ ღერძს ეყრდნობოდა ქართული მენტალობა, ფასეულობები; მეხუთე, **რას ნიშნავს ახალი ეროვნული თვითშეგნება? ასეთი ტერმინი ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ არ იცის. ახალი ეროვნული ცნობიერება ახალი, სხვა, განსხვავებული ეთნოსის ფორმირებას უდრის. ე. ი. ქართველებმა არსებულ ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე უარი ნებაყოფლობით უნდა ვთქვათ და სხვა ხალხად ვიქცეთ?** მეექვსე, არსებული ეროვნული ცნობიერების შეცვლით თურმე **„ჩვენ დავიბრუნებთ ყველაზე ძვირფას ფასეულობას – ადამიანურობას“.** ნებისმიერი დამეთანხმება, რომ **ძალიან დიდი ბრალდება აქვს ქართველ ხალხს წაყენებული – ადამიანურობა მას კოლექტიურად დაუკარგავს და ახლა მისი დაბრუნება გვჭირდება.** მთელი კატეგორიულობით მინდა განვაცხადო: ეს არაა მეცნიერება და, მით უმეტეს, საისტორიო მეცნიერება. რაც ყველაზე გასაოცარია, ბროშურა, რომელშიც ქართველთა დაკარგულ ადამიანურობაზეა საუბარი, „კრიტიკოსს“ თავისი სალექციო კურსის – „კავკასიის ხალხთა კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგია“ – სილაბუსში ძირითად/საავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში აქვს დასახელებული.

საისტორიო მეცნიერებისაგან ასევე ძალიან შორს დგას დასახელებული ავტორის კიდევ ერთი პუბლიკაცია. წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ ეს არის პოლიტოლოგია პარტისტორიის პოზიციიდან. დაბეჭდვამდე ის მოხსენების სახით წარმოადგინა 2011 წლის 4 მაისს თსუ-ის ივანე ჯავახიშვილის 135 წლის იუბილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე – **„სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში: გზა ახალი ზეეთნიკური ერთობისაკენ“**. სესიაზე ეს მოხსენება კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს პროფესორებმა *ქეთევან ხუციშვილმა* და *თინათინ ბოლქვაძემ*, ხოლო გეოგრაფის, პროფესორ *გიორგი კვინიკაძის* უცაბედი კომენტარი ასეთი იყო: *„ეს ძალიან საშიშია“*. მიუხედავად ამისა, მოხსენების ტექსტი მალევე დაიბეჭდა. შემოგთავაზებთ ამონარიდებს: *„საზოგადოების ინტეგრაციას, ლიბერალური დემოკრატიის პირობებში, ალტერნატივა არ გააჩნია, წინაალმდეგ შემთხვევაში ის იღუპება. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოში ოსების და ზოგადად ეროვნული უმცირესობების როლი და ადგილი ახალ ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული,* ***„ზეეთნიკური“ სოციუმის ფორმირების პროცესში, რომელსაც პერსპექტივაში, პირობითად „ქართველიანი“ (მრავლობითში „ქართულიანნი“ ან „ქართველიანები“) შეიძლება ეწოდოთ“*** (*ჯ. კვიციანი.* ეროვნული უმცირესობანი საქართველოში. XX-XXI სს. თბ., 2011: 3); *„ბოლო წლებში საქართველოში განხორციელებული ძვრები, რომელიც დემოკრატიის განვითარებაში, ადამიანის უფლებების დაცვასა და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში გამოვლინდა, გვაძლევს იმედს, რომ* ***ეროვნული უმცირესობების სოციალური აქტიურობა ქართულ გარემოში ინტეგრაციის მიზნით დასრულდება ახალი სოციუმის – „ქართველიანის“ ჩამოყალიბებით.*** *ასეთი გაერთიანება მიმზიდველი იქნება ეთნიკური ოსებისათვის, რადგან ისინი ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად შესისხლხორცებული არიან ქართულ კულტურასთან, ცხოვრების წესთან და თვითშეგნებითაც ბევრად ემსგავსებიან მათ“* (*ჯ. კვიციანი* 2011: 41); *„**იმისათვის, რომ მომავალში შემცირდეს საქართველოში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები, საჭიროა შემუშავდეს ქართულ გარემოში ახალი „ზეეთნიკური“ ერთობის მოდელი ან პროექტი,** რომელიც დაფუძნებული იქნება როგორც ისტორიული თანაცხოვრების გამოცდილებაზე, ისე დღევანდელი გამოწვევების ობიექტურ გაანალიზებაზე.* ***ასეთი „ზეეთნიკური“ ერთობის მოდელს, „ქართველიანი“ (მრავლობითში „ქართველთთანი“ ან „ქართველიანები“) შეიძლება ეწოდოს,*** *რომლის არსი, ქართული იდეის გათვალისწინებით, სწორედ რომ სა-*

ქართველოში მცხოვრები ყოველი ეთნოსის საყოველთაო ინტეგრაციაა. თვით ეს ტერმინიც გარკვეულწილად მიგვანიშნებს საქართველოს საზოგადოების სამომავლო სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის ხასიათზე, რომლის დროსაც მისი ყოველი წევრი (ეროვნული კუთვნილების მიუხედავად) მოტივირებული იქნება, ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიზაციის შემდგომ განვითარებას“ (*ჯ. კვიციანი* 2011: 47).

ამრიგად, ასე ადვილად გადაწყდება ქართველ ხალხთან ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა და დემოკრატიულ განვითარებასაც წინ აღარაფერი დაუდგება. თურმე პრობლემის არსი იმაშია, საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქენი საერთო, გამაერთიანებელ სახელად რას ისურვებენ. ეს ტერმინი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის აზრით, „ქართველიანი“, „ქართულიანნი“, „ქართველთთანი“, „ქართველიანები“ შეიძლება იყოს. **ტერმინი „ქართველიანი“ თურმე მიმზიდველი იქნება ოსებისათვის, რადგან თვითშეგნებით ისინი ქართველებს ემსგავსებიან.** კი, მაგრამ რა დაამავეს აფხაზებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ქისტებმა, რუსებმა და სხვებმა? **პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ასეთი იდეების გაზიარება საქართველოს დღევანდელი საზოგადოებისათვის ფრიად საშიშია. არ იფიქრებენ საქართველოს მოქალაქე ოსები და აფხაზები, სომხები და აზერბაიჯანელები იმას, რომ ქართველებს მათი არა ინტეგრაცია, არამედ ასიმილაცია უნდათ? მიუსადაგებენ ისინი საკუთარ თავს ამ ტერმინს? მათთვის რა მნიშვნელობა აქვს ჩვენ „ქართველებს“ ვუწოდებთ თუ „ქართველიანს“? ჩვენ, ქართველებმა, ასეთი ნაბიჯების გადადგმით დაპირისპირებების ახალი კერა უნდა შევქმნათ?** „გამოხტება“, მაგალითად, ჯავახეთში რომელიმე ლიდერთაგანი და ეთნიკურ სომხებს ამის გამო ქართველთა საწინააღმდეგოდ განაწყობს, ქართველებს ჩვენი გაქართველება, ასიმილაცია მოუწადინებიათო. **ზემოთ ტყუილად არ ვუწოდე ამ ყველაფერს პარტისტორიის პოზიციებიდან დანახული პოლიტოლოგია. დიახ, ტერმინი „ზეეთნიკური“ ერთობა 1971 წლის 30 მარტს სკკპ XXIV ყრილობაზე ლეონიდ ბრეჟნევის მიერ გაცხადდა. ეს ახალი ზეეთნიკური ერთობა „საბჭოთა ხალხი“ იყო. 1974 წლის სკკპ-ის დადგენილებამ საბჭოთა ხალხი ახალ ისტორიულ ერთობადაც გამოაცხადა.** ამ მოვლენას „კრიტიკოსიც“ ვერ უვლის გვერდს: *„გასათვალისწინებელია, რომ სსრკ-ის პირობებში ოსების ინტეგრაციის ხარისხი ქართველებთან ვერ იქნებოდა სრულფასოვანი, რადგან ორივე ხალხის (ქართველებისა და ოსების, სხვა ხალხებთან ერთად) განვითარება მიმართული იყო იმისაკენ, რომ ზეეთნიკური „ახალი*

საბჭოთა ადამიანი“ შექმნილიყო“ (*ჯ. კვიციანი* 2011: 31). ზეეთნიკური ერთობის – საბჭოთა ხალხის – შექმნის ზუსტად ოცი წლისთავზე ეს ერთობა ხუხულასავით დაიშალა. ახლა ქართველი გვთავაზობს ახალი ზეეთნიკური ერთობის შექმნას იმავე საბჭოთა ტერმინებით. **ვინმეს ხომ არ უნდა, რომ ქართველთა მიერ შექმნილი ზეეთნიკური ერთობა – ქართველიანიც (საქართველოს მოქალაქეთა ერთობა) ასევე ხუხულასავით დაიშალოს?** მიმაჩნია, რომ „ქართველიანნი“ ესაა ახალი რუსული ტერმინის (ზეეთნიკური ერთობის) „რასიანეს“ კალკი. ზემოთ მოყვანილ ციტატას თუ დავუჯერებთ, თურმე ოსები თვითშეგნებით ქართველებს ემსგავსებიან. ეთნიკური ცნობიერება არის ეთნიკური ცნობიერება; კულტურათა მსგავსებაზე საუბარი შეიძლება, მაგრამ ხალხების ეთნიკური ცნობიერების მსგავსებაზე საუბარი ნონსენსია. ოსები თვითშეგნებით ქართველებს თუ ემსგავსებოდნენ, იმიტომ არ დაუპირისპირდნენ მათ შემფარველ ქართველებს, რუსების დახმარებით, იმიტომ არ წარიტაცეს მათ ძირძველი ქართული ტერიტორიები და კიდევ იმიტომ არ უჭირავთ თვალი სხვა დიდი ტერიტორიების მითვისებაზე? „კრიტიკოსი“ პირდაპირ გვიცხადებს, რომ საჭიროა ახალი ეროვნული თვითშეგნება, რაც ფაქტობრივად, ახალი ეთნოსის წარმოქმნას მოასწავებს, ახალ ეთნოსს კი, ბუნებრივია, ახალი სახელწოდებაც ჭირდება. ასე ხელის ერთი მოსმით წყვეტენ ვიღაცეები ქართველი ხალხის ბედს.

კიდევ ერთი გარემოების შესახებ: საბჭოთა ტერმინი გახლდათ „ეროვნული უმცირესობაც“. საქართველოში ერს/ნაციას მხოლოდ ქართველები წარმოადგენენ. საბჭოთა პერიოდის „ეროვნული უმცირესობების“ აღმნიშვნელი ტერმინი „ეთნიკური უმცირესობაა“.

არც ის არის მეცნიერება, როდესაც გვიცხადებენ, თუ კავკასიურ ცივილიზაციას ვაღიარებთ, მაშინ კავკასიაში არსებული პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკური კონფლიქტები მოწესრიგდებაო. რამდენიც გინდა, ელაპარაკე და „უმტკიცე“ აზერბაიჯანელებსა და სომხებს, ინგუშებსა და ოსებს, თქვენ ორივენი კავკასიის ცივილიზაციის წარმომადგენლები ხართო, დაივიწყებენ წარსულს, მიტაცებულ ტერიტორიებს დაუბრუნებენ და სიამტკბილობით იცხოვრებენ ერთმანეთთან? სხვათა შორის, არც ერთი სომეხი და აზერბაიჯანელი მეცნიერი არ ლაპარაკობს საერთო კავკასიური ცივილიზაციის არსებობაზე, რაღა მაინცდამაინც ქართველები წამოვეგეთ სხვათა მიერ გადმოგდებულ ანკესზე? მავანს და მავანს ხომ არ უნდა მდიდარი ქართული კულტურისა და წარსული სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების დაკნი-

ნება და გაქრობა? იმ დროს, როდესაც მთელ ჩაჩან ხალხს ტერორისტებად აცხადებენ და ქართველებსაც — მათ ხელისშემწყობებად, ხომ არ უნდათ მსოფლიოს დაანახონ, რომ ქართველები და ჩაჩნები ერთი სტერეოტიპის მატარებელი ხალხია, ისინიც ტერორისტები არიან და როგორც პირველთა, ისე მეორეთა ტერორისტობის საფუძვლს საერთო კავკასიური ცივილიზაცია წარმოადგენს?

აუცილებლად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ჩემი „კრიტიკოსი" ე.წ. კავკასიური ცივილიზაციისადმი მიძღვნილ არც ერთ ნაშრომში ორიგინალური არაა — ის იმეორებს მისი „რუსეთელი" კოლეგების „ნააზრევს". არც ესაა მეცნიერება! რატომღაც გვგონია, რომ „კავკასიური ცივილიზაცია" და „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი" ერთ თავში „გადახარშული" ტერმინებია. ის ერთგვარი სატყუარაცაა. საბჭოთა პერიოდში „ცივილიზაციის" სინონიმური ტერმინი გახლდათ „ისტორიულ-კულტურული/ეთნოგრაფიული ოლქი", რომლის შემოტანაც ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში დაკავშირებულია *ნ.* და *ი. ჩებოქსაროვების* სახელთან. ამდენად, ამ სქემაში „კავკასიური ცივილიზაციის" ცნების მაგივრობას „კავკასიის ისტორიულ-კულტურული" ცნება ასრულებდა; თუმცა კავკასიის მიმართ რეალურ ვითარებას ზემოთ დასახელებული ავტორებიც უწევდნენ ანგარიშს და კავკასიაში ორ ქვეოლქს — ჩრდილოკავკასიურსა და სამხრეთკავკასიურს გამოყოფდნენ.

ბოლო პერიოდში ჩრდილოეთ კავკასია და სამხრეთ კავკასია, ფაქტობრივად, სხვადასხვა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სისტემების ნაწილებად იქცა. გარკვეული წრეები ამ რეალობის წინააღმდეგ გამოდიან და ცდილობენ თანამედროვეობის არაერთი მოვლენა ისტორიით შეამაგრონ. „კავკასიური ცივილიზაცია" ახალი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ვითარების საწინააღმდეგოდ მოფიქრებული ლამაზი ცნება ხომ არ არის? მავანთა ვარაუდით, რადგან კავკასიას საერთო კულტურული (გეოკულტურული), საერთო ისტორიული (გეოისტორიული), საერთო ენობრივი საფუძვლები ჰქონდა და აქვს, ამიტომ კავკასიის ორი — გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური — სისტემების არსებობას პერსპექტივა არა აქვს; ე. ი. ის ძველებურად, როგორც უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ერთი და ერთიანი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სისტემა უნდა იყოს.

ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული დასკვნები ცივილიზაციის იმ ნიშნებს ეყრდნობა, რომლებიც მეცნიერებაში მიღებული და გაზიარებულია. ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება „კავკასიური ცივილიზაციის" მიმართ სრულია-

დაც არ ნიშნავს იმას, რომ კავკასიის ხალხები ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ, რომ მათ ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდათ, არ ღებულობდნენ ერთმანეთისგან კულტურის ელემენტებს. განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ მთიელებს ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხალხებთან, ხშირი იყო ორმხრივი მიგრაციული პროცესებიც, თითქმის მსგავსი ჰქონდათ სტუმარმასპინძლობის ტრადიციები. კავკასიელები ანთროპოლოგიურად ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას მეცნიერებაში ხელოვნური ცნებები და ტერმინები შევქმნათ და არარსებული არსებულად გამოვაცხადოთ. ამით მხოლოდ თავს მოვიტყუებთ და გარეშეთ განქიქების საბაბს მივცემთ.

კავკასიის ხალხებმა მძიმე ისტორია გაიარეს; გარეშე ფაქტორთა გამოისობით ისინი სხვადასხვა იმპერიათა მარწუხებში იყვნენ მოქცეულნი; ბევრმა მათგანმა განსახლების არეალიც (ეთნოსფერა) დაკარგა, ზოგიერთი საერთოდ გაქრა, ათეულობით სოფელი გადაიწვა. ეს დიდი ტრაგედია იყო. გმირულმა თავგანწირვამ ამაოდ ჩაიარა. ისტორიას ახსოვს დაპირისპირებებიც კავკასიელთა შორის. ეს დაპირისპირება, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. კავკასიელი ხალხების მომავალი განვითარება ურთიერთპატივისცემასა და სიმპათიებს უნდა ეფუძნებოდეს, მიუხედავად იმისა, პოლიტიკურად სად იქნებიან ისინი. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ კავკასია კონფლიქტებმა მოიცვა, ხალხები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ინსპირირებული ომების შემდეგაც ქართველ ხალხს არც აფხაზებისა და არც ოსების მიმართ სიძულვილის გრძნობა არ გასჩენია. ამასვე ვუსურვებდი აფხაზებსა და ოსებსაც, სომხებსაც და აზერბაიჯანელებსაც. მშვიდობიან კავკასიას, ურთიერთპატივისცემას ალტერნატივა არ გააჩნია. ამისათვის სრულიადაც არაა საჭირო ისტორიის შელამაზება, ახალი მითოლოგემების შექმნა.

დღეს რუსეთშიც ბევრი სერიოზული მეცნიერია შეშფოთებული შექმნილი ვითარებით, შეშფოთებულნი არიან ისტორიის ფალსიფიკაციის მცდელობებით, მითოლოგემების შექმნით. იმავე აზრისანი არიან ე.წ. კავკასიური ცივილიზაციის შესახებაც. ამის დამადასტურებლად შემოგთავაზებთ ამონარიდს ცნობილი კავკასიათმცოდნე ეთნოლოგის *ი. კარპოვის* ნაშრომიდან: «Методологические, гносеологические возможности и перспективы цивилизационного метода оказались восприняты и оценены поверхностно, а его резерв почти не был реализован. Сторонники данного метода (объявившие себя таковыми) не ввели дополнительных и не предложили оригинальных

прочтений известных источников. В итоге не было представлено новых аспектов интерпретации материала и лишь на словах повторялся тезис об уникальности культуры собственного народа или всего горного Кавказа. **Понятия «цивилизация», «цивилизационный» в большинстве случаев оказались не более чем завлекательными эпитетами»** (*Карпов Ю. Ю.* Традиционные горско-кавказские общества: к проблеме особенностей функционирования в свете истории интерпретаций. Традиции народов Кавказа в меняющемся мире: преемственность и разриви в социокультурных практиках. СПб, *2010: 175-176*).

დაბოლოს, ზემოთ ვახსენე პარტისტორიის პოზიციებიდან დანახული კავკასიის ისტორია და ეს შემთხვევით არ გამიკეთებია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ისტორიის მიმართულების სრულ პროფესორს *ჯონი კვიციანს* საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში აქვს დაცული. ამ დისერტაციების სათაურებია: 1. **«Комсомол – активный помощник партии в коммунистическом воспитании будущих специалистов в студенческих отрядах (1971-1980 гг.): На материалах комсомольских организаций автономных республик Северного Кавказа».** Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук (**спец. 07.00.01 – история КПСС**). Махачкала, 1981. 2. **«Политика КПСС в области подготовки специалистов в высшей школе. В 60-80-е годы: опыт и проблемы (На материалах Северного Кавказа).» Спец. 07.00.01-история КПСС.** Автореферат на соискание ученой степени доктора исторических наук. Ростов-на-Дону. 1991. 1991 წელი კი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი დღეები იყო; ის სულს ღაფავდა. რაც მთავარია, თავისი სადისერტაციო ნაშრომების სათაურები და სპეციალობა *ჯ. კვიციანმა* ყველას დაუმალა და თავი კავკასიოლოგად გამოაცხადა იმიტომ, რომ მისი სადისერტაციო ნაშრომები 1960-1980-იან წლების კომკავშირისა და კომპარტიის კავკასიის ორგანიზაციებს ეხება. შეცდომაში შეიყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც, რომლის რეესტრშიც მისი სადისერტაციო თემების სულ სხვა სათაურებია მითითებული.

ბატონო რედაქტორებო! პროფესორი ჯონი კვიციანი კავკასიური ცივილიზაციის აგიტაციითაა დაკავებული, რომელიც მიზანმიმართულად აკნინებს ქართველი ხალხის ისტორიასა და კულტურას. არგაზიარება იმ ბლეფისა,

რომელსაც კავკასიური ცივილიზაცია ჰქვია და ამ ცივილიზაციაში ქართველი ხალხის ხელოვნურად შეყვანისა, რაც თურმე კავკასიის ხალხების დაახლოებას შეუწყობს ხელს და ეთნოკონფლიქტებს მოაწესრიგებს, სულაც არ ნიშნავს კავკასიური კულტურის დაკნინებას, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მეზობლების უპატივცემლობას, რომელთაგანაც კარგიც გვახსოვს და ცუდიც. კავკასიელ მთიელთა გმირობა და თავისუფლებისადმი მისწრაფება ყველასაგან დასაფასებელია. მეცნიერულად კი იმის აღიარება, რომ ქართველები არ იყვნენ საერთო კავკასიური ცივილიზაციის ნაწილნი და მათ განვითარების სულ სხვა გზა გაიარეს, იმას არ ნიშნავს, რომ კავკასიის ხალხებთან საერთო ენა არ გამოვნახოთ. ჩვენს ერთად ყოფნას, არაქართველთა პოლიტიკური მოთავეობით ალტერნატივა არა აქვს.

P.S. – 1. ბატონო რედაქტორებო! *ჯ. კვიციანის* „კრიტიკული“ წერილი, რომლის პასუხიც აქ შემოგთავაზეთ, კარგა ხანია ჩემთვის ცნობილია. ის ჩემი სათაყვანებელი ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საიტზე იდო, იმ ინსტიტუტის საიტზე, სადაც „კრიტიკოსი“ ჩემი ხელდასხმით მოხვდა. ეს ის ისტორიის ინსტიტუტია, სადაც გავიზარდე და წლების განმავლობაში ურთიერთობა მქონდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან, რომლებსაც, ისევე როგორც თითოეულ თქვენგანს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საისტორიო სკოლა ჰქონდა განვლილი, რა თქმა უნდა, არა პარტისტორიის განხრით. გულდასაწყვეტია, რომ *ჯ. კვიციანის* ნააზრევს, პოზიციას ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი იზიარებდა. საინტერესოა, ვისი გადაწყვეტილებით დაიდო ის საიტზე? ასეთ საკითხებს, ჩვეულებრივ, სამეცნიერო საბჭო უნდა წყვეტდეს. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს კი კარგა ხანია თავმჯდომარე არა ჰყავს. სერიოზული კრიტიკა ყოველთვის მისაღებია. რამდენიმე წლის განმავლობაში თავზე ლაფის დამსხმელი წერილების სერია ქვეყნდებოდა ჩემი მისამართით. ბოლოს ნაცარქექიაც კი მიწოდეს იმის გამო, რომ კონკრეტული პიროვნება პლაგიატორობაში ვამხილე. სალანძღავ წერილებს არ ვპასუხობდი, რადგან მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ლანძღვას არ უნდა უპასუხო. ასევე ვფიქრობდი *ჯ. კვიციანის* შესახებაც, რომელსაც, რა თქმა უნდა, ეთიკის ნორმები არ დაურღვევია, მაგრამ შეფარვით ფაშისტური, არალიბერალური აზროვნების ადამიანი და უცოდინარი მიწოდა. რა თქმა უნდა, ასეთი მხოლოდ მისთვის ვარ, ვისაც ფრაგმენტული ცოდნა გააჩნია კავკასიის ისტორიისა და კავკასიელ ხალხთა კულტურების შესახებ. მე კი იქნებ ცოტა მკვახედაც გამომივიდა იმიტომ, რომ მის ქმედებაში ბევრი რამ

არის დამაფიქრებელი და, თუ ჩავუფიქრდებით, საისტორიო დარგისა და საქართველოს მომავალთანაცაა დაკავშირებული. მომავალში „კრიტიკოსმა“ აღნიშნული ხასიათის რამდენი წერილიც უნდა დაწეროს, მე დროს აღარ დავკარგავ. ასეთი პოლემიკური ხასიათის წერილებს აღარ დავწერ. მიმაჩნია, რომ ეს დროის ფლანგვაა; სჯობს, დრო მეცნიერმა ახალი ნაშრომების წერაში დახარჯოს.

P. S. – 2. ბატონო თედო! ახლა მოგმართავთ როგორც ოფიციალურ პირს – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს. ზემოთ ორჯერ ვახსენე „კავკასიის ხალხთა კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგიის“ სალექციო კურსი, რომლის სილაბუსი სტუდენტისაგან გადმომეცა და რომელსაც აღნიშნული პიროვნება კითხულობს კავკასიოლოგი მაგისტრანტებისათვის. ამჯერად არ ვეხები კურსის შინაარსსა და თითოეული ლექციის ირგვლივ მითითებული ლიტერატურის შეუსაბამობას. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ კულტურული ანთროპოლოგებიცა და სოციალური ანთროპოლოგებიც არასდროს ხალხებს არ სწავლობდნენ, მათ ეთნოსები არ აინტერესებდათ და არ აინტერესებთ; არ აინტერესებთ ანთროპოლოგებს არც ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია, „ტერიტორიულ-ეთნიკური ლოკალიზაციაც“ და „ეთნიკური დინამიკაც“. ამ საკითხებით კი მისი სილაბუსი დახუნძლულია. ანთროპოლოგთა კვლევის სფერო მხოლოდ ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციოკულტურული სისტემები, ცალკეული საზოგადოებები და ჯგუფებია. ხალხები/ეთნოსები მხოლოდ ეთნოლოგთა კვლევის საგანია. ასე რომ, სალექციო კურსის სათაური და მისი შინაარსი ზედმეტად ალოგიკურია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. V
თბილისი. 2012

იუბილე

გიორგი ნადირაძე – 80

გიორგი (ასანა) ნადირაძეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის ლაურეატს, ჩვენს უფროს კოლეგას, 2 თებერვლს 80 წელი შეუსრულდებოდა. იგი ისტორიკოსთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეცნიერებას აკად. შოთა მესხიას ხელმძღვანელობით ეზიარა. გ. ნადირაძის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო კრებული სათაურით „პოეტური სულის მეცნიერი", რომელიც „საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის" ეგიდით დაისტამბა, სადაც სხვადასხვა თაობის ჰუმანიტარული დარგის მკვლევართა სტატიებია წარმოდგენილი. გვინდა კიდევ ერთხელ გავიხსენით ბ-ნი გიორგი და მივულოცოთ 80 წლის იუბილე.

გიორგი ნადირაძის, როგორც ისტორიკოსის, ძირითადი ამპლუა ისტორიოგრაფია, ისტორიული მეცნიერების ისტორია იყო. მან არა ერთი ისტორიკოსის ცხოვრება და მოღვაწეობა შეისწავლა. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი მნიშვნელოვანი მეცნიერის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა ამავე დროს წარმოადგენს და განმარტავს ისტორიული მეცნიერების მაგისტრალური განვითარების პროცესებს. გ. ნადირაძემ სერიოზული შრომა გასწია XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეების: ნიკო ურბნელისა და სულხან ბარათაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესასწავლად და წარმოგვიდგინა მონოგრაფია „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან". ის აღნიშნულ მეცნიერთა ყოველმხრივი ღვაწლის პირველი მკვლევარია.

გ. ნადირაძე საინტერესოდ განმარტავს თავისი მეცნიერული შრომის მიზანს. იგი წერს: თუ ისტორიის კვლევის საგანი ახლის მოძიება და განსხვავებულის დანახვაა, მაშინ ამ ორი მკვლევრის ნააზრევი ნამდვილად წარმოადგენს XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან მოვლენას. ასეთმა თვალსაზრისმა განაპირობა წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი,

შეგვესწავლა ს. ბარათაშვილისა და ნ. ხიზანიშვილის ნაშრომები, შეგვეფასებინა მნიშვნელობა, გაგვერკვია მეცნიერული დონე, გვეჩვენებინა, რამდენად ორიგინალური, საინტერესო და მისაღებია წარმოდგენილი ვერსიები, მოვლენები, ჰიპოთეზები. გაგვევლო პარალელები მათსა და მათ წინადროინდელ, თანამედროვე და შემდეგდროინდელ ისტორიკოსთა ნააზრევს შორის; დაგვემტკიცებინა, რომ ს. ბარათაშვილი და ნ. ხიზანიშვილი იყვნენ საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების პირველი მკვლევარნი. ნათქვამი თავისთავად განსაზღვრავს ნაშრომის საბოლოო მიზანს – XIX ს. II ნახ. ისტორიული აზრის უფრო სრულ და გამართულ წარმოდგენას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ XIX საუკუნე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ისტორიული მეცნიერების სრულყოფისათვის, რომელსაც „ისტორიული რევოლუციის ეპოქასაც“ უწოდებენ, ხოლო ქართველ ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი ამ ეპოქას ქართული ნაციის დაბადების დროდაც კი მიიჩნევს, კიდევ უფრო ცხადი გახება XIX ს. ქართული ისტორიული აზრის განვითარების შესწავლის აუცილებლობა. აზრის განვითარების შესწავლა კი პიროვნების სამეცნიერო მემკვიდრეობის გაანალიზების გარეშე შეუძლებელია.

გ. ნადირაძის ისტორიოგრაფიული ნაშრომია აგრეთვე წიგნი „სტალინი ქართველი კაცი?“. ავტორი აქ უპირველესად კაცობრიობის მეხსიერების, უდიდესი ეპოქალური მოვლენების, ნგრევის, აღზევებისა და გადაშენების მკვლევარია. გ. ნადირაძე ამ წიგნის წინასიტყვაობაში წერს: სტალინური პოლიტიკური მმართველობა ეს იყო მაკიაველიზმის ხორცშესხმა, ვერაგობა, სიცრუე, ძალადობის აპოგეა. ასეთ საფუძველზე აღმოცენდა მონუმენტური უმომავლო იმპერია, რომლის მეთაური სიცოცხლეშივე გახდა დედამიწის ყველაზე ცნობილი და საინტერესო ადამიანი. მაგრამ მას არასოდეს დაუმსახურებია განათლებული და ჰუმანური საზოგადოების გულწრფელი პატივისცემა ან თანადგომა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ვოლტერს, „ჩვენს თაყვანისცემას იმსახურებს ის, ვინც ჩვენი გონება ჭეშმარიტების ძალით დაიპყრო და არა ის, ვინც ძალმომრეობით დაგვიმონა“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ გ. ნადირაძის დამოკიდებულება და შეფასება ილიას, როგორც მოაზროვნის და ისტორიკოსის მიმართ, რაც ცალკე მსჯელობის საგნად შეიძლება იქცეს. ასევე საინტერესო და ორიგინალურია მისი შეხედულებები ფეოდალური ხანის საქართველოს ზოგიერთი პრობლემის შესახებ (მაგ., დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ).

გ. ნადირაძე მუდმივად თანამშრომლობდა ქართული საბჭოთა ენციკლო-

პედიის რედაქციასთან, მან აგრეთვე გარკვეული ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, ისტორიის ფაკ-ის სტუდენტებისათვის (XIX საუკუნე) და მრავალი სხვ.

ვფიქრობთ, უნივერსიტეტის პროფესორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ლექცია და სტუდენტებთან ურთიერთობის პროცესია. ჟურნალისტის კითხვაზე, „როგორი დამოკიდებულება გაქვთ თქვენს სტუდენტებთან?“ ბ-ნი გიორგი ლაკონურად პასუხობს: „უპირველეს ყოვლისა, ისინი ძალიან მიყვარს“. ასეთივე სიყვარული და ღრმა პატივისცემა ჰქონდათ სტუდენტებს მის მიმართ, რაც გამოხატეს კიდეც მისდამი მიძღვნილ წერილში, „ჩვენი საყვარელი პროფესორი“ (გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 24 დეკემბერი, 2002 წ.). მოვიყვანთ ამონარიდს ამ წერილიდან: „საქართველოს ისტორიის სადავო მომენტებზე მსჯელობისას მისი ყოველი აზრი და სიტყვა მხოლოდ საქართველოს სიყვარულიდან მომდინარეობს და ჩვენ ისტორიულ წინაპრებს ისე გულწრფელად ახასიათებს, რომ მოჯადოებული შევცქერით „წარსულის მისანს“.

გ. ნადირაძე აქტიურად იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში. მის პუბლიცისტურ წერილებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. მისი ინტერესის მიღმა არ დარჩენილა თითქმის არც ერთი საზოგადოებისათვის საინტერესო და საჭირბოროტო საკითხი. აი, როგორ აფასებს ბ-ნი გიორგის პუბლიცისტურ ნაღვაწს გურამ დოჩანაშვილი: „ბატონო გიორგი, იმიტომ, რომ კარგი, სწორგზიანი მეცნიერი და სიმართლისთვის შემართული, გულადი კაცი ბრძანდები, ჩემო ასან, კი – მეგობრები ვართ. რაც ახლა, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, კიდევ უფრო და მეტად მეამყება“.

ცალკე საკითხია გიორგი ნადირაძის დამოკიდებულება ლიტერატურასთან; გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან ზედმიწევნით იცოდა ქართული პოეზია, მეგობრობდა თანამედროვე მწერლებთან და პოეტებთან. მან საინტერესო ნარკვევები და მოგონებები უძღვნა გალაკტიონ ტაბიძეს, ირაკლი აბაშიძეს, ზვიად გამსახურდიას, გურამ რჩეულიშვილს, ზაურ ბოლქვაძეს, ჯანსუღ კახიძეს და სხვ. რომელიც გამოიცა წიგნად, სათაურით „მე სტუმარი ვარ დედამიწაზე“.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება, როგორ იგონებენ ბ-ონ გიორგის: მისი უფროსი კოლეგა აკად. ოთარ ჯაფარიძე: „ასანა ვაუკაცური ბუნების, ძალიან კოლორიტული პიროვნება იყო. საოცრად უშიშარი, პირდაპირი, ბრწყინვალე თამადა – მასთან ერთად სუფრასთან ყოფნა უაღრესად

დიდ სიამოვნებას განიჭებდა. მისი ყოველი სადღეგრძელო ლექსით მთავრდებოდა. სუფრა მისი თამადობით ქართული სიტყვის ზეიმს ემსგავსებოდა. საქმეში ყოვლად უღალატო, უნივერსიტეტის პროფესორი, სტუდენტების საყვარელი ლექტორი, არაერთი საყურადღებო მონოგრაფიის ავტორი, საინტერესო პიროვნება – ასეთია ასანა ნადირაძე ჩემს მეხსიერებაში"; მისი თანაკურსელები: „შესანიშნავი გარეგნობის, საოცრად რომანტიული, საინტერესო პიროვნება, რომელიც არავის არ ჰგავდა, არც არავის ჰბაძავდა. ცხოვრობდა ისე, როგორც თვითონ უნდოდა. იყო ლაღი და თავისუფალი, ნიჭიერებით გამოირჩეოდა, უსაზღვროდ უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი... ალბათ საქართველოს სიყვარულმა შთააგონა ასანას პროფესიად ისტორიკოსობა აერჩია. ბევრს კითხულობდა, ფიქრობდა, მსჯელობდა, პაექრობდა. დახვეწილი ქართულით მოსაუბრე, იუმორის გრძნობით გამორჩეული, ორატორული ნიჭით დაჯილოებული, ქარიზმატული პიროვნება იყო. უყვარდა ადამიანები და მათთან დაახლოების საოცარი უნარი გააჩნდა.." („მეგობრის გახსენება", ნ. კიღურაძე, ი. ჩხარტიშვილი).

ბ-ნი გიორგის პიროვნების გაცნობისათვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ნაწყვეტი მისი ინტერვიუდან, რომელიც ტელევიზიის კორესპონდენტისთვის აქვს მიცემული.

„– ბატონო გიორგი, თქვენი აზრით, მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი ქართველი მეცნიერი?

– ივანე ჯავახიშვილი.

– ვინ მოიგაჩნიათ ყველა დროის საქართველოს უდიდეს შვილად?

– ილია ჭავჭავაძე.

– მე-XX საუკუნის უპირველეს ქართველ პატრიოტად?

– ზვიად გამსახურდია.

– რა თვისება უნდა იყოს უპირველესი, ქვეყნის პირველი პირისთვის?

– სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული.

– რას მიიჩნევთ ყველაზე სრულყოფილ მშვენიერებად?

– ლამაზ ქალს.

– ყველაზე საინტერესო არსებად?

– ნიჭიერ კაცს.

– ყველაზე საყვარელ არსებად?

– ბავშვს.

– თქვენი ჰობი?

– ნადირობა.

– გიყვართ თუ არა კინო?

– მიყვარს ფილმები ცხოველებისა და ბუნების შესახებ.

– გარდა საყოველთაოდ აღიარებული სურვილებისა, სხვას რას ინატრებდით?

– წასვლამდე კიდევ რამდენიმე კარგი ადამიანის გაცნობას.

– როგორი იქნება თანამედროვე ისტორიკოსის მიერ ასახული თანამედროვეობის ისტორია?

– ყალბი, თანამედროვეს ეშინია თავის თანამედროვეთა შურისძიების.

– თქვენი საყვარელი ქართველი პოლიტიკოსი?

– დავით აღმაშენებელი.

– უცხოელი?

– აბრაამ ლინკოლნი.

– თქვენი საყვარელი ქართველი მწერლები?

– კონსტანტინე გამსახურდია, გურამ რჩეულიშვილი, რეზო ინანიშვილი.

– უცხოელები?

– ბალზაკი, სელენჯერი, ცვაიგი.

– საყვარელი ქართველი პოეტი?

– ყველა, ვისაც ოდესმე კარგი ლექსი დაუწერია,

– რომელ ნაწარმოებს გაუოცებიხართ?

– გურამ რჩეულიშვილს „ბათარეკა ჭინჭარაულს“, ჯერომ სელენჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, არჩილ სულაკაურის „ტალღები ნაპირისკენ მიისწრაფიან“.

– აქვს თუ არა ადამიანს შეცდომის უფლება?

– კი, მაგრამ ჩემი ასაკისას – არა. შეცდომის გამოსწორებისათვის დრო აღარ გვრჩება.

– ხართ თუ არა ბედნიერი ადამიანი?

– არა, თუნდაც ჩემი სამშობლოს მაყურებელი.

– როგორ ფიქრობთ, არიან თუ არა დიდი ადამიანები ბედნიერები?

– ამ კითხვას ნაპოლეონმა უპასუხა: „ჩემს სიცოცხლეში ექვსი დღეც არ მქონია ბედნიერი“.

– ხართ თუ არა სამაგალითო პიროვნება?

– არავითარ შემთხვევაში, თუნდაც იმიტომ, რომ მუდამ ვცდილობ ისე

ვიცხოვრო, როგორც მეპრიანება და არა ისე, როგორც საჭიროა.

– რა გეზიზღებათ ადამიანში?

– მლიქვნელობა, უმადურობა. მლიქვნელები და უმადურები კაცობრიობას ამახინჯებენ.

– გაქვთ თუ არა რაიმე სახელმწიფო ჯილდო?

– არავითარი, უარი განვაცხადე „ღირსების ორდენზე“ წარდგინებაზეც კი. მაქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია, ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის კავალერი.

– ამბობენ, რომ კარგი თამადა ხართ.

– ზოგჯერ კი, ზოგჯერ – ვერა. ყოველ შემთხვევაში ჩემი ორი სადღეგრძელო შეტანილია სოლომონ თეზელაშვილის წიგნში „სუფრის ისტორია“. ბატონ სოლომონს არ ვიცნობ, დღემდე არ ვიცი, ვინ მიაწოდა ავტორს ჩემ მიერ თქმული სადღეგრძელოები.

– რას ინატრებდით, რისი შესრულებაც შეიძლება?

– მომცა კარგი ავტომობილი და დამათვალიერებინა დღევანდელი და ისტორიული საქართველოს კუთხე-კუნჭული; „ისე დავბერდი, ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...“

– რა შეგიძლიათ თქვათ ხვალინდელი დღის შესახებ?

– რაც ფრიდრიხ შილერმა თქვა: „მომავალი მოკვდავთათვის ცხრაკლიტულშია ამოქოლილი“.

– რა უნდა ახსოვდეს ადამიანს მუდმივად?

– „მე სტუმარი ვარ დედამიწაზე!!!“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი